



**საქართველოს სახალხო დამცველის
ანგარიში
საქართველოში
ადამიანის უფლებათა და
თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის
შესახებ**

2010 წელი

www.ombudsman.ge

სარჩევი

შესავალი	4
პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა	9
მდგომარეობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში	9
ჯანმრთელობის უფლების დაცვა პენიტენციურ სისტემაში	75
ბავშვთა სახლების მონიტორინგი	150
სახალხო დამცველი და კონსტიტუციური კონტროლი	227
სასამართლო ხელისუფლება და ადამიანის უფლებები	236
უფლება სამართლიან სასამართლოზე	236
სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება	254
სამართალდამცავი ორგანოები და ადამიანის უფლებები	260
სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებები	274
შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება	274
გამოხატვის თავისუფლება	292
ინფორმაციის თავისუფლება	304
რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტობა.....	308
ეროვნული უმცირესობების უფლებები	324

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები	346
საკუთრების უფლება	346
სათანადო საცხოვრისის უფლება.....	367
სოციალური უზრუნველყოფის უფლება	371
შრომის უფლება და საჯარო სამსახური.....	378
ჯანმრთელობის დაცვის უფლება.....	384
მომხმარებელთა უფლებები – სურსათის უვნებლობა	395
იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) უფლებები	402
ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა.....	431
კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა.....	447
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები – ეკომიგრანტები.....	452
ბავშვის უფლებები	462
ქალის უფლებები.....	483
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები	497
 სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა სახალხო დამცველთან, არსებული	
პრობლემები	516

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2010 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშს, რომელიც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

ანგარიში ეხება უფლებათა და თავისუფლებათა ფართო სპექტრს და მიმოიხილავს სამოქალაქო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვის მდგომარეობას. ანგარიში ასახავს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით სახელმწიფოში არსებულ ზოგად ტენდენციებსა და მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის კონკრეტულ ფაქტებს.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობისა და მასში ასახული ცვლილებების, ასევე ხელისუფლების ცალკეულ ორგანოთა პრაქტიკის ანალიზი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით, შეისწავლა უფლებადარღვევის არაერთი ფაქტი, რომლებზეც სახალხო დამცველის მხრიდან განხორციელდა სათანადო რეაგირება.

მოცემულ ანგარიშში მითითებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ის ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც არღვევდნენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არ ითვალისწინებდნენ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ამ უფლებათა აღდგენის ღონისძიებების შესახებ, დაბრკოლებებს უქმნიდნენ სახალხო დამცველს თავისი ფუნქციების ეფექტურ განხორციელებაში.

საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა რამდენიმე სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა, რომლებიც გაეგზავნა საქართველოს პარლამენტს და გახდა ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი. სპეციალური ანგარიშები ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა: იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, ჯანდაცვის უფლების რეალიზება პენიტენციურ სისტემაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და ჰაუპტვახტების მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დაქვემდებარებულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა

დაწესებულებებში. სპეციალურ ანგარიშებში დეტალურად არის მიმოხილული ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარება.

საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში, მონიტორინგი ჩაატარა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის და შეზღუდვის ადგილებში. ანგარიშში აღწერილია ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაწესებულებებში და ბავშვთა სახლებში. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში ერთ-ერთ პრობლემატურ სფეროდ კვლავ სასჯელაღსრულების სისტემა რჩება. ძირითად პრობლემებს შორის უნდა დავასახელოთ რამდენიმე სასჯელაღსრულების დაწესებულების გადატვირთულობა, რაც პატიმართა დიდი რაოდენობითა და ინფრასტრუქტურის გაუმართაობით არის გამოწვეული. ზოგიერთ დაწესებულებაში გადატვირთულობისა და მოშლილი ინფრასტრუქტურის გამო, გაუსაძლისი პირობებია და, რიგ შემთხვევებში, პატიმართა ამ დაწესებულებებში განთავსება შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა. გარდა ამისა, პატიმრებისთვის კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება შესაბამისი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. სასჯელაღსრულების სფეროში არსებული ჯანდაცვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს პატიმრების ადეკვატურ მკურნალობას, რაც დასტურდება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებით, გაანალიზებული და შესწავლილი დოკუმენტაციით და მონიტორინგის შედეგებით.

საქართველოს სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2010 წელს მომზადებულ სპეციალურ ანგარიშში „პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის უფლების რეალიზების“ შესახებ აღნიშნა, რომ „ტუბერკულოზის გავრცელებამ საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ბოლო პერიოდში კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. ტუბერკულოზი წარმოადგენს პატიმართა სიკვდილობის მთავარ მიზეზს. ზოგადად საქართველოში და პენიტენციურ სისტემაში ამ მიმართულებით განხორციელებული არაერთი ღონისძიების მიუხედავად, პრობლემა არათუ გვარდება, არამედ უფრო ღრმავდება“. მონიტორინგის შედეგად საანგარიშო წლის განმავლობაში გაანალიზდა სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა სიკვდილობის კონკრეტული მიზეზები. 2010 წლის განმავლობაში გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ ბევრად გადააჭარბა წინა წლებში სისტემაში გარდაცვლილთა რაოდენობის მაჩვენებელს.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა არაერთი ფაქტი შეისწავლა, რომლებიც დაწესებულებების ადმინისტრაციის მხრიდან

პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობას უკავშირდება. 2010 წელს ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური იყო სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულებაში. ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ზემოაღნიშნული ფაქტების არასათანადო გამოძიება.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის დროს გამოავლინა მოძველებულ ინფრასტრუქტურასა და თავისუფლების აღკვეთის არასათანადო პირობებთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა. მწვავე საკითხად რჩება დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირების ხანგრძლივი დროით მოთავსება.

ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ საერთო სასამართლოების საქმიანობაში გვხვდება კანონმდებლობის მოთხოვნების უგულებელყოფა, რაც არღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ანგარიშში ასახულ დარღვევათა უმრავლესობა ეხება ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიცაა ორჯერ მსჯავრდების აკრძალვა, კანონის რეტროაქტიულობის აკრძალვა, მოსამართლეთა უცვლელობის პრინციპი და სხვა. კვლავ პრობლემად რჩება სასამართლოს გადაწყვეტილებების (როგორც შუალედური, ისე საბოლოო) არასაკმარისად დასაბუთებულობა.

2010 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებისა და აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ კვლავ გვხვდება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ღირსების შემლახავი მოპყრობა და ძალის არაპროპორციული გამოყენება. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში ასევე გამოიკვეთა სხვა პრობლემებიც, რომლებიც იწვევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას. სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როცა პოლიციის თანამშრომლებმა პირის დაკავებისას გადამეტებული ძალა გამოიყენეს და მოქალაქეები, მათ შორის არასრულწლოვნები, თვითნებურად დააკავეს. 2009 წლის ანგარიშებში მივუთითებდით, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან მოქალაქეთა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები განსაკუთრებით ხშირი იყო დასავლეთ საქართველოში. აღნიშნული ტენდენცია კვლავაც შეინიშნებოდა 2010 წელს.

საანგარიშო პერიოდში ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი სისტემური და ინდივიდუალური

ხასიათის დარღვევები: საადმინისტრაციო დაწესებულებების პერსონალისგან აღსაზრდელთა მიმართ ძალადობის შემთხვევები, ბავშვის განვითარებისათვის შეუფერებელი და ჯანმრთელობისათვის საზიანო გარემო პირობები, ანტისანიტარია კვების ბლოკში, ბავშვთა შრომის გამოყენება, ბავშვთა დისკრიმინაცია, ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა არასაკმარისი კვება. მწვავე საკითხად რჩება ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ნაკლებობა. აღმოჩენილია სერიოზული ხარვეზები დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში.

იმულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ყოველთვის წარმოადგენდა და რჩება საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ პრიორიტეტად. ამ სფეროში საანგარიშო წელს გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ძირითადად თბილისის მასშტაბით დევნილთა გამოსახლების/განსახლების პროცესს უკავშირდება. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია პროცესის არასწორ დაგეგმვასა და განხორციელებაზე, განსაკუთრებით კი პროცედურულ დარღვევებზე, დევნილთა სხვადასხვა ობიექტიდან გამოსახლებისას. ანგარიში ასახავს მონიტორინგის შედეგებს, რომლებიც გამოსახლებული დევნილებისთვის შეთავაზებულ ალტერნატიულ საცხოვრებელ ადგილებში ჩატარდა, ასევე წარმოადგენილია კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების მდგომარეობის მცირემასშტაბიანი კვლევა.

კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოქალაქეთა უფლებების დაცვის მდგომარეობა 2010 წლის განმავლობაში არ გაუმჯობესებულა. კონფლიქტის რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული ზოგადი მდგომარეობა ძალიან მძიმეა. საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების არსებობა სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს აღნიშნულ ტერიტორიებზე სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფისათვის. შესაბამისად, აუცილებელია საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ კონფლიქტის ზონის მონიტორინგი აქტიურად განხორციელდეს. ეფექტური სადამკვირვებლო მისიების რეგიონში ყოფნა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის დაცვისა და უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ პრობლემად რჩება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის არსებული რედაქციის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის საკითხი. 2010 წელი შეკრება-მანიფესტაციების კუთხით აქტიურ პერიოდს არ წარმოადგენდა. თბილისში გაიმართა რამდენიმე აქცია, რომელთა მიმდინარეობის დროს სამართალდამცავი ორგანოები არღვევდნენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

ისევე, როგორც წინა წლებში, 2010 წელსაც ადგილი ჰქონდა ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ჩარევის, ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელის შეშლის, ხოლო რიგ შემთხვევებში, მათი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს.

საანგარიშო წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევაში მოხდა საკუთრების უფლების ხელყოფა. ანგარიშში ასევე ასახულია საკუთრების უფლების აღიარების კომისიების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხის განხილვისას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტები, რომლებმაც გამოიწვიეს მოქალაქეების კანონისმიერი უფლებების ხელყოფა.

ანგარიშში დეტალურად არის მიმოხილული რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ბავშვთა, ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა. ანგარიში ასევე მოიცავს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება შრომის უფლებას, მომხმარებელთა და გადასახადის გადამხდელთა უფლებებს, ინფორმაციის თავისუფლებას, უფლებას ჯანდაცვაზე, სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციას, სოციალურ შემწეობებთან დაკავშირებული პრობლემებს.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფო ქმედით ნაბიჯებს გადადგამს ანგარიშში ასახული სისტემური პრობლემების გადაჭრის, საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრისა და კონკრეტული დარღვეული უფლებების აღდგენის მიმართულებით, რაც აუცილებელი წინაპირობაა სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

მდგომარეობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში

წინამდებარე ანგარიში ასახავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სტატუსით სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2010 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს.

2010 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელდა 68 გეგმური და 440 არაგეგმური ვიზიტი, რომლის დროსაც ინდივიდუალურად მონახულებულია 1200-ზე მეტი პატიმარი.¹

მონიტორინგის ფარგლებში მონახულებულია ცხრამეტივე სასჯელაღსრულების დაწესებულება. მონიტორინგის ჯგუფის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ პატიმრებს, დაწესებულებების დირექტორებს, თანამშრომლებს, სამედიცინო პერსონალს.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელდა 104 გეგმური და 47 არაგეგმური ვიზიტი. მონიტორინგის დროს დათვალიერდა დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურა, შემოწმდა დმი-ში მოთავსებულ პირთა აღრიცხვის წიგნები, სამედიცინო ჩანაწერები, იზოლატორში შეყვანისას დაკავებულების სხეულის გარეგნული დათვალიერების ოქმები. ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ დმი-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, დაკავებულებსა და ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირებს.

მონიტორინგის მიმდინარეობა

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს არცერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და დროებითი მოთავსების იზოლატორში არ შეჰქმნია პრობლემა კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას. ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად შედიოდნენ დაწესებულებებში და შესაძლებლობა ჰქონდათ კონფიდენციალურად გასაუბრებოდნენ

¹ აღნიშნული სტატისტიკა მოიცავს როგორც სპეციალური პრევენციული ჯგუფის, ასევე სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენლების ვიზიტებს.

დაკავებულებს/პატიმრებს. ყველა დაწესებულების ადმინისტრაცია სრულად თანამშრომლობდა მონიტორინგის ჯგუფთან და შეძლებისდაგვარად აწვდიდა მას მოთხოვნილ ინფორმაციას ან დოკუმენტაციას, ასევე, აძლევდა ზეპირ ახსნა-განმარტებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

2010 წლის მანძილზე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის არაერთი შემთხვევა გამოვლინდა. რაც შეეხება დროებითი მოთავსების იზოლატორებს, უკანასკნელი წლების მანძილზე არასათანადო მოპყრობის ფაქტები არ გამოვლენილა. სამაგიეროდ, პრობლემას წარმოადგენს დაკავებისას პოლიციის მიერ ძალის გადამეტება – აღნიშნული დასტურდება როგორც დაკავებულთა მიერ, ასევე პირის დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეყვანისას მათი გარეგნული დათვალიერების შესახებ გაკეთებული ჩანაწერებითაც.

კვლავ არაჯეროვნად მიმდინარეობს არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება – საგამოძიებო მოქმედებები უმეტეს შემთხვევებში ტარდება ფორმალურად, ხშირად არ ინიშნება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ან ინიშნება და ტარდება დაგვიანებით, როდესაც დაზარალებულს უკვე აღარ ემჩნევა დაზიანებები.

არასათანადო მოპყრობა

წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აღმოფხვრის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმი წარმოადგენს, რომელმაც პირველად მოახდინა საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმების სინქრონიზაცია.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში 2009 წლის 16 ივლისს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საქართველოში პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციები სახალხო დამცველს დაეკისრა. აღნიშნული მექანიზმი ერთ-ერთი ყველაზე ქმედუნარიანი და ეფექტური სისტემაა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციისა და აღმოფხვრის თვალსაზრისით.

სახალხო დამცველის ხელთ არსებული წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული ინსტიტუციების ინტენსიური მონიტორინგია. აღნიშნული, პირველ რიგში, მიზნად ისახავს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციას და არა უკვე მომხდარ ფაქტებზე რეაგირებას. თუმცა, ხშირია შემთხვევებიც, როდესაც სახალხო დამცველსა და სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს უკვე მომხდარზე უწევს რეაგირება და სამართალდამცავი ორგანოებისთვის წამების ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე ინფორმაციის მიწოდება.

გამოძიება, მათ შორის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება, პროკურატურის პრეროგატივას წარმოადგენს. სახალხო დამცველის ფუნქცია ამ თვალსაზრისით ინფორმაციის მოპოვებითა და მიწოდებით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროცესუალური ხასიათის რეკომენდაციების მიცემით შემოიფარგლება. სახალხო დამცველი მოკლებულია საშუალებას, გავლენა მოახდინოს ფაქტების კვალიფიცირებაზე და საქმის გამოძიების არსებით ასპექტებზე.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ერთ–ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებასთან, სწორედ მათი არასწორი კვალიფიკაციაა – ხშირად გამოძიება იწყება არა წამების ან დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მუხლით, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით, რაც სამოხელეო დანაშაულს წარმოადგენს და გაცილებით უფრო მსუბუქ სანქციას ითვალისწინებს.

ევროსასამართლომ საქმეში „რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ“² აღნიშნა, რომ თავისუფლებაზეზღუდული პირის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც არ იყო აუცილებელი ამ პირის ქმედების გამო, ლახავს მის ადამიანურ ღირსებას და პრინციპში კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. სასამართლო ასევე აცხადებს, რომ გამოძიების ჩატარების სიმძიმე და დამნაშავეობასთან ბრძოლის უდავო სირთულე არ უნდა გახდეს პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობის შეზღუდვის საფუძველი.

პრობლემად რჩება არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტური გამოძიებაც, რაც ყველაზე მეტად უშლის ხელს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აღმოფხვრას, რადგან ქმნის დაუსჯელობის სინდრომს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებში და წარმოქმნის რისკს, რომ მსგავსი ქმედებები კიდევ განმეორდება. სწორედ ამის გამო ევროსასამართლომ არაერთხელ განმარტა, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში, რომ წამების არაეფექტური, გაჭიანურებული და არაადეკვატური გამოძიება უკვე თავისთავად წარმოადგენს ევროკონვენციის მე-3 მუხლის პროცესუალური მოთხოვნების დარღვევას, იმის მიუხედავად, წარმოადგინა თუ არა მოსარჩელემ საკმარისი არგუმენტები და მტკიცებულებები თავად წამების ფაქტის დასადასტურებლად.³

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სხვადასხვა მასალისა და ცალკეული ფაქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ პროკურატურა, ხშირ შემთხვევებში, ზერელედ ეკიდება დაკავებული პირების წამებისა თუ არასათანადო მოპყრობის შემცველი ქმედებების გამოძიების საკითხს და ამგვარი ქმედებების შემცველ სისხლის სამართლის საქმეებს. როგორც უკვე აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში, ამგვარ ფაქტებს აკვალიფიცირებს არა როგორც წამებისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის დანაშაულებრივ ქმედებად, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად ან ცემად.

² 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება

³ „დანელია საქართველოს წინააღმდეგ“ 2006 წლის 17 ოქტომბერი; „დავითიანი საქართველოს წინააღმდეგ“ 2006 წლის 27 ივლისი; „ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ 2008 წლის 29 ივლისი

ამგვარი საქმეების გამოძიება თითქმის ყოველთვის ფორმალური ხასიათისაა და ხშირ შემთხვევაში მთავრდება საქმის შეწყვეტით ან წლების განმავლობაში გამოძიების გაჭიანურებით. ამგვარ საქმეებზე, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, გამოძიება წყდება თავად სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ჩვენებებზე დაყრდნობით, ზოგიერთ შემთხვევაში კი, დაზარალებული უარყოფს სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებას და ჩვენებას იძლევა სამართალდამცავთა სასარგებლოდ. ზოგ შემთხვევაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ინიშნება ისეთ დროს, როცა დაზარალებულს აღარ აღენიშნება დაზიანებები – მომხდარიდან რამდენიმე კვირის შემდეგ.

ევროსასამართლოს პრეცედენტების თანახმად, თუ პირი დაზიანდა პატიმრობის ან პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის დროს, ნებისმიერი დაზიანება წარმოშობს მტკიცე პრეზუმფციას, რომ პირი სასტიკი მოპყრობის ქვეში იმყოფებოდა⁴. სახელმწიფოს ვალდებულება ეკისრება, წარმოადგინოს დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, რამ გამოიწვია დაზიანებები. თუ სახელმწიფო ამის ახსნას ვერ წარმოადგენს, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი აშკარად დადგება.⁵

2010 წლის 21 სექტემბერს გამოქვეყნდა ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT-ის) ანგარიში, რომელიც ასახავს კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შედეგებს 2010 წლის 5-იდან 15 თებერვლამდე

CPT-ის ბოლო ანგარიშში პოზიტიურად არის შეფასებული საქართველოს ხელისუფლების მიერ პოლიციაში არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის მიზნით ბოლო პერიოდში გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები. ასევე აღნიშნულია, რომ მკვეთრად არის შემცირებული პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის რისკი, თუმცა ასევე ხაზგასმულია, რომ ცალკეული განცხადებებისა და საჩივრების არსებობა ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლებამ არ უნდა მოადუნოს ყურადღება.⁶

CPT-ის ანგარიშში საკმაოდ ვრცელააა განხილული 2009 წლის სექტემბერში გარდაცვლილი პატიმრის, უშანგი გ.-ს, საქმე, რაც მის მიმართ კომიტეტის განსაკუთრებულ ყურადღებაზე მეტყველებს. უ.გ. N7 საპყრობილეში განთავსების დღესვე, 19 სექტემბერს, უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს ჯერ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო შემდგომ ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, სადაც იგი გარდაიცვალა 21 სექტემბერს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, უ.გ.-ს სიკვდილის მიზეზი გახდა „სხეულის ბლავგი ტრავმის შედეგად განვითარებული მასიური სისხლჩაქცევა თავის ტვინში. უ. გ.-ს გვამს აღენიშნება სიცოცხლისდროინდელი შემდეგი სახის დაზიანებები: მასიური სისხლჩაქცევა სუბდურულად, სუბარაქნოიდალურად და ინტრავენტრიკულურად. ნაჭდევეები: მარჯვენა წინამხრის, მარჯვენა სხივ-მაჯის სახსრის, ორივე მუხლის სახსრის, მარცხენა წვივისა და ორივე კოჭ-წვივის სახსრის

⁴ „ბურსუკი რუმინეთის წინააღმდეგ“ 2004 წლის 12 ოქტომბერი

⁵ „სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ 1999 წლის 28 ივნისი

⁶ პარ.16

არეში; სისხლნაჟღერებები: მარჯვენა სხივ-მაჯის სახსრის, მარჯვენა მხრის, მუცლის წინა და გვერდითი კედლის, მარცხენა თეძოს ფრთის, მარცხენა წინამხრის, მარცხენა წვივისა და მარჯვენა მტევნის მე-4 თითის ძირითადი ფალანგის არეში. აღნიშნული დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლავვი საგნის მოქმედებით, მიეკუთვნება დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის საშიფათო. ხანდაზმულობით 3-4 დღისაა“.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2009 წლის 21 სექტემბერს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლით, რაც აშკარად ეწინააღმდეგება გვამზე აღმოჩენილი დაზიანებების ხასიათსა და სიმძიმეს, რომლებიც გაუფრთხილებლობაზე უფრო მეტად მის მიმართ განხორციელებული ქმედებების გამიზნულ ხასიათზე მიუთითებს. დაზიანებები მიყენებული იყო სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ანუ დაკავების შემდეგ, რომელიც 15 სექტემბერს მოხდა. CPT-მ თავის ანგარიშში ხაზი გაუსვა გამოძიების არაეფექტურობას. 2010 წლის თებერვალში, გამოძიების დაწყებიდან 5 თვის შემდეგ, არ იყვნენ დაკითხული: ის პოლიციელები, რომლებმაც უ.გ. დააკავეს; პიროვნება, რომელიც ამ უკანასკნელთან ერთად დააკავეს; აჭარის რეგიონული დმი-ს თანამშრომლები, სადაც იგი მოათავსეს დაკავების შემდეგ და ბადრაგი, რომელმაც უ.გ. გადმოიყვანა ბათუმიდან თბილისის N7 საპყრობილეში.⁷

კომიტეტის ანგარიშში არაა აღნიშნული, თუმცა სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურატურიდან 2010 წლის 23 ივნისს მიღებული ინფორმაციის მიხედვით, უ.გ.-ს საქმეზე გამოძიება დაიწყო ლუდუშაურის კლინიკის შეტყობინების საფუძველზე, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს არასათანადო მოპყრობის ფაქტების მიმართ არაჯეროვან დამოკიდებულებას – მიუხედავად იმისა, რომ N7 საპყრობილეში და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში შესვლისას დაფიქსირდა უ.გ.-ს სხეულზე არსებული დაზიანებები, არცერთმა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ არ მიიჩნია საჭიროდ ამ ფაქტის საგამოძიებო ორგანოებისათვის შეტყობინება.

უ.გ.-ს საქმის გამოძიება დღემდე არ დასრულებულა და არავის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დამდგარა.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-14 ზოგად ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამოძიება უნდა იყოს ძალზე დეტალური და ვრცელი, უნდა ჩატარდეს სწრაფად და მის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები არ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი აღნიშნულ მოვლენებში ჩართულ პირებთან, თუმცა ხშირ შემთხვევაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებას საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს, რაც ექვექვემ აყენებს გამოძიების ეფექტურობას. ამის გარდა, აღნიშნულზე მიუთითებს სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციები სისხლის სამართლის საქმეებზე მიმდინარე

⁷ პარ. 21

გამოძიების თაობაზე, რომელთა მიხედვით არცერთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულია.

ზემოაღნიშნული მიდგომა ქმნის დაუსჯელობის სინდრომს და ეჭვქვეშ აყენებს სახელმწიფოს მიერ წამებისა და არაადამიანური ან ღირსებისშემლახავი მოპყრობის აღმოსაფხვრელად გადადგმულ არაერთ ნაბიჯს.

საანგარიშო პერიოდში, ინტენსიური მონიტორინგის შედეგად, სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტმა, რომელიც ახორციელებს დახურული დაწესებულებების მონიტორინგს, აღმოაჩინა არაადამიანური მოპყრობის არაერთი ფაქტი, რომელთა თაობაზეც სახალხო დამცველმა მყისიერად მიმართა საქართველოს პროკურატურას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ მსჯავრდებულთა უმრავლესობა, რომლებიც სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს მოუთხოვრებენ მათდამი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, ამჯობინებს მათი მონათხრობის კონფიდენციალურად შენახვას, რის გამოც წინამდებარე ანგარიშში მხოლოდ ის საქმეებია ასახული, რომლებიც დაზარალებულთა თანხმობით გადაეცა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

დაკავების დროს ძალის გადამეტება

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისგან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპყრობილებებში სხეულის სხვადასხვა დაზიანებით შეყვანილი იქნა 856 პატიმარი, მათგან 85 პატიმარმა განმარტა, რომ დაზიანება მიიღო დაკავებისას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2010 წლის მანძილზე შესული პირებიდან დაზიანება აღენიშნებოდა 466-ს; აქედან 71-ს ჰქონდა პრეტენზია სამართალდამცავი ორგანოების მიმართ.

საანგარიშო პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის დროს აღმოჩენილი იქნა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დაკავებულები მიუთითებდნენ პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ.

არასრულწლოვანი მ.მ.-ს საქმე

2010 წლის 16 აპრილს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში

განთავსებულ არასრულწლოვან პატიმარს მ.მ.-ს, რომელსაც სხეულზე აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანება. არასრულწლოვნის განმარტებით, იგი 2010 წლის 6 აპრილს ქ.თელავში დააკავა პოლიციამ მაღაზიის გაქურდვის გამო. იგი აღნიშნავდა, რომ პოლიციის განყოფილებაში მისვლის შემდეგ სცემეს პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებიც ასევე სთხოვდნენ ველოსიპედის ქურდობის აღიარებას.

მ. მ.-ს თქმით, პოლიციის უფროსი მას დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, თუკი იგი აღნიშნულ ფაქტს გაახმაურებდა.

2010 წლის 16 აპრილს არასრულწლოვანს აღენიშნებოდა სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორიაციები და სისხლნაჟღერებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წლის 19 აპრილს სახალხო დამცველმა საქმე რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურორს. მიღებული პასუხის თანახმად, 2010 წლის 16 აპრილს კახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2010 წლის 06 ივლისს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან კვლავ გამოვითხოვეთ ინფორმაცია აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების თაობაზე. მიღებული Nგ27-07-2010/17 პასუხის თანახმად დაიკითხნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თელავის რაიონული სამმართველოს, კახეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორისა და ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის თანამშრომლები, ასევე, მ.მ.-სთან ერთად დაკავებული პირები და მათი მშობლები. ამავე პასუხის თანახმად 2010 წლის 09 აპრილს N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებიდან გაცემული მ.მ.-ს ჯანმრთელობის ცნობის საფუძველზე დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

კ.კ.-ს საქმე

2010 წლის 22 თებერვალს სპეციალური პრევენციული ჯგუფი მონიტორინგის ჩატარების მიზნით იმყოფებოდა ქ.ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორში. ჯგუფის წევრები შეხვდნენ და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს დაკავებულ კ.კ.-ს. ამ უკანასკნელის განმარტებით, 2010 წლის 21 თებერვალს, 22⁰⁰-23⁰⁰ საათისთვის, ის იმყოფებოდა სახლში ინვალიდ დედასთან ერთად, როდესაც მის საძინებელ ოთახში შევარდა პოლიციის ფორმაში ჩაცმული ათამდე პირი, რომლებმაც ჩამოაგდეს ლოგინიდან და მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. კ.კ.-ს თქმით, მას ურტყამდნენ ხელებსა და ფეხებში. შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს დედამისს. შემდგომ კ.კ. გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც კვლავ გაგრძელდა მისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. მოგვიანებით მას უთხრეს, რომ ბრალი ედებოდა ავტომობილის აკუმულატორის ქურდობაში.

დაკავებული განმარტავდა, რომ მისთვის უცნობი იყო აღნიშნული პოლიციელების ვინაობა, თუმცა შეეძლო მათი ამოცნობა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის სამედიცინო ექსპერტმა გარეგნულად დაათვალიერა დაკავებული, რომელსაც აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები. DS: სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, სხვადასხვა მიდამოს ექსკორაციები და სისხლნაჟღენტები.

დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმში მითითებული იყო, რომ დაკავებულს აღენიშნებოდა მარჯვენა თვალებულის ჩალურჯება.

აღნიშნულ ფაქტზე პრევენციული ჯგუფის მიერ მოპოვებული მასალები 2010 წლის 4 მარტს რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურორს. პროკურატურიდან მიღებული № 15.03.2010/86 პასუხის მიხედვით 2010 წლის 04 მარტს ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ-ის 144¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2010 წლის 31 მარტს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ და გაესაუბრნენ ზუგდიდის N4 საპყრობილეში განთავსებულ პატიმარ კ.კ.-ს. მისი განმარტებით, მასთან იყო გამომძიებელი, რომელიც, როგორც პატიმარი აღნიშნავდა, ზოგადად ესაუბრა. პატიმრის თქმით, მას არ ჩაუტარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად საქართველოს მთავარი პროკურატურიდან კვლავ გამოითხოვეს ინფორმაცია ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების თაობაზე. 2010 წლის 23 ივლისს მიღებული № 20.07.2010/66 პასუხის თანახმად 2010 წლის 16 მარტს დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. დაიკითხნენ ზუგდიდის რაიონული სამმართველოს, ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორისა და N4 საპყრობილის თანამშრომლები. უკანასკნელი მონაცემებით, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

ლ.თ.-ს საქმე

ზუგდიდის N4 საპყრობილეში მონიტორინგის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ პატიმარ ლ.თ.-ს. მისი განმარტებით, 2010 წლის 5 მარტს მასთან სახლში შევიდა პოლიციის 6-7 თანამშრომელი, რომელთაც განუმარტეს, რომ სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე აპირებდნენ მის სახლში ჩხრეკის ჩატარებას.

ჩხრეკის შედეგად პატიმრის ბოსელში აღმოაჩინეს მოპარული ძროხა. პატიმრის თქმით, აღნიშნულის შემდეგ მას პოლიციის თანამშრომლებმა დაუწყეს სახეში ცემა, შემდეგ ჩასვეს ა/მანქანაში და მიიყვანეს ზედა ეწერის პოლიციის განყოფილებაში. პატიმარი აღნიშნავდა, რომ პოლიციის თანამშრომლები მისგან ძროხის ქურდობის აღიარებას

მოითხოვდნენ, ურტყამდნენ პანდურებს, შემდეგ ძირს დააგდეს და 4-5 პოლიციელი სცემდა. მისი განმარტებით, ცემის შედეგად მან გონება დაკარგა.

პატიმრის თქმით, ცემის შედეგად ჰქონდა თავის ტკივილები და დააკლდა სმენა. იგი განმარტავდა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში და ზუგდიდის N4 საპრობილეში შეყვანისას მან განაცხადა, რომ იგი სცემეს პოლიციის თანამშრომლებმა, თუმცა აღნიშნულ განცხადებას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

2010 წლის 07 აპრილს სახალხო დამცველის რწმუნებული იმყოფებოდა ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც შეამოწმა დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალი. ჩანაწერის თანახმად, ლ. თ.-ს აღნიშნებოდა თავის არეში ნაკაწრი, მარჯვენა თვალზე სისხლნაჟღენთი და მარჯვენა ხელის თითზე ნაკაწრი. წიგნში ასევე აღნიშნული იყო, რომ მას პრეტენზია არ ჰქონდა, მაგრამ არ არსებობდა ჩანაწერი, სად მიიღო დაკავებულმა აღნიშნული დაზიანებები.

ზუგდიდის N4 საპრობილეში პატიმრის შეყვანისას 2010 წლის 8 მარტს გაკეთებული ექიმის ჩანაწერის მიხედვით, პატიმარს აღნიშნებოდა დაჟეჟილობა ორივე თვალბუდის არეში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წლის 08 აპრილს სახალხო დამცველმა საქმის მასალები საქართველოს მთავარ პროკურორს გადაუგზავნა. მიღებული პასუხის თანახმად, 2010 წლის 07 მაისს ზუგდიდის ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ლ.თ.-ს წამების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს პროკურატურიდან 2010 წლის 06 ივლისს გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად გვეცნობა, რომ დაიკითხა ლ.თ., მოწმეები, ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად, პატიმარს სხეულზე ფიზიკური დაზიანებები არ აღნიშნებოდა.

ამ შემთხვევაშიც საეჭვოა ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილი და ეფექტური გამოძიების ჩატარება, რადგან ეროვნულმა პრევენციულმა ჯგუფმა პატიმარი ლ.თ. მოინახულა მომხდარი ფაქტიდან 3 კვირის შემდგომ, ხოლო წინასწარი გამოძიება დაიწყო სახალხო დამცველის მიმართვიდან ერთ თვეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ.

პროკურატურიდან მიღებული პასუხის მიხედვით ზუსტად არ ჩანს ექსპერტიზის ჩატარების თარიღი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიება დაიწყო 2010 წლის 7 მაისს, სავსებით დასაშვებია, რომ 7 მაისამდე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებულა, ანუ დაზიანების მიღებიდან ექსპერტის მიერ გამოსაკვლევი პირის შემოწმებამდე გასულია მინიმუმ 2 თვე. როგორც უკვე აღინიშნა, გამოსაკვლევ პირს აღნიშნებოდა ნაჭდევები, რომლებიც წარმოადგენს კანის ზერელე შრის ეპიდერმისის

დაზიანებას; ნაჭდევის ალაგება დამოკიდებულია სქესზე, ასაკზე, მის ლოკალიზაციასა და სხვა ფაქტორზე. თავისა და კისრის მიდამოში არსებული ნაჭდევის შეხორცებას სჭირდება დაახლოებით 12, სხეულის წინა ზედაპირისა და კიდურებზე - 14-15, ქვედა კიდურებზე - 17 და ზურგზე - 18-20 დღე. ნაჭდევის ხასიათისა და მისი ფორმის მიხედვით ექსპერტმა შეიძლება იმსჯელოს ნაჭდევის ხანდაზმულობაზე, დამზიანებელი საგნის თავისებურებებსა და სხვაზე. იმის გათვალისწინებით, რომ დაზიანების მიღებიდან ექსპერტიზამდე საკმაოდ ხანგრძლივი დროა გასული, ნაჭდევის მაკრომორფოლოგიური ნიშნები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს, სავარაუდოდ, არ დახვდებოდა.

გამოსაკვლევ პირს ასევე აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთი, რომელიც ვითარდება სხეულზე რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებისას კანსა და მის ქვეშ მდებარე რბილ ქსოვილებში სისხლძარღვების გახეთქისა და ქსოვილების სისხლით გაჟღენთის შედეგად. მცირე ზომის სისხლნაჟღენთი 2 კვირაში მთლიანად ქრება. სისხლნაჟღენთის ფერის ინტენსივობა დამოკიდებულია მის ზომაზე, ლოკალიზაციაზე, დაზარალებულის ასაკსა და ა.შ. ღრმად მდებარე სისხლნაჟღენთები შედარებით უფრო გვიან გამოვლინდება. სისხლნაჟღენთის ფორმა ხშირად დაზიანებული საგნის ნეგატიური გამოსახულებაა. დაზიანების ხასიათის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაშიც, 2 თვის შემდეგ გამოსაკვლევ პირს დაზიანების ნიშნები შესაძლოა, აღარ ჰქონოდა.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტიზა არ უნდა დაჰყრდნობოდა მხოლოდ გამოკვლევის მომენტში არსებულ მდგომარეობას. სავარაუდოდ, საქმის მასალებში არსებული ჩანაწერები ექსპერტიზას არ გამოუყენებია, რის გამოც რეალური სიტუაცია ექსპერტიზის დასკვნაში, სავარაუდოდ, არ ასახულა.

კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება ორი სახის დარღვევას: უპირველეს ყოვლისა, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არ დაინიშნა დროულად და საფიქრებელია, რომ მისი ჩატარება განზრახ გაჭიანურდა; გარდა ამისა, იმის გამო, რომ ექსპერტს არ აქვს გამოყენებული საქმის მასალები, მის მიერ ჩატარებული ექსპერტიზა არასრულყოფილია და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. გარდა ამისა, წამების სავარაუდო ფაქტების გამოძიებისას აუცილებლობას წარმოადგენდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნაც, ვინაიდან წამების ფსიქოლოგიური შედეგები გაცილებით უფრო ხანდაზმით აისახება მსხვერპლზე. აღნიშნული მომენტი გამოძიების მიერ სრულად იქნა იგნორირებული.

ს. რ.-ს საქმე

2010 წლის 25 თებერვალს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და ახსნა-განმარტება ჩამოართვა ზუგდიდის №4 საპყრობილეში განთავსებულ პატიმარს ს.რ.-ს. მისი განმარტებით, 2010 წლის 16 თებერვალს საცხოვრებელ სახლთან იგი დააკავეს სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, რომლებმაც სცემეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. პატიმრის განმარტებით, მას თავში ურტყეს „ნაბელავის“

წყლით სავსე ბოთლი და მისგან მოითხოვდნენ მობილური ტელეფონების ქურდობის ფაქტის აღიარებას.

ს.რ.-ს განმარტებით, აღნიშნული ქმედებები განხორციელდა როგორც დაკავების დროს, ისე პოლიციის შენობამდე გადაყვანისას და შემდგომ – სამმართველოს შენობაში.

პატიმარი განმარტავდა, რომ სენაკის პოლიციის შენობაში მას სცემდა დაახლოებით 5 პოლიციელი, ისინი აგინებდნენ და თითოეული მათგანი სათითაოდ ურტყამდა სახეში, თავსა და ტანზე. ცემის შედეგად პატიმარმა მიიღო დაზიანებები და პერიოდულად აწუხებდა თავის ტკივილი. სენაკის პოლიციის დაკავებულთა აღრიცხვის წიგნის და სენაკის დროებითი მოთავსების იზოლატორის სარეგისტრაციო წიგნისა მონაცემებით, პატიმრის სახესა და სხეულზე არსებული დაზიანებები მან მიიღო დაკავებამდე. პატიმარი აღნიშნავდა, რომ იგი იყო შეშინებული და სწორედ ამიტომ ვერ გააპროტესტა მის მიმართ განხორციელებული ძალადობა. მისი განმარტებით, სენაკის დროებითი მოთავსების იზოლატორში იგი მოინახულა მისი ინტერესების დამცველმა, რომელმაც დააყენა შუამდგომლობა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნაზე, რაც, პატიმრის გადმოცემით, არ დააკმაყოფილეს.

პატიმრის განმარტებით, სენაკის რაიონულ სამმართველოში ყოფნისას მას პოლიციელები ემუქრებოდნენ, რომ დაიჭერდნენ მის დედასა და ცოლს, ხოლო ბავშვს ბავშვთა სახლში ჩააბარებდნენ და მას წამალს ჩაუდებდნენ.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს ს.რ. პროტესტის ნიშნად შიმშილობდა და ითხოვდა საქმის სამართლიან გამოძიებასა და პოლიციელების დასჯას.

2010 წლის 11 მარტს სახალხო დამცველმა რეაგირებისთვის მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. 2010 წლის 06 ივლისს გამოვითხოვეთ ინფორმაცია, დაიწყო თუ არა გამოძიება აღნიშნულ საქმეზე, თუმცა არცერთ წერილზე პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

არასათანადო მოპყრობის ფაქტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

პატიმრების საჩივრები, როგორც წესი, შეეხება ფიზიკურ ანგარიშსწორებას, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი ჩივიან სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლების მხრიდან დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ მოპყრობაზე. ორივე შემთხვევაში სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამის ორგანოებს რეაგირებისთვის, თუმცა ხშირ შემთხვევაში გამოძიება მხოლოდ ფორმალურად წარმოებს ან წყდება თავად თანამშრომლების ჩვენებებზე დაყრდნობით. ხშირია შემთხვევები, როდესაც თავად დაზარალებული უარყოფს თავის განაცხადს და ამბობს, რომ დაზიანებები თავად მიიყენა ან მიიღო უბედური შემთხვევის, მაგალითად, ლოგინიდან გადმოვარდნის შედეგად. შიშის ფაქტორს წარმოშობს, პირველ რიგში, ის გარემოება, რომ დაზარალებული ჩივილის შემდეგაც რჩება იმავე დაწესებულებაში და იმავე თანამშრომლების მეთვალყურეობის ქვეშ. ხშირად ჩივილის შემთხვევაში თავად

პატიმრის წინააღმდეგ იწყება გამოძიება წინააღმდეგობის გაწევის კვალიფიკაციით და „დგინდება“, რომ მის მიერ მიღებული დაზიანებები მის მიერვე გაწეული წინააღმდეგობის შედეგია. ამგვარად, იმის გამო, რომ ხშირად გამოძიება ეყრდნობა არა ფაქტებს, არამედ მხოლოდ იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ, პატიმრებში ჩნდება შიშის სინდრომი, რაც, რა თქმა უნდა, საგრძნობლად უშლის ხელს არასათანადო მოპყრობის ფაქტების აღმოჩენასა და დამნაშავეთა დასჯას.

რუსთავის N16 დაწესებულება

2010 წლის 1 ივნისს რუსთავის N16 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაიხსნა ახალი კორპუსი. მსჯავრდებულთა გადმოცემით, მათი გადაყვანა და განთავსება აღნიშნულ დაწესებულებაში მოხდა ფიზიკური ძალის გამოყენებით, თუმცა ამ ფაქტის გასაჯაროებისგან თავი შეიკავეს და კონფიდენციალურობის დაცვა ითხოვეს. ის მსჯავრდებულები კი, რომლებსაც დაზიანებები ეტყობოდათ, დაზიანების მიზეზად სხვადასხვა შემთხვევას ასახელებდნენ, მაგალითად, ლოგინიდან გადმოვარდნას, ფეხბურთის თამაშს და ა.შ..

გლდანის N8 დაწესებულება

CPT-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გლდანის N8 დაწესებულებაში და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებული პატიმრები არ ადასტურებენ არასათანადო მოპყრობას, სხვა დაწესებულებებში განთავსებული პატიმრებისაგან განსხვავებით, რომლებიც განაცხადებენ მათ მიმართ არასათანადო მოპყრობას. გლდანის საპყრობილეში პატიმრებს ცემენ კარცერებსა და საშხაპეებში საკნის კარზე დაკაკუნებისთვის, ხმამაღლა ლაპარაკისთვის, სხვა საკანში განთავსებულ პატიმართან კონტაქტის დამყარებისთვის. კომიტეტს მხედველობიდან არ გამორჩენია არაბუნებრივი სიჩუმე გლდანის საპყრობილის საცხოვრებელ ნაწილში,⁸ რაც გარდა იმისა, რომ ბადებს საფუძვლიან ეჭვებს, ასევე, ერთგვარად ადასტურებს პატიმრების ნათქვამს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მონიტორინგის დროს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს სხვადასხვა დაწესებულებაში განთავსებული პატიმრები ესაუბრებიან გლდანის N8 საპყრობილეში პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც ისინი ფაქტების გასაჯაროებისგან თავს იკავებენ.

მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ზეპირად ხშირად საუბრობენ მსჯავრდებულები, რომლებიც ბრალდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში იყვნენ გადაყვანილი, თუმცა ხშირ შემთხვევაში ერიდებიან წერილობით დადასტურებას და ფაქტების გასაჯაროებას. ბევრი მათგანი აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაშიც კი აღარ სურს სამკურნალო დაწესებულებაში დაბრუნება იქ არსებული მდგომარეობის გამო. პატიმართა გადმოცემით, დაწესებულების ტერიტორიაზე ნებისმიერი

⁸ პარ. 49, 51

გადაადგილებისას ადმინისტრაცია პატიმრებს აიძულებს, ზურგზე დაიწყო ხელები, მაშინაც კი, როდესაც პატიმრის ფიზიკური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში პატიმარს ეკრძალება სასაქონლო გასვლა და ეზღუდება ზოგიერთი სხვა უფლება, მაგალითად, ტელეფონით სარგებლობა. ხშირად პატიმრები თავადაც ერიდებიან სასაქონლო გასვლას, რადგან ყოველი გადაადგილება თანამშრომლებთან კონფლიქტის წარმოშობის წყარო შეიძლება გახდეს. აღნიშნულის თაობაზე განმარტებისთვის მივმართეთ დაწესებულების ადმინისტრაციას, რომელმაც უარყო ამ პრაქტიკის არსებობა, თუმცა პატიმრები ერთხმად ადასტურებენ ამგვარ პრაქტიკას. გაურკვეველი აკრძალვებია დაწესებული მაღალით სარგებლობის დროს, მაგალითად, პატიმრებს უფლება არ აქვთ, შეიძინონ ყავა, ჩაი და მადუღარა. აღნიშნული ნივთების შეძენას დაწესებულების ადმინისტრაცია დარღვევად მიიჩნევს. მიგვაჩნია, რომ პატიმრებისთვის ამგვარი შეზღუდვების არსებობა დაუშვებელია.

მ. წ.-ს საქმე

2010 წლის 23 ივნისს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს მ.წ.-ს. მისი განცხადებით, 2010 წლის 20 ივნისს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები მას ფიზიკურად გაუსწორდნენ.

მსჯავრდებული აცხადებდა, რომ 2010 წლის 20 ივნისს, დაახლოებით 10:30 სთ-ზე, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ქირურგიული განყოფილების მეორე პალატაში შევიდნენ ამავე დაწესებულების თანამშრომლები (დაახლოებით 4-5 ადამიანი), რომლებმაც განაცხადეს, რომ ტარდებოდა აღნიშნული პალატის ჩხრეკა. ქირურგიული განყოფილების მეორე პალატაში ამ დროს იმყოფებოდნენ პაციენტები მ.წ. და ა.ნ.. ეს უკანასკნელი გავიდა ოთახიდან, ხოლო მ.წ. ადგილზე დატოვეს. მისი განმარტებით, ზემოაღნიშნული პირების შემოსვლის შემდეგ, რამდენიმე წუთში, აღნიშნულ პალატაში ასევე შევიდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილე, რომელიც მას გამომწვევად ელაპარაკებოდა. დირექტორის მოადგილემ ინვალიდის ეტლს, რომელშიც მ.წ. იჯდა, ფეხი ჩაართვა, შემდეგ კი ამ უკანასკნელს ყელში ხელები წაუჭირა. მ.წ.-ს განცხადებით, მას ფიზიკურად გაუსწორდნენ ამავე დაწესებულების თანამშრომლები ავთო პოპიაშვილი და გიორგი ბიწაძე. ცემის დროს ინვალიდის ეტლი გადაყირავდა, მსჯავრდებულმა დაკარგა გონება. მისი განცხადებით, როცა იგი გონზე მოვიდა, ავთო პოპიაშვილმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მსჯავრდებულის განცხადებით, ამის შემდეგ ავთო პოპიაშვილი და გიორგი ბიწაძე მას კვლავ ფიზიკურად გაუსწორდნენ.

2010 წლის 23 ივნისს მსჯავრდებულს სხეულზე აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: შუბლის ზედა მარცხენა მხარეს ნაჭდები, მარჯვენა წარბის ზემოთ, ზოლების სახით, სამი ნაჭდები, მარჯვენა და მარცხენა თვალებუდის არეში ჰემატომები, მარჯვენა და მარცხენა თვალებუდის ქვემოთ ნახეთქი ჭრილობა, ცხვირზე ნაჭდევები და შესიება,

ყელის ორივე მხარეს ჰემატომები, მარჯვენა და მარცხენა მკლავის ზედა ადგილებში გვერდიდან და უკანა მხრიდან ჰემატომები.

2010 წლის 24 ივნისს მსჯავრდებულის ახსნა-განმარტება რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

2010 წლის 26 ივლისს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ პასუხში მითითებულია, რომ 2010 წლის 14 ივლისს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N073100343 საქმეზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2010 წლის 5 ივლისს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა განმეორებით მოინახულა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული მ.წ., რომლის განცხადებითაც, ზემოაღნიშნული ანგარიშსწორების შემდეგ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან კვლავ დაირღვა უფლებები. კერძოდ, მას ჩამოართვეს რადიომიმღები, არ ეძლეოდა საშუალება ესარგებლა დაწესებულებაში არსებული ტელეფონით, ყოველდღიური გასეირნების უფლებით, სტომატოლოგიური მომსახურებით, არ ეძლეოდა აბანოთი სარგებლობის საშუალება და მისი განმარტებით, მის პალატაში აღარ უშვებდნენ მომვლელს, რის გამოც იგი ვერ გადიოდა ტუალეტში, აღარ ასუფთავებდნენ მის პალატას და არ გაჰქონდათ ყოველდღიური ნარჩენები. აღნიშნულ შეზღუდვებს მსჯავრდებული ხსნიდა იმით, რომ მან განაცხადა დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წლის 05 ივლისს მ.წ.-ს ახსნა-განმარტება რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

მიღებული პასუხის თანახმად ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტება დაერთო სისხლის სამართლის საქმეს. მოწმის სახით დაიკითხა მ.წ.-ს მიერ დასახელებული პირები. აღნიშნული წერილის თანახმად, გამოძიებამ ჯერჯერობით ვერ დაადგინა იმ პირთა ვინაობა, რომლებმაც მ. წ.-ს მიმართ განახორციელეს უკანონო ქმედებები.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით აღნიშნულ საქმეზე გამოძიება გრძელდება.

მ. კ.-ს საქმე

2010 წლის 20 და 24 სექტემბერს სახალხო დამცველს განცხადებებით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.რუსთავის N6 დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა მ. კ.-მ, რომელიც აღნიშნავდა, რომ 2010 წლის 31 აგვისტოს

ოპერაციული მკურნალობის ჩასატარებლად ქ.რუსთავის N6 დაწესებულებიდან გადაიყვანეს პატიმართა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც მოათავსეს ქირურგიული განყოფილების N18 საკანში. 2010 წლის 04 სექტემბერს დაწესებულების სარეჟიმო განყოფილების უფროსმა და დაწესებულების ოფიცრებმა მას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

2010 წლის 05 ოქტომბერს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს დაეწყოთ წინასწარი გამოძიება მსჯავრდებულ მ.კ.-ს განცხადებაში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

2010 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მივიღეთ პასუხი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2010 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N073100536 საქმეზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

გეგუთის N14 ნახევრად ღია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

გეგუთის დაწესებულებაში პატიმრებთან მოპყრობის საკითხზე სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიშშიც იყო საუბარი, რომელშიც აღნიშნულია, რომ პატიმრების მიმართ ადმინისტრაციის დამოკიდებულება უხეში და გულგრილია⁹. თუმცა დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ პრევენციული ჯგუფის მიერ 2010 წლის დეკემბერში განხორციელებული მონიტორინგის დროს პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ თანამშრომლები მათ აღარ ექცევიან გამომწვევად და დამამცირებლად, აღარ ხდება მსჯავრდებულთა უმიზეზოდ დასჯა. მონიტორინგის დროს, არცერთი მსჯავრდებული არ იყო განთავსებული სამართლო საკანში.

2010 წლის 26 თებერვალს გეგუთის დაწესებულების პატიმართა უმეტესმა ნაწილმა გამოაცხადა შიმშილობა. პატიმრების განმარტებით, მასობრივი შიმშილობის მიზეზი ასევე იყო აღნიშნული დაწესებულების კარცერში განთავსებული მსჯავრდებულის გიორგი კვანტრიშვილის გარდაცვალება. მათი გადმოცემით, გ.კვანტრიშვილი იმის გამო მოათავსეს კარცერში, რომ იგი ითხოვდა დაწესებულების იმ საცხოვრებელ კორპუსში (N6 კორპუსი) დაბრუნებას, სადაც მანამდე იყო. თხოვნა არ დაუკმაყოფილეს, რის გამოც მსჯავრდებულმა საჭმლის მიღებაზე უარი განაცხადა. პატიმრები

⁹ http://www.ombudsman.ge/uploads/reports/saxalxo_damcvelis_angarishi_2009_I_naxevari.pdf – გვ.57.

აღნიშნავდნენ, რომ მსჯავრდებული კარცერში მოთავსების შემდგომ მალევე გარდაიცვალა.

მსჯავრდებულთა განმარტებით, შიმშილობიდან მესამე დღეს, 28 თებერვალს, მსჯავრდებულებთან მივიდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები. მსჯავრდებულებმა განუმარტეს, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში სისტემატური ხასიათი ჰქონდა პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობას. კერძოდ, მსჯავრდებულთა კარცერში მოთავსებას უმიზეზოდ და მათზე ფიზიკურ ზეწოლას.

აღნიშნული საუბრის შემდეგ, 28 თებერვლის საღამოს საათებში, დაწესებულებაში შევიდა სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების რაზმი. მათ საცხოვრებელ კორპუსებში ჩაატარეს ჩხრეკა, შემდეგ სიით გამოიძახეს რამდენიმე პატიმარი, ხოლო დანარჩენებს უთხრეს, რომ საკვების მიღების დრო იყო. მსჯავრდებულთა განმარტებით, ის მსჯავრდებულები, რომლებმაც უარი განაცხადეს საკვებზე, გადიოდნენ სპეცრაზმის ე.წ. „კორიდორს“ – მათ აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. ამის შემდეგ 200–მდე მსჯავრდებული, პირველ რიგში კი ისინი, ვინც შიმშილობის შეწყვეტაზე უარი განაცხადა, გადაიყვანეს სხვადასხვა დაწესებულებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ ქუთაისის N2, რუსთავის N2 და რუსთავის N6 დაწესებულებებში გეგუთის N8 დაწესებულებიდან გადაყვანილ მსჯავრდებულებს. სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბრისას ისინი ერთხმად ადასტურებენ ზემოაღნიშნულ ფაქტს, თუმცა მხოლოდ რამდენიმემ ისურვა ფაქტების გასაჯაროება და წერილობითი ახსნა–განმარტების მიცემა. უმრავლესობამ თავი შეიკავა წერილობითი ახსნა–განმარტების მიცემისგან და ითხოვა, რომ მათი მონაყოლი კონფიდენციალურად დარჩენილიყო.

2010 წლის 19 მარტს სახალხო დამცველმა რეაგირებისათვის მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს გეგუთის დაწესებულებაში მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის თაობაზე.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხების თანახმად 2010 წლის 28 აპრილს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება სსკ-ის 144³ –ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით პატიმართა მიმართ განხორციელებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე. 2010 წლის 27 ივლისის პასუხის თანახმად, საქმეზე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები და დაიკითხნენ პატიმრები, თუმცა სახალხო დამცველის აპარატის 2010 წლის 6 ივლისის განმეორებით მიმართვაზე, კერძოდ, რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა და მიეცა თუ არა კონკრეტული პირი/პირები სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, პასუხი არ მიგვიღია.

ლ.გ.-ს, ზ.ხ.-ს და ა.ს.-ს საქმე

2010 წლის 27 აგვისტოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მსჯავრდებულების ლ. გ.-სა და ზ.ხ.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. მისი განმარტებით, 2010 წლის 19 აგვისტოს, ღამის საათებში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაბა-ქსნის N15 დაწესებულებაში შევიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელმაც დახურული ტიპის ნაწილში განთავსებულ მსჯავრდებულებს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

2010 წლის 01 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ და გაესაუბრნენ რუსთავის N6 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულ ლ.გ.-ს. ამ უკანასკნელთან საუბრისას გაირკვა, რომ მასთან ერთად ქსნის N15 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ეტაპირებულ იქნა მსჯავრდებული ა.ს.-ც, რომელზეც ასევე განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა. მსჯავრდებულებმა სახალხო დამცველის რწმუნებულებს გადასცეს დეტალური ახსნა-განმარტება დაბა-ქსნის N15 დაწესებულებაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. მათი განმარტებით, სასჯელს იხდიდნენ ქსნის N15 სასჯელაღსრულების დაწესებულების დახურული ტიპის ნაწილის N13 საკანში, სადაც ასევე, განთავსებული იყო მსჯავრდებული ზ. ხ.

მათი გადმოცემით, 2010 წლის 19 აგვისტოს, დაახლოებით 22⁰⁰-საათზე, მსჯავრდებულებმა გაიგეს, რომ დაწესებულებაში შესული იყო სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელიც ხელკეტებითა და სხვა საგნებით სცემდა პატიმრებს. მსჯავრდებულებმა განმარტეს, რომ რამდენიმე წუთში გაიღო მათი საკნის კარი, სადაც ყვირილითა და შეურაცხყოფილი სიტყვებით შევიდნენ დაწესებულების დირექტორის მოადგილე გიორგი კოხრეიძე და რეჟიმის უფროსი ლევან ლეჟავა. მათ მსჯავრდებულები გამოიყვანეს საკნის გარეთ, სადაც სპეციალური რაზმის თანამშრომლებმა მსჯავრდებულები გაატარეს ე.წ. „კორიდორში“ რამდენიმე მეტრის მანძილზე, რა დროსაც სცემდნენ ხელკეტებით. შემდეგ მსჯავრდებულები შეაბრუნეს კედლისკენ, გააშიშვლეს და გააგრძელეს მათი ცემა და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მსჯავრდებულთა განმარტებით, მათ ასევე სცემდნენ ლევან ლეჟავა და გიორგი კოხრეიძე. მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ ისინი შიშვლები ცემით შეიყვანეს საკნებში. დაახლოებით ერთ საათში ისინი ისევ გაიყვანეს საკნის გარეთ და მათზე კვლავ განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა. მსჯავრდებულთა გადმოცემით, მათ ცემაში დიდ მონაწილეობას იღებდნენ ლ.ლეჟავა და გ.კოხრეიძე. მსჯავრდებულთა განმარტებით, 2010 წლის 25 აგვისტომდე მათ არ მიეცათ ადვოკატთან შეხვედრისა და ტელეფონით სარგებლობის საშუალება.

2010 წლის 2 სექტემბერს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს ქსნის N15 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს ზ.ხ.-ს, რომელმაც აგრეთვე დაადასტურა ზემოაღნიშნული ფაქტი.

მსჯავრდებულების ზ. ხ.-სა და ლ.გ.-ს გადმოცემით, მათთან მისული იყო გამომძიებელი და პირი, რომელმაც ჩაუტარა გარეგნული დათვალიერება, სავარაუდოდ, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი. მსჯავრდებულმა ა.ს.-მ კი განაცხადა, რომ იგი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არ დაუკითხავთ და არ ჩასტარებია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. აქედან გამომდინარე, იგი შიმშილობდა და ითხოვდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დროულ ჩატარებას.

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ექსპერტმა გარეგნულად დაათვალიერა მსჯავრდებულები ლ.გ. და ა.ს., რომლებსაც სხეულზე აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის დაზიანება.

2010 წლის 03 სექტემბერს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს 2010 წლის 19 აგვისტოს ქსნის N15 დაწესებულებაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიების დაწყების მოთხოვნით. ასევე, აცნობა, რომ ზეპირი საუბრისას სხვა მსჯავრდებულებიც ადასტურებდნენ ზემოაღნიშნულ ფაქტს, თუმცა წერილობითი ახსნა-განმარტებისგან თავს იკავებდნენ.

მიღებული პასუხის თანახმად 2010 წლის 01 სექტემბერს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურში დაიწყო წინასწარი გამოძიება სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2011 წლის 11 იანვარს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაიგზავნა წერილობითი მიმართვა, მოეწოდებინათ დეტალური ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების თაობაზე. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული N13/1069 პასუხის თანახმად ამ ეტაპზე კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. ამავე პასუხში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულებს, ა.ს.-ს და ზ.ხ.-ს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად სხეულზე ფიზიკური დაზიანებების ნიშნები არ აღენიშნებათ, ხოლო ლ.გ.-ს აღენიშნება მსუბუქი ხარისხის დაზიანება, რომელსაც ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია.

კითხვაზე თუ როდის ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, პასუხი არ მიგვიღია და არც მოთხოვნილი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის ასლი მოუწოდებიათ.

იმავე პასუხის თანახმად დაიკითხნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულების დირექტორის პირველი მოადგილე, სოციალური განყოფილების უფროსი, რეჟიმის განყოფილების უფროსი და სამედიცინო ნაწილის ექიმი. გაურკვეველია, რატომ არ დაკითხნენ პატიმრები, რომლებიც 2010 წლის 19 აგვისტოს აღნიშნული დაწესებულების დახურული ტიპის ნაწილში იყვნენ განთავსებულნი.

ი.ლ.-ს საქმე

2010 წლის 8 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს ი. ლ.-ს. მისი განმარტებით, 2010 წლის 19 აგვისტოს იგი იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №15 დაწესებულებაში, სადაც სალამოს საათებში შევიდნენ სპეცრაზმის თანამშრომლები, რომლებმაც იქ განთავსებულ მსჯავრდებულებს, მათ შორის, ი.ლ.-ს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რაც ცემით გამოიხატა. მსჯავრდებულის გადმოცემით, იგი სცემეს სხეულის ყველა ნაწილზე, ძირითადად თავისა და ზურგის არეში. მსჯავრდებული აცხადებდა, რომ აღნიშნული ფაქტიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ სხვა მსჯავრდებულებთან ერთად იგი გადაიყვანეს №6 დაწესებულებაში, სადაც მისი გადმოცემით, მიყვანისთანავე ადგილი ჰქონდა მასზე ფიზიკურ ზეწოლას, რაც გაგრძელდა დაახლოებით 10–15 წუთს. ასევე, მსჯავრდებული აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები პატიმრებს ეპყრობოდნენ უხეშად და აგდებულად.

2010 წლის 21 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში შემდგომი რეაგირებისათვის გაიგზავნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის ი.ლ.-ს ახსნა–განმარტებისა და სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მასთან გასაუბრებისას შედგენილი ოქმის ასლები.

2010 წლის 12 ნოემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურისგან მიღებული პასუხის თანახმად, 2010 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N073100567 საქმეზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №15 დაწესებულების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

დაბა-ქსნის N15 დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების კოლექტიური განცხადებები

2010 წლის 01 ოქტომბერს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები იმყოფებოდნენ დაბა-ქსნის N15 დაწესებულების ნახევრად ღია ტიპის ახლად აშენებულ ნაწილში, სადაც შეხვდნენ და გაესაუბრნენ მსჯავრდებულებს. მათი განმარტებით, აღნიშნული დაწესებულების თანამშრომლები მათ ექცეოდნენ უხეშად, ხშირი იყო გამოწვევები და მსჯავრდებულთა ცემა. მათივე თქმით, თუ მსჯავრდებული გადმოჰყავდათ ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, აყენებდნენ მუხლებზე, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სცემდნენ.

მსჯავრდებულთა განმარტებით, ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, კარცერში მოთავსებასთან ერთად, მათ ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყოფდნენ.

მსჯავრდებულები განმარტავდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოხატავდნენ სახალხო დამცველთან დაკავშირების სურვილს, რათა ინფორმაცია მიეწოდებინათ ზემოაღნიშნული ფაქტების შესახებ, დაწესებულებაში ითიშებოდა ტელეფონები და მათ ემუქრებოდნენ სასჯელის დამატებით. ზოგი გადაჰყავდათ საპყრობილის რეჟიმზე და ზოგს სცემდნენ.

მსჯავრდებულები ასახელებდნენ სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლებს, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ: ქიტესა გულისაშვილი, ლევან ლეჟავა, გელა იოსავა, ვინმე ლექსო, კახა, ნიკა და ლევანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მსჯავრდებულებმა სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებს გადასცეს კოლექტიური განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა 161 მსჯავრდებული.

იმავე დღეს პრევენციისა და მონიტორინგის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ამავე დაწესებულების „C“ კორპუსის მე-4 სართულზე, სადაც შეხვდნენ და გაესაუბრნენ სამართლო საკანში (კარცერში) განთავსებულ მსჯავრდებულებს. მათ შორის, N29 საკანში 2010 წლის 30 სექტემბერს, არასრულწლოვანთა დაწესებულებიდან გადმოყვანილ მსჯავრდებულებს: გ.ბ.-ს, ვ.ხ.-ს და ჯ.მ.-ს. მსჯავრდებულთა გადმოცემით, დაწესებულებაში შეყვანისას მათი სურვილის საწინააღმდეგოდ გადაჰპარსეს თავი.

ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში პატიმრების მიმართ არსებული მოპყრობის თაობაზე სახალხო დამცველმა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, 2010 წლის 04 ოქტომბერს წინასწარი გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

მიღებული №22.10.2010/67 პასუხის თანახმად, 2010 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში დაიწყო გამოძიება სს N073100528 საქმეზე, სასჯელალსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2011 წლის 05 იანვარს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაიგზავნა წერილობითი მიმართვა, მოეწოდებინათ ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების თაობაზე. კერძოდ, რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა (თარიღების მითითებით) და დაიწყო თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის/პირების მიმართ. მიღებული N13/391 პასუხის თანახმად, მოწმის სახით დაიკითხნენ მსჯავრდებულები და საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

კ. ფ.-ს და მ.ჭ.-ს საქმე

2010 წლის 25 სექტემბერს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ და გაესაუბრნენ N15 დაწესებულების C-27 სამართაო საკანში განთავსებულ მსჯავრდებულებს მ.ჭ.-ს და კ.ფ.-ს. მსჯავრდებულებმა განმარტეს, რომ 2010 წლის 24 სექტემბერს აღნიშნული დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ისინი სასტიკად სცემეს.

ვიზუალური დათვალიერებით მსჯავრდებულ კ.ფ.-ს ზურგზე, მარცხენა მხარეს, აღნიშნებოდა დაახლოებით 10 სმ. დიამეტრის სისხლნაჟღენთი, ასევე, კისერსა და მთელ ზურგზე სისხლჩაქცევები, ორივე ზედა კიდურზე ნაჭდევები. მსჯავრდებული განმარტავდა, რომ აღნიშნული დაზიანებები მიიღო ქამრით ცემის შედეგად.

მსჯავრდებულ მ.ჭ.-ს კისერთან და მარცხენა მხარეს, ზურგზე, აღნიშნებოდა მოწითალო ფერის სისხლჩაქცევები.

25 სექტემბერს, შეხვედრისას, მსჯავრდებულებმა პრევენციისა და მონიტორინგის თანამშრომლებს მათი მონათხრობის კონფიდენციალურად შენახვა სთხოვეს.

2010 წლის 06 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატში ცხელ ხაზზე დარეკეს ქსნის N15 დაწესებულებაში მყოფმა მსჯავრდებულებმა და ითხოვეს შეხვედრა. იმავე დღეს პრევენციისა და მონიტორინგის თანამშრომლები კვლავ შეხვდნენ და გაესაუბრნენ N15 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს მ.ჭ.-ს და კ.ფ.-ს. მათ პრევენციის ეროვნულ ჯგუფს გადასცეს სახალხო დამცველის სახელზე დაწერილი ახსნა-განმარტებები და ამჯერად შესაბამისი რეაგირება ითხოვეს.

მსჯავრდებულები ახსნა-განმარტებაში დეტალურად აღწერდნენ 2010 წლის 24 სექტემბერს მათ მიმართ განხორციელებული ცემის ფაქტს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წლის 11 ოქტომბერს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა.

მიღებული Nგ02.11.2010/23 პასუხის თანახმად, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სს N073100533 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამჟამად საქმეზე გრძელდება გამოძიება.

შ.ფ.-ს, ნ.ა.-ს, ო.კ.-ს და გ.მ.-ს საქმე

2010 წლის 08 ოქტომბერს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაბა-ქსნის N15 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან რუსთავის N6 დაწესებულებაში 2010 წლის 06 ოქტომბერს ეტაპირებულ მსჯავრდებულებს: შ.ფ.-ს, ნ.ა.-ს, ო.კ.-ს და გ. მ.-ს.

მსჯავრდებულების განმარტებით, N15 დაწესებულების დატოვებამდე ისინი სცემეს დაწესებულების თანამშრომლებმა, კერძოდ, გელა იოსავამ, ვინმე ვიტალიმ და კიდევ რამდენიმე თანამშრომელმა, რომელთა სახელები და გვარები არ იცოდნენ. მსჯავრდებულთა განმარტებით, მათ ცემას ესწრებოდა დაწესებულების დირექტორის მოადგილეც.

მსჯავრდებულ შ.ფ.-ს, ვიზუალური დათვალიერებით, ზურგზე აღენიშნებოდა მცირე ზომის სისხლნაჟღენთი და მარცხენა ნეკნთან – ჰიპერემია.

აღნიშნულთან დაკავშირებით 2010 წლის 11 ოქტომბერს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს წინასწარი გამოძიების წინადადებით მიმართა. მიღებული Nგ22102010/70 პასუხის თანახმად, 2010 წლის 21 ოქტომბერს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო წინასწარი გამოძიება სს N073100550 საქმეზე, N15 დაწესებულების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2011 წლის 24 იანვარს სახალხო დამცველის აპარატში საქართველოს მთავარი პროკურატურიდან შემოსული N13/1071 პასუხის თანახმად, გამოძიების მიერ დაიკითხნენ მსჯავრდებულები და N6 დაწესებულების თანამშრომლები. ასევე გვაცნობეს, რომ N6 დაწესებულებიდან გამოთხოვილი იქნა სამედიცინო ცნობები, რომლებშიც მემოწმების დროს მსჯავრდებულებს შეეყვანის დროს დაზიანებები არ აღენიშნებოდათ. იმავე პასუხის თანახმად, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

გ.ო.-ს და შ.ნ.-ს საქმე

2010 წლის 21 დეკემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაბა ქსნის N15 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს, გ.ო.-ს და შ.ნ.-ს. მათი განმარტებით, 2010 წლის 16 დეკემბერს გამოაცხადეს შიმშილობა და ამოიკერეს პირი, ვინაიდან არ ეძლეოდათ მედიკამენტები. მსჯავრდებულ გ.ო.-ს განმარტებით, მისი შიმშილობის მიზეზი იყო არასათანადო სამედიცინო მომსახურება. იგი აცხადებდა, რომ აქვს ვენების ვარიკოზული დაავადება, C ჰეპატიტი, თავის ტკივილები და ნევროზი.

პროტესტის ოფიციალურად დასაფიქსირებლად მათ მიმართეს მორიგესა და ცვლის უფროსს, რათა ინფორმაცია მიეწოდებინათ აღნიშნული დაწესებულების სოციალური სამსახურის მუშაკისთვის.

მსჯავრდებული შ. ნ. განმარტავს, რომ მათთან მივიდა სოციალური სამსახურის თანამშრომელი, რომელმაც არ დააფიქსირა მათი შიმშილობა. ამის გამო მათ შელაპარაკება მოუვიდათ ცვლის უფროსთან, რომელიც ცემით დაემუქრა. მსჯავრდებულთა გადმოცემით, მათ ცემის შეეშინდათ და მიიყენეს თვითდაზიანება, კერძოდ, გადაიჭრეს ხელები. მსჯავრდებულთა გადმოცემით, სამედიცინო დახმარება მათ გაეწიათ 30–40 წუთის შემდეგ.

მსჯავრდებულების განცხადებით, აღნიშნულის შემდეგ ისინი აიყვანეს დირექტორის ოთახში, სადაც მათ დაემუქრნენ, რომ თუ არ შეწყვეტდნენ შიმშილობას, დაუმატებდნენ სასჯელს და ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ. მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

2010 წლის 17 დეკემბერს, როდესაც მსჯავრდებულები კვლავ სოციალური სამსახურის თანამშრომელთან შეხვედრას ითხოვდნენ, მათთან მივიდნენ დაწესებულების თანამშრომლები. აღნიშნულმა პირებმა მსჯავრდებულები დირექტორის კაბინეტში წაიყვანეს, სადაც მათ მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მსჯავრდებულები ასევე აცხადებენ, რომ მათ ძალის გამოყენებით გაუხსნეს ამოკერილი პირი.

მსჯავრდებულ შ.ნ.-ს. გარეგნული დათვალიერებით აღენიშნებოდა ორივე ზედა კიდურზე და ზურგზე ექსკორიაციები, ტუჩების არეში – ნახვრეტი ჭრილობები.

მსჯავრდებულ გ.ო.-ს აღენიშნებოდა ტუჩების არეში ნახვრეტი ჭრილობები. მარცხენა ზედა კიდურზე, შუბლსა და მაჯის არეში ექსკორიაციები და მარცხენა მკლავის იდაყვთან – სიყვითლე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წლის 24 დეკემბერს სახალხო დამცველმა წინასწარი გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს; ასევე, მიმართა რეკომენდაციით, უმოკლეს ვადებში უზრუნველყოთ მსჯავრდებულებისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული №01.2011.20 პასუხის თანახმად, 2011 წლის 06 იანვარს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

რეკომენდაცია საქართველოს მთავარ პროკურორს: პირადი კონტროლის ქვეშ აიყვანოს დაკავებისას და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომხდარი ყველა არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარება.

საყოფაცხოვრებო პირობები

არასათანადო მოპყრობასთან გათანაბრებული პატიმრობის პირობები

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით არასათანადო და არაადამიანური მოპყრობის გარდა, ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა შესაძლოა გამოიწვიოს იმ გარემომ, რომელშიც პირი იმყოფება.

სახალხო დამცველმა თავის არაერთ საპარლამენტო მოხსენებაში გასცა რეკომენდაცია ზოგიერთი დაწესებულების ლიკვიდაციის თაობაზე. ესენია: ზუგდიდის N4, ბათუმის N3 და თბილისის N1 დაწესებულებები, ასევე, ხონის N13 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.

ციხის ევროპული წესების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით, „ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს რესურსების ნაკლებობით“.

საქმეში „ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“¹⁰ ევროსასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა იმის გამო, რომ მოსარჩელეს მოუწია სასჯელის მოხდა გადატვირთულ და არაჰიგიენურ საკანში, სადაც ტუალეტები არ იყო იზოლირებული, ფანჯრის რკინის ცხაური არ ატარებდა საკმარის განათებას და ჰაერს. იმავე დასკვნამდე მივიდა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო საქმეში „რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ“¹¹, „ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“¹² და „გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“.¹³

საქმეში „რამიშვილი და კოხრეიძე“ ევროსასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა ის საყოველთაო პრინციპი, რომელიც არაერთ მის გადაწყვეტილებაში ფიგურირებს: „სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პიროვნებამ სასჯელი მოიხადოს ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულების წესმა და პირობებმა არ უნდა გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც აღემატება პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ იქნეს დაცული.“¹⁴

დაბა-ქსნის N15 დაწესებულების კარცერში არსებული მდგომარეობა

2010 წლის 01 ოქტომბერს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები იმყოფებოდნენ დაბა-ქსნის N15 დაწესებულების ნახევრად ღია ტიპის ახალ ნაწილში, სადაც შეხვდნენ და გაესაუბრნენ „C“ კორპუსის მე-4 სართულზე სამართლო საკნებში განთავსებულ პატიმრებს.

¹⁰ 2009 წლის 13 იანვარი

¹¹ 2009 წლის 27 იანვარი

¹² 2009 წლის 3 მარტი

¹³ 2009 წლის 20 ოქტომბერი

¹⁴ პარ. 79

როგორც პატიმრებთან გასაუბრებით, ასევე, მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით გაირკვა, რომ სამართლო საკნებში პატიმრები იმყოფებოდნენ ღირსების შემლახავ პირობებში. კერძოდ, პატიმრებს არ მიეწოდებოდათ ჰიგიენური ნივთები, მათ შორის, ტუალეტის ქაღალდი და საპონი. საკნებში იყო ანტისანიტარია. სამართლო საკნების უმრავლესობაში, საპირფარეშოებში არ იყო ნათურები. იქ განთავსებული პატიმრები ვერ სარგებლობდნენ გასეირნების უფლებით და არ ჰქონდათ შხაპის მიღების საშუალება.

გაურკვეველი იყო, ასევე, მსჯავრდებულთა სამართლო საკნებში განთავსების წესიც. კერძოდ, ერთადგილიან საკანში განთავსებული იყო ორი ან სამი პატიმარი, ხოლო რამდენიმე ორადგილიან საკანში – თითო პატიმარი.

პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ არცერთი მათგანი სამართლო საკანში მოთავსების შემდეგ არ უნახავს ექიმს.

მათივე განმარტებით, ლეიბი ან გადასაფარებელი ეძლეოდათ ღამით.

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აღკვეთის ევროპულმა კომიტეტმა (CPT), 2007 წლის 31 მარტიდან 2 აპრილამდე საქართველოში განხორციელებული ვიზიტის ამსახველ მოხსენებაში, მოსთხოვა შესაბამის პირებს, რომ პატიმრები, რომლებიც განთავსებულნი იყვნენ დაწესებულების კარცერში, უზრუნველყონ ლეიბითა და საბნით, ასევე, მისცენ შხაპის მიღების საშუალება.

CPT-ის სტანდარტების თანახმად, ყველა პატიმარს, გამოწვევის გარეშე (მათ შორის, დასჯის მიზნით საკნებში მყოფთაც), უნდა მიეცეთ ყოველდღიური გასეირნების შესაძლებლობა. 2010 წლის 5 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, უმოკლეს ვადებში უზრუნველყო აღნიშნული პრობლემების მოგვარება და პატიმრებისათვის ადამიანური პირობების შექმნა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პრობლემებისა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად, „ვინაიდან აღნიშნული კორპუსი შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, იქ არსებული პირობები არ შეიძლება არაადამიანურად ჩაითვალოს“. იმავე პასუხში აღნიშნულია, რომ სამინისტრო აქტიურად იმუშავებს ყველა შესაძლო მიმართულებით, რათა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ განმეორდეს სახალხო დამცველის რეკომენდაციაში მოყვანილი დარღვევები.

გლდანის N8 დაწესებულების კარანტინში არსებული არაადამიანური პირობები

გლდანის N8 დაწესებულების კარანტინში არსებული მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახველი.

აღნიშნულ განყოფილებაში სულ არის 15 საკარანტინე საკანი. მათგან 7 განკუთვნილია იმ პატიმრების მოსათავსებლად, რომლებიც გაჰყავთ სასამართლო პროცესებზე. აღნიშნულ 7 საკანში არ არის საწოლები და დგას მხოლოდ სკამები. მიუხედავად ამისა, აღნიშნული

საკნები გამოიყენება, როგორც დამატებითი საკარანტინე ოთახი და იქ რამდენიმე დღით, ხშირად კვირითაც, ათავსებენ პაციმრებს. ოთახების აღჭურვილობიდან გამომდინარე, მათ სძინავთ სკამზე ან პირდაპირ ბეტონის იატაკზე. დაწესებულების ადმინისტრაცია მათ არ უზრუნველყოფდა ლეიბებითა და გადასაფარებლებით.

დანარჩენ 8 საკანში სულ განთავსებულია 48 საწოლი. თითოეულ საკანში დგას სამი ორსართულიანი საწოლი, მცირე ზომის მაგიდა, საკნებს აქვს მცირე ზომის ფანჯრები, რომლებიც სანახევროდ იღება. საწოლებზე არ არის დაგებული ლეიბი და გადასაფარებელი. არასათანადო ვენტილაციის გამო საკნებში უჰაერობაა და დგას სპეციფიკური სუნი. პაციმრების განმარტებით, კარანტინში ყოფნის პერიოდში მათ არ მიეწოდებოდათ ჰიგიენური საშუალებები და არ აქვთ შხაპის მიღების საშუალება, ასევე, ვერ სარგებლობენ გასეირნების უფლებით. საპირფარეშოებში ხშირად არ არის ნათურა და ზოგ საკანში მოშლილია წყალგაყვანილობის სისტემა.

პატიმართა გადმოცემით, ექიმი მათ ნახულობს მხოლოდ დაწესებულებაში შეყვანისას. კარანტინში ყოფნის პერიოდში სამედიცინო დახმარება მათთვის სრულიად ხელმიუწვდომელია. 2010 წლის განმავლობაში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კარანტინში განთავსებული პაციმრები, რომელთაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდათ, მხოლოდ სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ მოინახულა ექიმმა.

2010 წლის 20 ოქტომბერს განხორციელებული მონიტორინგის დროს საკარანტინე განყოფილებაში სულ მოთავსებული იყო 140 პატიმარი, აქედან 2 პატიმარი მოყვანილი იყო სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზიდან, 1 პატიმრისთვის უცნობი იყო, თუ რატომ ჩამოიყვანეს საცხოვრებელი საკნიდან საკარანტინე საკანში და 23 პატიმრის თქმით, ისინი შინაგანაწესის დარღვევის გამო, დასჯის მიზნით იყვნენ ჩამოყვანილი დაწესებულების საცხოვრებელი საკნიდან.

დასჯის მიზნით პაციმრებს ხშირად განათავსებენ კარანტინში გლდანის დაწესებულებაში, თუმცა დასჯის ეს მეთოდი არცერთ საკანონმდებლო აქტში არ არის გაწერილი და შესაბამისად უკანონოა.

საკარანტინე განყოფილებაში არ აწარმოებენ საკარანტინე საკნებიდან საცხოვრებელ საკნებში გადაყვანილ პატიმართა აღრიცხვიანობის ჟურნალს, რის გამოც ფაქტობრივად შეუძლებელია იმის შემოწმება, რეალურად რამდენ ხანს იმყოფებიან პაციმრები კარანტინში. 2010 წლის ოქტომბრის მონიტორინგის დროს იქ განთავსებული პაციმრებისგან მიღებული ინფორმაციით, მათი საკარანტინე ოთახში დაყოვნების პერიოდი იყო 1-იდან 15 დღემდე.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უმოკლეს ვადებში იქნეს უზრუნველყოფილი ზუგდიდის N4, ბათუმის N3 და თბილისის N1 დაწესებულებების, ასევე, ხონის N13 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ლიკვიდაცია;

- დაუყოვნებლივ შეწყდეს უკანონოდ, დასჯის მიზნით პატიმართა N8 დაწესებულების საკარანტინე განყოფილებაში მოთავსება;
- დაუყოვნებლივ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები N8 დაწესებულების საკარანტინე განყოფილებაში არსებული არაადამიანური და ღირსების შემლახავი პირობების და პრაქტიკის აღმოსაფხვრელად.

სხვადასხვა დაწესებულებაში არსებული საყოფაცხოვრებო პირობები

„პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი, საძინებელი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემისა და, მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, ასევე, განმარტოების მოთხოვნებს. ასევე, დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებსა და განსაკუთრებით ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობას, განათებასა და ვენტილაციის პირობებს“¹⁵.

„ყველა შერობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან:

ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს, იკითხოონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათების ნორმალურ პირობებში, ასევე, იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიციონერების ჯეროვანი სისტემა;

ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; უნდა არსებობდეს გამომახების სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს¹⁶.“

არასრულყოფილი ვენტილაციის გამო ზაფხულის პერიოდში პატიმრები გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ პატიმართა მდგომარეობა, რომლებიც დახურული ტიპის დაწესებულებებში არიან განთავსებულები და მინიმუმ 23 საათის განმავლობაში საკანში უწევთ ყოფნა. აღნიშნული დადასტურდა 2010 წლის ზაფხულის პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის დროსაც. ზოგიერთ დაწესებულებაში მდგომარეობა დაამძიმა იმანაც, რომ პატიმრებს ან ეკრძალებოდათ ვენტილატორის შეძენა, ან არ ჰქონდათ საკანში ერთზე მეტი ვენტილატორის ქონის უფლება.

ყველა ახლად აშენებულ დაწესებულებაში პატიმარს დახვდა ახალი საწოლი და ქვეშაგები, თუმცა მალევე ლეიბები ისე დაიტკეპნა, რომ ფუნქცია დაკარგა და პატიმრებს პრაქტიკულად რკინის ცხაურზე უწევთ წოლა. აღნიშნული პრობლემა ქუთაისის N2, ქსნის N15, რუსთავის N16 და N5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულებაში, თუმცა ამ უკანასკნელში ამანათის სახით დამატებით დაშვებულია ღრუბლის შეტანა.

¹⁵ 18.1-წესი

¹⁶ 18.2 წესი

ქსნის N15 დაწესებულება

2010 წლის ვიზიტის შედეგად CPT-მ განსაკუთრებით უარყოფითად შეაფასა ქსნის დაწესებულების ნახევრად ღია ტიპის ძველ ნაწილში არსებული პირობები და აღნიშნა, რომ ამ დაწესებულებაში ადამიანების მოთავსება შეიძლება მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობად ჩაითვალოს და გასცა სასწრაფო რეკომენდაცია აღნიშნულის გამოსასწორებლად.¹⁷

ასევე, მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა, რომ დაწესებულების ამ ნაწილში ჩატარებულიყო კაპიტალური რემონტი, ჩატარდა მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი, რასაც იქ არსებული პირობები დიდად არ შეუცვლია. შესაბამისად, დღემდე იქ განთავსებული ასობით მსჯავრდებული არასათანადო პირობებში იმყოფება.

ამავე დაწესებულების დახურული ტიპის ნაწილშიც ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი, თუმცა იქ არსებული მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. კვლავ პრობლემად რჩება საკნების კედლები, რომლებიც დაფარულია ცემენტის სქელი, უსწორმასწორო ფენით, ე.წ. „შუბით“. ათბობენ კვლავ ელექტროქურების მეშვეობით, ხოლო საკნების განათება არ არის საკმარისი. ასევე, შეიმჩნევა მღრღნელები და ტარაკნები.

რუსთავის N6 დაწესებულება

N6 დაწესებულების ძველ კორპუსებში არსებულ საკნებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია, კერძოდ, ვენტილაცია არ ხდება, კედლები ნესტიანია, ჩამოყრილია ბათქაში, განათებაა მზუტავი ნათურებით, ხოლო ბუნებრივი განათება არ არის საკმარისი. ასევე, ცუდ მდგომარეობაშია სამედიცინო ნაწილის რამდენიმე საკანიც. მაგალითად N8 საკანში არის სინესტე, არ იკეტება ფანჯარა, ჩატეხილია მინა, საპირფარეოში დაზიანებულია წყალგაყვანილობის სისტემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები.

თბილისის N12 დაწესებულება

N12 ნახევრად ღია ტიპის დაწესებულება განთავსებულია ყოფილ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე. მისი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი. აღნიშნული დაწესებულების შექმნის შემდგომ კოსმეტიკური რემონტი ჩატარდა მხოლოდ პირველ სართულს, სადაც განლაგებულია ადმინისტრაციის თანამშრომლების ოთახები და სამედიცინო ნაწილი. ათბობენ ელექტროქურებით. დაწესებულებაში ძირითადად განთავსებული არიან მსჯავრდებულები, რომელთაც დარჩენილი აქვთ სასჯელის მოხდის მცირე ვადა, ასევე, ხანდაზმული მსჯავრდებულები.

გეგუთის N14 დაწესებულება

¹⁷ პარ. 7

გეგუთის N14 დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბარაკული ტიპის 5 საცხოვრებელი კორპუსი. თითოეულ სართულზე საშუალოდ განთავსებულია 200–იდან 250–მდე მსჯავრდებული. CPT-მ, თავის 2010 წლის ანგარიშში, რეკომენდაცია გასცა, გეგუთის N8 დაწესებულებაში ბარაკული ტიპის საცხოვრებლები გადაკეთდეს საკნებად, რაც ასევე განპირობებულია უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე.¹⁸

რუსთავის N17 დაწესებულება

N17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის დაწესებულების I, II, III და IV საცხოვრებელ კორპუსებში არსებული საკნების სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსებში განათება ხდება ხელოვნურად, რადგან ფანჯრების ზომა ვერ უზრუნველყოფს მათ ბუნებრივ განათებას. კედლები ალაგ–ალაგ ჩამოქერცლილია, ვენტილაცია ხდება ბუნებრივად, თუმცა არასაკმარისად. ზოგიერთ საკანში მოშლილია ონკანი, ზოგში არ არის ნათურები. ათბობენ ცენტრალური გზით.

თბილისის N10 დაწესებულება

N10 ნახევრად ღია ტიპის დაწესებულება არის ბარაკული სისტემის საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. არ არის ცენტრალური გათბობის სისტემა და მსჯავრდებულები თბებიან ელექტროგამათბობლებით.

ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება

ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არის ერთმანეთისგან იზოლირებული სამი საცხოვრებელი კორპუსი, 2010 წლის აგვისტოს თვეში გაიხსნა რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი განახლებული კორპუსი. დანარჩენი საცხოვრებელი კორპუსები საჭიროებს რემონტს და მათი სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი. ათბობენ ელექტროგამათბობლების საშუალებით. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის ბოლოს ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დაიწყო ახალი 1000–ადგილიანი კორპუსის მშენებლობა, რომელიც 2012 წელს დასრულდება. სავარაუდოდ, ახალი კორპუსის ექსპლუატაციაში შესვლა მოგვარებს აღნიშნული დაწესებულების ინფრასტრუქტურულ პრობლემებს.

N5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება

ქალთა ახალი N5 დაწესებულება გაიხსნა 2010 წლის 6 ნოემბერს. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, პატიმრობის განყოფილების ორ საკანში მწყობრიდან იყო გამოსული წყალგაყვანილობის სისტემა, რის გამოც საკნებში

¹⁸ პარ. 77

მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. ხოლო N24 საკანში, რომელიც სარემონტო საკნების მიმდებარედ არის განლაგებული, იყო სინესტე.

ყველა საკანში იატაკის საფარი არის ბეტონის, რის გამოც პატიმრებს მიეცათ უფლება, ჰქონდეთ ხალიჩები. მონიტორინგის დროს ხალიჩები მხოლოდ რამდენიმე საკანში იყო დაგებული.

პატიმრობის განყოფილების ექვს საკანში ცენტრალური გათბობის სისტემა ვერ უზრუნველყოფს საკნების ჯეროვან გათბობას, რის გამოც პატიმრებს დაურიგდათ ზეთის ელექტროგათბობლები. განყოფილებაში არის ექვსი სასაქონლო ეზო. პატიმრები ერთ-ერთ მათგანს იყენებენ სარეცხის საშრობად.

გარდა პატიმრობის განყოფილების ორი საკნისა, ნახევრად ღია და დახურული ტიპის დაწესებულების ტერიტორიაზეც 2011 წლის დასაწყისში მიმდინარეობდა წყალგაყვანილობის სისტემის რემონტი.

დაწესებულებაში არის ერთი საცხოვრებელი კორპუსი (დედათა და ბავშვთა), რომელიც შედგება 6 ოთახისგან, თუმცა, როგორც სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები მოწმობს, აღნიშნული ინფრასტრუქტურა არასაკმარისია იმისთვის, რომ ყველა პატიმარი დედა დააკმაყოფილოს. შესაბამისად, არასაკმარისი ინფრასტრუქტურა იწვევს პატიმარი ქალების არათანაბარ პირობებში მოქცევას.

გლდანის N8 დაწესებულების ადვოკატებთან შეხვედრებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა

ადვოკატთა საჩივრების საფუძველზე სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა შეამოწმა გლდანის N8 დაწესებულებაში ადვოკატებთან შეხვედრების ოთახები.

აღნიშნულ დაწესებულებაში ადვოკატები თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფებს ხვდებიან ადმინისტრაციული კორპუსის IV სართულზე განთავსებულ საგამოძიებო ოთახებში, სადაც ასეთი 22 ოთახია და თითოეულის ფართი 14.20 კვ.მ-ია. საგამოძიებო ოთახში დგას 2 მაგიდა და 4 სკამი. ოთახში პარალელურად წარმოებს ორი შეხვედრა, ამასთან, ოთახის კარი ღია რჩება და დერეფანში პატრულირებს დაწესებულების თანამშრომელი. შესაბამისად, ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრისას კონფიდენციალურობის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია. საგამოძიებო ოთახებში, ადვოკატების გარდა, ხორციელდება შეხვედრები გამომძიებლებთან და პროკურორებთან.

საგამოძიებო ოთახებს არ აქვს ფანჯრები, შესაბამისად, მათი ბუნებრივი ვენტილაცია არ ხდება. განათება ხდება ხელოვნური გზით. საგამოძიებო ოთახებში ასევე, არ მუშაობს ვენტილაციის სისტემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ დაწესებულებისთვის, რომელშიც განთავსებულია 3500-ზე მეტი პატიმარი, არანაირად არ არის საკმარისი ის

ინფრასტრუქტურა, რომელიც განკუთვნილია ადვოკატების დაუბრკოლებლად შეხვედრისთვის თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფებთან.

პირადი ჰიგიენა

ციხის ევროპული წესების თანახმად, „ადეკვატური შესაძლებლობის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს, რათა ყოველმა პატიმარმა შეძლოს შხაპით ან აბაზანით სარგებლობა კლიმატისადმი შესატყვისი ტემპერატურის პირობებში, თუ ეს შესაძლებელია ყოველდღიურად ან სულ მცირე კვირაში ორჯერ მაინც (თუ საჭიროა, უფრო ხშირადაც), ზოგადი ჰიგიენის ინტერესებიდან გამომდინარე“¹⁹

პატიმრობის კოდექსის 21-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „როგორც წესი, ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის კვირაში ორჯერ მიღების შესაძლებლობით, ასევე საპარიკმახერო მომსახურებით არანაკლებ თვეში ერთხელ. ადმინისტრაციას ეკრძალება, მოსთხოვოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს თმის მთლიანი გადაპარსვა, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა“.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების უმეტესობაში აბანოთი უზრუნველყოფენ კვირაში ერთხელ, ხოლო ზუგდიდის N4 დაწესებულებაში – 10 დღეში ერთხელ. გარდა ამისა, რუსთავის N16 დაწესებულებაში და გეგუთის N14 დაწესებულების N6 სარეჟიმო კორპუსში, რომლებიც წარმოადგენენ ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს, პატიმრებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ საშხაპით კვირაში მხოლოდ ერთხელ.

რაც შეეხება საპარიკმახერო მომსახურებას, აღნიშნული თითქმის ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უგულებელყოფილია და პატიმრები ან ერთმანეთს ჭრიან თმებს, ან დალაქის ფუნქცია შეთავსებული აქვს სამეურნეო ნაწილში ჩარიცხულ მსჯავრდებულს. „პატიმრებს იოლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი საპირფარეშოებზე, რომლებიც უნდა იყოს ჰიგიენური და იძლეოდეს განმარტოების საშუალებას“²⁰

პატიმრობის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეუღება“.

ზუგდიდის N4 და თბილისის N1 დაწესებულებების საკნებში არსებული საპირფარეშოები არის ნახევრად ღია ტიპის, რაც ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ სტანდარტებს. იგივე შეიძლება ითქვას ბათუმის N3 დაწესებულების უმეტეს საკნებში არსებულ საპირფარეშოებზე (2009–2010 წწ ზოგიერთ საკანში მოხდა საპირფარეშოების იზოლირება).

¹⁹ 19.4-წესი

²⁰ 19.3-წესი

სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით სარგებლობა

პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ყოველდღიურად, არანაკლებ 1 საათისა, იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე“.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა საქართველოს ხელისუფლებას, „გააქტიუროს ძალისხმევა მსჯავრდებულებისა და ბრალდებულებისთვის აქტივობათა პროგრამების შესამუშავებლად. პროგრამების მიზანი უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ ორივე კატეგორიის პატიმრებმა დღის განმავლობაში გარკვეული გონივრული დრო (8 საათი ან მეტი) საკნებს გარეთ გაატარონ და დაკავდნენ სხვადასხვა სახის საქმიანობით“.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესრულების პერსპექტივა ჯერ კიდევ შორს არის, ვინაიდან დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის ზოგიერთ დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს ერთსაათიანი გასეირნების უფლებით სარგებლობაც კი. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ზუგდიდის N4 დაწესებულება, სადაც პატიმართა გასეირნება ხდება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 20–25 წუთით, ბათუმის N3 დაწესებულებაში – 30–40 წუთით და ქუთაისის N2 დაწესებულებაში – 35–40 წუთით.

ყოველდღიური ერთსაათიანი გასეირნების უფლებით (შაბათ-კვირის გარდა) სარგებლობენ N7, N6 დაწესებულებებში, ასევე, N15 დაწესებულების დახურული ტიპის ნაწილშიც. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავის N16 დაწესებულება წარმოადგენს ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, მსჯავრდებულებს არ აქვთ საშუალება, შაბათ-კვირას გავიდნენ ეზოში.

მიუხედავად იმისა, რომ კანონით დადგენილია ყოველდღიური გასეირნება, როგორც უკვე აღინიშნა, არცერთ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პატიმართა გასეირნება არ ხდება შაბათ-კვირას.

აღნიშნულთან დაკავშირებით წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა საქართველოს მთავრობას მისცა რეკომენდაცია, რომ „ნებისმიერმა პატიმარმა შეძლოს სავარჯიშოდ ჰაერზე გასვლა ყოველდღიურად, შაბათ-კვირის ჩათვლით.“

სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობის პრობლემა დგას, ასევე, ზოგიერთ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში – გეგუთის N14 და რუსთავის N16 დაწესებულებებში და ქსნის N15 დაწესებულების ახალი კორპუსის ნაწილში მსჯავრდებულებს დღის განმავლობაში შესაძლებლობა აქვთ, იმყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე 4–5 საათის განმავლობაში. ქალთა N5 დაწესებულების ნახევრად ღია ნაწილში მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, დღის განმავლობაში მხოლოდ 3 საათი იმყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უზრუნველყოფილი იქნეს ზემოთ მითითებული ყველა დაწესებულების სათანადო გარემონტება; ე.წ. ბარაკული სისტემის ლიკვიდაცია და საკნის ტიპის სისტემაზე გადასვლა;
- უზრუნველყოფილი იქნეს ყველა დაწესებულების საკნების სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ვენტილაცია და გათბობა;
- დაევალოს შესაბამის სამსახურებს პატიმრებისთვის ნორმალური საძილე პირობების შექმნა, რისთვისაც პატიმრები უნდა უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ სათანადო ლეიბებითა და თეთრეულით;
- ქალთა დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნეს პატიმარი დედებისთვის საკმარისი ინფრასტრუქტურის გამოყოფა, რათა ყველა მსურველმა შეძლოს, თავისთან იყოლოს 3 წლამდე ბავშვი;
- უზრუნველყოფილ იქნეს გლდანის N8 დაწესებულებაში ადვოკატებთან შეხვედრებისათვის გამოყოფილი ინფრასტრუქტურის გაზრდა და კონფიდენციალური შეხვედრისთვის სათანადო პირობების შექმნა.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

- ყველა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულებს მიეცეთ საშუალება, 6–8 საათი გაატარონ სუფთა ჰაერზე;
- ყველა დახურული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრებისთვის უზრუნველყოფილი იქნეს ყოველდღიური ერთსაათიანი გასეირნება;
- ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უზრუნველყოს პატიმრებისათვის კვირაში ორჯერ შხაპის მიღებისა და თვეში ერთხელ საპარიკმახერო მომსახურების მიღების შესაძლებლობა.

პატიმართა მიღება და განთავსება

ციხის ევროპული წესების თანახმად, „შესახლებისას და შემდგომ, საჭიროებისამებრ, პატიმრებს ხშირად უნდა ეცნობოთ წერილობით და ზეპირა, მათთვის გასაგებ ენაზე, თავიანთი უფლებების, მოვალეობებისა და ციხის დისციპლინის მარეგულირებელი წესების შესახებ.“²¹ „პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება თავიანთ საკუთრებაში იქონიონ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის წერილობითი ვერსია.“²²

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ბათუმის N3 დაწესებულებაში პატიმართა უფლება–მოვალეობები ყველა საკანშია გამოკრული და დაზიანების შემთხვევაში მყისიერად ხდება მათი განახლება. გლდანის N8 დაწესებულების საკნებში მხოლოდ პატიმართა

²¹ წესი 30.1

²² წესი 30.2

მოვალეობებია გამოკრული, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს მკაცრ სარეჟიმო მოთხოვნებს აღნიშნულ დაწესებულებაში. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების ინფორმირება ხდება წერილობითი ფორმით, რაც დასტურდება მათ პირად საქმეებში არსებული უფლება–მოვალეობის ნუსხაზე ხელმოწერით, თუმცა აღნიშნული ატარებს ფორმალურ ხასიათს, ვინაიდან პატიმრებს არ ეძლევათ საშუალება, თან იქონიონ უფლება–მოვალეობების ჩამონათვალი.

ციხის ევროპული წესების მიხედვით, „კონკრეტულ ციხეში ან ციხის კონკრეტულ განყოფილებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს, რომ: ა) წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოათავსონ“²³.

იგივე პრინციპია გაცხადებული საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე–9 მუხლის მე–2 ნაწილშიც.

მიუხედავად ამისა, გლდანის N8, ზუგდიდის N3 და ბათუმის N4 საპყრობილეებში, ასევე, ქუთაისის N2 დაწესებულებაში, ბრალდებულები და მსჯავრდებულები ერთად არიან საკნებში განთავსებული.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

- უზრუნველყოფილი იქნეს პატიმრების დაწესებულებაში მიღებისას მათთვის უფლება–მოვალეობების ნუსხის წერილობითი ფორმით გადაცემა;
- უზრუნველყოფილი იქნეს ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების განცალკევებით განთავსება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

გადატვირთულობა

სახალხო დამცველის არაერთ მოხსენებაშია საუბარი იმის შესახებ, რომ ციხეების გადატვირთულობა მხოლოდ ახალი დაწესებულებების აშენებით არ მოგვარდება. პატიმრების რაოდენობამ ბოლო წლებში იმ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რომელიც სხვა, უფრო გლობალური ზომების გატარებას მოითხოვს.

2011 წლის 01 იანვრისთვის საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 23 684 პატიმარი იყო განთავსებული. აქედან 22 307 მამაკაცი; 1171 ქალი; 93 უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი; 171 ხანდაზმული; 199 არასრულწლოვანი ბიჭი და 2 არასრულწლოვანი გოგო. მაშინ, როცა 2010 წლის 01 იანვარს პატიმრების რაოდენობა შეადგენდა 21 098–ს. ერთი წლის განმავლობაში პატიმრების რაოდენობა 2586–ით გაიზარდა, ხოლო 2004 წლიდან 2011 წლის 01 იანვრამდე 17 030–ით.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურიდან მიღებული N10/6/5–9398, N10/6/5–1000, N10/6/5–11981 პასუხების თანახმად, 2010 წლის

²³ 18.8–ე წესი

განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემიდან სხვადასხვა საფუძველით გათავისუფლდა 8915 პირი.

სასჯელაღსრულების 19-ივე დაწესებულების მთლიანი ლიმიტი შეადგენს 24720-ს. ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით აშკარაა პატიმართა რაოდენობის ზრდის ტენდენცია. აღნიშნულის გამო მოსალოდნელია გადატვირთულობის პრობლემის დადგომა ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ არაერთხელ გაიცა რეკომენდაცია თითოეულ პატიმარზე სულ მცირე 4კვ.მ. ფართის უზრუნველყოფის თაობაზე, თუმცა დღესდღეობით ზოგიერთ დაწესებულებაში თითოეული პატიმრის საკუთარი საწოლით უზრუნველყოფაც პრობლემაა, რაც საეჭვოს ხდის CPT-ის რეკომენდაციის შესრულებას.

გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ყოველი პატიმრის საკუთარი საწოლით უზრუნველყოფის კუთხით, თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში აღნიშნული პრობლემა დღესდღეობით უკვე დგას (თბილისის N1, ზუგდიდის N4, ბათუმის N3, რუსთავის N17 დაწესებულებები). საანგარიშო პერიოდში ზოგიერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული იყო იმაზე მეტი პატიმარი, ვიდრე დაწესებულების ლიმიტია (გეგუთი N14 და ავჭალის N10 დაწესებულება, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება).

წინადადებები საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რათა ამჟამად მოქმედი შეკრებითობის პრინციპი შეიცვალოს შთანთქმის პრინციპით;
- განხორციელდეს საზოგადოებისათვის ზოგიერთი ნაკლებად საშიში დანაშაულების დეკრიმინალიზაციისთვის საჭირო ზომები;
- პატიმრობის კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და თითოეულ პატიმარზე განისაზღვროს 4მ² ფართი.

რეკომენდაცია საქართველოს მთავარ პროკურორს: სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიკის განსაზღვრისას საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულების შემთხვევაში პრიორიტეტი მიანიჭოს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ, უფრო მსუბუქ სასჯელის სახეებს.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: უზრუნველყოფილი იქნეს სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის ეფექტური მუშაობისთვის საჭირო ზომების მიღება.

კონტაქტი გარე სამყაროსთან

ხანმოკლე პაემნით სარგებლობა

პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „ხანმოკლე პაემანი ეწყობა 1-იდან 2 საათამდე ვადით. ხანმოკლე პაემანი მიმდინარეობს ადმინისტრაციის წარმომადგენლის მხოლოდ ვიზუალური კონტროლით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

კანონით დადგენილი ხანგრძლივობით პაემნის ქონის უფლება პრობლემურია თითქმის ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თუმცა აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით ზუგდიდის N4 საპყრობილეში დგას, სადაც, პატიმართა გადმოცემით, პაემანი 20–25 წუთზე მეტი არ გრძელდება. აღნიშნული გამოწვეულია როგორც ინფრასტრუქტურის უკმარისობით, ასევე ადმინისტრაციის საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულებითაც.

ზემოაღნიშნულს ემატება ისიც, რომ პატიმრებს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ურთიერთობა უწევთ შუშის მეორე მხრიდან, ტელეფონის საშუალებით.

CPT-ის ანგარიშში მითითებულია, რომ პაემნები შუშით გადატიხრულ ოთახში, რაც ყოველგვარ ფიზიკურ კონტაქტს გამორიცხავს, მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევებში და შესაბამისი დასაბუთებით უნდა ხდებოდეს.²⁴

სატელეფონო საუბრები

პატიმრობის კოდექსის თანახმად, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს თვეში 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში – თვეში 2 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა.

ახალი სატელეფონო ბარათებით მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ეძლევათ, დარეკონ 15 წუთის მანძილზე მხოლოდ ერთ ნომერზე. პირველივე ნომრის აკრეფის შემდეგ, მიუხედავად საუბრის ხანგრძლივობისა, ბარათი იბლოკება. რამდენიმე ზარის განხორციელებისთვის მსჯავრდებული იძულებული ხდება, შეიძინოს რამდენიმე ბარათი, რაც შესაბამის ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში შესაძლებელია ერთი ბარათით ორ ნომერზე დარეკვა.

მონიტორინგის შედეგად იკვეთება დაწესებულებები, სადაც სატელეფონო საუბრის შესაძლებლობა ან საერთოდ არ არსებობს (მაგალითად, ბათუმის N3 საპყრობილე, სადაც ტელეფონის უფუნქციობის მიზეზად, უკანასკნელი წლების მანძილზე, ხან წვიმები სახელდება და ხან – სატელეფონო კაბელის ქურდობა), ან ხდება თვეში ერთხელ (ზუგდიდის N4 საპყრობილე).

²⁴ პარ. 110

პრესის, ტელე- და რადიომაუწყებლობის ხელმისაწვდომობა

სახალხო დამცველმა არაერთ თავის ანგარიშში მიმართა რეკომენდაციით საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს პატიმრების ტელევიზორებით უზრუნველყოფის მოსაგვარებლად, რაც განსაკუთრებით აქტუალურია დახურული ტიპის დაწესებულებებში (გარდა ქსნის დაწესებულებისა), როდესაც პატიმრები დღე-ღამეში 23 საათს საკანში ატარებენ და არ არიან დაკავებული არანაირი საქმიანობით. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის კოდექსში ტელევიზორის ქონა ზოგადად არის დაშვებული, მდგომარეობა დღემდე არ გამოსწორებულა – რუსთავის N6 დაწესებულებაში (ტელევიზორის ქონის უფლება მხოლოდ უვადო თავისუფლებადაღკვეთილ მსჯავრდებულებს აქვთ), ქუთაისის N2 დაწესებულებაში (ტელევიზორები მხოლოდ ქალ პატიმრებს აქვთ), გლდანის N8 დაწესებულებასა და ბრალდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ტელეტრანსლაცია არ არის დაშვებული. თბილისის N7 დაწესებულებაში მსჯავრდებულები სატელევიზიო პროგრამების ნაცვლად DVD-ის საშუალებით უყურებენ ჩანაწერებს.

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ და ამისათვის გამოიწერონ და იკითხოთ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული აკრძალვაა დაწესებული სასამართლო ხელისუფლების მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალურ შემთხვევაში“²⁵.

საჩივარ-განცხადებები

საჩივრის ყუთები ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია დამონტაჟებული, თუმცა ისევე, როგორც წინა წლებში, ზოგიერთ დაწესებულებაში კვლავ პრობლემად რჩება პატიმრების საჩივარ-განცხადებების ადრესატებთან გაგზავნა.

სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენებაში არაერთხელ ყოფილა მითითება პატიმრების კორესპონდენციის უფლების დარღვევებზე, თუმცა დღემდე რჩება დაწესებულებები, საიდანაც საჩივრის გაგზავნა თითქმის შეუძლებელია, კერძოდ, ზუგდიდის N4, გლდანის N8, ქუთაისის N2, გეგუთის N14, ხონის N13 დაწესებულებები, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება.

2010 წლის 15 სექტემბერს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები იმყოფებოდნენ დაბა-ქსნის N15 დაწესებულებაში, სადაც შეხვდნენ და გაესაუბრნენ მსჯავრდებულებს. მათ განაცხადეს, რომ ვერ აგზავნიან სახალხო დამცველის, მთავარი პროკურორის და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის სახელზე დაწერილ განცხადებებს.

²⁵ წესი 24.10

მსჯავრდებულთა განცხადებით, სოციალური სამსახურის თანამშრომლები ეუბნებოდნენ, რომ განცხადებების გაგზავნა არ ხდება ავტომატურად, არამედ იგზავნება სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, სადაც გადაწყვეტდნენ, გაეგზავნება თუ არა ადრესატს ესა თუ ის განცხადება.

2010 წლის 22 სექტემბერს პრევენციისა და მონიტორინგის თანამშრომლები კვლავ იმყოფებოდნენ ქსნის N15 სასჯელაღსრულების დაწესებულების დახურული ტიპის ნაწილში. მსჯავრდებულებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მსჯავრდებულების ნაწილი 2010 წლის 21 სექტემბრიდან შიმშილობდა, ვინაიდან აღნიშნული დაწესებულებიდან არ იგზავნებოდა მათი განცხადება-საჩივრები. ისინი განმარტავდნენ, რომ შიმშილობის შესახებ განცხადებით მიმართეს აღნიშნული დაწესებულების დირექტორს, თუმცა მათი შიმშილობის ფაქტი არ დაფიქსირებულა და არ შესრულებულა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოშიმშილე მსჯავრდებულთა და პატიმართა მიმართ მოპყრობის წესის და მათი შენახვის პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N35-ის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა „*შიმშილობის დაწყების შემთხვევაში, მოშიმშილე მსჯავრდებულის ან პატიმრის (შემდგომში – მოშიმშილე), სასჯელაღსრულების დაწესებულების მოსამსახურის ან სხვა პირის წერილობითი ან ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი (შემდგომში – დირექტორი) მოშიმშილისა და ექიმის თანდასწრებით ადგენს ოქმს, სადაც მიეთითება შიმშილობის დაწყების თარიღი, ასევე მოშიმშილის მოთხოვნები და აცნობებს ამის თაობაზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და შესაბამის ზედამხედველ პროკურორს*“.

2010 წლის 21 სექტემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, რათა ამ უკანასკნელს უზრუნველყო მსჯავრდებულთა განცხადებებისა და საჩივრების გაგზავნის პრობლემის მოგვარება და მსჯავრდებულთათვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაცია.

2010 წლის 22 ოქტომბერს, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული პასუხის თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში საჩივარ-განცხადებების ადრესატებთან გაგზავნა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მათი განმარტებით, აღნიშნულ სფეროში წესრიგის დაცვის მიზნით, სათანადო დავალება მიეცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, რაზედაც სამინისტროს მხრიდან დაწესებულია მკაცრი კონტროლი.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უზრუნველყოფილი იქნეს პატიმრებისთვის მრავალჯერადი მოხმარების სატელეფონო ბარათების ხელმისაწვდომობა;

- უზრუნველყოფილი იქნეს ტელევიზორით სარგებლობის უფლება ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში;
- მკაცრად გაკონტროლდეს პატიმრებისთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაცია – მათი საჩივარ-განცხადებებისა და სხვა სახის კორესპონდენციის ადრესატებთან დროული გადაგზავნა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

- ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნეს პატიმრების ხანმოკლე პაემნის უფლების სრული რეალიზაცია ახლობლებთან უშუალო კონტაქტის პირობებში;
- ყველა დაწესებულებაში პატიმრებისთვის უზრუნველყოფილი იქნეს ტელეფონით შეუფერხებელი სარგებლობა.

რესოციალიზაცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია“.

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პატიმრობა სრულად იმგვარად უნდა წარმართოს, რომ ხელი შეუწყოს თავისუფლებადკვეთილ პირთა რეინტეგრაციას თავისუფალ საზოგადოებაში“.²⁶

„ყველა საჭირო შესაძლებლობა უნდა იყოს გამოყენებული: რელიგია, განათლება, ტრენინგი, სოციალური დაცვა, დასაქმება, ფიზიკური განვითარება, მორალური დამოკიდებულების განვითარება. ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს პატიმრის პიროვნულ ხასიათს. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი: პატიმრის კრიმინალური წარსული, სასჯელის ზომა და წინასწარ განსაზღვრული პერსპექტივები მისი გათავისუფლების შემდეგ“.²⁷

სასწავლო და სარეაბილიტაციო პროგრამები

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის მიზანია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია, აღნიშნული კომპონენტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრაქტიკულად უგულებელყოფილია – დაწესებულებათა უმეტესობაში მოქმედებს სარეაბილიტაციო პროგრამების მწირი რაოდენობა და აქცენტი ძირითადად გაკეთებულია არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე.

²⁶ წესი 6

²⁷ წესი 66

ფსიქოსარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისი“, რომელშიც წამალდამოკიდებული მსჯავრდებულები გადიან რეაბილიტაციას, მოქმედებს ქუთაისის N2, რუსთავის N6 და რუსთავის N5 დაწესებულებებში. მეტადონის ჩანაცვლებითი თერაპია მოქმედებს გლდანის N8 დაწესებულებაში. N12 დაწესებულებაში მოქმედებს სამხატვრო წრე, ზოგად განათლებას N5 დაწესებულებაში იღებს 3 მსჯავრდებული. არასრულწლოვანთა N11 დაწესებულებაში ზოგად განათლებას იღებს 93 მსჯავრდებული, ხოლო პროფესიულ განათლებას – 48 მსჯავრდებული. არასრულწლოვანთა N11 დაწესებულებაში მოქმედებს შემდეგი სახის სარეაბილიტაციო პროგრამები: საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ფონდი „აფხაზეთი“-ს მიერ განხორციელებული კომპიუტერული ტექნიკური მომსახურების, ვიდეომონტაჟის, ანიმაციის, სამგანზომილებიანი გრაფიკისა და ვებდიზაინის, ასევე, საპარიკმახერო მომსახურების შესწავლა. საქველმოქმედო ფონდ „ცხოვრების ახალი გზის“ ინიციატივით ფუნქციონირებს ხეზე კვეთის შემსწავლელი კურსი. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური პროგრამა, რომელიც არასრულწლოვან ვაჟთა დაწესებულებაში ფუნქციონირებს, ემსახურება განმეორებითი დანაშაულის პრევენციას და საზოგადოებაში მსჯავრდებულთა რეაბილიტირებულ დაბრუნებას. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად N11 დაწესებულების ადმინისტრაციულ კორპუსში სრულად გარემონტდა შეხვედრების, მსჯავრდებულთა სასწავლო, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამების ოთახები, ასევე, მოეწყო ჯგუფური შეხვედრების აუდიტორია.

ქსნის N15 დაწესებულების ახალ ნაწილში პერიოდულად ტარდება საჯარო ლექციები სხვადასხვა თემაზე, რომლებსაც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები ატარებენ, თუმცა ხშირ შემთხვევაში ლექციების თემა საკმაოდ ვიწრო და სპეციალიზებული პროფილისაა და ნაკლებად აინტერესებთ პატიმრებს.

2011 წლის 02 თებერვლის 10/35/7-370 წერილით გვეცნობა, რომ N16 დაწესებულებაში, 2010 წლის ოქტომბრიდან მოქმედებს ქალთა კლუბის „პეონის“ მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო პროგრამა, რომლის მიზანია, მსჯავრდებულებს გათავისუფლების დროს დაეხმარონ პირადი პრობლემების მოგვარებაში. სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვა ხდება სურვილისამებრ. პროგრამა 4კვირიანია, რომლის დროსაც ჯგუფში ჩართულია 10-12 მსჯავრდებული. პროგრამის ფარგლებში მუშაობს სოციალური მუშაკი და ორი ფსიქოლოგი.

რესოციალიზაციისთვის ასევე აუცილებელია, მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში მიიღოს ან გააღრმავოს შესაბამისი განათლება, ან პროფესიული უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ თუ სხვა სახის ღონისძიებებში, კონკურსებში, ჰქონდეს შესაბამისი პირობები, რათა თვალყური ადევნოს გარეთ მიმდინარე პროცესებს, კონტაქტი იქონიოს ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან. ყველაფერი ეს აუცილებელია მსჯავრდებულის საზოგადოებაში დაბრუნებისთვის მოსამზადებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდია იმის ალბათობა, რომ ასოციალური და ნორმალურ ცხოვრებას გადაჩვეული ადამიანი გათავისუფლების

მერეც ვერ იპოვის თავის ადგილს საზოგადოებაში და ისევ დანაშაულებრივ გზას დაადგება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სრულწლოვანი პატიმრები განათლების მიღების პრაქტიკულად ყოველგვარ საშუალებას არიან მოკლებულნი.

პატიმართა დასაქმება

ციხის ევროპული წესების თანახმად, „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.²⁸

„სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდები შეძლებისდაგვარად მიახლოებული უნდა იყოს საზოგადოებაში არსებულ სამუშაო სტანდარტებთან, რათა მოამზადოს პატიმრები ჩვეულებრივი პროფესიული ცხოვრებისათვის“²⁹.

„ყველა შემთხვევაში პატიმართა სამუშაო სამართლიანად უნდა ანაზღაურდებოდეს“³⁰.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ამჟამად პენიტენციურ სისტემაში სულ ანაზღაურებადი სამუშაო აქვს 29 მსჯავრდებულს.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა დასაქმების სრულფასოვანი რეალიზაცია პირდაპირ არის დაკავშირებული კერძო ბიზნესის დაინტერესებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა 2009 წლის მოხსენებებში წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელთა მიხედვითაც იმ მეწარმეებისთვის, რომლებიც იზრუნებდნენ მსჯავრდებულთა დასაქმებაზე, დაწესებული იქნებოდა საგადასახადო შეღავათები. ჩვენი აზრით, აღნიშნული შეღავათები ასევე უნდა გავრცელდეს იმ საწარმოებზეც, რომლებიც დასაქმებენ პრობაციონერებს.

წინადადება საქართველოს პარლამენტს: შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რათა მეწარმეებს, რომლებიც იზრუნებენ მსჯავრდებულთა ან პრობაციონერთა დასაქმებაზე, განესაზღვროთ საგადასახადო შეღავათები.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- შემუშავდეს მსჯავრდებულთა დასაქმების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

²⁸ წესი 26.2

²⁹ წესი 26.7

³⁰ წესი 26.10

- შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდეს მსჯავრდებულთა სასწავლო პროგრამები და მათი დანერგვის გზები; მათ შორის, უმაღლესი განათლების მიღებისთვის აუცილებელი დისტანციური სწავლების სისტემა.

სასჯელადსრულების დაწესებულებების პერსონალი

ციხის პერსონალის კვალიფიკაცია და მისი ამალღების გზები

პატიმრების რესოციალიზაციისთვის ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სასჯელადსრულების ადმინისტრაციაში მომუშავე პერსონალის პროფესიონალიზმი და მათი დამოკიდებულება პატიმრების მიმართ. პერსონალი უნდა იცნობდეს როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებშიც დამკვიდრებული წესებითა და სტანდარტებითაც მათ უნდა იხელმძღვანელონ მუშაობის დროს.

მიუხედავად იმ უდიდესი როლისა, რომელიც დაწესებულებების პერსონალს ენიჭება წამების აღმოფხვრის, ასევე, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის საქმეში, მათი დაქირავება დღესდღეობით ყოველგვარი წინასწარ განუსაზღვრელი კრიტერიუმების გარეშე ხდება. შესაბამისად, თავისუფლებათა დაცვითილ ადამიანებს მეთვალყურეობს პერსონალი, რომელსაც მინიმალური ცოდნა და გამოცდილებაც კი არ გააჩნია აღნიშნულ სფეროში.

სასჯელადსრულების სამინისტროს სასწავლო ცენტრი სერიოზულად მუშაობს პერსონალის კვალიფიკაციის ამალღების საკითხზე, თუმცა, როგორც წინა ანგარიშებშიც იყო აღნიშნული სასწავლო პროგრამების მიმართ სასჯელადსრულების დეპარტამენტს და დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს საკმაოდ სკეპტიკური და ხშირად სრულიად ფორმალური დამოკიდებულება აქვთ, რაც ნაკლებად უწყობს ხელს ამგვარი პროგრამების ეფექტურობას.

სოციალური სამსახური

კანონმდებლობის მიხედვით მსჯავრდებულის რესოციალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სასჯელადსრულების დეპარტამენტის სოციალურმა სამსახურმა. დეპარტამენტის დებულების³¹ მე-13 მუხლში ნათლად არის ჩამოყალიბებული სოციალური სამსახურის ვალდებულებები და უფლებამოსილება,

³¹ დამტკიცებულია საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 25 თებერვლის №60 ბრძანებით; ეს უკანასკნელი 2010 წლის 11 ნოემბერს შეცვალა N156 ბრძანებამ, რომელშიც სოციალურ სამსახურზე საუბარია მე-11 მუხლში

რომელიც სხვადასხვა საკითხებთან ერთად მოიცავს სარეაბილიტაციო და მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის გასატარებელი ღონისძიებების, პროგრამების და გეგმების განხორციელებისთვის ხელშეწყობას. სამწუხაროდ, პრაქტიკაში სასჯელადსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის საქმიანობა დაშორებულია კანონმდებლობის მოთხოვნებს.

რაც შეეხება უშუალოდ დაწესებულებებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს, შეუძლებელია მათი რაოდენობის, ფუნქციური დატვირთვისა და სხვა მსგავსი ინფორმაციის მოპოვება, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის N42 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის“ V თავის შესაბამისად ეს ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებაა. მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის N42 ბრძანებულება ეწინააღმდეგება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის მე-7 მუხლში ზუსტადაა მითითებული, რა კატეგორიის ინფორმაცია შეიძლება იყოს მიკუთვნებული სახელმწიფო საიდუმლოს კატეგორიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრევენციული ჯგუფი სიღრმისეულად ვერ სწავლობს აღნიშნულ საკითხს და ეყრდნობა პატიმართა/მსჯავრდებულთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციასა და ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს. პრევენციული ჯგუფის დაკვირვებით, ზოგიერთ სასჯელადსრულების დაწესებულებაში პატიმრები სოციალური სამსახურის თანამშრომლებს ან საერთოდ არ იცნობენ ან იცნობენ, როგორც რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილებების თანამშრომლებს. აღნიშნული საკითხის დროული გადაწყვეტა განსაკუთრებით აქტუალურია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, გლდანის N8, ხონის N13, ქსნის N15, ზუგდიდის N4 დაწესებულებებში.

რეკომენდაციები სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- შემუშავდეს ციხის პერსონალის მინიმალური კვალიფიკაციის განსაზღვრის კრიტერიუმები;
- გაკონტროლდეს სასჯელადსრულების დაწესებულებების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული სასწავლო პროგრამების უწყვეტობა და ეფექტურობა;
- უზრუნველყოს ყველა სასჯელადსრულების დაწესებულებაში არსებული სოციალური სამსახურების ჯეროვანი ფუნქციონირება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს სტრუქტურული ცვლილებები.

არასრულწლოვნების მდგომარეობა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში

არასრულწლოვანთა მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არასრულწლოვანი პატიმრები განთავსებულნი არიან ქუთაისის N2, ბათუმის N3, ზუგდიდის N4, თბილისის N8 და ავჭალის N11 დაწესებულებებში. მთლიანად სისტემაში მათთვის გამოყოფილია 330 ადგილი.

ზოგადად, არასრულწლოვანთა მიმართ დამოკიდებულება და მოპყრობა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში დამაკმაყოფილებელია. ამის პარალელურად, როგორც წესი, მათი განთავსების პირობები დაშორებულია ციხის ევროპულ წესებსა და CPT-ის რეკომენდაციებში გაწერილი პირობებს, თუმცა არასრულწლოვნები თითქმის ყოველთვის სარგებლობენ სრულწლოვან პატიმრებთან შედარებით მეტ-ნაკლებად გაუმჯობესებული პირობებით. ბათუმისა და ზუგდიდის დაწესებულებებშიც კი, სადაც საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობები ძალიან ცუდია, არასრულწლოვნები სხვა პატიმრებთან შედარებით ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან. ყველა დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვნები არიან განთავსებულნი, დგას ტრენაჟორები. მიუსჯელი არასრულწლოვნები განთავსებულნი არიან გლდანის N8, ქუთაისის N2, ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 დაწესებულებებში, ხოლო მსჯავრდებული არასრულწლოვნები – ავჭალის N11 დაწესებულებაში. არასრულწლოვანი გოგონები განთავსებულნი არიან რუსთავის ქალთა პატიმრობისა და დახურული თ/ა შერეული ტიპის N5 დაწესებულებაში, ასევე – ზუგდიდის N4 დაწესებულებაში. ქუთაისის N2 დაწესებულებაში არასრულწლოვნებისთვის გამოყოფილია სამი საკანი. საკნები თბება ცენტრალური გათბობის საშუალებით. განათება და ვენტილაცია საკმარისია როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით.

პატიმრობის მოხდის წესის შესახებ დებულების მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად³², არასრულწლოვან პატიმრებს უნდა ესეირნათ ყოველდღიურად არანაკლებ 2 საათისა. ამჟამად მოქმედ პატიმრობის კოდექსში არ არის გათვალისწინებული არასრულწლოვანი პატიმრებისთვის სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა. კოდექსის მე-14 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ზოგადად განსაზღვრავს მსჯავრდებულისა და ბრალდებულის ერთსაათიანი გასეირნების უფლებას.

არასრულწლოვნებს კანონით დადგენილი 1-საათიანი გასეირნების უფლებით სარგებლობის ნაცვლად, შესაძლებლობა აქვთ, კვირის გარდა ყოველდღიურად 30 წუთის განმავლობაში იმყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე, ხოლო 1 საათი ივარჯიშონ მათთვის განკუთვნილ ტრენაჟორების ოთახში.

³² 1999 წლის 28 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N362;

შხაპის მიღების შესაძლებლობა მათ ეძლევათ კვირაში ერთხელ. არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილ N208 და N209 საკნებში იყო დიდი რაოდენობით ტარაკნები. არასრულწლოვნების გადმოცემით, მიუხედავად იმისა, რომ მათი საკანი რამდენჯერმე შეწამლეს, აღნიშნული პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდა. არასრულწლოვნებს არ აქვთ ტელევიზორები.

საკნების ფართობი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საკნებში არის რკინის საწოლები, რომლებზეც დაგებულია თხელი ლეიბი. ადმინისტრაცია მათ კვირაში ერთხელ უზრუნველყოფს სუფთა თეთრეულით და თვეში ერთხელ ამარაგებს სარეცხი საპნითა და ქლორით.

ბათუმის N3 დაწესებულებაში არასრულწლოვნებისთვის 1 საკანია განკუთვნილი, რომელშიც დგას 14 საწოლი. მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ არასრულწლოვნებს არ ჰქონდათ გათბობის არანაირი საშუალება, არ ჰქონდათ მადულარა და არც ფინანსური შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ნივთები შეეძინათ. მონიტორინგის დროს დაწესებულების მაღაზიაში არ იყიდებოდა ელექტროქურები. არასრულწლოვანთა გადმოცემით, პაემნის უფლებით ისინი სარგებლობენ კვირაში ერთხელ 15 წუთით, შხაპის მიღების შესაძლებლობა აქვთ კვირაში ერთხელ, ხოლო სუფთა ჰაერზე ყოფნისა და ვარჯიშის შესაძლებლობა – ყოველდღე.

ზუგდიდის N4 დაწესებულებაში არასრულწლოვნებისთვის გამოყოფილია ერთი 12-ადგილიანი საკანი. ფანჯარას არ აქვს მინა და აღნიშნულის გამო გაკრულია ცელოფნის პარკი. გათბობის საშუალებად არასრულწლოვნები იყენებენ სამფაზიან ელექტროქურას, რომელსაც მუშა მდგომარეობაში ჰქონდა ორი ფაზა. საკანში არის ნახევრად ღია საპირფარეშო, რომელზეც კარის მაგივრად გაკრულია ფარდა. საკანში იყო ტარაკნები. არასრულწლოვანთა გადმოცემით, ისინი შხაპს იღებენ კვირაში ერთხელ და შესაძლებლობა აქვთ, ივარჯიშონ კვირის გარდა ყოველდღიურად.

გლდანის N8 დაწესებულებაში არასრულწლოვანი პატიმრები განთავსებულნი არიან მე-4 კორპუსის მე-4 სართულზე ექვსადგილიან საკნებში. აღნიშნულ დაწესებულებაში ისინი 2010 წლის 09 ნოემბერს გადაიყვანეს N9 დაწესებულებიდან (ყოფილი ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულება).

საკნების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა და არის სითბო. უზრუნველყოფილია საკნების ბუნებრივი და ხელოვნური გზით ვენტილაცია და განათება. პატიმრებს ცენტრალურად, უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ წყალი.

არასრულწლოვან პატიმრებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ეტაპირების შემდეგ მათ მიეცათ საშუალება, ესარგებლათ შხაპით. საშხაპე განთავსებულია იმავე სართულზე საცხოვრებელი საკნების გვერდით. პატიმრების გადმოცემით, შხაპის მიღების შემდეგ ისინი მოინახულა დაწესებულების ექიმმა. მათივე განმარტებით, ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადმოყვანამდე, გადმოყვანისას და ახალ საცხოვრებელ

ადგილას მიღების შემდეგ მათ მიმართ რაიმე სახის ზეწოლა არ ყოფილა და მათი ეტაპირება მოხდა მშვიდ ვითარებაში.

ყველა საკანში პატიმრებს დახვდათ ტელევიზორი, ახალი თეთრეული, ჭურჭელი და პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი ნივთები. პატიმრებმა აღნიშნეს, რომ მათ საშუალება ჰქონდათ, ესარგებლათ N8 დაწესებულებაში არსებული მაღაზიით საბანკო ბარათების მეშვეობით. მათივე გადმოცემით, პირადი ნივთებისა და ტანსაცმლის გარკვეული ნაწილი გადმოყვანამდე რამდენიმე დღით ადრე გაატანეს ოჯახის წევრებს.

გარდა ამისა, პატიმრებმა აღნიშნეს, რომ ეტაპირებიდან მეორე დღესვე მათ ისარგებლეს კანონით გათვალისწინებული გასეირნების უფლებით. სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დაათვალიერეს არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი ორივე სასეირნო ეზო და საშხაპე.

სასეირნო ეზო მდებარეობს იმავე სართულზე. აღსანიშნავია, რომ ორივე სასეირნო ეზოში დგას სპორტული ტრენაჟორები. სეირნობისთვის გამოყოფილ დროს პატიმრებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ტრენაჟორებით.

საშხაპის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი, მოპირკეთებულია კაფელით. საშხაპეში დამონტაჟებულია 6 შხაპი, არის გასახდელიც.

ავჭალის არასრულწლოვანთა N11 დაწესებულების ლიმიტია 160 მჯავრდებული. დაწესებულებაში არის ერთი საცხოვრებელი კორპუსი, რომელშიც არის ე.წ. ბარაკული სისტემა (25–27–ადგილიანი 7 საცხოვრებელი ოთახი), რაც თავისთავად არ შეესაბამება სტანდარტებს.

საკნების ფართობი ასევე არ შეესაბამება სტანდარტს. ცენტრალური სავენტილაციო სისტემა საცხოვრებელ კორპუსს არ გააჩნია. საცხოვრებელი კორპუსის ვენტილაცია ხდება ბუნებრივი გზით. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. განათება ხდება ბუნებრივი და ხელოვნური გზით. დაწესებულების სამედიცინო ნაწილში არ არის სტაციონარული სამედიცინო პუნქტი, რის გამოც ადგილობრივად შესაძლებელია მხოლოდ ამბულატორული სამედიცინო მომსახურება.

დაწესებულებაში არის ერთი საშხაპე ოთახი 5 შხაპით. შხაპს მსჯავრდებულები იღებენ სურვილის მიხედვით.

სადალაქო მომსახურებას არასრულწლოვან მსჯავრდებულებს უწევენ კვირაში ერთხელ „პარიკმახერთა ასოციაციიდან“ დაწესებულებაში მისული დალაქები.

დაწესებულებაში ხდება ტელე- და რადიოტრანსლაცია. დაწესებულების ეზოში არის ფეხბურთის სტადიონი.

არასათანადო მოპყრობა

არასრულწლოვანთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები საკმაოდ იშვიათია. უკანასკნელ პერიოდში სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვნები გახდნენ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი ციხის თანამშრომელთა ან პოლიციის მხრიდან. აღნიშნული შემთხვევები საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრისა და 2009 წლის საპარლამენტო მოხსენებებში.

2010 წლის 16 აპრილს, არაგემური მონიტორინგის დროს, N5 დაწესებულებაში პრევენციისა და მონიტორინგის თანამშრომლების მიერ აღმოჩენილი იქნა 2 არასრულწლოვანი პატიმარი, რომლებიც, მათი გადმოცემით, დაკავებისას პოლიციამ სასტიკად სცემა ჯერ აღიარების მოპოვების მიზნით, ხოლო შემდეგ იმის გამო, რომ მათ დაავიანეს აღიარებითი ჩვენების მიცემა. ერთ–ერთი არასრულწლოვნის საქმეზე, რომელსაც ჩვენი ვიზიტის დროს აღენიშნებოდა ზოგადი დაჟეჟილობა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორიაციები და სისხლნაჟღენტები, გამოძიება წარმოებს, ხოლო მეორე არასრულწლოვანმა არ ისურვა აღნიშნული ფაქტების გამჟღავნება.

განათლება

ახალ პატიმრობის კოდექსში აღარ არის მოხსენიებული უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო დღემდე გადაუწყვეტელია იმ მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა ბედი, რომლებიც ჩააბარებენ ან უკვე ჩააბარეს ეროვნული გამოცდები. რამდენიმე მათგანი პრეზიდენტმა შეიწყალა, ხოლო დანარჩენები, რომელთა შეწყალებაც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის ან სხვა მიზეზების გამო არ მოხდა, მოკლებულნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებას. აღნიშნული ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის R (89) 12 რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც, მსჯავრდებულებს უნდა მიეცეთ საშუალება, ციხეშიც მიიღონ ის განათლება, რომელიც მათი ასაკის პირებისთვის თავისუფლების პირობებშია ხელმისაწვდომი.

კოდექსის ძალაში შესვლამდე, როდესაც ჯერ კიდევ მოქმედებდა „პატიმრობის შესახებ“ კანონი, რომელიც ფორმალურად მაინც ითვალისწინებდა მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას, სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ციხის პირობებში დისტანციური განათლების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. პასუხად სამინისტრომ გვაცნობა, რომ დისტანციური განათლების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი იყო სასჯელაღსრულებისა და განათლების სამინისტროების სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა დისტანციური განათლების დანერგვაზე. სამწუხაროდ, პატიმრობის კოდექსის ზემოაღნიშნული ხარვეზი ამ ჯგუფის მუშაობასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, თუ, რასაკვირველია, კოდექსში არ იქნება განხორციელებული შესაბამისი დამატება და/ან კანონქვემდებარე

აქტით არ განისაზღვრება მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების მიღების წესები და პირობები.

ამჟამად არასრულწლოვანი პატიმრები ციხის პირობებში მხოლოდ ზოგადი განათლების მიღებით შემოიფარგლებიან, ისიც N11 დაწესებულებაში. ქუთაისის N2, ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 დაწესებულებებში განთავსებული არასრულწლოვანი პატიმრები ამ საშუალებასაც არიან მოკლებულნი. ერთი მხრივ, ეს დაწესებულებები წარმოადგენს წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებს, შესაბამისად, არასრულწლოვნებს იქ მხოლოდ რამდენიმე თვის გატარება უნდა უწევდეთ, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მიზეზის გამო მისჯილი არასრულწლოვნები არ გადაჰყავთ შესაბამის დაწესებულებაში. მათ ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში გაცილებით მეტი ხნის გატარება უწევთ, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს მათი განათლების უწყვეტობას.

არასრულწლოვანი გოგონები

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს დაევალა ქ.თბილისის ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეექმნა მდებრობითი სქესის არასრულწლოვან პატიმართა განყოფილება. ამავე ბრძანებით დეპარტამენტის თავმჯდომარეს დაევალა, უმოკლეს ვადებში უზრუნველყო მდებრობითი სქესის არასრულწლოვან პატიმართა განთავსება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2009 წლის 6 მარტს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს. რეკომენდაციას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ არ არსებობდა არასრულწლოვან გოგონათა აღმზრდელობითი დაწესებულება, სადაც კანონის შესაბამისად სასჯელს უნდა იხდიდნენ არასრულწლოვანი გოგონები. ისინი განთავსებულნი იყვნენ თბილისის მაშინდელ ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, რომელსაც არ გააჩნდა არასრულწლოვანი გოგონებისთვის გამოყოფილი ინფრასტრუქტურა და გოგონებს სასჯელის მოხდა უწევდათ სრულწლოვან პატიმარ ქალებთან ერთად.

2009 წლის 26 ოქტომბერს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ N5 ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების ტერიტორიაზე ცალკე გამოყო და გაარემონტა მდებრობითი სქესის არასრულწლოვან პატიმართა განყოფილება, სადაც განთავსდეს ორი მსჯავრდებული გოგონა. აღნიშნული განყოფილება მხოლოდ ფორმალურად იყო გამოყოფილი სრულწლოვანი ქალებისთვის განკუთვნილი ნაწილისგან – არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ქალების ერთ-ერთ კორპუსში გამოეყოთ ერთი ოთახი, ხოლო ეზო საერთო იყო, შესაბამისად, გოგონებს დღის უდიდესი ნაწილის სრულწლოვან მსჯავრდებულებთან ერთად ყოფნა უწევდათ. აღნიშნულის გამო ერთ-ერთმა არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა გოგონამ უარი თქვა ახალ ნაწილში გადასვლაზე და დარჩა საპყრობილის ტერიტორიაზე ცალკე საკანში.

2010 წლის აპრილში სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა არასრულწლოვან პატიმრებს გ.ყ.–ს ნ.ს.–ს, და ს.ს.–ს. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს ზემოხსენებული დაწესებულება გადატვირთული იყო, რის გამოც გოგონებს უწევდათ სრულწლოვან პირებთან ერთად საკანში ყოფნა. მათ არ ეძლეოდათ სისუფთავისა და პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალება, რა სიხშირითაც ისინი ამას საჭიროებდნენ. გარდა ამისა, არ ჰქონდათ განათლების მიღების საშუალება.

არასრულწლოვანი გოგონები დღის განმავლობაში საკნიდან გაჰყავდათ 2 საათით, რაც სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ითვლებოდა გასეირნებად. მაშინ, როდესაც ამ კატეგორიის პატიმრებისათვის კანონით განსაზღვრული დაწესებულების არსებობის პირობებში მათ ეკუთვნოდათ მთელი დღის განმავლობაში სუფთა ჰაერზე ყოფნა.

2010 წლის 6 ნოემბერს ქ.რუსთავში გაიხსნა ახალი ქალთა N5 დაწესებულება, სადაც ასევე არ არსებობს არასრულწლოვანი გოგონებისთვის განკუთვნილი ცალკე ინფრასტრუქტურა. მიუსჯელ გოგონებს პატიმრობის განყოფილებაში სრულწლოვან ქალ მსჯავრდებულებთან ერთად საკანში ათავსებენ. 2010 წლის ბოლოსთვის პატიმრობის განყოფილებაში განთავსებული იყო ერთი არასრულწლოვანი გოგონა. დაწესებულების ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელიც ფორმალურად დასაქმებულია მდებრობითი სქესის არასრულწლოვანთა განყოფილებაში, ევალეზა არასრულწლოვნებზე ზედამხედველობა და მათთვის კანონით დადგენილი უფლებებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა. თუმცა ერთადერთი განსხვავება არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ქალი პატიმრების უფლებებს შორის არის ზოგადი განათლების მიღების უფლება – დაწესებულებაში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა.

მისჯილი არასრულწლოვანი გოგონები ასევე თავსდებიან სრულწლოვან მსჯავრდებულ ქალებთან ერთად. 2010 წლის ბოლოსთვის N5 დაწესებულების ნახევრად ღია ნაწილში ერთი გოგონა იყო განთავსებული. მისთვის განკუთვნილი საკანი მოწყობილი იყო განსხვავებულად, კერძოდ, იატაკზე ეგო ლამინატი, იდგა ორი ხის საწოლი (სქელი მარტასებით), ინდივიდუალური ტუმბოები, ტელევიზორი და კომპიუტერი.

ამჟამად N5 დაწესებულებაში, საჯარო სკოლის გარდა, არ ფუნქციონირებს არცერთი სარეაბილიტაციო პროგრამა, თუმცა დაწესებულების ადმინისტრაციის თქმით, უახლოეს მომავალში იგეგმება სხვადასხვა სახის პროგრამის განხორციელება.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- არასრულწლოვანი პატიმრებისთვის უზრუნველყოფილი იქნეს გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა;
- შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით შემუშავდეს არასრულწლოვან პატიმართათვის დისტანციური უმაღლესი განათლების მიღების სისტემა;

- უზრუნველყოფილი იქნეს არასრულწლოვან გოგონათა სრულწლოვან მსჯავრდებულთაგან განცალკევებით განთავსება.
- არასრულწლოვანი პატიმრებისთვის უზრუნველყოფილი იქნეს ყოველდღიური ორსაათიანი გასეირნება.

2010 წლის მანძილზე სასჯელადსრულების სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

ახალი პატიმრობის კოდექსი

2010 წლის 01 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა ახალი პატიმრობის კოდექსი, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ. კოდექსმა რამდენიმე ახალი და დადებითი სიახლე შემოგვთავაზა (მაგალითად, კანონში პირდაპირ განისაზღვრა, რომ მსჯავრდებული სასჯელს უნდა იხდიდეს თავისი ან ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილის მახლობლად მდებარე დაწესებულებაში). ზოგიერთი აკრძალვა, რომელიც წესის სახით იყო მოცემული „პატიმრობის შესახებ კანონში“, კოდექსის მიხედვით საგამონაკლისო გახდა (მაგალითად, ტელევიზორის ქონის უფლება).

მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ რიგ საკითხებში პატიმრობის კოდექსი არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, ხოლო მისი ზოგიერთი ნორმა „პატიმრობის შესახებ კანონთან“ შედარებით აუარესებს კიდევ პატიმრების მდგომარეობას.

კოდექსის ზოგად დებულებებში აღნიშნულია იმის შესახებ, რომ: „საქართველოს კანონმდებლობა წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.“

აღნიშნული სულისკვეთება აბსოლუტურად გასაგებია, თუმცა ფორმა ვერ გამოხატავს მის ნამდვილ შინაარსს. საქართველოს კანონმდებლობა წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის შესახებ თავში მოიცავს როგორც საკანონმდებლო აქტებს (კონსტიტუცია, პატიმრობის კოდექსი და სხვა), ასევე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს (მინისტრის ბრძანებები). შესაბამისად, კოდექსის დებულება არ უნდა იყოს დეკლარაციული ხასიათის მატარებელი და იმდაგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ კანონმდებელს და სხვა ნორმატიული აქტების ავტორებს ვალდებულებას აკისრებდეს, მისაღები აქტები შეუსაბამონ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

კოდექსი არ ითვალისწინებს მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. მივიჩნევთ, რომ მნიშვნელოვანია, მსჯავრდებულს მიეცეს უმაღლესი განათლების მიღების უფლებაც, თუნდაც ეს უფლება პირობადებული იყოს. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით სასჯელადსრულებისა და განათლების მინისტრებმა ჩამოაყალიბეს დისტანციური სწავლების საერთო კონცეფცია, რომლის საჭიროება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თუ მსჯავრდებულებს საერთოდ აღარ ექნებათ უმაღლესი განათლების მიღების საშუალება.

„ადმინისტრაციას ეკრძალება შეაჩეროს ან შეამოწმოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრის, სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საერთაშორისო ორგანიზაციის, რომელიც შექმნილია საქართველოს მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებების

საფუძველზე, სამინისტროს, დეპარტამენტის, სახალხო დამცველის, დამცველის, პროკურორისათვის, გაგზავნილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცხადება და საჩივარი.³³

არამართებულია მხოლოდ განცხადებისა და საჩივრის შემოწმებისა და შეჩერების აკრძალვა, რადგანაც ანალოგიური დაცულობით უნდა სარგებლობდეს ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტაციაც, რომელიც ზემოხსენებულ ორგანოებს თავისუფლებააღკვეთილ პირთაგან ეგზავნებათ. ეს შეიძლება იყოს ახსნა-განმარტება, წერილი და სხვა.

კოდექსის მიხედვით ბრალდებულს/მსჯავრდებულს, მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შეიძლება მიეცეს ხანმოკლე პაემნის უფლება. პირთა ნუსხა, რომელთანაც შეხვედრის უფლება აქვს თავისუფლებააღკვეთილ პირს, განსხვავებით მანამდე მოქმედი საკანონმდებლო აქტისგან, გაზრდილია, რაც მისასაღმებელია, თუმცა მნიშვნელოვანია, ჩამონათვალში შედიოდნენ მეგობრებიც, როგორც ამას ითვალისწინებს გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები: „აუცილებელი ზედამხედველობის პირობებში პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რომ მიმოწერისა და ვიზიტების საშუალებით რეგულარული ურთიერთობა იქონიონ ოჯახებთან და შეუზღუდავი რეპუტაციის მქონე მეგობრებთან.“³⁴

მართალია, კოდექსით განსაზღვრულია, რომ პაემნის დროს ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პატივისა და ღირსების შეუზღუდავად, თუმცა მიგვაჩნია, რომ აქვე უნდა იყოს მოხსენიებული ბრალდებულის/მსჯავრდებულისა და მისი საკონტაქტო პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის ვალდებულებაც.

კოდექსით აკრძალულია ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის სატელეფონო საუბარი. აღნიშნულის ცალსახა აკრძალვა არ მიგვაჩნია მართებულად. უნდა არსებობდეს სატელეფონო საუბრის უფლება ახლო ნათესავებთან, რომელთა ნუსხაც მოცემულია კოდექსში, თუ ისინი სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდიან სასჯელს. კანონმდებელს შეუძლია, განსაზღვროს ამ უფლების შეზღუდვის შემთხვევები (მაგ. გამოძიების ინტერესები, უსაფრთხოება), თუმცა ყოველი ასეთი შეზღუდვა ჯეროვნად უნდა იყოს დასაბუთებული კონკრეტული საქმიდან გამომდინარე.

კოდექსის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯგუფს დაწესებულების ტიპით გათვალისწინებული შეზღუდვების შესაბამისად შეიძლება ჰქონდეს პირადი რადიომიმღები და ტელევიზორი მხოლოდ წინასწარი პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის თანხმობით, თუ მათი გამოყენება არ არღვევს დაწესებულების დებულებას და სხვა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიმშვიდეს. მათ

³³ 2010 წლის 24 სექტემბერს პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-6 ნაწილს ჩაემატა სიტყვა „მოთხოვნა“.

³⁴ 37-ე წესი

აღნიშნული ტექნიკა შეიძლება შეიძინონ თავიანთი ხარჯებით ან მიიღონ ახლო ნათესავებისაგან.

მიგვაჩნია, რომ პირადი ტელევიზორისა და რადიომიმღების ქონის უფლება უნდა ჰქონდეს ყველა პატიმარს, ხოლო ადმინისტრაციას ჰქონდეს შესაძლებლობა, კონკრეტულ შემთხვევებში დასაბუთებულად შეუზღუდოს თავისუფლებააღკვეთილ პირებს ამ უფლებით სარგებლობა.

კოდექსში ასევე აღნიშნულია ადმინისტრაციის ვალდებულება, უზრუნველყოს მსჯავრდებულთათვის თეთრეულის მიწოდება და სისუფთავე. ამავდროულად, არაფერია ნათქვამი იმ მინიმალურ პერიოდულობაზე, როდესაც უნდა იცვლებოდეს თეთრეული. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კოდექსში მიეთითოს იმ მინიმალურ რაოდენობაზე მაინც, როდესაც უნდა გამოიცვალოს თეთრეული.

კოდექსის არსებული რედაქციით *ბრალდებულს/მსჯავრდებულს საკუთარი ხარჯებით აქვს პირადი ექიმის მოწვევის შესაძლებლობა მხოლოდ დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში და დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებართვით.*

საკუთარი სახსრებით ექიმის მოწვევის უფლება პირდაპირ გამომდინარეობს მკურნალი ექიმის არჩევის უფლებიდან, რაც პაციენტის ინდივიდუალური უფლებაა³⁵ და მისი შეზღუდვა დაუშვებელია კანონმდებლობით. შესაბამისად, აღნიშნული უფლება, პატიმრებთან დაკავშირებით, უნდა არსებობდეს დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე. მხოლოდ განსაკუთრებული მოსაზრებებიდან გამომდინარე (მაგ., უფლების ბოროტად გამოყენება) უნდა იყოს შესაძლებელი, თავისუფლებააღკვეთილ პირს დასაბუთებული უარი ეთქვას ამ უფლების განხორციელებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილება ციხის სამედიცინო პერსონალის მისაღება.³⁶ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ექიმს უნდა ჰქონდეს ვალდებულება, შუამდგომლობით მიმართოს დაწესებულების ადმინისტრაციას მსჯავრდებულის მიერ მოთხოვნილი ექიმის დაწესებულებაში დაშვების თაობაზე. ნებისმიერი ამ უფლების შეზღუდვა ინდივიდუალურად უნდა იყოს დასაბუთებული.

კოდექსის თანახმად, ადმინისტრაცია ვალდებულია, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღების შესახებ აცნობოს გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოსა და ბრალდებულის ახლო ნათესავს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა. აღნიშნული

³⁵ პაციენტის უფლებების ევროპული ქარტიის V თავის მიხედვით, „ყველას უფლება აქვს თავისუფლად აირჩევან გააკეთოს განსხვავებული სამკურნალო პროცედურებიდან და ჯანდაცვის მომსახურებების განსხვავებულ მიმწოდებლებს შორის, ადეკვატური ინფორმაციის საფუძველზე.“

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1998 წლის 8 აპრილის რეკომენდაციის Rec 98(7) „ციხის ჯანდაცვის ეთიკური და ორგანიზაციული საკითხების შესახებ“, პარაგრაფი 17: „ (...) მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, მოითხოვონ მეორე სამედიცინო აზრი. აღნიშნული მოთხოვნა ციხის ექიმმა კეთილგანწყობით უნდა განიხილოს. (...)“.

³⁶ იმავე რეკომენდაციის მე-17 პარაგრაფის მესამე წინადადება: „ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერი გადაწყვეტილება მსჯავრდებულის ამ მოთხოვნის საფუძვლიანობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საბოლოო ჯამში ექიმის პასუხისმგებლობაში შედის.“

წესი არ ითვალისწინებს გასაგზავნი შეტყობინების ფორმას (წერილობითი ან ზეპირი), რაც პრაქტიკაში წარმოშობს პრობლემებს, განსაკუთრებით ბრალდებულის/მსჯავრდებულის ახლო ნათესავებისათვის ინფორმაციის მიწოდების კუთხით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კოდექსი ადგენდეს ინფორმაციის მიწოდების ფორმას და ზეპირი ან სატელეფონო სახით მიწოდებისას მისი დოკუმენტირების აუცილებლობას.

კოდექსის მიხედვით სამინისტროს ადგილობრივი საბჭო ზეპირი მომსმენის გარეშე, მინისტრის მიერ დადგენილი კრიტერიუმების გამოყენებით ადგენს, დაუშვას თუ არა პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობა ზეპირ მოსმენაზე. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანება განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც უნდა შედგეს წინასწარი (ზეპირი მოსმენის გარეშე) შეფასება. აღნიშნული კრიტერიუმები – დანაშაულის სიმძიმე, პირის ქცევა, მსჯავრდებულის პიროვნება, ოჯახური პირობები (რაც, ბრძანების მიხედვით, მოიცავს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან), ნასამართლეობა – თავისთავად წარმოადგენს პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობებს. შესაბამისად, თუ მათი პირველადი შეფასება მოხდება ზეპირი მოსმენის გარეშე და მით უმეტეს, ამგვარი შეფასების შედეგად საქმე აღარ განიხილება ზეპირი მოსმენით, პრაქტიკულად აზრი ეკარგება ზეპირ მოსმენაზე მსჯავრდებულის და/ან მისი ადვოკატის დასწრებას. უმჯობესი იქნებოდა, ისეთი სუბიექტური საკითხები, როგორებიცაა მსჯავრდებულის პიროვნება ან მისი დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, განხილული ყოფილიყო მხოლოდ ზეპირ მოსმენაზე, მსჯავრდებულის თანდასწრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ თავისთავად კრიტერიუმების ნათლად ჩამოყალიბება და შეფასების სისტემის შემოღება უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეფასება მოხდება ზეპირი მოსმენის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეფასება ფორმალური იქნება და ბოლომდე ვერ ასახავს მსჯავრდებულის რეალურ მდგომარეობას.

კოდექსის 54-ე მუხლის ფორმულირება, რომელიც აუდიო-ვიდეოკონტროლის უფლებას იძლევა „*ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფაქცევის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით*“, ძალიან ზოგადია და ზედმეტ დისკრეციას ანიჭებს ადმინისტრაციას. ამგვარი კონტროლის გამოყენების ყოველი შემთხვევა სათანადო და ინდივიდუალურ დასაბუთებას უნდა მოითხოვდეს, ხოლო ამგვარი დასაბუთების ვალდებულება კანონში უნდა აისახოს.

პატიმრობის კოდექსის მიხედვით ხელბორკილის ან დამაწყნარებელი პერანგის გამოყენების გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი და აცნობებს სამედიცინო მუშაკს. აღნიშნული დისპოზიცია გარკვეულწილად ეწინააღმდეგება გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს, რომელთა თანახმად *დირექტორი მოვალეა, დამორჩილების საშუალებების გამოყენებისას, ეჭიმთან*

წინასწარ დაუყოვნებელი კონსულტაციის შემდეგ მოხსენება წარუდგინოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.³⁷

კოდექსით არ არის განსაზღვრული და უნდა განისაზღვროს დაწესებულების დებულების დარღვევის შემთხვევაში დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის მაქსიმალური ხანგრძლივობა, ასევე, მისი ნახევრად ღია ტიპის ს/ა დაწესებულებაში დაბრუნების პირობები.

გრძელვადიანი პაემნით სარგებლობის უფლება

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პატიმრებისათვის საანგარიშო პერიოდში ერთ–ერთ ძირითად პრობლემას კონტაქტური და გრძელვადიანი პაემნების არარსებობა წარმოადგენდა. სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა რეკომენდაციით შესაბამის ორგანოებს გრძელვადიანი პაემნების კვლავ დაშვების მიზნით.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა, თავის მხრივ, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პატიმრების მიერ ოჯახის წევრებთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობას, რის უმნიშვნელოვანეს საშუალებადაც გრძელვადიანი პაემნების კვლავ დაშვება მიიჩნია და რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს კანონმდებლობაში.³⁸ რაც შეეხება მოკლევადიან პაემნებს, კომიტეტის დასკვნაში მითითებულია, რომ ისინი შუშით გადატიხრულ ოთახში, რაც ყოველგვარ ფიზიკურ კონტაქტს გამორიცხავს, მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევებში და შესაბამისი დასაბუთებით უნდა ხდებოდეს.³⁹

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ საშუალება მიეცეთ პატიმრებს, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები მაქსიმალურად ნორმალურ გარემოში“⁴⁰. „ციხის ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს პატიმრებს გარე სამყაროსთან ადეკვატური კონტაქტის შენარჩუნებაში და უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი მხარდაჭერით“⁴¹.

2010 წლის მეორე ნახევარში საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ინიციატივით გამოვიდა მსჯავრდებულთა გარკვეული ნაწილისთვის გრძელვადიანი პაემნების უფლების მინიჭების თაობაზე. 2010 წლის ბოლოს გრძელვადიანი პაემნებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის მშენებლობა უკვე დასრულდა სამი დაწესებულების – არასრულწლოვანთა N11, რუსთვის N16 და რუსთავის N6 დაწესებულებების ტერიტორიაზე.

2011 წლის 25 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი⁴², რომლის სულისკვეთება – გრძელვადიანი პაემნების კვლავ შემოღება – უდავოდ

³⁷ გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები. მუხლი 33.

³⁸ პარ. 109

³⁹ პარ. 110

⁴⁰ 24.4 –ე წესი

⁴¹ 24.5–ე წესი

⁴² ამოქმედდა 2011 წლის 10 მარტიდან.

მისასაღმებელია, თუმცა მიღებული კანონის რედაქციით, პაემანი არ ეძლევათ დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხანგრძლივი პაემანი, პირველ რიგში, რესოციალიზაციისა და ახლობლებთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა, დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს, არანაკლებ ესაჭიროებათ, თუ უფრო მეტად არა, გარე სამყაროსთან კონტაქტისა და საზოგადოებასთან ინტეგრირების აღნიშნული საშუალება.

მორიგი საკითხი, რომელიც პრობლემურია და პაემანზე (როგორც ხანმოკლე, ასევე ხანგრძლივ) უარს უკავშირდება, გადაწყვეტილების ფორმაა. პაემნის განხორციელების ან განხორციელებაზე უარის შესახებ ინფორმირების ვადების კანონით განსაზღვრა იმთავითვე დადებითი გადაწყვეტილებაა. თუმცა, რიგი გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ადმინისტრაციის გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით ჩამოყალიბდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია:

- ფორმალზად იქცეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის მოვალეობა, მხოლოდ მოტივირებული საფუძვლების არსებობისას განაცხადოს უარი პაემნის განხორციელებაზე;
- ვერ დაკმაყოფილდეს მსჯავრდებულის/მისი ოჯახის წევრის ინტერესი უფლების შეზღუდვის საფუძვლების ცოდნის შესახებ.

კოდექსის, მე-17² მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ხანგრძლივი პაემანი არის მსჯავრდებულის ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირებთან ერთად ცხოვრება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, მსჯავრდებულის ან ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირების ხარჯით, ადმინისტრაციის წარმომადგენლის დაუსწრებლად.“

ის ფაქტი, რომ კანონით განსაზღვრულ პირებთან ერთად ცხოვრება მსჯავრდებულის რესოციალიზაციას ხელს შეუწყობს, დავას არ იწვევს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ პაემნის მსჯავრდებულის ან კანონით განსაზღვრული პირების ხარჯით განხორციელება გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს.

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით შესაძლოა, მსჯავრდებულთა (მათი ოჯახის წევრთა) დიდმა ნაწილმა პაემნის განსახორციელებლად საჭირო თანხები ვერ გამოიხდოს. ეს, ერთი მხრივ, არღვევს ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად ადამიანთა თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს, ხოლო, მეორე მხრივ, გამოიწვევს მსჯავრდებულთა შორის სოციალური უთანასწორობის გრძნობის ჩამოყალიბებასა და გაღიზიანებას.

ბუნებრივია, ხანგრძლივი პაემნის მოსაწყობად საჭირო ინფრასტრუქტურის მომზადება და პაემნით მოსარგებლეთათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ფინანსურ ვალდებულებებს წარმოშობს. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პატიმრის უფლება, კავშირი იქონიოს ოჯახის წევრებთან, მათ შორის პაემნის

განხორციელების გზით, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული უფლებაა და სახელმწიფოსგან შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას საჭიროებს. აღნიშნული ვალდებულებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია, სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლებს მიეცეთ პაემნის უფასოდ განხორციელების შესაძლებლობა.

„პატიმრობის კოდექსის“ თანახმად, ხანგრძლივი პაემნის მიცემის საკითხს წყვეტს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი. ინიცირებული პროექტი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის უარის გასაჩივრების შესახებ ჩანაწერს არ შეიცავს.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. „კონსტიტუციის 42-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა არა მარტო უფლების დარღვევის შემთხვევაში, არამედ ნებისმიერი იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც პირდაპირ თუ ირიბ გავლენას იქონიებს პირის უფლების შინაარსსა თუ შეზღუდვებზე“, - განმარტავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და დასძენს, რომ უფლების შეზღუდვა მხოლოდ ლეგიტიმური საჯარო ინტერესების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი.⁴³

შესაბამისად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაცული იყოს, ერთი მხრივ, სასამართლოსთვის მიმართვის კონსტიტუციური უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, უფლება, რომლის დასაცავადაც სასამართლოსთვის მიმართვა ხდება, მიზანშეწონილია „პატიმრობის კოდექსში“ კონკრეტული ჩანაწერის გაკეთება პაემანთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესისა და პირობების შესახებ.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ხსენებული ნორმები პარლამენტში წარმოდგენილი იყო კანონპროექტის სახით, სახალხო დამცველმა მასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული შენიშვნები და მოსაზრებები წარმოადგინა. თუმცა, სამწუხაროდ, კანონის მიღების დროს ისინი გათვალისწინებული არ ყოფილა.

წინადადება საქართველოს პარლამენტს: პატიმრობის კოდექსში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა კატეგორიის მსჯავრდებულთა უფლებას გრძელვადიან პაემნებზე.

⁴³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის სამმართველოს დაქვემდებარებული დროებითი მოთავსების იზოლატორები

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფი დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის დროს ხელმძღვანელობს ევროპულ ციხის წესებსა⁴⁴ და ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) მიერ საქართველოსთვის გაცემულ რეკომენდაციებში ჩამოყალიბებული სტანდარტებით.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც წინა წლებში, მონიტორინგის ჯგუფის წევრებს არცერთ დროებითი მოთავსების იზოლატორში დაბრკოლებები არ შეჰქმნიათ და ადმინისტრაციამ სრულად ითანამშრომლა პრევენციულ ჯგუფთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული იყო 21603 პირი, მათ შორის სისხლისსამართლებრივი წესით დაკავებული 13 009; ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული – 2839; ადმინისტრაციული წესით დაკავებული – 7684; 19 არასრულწლოვანი გოგო და 437 არასრულწლოვანი ბიჭი.

2010 წელს დმი–ში მოთავსებულ პირთაგან 71–მა დაკავებულმა პირმა განაცხადა პრეტენზია დაკავების დროს პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებაზე. თვითდაზიანება მიიყენა 22–მა დაკავებულმა.

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ადგილზე შეამოწმეს დმი–ში განთავსებულ დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნები და გარეგნული დათვალიერების ოქმები. დოკუმენტაციის შემოწმებისას ისევე, როგორც დაკავებულ პირებთან გასაუბრებისას, ყურადღება გამახვილდა მათთან მოპყრობაზე როგორც პოლიციის, ისე იზოლატორების თანამშრომელთა მხრიდან. დათვალიერდა ინფრასტრუქტურა – საკნები, საგამოძიებო ოთახები, ინვენტარი, საკვების შენახვის პირობები. ადმინისტრაციასთან და დაკავებულებთან/პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა კვების, შხაპის მიღების, სუფთა ჰაერზე ყოფნის პერიოდულობა.

მონიტორინგის შედეგად არ დაფიქსირებულა დაკავებულებისთვის ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების შელახვა – ყველა დაკავებული აღნიშნავს, რომ დმი–ში მათ არ შეზღუდვიათ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა.

⁴⁴ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია REC 2006(2).

არასათანადო მოპყრობის ფაქტები და მათი დოკუმენტირება

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფს არ დაუფიქსირებია დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის არცერთი შემთხვევა, თუმცა ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც პირი დმი–ში ხვდება სხვადასხვა სახის დაზიანებით.⁴⁵ ყველა დმი–ში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვით, თუ თავად დაკავებული არ აცხადებს პრეტენზიას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, დაზიანებების შესახებ არ ეცნობება პროკურატურას, მაშინაც კი, როდესაც მათი ხასიათიდან გამომდინარე, ჩნდება არასათანადო მოპყრობის ეჭვი.

დაკავებულის პრეტენზიისას ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის ადმინისტრაცია, როგორც წესი, დაზიანებებისა და დაკავებულის პრეტენზიის თაობაზე აცნობებს ზედამხედველ პროკურორს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოს.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაზიანებები აღირიცხება იზოლატორების თანამშრომლების მიერ.

სამედიცინო მომსახურების ხარვეზები

CPT-მ 2010 წლის 5–15 თებერვლის ვიზიტის ამსახველ ანგარიშში საქართველოს მთავრობისადმი უარყოფითად შეაფასა დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსების დროს გარეგნული დათვალიერების პრაქტიკა, რაზეც ასევე არაერთხელ იყო საუბარი სახალხო დამცველის ანგარიშებში. კერძოდ, პირის გარეგნულ დათვალიერებას თბილისის N1 და N2 დმი–ების გარდა, რომლებსაც ემსახურება ექიმი, ატარებს იზოლატორის მორიგე, რომელსაც ასევე ხელი მიუწვდება ყველანაირ სამედიცინო ჩანაწერზე. ამგვარად, ირლვევა სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობა. გარდა ამისა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ თანამშრომლის დასწრება ექიმთან გასაუბრებაზე ხელს შეუშლის დაზარალებულ პირს, ღიად განაცხადოს დაზიანებების წარმოშობის შესახებ. CPT-ის რეკომენდაციაა, გარეგნული დათვალიერება ჩატარდეს მხოლოდ ექიმის მიერ, ასევე დაცული იყოს სამედიცინო ჩანაწერების კონფიდენციალურობა. იმ შემთხვევაში, თუ პირს აღენიშნება დაზიანებები და მიუთითებს არასათანადო მოპყრობაზე, მას მყისიერად უნდა ჩაუტარდეს სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა დამოუკიდებელი ექიმის მიერ, რომელიც ამავდროულად შეაფასებს პირის განაცხადის შესაბამისობას დაზიანებების ხასიათთან.⁴⁶

CPT-ის ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ დმი–ებში არ არის ხელმისაწვდომი ფსიქიატრიული დახმარება, რომელიც აუცილებელია ფსიქიკური პრობლემების,

⁴⁵ პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევების შესახებ იხ. ზემოთ „დაკავების დროს ძალის გადამეტება“.

⁴⁶ პარ. 23

ალკოჰოლური ან ნარკოტიკული დამოკიდებულების მქონე პირებისთვის, რომელთა 72 სთ-ით დაკავებამ შეიძლება სერიოზული კლინიკური პრობლემები გამოიწვიოს. კომიტეტის თქმით, იზოლაციის თანამშრომლებს არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია აღნიშნული პრობლემის შესახებ. CPT-ის რეკომენდაციაა, ამგვარი შემთხვევების დროს ყოველთვის ხელმისაწვდომი იყოს სამედიცინო დახმარება და სპეციალისტის კონსულტაცია.⁴⁷

მონიტორინგის ჯგუფთან საუბრისას ზოგიერთი დმი-ს ადმინისტრაცია უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მათ არ აქვთ სათანადო პირობები და საშუალებები წამალდამოკიდებული ან ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისათვის, რაც ბევრ პრობლემას უქმნით მუშაობაში.

2010 წლის ბოლომდე არსებული რედაქციით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: „დაკავების ადგილას მიყვანისთანავე დაკავებული ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ და უნდა შედგეს სათანადო ცნობა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა დაკავებულის შეყვანისთანავე დროებითი მოთავსების იზოლაციური ან პოლიცია იმახებდა სასწრაფო სამედიცინო დახმარებას.

2010 წლის 10 დეკემბერს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით „დაკავების ადგილას მიყვანისთანავე დაკავებული ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ და უნდა შედგეს სათანადო ცნობა“.

ამგვარად, ზემოაღნიშნული ცვლილება აღარ ავალდებულებს იზოლაციის ადმინისტრაციას, ყველა დაკავებული შემოწმდეს ექიმის მიერ. ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, 44-იდან მხოლოდ 2 იზოლაციურ ემსახურება ექიმი, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საყურადღებოა, რომ საკმაოდ ხშირ შემთხვევაში, იზოლაციის ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფს სასწრაფო დახმარების ექიმთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას სტაციონირებისა და სპეციალისტთან კონსულტაციის თვალსაზრისით.

რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- დაინერგოს დაზიანებათა აღწერის უნიფიცირებული სისტემა;
- განხორციელდეს დროებითი მოთავსების იზოლაციის თანამშრომელთა სათანადო ტრენინგი დაზიანებათა აღწერის საკითხებში;
- დმი-ს თანამშრომელთა მიერ პროკურატურის ინფორმირება მოხდეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პირს დაზიანებები მიღებული აქვს დაკავებისას ან დაკავების შემდგომ პერიოდში; ასევე, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც

⁴⁷ პარ. 28

დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანებები არასათანადო მოპყრობის ეჭვს ბადებს;

- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში უზრუნველყოფილი იქნეს ექიმის შტატის დამატება;
- დმი-ში მოთავსებისას გარეგნული დათვალიერება ჩატარდეს სამედიცინო პერსონალის მიერ;
- დაცული იყოს სამედიცინო ჩანაწერების კონფიდენციალურობა;
- უზრუნველყოფილი იქნეს წამალდამოკიდებულ და ფსიქიკური პრობლემების მქონე დაკავებულთა ჯეროვანი სამედიცინო დახმარება და მეთვალყურეობა;
- უზრუნველყოფილი იქნეს სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება.

სატელეფონო შეტყობინების უფლება

სპეციალური პრევენციული ჯგუფი ხშირად შეხვედრია დაკავებულებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათ არ მიეცათ საშუალება, დაჰკავშირებოდნენ ოჯახის წევრებს. CPT-მ დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს დაკავებული პირის უფლებას, შეატყობინოს ახლობლებს დაკავების შესახებ, თუმცა აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში ეს უფლება არასათანადოდაა რეალიზებული. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ არამართებული პრაქტიკა სწორედ კანონმდებლობის ხარვეზით არის გამოწვეული, რომელშიც, მართალია მოხსენიებულია შეტყობინების უფლება, მაგრამ არ არის დაზუსტებული, რა ეტაპზე და ვის მიერ უნდა განხორციელდეს იგი.

წინადადება საქართველოს პარლამენტს: კანონმდებლობაში დაზუსტდეს დაკავებისას სატელეფონო შეტყობინების განხორციელების წესი და პროცედურები.

საყოფაცხოვრებო პირობები

2010 წლამდე პრაქტიკულად არ არსებობდა დროებითი მოთავსების იზოლატორების მუშაობის მარეგულირებელი არანაირი კანონქვემდებარე აქტი. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 თებერვლის N108 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესისა და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, რომლითაც ამჟამად ხელმძღვანელობს დროებითი მოთავსების იზოლატორების ადმინისტრაცია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინსტრუქციის დამტკიცება წინგადადგმული ნაბიჯია, გამოიკვეთა ბრძანების ზოგიერთი დისპოზიციის შეუსაბამობა ევროპულ სტანდარტებთან.

ზემოაღნიშნული ბრძანების მე-9 მუხლის თანახმად: „*გასეირნება ტარდება მხოლოდ იმ ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული პირებისათვის, რომელთაც განსაზღვრული აქვთ ადმინისტრაციული პატიმრობა ადმინისტრაციული სახდელის სახით, არანაკლებ 15 დღის ვადით*“.

ზემოაღნიშნული დისპოზიცია არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, რადგან ციხის ევროპული წესების 27.1 წესის თანახმად, ყოველ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ყოველდღიურად მინიმუმ ერთი საათი მაინც ივარჯიშოს სუფთა ჰაერზე, თუ ამინდი იძლევა ამის საშუალებას⁴⁸.

2010 წლის ანგარიშში CPT-მ საქართველოს მთავრობას მიმართა რეკომენდაციით, უზრუნველყოს 24 საათზე მეტი ხნით დაკავებულთა/პატიმართა ყოველდღიური გასეირნების უფლება. შესაბამისად, საჭიროა, ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორს ჰქონდეს საკუთარი სასეირნო ეზო⁴⁹. ზოგიერთ ახალ დროებითი მოთავსების იზოლატორში სასეირნო ეზოდ გამოიყენება დერეფნები⁵⁰, რაც ყოველად გაუმართლებელია.

სახალხო დამცველმა არაერთხელ გასცა რეკომენდაცია დროებითი მოთავსების იზოლატორებში ეზოების მოწყობის თაობაზე და დაკავებულების ყოველდღიური გასეირნების უფლების უზრუნველყოფაზე, თუმცა დროებითი მოთავსების იზოლატორების უმეტესობას სასეირნო ეზო არ გააჩნია.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N108 ბრძანებით არ არის განსაზღვრული დაკავებულებისათვის/პატიმრებისათვის შხაპის მიღების შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული ბრძანების მე-4 მუხლის პირველი ნაწილში ჩამოყალიბებულია ის პირობები, რომლებიც დროებითი მოთავსების იზოლატორში უნდა იყოს უზრუნველყოფილი: „*იზოლატორში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური და საერთო პირობები უზრუნველყოფს ადამიანის ღირსეულ არსებობას, მისი პატივისა და ღირსების პატივისცემას, პიროვნების ხელშეუხებლობას, თავისი ინტერესების დაცვის უნარს*“; დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის პირველი მუხლის თანახმად, დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული პირი ვალდებულია, „*დაიცვას პირადი ჰიგიენისა და სისუფთავის წესები*“.

ციხის ევროპული წესების 19.4-ე წესის თანახმად, „*ადეკვატური სამყოფელით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს, რათა ყოველმა პატიმარმა შეძლოს შხაპით ან აბაზანით სარგებლობა კლიმატისადმი შესატყვისი ტემპერატურის პირობებში. თუ ეს*

⁴⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია REC 2006(2).

⁴⁹ სასეირნო ეზოები არ არის დუშეთის, ყაზბეგის, თეთრიწყაროს, წალკის, მარნეულის, სიღნაღის, საგარეჯოს, კასპის, იმერეთის, ზესტაფონის, სამტრედიის, ბაღდათის, თერჯოლის, ამბროლაურის, ლენტეხის, ბორჯომის, ადიგენის, ქობულეთის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ფოთის, ხობის, ჩხორწყალის დმი-ებში, ასევე, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

⁵⁰ თბილისის N1 და გურიის რეგიონული დმი-ები.

შესაძლებელია ყოველდღიურად ან კვირაში ორჯერ მაინც (თუ საჭიროა უფრო ხშირადაც), ზოგადი ჰიგიენის ინტერესებიდან გამომდინარე“.

სისუფთავისა და პირადი ჰიგიენის დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პატიმართა ღირსებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ამდენად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ნებისმიერ პატიმარს მიეცეს შხაპით სარგებლობისა და სისუფთავის დაცვის საშუალება.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ იმ დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სადაც მოწყობილია საშხაპე ოთახები, პატიმრებს შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ შხაპი კვირაში ერთხელ, თუმცა პრობლემად რჩება ის დროებითი მოთავსების იზოლატორები, სადაც არ არის საშხაპე ოთახები⁵¹.

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში ასევე არ არის გათვალისწინებული დაკავებულებისთვის/პატიმრებისათვის სუფთა თეთრეულის მიწოდება. ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში საწოლებზე დაგებულია ტყავგადაკრული ლეიბი და საკანში განთავსებისას დაკავებულებს/პატიმრებს ეძლევათ გადასაფარებლები. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ უკეთეს შემთხვევაში გადასაფარებლების გარეცხვა ხდება თვეში ერთხელ. შესაბამისად, იქმნება სხვადასხვა დაავადებისა და პარაზიტების გავრცელების საფრთხე. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე დროებითი მოთავსების იზოლატორი, სადაც გადასაფარებლები ირეცხება რეგულარულად და ყველა დაკავებულს/პატიმარს ეძლევა სუფთა გადასაფარებელი (თბილისის N2 და ჩოხატაურის დროებითი მოთავსების იზოლატორები).

ციხის ევროპული წესების 21-ე წესის თანახმად, „ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით და ცალკე სათანადო ქვეშაგებით, რომლებიც მოწესრიგებულ მდგომარეობაში უნდა იქონიოს და შეიცვალოს იმდენად ხშირად, რომ მისი სისუფთავე იქნეს დაცული“.

მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა, ზოგიერთ დროებითი მოთავსების იზოლატორებში საწოლების მაგივრად კვლავ გამოიყენება ფიცარნაგი.

ციხის ევროპული წესების 19.3 წესის თანახმად, „პატიმრებს იოლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი საპირფარეშოებზე, რომლებიც უნდა იყოს ჰიგიენური და იძლეოდეს განმარტოების საშუალებას“⁵².

დროებითი მოთავსების იზოლატორების უმრავლესობაში საპირფარეშოები საკნებშია განთავსებული და არის ნახევრად იზოლირებული. ეს შეეხება ახლად გარემონტებულ იზოლატორებსაც. ცალკე აღნიშვნის ღირსია ამბროლაურის დროებითი მოთავსების იზოლატორი, სადაც საკნებში ე. წ. თურქული ტუალეტები დაახლოებით 50 სმ-ის

⁵¹ საშხაპე ოთახები არ არის დუშეთის, ყაზბეგის, სამტრედიის, ბაღდათის, ლენტეხის, ადიგენის, ახალქალაქის, ლანჩხუთის და მესტიის დროებითი მოთავსების იზოლატორებში; წალკის დმი-ში არის საშხაპე ოთახი, თუმცა მასში 2010 წლის მეორე ნახევრის მონიტორინგის დროს არ იყო დამონტაჟებული წყლის გამათბობელი.

⁵² ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია REC 2006(2).

სიმაღლეზე, ყოველგვარი იზოლირების გარეშეა დამონტაჟებული კარის პირდაპირ და არათუ არ იძლევა განმარტოების საშუალება, არამედ ადამიანს ღირსების შემლახავ პირობებში აყენებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N108 ბრძანების მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, იზოლატორის ადმინისტრაციას ევალება „საკნების ბუნებრივი და ხელოვნური განათების, გათბობისა და ვენტილაციის უზრუნველყოფა“.

ზოგიერთ დროებითი მოთავსების იზოლატორების საკნებში არ არის გათბობის არანაირი საშუალება, რაც დაკავებულებს/პატიმრებს არაადამიანურ პირობებში აყენებს. ესენია: ბოლნისის, ყვარლის, ახალქალაქის, ბორჯომის, თერჯოლის, ბაღდათის, სამტრედიის, მესტიის, ლანჩხუთის დროებითი მოთავსების იზოლატორები.

დროებითი მოთავსების იზოლატორების უმრავლესობაში არ არის საკმარისი განათება და ვენტილაცია; ზოგიერთ მათგანს საერთოდ არ გააჩნია ფანჯარა (ახალციხე) ან ეს უკანასკნელი იმდენად მცირე ზომისაა, რომ ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივ ვენტილაციას და განათებას. ზოგიერთ დმი-ს საკნებში ფანჯრები საკმარისი ზომისაა, თუმცა სამმაგი გისოსები არ იძლევა განათებისა და ვენტილაციის საშუალებას (სიღნაღი).

ციხის ევროპული წესების თანახმად: „*ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს იკითხოონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათების ნორმალურ პირობებში, ასევე, იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიცირების ჯეროვანი სისტემა*⁵³;

„*ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს*⁵⁴“.

სახალხო დამცველმა არაერთხელ გასცა რეკომენდაცია თითოეული დაკავებულისათვის გათვალისწინებული ყოფილიყო სულ მცირე 4 კვ.მ. ფართი, რაც რეკომენდებულია წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ, თუმცა დღემდე მარნეულის, ამბროლაურის, თბილისის N1 და ბათუმის დმი-ს ზოგიერთი საკნის გარდა თითოეული დაკავებულისათვის გამოყოფილი ფართი არ აკმაყოფილებს 4 კვ.მ. სტანდარტს.

დადებითად უნდა აღნიშნოს, რომ 2010 წელს გაუქმდა ის დროებითი მოთავსების იზოლატორების ნაწილი, რომელთა ლიკვიდაციის თაობაზეც სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია. ესენია გორის, ხაშურის და ცაგერის დროებითი მოთავსების იზოლატორები; თუმცა დღემდე ფუნქციონირებს სამტრედიის დროებითი მოთავსების იზოლატორი, სადაც ადამიანის მოთავსება თუნდაც მცირე ხნით შეიძლება არაადამიანურ და ღირსებისშემლახავ მოპყრობად ჩაითვალოს.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის მეორე ნახევარში ბევრ დმი-ში მიმდინარეობდა რემონტი (მაგ. მარნეული, სიღნაღი, რუსთავი), რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ამ იზოლატორებში მდგომარეობა გაუმჯობესდება.

⁵³ 18.2 წესი – „ა“.

⁵⁴ 18.2 წესი – „ბ“

როგორც სახალხო დამცველის 2009 წლის ანგარიშში, ისე პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2010 წლის I ნახევრის სპეციალური ანგარიშში საუბარი იყო დროებითი მოთავსების იზოლატორების პირობების შეუსაბამობაზე ადმინისტრაციული პატიმრობამისჯილი პირებისთვის. დღევანდელი მდგომარეობით არცერთი დროებითი მოთავსების იზოლატორი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ იქ პირები განთავსებულნი იყვნენ 90 დღემდე ვადით: „ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირები უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ უფლებით, რომლებიც მსჯავრდებულებს აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი არამარტო ყოველდღიური გასეირნების უფლებით უნდა სარგებლობდნენ, არამედ უნდა ჰქონდეთ საშუალება, შეხვდნენ ოჯახის წევრებს, რასაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.“⁵⁵

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას: ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირებისთვის უზრუნველყოფილი იქნეს სპეციალური დაწესებულებების შექმნა რეგიონული პრინციპის გათვალისწინებით, რომლებიც ადაპტირებული იქნება პირთა ხანგრძლივი განთავსებისათვის.

რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- N108 ბრძანებაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რათა მასში აისახოს დაკავებულთა/პატიმართა ყველა უფლება;
- უზრუნველყოფილი იქნეს ყველა დაკავებულის/პატიმრის ყოველდღიური გასეირნების უფლება სუფთა ჰაერზე, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას;
- თითოეული დაკავებულისათვის უზრუნველყოფილი იქნეს 4 კვ.მ. ფართი;
- ყველა დმი–ში ლიკვიდირებული იქნეს ფიცარნაგები და ყველა დაკავებული უზრუნველყოს ინდივიდუალური საწოლით;
- თითოეული დაკავებული/პატიმარი უზრუნველყოფილი იქნეს სუფთა თეთრეულით, რომელიც, ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა შემთხვევაში, გამოიცვლება სათანადო რეგულარობით;
- 24 საათზე მეტი ხნით დაკავებულთათვის უზრუნველყოფილი იქნეს საკმარისი რეგულარობით შხაპის მიღების საშუალება;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნებში დამონტაჟდეს ცენტრალური გათბობა, ასევე, უზრუნველყოფილი იქნეს საკნების სათანადო განათება და ვენტილაცია, მათ შორის, ბუნებრივი გზით;
- მოხდეს იმ იზოლატორების ლიკვიდაცია, რომლებშიც ინფრასტრუქტურის თავისებურებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია სათანადო პირობების შექმნა;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში მოხდეს საპირფარეშოს იზოლირება;

⁵⁵ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2010 წლის პირველი ნახევრის სპეციალური ანგარიში.

კვება

თავის 2010 წლის ანგარიშში CPT კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მისი უკანასკნელი ვიზიტის შემდგომ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა დაკავებულთა საკვებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, კერძოდ, უზრუნველყოფილია დაკავებულთა სამჯერადი კვება.

თავად დმი-ს ადმინისტრაციის მიერ დაკავებულებს მიეწოდებათ სტანდარტული საკვები – პური, კონსერვის პაშტეტი და პაკეტის მშრალი სუპი. აღნიშნული საკვები არასრულფასოვანია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პირს შეიძლება 90 დღემდე მოუწიოს დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნა. აღნიშნულის კომპენსირებას მეტ-ნაკლებად ახდენს ამანათის სახით საკვები პროდუქტების შეგზავნის საშუალება, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავებულს/პატიმარს არ ჰყავს ახლობლები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მისთვის სრულფასოვანი საკვების მიწოდებას, მან შეიძლება რამდენიმე თვე გაატაროს ერთფეროვანი, არასრულფასოვანი საკვებით.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს: დროებით მოთავსების იზოლატორებში განთავსებული პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ სამჯერადი, სრულფასოვანი კვებით.

ჯანმრთელობის უფლების დაცვა პენიტენციურ სისტემაში

2010 წლის ბოლოს გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში „ჯანმრთელობის უფლების რეალიზება და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში“,⁵⁶ რომელიც მოიცავს 2009 წელს და 2010 წლის I ნახევრის პერიოდს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე თავში შევხებით მხოლოდ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც გამოვლინდა ან შენარჩუნდა მთელი 2010 წლის განმავლობაში.

• რეფორმა საქართველოს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში

საქართველოს პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის რეფორმის წარმატებული დაგეგმვისა და განხორციელების სურვილის მიუხედავად, რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უამრავ მნიშვნელოვან ხარვეზს და უზუსტობას შეიცავს. რეფორმის განხორციელების პროცესში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაწილეობა მინიმალური და არამკაფიო იყო. პროცესის დაგეგმვა და იმპლემენტაცია არ ეყრდნობა წინასწარ ჩატარებულ მიზანმიმართულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ (EBM) სამედიცინო საჭიროებათა კვლევას. ბოლო წლების განმავლობაში გატარებული ცვლილებები ფრაგმენტული ხასიათისაა და არ წარმოადგენს ერთიანი ჯაჭვის თანმიმდევრულ კომპონენტებს. რეფორმის სტრატეგია და გეგმა არ არის ჰარმონიზებული მოწინავე ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე ეროვნულ დონეზე წარმართულ სხვა სფეროებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პენიტენციური ჯანდაცვის განვითარება აბსოლუტურად არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებას ჯანმრთელობაზე, მისი რეალიზაციის გზებსა და მეთოდებს, რაც ხაზგასმითაა აღწერილი არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში, ასევე ეროვნულ ჯანდაცვის კანონმდებლობაში.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უზრუნველყოფილი იქნეს რეფორმის დაგეგმვისათვის გატარებულ სამუშაოებში, ასევე რეფორმის განმახორციელებელი და ხელშემწყობი ჯგუფის მუშაობაში ჯანდაცვის პროფესიონალთა უფრო ფართო ჩართულობა;
- უზრუნველყოფილი იქნეს ზემოაღნიშნული სამუშაოების, სხდომებისა და სხვა ღონისძიებების ყველა ეტაპის დოკუმენტირება.

⁵⁶ <http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/fyjmyknohidnexpmtvl.pdf>

- **სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ისევ, როგორც გასულ წლებში, 2010 წლის განმავლობაშიც საკმაოდ ინტენსიურად თანამშრომლობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთან. სახალხო დამცველის აპარატის მიერ, მოქალაქეთა განცხადებების და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, არაერთი მოთხოვნა გადაეგზავნა სააგენტოს, სადაც ვითხოვდით პაციენტისადმი ჩატარებული მკურნალობის ხარისხისა და ადეკვატურობის შეფასებას. აღნიშნული მექანიზმი ნაკლებად ეფექტურია სწრაფი რეაგირების აუცილებლობის შემთხვევაში, ვინაიდან შემთხვევის დაფიქსირებიდან საბოლოო რეაგირებამდე ხშირად რამდენიმე თვითაა პერიოდი საჭირო. მიუხედავად ამისა, ამ ბერკეტის სრულყოფილი ამოქმედება საკმაოდ ეფექტური გზაა პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში არსებული ნაკლოვანებების გარკვეული ნაწილის აღმოსაფხვრელად. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ასახავს ურთიერთობას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსა და სახალხო დამცველის აპარატს შორის 2010 წლის განმავლობაში:

საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვების საფუძველზე ჩატარებული შესწავლებით, საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ 73-ე, 74-ე და 75-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დააყენა არაერთი ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი.

მსჯავრდებულ პ.ა.-ს მკურნალობის ხარისხის განხილვის შედეგად დაისვა შპს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 5 ექიმ-ფსიქიატრის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ ექიმებს მიეცათ წერილობითი გაფრთხილება.⁵⁷

გარდაცვლილი პატიმრის, ი.თ.-ს საქმეში დაისვა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების 1 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი.⁵⁸

გარდაცვლილი პატიმრის, კ.ბ.-ს მკურნალობისას დაშვებული გადაცდომების გამო გეგუთის ყოფილი N8 (ამჟამად N14) დაწესებულების სამედიცინო ნაწილის ექიმ-ონკოლოგს 4 თვის ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება; მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების 2 ექიმს 1 თვის ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება; ამავე დაწესებულების 5 ექიმს მიეცა წერილობითი გაფრთხილება. წერილობითი გაფრთხილება მიეცა ასევე ლუდუშაურის

⁵⁷ წერილი №რს-017/32-4690 (14.12.2010)

⁵⁸ წერილი №რს-017/32-3635 (15.10.2010)

სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრის 1 ექიმს, ხოლო ამავე ცენტრის კიდევ 1 ექიმს 1 თვით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის 4 ექიმს მიეცა წერილობითი გაფრთხილება, ხოლო 1 ექიმს 1 თვით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება.⁵⁹

მსჯავრდებულ ნ.მ.-ს საქმეში სააგენტოს მიერ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დადგინდა უკანონო საექიმო საქმიანობის ფაქტები. კერძოდ, კარდიოლოგის მაგივრად ჩანაწერი გააკეთა ექიმმა ორთოპედ-ტრავმატოლოგმა, ხოლო უმცროსმა ექიმმა, რომელსაც არცერთ სპეციალობაში არ ჰქონდა სახელმწიფო სერტიფიკატი, პაციენტს გაუწია სამედიცინო მომსახურება. სააგენტო აქვე იტყობინება, რომ სამართალდარღვევის ფაქტის ჩადენიდან 2-თვიანი ვადის გასვლის გამო მათ აღარ აქვთ უფლება, შეადგინონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გადაგზავნონ სასამართლოში. შესაბამისად, არ ყოფილა დასმული პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხიც.⁶⁰

გარდაცვლილი პატიმრის, ჯ.ნ.-ს საქმის განხილვისას სააგენტომ დაადგინა, რომ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში წარმოებული ავადმყოფის ისტორია არ შეესაბამება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N108/ნ ბრძანებით დამტკიცებულ უნიფიცირებულ სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმებს. სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ ხონის N9 და ქუთაისის N2 დაწესებულებაში ადგილობრივ ექიმთა მიერ წარმოებული სამედიცინო ჩანაწერები იმდენად არასრულია, რომ მათი საშუალებით შეუძლებელია პაციენტის ზოგადი მდგომარეობის სრულყოფილი შეფასება. ამავე წერილით გვეცნობა, რომ დაისვა საკითხი პროფესიული პასუხისმგებლობის საბჭოს წინაშე 3 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის შესახებ.⁶¹

მსჯავრდებულ ნ.ნ.-ს საქმეში სააგენტომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის წინაშე დასვა საკითხი, რათა პენიტენციურ სისტემაში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაცია იწარმოებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N108/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნიფიცირებული სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმების შესაბამისად. დეპარტამენტის უფროსს ასევე მიეცა რეკომენდაცია ერთ-ერთი პაციენტის (რომლის მიმართ ჩატარებული მკურნალობის ხარისხის შეფასებასაც ითხოვდა სახალხო დამცველი) გამოკვლევა ნევროლოგიური და ორთოპედიული პროფილით ჩატარებულიყო განმეორებით. ამავე წერილის მიხედვით ნათელი ხდება, რომ რეგულირების სააგენტომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს პირდაპირ მიუთითა, რომ ზემოთ აღნიშნული ბრძანების დარღვევის გამო არ არის მიღებული პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე (ფორმა

⁵⁹ წერილი №რს-017/18-2946 (10.10.2010)

⁶⁰ წერილი №რს-017/32-121 (30.01.2010)

⁶¹ წერილი №რს-017/32-4504 (02.12.2010)

IV 300 12/ა); შესაბამისად, პაციენტი ვერ ინფორმირდა ამ ფორმით, ასევე, ვერ დაფიქსირდა ხელმოწერით ის გარემოება, იყო თუ არა პაციენტი თანახმა შემოთავაზებულ მკურნალობაზე.⁶²

პატიმარ დ.ტ.-ის ექსპერტიზის დასკვნიდან ირკვევა, რომ „პაციენტი არ გაუსინჯავს ნევროლოგს, მას ნევროლოგიური გამოკვლევები არ ჩასტარებია“. ექსპერტის მიერ არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე დაისვა დიაგნოზი და იქვე მიეთითა, რომ - „პაციენტი არის ქრონიკული ნევროლოგიური ავადმყოფი, სრული გამოჯანმრთელების პერსპექტივის გარეშე. საჭიროებს ნევროლოგის მეთვალყურეობას და სისტემურ მედიკამენტურ თერაპიას“. ამავე შემთხვევაზე, მეორე ექსპერტი მიუთითებს, რომ: „მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში წარმოებულ ისტორიაში არსებული ჩანაწერები აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასთან“.⁶³

მსჯავრდებულ ტ.ჩ.-ს მკურნალობის ხარვეზების გამო დაისვა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების 2 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი.⁶⁴

გარდაცვლილი მსჯავრდებულის, თ.ჩ.-ს საქმის განხილვის შედეგად სააგენტო მივიდა დასკვნამდე, რომ ქსნის N7 დაწესებულებაში წარმოებულ სამედიცინო დოკუმენტაცია არ იძლევა სრულ ინფორმაციას პაციენტის მდგომარეობის შესახებ. არ არის მითითებული მედიკამენტების დოზები და ჯერადობა. არ ჩანს ასევე ინფორმაცია ორჯერ დანიშნული მკურნალობის შედეგების თაობაზე.⁶⁵

მსჯავრდებულ მ.წ.-ს შემთხვევაში სააგენტოს მიერ პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების 4 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ.⁶⁶

მსჯავრდებულ ი.ხ.-ს საკითხის განხილვისას სააგენტოს მიერ პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების 1 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ.⁶⁷

გარდაცვლილი მსჯავრდებულის, კ.ხ.-ს საქმეში სააგენტოს მიერ პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომაზე მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების სამ ექიმს შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება შესაბამის სპეციალობაში, ხოლო სხვადასხვა სასჯელადსრულების დაწესებულების 5 ექიმს მიეცა წერილობითი გაფრთხილება.⁶⁸

⁶² წერილი №რს-017/32-86 (11.01.2011)

⁶³ წერილი №რს-017/32-3105 (25.08.2010)

⁶⁴ წერილი №რს-017/32-1277 (05.05.2010)

⁶⁵ წერილი №რს-017/32-4172 (17.11.2010)

⁶⁶ წერილი №რს-017/05-1274 (05.05.2010)

⁶⁷ წერილი №02/2648 (16.03.2011)

⁶⁸ წერილი №რს-017/32-601 (02.03.2010)

ზემოაღნიშნული წერილების მიხედვით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ ასევე არაერთხელ მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებას და რამდენიმე სამოქალაქო ტიპის სამკურნალო დაწესებულებას, შეესწავლათ მათ სისტემაში არსებული ხარვეზები და დაესახათ რეალური გზები მათ აღმოსაფხვრელად. ამავე წერილებიდან ირკვევა, რომ მხოლოდ სამოქალაქო ტიპის სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა (ლუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი, ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი და ა.შ.) მოახდინეს ამაზე ადეკვატური რეაგირება. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება, თავის მხრივ, წერილობით მიმართავდა სამედიცინო დეპარტამენტს და სთხოვდა, აღნიშნული ინფორმაცია მიეღო ცნობად. პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის მიერ ხარვეზების აღმოსაფხვრელად გადადგმულ რეალურ ნაბიჯებზე ან რაიმე ღონისძიების გატარებაზე სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს ინფორმაცია არ მოეპოვება. არასწორი მკურნალობის მანკიერი პრაქტიკა კვლავაც გრძელდება. ასევე უცნობია იმ ექიმთა ბედი, რომელთა მიმართაც გატარდა პროფესიული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, სამწუხაროდ, აღარ გვატყობინებს, აცნობა თუ არა პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სისტემის ხელმძღვანელობამ მათ, თუ რა სახის ღონისძიებები იქნა გატარდა და მისაღებია თუ არა ამ ღონისძიებების ხასიათი.

როგორც ჩანს, ასევე პრაქტიკულად არაეფექტურია უკანონო საექიმო საქმიანობის ფაქტებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება. აღნიშნულს ის ფაქტი განაპირობებს, რომ დარღვევის შესახებ ხშირად ისედაც მოგვიანებით ხდება ცნობილი. კორესპონდენციის მომზადება, გადამოწმება, გადაგზავნა, შემდგომ სააგენტოს მიერ მასალების შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. საბოლოოდ, რეგულირების სააგენტოს მიერ შესწავლის დასრულების შედეგ სამართალდარღვევის ხანდაზმულობის ვადა თითქმის ყოველთვის ამოწურულია. აქედან გამომდინარე, გამოსანახია უფრო ეფექტური მექანიზმი, რომელიც აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს ამ სისტემაში პაციენტთა უფლებებისა და ზოგადად ადამიანის უფლების „ჯანმრთელობაზე“ შეუფერხებელი რეალიზაციისათვის.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: დაევალოს სამინისტროს შესაბამის სამსახურს სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დასკვნებში მითითებული ხარვეზების დაუყოვნებლივ აღმოფხვრისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

რეკომენდაციები შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსს:

- პაციენტის მკურნალობისას დაშვებული გადაცდომების აღმოჩენის შემთხვევაში იმის მიუხედავად, გასულია თუ არა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ვადა, საბჭოს წინაშე დაისვას ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი;
- სამედიცინო მომსახურების რეგულირების სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში რეგულარულად შემოწმდეს სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებები და ნაწილები.

• გადატვირთულობა

2010 წლის განმავლობაში საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის ზოგიერთ დაწესებულებაში, მუდმივად ან რომელიმე ეტაპზე მაინც, დაწესებულებათა გადატვირთულობის პრობლემა იდგა. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით ამ მხრივ პენიტენციურმა სისტემამ მკვეთრ პროგრესს მიაღწია, გადატვირთულობა მაინც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურებაზე ციხეებში და პროპორციულად აისახება მომსახურების ხარისხზე.

• სამედიცინო მომსახურის დაფინანსება

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო მომსახურება ფინანსდება საქართველოს ბიუჯეტში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ასიგნებათა ფარგლებში გათვალისწინებული სახსრებით მაშინ, როცა სამოქალაქო ჯანდაცვა სამედიცინო მომსახურებათა სახეებს აფინანსებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებათა ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებით. საქართველოს კანონის „პაციენტის უფლებების შესახებ“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირისათვის ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით“, რაც რეალურად არ სრულდება. შედეგად, იქმნება მნიშვნელოვანი დისბალანსი და სამედიცინო მომსახურების ეკვივალენტობის პრინციპი უხეშად ირღვევა.

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას: „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მოთხოვნების შესრულების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებებში აისახოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირების სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ხარჯები.

- **სტატუსი**

საქართველოს პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სამსახური სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გადავიდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში და ჩამოყალიბდა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სახით. აღნიშნული ცვლილება პოზიტიურ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, თუმცა ამ ეტაპზე შემდგომი პროგრესი შეჩერებულია და პენიტენციური ჯანდაცვის სისტემა ჯერაც არ მოქცეულა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მართვის სფეროში, რაც უამრავ ტექნიკურ, ორგანიზაციულ, ადმინისტრაციულ, კლინიკურ და სხვა ჯანდაცვით პრობლემებს ქმნის და ამწვავებს.

სახალხო დამცველი თავის არაერთ მოხსენებაში აღნიშნავს სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირების პრობლემას,⁶⁹ რაზეც არაერთხელ გაცემულა შესაბამისი რეკომენდაცია, თუმცა საკითხი დღემდე მოუგვარებელი რჩება.

წინადადება საქართველოს პარლამენტს: „ლიცენზიების და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში შევიდეს შესაბამისი ცვლილება და/ან დამატება იმგვარად, რომ სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირება განხორციელდეს სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებების მსგავსად.

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას: პენიტენციური ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, მასში დასაქმებული ადამიანური რესურსები შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში გამოვიდეს სასჯელაღსრულების სისტემის დაქვემდებარებიდან და მოხდეს მათი რეინტეგრაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში.

- **სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება**

საქართველოს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება არ ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება გასულ წლებში ატარებდა არასისტემურ და ქაოტურ ხასიათს. 2010 წლის გაზაფხულიდან ამ მხრივ დადებითი ტენდენცია შეინიშნება, თუმცა შედეგი დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება იმის გამო, რომ სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაცია იწარმოება მკვეთრად განსხვავებული სახით და ფორმით, ვიდრე ეს ხდება ქვეყნის ჯანდაცვის სექტორში. ინფორმაციის მოგროვებას

⁶⁹ იხ. სახალხო დამცველის 2009 წლის II ნახევრის საანგარიშო მოხსენება, გვ. 45, 80; სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ჯანმრთელობის უფლების რეალიზება და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში“, გვ. 7.

აქვს მექანიკური ხასიათი, ბიოსამედიცინო სტატისტიკური წესების მიხედვით არ გამოითვლება შედეგებისა და ჯანმრთელობის პარამეტრები. აღნიშნულის შედეგად შეუძლებელი ხდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შექმნილი ჯანდაცვითი მდგომარეობის სპექტრის ადეკვატური ანალიზი, მონაცემების დამუშავება, შედარება ან აღნიშნული მონაცემების გათვალისწინება შემდგომი პროგრესის მისაღწევად.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: დაევალოს სამინისტროს შესაბამის სამსახურს სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოება.

- **სამედიცინო ინფრასტრუქტურა**

სამედიცინო ინფრასტრუქტურა საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში კვლავ მძიმე მდგომარეობაშია. სასჯელაღსრულების ზოგიერთ დაწესებულებაში კვლავ ფუნქციონირებს ადამიანის პატივისა და ღირსებისათვის შეუფერებელი სამედიცინო პუნქტები. რამდენიმე დაწესებულებაში არ არსებობს სტაციონარული მომსახურების კომპონენტი. სამედიცინო დანიშნულების ოთახები არ შეესაბამება საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს და შესაბამისად, ვერ უთანაბრდება ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში არსებულ საშუალო დონეს. კვლავ გადაუჭრელ და მოუგვარებელ პრობლემად რჩება პენიტენციური სისტემის სამკურნალო დაწესებულებათა ლიცენზირების საკითხი. კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით სამინისტროსა და დეპარტამენტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული სამკურნალო დაწესებულებები შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. სამედიცინო ნაწილებში სამედიცინო დანიშნულების საგნებით, აპარატურით, ავეჯით და სხვა საჭირო ინვენტარით აღჭურვა მწირია. დაწესებულებათა აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ხელსაწყოები. 2010 წლის განმავლობაში რამდენიმე დაწესებულებაში სამედიცინო ინფრასტრუქტურის რემონტი ჩატარდა. აუცილებელია, აღინიშნოს, რომ სარემონტო სამუშაოების დასრულებამ მართალია, გარკვეულწილად გააუმჯობესა არსებული პირობები სანიტარიული თვალსაზრისით, მაგრამ განახლებული სამედიცინო პუნქტები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკნის ტიპის სათავსოებს და რაიმე სპეციფიკური სამედიცინო დატვირთვა მათ არ გააჩნიათ.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: უზრუნველყოფილი იქნეს სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სამედიცინო ნაწილების სათანადო ტექნიკური აღჭურვა.

- **მედიკამენტებით მომარაგება და აფთიაქის საქმიანობა**

მედიკამენტებით მომარაგების საკითხი სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის განმავლობაში მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი თანხა გაიზარდა, ადგილზე არსებული მედიკამენტების ჩამონათვალი აბსოლუტურად ვერ აკმაყოფილებს იმ ჯანდაცვითი საჭიროებების მოგვარებას, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებშია შექმნილი. მედიკამენტები ზოგან შეფერხებულად მიეწოდება. მედიკამენტების სხვადასხვა ჯგუფების შესაძენად სატენდერო სისტემის არასწორმა დანერგვამ ასევე მრავალი ორგანიზაციული და ტექნიკური პრობლემა შექმნა. ტენდერები ხშირად დაგვიანებულად ტარდება, რაც იწვევს მედიკამენტების მიწოდების შეფერხებას. ფარმაცევტულ ბაზარზე, ზოგადად, მედიკამენტების ფასების მატებამ პრობლემები შექმნა პენიტენციური ჯანდაცვის სფეროშიც. გამოყოფილი თანხებით შეუძლებელია ძვირად ღირებული მედიკამენტების მოთხოვნა და შეტანა სამედიცინო ნაწილებში ან მათი რაოდენობა არასაკმარისია, რაც მკურნალობის კურსის ადეკვატურად ჩატარების საშუალებას არ იძლევა. აფთიაქების საქმიანობა სამედიცინო ნაწილებში ძირითადად წარმართებოდა დარგის სპეციალისტების მიერ. 2010 წლის მეორე ნახევრიდან აფთიაქებს გადაერქვათ სახელი და ეწოდათ „წამლების სამარაგო“, ხოლო პერსონალს – „წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი“. უკანასკნელი ტენდენციებით ამ თანამდებობაზე შესაძლებელია, დაინიშნოს არაფარმაცევტული განათლების მქონე პირიც, რაც უკან გადადგმული ნაბიჯია.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- არსებული საჭიროებების გათვალისწინებით გაიზარდოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო ნაწილებისთვის მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი თანხა;
- დაწესებულებებში არსებული წამლის სამარაგოების საქმიანობა განხორციელდეს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;
- ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე გაიხსნას აფთიაქი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული აღჭურვილობითა და კადრებით.

- **ექიმის ხელმისაწვდომობა**

ექიმის ხელმისაწვდომობა სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში განსხვავებულია ქვეყნის რეგიონების მიხედვით. ზოგიერთ დაწესებულებაში ექიმთა რაოდენობა საკმარისია, ზოგიერთში მათი რაოდენობა მკვეთრად მცირეა. კვლავ ვხვდებით ისეთი პროვილის ექიმებს, რომელთა ლიცენზიაში მითითებული

სპეციალობა უკვე რამდენიმე წელია, რაც ამოღებულია საექიმო სპეციალობათა ჩამონათვალიდან. მსგავსი მდგომარეობაა საშუალო სამედიცინო პერსონალის თვალსაზრისითაც. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა დაწესებულებები, რომლებშიც ექიმთა სადღეღამისო მორიგეობა არ ხდება. ექიმთა დისპროპორცია დაფიქსირდა ასევე ექიმთა სპეციალობების მიხედვითაც. ადგილობრივ ექიმთა სერტიფიკატით ნებადართული საექიმო სპეციალობების სპექტრი შეზღუდულია, რასაც პრაქტიკულად ვერ აწევლებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ექიმ კონსულტანტთა ჯგუფები. ზოგიერთ დარგში პაციენტებს საერთოდ არ მიეწოდებათ კვალიფიციური და ადეკვატური საექიმო დახმარება ექიმ სპეციალისტის არარსებობის ან ამ უკანასკნელთა გადატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: დაევალოს სამინისტროს შესაბამის სამსახურს სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის შემადგენლობის გადახედვა და შევსება საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობისა და პრაქტიკული საჭიროებების გათვალისწინებით.

- **სტომატოლოგიური მომსახურების ეკვივალენტურობა**

2010 წლის განმავლობაში საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოხდა პოზიტიური ცვლილება, რაც სტომატოლოგიური დახმარების მოცულობის გაზრდით გამოიხატება. პრაქტიკულად ყველა დაწესებულებაში დამონტაჟდა სტომატოლოგიური კაბინეტები. დაწესებულებათა უმრავლესობას უკვე ჰყავს თავისი სტომატოლოგი. არის ასევე შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე სტომატოლოგი რამდენიმე დაწესებულებას ემსახურება კვირის დღეების მიხედვით. წარსულში სტომატოლოგიური დახმარება ძირითად შემთხვევებში შემოიფარგლებოდა მხოლოდ კბილის ექსტრაქციით, გატარებული ცვლილების შემდგომ კი ეტაპობრივად დაინერგა თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურებაც, რაც, უპირველეს ყოვლისა, საშუალებას იძლევა მოხდეს კბილის დაბჯენა და ზოგიერთი სხვა სახის სტომატოლოგიური დაავადების მკურნალობა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, როდესაც სტომატოლოგიური კაბინეტები ვერ მუშაობენ საბჭენი მასალების არარსებობის ან შეზღუდული მიწოდების გამო. აღნიშნული პრობლემა, ზოგიერთ შემთხვევაში, იმდენად გაღრმავდა, რომ თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურების კომპონენტები პაციენტებს ვეღარ მიეწოდებათ.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: სტომატოლოგიურ მომსახურებაში მიღწეული პროგრესის შენარჩუნების მიზნით დაევალოს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს სტომატოლოგიური მომსახურების მიმდინარეობაზე, მათ შორის, დაწესებულებების სტომატოლოგიური კაბინეტებისთვის საჭირო მასალებისა და აღჭურვილობის მიწოდების რეგულარობაზე მუდმივი კონტროლის დაწესება.

- **ჯანდაცვის პერსონალი ციხეში**

სამედიცინო პერსონალის მოვალეობები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. ექიმთა გარკვეული ნაწილი კვლავ დაწესებულების ადმინისტრაციის ზეგავლენის ქვეშ არის და სამედიცინო გადაწყვეტილების მიღებისას უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს არა პაციენტის საუკეთესო ინტერესებს, არამედ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მოსაზრებას. ამ მხრივ სამედიცინო დეპარტამენტის გადატანამ სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან სამინისტროს სტრუქტურაში მნიშვნელოვანი გარდატეხა ვერ შეიტანა. ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული განვითარება სისტემაში პრაქტიკულად მინიმალურ ნიშნულზეა. ექიმთა აბსოლუტურ უმრავლესობას 2010 წლებში გავლილი არ აქვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები. რაც შეეხება სხვა სახის ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობას, ამ მხრივაც საკმაოდ ბევრია გასაკეთებელი, რათა მუდმივად ხდებოდეს ექიმის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება. აქედან გამომდინარე, ექიმთა გარკვეული ნაწილის კომპეტენტურობა საკმაოდ დაბალია. ზოგიერთი ექიმი ვერ ფლობს პროფესიულ უნარ-ჩვევებს და საკმარის ცოდნას. ამის ერთ-ერთ მიზეზად უნდა დასახელდეს პენიტენციური ჯანდაცვის ექიმთა უწყვეტი იზოლაცია და სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორთან მათი უმნიშვნელო კავშირები. ჩვენ ვერ ვნახეთ სასჯელაღსრულების დაწესებულების ვერც ერთი ექიმი, რომელიც არის რომელიმე ეროვნული ან საერთაშორისო პროფესიული გაერთიანების წევრი.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- გამყარდეს სასჯელაღსრულების სისტემის ექიმთა დამოუკიდებლობის გარანტიები;
- უზრუნველყოფილი იქნეს ექიმთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის დანერგვა.

- **არასათანადო მოპყრობა**

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში კვლავ გრძელდება მანკიერი პრაქტიკა, როდესაც ექიმი უშუალოდ მონაწილეობს პატიმართა დასჯის პროცესში. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა ყველა დაწესებულებაში სამართლო საკანში (ყოფ. კარცერი) მოთავსების წინ ექიმი ხელს აწერს დოკუმენტს, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს იმის სანქცირებას, რომ კონკრეტული პატიმარი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, გაუძლებს დასჯას. აღნიშნული უხეშად ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ 54-ე მუხლს, ასევე, სრულად არღვევს ეროვნულ და საერთაშორისო საექიმო ეთიკის დადგენილ ნორმებს. რასაკვირველია, ექიმის

ვალდებულებაა, რეგულარული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს სამართლო საკანში განთავსებული პატიმარი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მან ხელმოწერით დაადასტუროს ამ უკანასკნელის დასჯის შესაძლებლობა.

რაც შეეხება არასათანადო მოპყრობის სხვა მხარეებსა და მათ სამედიცინო ასპექტებს, ეს უკანასკნელი პენიტენციურ სისტემაში საბოლოოდ კვლავაც არ არის დარეგულირებული. სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახურს პოტენციურად ძალიან მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაში როგორც დაწესებულებაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ ექიმთა აქტივობა მინიმალურია. პატიმრის ფიზიკური დათვალიერების დროს (განსაკუთრებით, ახლად შემოყვანილი პატიმრისა) ძალადობის ნებისმიერი კვალი, რომელიც შესაძლებელია გამოეწვია არასათანადო მოპყრობას, ყოველთვის არ ფიქსირდება ექიმთა მიერ შესაბამისი წესით, არ ხდება სრული და ადეკვატური აღწერა–დოკუმენტირება როგორც პატიმრის პირად სამედიცინო ბარათში, ასევე ტრავმების აღრიცხვის ჟურნალში. საერთოდ არ ხდება არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული ნიშნის აღწერა, რაც ერთი მხრივ, ექიმთა დაბალი კომპეტენციით, ხოლო მეორე მხრივ, ექიმთა უმოქმედობითა და ნების არარსებობით აიხსნება, რასაც მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. ზოგიერთ დაწესებულებაში საერთოდ არ იწარმოება ტრავმების აღრიცხვის ჟურნალი, რაც წამების პრევენციის სტანდარტების უხეშ დარღვევად უნდა ჩაითვალოს. თუ ასეთი ჟურნალი და ჩანაწერები არსებობს, ჩანაწერი არასრულფასოვანია, არ მოიცავს პაციენტის კომენტარს და სრულად არ ფიქსირდება სამედიცინო ინფორმაცია. ხშირია გადასწორებების და ინფორმაციის გაყალბების ფაქტებიც. ადგილზე განხორციელებული ძალადობის აღრიცხვაც არასრულფასოვნად ხდება. არ კლასიფიცირდება კონკრეტული დაზიანების მიზეზები (თვითდაზიანება, ურთიერთდაზიანება, საყოფაცხოვრებო ტრავმა, სხვა პირის მიერ მიყენებული დაზიანება და ა.შ.).

ზოგიერთ დაწესებულებაში ახლად მიღებულ პატიმართა სამედიცინო დათვალიერებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს, ზოგან არც ტარდება. დაწესებულებათა გარკვეულ ნაწილში ეს პროცედურა პრაქტიკულად ღია ცის ქვეშ მიმდინარეობს. უხეშადაა დარღვეული კონფიდენციალურობისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი. ასეთ პირობებში შეუძლებელია საექიმო საიდუმლოს დაცვა. სამედიცინო ჩანაწერების შედგენას, პაციენტის გამოკვლევას ხშირად ესწრება სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალი. დოკუმენტთა გარკვეულ ნაწილზე ეს პირები საკუთარ ხელმოწერასაც ტოვებენ, რაც მიუღებელი და გაუმართლებელია. უფრო მეტიც, პატიმრის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომყვანი პირი თავად ესწრება ხშირად და ხელსაც აწერს გარეგნული დათვალიერების ოქმს, რაც ინტერესთა კონფლიქტს იწვევს. ასეთ პირობებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენცია ავტომატურად შეუძლებელი ხდება.

მონიტორინგის დროს გამოვლინდა არაერთი ფაქტი, როდესაც პატიმრის სხეულზე არსებული ფიზიკური დაზიანებების შედეგად მონიტორინგის ჯგუფს ეჭვი გაუჩნდა

არასათანადო მოპყრობაზე, თუმცა ამ პირთა საკმაოდ დიდი ნაწილი ექიმს საერთოდ არ ჰყავდა ნანახი.

კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. არსებული პრაქტიკის მიხედვით, როდესაც სხეულის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით იწყება გამოძიება, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ან საერთოდ არ ინიშნება, ან ინიშნება 1 თვის შემდეგ, როდესაც სხეულზე დაზიანების კვალი ფაქტობრივად აღარ არსებობს.⁷⁰ აღნიშნული მიდგომა პირდაპირ მიუთითებს არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებისა და ეფექტური დოკუმენტირების ნების არარსებობაზე და ფაქტების დამალვის მცდელობაზე, რაც მიუღებელი და გაუმართლებელია. სამწუხაროა, რომ ამ პროცესში ხშირად ექიმებიც მონაწილეობენ.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- აღმოიფხვრას დასჯის ნებისმიერ მექანიზმში ექიმების ნებისმიერი სახით მონაწილეობა;
- დაევალოს სამინისტროს შესაბამის სამსახურს სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო ნაწილებში არსებული დოკუმენტაციის სტამბოლის პროტოკოლით დადგენილი წესით წარმოება;
- უზრუნველყოფილი იქნეს სამედიცინო პერსონალის მომზადება სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად;
- დაევალოს სამინისტროს შესაბამის სამსახურს პატიმრის დაწესებულებაში მიღებისას წარმოებული სამედიცინო შემოწმების კონფიდენციალურობის პრინციპისა და საექიმო ეთიკის წესების დაცვით წარმართვა;
- დაევალოს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს არასათანადო მოპყრობის ყველა ფაქტის სათანადო დოკუმენტირებისა და მათზე რეაგირების რეგულარული კონტროლი.

• **უკანონო საექიმო საქმიანობა**

2010 წლის განმავლობაში მონიტორინგის მრავალრიცხოვანი ვიზიტის დროს გამოვლენილია უკანონო საექიმო საქმიანობის არაერთი ფაქტი. კერძოდ, საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კონკრეტული სპეციალობის ექიმის ფუნქციებს შესაბამისი პროფილის ექიმი არ ასრულებს. მაგალითად, ექიმები სპეციალობით „შინაგანი მედიცინა“ პაციენტებს ქირურგიულ დახმარებას აღმოუჩენენ, უტარებენ ჭრილობების პირველად ქირურგიულ დამუშავებას, ჭრილობის გაკერვას, დრენირებას და ა.შ. ამით უდიდესი რისკის ქვეშ დგება პაციენტის ჯანმრთელობა და სიცოცხლე. აღნიშნული ქმედებები ძირითად შემთხვევებში ხორციელდება იმ მიზნით, რომ ქირურგიული (ან

⁷⁰ იხ. ზემოთ, „არასათანადო მოპყრობა“.

სხვა სახის პროფილური) სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად თავიდან აიცილონ პაციენტის გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებებში.

ცალკე უნდა გამოიყოს ფსიქოტროპული მედიკამენტების დანიშვნისა და მოხმარების საკითხი. ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი. აღრიცხვის ყოველგვარი წესის დარღვევით ხდება ამ საშუალებათა დანიშვნა და გამოყენება, რაც მკვეთრად ნეგატიურად აისახება როგორც პაციენტთა ჯანმრთელობაზე, ისე ზოგადად დაწესებულებებში შექმნილ ვითარებაზე.

სამედიცინო საქმიანობების ცალკეული სახეები წარმართება შეუსაბამო პირობებში, სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის გარეშე. უკანონო საექიმო საქმიანობის ფაქტები სახალხო დამცველის მიმართვის შედეგად გამოავლინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციების გატარება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება სამართალდარღვევის (უკანონო საექიმო საქმიანობა) ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- მკაცრად გაკონტროლდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა მათ მიერ გაწეულ მომსახურებასთან;
- შემუშავდეს მკაცრი კონტროლისა და აღრიცხვის სისტემა ფსიქოტროპული მედიკამენტების გაცემასთან დაკავშირებით.

• კონფიდენციალურობა და საექიმო საიდუმლო

პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში უხეშად ირღვევა პაციენტის უფლებები. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს კონფიდენციალურობისა და საექიმო საიდუმლოს პრინციპის იგნორირება. ამ პრინციპების დაცვას ითვალისწინებს საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციები, ქვეყნის ჯანდაცვის კანონმდებლობა, ასევე სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტები. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარე სამედიცინო მომსახურების პროცესში გარეშე პირები თითქმის ყველგან ესწრებიან გამოკვლევებს, მანიპულაციებს და სხვა სამედიცინო ღონისძიებებს. სამედიცინო დოკუმენტაცია არ არის დაცული გარეშე პირის მიერ მასში არსებული ინფორმაციის გაცნობისგან. ხშირად სამედიცინო დოკუმენტაციას ხელს აწერენ დაწესებულების თანამშრომლები. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ზემოთ აღწერილი პრაქტიკის გამო, უხეშად ირღვევა არა მხოლოდ ჯანდაცვის კანონმდებლობა, არამედ წამების პრევენციის სტანდარტებიც.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გეგმა, რომ პაციენტთა ე.წ.

სამედიცინო ჩანაწერები გახადონ ელექტრონული. სამინისტროს ხელმძღვანელობის თქმით, ერთადერთი მიზანი, რომელსაც ეს ინიციატივა ემსახურება, არის ჩანაწერების ცენტრალიზება – მათი ხელმისაწვდომობა სამინისტროს, მათ შორის, სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის. ამ შემთხვევაში ავტომატურად გამჟღავნდება კონფიდენციალური სახის ინფორმაცია, რაც წარმოადგენს კანონდარღვევას. გარდა ამისა, მაშინ, როდესაც ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა თავად არ გადასულა ამ ტიპის სერვისზე, გაურკვეველია, როგორ უნდა მოხდეს იმ ინფორმაციის დამატება სისტემაში, რომელიც დაკავშირებული იქნება პაციენტის მკურნალობის ფრაგმენტთან სამოქალაქო ტიპის დაწესებულებაში. ჩვენი აზრით, მხოლოდ პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის გადაყვანა ამ სტილზე გამოიწვევს მის უფრო მეტ მარგინალიზაციასა და იზოლირებას საქართველოს ჯანდაცვის სისტემისაგან. ყველა ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული, რათა აღნიშნულმა ინიციატივამ კიდევ უფრო არ გააღრმავოს ჯანდაცვის მომსახურების ეკვივალენტურობასა და კონფიდენციალობის დაცვაში უკვე არსებული ხარვეზები, მით უფრო, რომ არ არსებობს დოკუმენტურად გაწერილი რაიმე სახის კონცეფცია, დასაბუთება ან თუნდაც ფინანსური გაწერა ჩანაწერების ელექტრონულ სისტემაზე გადასაყვანად. სამინისტროს ხელმძღვანელობას, მათ შორის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს, ევალებათ სისტემის ზოგადი მენეჯმენტი და არამც და არამც კონკრეტული პაციენტების მკურნალობის მართვა, რაც, როგორც ჩანს, მათთვის ერთადერთ გამოსავლად იქცა სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის დაბალი კვალიფიკაციიდან გამომდინარე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი დაუშვებლად მიიჩნევს პაციენტთა შესახებ სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის ფართოდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ ბაზაში განთავსებას.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- დაევალოს შესაბამის სამსახურებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარე სამედიცინო პროცედურებისა და დოკუმენტაციის წარმოებისას კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებით და კონვენციებით და საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის ჯანდაცვის სფეროში;
- პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში ნებისმიერი რეფორმის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი პაციენტთა ელექტრონული ბაზის შექმნის, პროცესში გათვალისწინებული იქნეს საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობა, ასევე, საერთაშორისო სტანდარტები პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის, სამოქალაქო და პენიტენციური ჯანდაცვის სისტემების ეკვივალენტურობის შესახებ.

- **ინფორმაციის მიწოდება**

პაციენტის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ინდივიდუალური უფლების რეალიზება – საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღება – ასევე წარმოადგენს საქართველოს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის მწვავე პრობლემას. სასჯელაღსრულების პრაქტიკულად ყველა დაწესებულებაში შესვლისას პატიმარი ვერ იღებს ინფორმაციას სამედიცინო მომსახურების, ჰიგიენური ნორმების ან სხვა სახის დახმარების შესახებ. ამ ინფორმაციას პატიმრები ძირითადად ერთმანეთისაგან იღებენ ან არკვევენ გამოცდილების შესაბამისად. ზოგიერთი სამედიცინო მანიპულაციის ჩატარებისას ადგილზე პაციენტისაგან ინფორმირებულ თანხმობას არ მოიპოვებენ. გარდა ამისა, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ პაციენტთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის მათ შესახებ არსებული სამედიცინო ჩანაწერები პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია. სამედიცინო პერსონალი კი განმარტავს, რომ პატიმრები იშვიათად ითხოვენ სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობას ან ასლის მიღებას, რაც, მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით, სიმართლეს არ შეესაბამება. პაციენტის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ჩანაწერების ხელმიუწვდომლობა გარკვეულწილად განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ასეთი ჩანაწერი და დოკუმენტაცია ზოგჯერ საერთოდ არ არსებობდა.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: უზრუნველყოფილი იქნეს პატიმართა ხელმისაწვდომობა მათ შესახებ არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციაზე, ასევე – მათი ადეკვატური ინფორმირება ყოველი სამედიცინო ხასიათის მანიპულაციის მნიშვნელობასა და მოსალოდნელ შედეგებზე.

- **სამედიცინო დოკუმენტაცია**

რაც შეეხება სამედიცინო ჩანაწერების წარმოებას, ექიმი და სხვა სამედიცინო პერსონალი საქართველოს კანონმდებლობით ვალდებული არიან დადგენილი წესით აწარმოონ ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში, რომლის წარმოების წესს ამტკიცებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მიუხედავად ამისა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 24 ივნისის №486 ბრძანებით დამტკიცდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებებისა და სამედიცინო ნაწილების სამედიცინო დოკუმენტაციის დროებითი ფორმები (სულ 27 ფორმა). აღნიშნული ფორმები თვისობრივად და არსობრივად მკვეთრად განსხვავებულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმებისაგან. ისინი დღესდღეობით საკმაოდ მოძველებულია. განსხვავებულია ასევე მათი შევსების, შენახვისა და წარმოების წესებიც, თუმცა დაწესებულებათა აბსოლუტური უმრავლესობა ასეთ დოკუმენტაციასაც კი არ

აწარმოებს. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 10 ნოემბრის ბრძანება N771-ით დამტკიცდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო ბარათის ფორმა (ბრძანება ამის შემდეგ რამდენჯერმე გაუქმდა და ახლიდან გამოიცა, თუმცა მისი შინაარსი არსობრივად არ შეცვლილა), რომელიც ასევე არ შეესაბამება ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში მოქმედ სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმებს. მინისტრის 2010 წლის 11 ნოემბრის N158 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო ბარათის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 10 ნოემბრის N 771 ბრძანება. N158 ბრძანებით დამტკიცებულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათის ფორმა. ძველი და ახალი ფორმების შედარებით დადგინდა, რომ ისინი პრაქტიკულად არ განსხვავდებიან, გარდა იმისა, რომ ძველი ფორმის სატიტულო გვერდზე არსებული სიტყვა „სასჯელაღსრულების“ შეიცვალა სიტყვებით – „პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის“. აღნიშნული მიანიშნებს იმაზე, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ამ საკითხთან დაკავშირებით არ იზიარებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას. აღნიშნული ბრძანების გამოცემა წარმოადგენს კიდევ ერთ აშკარა პრეცედენტს, რომ პენიტენციური ჯანდაცვა ხელოვნურად ემიჯნება ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას. პენიტენციურ სისტემაში უხეშადაა დარღვეული სამედიცინო დოკუმენტაციის შენახვის პრინციპები, რომლებიც ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით რეგულირდება. სამედიცინო დოკუმენტაციის არქივი აქვს მხოლოდ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას. სხვა დაწესებულებებში დოკუმენტებს არაერთგვაროვანი მიდგომით ინახავენ – ზოგან ანადგურებენ, ზოგან ადგილზე ინახავენ, ზოგან გადასცემენ დაწესებულების ადმინისტრაციას.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: პენიტენციურ ჯანდაცვის სისტემაში უზრუნველყოფილი იქნეს სამედიცინო დოკუმენტაციის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N108 და N224 ბრძანებებით დამტკიცებული წესით და აღნიშნულ ბრძანებებზე თანდართული ფორმების შესაბამისად წარმოება.

- **პატიმართა გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში**

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა საანგარიშო პერიოდში ავადმყოფ პატიმართა გადაადგილება სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა ს/დ-ში და ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოებში.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, წინა წლებთან შედარებით მცირედ იმატა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანილ პატიმართა რაოდენობამ, თუმცა სამოქალაქო ჯანდაცვის სხვადასხვა დაწესებულებაში გადაყვანილთა რიცხვი კლების ტენდენციას ავლენს. ახალ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს 2010 წლის მეორე ნახევრიდან პაციენტთა გადაყვანის შემთხვევები თბილისის რეფერალურ ჰოსპიტალში. დაახლოებით იმავე ნიშნულზეა ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმართა გადაყვანის მაჩვენებელი, თუმცა თუ მხედველობაში მივიღებთ ტუბერკულოზის პრობლემის გამწვავებას და მასშტაბებს, ეს რიცხვი საკმაოდ დაბალია. დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა მკურნალობისათვის არსებული დაწესებულების მიმდებარედ ახალი კორპუსის მშენებლობის დაწყებაც, თუმცა თავისთავად შენობის აშენება პრობლემას ვერ გადაწყვეტს, თუ არ შეიცვალა ამ საკითხისადმი მიდგომა და სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელ პირთა დამოკიდებულება პრობლემისადმი.

2009 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის №902 ბრძანებით დამტკიცდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ პატიმართა და მსჯავრდებულთა გადაყვანის ახალი წესი. აღნიშნული დოკუმენტი უნდა ჩაითვალოს დადებით ტენდენციად, ვინაიდან მისი ანალოგი, რომელიც წარსულში მოქმედებდა, მოიცავდა არაერთ სამედიცინო ხასიათის შეცდომას, რომლებზეც არაერთხელ გაამახვილა ყურადღება სახალხო დამცველმა. მიუხედავად ამ ხარვეზის აღმოფხვრისა, ხშირ შემთხვევაში პაციენტის გადაყვანის საკითხის განხილვისას ხშირად ხდება არა მხოლოდ სამედიცინო კრიტერიუმების, არამედ დაწესებულების ადმინისტრაციის შეხედულებისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოსაზრებების გათვალისწინებაც. ამ პროცესში ექიმის მონაწილეობა ზოგიერთ დაწესებულებაში უმნიშვნელოა და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესწავლილი მონაცემები ავადმყოფ პატიმართა გადაადგილებასთან დაკავშირებით მკვეთრად შეუსაბამოა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან მოსულ ინფორმაციასთან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საკითხი სიღრმისეულ შესწავლასა და ანალიზს მოითხოვს.

სასჯელაღსრულების სამინისტროდან მიღებული არაადეკვატური ინფორმაციის ნათელი მაგალითია სახალხო დამცველის აპარატსა და სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს შორის არსებული მიმოწერა 2 მსჯავრდებულის – დ.დ.-ს და ი.ც.-ს ოპერაციული მკურნალობის, კერძოდ, ორივე შემთხვევაში, მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროტეზირების თაობაზე. წერილობით კითხვაზე, როდის იგეგმებოდა აღნიშნული ოპერაციული მკურნალობის ჩატარება, სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან ორივე შემთხვევაში მივიღეთ იდენტური პასუხი, კერძოდ, გვეცნობა,

რომ ოპერაციული მკურნალობის საკითხის გადასაწყვეტად მიმდინარეობდა მოლაპარაკება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, რის შემდეგაც დაინიშნებოდა ოპერაციული მკურნალობის ჩატარების დრო.⁷¹

2010 წლის 27 ოქტომბერს სახალხო დამცველმა №3678/03–2/0094–10 წერილით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს და მოითხოვა ეცნობებინა, თუ რა სახის მოლაპარაკება მიმდინარეობდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან და როდის იგეგმებოდა მსჯავრდებულების ოპერაციული მკურნალობის საკითხის გადაწყვეტა. აღნიშნულზე პასუხის მიუღებლობის გამო სახალხო დამცველმა 2010 წლის 1 თებერვალს იმავე შინაარსის წერილით მიმართა ჯანდაცვის სამინისტროს. საბოლოოდ, 2011 წლის 7 მარტს, ჯანდაცვის სამინისტროდან მივიღეთ პასუხი, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთვის უცნობი იყო, თუ რა ტიპის მოლაპარაკებაზე მიუთითებდა სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი. ასევე გვეცნობა, რომ აღნიშნული საკითხის გასარკვევად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ წერილობით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, საიდანაც პასუხი არ მიუღია. საბოლოოდ, გაურკვეველია, რა სახის მოლაპარაკებაზე მიუთითებდა სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი და რაც კიდევ უფრო შემაშფოთებელია, დღემდე გაურკვეველია ორივე მსჯავრდებულის ბედი, რომლებიც დღესდღეობით ვერ გადაადგილდებიან ქვედა კიდურების პრობლემების გამო.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნეს პატიმართა დაუყოვნებლივი გადაყვანა შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებაში.

• **სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა**

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით შექმნილი პრობლემები ბოლო თვეების განმავლობაში ეტაპობრივად გვარდება, რასაც ხელს უწყობს ახალი საპატიმრო დაწესებულებების გახსნა და არსებული ინფრასტრუქტურის გარემონტება. სასჯელაღსრულების დეპარტამენტს სახელშეკრულებო საფუძველზე ემსახურება სხვადასხვა ქალაქის სანიტარიული პროფილის სამსახურები, რომლებიც საშუალოდ თვეში 2–ჯერ ადგილზე ახორციელებენ სადერატიზაციო და სადეზინფექციო სამუშაოებს. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ სადეზინფექციო სამუშაოებით

⁷¹ 2010 წლის 30 სექტემბრის N07–8662 და 2010 წლის 11 ნოემბრის N07–9151 პასუხები.

დამუშავება ყველა დაწესებულებაში არ ხდება. გლდანის ნაგავსაყრელზე ინტენსიური ნაგვის წვა აბინძურებს ჰაერს, რაც ნეგატიურად აისახება გლდანის N8 დაწესებულების პატიმრების ჯანმრთელობაზე. ასეთი ჰაერის ჩასუნთქვა კატეგორიულად დაუშვებელია, განსაკუთრებით მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებული ზოგიერთი პროფილის პაციენტებისათვის. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ნაკლები ყურადღება ეთმობა ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობის, განათების, აერაციისა და ვენტილაციის საკითხებს. ახლად აშენებულ დაწესებულებებში აღნიშნული სტანდარტები და პირობები ნაკლებადაა გათვალისწინებული. მდგომარეობა კრიტიკული ხდება ზაფხულის პერიოდში, როდესაც მაღალი ტემპერატურის გამო საკნებში გაუსაძლისი პირობები იქმნება. დაწესებულებათა უმრავლესობის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, პატიმრებს შხაპით სარგებლობის საშუალება კვირაში მხოლოდ ერთხელ აქვთ, რაც ზაფხულში სრულიად დაუშვებელია სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით. ამავდროულად, ეს შეუფერებელია ადამიანის პატივსა და ღირსებასთან. სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში განსხვავებულადაა უზრუნველყოფილი საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 1999 წლის 22 დეკემბრის ერთობლივი ბრძანების N5/500/ო მიხედვით დამტკიცებული მსჯავრდებულთა კვების ნორმების, ტანსაცმლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესაბამისობა მოთხოვნილ სტანდარტებთან. გადამდები და მაღალკონტაგიოზური ინფექციური დაავადებების ზუსტი აღრიცხვა, გამოვლენა, მკურნალობა და მართვა არ ხდება ადეკვატურად. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ტუბერკულოზისა და ჰეპატიტებისადმი არაერთგვაროვანი და არაეფექტური მიდგომა. ისეთი პრობლემები, როგორებიცაა მუნის, ბაღლინჯოს გავრცელება და დატილიანება, წინა წლებთან შედარებით შემცირებულია, რაც პატიმართა შედარებით გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობებით უნდა ავსხნათ. სექსობრივი გზით გადამდები დაავადებების სკრინინგი არ მიმდინარეობს. გარდაცვლილ პატიმართა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების ანალიზით გამოვლენილია სულ მცირე 3 შემთხვევა, როდესაც მოხსენიებულია სიფილისის დიაგნოზი. ერთ-ერთი უმთავრესი პოზიტიური ტენდენცია, რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ დაფიქსირდა, იმაში მდგომარეობს, რომ სტომატოლოგიური დახმარებისათვის აუცილებელი ინვენტარის დამონტაჟების პარალელურად ყველა დაწესებულებაში შეიტანეს მშრალი სიცხის სტერილიზატორები, რამაც შესაძლებელი გახდა სამედიცინო იარაღებისა და საგნების სტერილიზაციის ჩატარება. წარსულში ამ შესაძლებლობას დაწესებულებათა უმრავლესობა მოკლებული იყო, რაც ნეგატიურად აისახებოდა პარენტერული გზით გადაცემული ინფექციების (მათ შორის ვირუსული ჰეპატიტების) თვალსაზრისით შექმნილ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: სამინისტროს შესაბამის სამსახურს დაევალოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების რეგულარული ზედამხედველობა, ასევე, შესაბამისი ზომების გატარება

არსებული პრობლემების გამოვლენისა და დროული და ადეკვატური მოგვარების თვალსაზრისით.

- **პატიმრები, რომელთათვისაც შეუთავსებელია ხანგრძლივი პატიმრობა**

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს სასჯელადსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც დაწესებულებებში იმყოფებოდნენ პატიმრები, რომელთათვისაც შეუთავსებელი იყო ხანგრძლივი პატიმრობა. ასევე, არაერთი პატიმარი იქნა ნანახი, რომლებიც საჭიროებდნენ სპეციალური მოვლის პირობებსა და მომვლელს, თუმცა აღნიშნული პრობლემა სასჯელის მოხდის ადგილებში დარეგულირებული არ არის. 2010 წელს გარდაცვლილ პატიმართა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების განხილვით ასევე ნათელი ხდება, რომ გარდაცვლილითა შორის არიან გარკვეული რაოდენობის პატიმრები ავთვისებიანი სიმსივნის შორსწასული ფორმებით, მყარი ნევროლოგიური პათოლოგიებით, ღვიძლის შეუქცევადი დაავადებების ბოლო სტადიებით. მიუხედავად ამისა, მძიმე და განუკურნებელი დაავადებების შემთხვევაში ამ პატიმართა მიმართ სასჯელის გადავადების ან სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხი, უმრავლეს შემთხვევაში, არ ყოფილა დასმული. ამ კატეგორიის პატიმართა ნაწილი გადაადგილდება ეტლით ან ყავარჯნებით. პაციენტთა გარკვეულ ნაწილს აღნიშნება მყარი ნევროლოგიური ნარჩენი მოვლენები; დაახლოებით 40–მდე პატიმარს ამჟღავნებული აქვს კიდური, 60–ზე მეტ პატიმარს დასმული აქვს ონკოლოგიური პათოლოგიის დიაგნოზი. აღნიშნული რიცხვები რეალობას ზუსტად ვერ ასახავს, რადგან ასეთი პატიმრების ცალკე რეგისტრაცია არ წარმოებს. რეალურად მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმეა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 მარტის N 72/ნ ბრძანება, „იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომლებიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს“, არაეფექტური და მოძველებულია. ბრძანებით დამტკიცებული ჩამოთვლილი ნოზოლოგიები არ არის კლასიფიცირებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICD 10) შესაბამისად. დიაგნოზების დასახელება ხშირ შემთხვევაში მოძველებულია და აღარ გამოიყენება. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბრძანებაში ცვლილება საკმაოდ ხშირად შედის და ერთსა და იმავე დაავადებას ჩამონათვალში ხან ვხვდებით, ხან არა, რაც საკითხისადმი არაადეკვატურ დამოკიდებულებად უნდა მივიჩნიოთ. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციით, 2010 წელს აშკარაა სამინისტროს მუდმივმოქმედ კომისიაში შესულ განცხადებათა მკვეთრი ზრდა ავადმყოფობის გამო გათავისუფლების ან სასჯელის გადავადების მოთხოვნით.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- მძიმე ან უკუჩვენებელი სენით დაავადების შემთხვევაში უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის მიერ სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიისადმი მიმართვა სასჯელისგან გათავისუფლების თაობაზე;
- უზრუნველყოფილი იქნეს მსჯავრდებულთა ადეკვატური ინფორმირება აღნიშნულ საკითხსა და პროცედურებზე.

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს: 2003 წლის 27 მარტის N72/ზ ბრძანება შეუსაბამოს საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციას.

• **ქალი პატიმრები**

2010 წელს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში გარდაცვლილია 3 ქალი პატიმარი. აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია წინა წლების მონაცემებთან შედარებით. პატიმარი ქალები განთავსებულნი იყვნენ საქართველოს პენიტენციური სისტემის 5 სხვადასხვა დაწესებულებაში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. დადებით ასპექტად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების პირობები და საშუალებები 2010 წლისათვის ისევე, როგორც გასულ წელს, მკვეთრად უკეთესია პატიმრობის სხვა დაწესებულებებთან შედარებით. აღნიშნული დაწესებულება წარმოადგენს ერთადერთ ადგილს, სადაც ქალთა ჯანმრთელობის სპეციფიკური პრობლემები შეძლებისდაგვარად გადაწყვეტილია. ქალთა ჯანმრთელობის საკითხებზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არ ხდება ქალთა სტაციონარული მომსახურება, რასაც გარკვეულწილად აკომპენსირებს ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულებიდან სამოქალაქო ტიპის სტაციონარებში პატიმართა და მსჯავრდებულთა გადაყვანის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნულ სერვისს პრაქტიკულად მოკლებულნი არიან სხვა დაწესებულების პატიმარი ქალები, რაც ერთგვარ გეოგრაფიულ უთანასწორობას ქმნის. ქალთა კონტინგენტში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხთა პრობლემურობა, ასევე ქალ პატიმართა რაოდენობის მკვეთრი ზრდა 2010 წლის ზაფხულის შემდგომ, რამაც ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულებაში

გადატვირთულობის პრობლემა შექმნა. დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს რუსთავის მიმდებარედ ქალთა ახალი დაწესებულების გახსნა, სადაც სამედიცინო ინფრასტრუქტურა მკვეთრად გაუმჯობესებულია. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა კონტინგენტი 2010 წლის ბოლო თვემდე ახალ დაწესებულებაში გადაყვანილი არ ყოფილა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში ქალთა ჯანმრთელობის სპეციფიკური პრობლემები უფრო წარმატებულად მოგვარდება და დარეგულირდება.

• წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები

წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა განსაკუთრებული სამედიცინო საჭიროებებიდან გამომდინარე, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ამ კატეგორიის პატიმრებზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა. მონიტორინგის ჯგუფმა პრაქტიკულად ვერ ნახა შემთხვევა, როდესაც დაკმაყოფილდა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის მოთხოვნა სამედიცინო ან ფსიქიატრიულ/ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. ექსპერტიზა ან დაგვიანებით ტარდება, ან საერთოდ არ ინიშნება. დაგვიანებით ჩატარებული ექსპერტიზის შემთხვევაში კი ვეღარ ხდება იმ მტკიცებულებების მოპოვება, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პატიმრისათვის. ახლად შემოსულ პატიმრებს ხშირად უძნელდებათ ადაპტაცია, არ მიეწოდებათ ადეკვატური სამედიცინო დახმარება და ირღვევა მათი უფლება ჯანმრთელობაზე. აუცილებელია აღინიშნოს, რომ კარანტინში, რომელშიც ახლად შემოსულ პატიმრებს ათავსებენ, ხშირად ეს პირები იმაზე დიდი ვადით ყოვნდებიან, ვიდრე ეს აუცილებელია. მათ მდგომარეობას ამძიმებს გაუსაძლისი პირობები, მათ შორის, სამედიცინო მომსახურების უკიდურესად დაბალი და შეუსაბამო დონე.⁷² უხეშადაა დარღვეული საექიმო საიდუმლო და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ახლად შემოყვანილ პატიმართა მიერ საკუთარი ექიმის შემოყვანის საკითხზე მოთხოვნა პრაქტიკულად არ კმაყოფილდება. ზემოთ განხილული პრობლემების გამო უხეშად ირღვევა საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობით პაციენტისათვის მინიჭებული უფლებები.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უზრუნველყოფილი იქნეს წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთათვის სამედიცინო და ფსიქიატრიულ/ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დროული ჩატარება;
- დაევალოს სამინისტროს შესაბამის სამსახურს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურებისადმი;

⁷² იხ. ვრცლად ზემოთ, თავში „არასათანადო მოპყრობა“.

- უზრუნველყოფილი იქნეს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის მკურნალი ექიმის არჩევის უფლების რეალიზება საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

- **ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრები**

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და მოუგვარებელ საკითხია. ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა გამოვლენა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და რეაბილიტაცია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არაორგანიზებულია და კვალიფიციური ფსიქიატრიული დახმარების არარსებობის გამო შეზღუდულად ხდება. დაწესებულებაში შესვლისთანავე ფსიქიატრი ვერ ნახულობს ასეთ პირებს. ფსიქიატრის კონსულტაცია შესაძლებელია დაახლოებით თვეში ერთხელ მოსული კონსულტანტის მიერ ჩატარებული ვიზიტის სახით. მიუხედავად იმისა, რომ უფროსი ექიმები განმარტავენ საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრის კონსულტაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობას, ასეთი ფაქტი ადგილზე არსებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად არ დასტურდება და საქმე გვაქვს ადგილობრივი ექიმების მიერ მონიტორინგის ჯგუფის წევრების შეცდომაში შეყვანის მცდელობასთან. დაწესებულებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში არ არსებობს რაიმე სპეციალური პროგრამები ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდასაჭერად ან რეაბილიტაციის პროგრამები, რომლებიც გულისხმობს სამედიცინო, სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარების სხვადასხვა ღონისძიებას. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციები, თითქოს ასეთი პროგრამები არსებობდეს, რეალობასაა მოკლებული, ვინაიდან საანგარიშო პერიოდში მოქმედი პროგრამები არ მოიცავდა სამედიცინო კომპონენტს, რის გამოც მათ ვერ განვიხილავთ ფსიქოსამედიცინო რეაბილიტაციად. ერთადერთ ფსიქო-სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამას ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებებში ახორციელებდა ცენტრი „ემპათია“, მაგრამ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი უთხრა, რითაც ფსიქოსამედიცინო დახმარება უეცრად შეუწყდა არაერთ ბენეფიციარ ქალსა და არასრულწლოვანს. აღნიშნული უკან გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

ზოგადად დაწესებულებებში არსებული რეჟიმი, პირობები, დამოკიდებულება ფსიქიკური აშლილობების მქონე პატიმრების მიმართ არასათანადო და არაადეკვატურია, რაც ნეგატიურად მოქმედებს პატიმრის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. აღნიშნულის გამო **ფსიქიკურად დაავადებულ პირთა ყოფნა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უნდა შეფასდეს, როგორც არაადამიანური მოპყრობა.** ფსიქიატრიული დახმარება მთელ სისტემაში შემოიფარგლება მხოლოდ 5 ექიმი ფსიქიატრის მომსახურებით. მათგან სამი მუშაობს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო თითო-თითო შედის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ექიმ კონსულტანტთა ჯგუფებში. 2010 წლამდე, დასავლეთ საქართველოს კონსულტანტი ფსიქიატრი ემსახურებოდა დასავლეთის რეგიონში განთავსებულ

ხუთივე დაწესებულებას, თუმცა წლის დასაწყისიდან ფსიქიატრი აღარ ახორციელებს ვიზიტებს ზუგდიდისა და ბათუმის დაწესებულებებში, რის გამოც იქ მყოფი პაციმრები ფაქტობრივად მოკლებულნი არიან ელემენტარულ ფსიქიატრიულ დახმარებასაც კი.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ ხდება სუიციდის რისკის შეფასება. ხშირად ადეკვატურად არ ეხმარებიან იმ პირებსაც კი, რომლებმაც სუიციდი სცადეს. დაზიანებათა ჟურნალებში ხშირად ვხვდებით ისეთ ჩანაწერებს, რომელთა მიხედვით ერთი და იგივე პირი სისტემატურად იყენებს სხვადასხვა სახის თვითდაზიანებას. მიუხედავად ამისა, მათზე ადეკვატური სამედიცინო მეთვალყურეობა არ ხორციელდება. მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში, საწოლთა სიმცირის გამო, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები ან საერთოდ არ გადაჰყავთ, ან – დიდი ხნის დაგვიანების შემდეგ. ასეთი პირები, როგორც წესი, ხშირად არღვევენ რეჟიმს, აწყობენ ექსცესებს, მოსდით კონფლიქტი სხვა პაციმრებთან. აღნიშნული ქმედება დაწესებულებათა ადმინისტრაციის მიერ არ აღიქმება სათანადოდ. თანამშრომელთა უმრავლესობა მათ აგრავანტებად და სიმულანტებად აღიქვამს, რის გამოც ეს პირები არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი ხდებიან.

მონიტორინგის შედეგად დადგენილია, რომ დაწესებულებებში ხშირად სასჯელს იხდიან გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირები, რომელთაც სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა გამოძიების დროს ჩატარებული არ აქვთ და არც არის დაგეგმილი. ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა სამედიცინო და ფსიქორეაბილიტაცია პრაქტიკულად არ მიმდინარეობს. ერთადერთი მოქმედი პროგრამა, რომელიც ამ სერვისებს აწვდიდა ქალთა და არასრულწლოვანთა კონტინგენტს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ შეჩერდა იმ მოტივით, რომ არსებობს ალტერნატიული პროგრამებიც, რაც მკვეთრად უარყოფით ტენდენციად უნდა შეფასდეს.

ცალკე პრობლემის სახით უნდა გამოიყოს ფსიქოტროპული საშუალებების დანიშვნა და მოხმარება. მათი დანიშვნა და განაწილება გაუმართლებლად ხდება და შემამფოთებელი მასშტაბები აქვს. ფსიქიატრის ვიზიტების პერიოდულობიდან გამომდინარე, წამლის დოზირების კორექცია ან დანიშნულების ადეკვატური გადასინჯვა ვერ ხერხდებოდა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ არაერთხელ იქნა დაფიქსირებული შემთხვევა, როდესაც ფსიქოტროპული საშუალებების განაწილება/დარიგება სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ხდება.

აღსანიშნავია სხვა სომატური დაავადებების გამო მკურნალობის კურსში ჩართული პირების პრობლემაც. მაგალითად, ინტერფერონით, ტუბსაწინააღმდეგო და ზოგიერთი სხვა სახის პრეპარატით მკურნალობის კურსის მიმდინარეობისას, ვლინდება გვერდითი მოვლენები ფსიქიკური პრობლემების სახით, ასეთ შემთხვევაშიც კი პაციმრისთვის ფსიქიატრიული დახმარება ხელმიუწვდომელია.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონიტორინგის ჩატარების დროს გამოიკვეთა საერთო ტენდენცია, რომ დაწესებულების პერსონალი, მათ შორის, სამედიცინო მუშაკები, გათვითცნობიერებულნი არ არიან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებში.

შესაბამისად, არ არსებობს პრობლემის ეფექტური გადაჭრის გზებიც. წლის განმავლობაში მეტად შეზღუდული იყო პაციენტის გადაყვანა სამოქალაქო ტიპის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ასევე, არ არსებობდა ეფექტური მექანიზმი იმ მსჯავრდებულთა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისა, რომლებიც ფსიქიკურად დაავადდნენ სასჯელის მოხდის პერიოდში. ამ მხრივ პროგრესულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილება. მიუხედავად ამისა, კანონის საფუძველზე კანონქვემდებარე აქტი გონივრულ ვადაში არ გამოცემულა. საქართველოს სახალხო დამცველმა 2010 წლის სექტემბერში რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, რათა შესრულებულიყო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნა და გამოეცა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 13 სექტემბრის N135 ბრძანებით დამტკიცდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კომისიის დებულება. აღნიშნული კომისიის მიზნად განისაზღვრა ფსიქიკური აშლილობის ნიშნების მქონე მსჯავრდებულთა მდგომარეობის განხილვა მათი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში შემდგომი გადაყვანის საკითხის მოწესრიგების მიზნით. ბრძანების გამოცემიდან მოკლე დროში, 2010 წლის 11 ნოემბერს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა გამოსცა ბრძანება N157 „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ფსიქიატრიული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნულმა აქტმა ძალადაკარგულად გამოაცხადა მინისტრის N135 ბრძანება. 2010 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით, კომისიის დასკვნით არცერთი პატიმარი არ ყოფილა გადაყვანილი შესაბამის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებული კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე აქტების გაუმართაობა, რაც ცალკე ანალიზისა და მონიტორინგის საგანი უნდა გახდეს, ქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს პენიტენციურ სისტემაში პირველადი დიაგნოსტიკებისა და შემდგომი სწრაფი და ადეკვატური რეაგირების თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხის მოგვარება ციხის ექიმის კომპეტენციის ფარგლებს სცდება.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- პატიმართა ადეკვატური და დროული ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებები დაკომპლექტდეს ფსიქიატრებით;
- უზრუნველყოფილი იქნეს სრულყოფილი ფსიქოსამედიცინო პროგრამების მხარდაჭერა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;
- უზრუნველყოფილი იქნეს ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პატიმრების დროული გამოვლენა და მათი შესაბამისი პროფილის სტაციონარში განთავსებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

- სუიციდის პრევენციის მიზნით დროულად გამოვლინდეს აღნიშნული რისკი, რეგულარული თვითდაზიანებები და სხვა არაადეკვატური ქმედებები დროულად შეფასდეს ფსიქიატრის მიერ და შესაბამისი ღონისძიებები გატარდეს პაციენტის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ინტერესების გათვალისწინებით;
- სამინისტროს შესაბამის სამსახურს დაევალოს ფსიქოტროპული საშუალებების დანიშვნისა და გაცემის აღრიცხვა და რეგულარული კონტროლი ჯანდაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;
- სამინისტროს შესაბამის სამსახურს დაევალოს ზოგიერთი მკურნალობის კურსის თანმდევი ფსიქიატრიული მოვლენების ადეკვატური მართვის უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოფილი იქნეს სასჯელაღსრულების სამინისტროს ფსიქიატრიული კომისიის შეუფერხებელი მუშაობისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ყველა საჭირო ღონისძიების გატარება.

• წამალდამოკიდებულების მქონე პირები

წამალდამოკიდებულების მქონე პირების რაოდენობა სასჯელის მოხდის ადგილებში საკმაოდ მაღალია. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ალკოჰოლიზმით, ნარკომანიითა და ტოქსიკომანიით დაავადებული პატიმრები. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგით დადგინდა, რომ წამალდამოკიდებულების პრობლემების შემთხვევაში პაციენტებს არ უტარდებათ სათანადო მკურნალობა და კონსულტაცია. გარედან კონსულტანტის მოწვევის შემთხვევები საანგარიშო პერიოდში პრაქტიკულად არ დაფიქსირებულა (ერთი გამონაკლისის გარდა). რაც შეეხება წამალდამოკიდებულების მქონე პირთა დახმარებისა და რეაბილიტაციის პროგრამებს, ასეთი მიმდინარეობს თბილისის №8 დაწესებულებაში (მეტადონის პროგრამა). საქართველოს პენიტენციური სისტემის სამ დაწესებულებაში მოქმედებს ასევე „ატლანტისის“ პროგრამა, რომელიც არ მოიცავს სამედიცინო კომპონენტს. მეტადონის პროგრამის არსებობა დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს. მიზანშეწონილია აღნიშნული სერვისის გავრცელება იმ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზეც, რომლებშიც თავს იყრიან წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები და განსაკუთრებით ქალები, რომლებიც ამ მომსახურებას 2010 წლის განმავლობაში, ისევე როგორც წარსულში, მოკლებულნი იყვნენ.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- სამინისტროს შესაბამის სამსახურს დაევალოს წამალდამოკიდებულების მქონე პირთა ადეკვატური სამედიცინო დახმარება;
- უზრუნველყოფილი იქნეს რეაბილიტაციის პროგრამების გაფართოება და მათი განვრცობა ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაზე, მათ შორის, ქალთა N5 დაწესებულებაზე.

- **პატიმართა კვება**

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა კვების ორგანიზების საკითხები ბოლო პერიოდში გარკვეულწილად გამოსწორდა და დადებითი ტენდენციები დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება სამედიცინო ჩვენების გამო დანიშნული დიეტური მაგიდების უზრუნველყოფა. ასეთი მაგიდები 2010 წლის განმავლობაში, ისევე როგორც წინა წლებში, არ არსებობდა ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. რაც შეეხება მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებას, დიეტური მაგიდები ამ დაწესებულებაში შემოღებულია, თუმცა არ შეესაბამება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებულ სტანდარტებს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კონტრაქტორის, შპს “მეგაფუდის” წარმომადგენელთა განმარტებით, ხელშეკრულება არ ითვალისწინებს დიეტური საკვების მიწოდებას დაავადებების მქონე მსჯავრდებულებისა და პატიმრებისათვის, მათ შორის, ისეთი პირებისათვის, რომლებსაც აღენიშნებათ შაქრიანი დიაბეტი. ხელშეკრულების დადებისას არ ყოფილა გათვალისწინებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 17 სექტემბრის N258/ნ ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია სამკურნალო დიეტები.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტების მიერ გაანალიზდა რამდენიმე დაწესებულებაში საკვების ენერგეტიკული ღირებულება, სამზარეულოს სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობა, აღჭურვილობა და დაგეგმარება. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ძირითადი ენერგეტიკული მაჩვენებელი გაზრდილია ნახშირწყლოვანი საკვების მოცულობის გაზრდის ხარჯზე (იგულისხმება ბურღულისა და მაკარონის ნაწარმი). შენიშვნა ამ შემთხვევაში შეიძლება გაკეთდეს საკვებ რაციონში ორგანული ნივთიერებების ბალანსის დარღვევის გამო.

ზოგადად ახალაშენებული დაწესებულებების კვების ბლოკის სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ტექნიკური თვალსაზრისით კარგად არის აღჭურვილი კვების ბლოკები ქუთაისის, ზუგდიდის და გეგუთის დაწესებულებებში. არსებობს მცირე ხარვეზებიც, თუმცა მათი გამოსწორება ადგილობრივი ძალისხმევით სრულიად შესაძლებელია.

ჩატარებული მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, სისტემური პრობლემის გადაჭრა, მხედველობაში გვაქვს კვების პროცესის უზრუნველყოფის ცენტრალიზება, ერთმნიშვნელოვნად სწორი და წინაგადადგმული ნაბიჯი იყო. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული დადებითი ფაქტორისა, არსებობს მუდმივი მოცემულობის პრობლემები, რომლებიც ასევე მუდმივად განახლებადი კონტროლის მექანიზმების ქვეშ უნდა მოექცეს. სასჯელაღსრულების სისტემამ უნდა უზრუნველყოს კონტროლის მექანიზმები, ზემოთ აღნიშნულ პრობლემათა აღმოსაფხვრელად – დადგენილი წესის

თანახმად უნდა შედგეს საკვები რაციონი, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამკურნალო დიეტების გამოყენება პატიმართა კვებაში, დაცული უნდა იქნეს ენერგეტიკული ბალანსი და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბალანსირებული კვება. ასევე, უნდა გადაიჭრას საკვები ცხიმის ვარგისიანობის საკითხი. სასურველია, ახალი ციხეების მშენებლობისას გათვალისწინებული იქნეს კვების ბლოკის დაგეგმარების სტანდარტული ნორმები.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უზრუნველყოფილი იქნეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის N258/ნ ბრძანებით დამტკიცებული სამკურნალო დიეტების მიწოდება აღნიშნული საჭიროების მქონე ყველა პატიმრისთვის;
- ყველა პატიმრისთვის უზრუნველყოფილი იქნეს სრულფასოვანი, დაბალანსებული კვება;
- პატიმრების უკეთ უზრუნველსაყოფად მათთვის აუცილებელი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფილი იქნეს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულების მაღაზიაში სეზონური ხილისა და ბოსტნეულის შემოტანა.

• **შიმშილობა**

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც შიმშილობას, როგორც პროტესტის ზომას, მსჯავრდებულები და პატიმრები უფრო ნაკლებად იყენებენ წინა პერიოდთან შედარებით. 2010 წლის განმავლობაში სამედიცინო პერსონალის მიერ ოფიციალურად დაფიქსირებული პატიმართა მხრიდან შიმშილობის გამოცხადების ფაქტების მიუხედავად, რეალურად მოშიმშილეთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო. მონიტორინგის დროს პატიმართა ნაწილი მიუთითებდა, რომ ისინი შიმშილობდნენ, თუმცა ამას ოფიციალურად ადმინისტრაცია არ აფიქსირებდა; ზოგჯერ არ აწერინებდნენ განცხადებებს, ხოლო ზოგჯერ ფიზიკურადაც კი უსწორდებოდნენ ამის გამო. შიმშილობებს ზოგჯერ ჰქონდა ჯგუფური ხასიათი. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს ასევე დაფიქსირდა შემთხვევები, რომლის მიხედვითაც შიმშილობის დაწყება მსჯავრდებულთა მხრიდან გახდა ამ უკანასკნელთა უსამართლო დასჯისა და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის მიზეზი.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: სამინისტროს შესაბამის სამსახურს დაევალოს მოშიმშილე პატიმრების მიმართ სათანადო მოპყრობის უზრუნველყოფა, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული მოშიმშილე პატიმრების მიმართ მოპყრობის პროცედურების განუხრელი დაცვა.

- **ტუბერკულოზი**

ტუბერკულოზის გავრცელებამ საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ბოლო პერიოდში კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. ტუბერკულოზი 2010 წლის პერიოდშიც წარმოადგენდა პატიმართა სიკვდილობის მთავარ მიზეზს. ზოგადად საქართველოში და პენიტენციურ სისტემაში ამ მიმართულებით განხორციელებული არაერთი ღონისძიების მიუხედავად, პრობლემა არათუ გვარდება, არამედ უფრო ღრმავდება. აღნიშნულის მიზეზად მიგვაჩნია სტანდარტული ტუბსაწინააღმდეგო ღონისძიებების არაეფექტური იმპლემენტაცია საქართველოს რეალობაში ადგილობრივი სპეციფიკისა და თავისებურებების გაუთვალისწინებლად. არ არის შეფასებული და გაანალიზებული ტუბერკულოზის გავრცელების რისკი. სამედიცინო პერსონალი საჭიროებს სერიოზულ გადამზადებას. ცალკეული მოკლევადიანი ტრენინგები ამ პრობლემას ვერ გადაჭრის, რადგან აშკარაა მედპერსონალის მიერ ტუბერკულოზური ინფექციის მართვის ძირითადი უნარ-ჩვევების ან არცოდნა ან გამოყენების შეუძლებლობა პერსონალის უკიდურესად დაბალი კლინიკური ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის პირობებში. მკვეთრადაა მომატებული ტუბერკულოზის მულტირეზისტენტული ფორმები. ასევე იშვიათობას არ წარმოადგენს ექსტრაპულმონური ფორმებიც, რომელთა სპექტრი საკმაოდ გაფართოვდა და ტუბერკულოზური პლევრიტიდან დაწყებული ნეიროტუბერკულოზის შემთხვევებით დამთავრებული, თითქმის ყველა ორგანოს დაზიანებას მოიცავს. აღნიშნული ტენდენცია პენიტენციურ სისტემაში ტუბერკულოზური ინფექციის არაადეკვატური მართვის პირდაპირ შედეგად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებათა დიდი ნაწილი აწარმოებს ტუბსკრინინგს, ხდება ინფიცირებულ პატიმართა გამოვლენა და შესაბამის პროგრამებში ჩართვა, აღნიშნული ღონისძიებები დაბალეფექტურია, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც დაავადების პრევენციის სისტემური და კონკრეტული მიზეზები პრაქტიკულად არ არის გადაწყვეტილი წლების განმავლობაში.

ტუბერკულოზური ინფექციის გადაცემის გზას წარმოადგენს იმ ჰაერის ჩასუნთქვა, რომელიც შეიცავს ტუბერკულოზური მიკრობაქტერიის გამომყოფი პაციენტის მიერ ამოხველებულ ჰაერში შეწონილ წვეთს, რომელიც ჰაერში რამდენიმე საათი ძლებს და დამოკიდებულია გარემოზე. ინფიცირება, როგორც წესი, ხდება დახურულ სივრცეში (ოთახში), სადაც არ არის ადეკვატური ვენტილაცია. მზის პირდაპირი სხივები სწრაფად კლავს ტუბერკულოზის გამომწვევ მიკრობაქტერიას, რაც დახურულ სივრცეში ვერ მიიღწევა.

ინდივიდუალის დაინფიცირების რისკი დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დახურული სათავსოს (ოთახში) ჰაერში ტუბერკულოზური მიკრობაქტერიის კონცენტრაცია და ამგვარ გარემოში მიკრობის ექსპოზიციის დრო, რაც იმას ნიშნავს, რომ გადატვირთულ და ცუდად ვენტილირებულ ოთახებში ტუბერკულოზური ბაცილის გავრცელების მეტად მაღალი რისკი არსებობს.

ტუბერკულოზის გადაცემის რისკფაქტორებს მიეკუთვნება:

- **დაყოვნება** (ინფექციური აგენტის არეში ადამიანის ხანგრძლივი დაყოვნება, როდესაც ეს უკანასკნელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში სუნთქავს ბაცილაშეწონილ ჰაერს);
- **ჰაერის მოცულობა** (მცირე ზომის საზიარო სივრცეში ყოფნა, რომელშიც ასევე იმყოფება ინფიცირებული პირი);
- **ვენტილაცია** (ცუდი ვენტილაცია ან ამ უკანასკნელის არარსებობა იმ სათავსოში, სადაც ხდება დაყოვნება);
- **ინფიცირებული პაციენტისაგან ბაცილარული დინება** (ტუბერკულოზით დაავადებული პირისაგან გენერირებულ მიკობაქტერიათა რიცხვს ზრდის შემდეგი ფაქტორები: ფილტვების და ზედა სასუნთქი გზების ან ხახის დაავადებები; ხველის ან სხვა სახის რესპირაციული მოძრაობების გაძლიერება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტს ამ დროს არ შეუძლია პირისა და ცხვირის დახურვა ხველის ან დაცემინების დროს; კავერნის არსებობა; ანტიტუბერკულოზური მკურნალობის არარსებობა ან არაადეკვატურობა).

იმ დროს, როდესაც შექმნილია ტუბერკულოზის გავრცელებისათვის არაკეთილსაიმედო პირობები, არსებობს იმის შესაძლებლობაც, რომ მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი (MDR) პირველად იქნეს შეძენილი. პირველადი რეზისტენტულობა ვითარდება მაშინ, როდესაც პაციენტის ინფიცირება ხდება ანტიტუბერკულოზური საშუალებების მიმართ რეზისტენტული მიკობაქტერიის შტამით. შეძენილი რეზისტენტობა ვითარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მკურნალობის კურსი წყდება ან შეუსაბამო ანტიტუბერკულოზური რეჟიმით მკურნალობენ.

მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი (XDR-TB) – წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემისათვის და ზოგადად ტუბერკულოზური ინფექციის მართვისათვის, ვინაიდან ეს უკანასკნელი დღის წესრიგში აყენებს ტუბერკულოზური ინფექციის გავრცელებას, რომელიც პრაქტიკულად განუკურნებელია.

ამრიგად, ტუბერკულოზის მკურნალობა წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდუალური ჯანმრთელობის საკითხს, არამედ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ მწვავე პრობლემას.

ტუბერკულოზის მკურნალობის მიზნებს წარმოადგენს:

- პაციენტის განკურნება და ცხოვრების ხარისხის და პროდუქტიულობის აღდგენა;
- აქტიური ტუბერკულოზის ან მისი მოგვიანებითი ეფექტებისაგან სიკვდილის პრევენცია;
- ტუბერკულოზის რეციდივის პრევენცია;
- ტუბერკულოზური ინფექციის სხვა პირებზე გადადების შემცირება;

- წამლების მიმართ რეზისტენტულობის განვითარებისა და გადაცემის პრევენცია.

საერთაშორისო კვლევების შედეგად დადგენილია, რომ პაციენტთა 15%-ს, რომლებიც წარსულში იტარებდნენ ანტიტუბერკულოზურ მკურნალობას, უვითარდებათ MDR (*tuberculosis drug resistance in the world: fourth global report*. Geneva, World Health Organization, 2008 (WHO/HTM/TB/2008.394).). უმნიშვნელოვანესი მომენტი ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ანტიტუბერკულოზური მკურნალობის ხელოვნური შეწყვეტის პრევენცია და ამისათვის ყველა სახის ძალისხმევა იქნეს გამოყენებული, რადგან ტუბერკულოზი წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემას და იგი რისკს უქმნის საზოგადოებას, სხვა მოქალაქეებს, პაციენტთან მყოფ პერსონალს და მასთან კონტაქტში მყოფ სხვა პირებს. აღნიშნულის გამო ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის ერთ-ერთ ინტეგრალურ ნაწილად უნდა იქცეს პაციენტის მკურნალობისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ამ მხრივ ხელოვნური ბარიერების მოხსნა.

საქართველოში ტუბერკულოზის კონტროლის ამჟამად მოქმედი გეგმის მიხედვით ქვეყანაში ამ მიმართულებით ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რაც ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის საშუალებით ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში ტუბსაწინააღმდეგო სტრატეგია უკვე კარგა ხანია ხორციელდება, ამ უკანასკნელს სასურველი შედეგი ვერ მოაქვს, ვინაიდან აღნიშნული ორიენტირებულია მხოლოდ სამედიცინო კომპონენტზე და იგნორირებულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ტუბერკულოზური ეპიდემიოლოგიის კომპონენტები, კერძოდ: საკვები, ჰაერი, მზის სხივები, საცხოვრებელი პირობები, ჰიგიენური მდგომარეობა და ასე შემდეგ. აღნიშნულ ფონზე მისასაღმებელ ინიციატივად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის მიერ ტუბერკულოზის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე გაკეთებული განცხადება. მინისტრის ინფორმაციით, „სამინისტროში, პენიტენციურ სისტემაში ტუბერკულოზის დროულად გამოვლენის, გავრცელების პრევენციის და ეფექტური მკურნალობის ახალი სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბდა“. დასახელდა ახალი სამოქმედო გეგმის კომპონენტებიც, რომელთა შორის უნდა გამოიყოს, რომ - „ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამიდან მიმაგრებული იქნება თითო სპეციალისტი ყველა დაწესებულებაში სწორედ ტუბერკულოზური დაავადების ადრეული გამოვლენის, გადამდები ფორმების სეპარაციის, დიაგნოსტიკებისა და შემდგომი კვალიფიციური მკურნალობისთვის, რაც წარმოადგენს ტუბერკულოზის კონტროლის ყველაზე ეფექტურ მეთოდს, რომელიც თავის მხრივ საუკეთესო პრევენციული ღონისძიებებია“. მინისტრის განცხადებით, პარალელურად მიმდინარეობს „ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების რეაბილიტაცია და გაფართოება, რა მიზნითაც სრულიად ახალი კორპუსი შენდება, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების

გათვალისწინებით, სრულ შესაბამისობაში იქნება მოყვანილი საჭირო სტანდარტებთან. ეს საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ დაავადების გავრცელების პრევენცია“.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფრო მეტი ჩართულობა ამ სფეროში პენიტენციურ სისტემაში, ანტიტუბერკულოზურ ღონისძიებათა ეფექტური გატარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, რომელიც მხარდაჭერილი და უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

რაც შეეხება ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას, მისი მომსახურება, როგორც უკვე აღინიშნა, ვრცელდება მხოლოდ მსჯავრდებულებზე. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები მოკლებულნი არიან ამ სერვისს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში, რეჟიმის დარღვევის მოტივით, საკმაოდ დიდი რაოდენობის პატიმართათვის ხდება რეჟიმის შეცვლა და მათი მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გადაყვანა (ამჟამად უკვე დახურული ტიპის დაწესებულება), რაც ხშირად ხდება მკურნალობის შეწყვეტის მიზეზი. ჩვენ მიერ გამოვლინდა ფაქტები, როდესაც პატიმარს რამდენჯერმე აქვს შეწყვეტილი და გაგრძელებული (ან სულაც მიტოვებული) მკურნალობა, ეს კი წარმოადგენს მულტირეზისტენტული ფორმის განვითარების ერთ-ერთ მიზეზს, რასაც სასჯელაღსრულების სისტემა არ ითვალისწინებს. მულტირეზისტენტული ფორმების დიდი ნაწილი კი ხშირად გარკვეულ დროში პაციენტის სიკვდილით მთავრდება. აღსანიშნავია, რომ მულტირეზისტენტული ფორმით გარდაცვლილთა მაჩვენებელი ბოლო პერიოდში გაცილებით მაღალია პირველ ნახევართან შედარებით, რის გამოც აუცილებლად მიგვაჩნია, გაანალიზდეს „DOTS+“ პროგრამის მიმდინარეობის თავისებურებები და ტენდენციები და მის დაგეგმვაში უფრო აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები და დაწესებულებები.

ახლად აშენებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ნაკლებადაა გათვალისწინებული განათებისა და აერაციის სისტემების მნიშვნელობა, რაც ტუბერკულოზის გავრცელების ერთ-ერთ მძლავრ რისკის ფაქტორს წარმოადგენს. ტუბერკულოზური ინფექცია ხშირად თან ერთვის ვირუსულ ჰეპატიტსა და ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებას, რაც ამძიმებს პაციენტთა მდგომარეობას და პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში პატიმრის გარდაცვალებით მთავრდება. საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის დროს გამოვლინდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები გადაჰყავთ ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში, სადაც ასეთი პატიმრები მალევე იღუპებიან. ციხეებში, სამედიცინო მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ტუბერკულოზით დაავადებული ან ტუბერკულოზზე საექვო მსჯავრდებულები და პატიმრები უნდა განთავსდნენ სამედიცინო ნაწილში იზოლირებულად მდებარე პალატებში. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სტანდარტი საქართველოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დაცული არ არის. შესწავლამ გამოავლინა, რომ სამედიცინო ნაწილებში ამგვარი იზოლირებული ტუბპალატები აქვს მხოლოდ 8 დაწესებულებას. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული

მონიტორინგითა და შესწავლით ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში, სკრინინგისა და შემდგომი კვლევების შედეგად, სულ გამოვლენილია ტუბერკულოზით ავადობის 1579 შემთხვევა. მათგან 1172 პირი ჩაერთო DOTS პროგრამაში. 60 პაციენტს დაუდგინდა ტუბერკულოზის მულტირეზისტენტული ფორმა, რომელთაგანაც 59 ჩართულ იქნა „DOTS+“ პროგრამაში. აღსანიშნავია, რომ „DOTS+“ პროგრამა ხორციელდება ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში (სულ ჩაერთო 52 პაციენტი), მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში (სულ ჩაერთო 6 პაციენტი) და ქალთა და არასრულწლოვანთა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც 1 პაციენტი ჩაერთო ამ პროგრამაში. 2010 წლის განმავლობაში დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც „DOTS+“ პროგრამა წარიმართებოდა თბილისის N8 დაწესებულებაში.

შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გამოსწორების გზად მიგვაჩნია ეფექტური და ერთობლივი ღონისძიებების დასახვა და გატარება დარგის სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. გარდა ამისა, საქართველოს კანონის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სამინისტროს ეკისრება პირდაპირი ვალდებულება, უზრუნველყოს პრევენციული ღონისძიებების გატარება. ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს არსებული პრაქტიკა, რომლის შესაბამისად ქსნის N19 ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან პაციენტები ხშირად გადაჰყავთ სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში მაშინ, როდესაც მკურნალობის კურსი დასრულებული არ არის. გარდა მკურნალობის ეფექტურობის დაცემისა, აღნიშნული იწვევს სხვადასხვა სახის პრობლემას და გართულებას, რაც შეიძლება იყოს: უკმაყოფილება მსჯავრდებულის მხრიდან და ამის შემდგომ პროტესტის ნიშნად უარის თქმა ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტებზე; შიმშილობის გამოცხადება დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაყვანილი მსჯავრდებულების მხრიდან, რაც კატეგორიულად არ არის სასურველი მკურნალობის პროცესში; სხვადასხვა სახის თვითდაზიანების მიყენება მსჯავრდებულთა მიერ, რაც, რა თქმა უნდა, განპირობებულია მსჯავრდებულის არამდგრადი ფსიქიკური მდგომარეობით, რომლის გამწვავებას, თავის მხრივ ხელს უწყობს ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატები.

ყოველივე ზემოხსენებული აძლიერებს მსჯავრდებულებისა და დაწესებულებების ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და მედპერსონალს შორის უთანხმოების წარმოშობისა და მათ შორის დამაბული ურთიერთობის ჩამოყალიბების რისკის ფაქტორს. მკურნალობის თუნდაც მცირე ხნით შეწყვეტის ამგვარი ხელოვნური გზა პირდაპირ განაპირობებს ტუბერკულოზის მძიმე ფორმების ჩამოყალიბებას, რაც მნიშვნელოვნად აისახება პატიმართა ავადობისა და სიკვდილობის მაჩვენებლებზე. გარდა ამისა, სხვა დაწესებულებებში, განსაკუთრებით, დახურულ და გადატვირთულ დაწესებულებებში, პაციენტთა წარმატებული მკურნალობა და მართვა პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, სახალხო

დამცველმა რეკომენდაციით⁷³ მიმართა სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, მიიღონ შესაბამისი ზომები ზემოაღნიშნული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რათა შეწყდეს ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა გადაყვანა სასჯელადსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში მკურნალობის სრული კურსის დასრულებამდე. რეკომენდაციაში ასევე მითითებული იყო, რომ ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები უნდა უზრუნველყონ მკურნალობის თანმდევი გვერდითი მოვლენებისგან დამცავი პრეპარატებით და ფსიქიატრის დროული და ინტენსიური მეთვალყურეობით, ასევე დიეტური კვებითა და ყველა აუცილებელი საკვები პროდუქტით.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის 29 ნოემბრის რეკომენდაციაში მითითებული ხარვეზებისა და გადაცდომების გამოსასწორებლად შესაბამისი ზომების მიღება;
- ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართათვის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის გათვალისწინებული იქნეს ის სპეციფიკური ნორმები და პირობები, რომელთა დაცვაც აუცილებელია აღნიშნულ დაავადებასთან ბრძოლის ეფექტურობისთვის (აერაცია, ინსოლაცია, პალატების იზოლირება და ა.შ.);
- უზრუნველყოფილი იქნეს წინასწარ პატიმრობაში მყოფ ტუბერკულოზით დაავადებულ პირთა ადეკვატური მკურნალობისა და სტაციონირების პირობები;
- ტუბერკულოზზე ნებისმიერი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნეს პატიმრის დროული და სათანადო გამოკვლევების ჩატარება და დაავადების დიაგნოსტიკის შემთხვევაში – დაუყოვნებლივი გადაყვანა სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში და ადეკვატური მკურნალობა.

• **ვირუსული ჰეპატიტები**

საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ვირუსული ჰეპატიტების პრობლემა ერთ-ერთ უმწვავეს საკითხად რჩება. 2010 წელს გარდაცვლილ პატიმართა საკმაოდ სოლიდურ ნაწილს ეს დაავადება ან მისი რომელიმე გართულება აღენიშნებოდა. გარდაცვლილთა 15%-ს განუვითარდა ღვიძლის ციროზი და მასთან დაკავშირებული გართულებები, მათ შორის, სისხლდენა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ზემო ნაწილებიდან, რაც ზოგიერთ შემთხვევაში თავისუფლებადაღკვეთილ პირთა სიკვდილის უშუალო მიზეზი გახდა. 2010 წლის პირველ ნახევარში

⁷³ 2010 წლის 29 ნოემბრის წერილი N4105/03-1/1788-1

გარდაცვლილთა 47.4%-ს ვირუსული ჰეპატიტის დიაგნოზი ჰქონდა დასმული, ზოგიერთ მათგანს განვითარებული ჰქონდა სიცოცხლისათვის საშიში გართულებები. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგით დადგინდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებათა მთავარი ექიმები ვირუსულ ჰეპატიტს ერთ-ერთ ყველაზე უპირატესად გავრცელებულ დაავადებად აღიარებენ. მიუხედავად ამისა, ვირუსული ჰეპატიტების ზუსტი აღრიცხვიანობა ან რაიმე სახის სტატისტიკა საქართველოს ციხეებში არ იწარმოება. ექიმები ფლობენ ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც ჰეპატიტი ლაბორატორიულადაა დადასტურებული. მონიტორინგის დროს ჩვენ მიერ გამოვლინდა, რომ ძალიან ბევრ პაციმარს, რომლებსაც კლინიკურად გამოხატული აქვთ ღვიძლის დაზიანების ნიშნები, გამოკვლევა ჰეპატიტზე საერთოდ არ ჩასტარებია. გამოკვლევა არ ტარდება ასევე ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო შემთხვევების დროს. მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ ჰეპატიტების გამო ინტერფერონით მკურნალობა მთელ სისტემაში დანიშნული ჰქონდა 14 პაციენტს, რომლებიც მკურნალობის კურსს 4 სხვადასხვა დაწესებულებაში გადიოდნენ. ინტერფერონით მკურნალობასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს, რომ გარდა მკურნალობის კურსის სიძვირისა, პაციენტი მკურნალობის რამდენიმეთვიანი კურსის პერიოდში საჭიროებს ადეკვატურ დინამიკურ მეთვალყურეობას, თუნდაც იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ სამკურნალო საშუალებები ამ დროს იწვევს მკვეთრად გამოხატულ ნეგატიურ გავლენას პაციენტის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ჩვენ მოვინახულეთ ისეთი პაციენტები, რომლებსაც ასეთი კურსის ჩატარება დაეწყოთ მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო შემდგომ გადაიყვანეს სასჯელის მოხდის ადგილას, სადაც არ არსებობს ელემენტარული სამედიცინო მონიტორინგის პირობები და ექიმი-ინფექციონისტი. ადგილობრივი ექიმები ასეთ ქმედებას იმით ამართლებენ, რომ ექიმი-ინფექციონისტი პერიოდულად დადის და ხვდება პაციენტებს, თუმცა პაციენტთან ვიზიტის პერიოდულობა არ არის ინტენსიური. მიგვაჩნია, რომ ასეთი პრაქტიკა უნდა შეწყდეს და მკურნალობის სრული კურსი ჩატარდეს ადეკვატურ სამედიცინო გარემოში და პირობებში, რითაც თავიდან იქნება აცილებული პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შექმნილი უდიდესი რისკები. პენიტენციურ სისტემაში ჰეპატიტის ასე ფართო მასშტაბებით გავრცელების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა უნდა დასახელდეს, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში შექმნილ მძიმე კრიზისზე, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში გარკვეული ასპექტებით უფრო და უფრო ღრმავდება. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს სასჯელადსრულების დაწესებულებათა სამედიცინო ნაწილების საქმიანობის წესი და პირობები. სასჯელადსრულების დაწესებულებებში სტომატოლოგიური მომსახურების კომპონენტის შემოტანამ უდიდესი როლი შეასრულა არა მხოლოდ სტომატოლოგიური სამსახურისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით, არამედ პარენტერული ინფექციების, მათ შორის, ჰეპატიტების გავრცელების პრევენციის თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ როგორც უკვე აღინიშნა, სტომატოლოგიური კაბინეტების ნაკრებს, რომლებიც დაწესებულებებში დამონტაჟდა, მოჰყვა მშრალი სიცხის სტერილიზატორები, რომელთა საშუალებითაც უკვე არსებობს შესაძლებლობა,

მოხდეს სამედიცინო დანიშნულების საგნების, ქირურგიული და სტომატოლოგიური ინსტრუმენტების და სხვა საგნების სტერილიზაცია.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უზრუნველყოფილი იქნეს ვირუსული ჰეპატიტების დროული და ადეკვატური სკრინინგი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;
- ჰეპატიტით დაავადებულ პატიმართა მკურნალობა განხორციელდეს ადეკვატური სამედიცინო მონიტორინგის პირობებში.

• აივ ინფექცია/შიდსი

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში 2010 წლის დასაწყისისათვის სულ რეგისტრირებული იყო აივ ინფექციის 229 შემთხვევა, მათგან გარდაიცვალა 35 (9 – ციხეში). 2010 წლის დასაწყისისათვის 99 გამოვლენილი ინფიცირებულიდან ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე იმყოფებოდა მხოლოდ 60 პაციენტი. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში რეგისტრირებულია 138 აივ ინფიცირებული, რომელთაგან მკურნალობის კურსს 55 პირი გადის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ზოგიერთი ექსპერტი კვლავ არ ატარებს იმ გარდაცვლილ პატიმართა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას, რომელთა მიმართაც ცნობილი იყო, რომ ისინი აივ ინფიცირებული იყვნენ.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ უფროსს:
აღმოიფხვრას აივ/შიდსით დაავადებული გარდაცვლილი პატიმრების დისკრიმინაცია ავადობის ნიშნით და სისტემატურად ჩაუტარდეთ მათ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

- **სიკვდილობა სასჯელაღსრულების სისტემაში**

საქართველოს პენიტენციური სისტემის მოსახლეობა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ნიშნულს აღწევს. ქვეყნის ყოველ 100000 მოსახლეზე არსებულ პატიმართა რაოდენობის სტატისტიკური გამოთვლით, საქართველო 100 ათას სულ მოსახლეზე 538 პატიმრით ევროპის რეგიონში, რუსეთის ფედერაციის შემდეგ, მეორე ადგილზეა, ხოლო გლობალური მასშტაბით მე-6 ადგილს იკავებს მსოფლიოს 216 ქვეყანას შორის.⁷⁴ იმავე წყაროზე დაყრდნობით, 2010 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოში სულ 23 864 პატიმარი იხდიდა სასჯელს ქვეყნის პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დაწესებულებაში.⁷⁵ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის სტატისტიკის ტენდენციების შესახებ ასევე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ევროპის საბჭოს მიერ 2010 წლის 22 მარტს გამოქვეყნებული ბოლო ყოველწლიური ანგარიში,⁷⁶ რომელიც 2008 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემებს ასახავს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით საქართველო ასევე საყურადღებოა ყოველ 100 საპატიმრო ადგილზე მოსული პატიმრების სიმჭიდროვით – საქართველოში 1 პატიმრისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობი ყველაზე მცირეა ევროპაში.

წლიდან წლამდე საქართველოში პატიმართა რაოდენობა მკვეთრად იმატებს, რაც პროპორციულად ზრდის პენიტენციური ჯანდაცვის პრობლემათა მნიშვნელობასა და სიმწვავეს. ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობისა და წარმატებულობის, ასევე, მიწოდებული მომსახურებების ხარისხის შესაფასებლად, გამოიყენება საყოველთაოდ აღიარებული ჯანდაცვის ინდიკატორები. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სიკვდილობის მაჩვენებელი და ის თავისებურებები, რომლებიც ამ მაჩვენებლის ცვლილებას განაპირობებს დინამიკაში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი უკვე რამდენიმე წელია, ინტენსიურად სწავლობს ამ მხრივ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მდგომარეობას. ჩვენ მიერ მოპოვებული და გაანალიზებული მონაცემებით ჩანს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (2006-2010) საქართველოს პენიტენციურ სისტემაში სულ მინიმუმ 513 პატიმარია გარდაცვლილი. წლებისა და თვეების მიხედვით, აღნიშნული მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

წელი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
2006	6	3	10	6	3	5	8	12	14	6	10	6	89


⁷⁴ World Prison Brief. By the International Center for Prison Studies, School of Law, King's College, London UK.

⁷⁵ http://www.kcl.ac.uk/depsta/law/research/icps/worldbrief/wpb_country.php?country=122

⁷⁶ Council of Europe, Annual Penal Statistics. Survey 2008. Strasbourg, 22 March 2010 pc\cp\space\documents\pc\cp (2010)07-e

2007	10	12	10	9	7	7	11	6	6	8	8	7	101
2008	5	3	8	5	12	16	9	6	6	6	7	7	90
2009	12	9	7	3	14	10	4	3	5	6	7	11	91
2010	7	12	7	10	13	10	13	15	15	14	12	14	142
სულ:	40	39	42	33	49	48	45	42	46	40	44	45	513

აღნიშნული მონაცემები, წლის პირველი და მეორე ნახევრის მიხედვით, ასახულია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:



როგორც გრაფიკიდან ჩანს, თუ 2006-2009 წლებში სიკვდილობის მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად სტაბილური (თუმცა მაინც მაღალი) იყო, 2010 წელს ამ მაჩვენებელმა პიკს მიაღწია და 2009 წელთან შედარებით 56%-ით მოიმატა. თუ შევადარებთ გასულ წლებს, გარდაცვლილთა რაოდენობა მეტია როგორც ჯამურად წლის პირველ და მეორე ნახევრებში, ასევე, თითქმის ყველა თვის მიხედვით. 2010 წლის განმავლობაში სიკვდილობის მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა აგვისტო-სექტემბრის პერიოდში, რაც წინა წლების მონაცემებთან შედარებით უჩვეულო მაჩვენებელია. აღნიშნული ტენდენცია სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს.

დაბრკოლებები

სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა პენიტენციურ სისტემაში არსებული პატიმართა სიკვდილობის სპექტრი და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი შეისწავლა წლის განმავლობაში განხორციელებული არაერთი გეგმური თუ არაგეგმური ვიზიტის საშუალებით. ინფორმაციის წყაროებად გამოყენებულია ასევე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან მიღებული კორესპონდენცია. საბოლოო დასკვნები გაკეთდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ მოწოდებული გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის

დასკვნების შესწავლით.

ზემოაღნიშნულ პროცესში, ისევე როგორც გასულ წლებში, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს შეექმნა გარკვეული შეფერხებები. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული შეფერხებები იქმნებოდა გამოთხოვილ ინფორმაციაზე საპასუხო წერილის დაგვიანებით. გარდა ამისა, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო სრულყოფილად არ პასუხობდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გაგზავნილ მოთხოვნას. სამინისტრომ სრულყოფილად არ მოგვაწოდა გარდაცვლილ პატიმართა სრული სია. მაგალითად, 2010 წლის მეორე ნახევარში გარდაცვლილ პატიმართა სიის მოთხოვნის საპასუხოდ, 2010 წლის 31 იანვარს, სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა არასრულყოფილი საპასუხო წერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ სულ წლის მეორე ნახევარში 45 პატიმარია გარდაცვლილი. 2010 წლის 2 თებერვალს მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან მოსული საპასუხო წერილით გვეცნობა მხოლოდ, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში (მათ შორის, გაყვანილი პაციენტების ჩათვლით, რომლებიც გარდაიცვალნენ) დაფიქსირებულია სიკვდილობის 45 ფაქტი. აღნიშნული მონაცემები დიდ ცდომილებაში მოდიოდა ჩვენ მიერ სასჯელაღსრულების თითოეულ დაწესებულებაში მოპოვებულ ინფორმაციასთან. საბოლოოდ, ინფორმაციის ჩვენს ხელთ არსებული ყველა წყაროს შეჯერებით 2010 წლის მეორე ნახევარში დადგინდა პატიმართა გარდაცვალების 83 შემთხვევა.

ტრადიციისამებრ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გაგზავნილი წერილის საპასუხოდ, რომელშიც ვითხოვდით ინფორმაციას გარდაცვლილი პატიმრების შესახებ, სამოქალაქო ტიპის სტაციონარებში გარდაცვლილი პირები სიაში არ შეიყვანეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ წინა წლების მსგავსად, გარდაცვლილთა რაოდენობის ხელოვნური შემცირების აშკარა მცდელობაა.

ამ მხრივ სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ კვლავ არ გაგვეწია ქმედითი დახმარება. სახალხო დამცველმა ბიუროს რამდენჯერმე მიმართა, გამოეგზავნათ გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების დამოწმებული ასლები. წერილს თანდართული ჰქონდა გარდაცვლილთა სია, რომელიც აღნიშნულ ეტაპზე ჩვენ შევადგინეთ. ბიუროს ეთხოვა, გადაემოწმებინათ და შეევსოთ აღნიშნული სია მათ ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, ბიურო გვიგზავნიდა მხოლოდ იმ დასკვნების ასლებს, რომლებიც ჩვენ მიერ შედგენილ სამუშაო სიაში იყო შეტანილი. სამუშაო პროცესის დინამიკურობიდან გამომდინარე, ყოველი ახალი გარდაცვლილი პატიმრის აღმოჩენისას განმეორებით გვიწევდა ექსპერტიზის ბიუროში მოთხოვნის გაგზავნა, რაც მთლიანობაში აფერხებდა შესწავლის პროცესს.

ზოგადი ტენდენციები და მაჩვენებლები

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დადგენილი გარდაცვლილ პატიმართა

რაოდენობა 2010 წელს 142-ია, რაც უტყუარად დასტურდება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებული გაკვეთის ოქმებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რიცხვში შედის ასევე 3 გარდაცვლილი პატიმარი, რომელთაგანაც ერთის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, ბიუროს ინფორმაციით, კვლავ წარმოებაშია, ხოლო 2 მათგანის შესახებ ბიუროს ინფორმაცია არ გააჩნია.⁷⁷ მიუხედავად ამისა, ამ ორი პატიმრის სიკვდილის ფაქტი დადასტურებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადგილზე, სამედიცინო ნაწილში არსებული დოკუმენტაციითა და ჩანაწერებით.

სიკვდილობის შესახებ არაზუსტ ინფორმაციას სამინისტრო აწვდიდა არა მარტო სახალხო დამცველს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. ამის ნათელი მაგალითია ისევ და ისევ ევროპის საბჭოს მიერ 2010 წლის 22 მარტს გამოქვეყნებული ბოლო ყოველწლიური ანგარიში.⁷⁸ დოკუმენტის მიხედვით საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში 2007 წელს 98 პატიმარია გარდაცვლილი, მაშინ, როდესაც სახალხო დამცველის მიერ ამავე წელს დადგენილია პატიმართა სიკვდილობის 101 შემთხვევა. ასევე, არასწორია სუიციდის რაოდენობები იმავე წელს, რომლებიც, წყაროს მონაცემებით, სულ ექვსი იყო. მიუხედავად ამისა, იმავე წყაროს მიხედვით პატიმართა სიკვდილობის მაჩვენებლით საქართველო ევროპაში მაინც ერთ-ერთ წამყვან ადგილზე გამოდის. ევროპაში პატიმართა სიკვდილობის საერთო დონე ყოველ 10000 პატიმარზე გადაანგარიშებით 33.2-ია, მაშინ, როცა საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი, ევროსაბჭოს მიერ გამოქვეყნებული ბოლო ანგარიშის მიხედვით 53.3-ია.

2010 წლის განმავლობაში გარდაცვლილ 142 პატიმარს შორის 3 ქალია, 139 – მამაკაცი. აღსანიშნავია, რომ 2010 წელი გამოირჩეოდა ქალთა სიკვდილობის შემთხვევების მატებითაც წინა წლებთან შედარებით. 2010 წელს გარდაცვლილთა შორის 42% მოდის წლის პირველ ნახევარზე, ხოლო 58% – წლის მეორე ნახევარზე. სამივე ქალი გარდაცვლილია წლის მეორე ნახევარში.

ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებულია პენიტენციურ სისტემაში გარდაცვლილთა ასაკობრივი სპექტრი. გარდაცვლილთა საშუალო ასაკმა 44 \pm 4 შეადგინა, რაც პრაქტიკულად არ განსხვავდება 2009 წელს გარდაცვლილთა საშუალო ასაკისაგან (45 \pm 4). ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ ბოლო წლებში გარდაცვლილ პატიმართა ასაკი სტაბილურად ერთსა და იმავე ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება 2010 წელს გარდაცვლილთა ასაკობრივ ჯგუფებს, ეს ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:


⁷⁷ წერილი N5-004369-2011 14.03.2011

⁷⁸ Council of Europe, Annual Penal Statistics. Survey 2008. Strasbourg, 22 March 2010 [pc\cp\space\documents\pc\cp \(2010\)07-e](#)

≤ 20	1	0.73 %
21 – 30	15	10.56 %
31 – 40	39	27.46 %
41 – 50	45	31.69 %
51 – 60	23	16.19 %
61 – 70	14	9.85 %
70 ≥	5	3.52.%

როგორც ცხრილიდან ჩანს, გარდაცვალების შემთხვევები მაქსიმალურია (თითქმის 32 პროცენტი) 41–იდან 50 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო აღნიშნულზე ოდნავ ნაკლები მაჩვენებლით მეორე ადგილზე გამოდის (27.5%) 31–იდან 40 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი. გარდაცვალების მიზეზთა სპექტრის გათვალისწინებით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2010 წელს საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ახალგაზრდა ასაკის მამაკაცები უპირატესად სპეციფიკური დაავადებებით გარდაიცვლებიან. იმავე დაავადებებით სამოქალაქო სექტორში განვითარებული სიკვდილობა ასეთ მაღალ მაჩვენებლებს არ აღწევს. აქ კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პენიტენციური ჯანდაცვა არ წარმოადგენს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეკვივალენტურ სფეროს, რაც უხეშად არღვევს პატიმრების უფლებას ჯანმრთელობაზე.

რაც შეეხება პატიმართა გარდაცვალების ადგილს, ამ მხრივაც 2010 წელს საინტერესო ტენდენცია იკვეთება. კერძოდ, გარდაცვალების შემთხვევათა 45.78 % მოდის ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოზე; 29.58% გარდაცვლილია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო 24.64%-ში სიკვდილი დაფიქსირდა სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში. აღნიშნული თანაფარდობა წარმოდგენილია გრაფიკულად:



თუ გასულ 2009 წელს გარდაცვალების შემთხვევათა თითქმის ნახევარი მოდიოდა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაზე (49%), 2010 წლის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის განახევრდა. იმ ფონზე, როდესაც სასჯელის მოხდის სხვა ადგილებში (გარდა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა) გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობის ამსახველი პროცენტული მაჩვენებელი თითქმის ერთსა და იმავე ფარგლებში მერყეობს (22-24%), გამოდის, რომ ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების გაყვანა ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოში ფაქტობრივად გაორმაგდა ერთი წლის განმავლობაში. პაციმართა გადაყვანის მიზანს კი ამ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ სიკვდილი დაფიქსირდეს პენიტენციური სისტემის ფარგლებს გარეთ. ამგვარად, უკანასკნელ წლებში საქმე გვაქვს ერთგვარ ფენომენთან, რომელსაც „**სიკვდილის ექსპორტი**“ შეიძლება ვუწოდოთ. აღნიშნულის თქმის საფუძველს გვაძლევს ისევ და ისევ იმ სამედიცინო დოკუმენტაციისა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნების ანალიზი, რომლებიც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი ისედაც მოკვდებოდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო გადაყვანილი, ხოლო სამედიცინო ხასიათის ღონისძიებები, განსაკუთრებით კი მათი ქალაქის კლინიკებში გადაყვანა, ეფექტური იქნებოდა დაავადების განვითარების მხოლოდ ადრეულ ეტაპზე, რაც, სამწუხაროდ, საქართველოს პენიტენციური სისტემის რეალობაში შეზღუდული და ხშირად წარმოუდგენელია.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ გარდაცვლილ პაციმართა სოლიდურ ნაწილს დადგენილი ჰქონდა მძიმე და განუკურნებელი დაავადების დიაგნოზი. ასეთებია: ფილტვის, მსხვილი ნაწლავის, სათესლე ჯირკვლის, თირკმელზედა ჯირკვლის, ღვიძლის, თავის ტვინის, კუჭის, წინამდებარე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეები, ასევე ლეიკემიის მძიმე ფორმა, რბილი ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნე და ასე შემდეგ. გარდა ამისა, პაციენტთა ნაწილს დადგენილი

ჰქონდა ტუბერკულოზის უმძიმესი ფორმები, მულტირეზისტენტობით, ღვიძლის ციროზის შორსწასული სტადია და ასე შემდეგ. მიუხედავად ამისა, ამ პაციმართა მიმართ სასჯელის გადავადების ან ვადამდე გათავისუფლების საკითხი არ დასმულა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის პირობები და საშუალებები, რომლებითაც მკურნალობდნენ და უვლიდნენ იმ პაციენტებს, რომელთათვისაც შეუთავსებელია ხანგრძლივი პატიმრობა. თითოეული ასეთი შემთხვევა, რომელიც ჩვენ მიერ გამოვლინდა, უნდა შეფასდეს, როგორც ადამიანის მიმართ არაჰუმანური მოპყრობა. სამწუხაროდ, ამ საკითხს წლიდან წლამდე ყურადღება არ ექცევა, რაც უფრო მეტად ამძიმებს ისედაც საგანგაშო მდგომარეობას.

წლის განმავლობაში ჩვენ ასევე აღვწერეთ ერთი ფაქტი, როდესაც პაციენტი ნადიმ ცეცხლაძე გარდაიცვალა ტუბერკულოზის შორსწასული და მძიმე ფორმით. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე პაციენტი გადაიყვანეს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში, ხოლო შუამდგომლობა პატიმრის სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ სასამართლომ დააკმაყოფილა გარდაცვალებამდე 2 დღით ადრე. შესაბამისად, გარდაცვლილი ნადიმ ცეცხლაძე გარდაცვლილთა სიაში არ მოხვედრილა, ვინაიდან სიკვდილის დადგომისას ის უკვე პატიმარი აღარ იყო. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ პაციენტის დიაგნოსტიკის, მკურნალობის და დაავადების მართვის სხვადასხვა ეტაპზე დაშვებული იყო უხეში შეცდომები, რამაც, საბოლოო ჯამში, პაციენტის სიკვდილი გამოიწვია.

ქალაქის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში გაყვანილი და გარდაცვლილი პატიმრების რაოდენობამ 2010 წელს თითქმის 46% შეადგინა. ამ მხრივ წამყვან ადგილზე გამოდის ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, სადაც ქალაქის საავადმყოფოში გარდაცვლილ პატიმართა 43%-იანი წილი მოდის. მეორე ადგილზეა ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, სადაც ანალოგიური მაჩვენებელი 33.8%-ს შეადგენს, ხოლო 2010 წლის მეორე ნახევრიდან უკვე ჩნდება მესამე (ახალი) დაწესებულება, სადაც ხორციელდება ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პატიმართა გადაყვანა – თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი, სადაც გარდაცვალების 12.35% მოდის. როგორც წინა წლებში, წელსაც პატიმრების გარკვეული რაოდენობა გარდაიცვალა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში (6.15%). რაც შეეხება დანარჩენ საავადმყოფოებს, მათზე 1.5% მოდის და ესენია ონკოლოგიის ეროვნული ცენტრი, ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო. ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები, თვალსაჩინოების მიზნით მოცემულია ცხრილში:

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი	43.07 %
ღუდუშაურის სახელობის ეროვნული	33.84 %

სამედიცინო ცენტრი	
თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი	12.35 %
ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი	6.15 %
ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო	1.53 %
ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი	1.53 %
ჰემატოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი	1.53 %

შედარებისათვის უნდა ითქვას, რომ 2009 წლის განმავლობაში გარდაცვლილთა 50% მოდიოდა ღუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრზე, 23% – ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრზე, ხოლო 11.53% – ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრზე.

როგორც უკვე აღინიშნა, პატიმართა დაახლოებით 1/4 გარდაიცვალა სასჯელაღსრულების სისტემის სხვადასხვა დაწესებულებაში ანუ სასჯელის მოხდის ძირითად ადგილებზე (გარდა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა). აღნიშნული სტატისტიკა, დაწესებულებათა მითითებით, დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

№	სასჯელაღსრულების დაწესებულების ნომერი	აბსოლუტური რიცხვი	%
1	№14 დაწესებულება(გეგუთი)	6	17.14
2	№15 დაწესებულება (ქსანი)	5	14.28
3	№ 16 დაწესებულება (რუსთავი)	4	11.42
4	№19 დაწესებულება (ქსანი) ტუბერკ.	4	11.42
5	№12 დაწესებულება (თბილისი)	4	11.42
6	№17 დაწესებულება (რუსთავი)	3	8.57

7	№8 დაწესებულება (თბილისი)	2	5.75
8	№4 დაწესებულება (ზუგდიდი)	2	5.75
9	№6 დაწესებულება (რუსთავი)	1	2.85
10	№2 დაწესებულება (ქუთაისი)	1	2.85
11	№1 დაწესებულება (თბილისი)	1	2.85
12	№5 დაწესებულება (რუსთავი) ქალთა	1	2.85
13	№10 დაწესებულება (თბილისი)	1	2.85


როგორც ცხრილიდან ჩანს, გარდაცვალების შემთხვევები მაქსიმალური იყო გეგუთის №14 დაწესებულებაში და დაბა ქსნის №15 დაწესებულებაში. აღნიშნული ტენდენცია 2010 წელს გამოიკვეთა, ვინაიდან გასულ წელს №14 დაწესებულებაში წლის განმავლობაში არცერთი პაციმარი არ იყო გარდაცვლილი, ხოლო №15 დაწესებულებაში – მხოლოდ ერთი.

2010 წლის საანგარიშო პერიოდში პაციმართა გარდაცვალების მიზეზების შესასწავლად გაანალიზდა სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ საქართველოს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის მასალები და სხვადასხვა დოკუმენტის შესწავლის შედეგები. ინფორმაცია გარდაცვლილი პაციმარებისა და გარდაცვალების მიზეზების შესახებ გამოვითხოვეთ ასევე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან. გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები გამოვითხოვეთ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან. გარდაცვლილ პაციმართა სტაციონარის სამედიცინო ბარათის ზოგიერთი ასლები მიღებულია როგორც მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებიდან, ასევე სამოქალაქო ტიპის სამედიცინო დაწესებულებებიდანაც. სამედიცინო დოკუმენტაციის ნაწილი გადაიგზავნა ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში, რომლის მიერ მოწოდებული დასკვნებიც გარკვეულწილად ასახულია ანალიზში. არსებული მასალები შეჯერდა და გაანალიზდა. პაციმართა გარდაცვალების მიზეზების შესასწავლად ვიხელმძღვანელებთ სასამართლო სამედიცინო დიაგნოზებით, ასევე, ზოგიერთ შემთხვევებში, ჩვენი შესწავლა დაეყრდნო სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათებში არსებულ ინფორმაციას. გარდაცვალების მიზეზები

და სასამართლო სამედიცინო დიაგნოზები გავაერთიანეთ გარკვეულ დაავადების კლასებში, რომლებიც დაჯგუფებული სახით წარმოდგენილია ქვემოთ⁷⁹:

№	დაავადებათა კლასი	%
1	სასუნთქი სისტემა	25.65
2	გულ-სისხლძარღვთა სისტემა	14.49
3	ინფექციური დაავადებები	12.46
4	ტუბერკულოზი	10.14
5	შარდ-სასქესო სისტემა	9.85
6	ტრავმები	7.68
7	საჭმლის მომნელებელი სისტემა	6.08
8	ნევროლოგიური დაავადებები	5.36
9	ქირურგიული დაავადებები	3.62
10	ონკოლოგიური დაავადებები	2.65
11	ფსიქიკური დაავადებები	1.01
12	ენდოკრინული სისტემა	1.01

⁷⁹ აღნიშნული ცხრილი არ ასახავს უშუალოდ გარდაცვალების მიზეზებს, არამედ მხოლოდ იმ დაავადებებს, რომლებიც აღენიშნებოდათ გარდაცვლილ პაციმრებს. გარდაცვალების მიზეზების ამსახველი მონაცემები იხ. ქვემოთ.



როგორც მოყვანილი დიაგრამიდან და ცხრილიდან ნათლად ჩანს, გარდაცვლილ პაციმართა მეოთხედზე მეტს აღენიშნებოდა სასუნთქი სისტემის რომელიმე პათოლოგია. ამ კლასში არ შედის ფილტვების ან სასუნთქი გზების ტუბერკულოზი, ვინაიდან იგი ცალკეა გამოყოფილი. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს გარდაცვლილთა შორის სასუნთქი სისტემის დაავადებათა გავრცელება პრაქტიკულად ანალოგიურია (25.63%), ანუ ამ მხრივ პრობლემა არ შეცვლილა და კვლავაც აქტუალურია. ტუბერკულოზის გავრცელებამ შარშანდელთან შედარებით ერთი პროცენტით იკლო და მეორედან მესამე ადგილზე გადავიდა. ამის პარალელურად იმატა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გავრცელებამ. თუ 2009 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მე-5 ადგილს იკავებდა 9.13%-ით, 2010 წლისათვის გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა გავრცელებამ გარდაცვლილ პაციმართა შორის 14.5%-ით მეორე ადგილი დაიკავა. რაც შეეხება ინფექციური დაავადებების გავრცელებას, რომელშიც პრაქტიკულად ვირუსული ჰეპატიტები და აივ ინფექციაა გაერთიანებული, ამ მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების ტენდენცია არ შეინიშნება. იგი კვლავ მესამე ადგილს იკავებს, თუმცა დაახლოებით 2-3%-ით არის მომატებული. სიხშირის მიხედვით მე-5 ადგილს იკავებს შარდ-სასქესო სისტემის პათოლოგია, რაც მცირეოდენი მატების ტენდენციას ავლენს გასულ წელთან შედარებით. ასევე 2 ადგილით ზევით გადაინაცვლა ტრავმატიზმმა, რომელიც მოიცავს სხეულის დაზიანებათა და ნაძალადევი სიკვდილის ფაქტებს. საჭმლის მომნელებელი სისტემის პათოლოგია, თუ არ ჩავთვლით ღვიძლის ვირუსულ დაავადებებს, 2010 წელს კლების ტენდენციას ავლენს გასულ წელთან შედარებით. ასევე, უმნიშვნელოდ არის შემცირებული ქირურგიული დაავადებების როლი სიკვდილობის განვითარებაში, თუმცა აქვე აღინიშნება ნევროლოგიური პათოლოგიის პროცენტული წილის ზრდა, რაც უკანასკნელი წლების მაჩვენებლებით ტენდენციად იქცა. გავრცელების სიხშირის მიხედვით ცვლილება არ შეეხო

ონკოლოგიურ დაავადებებს, ფსიქიატრიულ ნოზოლოგიებსა და ენდოკრინულ პათოლოგიას. დაავადებათა ეს სამი ჯგუფი, გასული წლის მსგავსად, ბოლო სამ ადგილს იკავებს.

შემდგომ ეტაპზე ღრმად შევისწავლეთ თითოეული ნოზოლოგიური ჯგუფი და გამოვლინდა ის კონკრეტული დაავადებები, რომლებიც შესაბამის როლს თამაშობდა სიკვდილის დადგომაში.

სასუნთქი სისტემის დაავადებები


სასუნთქი სისტემის დაავადებებიდან, რომლებიც პატიმართა სიკვდილის მიზეზი გახდა, ყველაზე ხშირად დაფიქსირდა ბრონქიტი (ექსუდაციური, ჩირქოვანი), რომელთა რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო ჯგუფში. სიხშირით მეორე ადგილზე გამოდის პნევმონია (ფილტვების ანთება), რომელიც ორ კატეგორიად დავყავით. 142 გარდაცვლილი პაციენტიდან პნევმონია აღენიშნებოდა 74 პაციენტს, ანუ საერთო რაოდენობის 52%-ს. მათგან კაზეოზური პნევმონია იყო 32 შემთხვევაში, რაც ამ ჯგუფში არ შევიდა და განხილული იქნება ტუბერკულოზთან ერთად და 42 შემთხვევა, როდესაც დადასტურდა ბაქტერიული პნევმონია, ფილტვებში ჩირქოვანი კერების არსებობით. აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილთა საექსპერტო დასკვნების მიხედვით, რომლებიც ნაწილობრივ პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციასაც მიმოიხილავს, ფილტვების ანთებას ციხის ექიმები ხშირ შემთხვევაში ვერ ამოიცნობენ და ამგვარი პაციენტები მკურნალობის გარეშე რჩებიან. პნევმონია ზოგიერთ შემთხვევაში წარმოადგენს ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის რეანიმაციულ განყოფილებაში ყოფნის პერიოდში არსებულ გართულებას. ანთებას ხშირად ორმხრივი ხასიათი აქვს, რაც განსაკუთრებით ამძიმებს პაციენტის მდგომარეობას და სუნთქვის უკმარისობას იწვევს. პნევმონიების განვითარება ხშირია ხანგრძლივად მწოლიარე პაციენტებშიც, რომლებიც სხვა მიზეზის გამო გადიან სტაციონარული მკურნალობის კურსს. ასეთ შემთხვევაში პნევმონიით გამოწვეული ინტოქსიკაცია ხშირად ხდება სიკვდილის უშუალო გამომწვევი ფაქტორი.

პნევმოციროზი მორფოლოგიურად დადასტურდა 28 შემთხვევაში; 23 შემთხვევაში დადგინდა ფილტვების ემფიზემა; 20 შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნაში საუბარია პნევმო/ჰემო/ჰიდრო - თორაქსის არსებობაზე; 14 შემთხვევაში დაფიქსირდა არატუბერკულოზური გენეზის პლევრიტი. ხშირ შემთხვევაში პლევრიტი თან ახლავს პნევმონიას და, სავარაუდოდ, მის გართულებას წარმოადგენს, რაც ფილტვების ანთების არაადეკვატური მკურნალობისა და დიაგნოსტიკის შედეგია. პლევრიტი ხშირად ექსუდაციურია (ჩირქოვან-ფიბრინული), რაც მკვეთრად ამძიმებს პაციენტის მდგომარეობას. 5 შემთხვევაში სასამართლო სამედიცინო დასკვნებში მორფოლოგიურად დადასტურდა ანთრაკოზი. აღნიშნული დაავადება, როგორც წესი, პროფესიულ დაავადებას წარმოადგენს და მისი არსი მდგომარეობს ფილტვებში საწარმოო მტვრის (ამ შემთხვევაში - ნახშირბადის შემცველი) დაგროვებაში. ამ

დაავადების შემთხვევები წინა წლებშიც გამოვლინდა. საბოლოოდ, ამ მიმართულებით კვლევა უფრო მეტ ჩაღრმავებასა და ანალიზს მოითხოვს.

ზემოთ ჩამოთვლილ დაავადებათა წილი სასუნთქი სისტემის დაავადებებს შორის მოცემულია ცხრილში და დიაგრამაზე:

ბრონქიტი	25.42 %
პნევმონია	23.72 %
პნევმოციროზი	15.83 %
ემფიზემა	12.99 %
პნევმოთორაქსი	11.29 %
პლევრიტი	7.93 %
ანთრაკოზი	2.82 %



პაციენტი თ.დ. (ქალი) (კოდი II №62) გარდაიცვალა თბილისის რეფერალურ ჰოსპიტალში. ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილი გამოიწვია სუნთქვის უკმარისობამ, რომელიც განვითარდა ფილტვების ანთების (კრუპოზულ-ჩირქოვანი პნევმონია) ფონზე.

აღსანიშნავია, რომ გასული წლების მსგავსად, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება ფილტვების ბანალური ანთების შედეგად პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში პაციენტთა ხშირი გარდაცვალება, რაც მედიცინის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სამარცხვინო ფაქტია!

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, წინა წელთან შედარებით მატების ტენდენცია აღინიშნება. გულის იშემიური დაავადება აღენიშნებოდა 142 გარდაცვლილიდან 54.2%-ს. მათ შორის, მიოკარდიუმის ინფარქტის მორფოლოგიური სურათი დადასტურდა 31 შემთხვევაში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, აღინიშნება მიოკარდიუმის ინფარქტის „გაახალგაზრდავების“ ტენდენცია, ანუ ეს დაავადება სულ უფრო და უფრო დაბალ ასაკობრივ ჯგუფში ინაცვლებს.

პაციენტი კ.ჭ. 37 წლის (კოდი II №37) გარდაიცვალა ქსნის N15 დაწესებულებაში. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ პაციენტს აღენიშნებოდა გულის იშემიური დაავადება, კარდიოსკლეროზი, კორონაროსკლეროზი, მარცხენა პარკუჭის წინა კედლის ანევრიზმა, გულის კუნთის ინფარქტი, პნევმონია, ექსუდაციური ბრონქიტი, სისხლნაჟღერებები მარცხენა თვალბუდის ქვედა გარეთა კიდეში და მარცხენა ქუთუთოზე. გარდაცვალების მიზეზად კი პირდაპირ სახელდება მიოკარდიუმის ინფარქტი.


პაციენტი ბ.ვ. (კოდი II №39) გარდაიცვალა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პერიტონიტით. მიუხედავად ამისა, ექსპერტიზის დასკვნაში მკაფიოდაა მითითებული, რომ პაციენტს აღენიშნებოდა მიოკარდიუმის ინფარქტი ორგანიზაციის სტადიაში, რაც თავის დროზე სამედიცინო დოკუმენტაციაში არ ჩანს. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პათოლოგიის დიაგნოსტიკა ვერ მოხერხდა.

პაციენტი გ.ნ. (კოდი II №45) გარდაიცვალა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებიდან მესამე დღეს. ექსპერტიზის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ მორფოლოგიურად დადგენილია მიოკარდიუმის ინფარქტი ორგანიზაციის სტადიაში, მიოკარდიუმის მსხვილ და წვრილკეროვანი პოსტინფარქტული ნაწიბურებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს პაციენტის მიერ გადატანილი პირველი პროცესი არ იყო. სიკვდილის მიზეზად გამოტანილია მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი გულის ქრონიკული იშემიური დაავადების გამწვავების შედეგად.

პაციენტი ტ.მ. (კოდი II №47) გარდაიცვალა რუსთავის N6 დაწესებულებაში. სამედიცინო საბუთებში ირკვევა, რომ პაციენტს უტარდებოდა ამბულატორიული მკურნალობა. ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია მიოკარდიუმის ინფარქტი ორგანიზაციის სტადიაში, რაც გადატანილ პროცესზე მიუთითებს და რაც, სავარაუდოდ, ვერ ამოიცნეს დროულად. სიკვდილის მიზეზად ექსპერტიზა ასახელებს მიოკარდიუმის ინფარქტს, განვითარებულს გულის იშემიური დაავადების ფონზე.

კარდიოლოგიური დაავადებებიდან გულის რითმის მოშლა დაფიქსირდა 5 შემთხვევაში, ხოლო 18 შემთხვევაში მორფოლოგიურად ვერიფიცირდა მიოკარდიუმის ანთებითი ან სხვა სახის დაზიანებები, აქვეა შეყვანილი ენდოკარდიუმის დაზიანებით გამოწვეული მდგომარეობები. კარდიოლოგიურ დაავადებათა სპექტრი წარმოდგენილია ცხრილში და დიაგრამაზე:

გულის იშემიური დაავადება	58.77
მ/შ მიოკარდიუმის ინფარქტი	23.66
გულის რითმის მოშლა	3.83
მიო/ენდო - კარდიტი	13.74



ჩვენ მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს დაფიქსირდა, რომ კვალიფიციური კარდიოლოგიური დახმარება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხელმიუწვდომელია. არ ხდება პატიმართა სკრინინგი, რისკჯგუფების გამოვლენა და დადასტურებული დიაგნოზის შემთხვევაშიც კი, პაციენტთა ადეკვატური მკურნალობა. პაციენტები ხშირად თავად ინიშნავენ წამლებს ან აგრძელებენ იმ მედიკამენტების მიღებას, რომლებიც თავისუფლებაში ყოფნის დროს დაუნიშნა კარდიოლოგმა. პრეპარატის დოზა და საერთოდ მიღების მიზანშეწონილობის საკითხი პრაქტიკულად არ გადაიხედება. მეორე მხრივ, ადგილობრივი სამედიცინო ნაწილები პაციენტებს ვერ სთავაზობენ კვალიფიციურ დახმარებას. თითქმის არცერთ სამედიცინო ნაწილს (ერთეულების გარდა) არ გააჩნია კარდიოგრაფიკ კი. ზედმეტია ლაპარაკი მიოკარდიუმის იშემიის თანამედროვე, ლაბორატორიულად (ფერმენტებით)

დადასტურების შესაძლებლობაზე. მუდმივი სტრესისა და არსებული სუბსტრატული დაზიანებების პირობებში ვითარდება ამ ტიპის დაავადებები, რომლებიც მაღალ პროცენტში ფატალურია ადამიანისათვის.

ინფექციური დაავადებები

ინფექციური დაავადებების, კერძოდ, ვირუსული ჰეპატიტების გავრცელების პრობლემა პენიტენციურ სისტემაში ახალი არაა. მიუხედავად ამისა, პრობლემის მოგვარების ეფექტური და ქმედითი გზები არ არის გამოჩენილი. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების მიერ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულ სტრატეგიას შემდგომი ქმედითი ნაბიჯები არ მოჰყოლია. სამოქმედო გეგმა შემუშავებული არ ყოფილა, რის გამოც ზემოთ ხსენებული სტრატეგია მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის დოკუმენტად დარჩა.

სწორედ პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური ღონისძიებების არარსებობის გამო, არაეფექტური პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პირობებში, ვირუსული ჰეპატიტების პრობლემა გაღრმავდა, რამაც მკვეთრი ნეგატიური გავლენა მოახდინა როგორც ზოგადად სისტემის სამედიცინო ასპექტებზე, ასევე გამოსავალზე. სწორედ ამის გამო ვირუსული ჰეპატიტებითა და მათ შედეგად განვითარებული მდგომარეობებით დამდგარი სიკვდილობა წლიდან წლამდე სტაბილურად იმატებს. ვირუსული ჰეპატიტი აღენიშნებოდა 2010 წელს გარდაცვლილი 142 პაციენტიდან 76-ს, ანუ გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს. ზოგიერთ შემთხვევაში ღვიძლის დაზიანება სიკვდილის უშუალო მიზეზი გახდა, ხოლო სხვა შემთხვევებში ამ ორგანოს დაზიანებამ მოახდინა ზოგიერთი საშიში დაავადების პროგრესის პოტენცირება, რაც ისევ და ისევ პაციენტის სიკვდილით დამთავრდა.

ღვიძლის ციროზის შორსწასული ფორმა დაფიქსირდა გარდაცვლილ პატიმართა დაახლოებით 15%-თან. რაც შეეხება ასციტის არსებობას, ეს მდგომარეობა დაფიქსირდა გარდაცვლილთა 24%-ში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ვირუსული ჰეპატიტებიდან, გარდაცვლილთა სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, აბსოლუტურ უმრავლესობას აღენიშნებოდა HCV-ვირუსი, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში, ასევე, მითითებული იყო HBV. უნდა აღინიშნოს, რომ ვირუსული ჰეპატიტი, ტუბერკულოზური ინფექციის შემდეგ, ყველა დაწესებულებისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას. ჰეპატიტებით ავადობის სკრინინგი ადგილზე არ მიმდინარეობს და გამოკვლევის (სადიაგნოზო) ჩატარებისათვის პატიმრებს უდიდესი ძალისხმევის დახარჯვა უწევთ. ასევე გვიახლოვებს გამოკვლევის შედეგები. უდიდეს სიძნელეებთანაა დაკავშირებული ასევე მკურნალობის დაწყება. ეტიოტროპული მკურნალობა სულ რამდენიმე პაციენტის აქვს დანიშნული. უკეთეს შემთხვევაში პაციენტებს ენიშნებათ ღვიძლის დამცავი საშუალებები. მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტიც, რომ დაწესებულებებში არ არსებობს ადეკვატური დიეტური კვება, რომელსაც მკურნალობისა და გამოსავლისათვის მნიშვნელობა აქვს.

აივ/შიდსი

2010 წლის განმავლობაში საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში გარდაიცვალა 8 აივ ინფიცირებული პირი. როგორც სახალხო დამცველის წინა ანგარიშებიდანაა ცნობილი, აივ/შიდსის მქონე გარდაცვლილ პატიმართა სასამართლო სამედიცინო გამოკვლევა ბოლო წლების განმავლობაში არ წარმოებდა, რაც სახალხო დამცველის მიერ შეფასდა აივ ინფიცირებულ პირთა დისკრიმინაციად და გაიცა რეკომენდაცია ამ პრობლემის მოგვარების მიზნით.

2010 წელს გარდაცვლილი 8 აივ ინფიცირებულიდან სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩასტარებია მხოლოდ ერთ გვამს (კოდი №I-20). ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ „შიდსით დაავადებულთა გვამების უსაფრთხოების არარსებობის გამო გვამის გამოკვლევა (გაკვეთა) არ ჩატარებულა“. გარდა იმისა, რომ ჩანაწერი თავის მხრივ ალოგიკურია, აღნიშნული ქმედება წარმოადგენს იმ მანკიერი ტენდენციის გაგრძელებას, რომელიც უკვე აღვნიშნეთ და რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. დანარჩენი 7 გვამის სასამართლო სამედიცინო წესით გამოკვლევა მოხერხდა, შესაბამისად, ექსპერტებს არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ. შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში ექსპერტები არ ფლობდნენ ინფორმაციას გვამის აივ სტატუსის შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში საქმე ეხება დიფერენცირებულ მიდგომას პრობლემისადმი, რაც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელობის დაუყოვნებლივ ჩარევასა და აქტიურ ქმედებას მოითხოვს.

დაავადებათა თანაარსებობა

საქართველოსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გასულ წლებში ჩატარებული კვლევებით დგინდება, რომ აივ ინფექცია, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტი ხშირად თანაარსებობს, რაც პაციენტის მდგომარეობას ხშირად ამძიმებს და სიკვდილს იწვევს.⁸⁰

ჩვენ შევისწავლეთ ამ სამი მძიმე დაავადების თანაარსებობის შემთხვევები 2010 წელს გარდაცვლილ პაციენტთა შორის. აღმოჩნდა, რომ ვირუსული ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის თანაარსებობა გარდაცვლილთა 28 % -ში დაფიქსირდა. რაც შეეხება სამივე ინფექციას (ჰეპატიტი, ტუბერკულოზი, აივ) გამოვლინდა 5 შემთხვევაში (3.52%). რაც შეეხება დანარჩენ 3 აივ ინფიცირებულ პირს, მათ ჰეპატიტი არ ჰქონიათ დადგენილი, თუმცა სამივე მათგანს აღვნიშნებოდა ფილტვების ტუბერკულოზი.

⁸⁰ [1] V. Burek, J. Horvat, K. Butorac et al - Viral hepatitis B, C and HIV infection in Croatian prisons - Epidemiology and Infection - (2010), 138: 1610-1620;

2) S. Todts, F. Van Mol et al - Tuberculosis, HIV, hepatitis B and risk behaviour in a Belgian prison. Archives of Public Health, 1997, vol. 55, n°3-4, pp. 87-97 (28 ref.);

3) F.A. Drobniowski, C. Graham - Tuberculosis, HIV seroprevalence and intravenous drug abuse in prisoners. Eur Respir J 2005; 26: 298-304;


4) Michael Puisis - Clinical Practice in Correctional Medicine. MOSBY 2006;

5) Kazib et al - Risk factors and prevalence of tuberculosis, human immunodeficiency virus, syphilis, hepatitis B virus, and hepatitis C virus among prisoners in Pakistan. International Journal of Infectious Diseases. Vol 14, Supplement 3. September 2010]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში არსებობს გაიდლაინი ტუბერკულოზის, შიდსისა და ვირუსული ჰეპატიტის კოინფექციის მართვის შესახებ, რომელიც პენიტენციური სისტემისათვის უცნობია (http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=68&info_id=104).

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2 გარდაცვლილ პაციმარს ლაბორატორიულად სისხლში დადგენილი ჰქონდა ასევე სიფილისი. საბოლოოდ, ინფექციური პათოლოგიის გავრცელება მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში და დიაგრამაზე:

ვირუსული ჰეპატიტები	88.34 %
აივ ინფექცია	9.34 %
სიფილისი	2.32 %




ტუბერკულოზი

ტუბერკულოზის გავრცელება გარდაცვლილ პაციმართა შორის მეოთხე ადგილზეა, მაშინ როდესაც აღნიშნული დაავადება 2010 წელს გარდაცვლილი პაციმრების გარდაცვალების მიზეზებში ისევ პირველ ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ ფილტვების ტუბერკულოზის ესა თუ ის შორსწასული ფორმა აღენიშნებოდა გარდაცვლილ პაციმართა 49.3%-ს, ანუ პრაქტიკულად ყოველ მეორე გარდაცვლილს. როგორც წესი, ეს შემთხვევები წარმოადგენს ტუბერკულოზის პირველად კერას. აღსანიშნავია, რომ 2009 წლის განმავლობაში პრაქტიკულად იგივე პროცენტული მაჩვენებელია დადგენილი, ანუ ტუბერკულოზის გავრცელებამ და მისით გამოწვეულმა სიკვდილობამ ციხეებში არ იკლო და ტუბერკულოზური ინფექცია პრაქტიკულად

კვლავ რჩება პატიმართა სიკვდილის N1 მიზეზად. აღნიშნული ტენდენცია ხშირად იწვევს შემფოთებას საერთაშორისო მასშტაბით.⁸¹

ექსპერტიზის დასკვნებში საუბარია ასევე ტუბერკულოზის მულტირეზისტენტულ ფორმებზე. აღნიშნული ინფორმაცია გადმოტანილია გარდაცვლილი პაციენტის სამედიცინო ბარათებიდან. ინფორმაცია დასტურდება ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულთა დაახლოებით 19% შემთხვევებში. როგორც უკვე აღინიშნა, კაზეოზური პნევმონია მორფოლოგიურად დადასტურდა 32%-ის მიმართ. გარდა ამისა, სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, კვლავ საკმაოდ ხშირია ფილტვგარეშე ტუბერკულოზის ფორმები. აღნიშნულიდან 2010 წელს გარდაცვლილთა შორის გვხვდება: ღვიძლის, ნაწლავის, თირკმლის, ელენთის, პლევრის, გულის, დიაფრაგმის, ბადექონის, შუასაყრის ტუბერკულოზი, ასევე, ტუბერკულოზური მეზოადენიტი და ნეიროტუბერკულოზის ფორმებიც. ფილტვგარეშე ტუბერკულოზის ფორმების სპექტრი და მათი პროცენტული წილი წარმოდგენილია ცხრილში და გრაფიკულად:

მეზოადენიტი	5.11%
ბადექონი	1.02 %
დიაფრაგმა	2.04 %
ნაწლავის	2.04 %
ღვიძლის	14.28 %
თირკმლის	6.12 %
ელენთის	11.22 %
პლევრის	45.92 %
გულის	4.08 %
ნერვული სისტემის	5.11 %
სპონდილიტი	2.04 %
შუასაყრის	1.02 %



⁸¹ Guidance on ethics of tuberculosis prevention, care and control. ISBN 978 92 4 150053 1 WHO Library Cataloguing-in-Publication Data 2010.

ექსტრაპულმონური (ფილტვგარე) ტუბერკულოზის ასეთი მრავალფეროვნება და მაღალი პროცენტული წილი ისევ და ისევ ტუბერკულოზური ინფექციის არაადეკვატური მართვის პირდაპირ შედეგად უნდა ჩაითვალოს.⁸² ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მკურნალობის კურსის ხშირი შეწყვეტის პრეცედენტები და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არასაკმარისი ადგილების არსებობა, რაც, თავის მხრივ, კურსის დაწყების დაგვიანებას ან სხვა არასათანადო პირობებში მკურნალობის კურსის ჩატარებას გულისხმობს. არაადეკვატური ვენტილაციის, მზის ინსოლაციის, კვების, სუფთა ჰაერისა და ათეულობით პატიმრის დიდ ერთიან საკნებში ყოფნა ტუბერკულოზური ინფექციის პროფილაქტიკისა და მართვის სიძნელეებს იწვევს. აღსანიშნავია ისიც, რომ სამედიცინო მომსახურების ის ტიპები, რომლებიც თავისუფლებადკვეთილ პირებს მიეწოდებათ ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, ხელმისაწვდომია მხოლოდ მსჯავრდებულთათვის. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის მომსახურების ეს სახეები პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია. ამას ემატება რეჟიმისა და დისციპლინური მოტივებით მკურნალობის კურსის იძულებითი შეწყვეტისა და მსჯავრდებულის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის ფაქტების არსებობაც. ამ შემთხვევაში ინფექცია საშიში ხდება არა მარტო დაავადებულისთვის, არამედ იმ პირთათვისაც, რომელთა გარემოშიც ხვდება ინფიცირებული პირი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ინფექციის მართვის სტრატეგია და პრინციპები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში სერიოზულ გადახედვასა და ცვლილებებს საჭიროებს.⁸³

2010 წლის განმავლობაში ისევე, როგორც გასულ წელს, რამდენიმე პაციენტი ნერვული სისტემის ტუბერკულოზისაგან დაიღუპა. აღნიშნული წარმოადგენს ტუბერკულოზის უმძიმეს ფორმას და ძნელია იმისი თქმა, რომ პაციენტი ადეკვატური მკურნალობის ფონზე გადარჩებოდა, თუმცა ფაქტია, რომ საქმე გვაქვს ინფექციის შორსწასულ და არაადეკვატურად მართულ შემთხვევასთან, რომლის პროფილაქტიკა ნამდვილად შეუძლებელია. ტუბერკულოზური ინფექცია, განსაკუთრებით, მისი ფილტვგარე ფორმები, რიგ შემთხვევაში ვერ ამოიცნეს დიაგნოზი მხოლოდ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შედეგად გახდა ცნობილი, როდესაც პაციენტი უკვე გარდაცვლილი იყო.

შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები


2010 წელს გარდაცვლილთა შორის საკმაოდ მაღალი იყო შარდ-სასქესო სისტემის, უპირატესად კი - თირკმლის დაავადებები. აღნიშნული დაავადებები გარდაცვლილ პატიმართა დაახლოებით 10%-ს აღენიშნებოდა. ამ ნაწილში არ შედის თირკმლის ტუბერკულოზური დაზიანების შემთხვევები, რომლებიც ექსტრაპულმონური

⁸² WHO Regional Office for Europe (2007). Status paper on prisons and tuberculosis. Copenhagen, WHO Regional Office for Europe www.euro.who.int/document/e89906.pdf

⁸³ How health systems can address inequities in priority public health conditions: the example of tuberculosis. Copenhagen, WHO Regional Office for Europe, 2010.

ტუბერკულოზის ერთ-ერთი ფორმის სახით განხილულია ზემოთ, ტუბერკულოზის სტატისტიკასთან ერთად. მორფოლოგიურად ყველაზე ხშირად დადასტურდა ნეფროსკლეროზის შემთხვევები, რომლებიც თირკმლის პათოლოგიის მქონე გარდაცვლილთა 32.43%-ს აღენიშნებოდა. ჯგუფში სიხშირით შემდეგ ადგილზე გამოდის ნეფროციროზი, რომელიც შემთხვევათა 24.32%-ში შეგვხვდა. მესამე ადგილზეა ნეფრიტის სხვადასხვა სახე, რომლებიც დადასტურდა ინტერსტიციულად 21.62% შემთხვევაში. თირკმლის უკმარისობა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დიაგნოზებში ფიგურირებს ამ ჯგუფის დაავადებათა მქონე პაციენტების 9.45%-ში. აღსანიშნავია, რომ თირკმლის უკმარისობა 2 შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალების უშუალო მიზეზი გახდა, ხოლო 4 შემთხვევაში, პოლიორგანულ უკმარისობის კომპლექსში, გამოიწვია სასიკვდილო გამოსავალი. თირკმლის ცისტა (პოლიკისტოზი) დადასტურდა შემთხვევათა 6.75%-ში. წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერპლაზია დადგინდა 2.73% შემთხვევაში; ხოლო 1.35-1.35% შემთხვევაში დადასტურდა ნეფროლითიაზი და ნეფროზი. აღნიშნული ჯგუფის სტატისტიკური დახასიათება, მეტი თვალსაჩინოების მიზნით, წარმოდგენილია ცხრილში და გრაფიკულად:

ნეფრიტი	21.62 %
ნეფროსკლეროზი	32.43 %
ნეფროციროზი	24.32 %
პროსტატის ჰიპერპლაზია	2.73 %
ნეფროზი	1.35 %
თირკმლის უკმარისობა	9.45 %
თირკმლის პოლიკისტოზი	6.75 %
ნეფროლითიაზი	1.35 %



ძალადობრივი სიკვდილის შემთხვევები

როგორც წინა წლებში, წელსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ციხეში მომხდარ ძალადობის ფაქტებს, რაც დეტალურადაა ასახული ჯანმრთელობის დაცვის საკითხების მომცველ სპეციალურ ანგარიშში. შესწავლილია თითოეული დაწესებულების დაზიანებათა აღრიცხვის ჟურნალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გაანალიზდა დაზიანებათა სპექტრი და მათი რეგისტრაციის არსებული მექანიზმები. აღნიშნულ ინფორმაციასთან კომპლექსში უნდა განვიხილოთ წინამდებარე თავში არსებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება ნაძალადევი სიკვდილის შემთხვევებს; ასევე, გარდაცვლილთა სხეულზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მიერ აღწერილ დაზიანებებს. როგორც წესი, აღნიშნული დაზიანებები სიცოცხლისათვის საშიში არ არის, ამდენად, უმრავლეს შემთხვევაში, ექსპერტიზის მიერ პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მიღებულ დაზიანებასა და სიკვდილს შორის არ დგინდება. აღნიშნულის გამო ეს ინფორმაცია, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, გამოძიებისათვის უინტერესო ხდება, რის გამოც ირღვევა არაერთი საერთაშორისო სტანდარტი, უპირველეს ყოვლისა, წამების პრევენციის გაიდლაინები.

ჩვენ ვნახეთ შემთხვევები, როდესაც ექსპერტიზა შეგნებულად უვლის გვერდს დაზიანების ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე შესაბამისი დასკვნების გაკეთებას. ამგვარ შემთხვევებში, აღწერილობით ნაწილში დაზიანება ისეა წარმოჩენილი, რომ მის გამო დამდგარი შედეგი შესაძლებელია სასიკვდილოდ ყოფილიყო, თუმცა ექსპერტის კატეგორიულობა არ არის გამოვლენილი, რის გამოც ისევ და ისევ არ ხდება გამოძიების სწორედ წარმართვა. გარდა ექიმთა არაეთიკური საქმიანობისა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შედეგებისა და მათი მნიშვნელობის

შეფასების ხელოვნურ შეცვლასთან. აღნიშნულის დამადასტურებელი მაგალითები განხილული იქნება მოგვიანებით.

2010 წლის პერიოდში საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების ანალიზის საფუძველზე დადგენილია ნაძალადევი სიკვდილის 8 შემთხვევა. მათგან 3 შემთხვევა წლის პირველ ნახევარში, ხოლო 5 მეორე ნახევარში გვხვდება. აღნიშნული 8 შემთხვევიდან 4-ში, ექსპერტიზის ინფორმაციით, სიკვდილის დადგომა გამოიწვია მექანიკურმა ასფიქსიამ მარყუჟზე ჩამოკიდების გამო (ჩამოხრჩობა), ერთ შემთხვევაში პატიმარმა განახორციელა სუიციდი, რაიმე მჭრელი საგნით კისრის არის გადასერვით, 2 შემთხვევაში სიკვდილი გამოიწვია თავის მიდამოში ძლიერმა ტრავმამ, რომელიც რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნითაა მიყენებული, ხოლო 1 შემთხვევაში პატიმარი გარდაიცვალა დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრის გამო, როგორც დამწვრობით, ისე კვამლისაგან გამოწვეული ასფიქსიით. აღნიშნული 8 შემთხვევიდან 2 განხორციელდა ქსნის ყოფილ N7 დაწესებულებაში, ქალა-ტვინის ტრავმით პაციენტი გარდაიცვალა ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, კისრის არეში მიყენებული თვითდაზიანებით პატიმარი გარდაიცვალა ქუთაისის N2 დაწესებულებაში, ხოლო ამ ჯგუფში გაერთიანებული სიკვდილობის თითო-თითო შემთხვევა განვითარებულია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, თბილისის N8 საპრობილემში, რუსთავის N16 დაწესებულებასა და გეგუთის N14 დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ დაწესებულებაში დაფიქსირებულ სიკვდილის ფაქტს მოჰყვა პატიმართა მხრიდან დიდი ვნებათაღელვა, პატიმრებმა უარი განაცხადეს საკვების მიღებაზე. აღნიშნული „პრობლემა“ მოგვარდა დაწესებულებაში სპეცდანიშნულების რაზმის შეყვანით და პატიმრების მიმართ განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენებით. პრევენციული ეროვნული მექანიზმის მიერ აღნიშნული ინციდენტი დეტალურად იქნა შესწავლილი.⁸⁴

ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ გარდაცვლილი პატიმრის (კოდი I-17) შემთხვევაში ადგილობრივი ექიმის მიერ ტრავმების აღრიცხვის ჟურნალში დაფიქსირდა ჩანაწერი, რომ მან პატიმარი გარდაცვლილი ნახა კარცერში. დათვალიერებით კისერზე რაიმე სახის დაზიანება არ აღენიშნებოდა, ხოლო მუცლის წინა ზედაპირზე ექიმს აღწერილი აქვს ნაკვეთი ჭრილობა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულის სრულიად საპირისპირო ჩანაწერია სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში. ამ შემთხვევაში აღწერილია კისრის არეში სტრანგულაციური ღარი, ხოლო მუცლის წინა ზედაპირის ჭრილობას ფაქტობრივად არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება. შეუძლებელია, რომ ადგილობრივ ექიმს ვერ გაერჩია აღნიშნული დაზიანებები. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რომ რომელიმე მხარემ (ან ექიმმა ან ექსპერტიზამ) შეგნებულად გააყალბა დაზიანებების აღწერა. ნებისმიერ შემთხვევაში აღნიშნული პატიმრის მიმართ ჩატარებული საექსპერტო გამოკვლევებისა და სამედიცინო

⁸⁴ იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2010 წლის I ნახევრის მოხსენება, „გეგუთის N8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება“, გვ. 16. იმავე მოვლენებზე საუბარია სახალხო დამცველის წინამდებარე წლიური ანგარიშის არასათანადო მოპყრობის ნაწილშიც.

ჩანაწერების ნამდვილობა ეჭვქვეშ დგება, რაც გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იყოს.

ქუთაისის მე-2 დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმრის საქმე, რომელიც ოფიციალური ვერსიით მიყენებული თვითდაზიანების შედეგად მოკვდა, ასევე შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატმა (კოდი II-68). აღნიშნული ფაქტი 2010 წლის 29 ნოემბერს მოხდა. სიკვდილის მიზეზად სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ასახელებს მწვავე სისხლნაკლებობას, განვითარებულს საძილე არტერიის სრული დაზიანების გამო. ექსპერტიზა მიუთითებს, რომ „გვამზე აღენიშნებოდა სიცოცხლის დროინდელი დაზიანება - ნაკვეთი ჭრილობა კისრის არეში მარჯვნივ საძილე არტერიის სრული დაზიანებით - მიყენებულია რაიმე მჭრელი თვისებების მქონე საგნის მოქმედების შედეგად და მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო ხარისხს, რის შედეგადაც დადგა სიკვდილი და განვითარებულია სიკვდილის დადგომამდე უახლოეს პერიოდში. აღნიშნული დაზიანება მდებარეობს ხელმისაწვდომ ადგილზე.“

ექსპერტი ასევე აღწერს სხვა დაზიანებებს - უსწოროკიდებიანი ჭრილობების სახით კეფის არეში მარჯვნივ და შუაში, მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლავგი საგნის მოქმედების შედეგად და ატარებს სხეულის დაზიანებათა მსუბუქი ხარისხის ნიშნებს, ჭრილობები სიცოცხლის დროინდელია და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს. უსწოროკიდებიანი ჭრილობა კეფის არეში, შუა ნაწილში, ხანდაზმულობით შედარებით ძველი წარმოშობისაა. დაზიანებანი დამწვრობითი უბნების სახით ორივე ლოყის, ცხვირისა და შუბლის არეში სიცოცხლის დროინდელია, განვითარებულია რაიმე მაღალი ტემპერატურის მოქმედებით და ატარებს სხეულის დაზიანებათა მსუბუქი ხარისხის ნიშნებს. ხანდაზმულობით გვამის გამოკვლევამდე დაახლოებით 5-6 დღისაა.

საყურადღებოა ასევე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში მითითებული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც 2010 წლის 29 ნოემბერს, დაახლოებით 13:30 საათზე, თვითდაზიანების შედეგად გარდაიცვალა ქ. ქუთაისის №2 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების „C“ კორპუსის №324 საკანში განთავსებული მსჯავრდებული ა.დ. (35 წლის). სამედიცინო საბუთებში ვკითხულობთ: „05სთ45წთ: პატიმარს აღენიშნება კეფის არეში 5-5,5 სმ. სიგრძის ნაგლეჯი, სისხლმდენი ჭრილობა. პატიმრის გადმოცემით, დაზიანება მიიყენა აღელვების ნიადაგზე. ჭრილობა დამუშავდა ასეპტიურად. (...) 23.11.10, 03:00 სთ. აღენიშნება დამწვრობა ორივე ლოყის, ცხვირის და შუბლის არეში I ხარისხის. პატიმრის გადმოცემით დაზიანება მიიყენა თვითონ. დაზიანება დამუშავდა ფურაცლინის ხსნარით. ვიშნევსკის მალამოთი. (...) 29.11.10 წ. 13:20 სთ: მორიგე ექიმის ჩანაწერი „გამოძახებული ვიყავი C „ კორპუსის საკანში; სადაც დამხვდა შემდეგი სურათი: პატიმარი იწვა საწოლის მეორე სართულზე, გადაბრუნებული იყო კედლისკენ, ჩემს მიერ პატიმარი იქნა გადმობრუნებული, რომელიც კონტაქტში არ შემოდიოდა; აღენიშნებოდა ძლიერი სისხლდენა შადრევანის ტიპის. ამის შემდეგ ნაპოვნი იქნა კისერზე მარჯვნივ დიდ ზომის ჭრილობა, ღრმა სწორი კიდევებით; საძილე არტერიის პროექციაზე; პატიმარი სასწრაფოდ მოთავსებული იქნა

საკაცეზე და გადმოყვანილი იქნა სამედიცინო ნაწილის საპროცედურო ოთახში. პერიფერიული პულსი არ აღენიშნებოდა არცერთ ცენტრალურ სისხლძარღვზე. იყო ძლიერ ციანოზური. სუნთქვა ღრმა, ძალიან იშვიათი. გუგის რეფლექსი უარყოფითი, გულის ტონები არ მოისმინება ; ა/წ -0, სუნთქვა შეწყვიტა; გაუკეთდა კორდიმინი, კოფეინი. დექსამეტაზონი, პატიმრის მიერ თვითდაზიანების სიმპტომიდან გამომდინარე მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. 13სთ30 წუთზე დაფიქსირდა სიკვდილი. 13სთ35 წუთზე მოვიდა სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელიც ჩვენს მიერ იქნა გამოძახებული და მანაც დაადასტურა სიკვდილი.“

აღნიშნულ შემთხვევაში ფაქტია, რომ პატიმარი ხშირად იყენებდა თვითდაზიანებებს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც სიცოცხლისათვის საშიშია. მიუხედავად ამისა, მას არ გაეწია ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარება, პატიმარი არ აიყვანეს განსაკუთრებულ კონტროლზე. აღნიშნული ღონისძიებების ზედმიწევნით გატარების შემთხვევაში, არსებობდა გარკვეული შანსი იმისა, რომ შემთხვევა პატიმრის სიკვდილით არ დამთავრებულიყო.

ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს ნამალადევი სიკვდილის ორი ფაქტი. პირველ შემთხვევაში (კოდი II-23) საქმე შეეხება ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გარდაცვლილ 39 წლის პატიმარს. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში მითითებული მონაცემების მიხედვით 2010 წლის 20 აგვისტოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გარდაიცვალა მსჯავრდებული, 1971 წელს დაბადებული ნ.ო.. სამედიცინო საბუთების მონაცემებით გარდაცვალების დრო: 10:50სთ 20.08.10. აქვე წერია, რომ პაციენტი შემოვიდა დაწესებულებაში 15.08.10-ში მარცხენამხრივი ჰემიპლეგიის, მარჯვენამხრივი ფტოზის დიაგნოზით; ასევე ვკითხულობთ: თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა; ინტრაცერებრული ჰემატომა მარჯვნივ შუბლ-თხემ-საფეთქლის წილში; ინტრავენტრიკულური და სუბარაქნოიდული ჰემორაგია; ატონური კომა, თავის ტვინის სიკვდილი; ცერებრო-კარდიალური სინდრომი; დიფუზური ჩირქოვანი ენდობრონქიტი; პოლიორგანული უკმარისობა; არტერიული ჰიპერტენზია. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ გვამს აღენიშნება ნაჭდევი კეფის არეში და სისხლნაჟღენთი თხემ-კეფის მარცხენა ნახევარში; შინაგანი გამოკვლევით ნანახია სუბდურული და სუბარაქნოიდალური სისხლჩაქცევები, ასევე სისხლჩაქცევები ნათხემის რბილ გარსებში. ექსპერტის მტკიცებით, სიკვდილის მიზეზია „თავის ტვინის შემუპება, ღეროს დისლოკაციითა და ჩაჭედვით, განვითარებული ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის შედეგად... **დაზიანებები მიყენებულია სიცოცხლის პერიოდში, რაიმე მკვრივი და ბლაგვი საგნის მოქმედებით. ეკუთვნია სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს და უშუალო მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.**“⁸⁵ იმის შესახებ, თუ საიდანაა გადმოყვანილი პაციენტი ან რა ვითარებაშია აღნიშნული დაზიანებები მიყენებული, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან არ ჩანს.

⁸⁵ ხაზგასმა ჩვენია

მეორე შემთხვევაში (კოდი II-25) საქმე შეეხება 48 წლის გარდაცვლილ პატიმარს. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში მითითებული მონაცემების მიხედვით მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტაცია საერთოდ არსად ფიგურირებს. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში აღწერილ დაზიანებებში მითითებულია, რომ „გვამს აღენიშნებოდა ნაჭდევები, ქალასარქელისა და ფუძის მოტეხილობა, თავის ტვინში ტრავმული სისხლჩაქცევა, რაც მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით სიკვდილამდე უახლოეს პერიოდში ან სიკვდილის დადგომის მომენტში, ერთობლიობაში მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს და სიკვდილის დადგომასთან მიზეზობრივ კავშირში **არ** იმყოფება“⁸⁶. ყოველივე ამის ფონზე, ექსპერტი კატეგორიულად ასკვნის, რომ სიკვდილის მიზეზია „*გულის კუნთის მწვავე ინფარქტი, განვითარებული გულის ქრონიკული იშემიური დაავადების გამწვავების შედეგად.*“ გარდაცვლილს ასევე დაუდგინდა: „*ნაღვლ-კენჭოვანი დაავადება; ქრონიკული ბრონქიტი; ქრონიკული ინტერსტიციული პნევმონია*“. აშკარაა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ექსპერტის კვალიფიკაცია ან უკიდურესად დაბალია ან დასკვნა ხელოვნურადაა გაყალბებული. მიუხედავად იმისა, იყო თუ არა მიოკარდიუმის ინფარქტი მორფოლოგიურად დადასტურებული (კლინიკური მტკიცებულება არსად ჩანს), შეუძლებელია, რომ ასეთი ძლიერი ტრავმა პირდაპირ მიზეზშედეგობრივად არ უკავშირდებოდეს სიკვდილის განვითარებას. შესაძლებელია, ასევე, რომ მიოკარდიუმის ინფარქტი ტრავმის გამოც კი განვითარდა.

ნებისმიერ შემთხვევაში ექსპერტიზის მიერ ტრავმის მნიშვნელობის უგულებელყოფა და არაადეკვატური შეფასება გამოძიებას მცდარ გზაზე აყენებს, რის გამოც გარდაცვალების რეალური მიზეზის დადგენა ვერ მოხერხდება.


2010 წელს გარდაცვლილ პატიმართა სასამართლო ექსპერტიზის დასკვნების ანალიზით დგინდება, რომ სხეულის ამა თუ იმ ხარისხის დაზიანება აღენიშნებოდა გარდაცვლილთა გვამების 32%-ს, ანუ თითქმის ყოველ მესამე გარდაცვლილს. აღნიშნული დაზიანებების ქვეშ არ ვგულისხმობთ იმ დაზიანებებს ან ტრავმებს, რომლებიც წარმოადგენს სამედიცინო მანიპულაციების კვალს. აქ იგულისხმება არასამედიცინო მექანიზმით განვითარებული ნაჭდევები, სისხლნაჟღერებები, ჭრილობები და ა.შ., რომლებიც, ექსპერტიზის დასკვნით, მიყენებულია რაიმე გარეშე საგნებით სიკვდილამდე (სიცოცხლისდროინდელია). მიუხედავად ამისა, ექსპერტიზა ასკვნის, რომ დაზიანებები მსუბუქი ხასიათისაა და მათ არ შეეძლო სიკვდილის გამოწვევა. დასკვნის ამ ნაწილში ექსპერტებს რომც დავეთანხმოთ, იბადება კითხვა, თუ სად და რა ვითარებაში, ასევე ვის მიერ მიიღეს გარდაცვლილებმა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები და რატომ არ ხდება ამ ფაქტების გამოძიება? აღნიშნული მხარე სერიოზულ ნაკლოვანებას წარმოადგენს პენიტენციური სისტემისათვის და აბსოლუტურად შეუსაბამოა წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან.

⁸⁶ Id.

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები

საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვადასხვა სახის და სიმძიმის დაავადებები აღენიშნებოდა გარდაცვლილ პაციმართა 29.6%-ს. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა აღენიშნოთ ბილიარული სისტემის დაავადებები. სიხშირით შემდეგ ადგილზეა წყლულოვანი დაავადება და გასტრიტი, ხოლო 7 შემთხვევაში დადასტურდა პანკრეასის ანთებითი დაავადებები. ჯგუფში არ შესულა საჭმლის მომნელებელი სისტემის ტუბერკულოზური დაზიანებები, რომლებიც განხილული იქნა ტუბერკულოზის სტატისტიკასთან ერთად. აღნიშნულ ჯგუფში დაავადებათა პროცენტული წილი წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში და გრაფიკულად:

ბილიარული სისტემის დაავადებები	45.24 %
წყლულოვანი დაავადება / გასტრიტი	38.09 %
კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებები	16.67 %




საყურადღებოა წყლულოვანი დაავადების შორსწასული ფორმები, რომლებიც ხშირად სისხლდენით რთულდება. მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ გასტრალური ჩივილების არსებობისას პაციენტებს ადეკვატური სამედიცინო დახმარება არ მიეწოდებათ. უკიდურესად დაბალია საჭიროების შემთხვევაში ენდოსკოპური კვლევის გამოყენება. ერთადერთი საშუალება, რომელიც ამ დროს პაციენტებს მიეწოდებათ, არის სამედიცინო ნაწილებში არსებული პრეპარატი - ომეპრაზოლი. ადგილობრივი ექიმები არ იცნობენ და შესაბამისად არ იყენებენ ჰელიკობაქტერული ინფექციის მართვის ევროპულ გაიდლაინებს (მაასტრიხტის კონსენსუსი), შესაბამისად, არცერთ დაწესებულებაში არ ხდება პირველი ან მეორე რიგის სტანდარტული მკურნალობის დანიშვნა. თანამედროვე კვლევებით დადგენილია, რომ პირველი რიგის პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორების (ომეპრაზოლი) ფართე და უკონტროლო გამოყენება ქმნის მდგრად ჰიპოაციდურ მდგომარეობას, რაც კუჭის კიბოს განვითარების ერთ-ერთ რისკფაქტორს წარმოადგენს; თუმცა დაავადების გამოსავალი და შორეული

პერსპექტივები არ წარმოადგენს ადგილობრივ ექიმთა ინტერესის სფეროს. სწორედ აღნიშნული მიდგომის გამო ვხვდებით დაავადების გამწვავების ისეთი ფორმების ჩამოყალიბებას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ქმნის რეალურ საშიშროებას ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ნევროლოგიური დაავადებები

სიხშირით შემდგომ ადგილს იკავებს ნევროლოგიური დაავადებების ჯგუფი. როგორც უკვე აღინიშნა, გარდაცვლილ პაციენტთა 26%-ს ამა თუ იმ სახის ნევროლოგიური დაავადება აღენიშნებოდა, ხოლო შემთხვევათა ნაწილში, სწორედ ეს დაავადებები გახდა სიკვდილის დადგომის უშუალო მიზეზი. აღნიშნული დაავადებების სპექტრი წარმოდგენილია ცხრილში და გრაფიკულად:

ტვინის გარსების ანთება (მენინგიტი, არაქნოიდიტი)	51.35 %
თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა	32.43 %
პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები	16.21 %



როგორც ცხრილიდან ჩანს, 2010 წლის განმავლობაში გარდაცვლილ პაციენტთა შორის ყველაზე ხშირი ნევროლოგიური პათოლოგია მენინგიტი ან არაქნოიდიტი იყო. აღნიშნული დაავადებების განვითარებისა და სწრაფი ზრდის ტენდენცია ჯერ კიდევ გასულ წელს დაფიქსირდა და ამ პერიოდის განმავლობაში მკვეთრი მატება აჩვენა. ყოველივე ეს იმ ფონზე ხდება, როდესაც მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა

სამკურნალო დაწესებულებაში ერთი ექიმი ნევროპათოლოგი მუშაობს, ხოლო სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში ამ პროფილისა და გამოცდილების ექიმს პრაქტიკულად არ ვხვდებით. ცხადია, რომ ნევროლოგიური დახმარების კუთხით სისტემაში ღრმა კრიზისია შექმნილი. დაავადებათა დიდი ნაწილი ვერ დიაგნოსტირდება, ხოლო უკეთეს შემთხვევაში, ჩატარებული მკურნალობა და დაავადების მართვა ნაკლებად შეესაბამება თანამედროვე სამედიცინო სტანდარტებთან. შემთხვევათა განხილვით იკვეთება, რომ არ არსებობს დროული და ადეკვატური ნევროლოგიური დახმარება, ადეკვატური გამოკვლევებისა და მკურნალობის მეთოდებისადმი ხელმისაწვდომობა. ერთი ნევროლოგის საქმიანობა ვერ უზრუნველყოფს ნევროლოგიური პროფილის პაციენტთა ადეკვატურ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. ამ მიმართულებით მიზანშეწონილია გადამჭრელი ზომების მიღება, ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება და სადიაგნოსტიკო საშუალებებისადმი უფრო მეტი და ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პაციენტი მ.ბ. 24 წლისა (კოდი II №55). სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში მითითებული მონაცემების მიხედვით პატიმარი მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების რეანიმაციის განყოფილებაში გარდაიცვალა. გამომგზავნი დაწესებულების დიაგნოზია კომატოზური მდგომარეობა, ჰიპერგლიკემიური კომა. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის მიზეზია თავის ტვინის მკვეთრი შემუშება განვითარებული რბილი გარსების ქრონიკული ანთების შედეგად. პაციენტს ასევე აღენიშნებოდა კეროვანი სისხლჩაქცევები თავის ტვინში, ტვინის ნივთიერების შემუშება; დაჩირქებითი ბრონქოპნევმონია; ექსუდაციური დესქვამაციური დაჩირქებითი ბრონქიტი; ნაწოლები მარჯვენა დუნდულოზე.

მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ტუბერკულოზური მენინგოენცეფალიტით გარდაცვლილია ასევე 37 წლის პაციენტი დ.ზ. (კოდი II №28). სამედიცინო საბუთების მონაცემებით, მსჯავრდებულ სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსდა დიაგნოზით - თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა; მარჯვენამხრივი სპასტიური ჰემიპლეგია; თავის ტვინის მრავლობითი მოცულობითი წარმონაქმნი, ფილტვების პერიფერიული კიბო მრავლობითი მეტასტაზებით თავის ტვინსა და ფილტვების რეგიონალურ ლიმფურ კვანძებში, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ონკოპათოლოგია არ დასტურდება. აღწერილია ტუბერკულოზური მენინგოენცეფალიტი; თავის ტვინსა და რბილ გარსებში კაზეოზური ნეკროზის კერების არსებობა; ჩირქოვანი ბრონქიტი; ბრონქოპნევმონია; ტუბერკულოზური პლევრიტი; ღვიძლში ტუბერკულოზური გრანულომების არსებობა; თირკმლის ქერქოვან შრეში ცისტის არსებობა. სიკვდილის მიზეზად კი სახელდება პოლიორგანული უკმარისობა განვითარებული ტუბერკულოზური მენინგოენცეფალიტის შედეგად.

სამწუხაროდ, გასული წლის მსგავსად, კვლავ საკმაოდ მაღალია თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის შემთხვევები (ჰემორაგიული ან იშემიური ინსულტი). ამ

დაავადებათა სიხშირის მკვეთრი ელევაცია გასულ წელსაც დაფიქსირდა და მას შემდეგ კლების ტენდენცია არ ვლინდება. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევათა ნახევარში, როდესაც თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა დაფიქსირდა, ინსულტი სიკვდილის უშუალო მიზეზი გახდა. შემთხვევათა უმრავლესობაში გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდა ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში. დანარჩენ შემთხვევებში სიკვდილი დაფიქსირდა სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში.


პაციენტი ც.ზ. 28 წლისა (კოდი II №54), გარდაიცვალა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან ღუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გადაყვანიდან მალევე. დიაგნოზი - სისხლჩაქცევები თავის ტვინის რბილი გარსების ქვეშ, თავის ტვინის ნივთიერებაში და ოთხივე პარაკუჭში შეჭრით. თავის ტვინის შეშუპება. ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის მიზეზია თავის ტვინის შეშუპება, ღეროს ჩაჭედვა კეფის დიდ ხვრელში, განვითარებული თავის ტვინში არატრავმული, სუბარაქნოიდული, ინტრაცერებრალური და ინტრავენტრიკულური სისხლჩაქცევების შედეგად.

პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებიდან უნდა გამოიყოს ნეიროპათიები, პოლირადიკულონეიროპათიები. აღნიშნული პათოლოგიები სიკვდილის უშუალო მიზეზი არ გამხდარა, თუმცა გარდაცვლილ პატიმართა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებში, წინა წლების მსგავსად, კვლავ ფიგურირებს.

ქირურგიული დაავადებები

ქირურგიული დაავადებები დაფიქსირებულია გარდაცვლილ პატიმართა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების 3.62%-ში. ზოგიერთ შემთხვევაში ქირურგიული პათოლოგია პაციენტის სიკვდილის უშუალო მიზეზი გახდა. ქირურგიულ დაავადებათა სპექტრი აღნიშნულ ჯგუფში წარმოდგენილია გრაფიკულად და ცხრილში:

ქირურგიული სისხლდენა	48 %
სეფსისი / პერიტონიტი	28 %
პროქტოლოგიური დაავად.	12 %
თიაქარი	4 %
განგრენა	4 %
წითელი ქარი	4 %



როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ ადგილზეა სისხლდენები. სისხლდენის წყარო სხვადასხვა შემთხვევაში იყო საჭმლის მომნელებელი ტრაქტი ან სასუნთქი სისტემა. მაგალითისათვის მოგვყავს შემთხვევა - პაციენტი ქ.გ. (კოდი I №3). პაციენტი გარდაცვლილია ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად სიკვდილი გამოიწვია მწვავე ზოგადმა სისხლანკლებობამ თორმეტგოჯა ნაწლავის ბოლქვის წყლულიდან განვითარებული სისხლდენის გამო. აღინიშნება სისხლჩაქცევა წყლულის მიდამოში და გლუვკუნთოვან ბოჭკოებს შორის, მუქი მოშავო ფერის შეკოლტებული სისხლი კუჭში – 550მლ-ის ოდენობით და ნაწლავებში მთელ სიგრძეზე. ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე პაციენტ დ.ჩ.–სთანაც (კოდი II №3). პაციენტი ასევე გარდაცვლილია ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში. ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილი გამოიწვია მწვავე ზოგადმა სისხლანკლებობამ თორმეტგოჯა ნაწლავის ბოლქვის წყლულიდან განვითარებული სისხლდენის გამო. აღნიშნული პაციენტები ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან. სიკვდილი დადგა გადაყვანიდან პირველი 24 საათის პერიოდში.

სისხლდენით გარდაცვალების მიზეზები დაფიქსირებულია არაერთ შემთხვევაში. გასული წლისაგან განსხვავებით, მკვეთრად იკლო ფილტვიდან განვითარებული სისხლდენების შემთხვევებმა. მიუხედავად ამისა, ასეთი შემთხვევები კვლავ აღინიშნება. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაცვლილია პატიმარი ჩ.მ. (კოდი II №11). ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის განვითარების მიზეზია ასპირაციული ასფიქსია განვითარებული სასუნთქი გზების პირნალები სისხლის მასებით დახშობის შედეგად. პაციენტი იყო 27 წლისა, აღინიშნებოდა ფილტვების ტუბერკულოზი. როგორც ჩანს, სისხლდენა განვითარდა

პათოლოგიური უბნიდან. ექსპერტიზის დასკვნაში აღწერილია, რომ წვრილი და მსხვილი ბრონქები დახშულია სისხლის კოლტებით, აღინიშნება კეროვანი ინტრაალვეოლური სისხლჩაქცევები. საბოლოოდ, განვითარდა ასპირაციული ასფიქსია, სასუნთქი გზების პირნალები მასებით დახშობა. პარალელურად, ექსპერტიზის დასკვნით, დადგინდა მწვავე სისხლმდენი ეროზიული გასტრიტი, კუჭში 800მლ-მდე სისხლის კოლტების არსებობით. ექსპერტიზის დასკვნაში არ არის მითითებული, როდის მოხვდა აღნიშნული პაციენტი მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, თუმცა ფაქტია, რომ საქმე ეხება ტუბერკულოზის გართულებულ და შორს წასულ ფორმას. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები სისტემაში კვლავ ხშირია.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზის დასკვნების ანალიზის დროს გამოვლინდა მთელი რიგი ისეთი შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმრის გარდაცვალების მიზეზია ქირურგიული ჩარევის შემდგომ განვითარებული გართულებები. დაავადების სიმძიმის, ოპერაციის მოცულობის, მკურნალობისა და მოვლის განსაკუთრებული პირობების საჭიროების გათვალისწინებით, ხშირად გასაკვირია, თუ რატომ ხდება ამ მოცულობის ქირურგიული ჩარევები მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. ხომ არ ჯობია ასეთ დროს პაციენტი პირდაპირ გადაიგზავნოს სამოქალაქო ტიპის სამკურნალო დაწესებულებაში, იმავე ღუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, სადაც გაცილებით უკეთესი პირობები და შესაძლებლობები არსებობს მდგომარეობის ადეკვატური მართვისათვის. აღნიშნული ტენდენცია დამაფიქრებელია და ეს პრობლემა დაუყოვნებელ მოგვარებას მოითხოვს, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ დიდი მოცულობის ქირურგიული ჩარევების დროს დაშვებული ტექნიკური თუ ტაქტიკური შეცდომების შედეგად პაციენტთა გარდაცვალების შემთხვევები წინა წლებშიც მრავალჯერ ყოფილა დაფიქსირებული სახალხო დამცველის ანგარიშებში.

ამის მაგალითად მოგვყავს გარდაცვლილი პაციენტი ბ.ვ. 50 წლისა (კოდი II №39). ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ პაციენტს დადგენილი ჰქონდა გასტროდუოდენოსკოპიით კუჭის სხეულის მიდამოში, მთლიანად დიდ სიმრუდეზე უკანა და წინა კედლებზე, ასევე, სუბკარდიალურ მიდამოში უსწორმასწორო და მომკვრივო კონსისტენციის ზედაპირის მქონე სიმსივნური წარმონაქმნი. გაკეთდა ბიოფსია და დაისვა კუჭის ბლასტომის დიაგნოზი. მიუხედავად იმისა, რომ ონკოლოგიაში აღნიშნულ დაწესებულებას არ გააჩნია ლიცენზია და თავად პათოლოგია საკმაოდ რთულ ნოზოლოგიურ ერთეულს წარმოადგენს, პაციენტის მკურნალობა კვლავ გაგრძელდა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. პაციენტის მდგომარეობის უკიდურესად დამძიმების შემდეგ გაკეთდა ოპერაცია - შუა-შუა გაფართოებული ლაპარატომია, რევიზია, ჩირქოვანი მასის ევაკუაცია (დაახლოებით 2000მლ-მდე), წვრილი ნაწლავის ნეკროზულ-პერფორირებული მარყუჟის რეზექცია ენტერო-ტრანსვერზოანასტომოზის ფორმირებით, ბადექონიდან MTS-ის ამოღება. სამედიცინო დოკუმენტაციაში ასევე იკითხება-დიაგნოზი: წვრილნაწლავოვანი მექანიკური გაუვალობა გართულებული ნაწლავის ნეკროზით, პერფორაციითა და

დიფუზური ჩირქოვანი პერიტონიტით. კუჭის CR; მრავლობითი მეტასტაზებით ორივე ფილტვსა და ძვლებში, IVსტ, IVკლ. ჯგუფი; ნაადრევი ფარული სიფილისი. ფაქტია, რომ ამ მოცულობის ჩარევის ჩატარება გაუმართლებელი იყო. გარდა ამისა, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად ონკოლოგიური დაავადების შორსწასული ფორმისა, არ დასმულა საკითხი პაციენტისათვის სასჯელის გადავადების ან მისი ვადამდე ადრე გათავისუფლების შესახებ. საბოლოოდ, პაციენტი მოკვდა. ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის მიზეზია პოლიორგანული უკმარისობა, განვითარებული დიფუზური ჩირქოვანი პერიტონიტისა და კუჭის კიბოს - ადენოკარცინომის შედეგად.

პაციენტი ა.ე. „37 წლისა (კოდი I №12), მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსდა ნაწლავის პერფორაციის დიაგნოზით. იგი 2 კვირის შემდეგ გადაიყვანეს ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, სადაც გარდაიცვალა. დიაგნოზი - თემო-ნაწლავის ტერმინალური ნაწილის პერფორაცია; ილეოცეკალური კუთხის აბსცესი; ტიფლიტი პერფორაციით; დიფუზური ჩირქოვანი-განავლოვანი პერიტონიტი; მარჯვენამხრივი ჰემიკოლექტომიის ილეოტრანსვერსოანასტომოზის გვერდით-გვერდში, მუცლის ღრუს დრენირების, რელაპარატომიის შემდგომი პერიოდი. თორმეტგოჯა ნაწლავის პერფორაციის, დუოდენორაფიის, დუოდენოსტომიის, სანსაცია-დრენირების შემდგომი პერიოდი; როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც პაციენტის გადარჩენის მინიმალური შანსი არსებობდა.

მსგავსი შემთხვევაა აღწერილი პაციენტ ს.კ.-ს შემთხვევაში (კოდი I №15). პაციენტი კვლავ ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა. დიაგნოზი - მცირე მენჯის ღრუს აბსცესი, სიგმოიდური ნაწლავის პერფორაცია, დიფუზური ჩირქოვანი განავლოვანი პერიტონიტი, ლაპარატომიის, მუცლის ღრუს სანაცია-დრენირების, სიგმის რეზექციის დესცენდოსტომიისა და სპლენექტომიის შემდგომი პერიოდი.

პაციენტი რ.თ. (კოდი I №54). პაციენტი დაგვიანებით გადაიყვანეს მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც მას გაუკეთდა ოპერაცია ნაწლავთა მწვავე სტრანგულაციური გაუვალობის გამო. პოსტოპერაციული გართულებების გამო გაკეთდა რელაპარატომია - დადგინდა ანასტომოზის ნაკერების უკმარისობა. მოგვიანებით ავადმყოფი გადაყვანილია ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში, სადაც კვლავ გაკეთდა ოპერაცია - რერე^{რელაპარატომია}; ენტერო-ენტერო ანასტომოზი; მუცლის ღრუს სანაცია და დრენირება. ოპერაციის შემდგომ პაციენტი სტაციონარიდან უკან გადაყვანილია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. საქმის მასალებში ვკითხულობთ, რომ ავადმყოფს მიუძღრათავს ხელმეორედ ლუდუშაურის სახელობის კლინიკისათვის, სადაც საბოლოოდ გარდაიცვალა ფიბრინულ-ჩირქოვანი პერიტონიტის გამო.

უფრო მეტი მაგალითის მოყვანა, ალბათ, აქ უკვე სრულიად ზედმეტია. ფაქტია, რომ პერიტონიტისა და მისი შემდგომი გართულებების გამო პაციენტთა გარდაცვალების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს დაგვიანებული ქირურგიული ჩარევა წარმოადგენს.

თუ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებას შესწევს უნარი, გაუმკლავდეს ისეთი სირთულის დაავადებებსა და პროცედურებს, რომლებსაც პერიტონიტი განსაზღვრავს, მაშინ რატომ ხდება აუცილებელი პაციენტთა სამოქალაქო კლინიკებში გადაყვანა? წინააღმდეგ შემთხვევაში, გაცილებით ეფექტური იქნებოდა პაციენტთა დროული დიაგნოსტიკა და პირდაპირ ლუდუშაურის სახ. ან სხვა რომელიმე სამოქალაქო კლინიკაში გადაგზავნა.

ქირურგიული დაავადებების ჯგუფიდან სასამართლო ექსპერტიზის დასკვნებში ასევე ფიგურირებს თიაქარი, ტერფის განგრენა, წითელი ქარი და პროქტოლოგიური დაავადებები (პარაპროქტიტი, ჰემოროიდული დაავადება), თუმცა ამ შემთხვევებში სიკვდილი არ გამოუწვევია პირდაპირ ამ დაავადებებს ან მათ გართულებებს.

ონკოლოგიური დაავადებები

როგორც უკვე აღინიშნა, ავთვისებიანი სიმსივნეებით პატიმართა გარდაცვალება 2010 წელს ოდნავ შემცირდა. მიუხედავად ამისა, მათი წილი 12.67%-ს შეადგენს. დაფიქსირდა სიმსივნური პათოლოგიის 18 შემთხვევა. ყველაზე ხშირად ვხვდებით ფილტვის კიბოს (6 შემთხვევა); ტვინისა და კუჭის სხვადასხვა სახის სიმსივნე გვხვდება 2-2 შემთხვევაში, ხოლო თითო-თითო შემთხვევაში შეგვხვდა მსხვილი ნაწლავის, სათესლე ჯირკვლის, თირკმელზედა ჯირკვლის, ღვიძლის, პერიკარდიუმის წინამდებარე ჯირკვლის, რბილი ქსოვილების სიმსივნეები და ასევე ლეიკემიის შორს წასული ფორმა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევებში ყველა სიმსივნე შორსწასული ფორმით ვლინდება, მრავლობითი შორეული მეტასტაზებითა და მკვეთრად გამოხატული ორგანიზმის ინტოქსიკაციით.

პაციენტი (კოდი II №28) - 37 წლის გარდაიცვალა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც მას წინამდებარე ჯირკვლის ადენოკარცინომის დიაგნოზი დაესვა, მეტასტაზირებით. მიუხედავად ამისა, სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნული არ ფიგურირებს, სიკვდილის მიზეზად კი დასახელებულია ტუბერკულოზური მენინგოენცეფალიტი.

კლინიკურ და სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზებს შორის შეუსაბამობა გვხვდება ასევე პაციენტი ა.ვ.-ს შემთხვევაში (კოდი II №46), რომელსაც კლინიკურად ფილტვის კიბოს დიაგნოზი ჰქონდა დასმული, თუმცა აღნიშნული არ ფიგურირებს სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში, სადაც მისი სიკვდილის მიზეზად განიხილება ციროზის შედეგად განვითარებული ღვიძლის ფუნქციის უკმარისობა. მსგავსი შეუსაბამობები ასევე გვხვდებოდა წინა წლებში ჩატარებული ანალიზის დროსაც.

ფსიქიკური პრობლემების მქონე გარდაცვლილი პაციენტები

პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში, 2010 წლის განმავლობაში, გარდაცვლილ პაციენტთა 4.92%-ს სიცოცხლეში დადგენილი ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები. აღნიშნული პრობლემა, ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების არარსებობის გამო, წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო მწვავედება, რაც არაერთხელ აისახა სახალხო დამცველის მოხსენებებში. გარდა იმისა, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების პენიტენციურ ინსტიტუტებში ყოველგვარი ფსიქიატრიული დახმარების გარეშე დატოვება წარმოადგენს არაჰუმანური მოპყრობის მაგალითს, აღნიშნულ ნოზოლოგიებს მიყვარათ თვითდაზიანებების, სუიციდის მცდელობებისა და რეალიზებული სუიციდის ფაქტების მკვეთრ მატებამდე. 2010 წელს სუიციდის შემთხვევების ანალიზმა ცხადყო, რომ რამდენიმე პაციმარს წარსულშიც ჰქონია სუიციდის მცდელობა. მიუხედავად ამისა, ადეკვატური დახმარება და რეაბილიტაცია მათ ვერ მიიღეს. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ქუთაისის N2 დაწესებულებაში განხორციელებული სუიციდის ფაქტი, როდესაც ექსპერტიზამ დაადასტურა გვამზე დამწვრობის და სხვა თვითდაზიანების კვალის არსებობა. აღნიშნული პაციენტმა სუიციდამდე რამდენიმე ხნით ადრე განახორციელა. სამწუხაროდ, ამის შემდეგაც პაციენტს სათანადო ყურადღება არ მიაქცევს.

ენდოკრინული დაავადებები


გარდაცვლილ პაციენტთა 4.92% -ს, ანუ სულ 7-ს, ენდოკრინული პათოლოგია აღენიშნებოდა. მათგან შაქრიანი დიაბეტი დადგინდა 5 შემთხვევაში, ხოლო ჩიყვი – 2 შემთხვევაში. ერთ შემთხვევაში, ფარისებრი ჯირკვლის აღნიშნული პათოლოგია პაციენტის სიკვდილის უშუალო მიზეზი გახდა.

პაციენტი მ.ე. (კოდი II №36), 43 წლისა, გარდაიცვალა რუსთავის N16 დაწესებულებაში. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, პაციენტის სიკვდილის მიზეზია გულ-სისხლ-ძარღვთა მწვავე უკმარისობა, განვითარებული ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქციის, დიფუზური ჯირკვლოვანი ჩიყვის ფონზე.

ამგვარად, ჩვენ მიერ დეტალურად იქნა განხილული გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო სამედიცინო დიაგნოზები ნოზოლოგიური ჯგუფების მიხედვით. მიუხედავად ამისა, შევეცადეთ გაგვეჩვენა, თუ რა იყო პაციენტთა სიკვდილის უშუალო მიზეზი 2010 წლის განმავლობაში. ამისათვის გაანალიზდა ჩვენს ხელთ არსებული ყველა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. 3 შემთხვევაში, როდესაც დასკვნა ჩვენ ვერ მოვიპოვეთ, ვისარგებლეთ არსებული სამედიცინო ჩანაწერებით. სიკვდილის მიზეზების დათვლა ამ შემთხვევაში მოხდა სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში მოხსენიებული გარდაცვალების მხოლოდ წამყვანი (ძირითადი) მიზეზის

გათვალისწინებით. არ ყოფილა გათვალისწინებული თანმხლები დაავადება, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მდგომარეობის დამძიმებას. აღწერილი სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

№	სიკვდილის უშუალო მიზეზი	%
1	ღვიძლის უკმარისობა	10.56
2	ტუბერკულოზი	43.66
3	გულის იშემიური დაავადება	14.78
4	პნევმონია	4.92
5	ონკოლოგიური პათოლოგია	5.63
6	ნამალადევი სიკვდილი	4.22
7	სისხლდენა	2.11
8	თირკმლის უკმარისობა	1.41
9	ინსულტი	2.81
10	პერიტონიტი	2.81
11	მენინგიტი/არაქნოიდიტი	1.41
12	ჩიყვი	0.71
13	მიოკარდიტი	0.71
14	ასპირაცია	0.71
15	არ მოგვეპოვება დასკვნა	3.52



როგორც ცხრილიდან და დიაგრამიდან ჩანს, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სასამართლო სამედიცინო დასკვნების შესაბამისად, საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში პატიმართა სიკვდილობის გამოწვევი ძირითადი მიზეზი არის ტუბერკულოზი, რომლის პროცენტული წილი სიკვდილობის სპექტრში 43.66%-ია. სიხშირით შემდგომ ადგილზეა გულის იშემიური დაავადება და მისით გამოწვეული სიკვდილობა, რომელმაც პროცენტულად 14.78 % შეადგინა საერთო სპექტრში. ამ ჯგუფში შედის როგორც მიოკარდიუმის ინფარქტით გამოწვეული სიკვდილობა, ასევე, იშემიური დაავადების სხვა სახეებიც, რაც ექსპერტიზისათვის წამყვან მიზეზად იქნა მიჩნეული სასიკვდილო გამოსავლის განვითარებისათვის. სიხშირით მესამე ადგილს იკავებს ღვიძლის ფუნქციური უკმარისობა, რომლის წილმაც 10.56% შეადგინა. ონკოლოგიური დაავადებები, პნევმონიები და ნაძალადევი სიკვდილის სახეები შემდგომ სამ ადგილს იკავებს, შესაბამისად 5.63%, 4.92% და 4.22%- იანი მაჩვენებლებით. დანარჩენი მიზეზები, რომლებიც სრულად მოყვანილია ცხრილში, არ აღემატება 3%-იან მაჩვენებელს, თუმცა დაავადების ხასიათიდან და პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, მათაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეთ.

ბავშვთა სახლების მონიტორინგი

შესავალი

2011 წლის იანვარში სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში, ბავშვთა საადმინისტრაციულ დაწესებულებებში მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგის დროს მონახულებულია შემდეგი დაწესებულებები: თბილისის, რუსთავის, წყნეთის, საგურამოს, კოჯრის, თელავის, ლაგოდეხის, სურამის, ტაშისკარის, ასპინძის, წალენჯიხის, ზუგდიდის, ბათუმის ბავშვთა საადმინისტრაციულ დაწესებულებები, საადმინისტრაციულ დაწესებულებები – „მომავლის სახლი“, „სათნოება“. აღნიშნული დაწესებულებები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ ექვემდებარება. მონიტორინგის პროცესში ასევე მოინახულეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სამტრედიის N15 საჯარო სკოლა.

მონიტორინგის განხორციელებისას შემოწმდა ბავშვთა საადმინისტრაციულ დაწესებულებებში განთავსებული ბენეფიციარების უფლებების დაცვის ხარისხი. სპეციალური პრევენციული ჯგუფი პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებების კონვენციით, ბავშვზე ზრუნვის ეროვნული სტანდარტებით⁸⁷, „საადმინისტრაციულ დაწესებულებების ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით⁸⁸ და ამოწმებს საადმინისტრაციულ

⁸⁷ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 26 აგვისტოს N281/ნ ბრძანება „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“

⁸⁸ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება N152/ნ – N496 – N45/ნ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეგულირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის ბრძანება N52/ნ „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორის 2010 წლის 12 ივლისის ბრძანება N1/550, „ბავშვთა სახლებში ბენეფიციართა ძალადობისაგან დაცვის წესების დამტკიცების შესახებ“.

დაწესებულებებში არსებული პირობების, მოპყრობისა და სხვა კომპონენტების შესაბამისობას ზემოაღნიშნულ აქტებში მოცემულ სტანდარტებთან და ნორმებთან.

2011 წლის იანვრის მონიტორინგის დროს ყურადღება გამახვილდა ასევე 2010 წლის თებერვალში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შემდგომ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ხარისხზეც.⁸⁹

მონიტორინგის ძირითადი შედეგები:

2011 წლის მონიტორინგის შედეგად ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში გამოვლინდა მთელი რიგი სისტემური და კერძო ხასიათის დარღვევები:

- სააღმზრდელო დაწესებულებების პერსონალისგან აღსაზრდელთა მიმართ ძალადობის შემთხვევები. ძალადობა უმეტეს ბავშვთა სახლებში ხანგრძლივად დამკვიდრებული პრაქტიკაა. ძალადობის არსის შესახებ დაბალი ცნობიერება და ძალადობის აღზრდის მეთოდად გამოყენება ამ პრობლემის ძირითად სათავეს წარმოადგენს;
- ბავშვთა სახლების სრულ უმრავლესობაში ბავშვები დაუცველნი არიან ბენეფიციარებს შორის ძალადობისგან. ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს ქცევის დარღვევისა თუ სხვა პრობლემების მქონე აღსაზრდელების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას;
- ბავშვის განვითარებისათვის შეუფერებელი და ჯანმრთელობისათვის საზიანო გარემო პირობები: სიცივე რიგ საცხოვრებელ კორპუსებში (ტემპერატურა 7⁰), არასაკმარისი და დაზიანებული ავეჯი, ყაზარმული ტიპის საძინებელი ოთახები (16 საწოლი 1 ოთახში), ბავშვების ასაკისათვის შეუფერებლად მოკლე საწოლები, ანტისანიტარია კვების ბლოკში, დაუცველი ტერიტორია;
- ბავშვთა შრომის გამოყენება: ბავშვების ნების საწინააღმდეგოდ ხდება მათი შრომის გამოყენება. კერძოდ: საპირფარეშოებისა და სამზარეულოების დალაგება; ცივი წყლით სარეცხის რეცხვა; ასევე, ციტრუსის კრეფა; მასწავლებლების სახლების დალაგება; აღსანიშნავია, რომ ბავშვები მასწავლებლების სახლებს ალაგებენ მინიმალური ანაზღაურების სანაცვლოდ – ტანსაცმლის ჩუქება, 5–10 ლარი. ბავშვების გადმოცემით, ისინი იაფ მუშახელს წარმოადგენენ;
- ბავშვთა დისკრიმინაცია: თვალნათელია სხვადასხვა სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა განსხვავებულ პირობებში ცხოვრება; ასევე, ერთი დაწესებულების შიგნით არსებობს განსხვავება ბავშვთა მიმართ ზრუნვისა და მინიმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფაში;
- ბავშვთა არასაკმარისი კვება: ბავშვთა სახლების მენიუებს აკლია ხილი; ბავშვთა სახლებს საკვები პროდუქტი დაგვიანებით მიეწოდება ან გაფუჭებული პროდუქტი მიეწოდება;

⁸⁹ იხ. ქვემოთ, „სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების 2010 წლის მონიტორინგის შედეგად განხორციელებული ცვლილებები“.

- ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მწვავე ნაკლებობა: ბავშვები, რომლებმაც განიცადეს სერიოზული ფსიქოლოგიური სტრესი დაწესებულების შიგნით თუ მასში მოხვედრამდე, იმყოფებიან გახანგრძლივებულ პოსტსტრესულ მდგომარეობაში; აღინიშნება სუიციდის მცდელობები, დარღვეული ქცევა და გარემოსთან დეზადაპტაცია. ბენეფიციარებმა დღემდე ვერ მიიღეს ადეკვატური ფსიქოლოგიური დახმარება ამ პრობლემის გადასაჭრელად;
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში აღმოჩენილი სერიოზული ხარვეზები: ბავშვები დაბრუნდნენ ოჯახებში, სადაც მათ არ აქვთ საკმარისი რაოდენობის მედიკამენტი, საკვები, შეიზღუდა მათი განათლების უფლება; ოჯახებში რეინტეგრაციის შემდეგ რამდენიმე ბავშვი მათხოვრობით ირჩენს თავს.

მონიტორინგის პროცესი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის დაბრკოლებები, პრობლემები და მონიტორინგის შეჩერების მცდელობები, რომელთა გადალახვაც მოუხდა სახალხო დამცველის რწმუნებულებს მონიტორინგის განხორციელებისას. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ხელმძღვანელობის მითითების საფუძველზე რამდენიმე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორმა პრევენციული ჯგუფის წევრებს ბავშვებთან კონფიდენციალურ გასაუბრებაზე უარი განუცხადა. ჯგუფის წევრებმა მათ აუხსნეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის უფლებამოსილებები, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესია დახურულ დაწესებულებებში განთავსებულ პირებთან, მათ შორის, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელებთან კონფიდენციალური გასაუბრების უფლება, ასევე განუმარტეს, რომ სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევდა მათ დაჯარიმებას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.⁹⁰ აღნიშნული ვრცელდება სახალხო დამცველის რწმუნებულების, მით უმეტეს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების, კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევებზეც. აღნიშნული განმარტებების, ასევე სააგენტოს დირექტორთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს მიეცათ საშუალება, კონფიდენციალურ ვითარებაში გასაუბრებოდნენ ამ დაწესებულებებში განთავსებულ აღსაზრდელებს.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს კოჯრის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების შემთხვევა, სადაც აღსაზრდელებთან გასაუბრების დროს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან ოთახში შეიჭრნენ აღმზრდელი და სამეურნეო ნაწილის უფროსი, ბავშვები გაიყვანეს და დაუწყეს გამოკითხვა, თუ რა საკითხებზე ესაუბრებოდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლები. მსგავსი გამოკითხვები ხშირი იყო სხვა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების აღმზრდელების მხრიდანაც.

⁹⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173⁴ მუხლი: „სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.“

ზოგიერთ შემთხვევაში აშკარა იყო, რომ ბავშვებთან ჩატარდა „მოსამზადებელი სამუშაოები“ – სრულიად უადგილოდ და კონტექსტიდან ამოვარდნილად ბავშვები იწყებდნენ გაზეპირებული ფრაზების გამეორებას იმის შესახებ, თუ რა კარგი აღმზრდელები ჰყავთ, როგორი მადლიერები არიან მათი, რა კარგად ექცევიან და ა.შ. თუმცა იგივე ბავშვები, საუბრის მანძილზე აფიქსირებდნენ სხვადასხვა სახის არასათანადო მოპყრობისა და უფლებადარღვევის ფაქტს.

საბოლოოდ, მხოლოდ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და სახალხო დამცველის პირადი კომუნიკაციის შემდეგ გახდა შესაძლებელი მონიტორინგის ნორმალურ ვითარებაში გაგრძელება.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბავშვებთან კონფიდენციალურად გასაუბრების შემთხვევებთან დაკავშირებულ პრობლემას, ყველა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი და პერსონალი სრულ მზადყოფნას გამოხატავდა მონიტორინგის ხელშესაწყობად, დაუყოვნებლივ აწვდიდა დოკუმენტაციასა და ინფორმაციას, რაც თავისთავად პოზიტიურ ტენდენციებზე მიუთითებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს მანდატსა და უფლებამოსილებას:

პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნა განაპირობა საქართველოს მიერ 2005 წლის 8 ივლისს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის (OPCAT) რატიფიცირებამ. ფაკულტატური ოქმის მე-20 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმებისთვის შესაძლებლობა მოწმეების გარეშე, კონფიდენციალურად გაესაუბრონ როგორც თავისუფლებადკვეთილ პირებს, ისე ნებისმიერ იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ მათ მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია.

აქვე მივუთითებთ, რომ თავისუფლების შეზღუდვა, ფაკულტატური ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „*ნიშნავს დაკავებას ან დაპატიმრებას ან პირის მოთავსებას საერთო ან სამართლო თავისუფლების შეზღუდვის ადგილას, რომლის დატოვებაც პირს არ შეუძლია სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა ორგანოს ბრძანების გარეშე.*“ თავისუფლების შეზღუდვის ადგილებად მოიაზრება ყველა ის დაწესებულება, საიდანაც პირის გასვლა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2009 წლის 16 ივლისს განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით საქართველოში პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქცია მიენიჭა სახალხო დამცველს. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ორგანული კანონის მე-19¹ მუხლის მიხედვით, სახალხო დამცველთან შეიქმნა სპეციალური პრევენციული ჯგუფი. იმავე კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „*საქართველოს სახალხო*

დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა დაკავებულებთან, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან და მსჯავრდებულებთან კონფიდენციალურია. რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია.“ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებში ასევე მოიაზრებიან ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში მოთავსებული ბენეფიციარები, რომელთაც აღნიშნულ დაწესებულებებში ათავსებენ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე და რომელთაც პრაქტიკულად შეზღუდული აქვთ თავისუფლება, ვინაიდან შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების გარეშე ვერ დატოვებენ დაწესებულებას.⁹¹

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის კომენტარებში ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე მუხლზე⁹² ნათქვამია, რომ „კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს, შექმნან დამოუკიდებელი და ეფექტური მონიტორინგის მექანიზმი მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის. აღნიშნული ორგანო უნდა ფლობდეს ბავშვებისგან საჩივრების მიღების, განხილვისა და გადაგზავნის მანდატს (...)“.⁹³

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2005 წლის 16 მარტის რეკომენდაციაში Rec(2005)5 წევრ სახელმწიფოებს, რომელიც სადღელამისო ინსტიტუციებში მცხოვრები ბავშვების უფლებებს შეეხება, ნათქვამია, რომ ამგვარ ინსტიტუციებში განთავსებულ ბავშვებს აქვთ უფლება, საჩივრით მიმართონ მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ ორგანოს ბავშვთა ფუნდამენტური უფლებების დასაცავად. იმავე რეკომენდაციის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ „მნიშვნელოვანია, არსებობდეს დამოუკიდებელი ორგანოს ან უწყების მიერ დაწესებულებების პერიოდული ვიზიტების ეფექტური პრევენციული მექანიზმი, რაც მოიცავს იქ განთავსებულ ბავშვებთან კონფიდენციალურ შეხვედრებს. ეს საშუალებას მისცემს სახელმწიფოებს, დროული რეაგირება მოახდინონ ნებისმიერ პრობლემაზე.“⁹⁴

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ მიუხედავად სპეციალური პრევენციული ჯგუფის ნებისმიერი წევრის უფლებისა, კონფიდენციალურად გასაუბრებოდა აღსაზრდელებს, ბავშვთა ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით აღნიშნულ გასაუბრებებს აწარმოებდნენ ჯგუფის ის წევრები, რომლებიც პროფესიით ფსიქიატრები ან ფსიქოლოგები არიან და მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ არასრულწლოვნებთან მუშაობის მიმართულებით. აღნიშნული გასაუბრება, ბავშვის თანხმობის შემთხვევაში, იწერებოდა დიქტოფონის საშუალებით.

⁹¹ ამ შემთხვევაში – სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“

⁹² ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე მუხლი: „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ კომპეტენტური ორგანოების მიერ მოვლის მიზნით სამეურვეოდ გამწესებული ბავშვის უფლებას, იყოს დაცული და ისარგებლოს ფიზიკური თუ ფსიქიკური მკურნალობით; აღიარებენ ბავშვის უფლებას, პერიოდულად ხდებოდეს მისთვის გაწეული მკურნალობის და მის მიმართ ასეთ მეურვეობასთან დაკავშირებული სხვა პირობების შეფასება.“

⁹³ Committee on the Rights of the Child, Report on the fortieth session, Sept. 2005, CRC/C/153, para. 684

⁹⁴ Rights of children at risk and in care, Council of Europe Publishing, Concil of Europe, December 2006, p.27

ზემოთ ყურადღება გავამახვილეთ კონფიდენციალური გასაუბრების უფლებაზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ უფლებამოსილებათა ფართო სპექტრი, მათ შორის, დახურულ დაწესებულებებში დაუბრკოლებელი შესვლის, ნებისმიერი საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მათთვის ხელსაყრელი ფორმით მოთხოვნისა და მიღების, ნებისმიერ თანამდებობის პირისა და მოხელისგან ახსნა-განმარტების მიღების უფლებამოსილებები. ნებისმიერი ამ საქმიანობის ხელის შეშლა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ისჯება კანონით.

ზემოთ აღწერილი ხელის შეშლის შემთხვევებში სახალხო დამცველმა გამოიჩინა კეთილი ნება და თავი შეიკავა სამართალდარღვევის დაფიქსირებისგან. მონიტორინგის მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორებსა და აღმზრდელებს კიდევ ერთხელ განუმარტეს სახალხო დამცველის მანდატი და დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს სახალხო დამცველისა და მისი რწმუნებით აღჭურვილი პირის უფლებამოსილებაზე, ასევე, სახალხო დამცველის ინსტიტუტის დანიშნულებასა და ამოცანებზე. სამწუხაროა, რომ ხშირ შემთხვევაში სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორებსა და პერსონალს არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ სახალხო დამცველისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის უფლებამოსილებებზე.

სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ მომავალში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებსა და სახალხო დამცველის რწმუნებით აღჭურვილ პირებს აღარ შეექმნებათ მსგავსი დაბრკოლებები, ასევე, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დირექტორი და სხვა ხელმძღვანელი პირები თავს შეიკავებენ ისეთი მითითებების გაცემისგან, რომლებმაც შესაძლოა შეაფერხოს მონიტორინგის ჯეროვანი განხორციელება და კანონის დარღვევა გამოიწვიოს.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორებს:

- უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფო ზრუნვისა და სოციალური მომსახურების სააგენტოების თანამშრომელთა ტრეინინგი ბავშვის უფლებების დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობაში, ასევე, აღნიშნული უფლებების დაცვისთვის შექმნილ საერთაშორისო და ეროვნულ მექანიზმებში.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მონიტორინგის ხელშეწყობა და შეუფერხებელი წარმართვა

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების 2010 წლის მონიტორინგის შედეგად განხორციელებული ცვლილებები

როგორც ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ადმინისტრაცია და აღმზრდელები აღნიშნავენ, თვალსაჩინოა მთელი რიგი პოზიტიური ცვლილებები, რომელიც განხორციელდა სახალხო დამცველის 2010 წლის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგის შედეგად, კერძოდ:

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ დაიწყო ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციის აქტიური პროცესი. დაწესებულებებიდან მოწოდებული ინფორმაციით, ასპინძის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამაში 2010 წელს ჩაერთო 34 ბავშვი; ტაშისკარის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან – 33 ბავშვი; რუსთავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან – 9 ბავშვი; თელავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან – 12 ბავშვი; წყნეთის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან – 23 ბავშვი; სურამის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან – 13 ბავშვი, საგურამოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან – 8 ბავშვი. ბავშვების გარკვეული ნაწილი ასევე გადავიდა ალტერნატიულ მცირე ზომის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში, რომელთა რიცხვი 2011 წლის დასაწყისისთვის 37–ია. მათგან 17 სახელმწიფო დაფინანსებაზეა (137 ბავშვი), ხოლო 20 – დონორი ორგანიზაციების მიერაა დაფინანსებული (120 ბავშვი). ბავშვების განთავსება მოხდა, ასევე, ბიოლოგიურ და მიმღებ ოჯახებში, თუმცა მონიტორინგის მიმდინარეობისას ამ მიმართულებით გამოიკვეთა სერიოზული ხარვეზები, რომლებზეც ცალკე თავში იქნება საუბარი.⁹⁵

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ადმინისტრაცია ასევე დადებითად აფასებს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს, რომლებიც სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ“ 2010 წლის განმავლობაში განახორციელა – ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებული 600–მდე პირი (უფროსი აღმზრდელები, აღმზრდელები, ექიმები, ფსიქოლოგები, ადმინისტრატორები) პროფესიული კვალიფიკაციის კუთხით შეფასდა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.⁹⁶ შეფასების საფუძველზე იმ პირებმა, რომელთაც ვერ გადალახეს მინიმალური დაწესებული ზღვარი (100–მდე ადამიანი), დატოვეს დაწესებულებები; ხოლო ნაწილმა, შემფასებელი კომისიის რეკომენდაციით, შეიცვალა პოზიცია; შერჩეული პერსონალი, 520 თანამშრომელი, გადამზადდა განხორციელდა ეტაპობრივად, 2010 წლის განმავლობაში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ;

⁹⁵ იხ. ქვემოთ, „რეინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობისას აღმოჩენილი დარღვევები“

⁹⁶“Save the Children/ Children of Georgia”, “The First Step”, “EveryChild”, “WorldVision”.

განსაკუთრებით დადებითად უნდა შეფასდეს რამდენიმე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების (წყნეთის, საგურამოს, თელავის) ადმინისტრაციის ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხისადმი მიდგომის შეცვლა. მათ მიერ მოხდა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძიების დაწყება; კერძოდ, წინა წელს მთლიანად იყო უარყოფილი ბავშვთა დაწესებულებებში ძალადობის ფაქტების შესაძლო არსებობაც კი. იგნორირებული იყო ასევე სახალხო დამცველის პრევენციური ჯგუფის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ძალადობის ფაქტების შესახებ. წინა წლისგან განსხვავებით, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორები რეალურად აღიქვამენ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებს და უმეტეს შემთხვევაში ატარებენ ღონისძიებებს ამ ფარული პრობლემის ნათელსაყოფად და გადასაჭრელად.

აღსანიშნავია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ მიერ ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებებიც. სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრმა 2011 წლის 24 იანვარს წერილობით მიმართა სააგენტოს 2010 წლის მანძილზე მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ბენეფიციარების მიმართ არასათანადო მოპყრობასა თუ სხვა უფლებების დარღვევის შესახებ სააგენტოში შესული შეტყობინებების რაოდენობისა და აღნიშნულ შეტყობინებებზე მოხდენილი რეაგირების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით. სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 1 თებერვლის პასუხის მიხედვით მთელი წლის განმავლობაში შეტყობინება გაკეთდა სულ 3 შემთხვევაზე (წყნეთის სააღმზრდელო დაწესებულება – 2 შემთხვევა; სურამის სააღმზრდელო დაწესებულება – 1 შემთხვევა). სამივე შეტყობინება შეეხებოდა აღმზრდელების მხრიდან აღსაზრდელებზე ძალადობის განხორციელების ფაქტებს. პირველ შემთხვევაში აღმზრდელ ა.ა.-ს მიეცა სიტყვიერი გაფრთხილება; მეორე შემთხვევაში, იმავე აღმზრდელის მიერ ძალადობის ფაქტის განმეორების შემდეგ იგი გათავისუფლდა. მესამე შემთხვევა შესასწავლად გადაეგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს. ამჟამად აღნიშნულ საქმეს სწავლობს სოციალური მომსახურების ტერიტორიული ორგანო. ერთმნიშვნელოვნად დადებითად უნდა შეფასდეს სააგენტოს დაინტერესება ბავშვებზე ძალადობის საკითხებით და გატარებული ღონისძიებები.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დადებითი ტენდენციებისა, ძალადობის აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებები, როგორც ჩანს, არასაკმარისია, ვინაიდან, 2011 წლის იანვარში ჩატარებული მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფისთვის ცნობილი გახდა სხვა არაერთი ძალადობის ფაქტის შესახებ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში, რომლებიც შესაბამის თავში იქნება განხილული.⁹⁷

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებული პირების სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით გატარდა გარკვეული სახის ღონისძიებები – 2010 წლის

⁹⁷ იხ. ქვემოთ, „ბავშვთა მიმართ ძალადობა“

ივლისიდან 20%-ით გაიზარდა ბავშვთა სახლებში დასაქმებულთა ხელფასები. 2010 წლის დეკემბერში სააგენტოს მიერ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომლებზე გაიცა პრემია (მე-13 ხელფასი). თუმცა, უმეტეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის პირობები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია⁹⁸.

ბავშვთა მიმართ ძალადობა

2010 წლის ბავშვთა სახლების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ბავშვთა ძალადობის შემთხვევების შესახებ სახალხო დამცველმა ინფორმაცია წარადგინა გაერთიანებული ერების უნივერსალური პერიოდული ანგარიშის განხილვაზე სპეციალური ანგარიშის სახით. აღნიშნული საფუძვლად დაედო გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს მე-10 სესიაზე საქართველოს მიმართ გამოთქმულ არაერთ რეკომენდაციას ბავშვთა უფლებების დაცვის თაობაზე. გაეროს წევრი ქვეყნების რეკომენდაციებში განსაკუთრებით ხაზი გაესვა ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობის აღკვეთისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების მნიშვნელობას საქართველოს სახელმწიფოს მიერ⁹⁹.

ბავშვთა ინსტიტუტებში ბავშვთა მიმართ ძალადობა ასევე მოხსენიებულია გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ მომზადებულ ანგარიშში¹⁰⁰ გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისათვის. საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის გადაუჭრელი პრობლემის შესახებ საუბრობს საერთაშორისო ორგანიზაციის „გლობალური ინიციატივა ბავშვთა მიმართ ფიზიკური დასჯის შეწყვეტისათვის“ კოორდინატორი, გაეროს ბავშვთა უფლებების განხორციელების სახელმძღვანელოს ავტორი პიტერ ნიუველი¹⁰¹.

სახალხო დამცველის 2011 წლის მონიტორინგის შედეგების თანახმად, ბავშვთა მიმართ ძალადობა ჯერ კიდევ მოუგვარებელ პრობლემად რჩება ბავშვთა სააღმზრდელო

⁹⁸ იხ. ქვემოთ „დაწესებულების პერსონალის უფლებები“

⁹⁹ უნივერსალური პერიოდული ანგარიშის სამუშაო ჯგუფის წინასწარი ანგარიში, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების საბჭოს მე-10 სესია, უნივერსალური პერიოდული ანგარიშის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, 2011 წლის 24 იანვარი, ჟენევა.

http://lib.ohchr.org/HRBodies/UPR/Documents/Session10/GE/Georgia-A_HRC_WG.6_10_L.9-eng.pdf

¹⁰⁰ გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ მომზადებული კომპილაციური ანგარიში ადამიანის უფლებების საბჭოს 5/1 რეზოლუციის დანართის 15(ბ) პარაგრაფის მოთხოვნის თანახმად, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების საბჭოს მე-10 სესია, უნივერსალური პერიოდული ანგარიშის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, 24 იანვარი –4 თებერვალი 2011 წელი. <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G10/175/74/PDF/G1017574.pdf?OpenElement>

¹⁰¹ ინფორმაცია საქართველოს შესახებ, ადამიანის უფლებების საბჭოს უნივერსალური პერიოდული ანგარიშისთვის, მე-10 სესია, 2011 წელი http://lib.ohchr.org/HRBodies/UPR/Documents/Session10/GE/GIEACP_GlobalInitiativetoEndCorporalPunishmentofChildren-eng.pdf

სახლებში და უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს ამ მოვლენის ღრმად გააზრებას პასუხისმგებელი პირების მიერ.

ბავშვთა მიმართ ძალადობის განმარტება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კომიტეტის #13 ზოგადი კომენტარი (მიღებულია 2011 წლის 56-ე სესიაზე, 7 იანვარი - 4 თებერვალი) „ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლი - ბავშვის უფლება დაცული იყოს ყველა ფორმის ძალადობისგან“, ძალადობას განმარტავს შემდეგნაირად:

ბავშვთა მიმართ ძალადობა არის ყველა ფორმის ფიზიკური თუ მენტალური ძალადობა, დაზიანება, შეურაცხყოფა, უგულვებელყოფა, გულგრილი დამოკიდებულება, არასათანადო მოპყრობა, ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობა. კომიტეტის დასკვნის თანახმად, ხშირად ბავშვთა მიმართ ძალადობის გაგებას ავიწროებენ ფიზიკური ძალადობის ან ბავშვისთვის მიზანმიმართული ზიანის მიყენების ცნებამდე, რაც დაუშვებელია. ბავშვთა მიმართ ძალადობა აუცილებლად მოიცავს არაფიზიკურ და განზრახვის არმქონე ზიანის ფორმებსაც ბავშვთა მიმართ. მათ შორის, ბავშვთა უგულვებელყოფასა და არასათანადო მოპყრობას.

ძალადობის ფორმების დეტალური განმარტება გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის #13 ზოგადი კომენტარის მიხედვით:

უგულვებელყოფა და გულგრილი დამოკიდებულება: როდესაც არ აკმაყოფილებენ ბავშვების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებებს, ვერ იცავენ საფრთხისგან; მათ სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფაზე უარს ამბობენ, დაბადების რეგისტრაციასა თუ სხვა აუცილებელ მომსახურებას ვერ აკმაყოფილებენ მაშინ, როდესაც მათზე პასუხისმგებელ პირებს აქვთ ამის საშუალება, ცოდნა და ინფორმაცია. აღნიშნული უფრო კონკრეტულად მოიცავს შემდეგს:

- ა) ფიზიკური უგულვებელყოფა – ბავშვების ზიანისგან დაცვის ვერუზრუნველყოფა, ზედამხედველობის ნაკლებობა; საკვების, თავშესაფრის, სამოსისა და ძირითადი სამედიცინო მომსახურების მიუწოდებლობა;
- ბ) ფსიქოლოგიური ან ემოციური უგულვებელყოფა: ემოციური მხარდაჭერის და სიყვარულის გამოხატვის ნაკლებობა, ქრონიკული უყურადღებობა; მომვლელები, რომლებიც ვერ ამჩნევენ ბავშვების მიმანიშნებელ სიგნალებს იმის თაობაზე, რომ მათ უჭირთ; რომ ბავშვები თანატოლების მხრიდან ძალადობის, ნარკოტიკისა ან ალკოჰოლის გამოყენების მსხვერპლნი არიან;
- გ) ბავშვების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების უგულვებელყოფა: არ აწვდიან საჭირო სამედიცინო დახმარებას;
- გ) საგანმანათლებლო საჭიროებების უგულვებელყოფა: მომვლელები ვერ ასრულებენ კანონის მოთხოვნებს, რომელთა თანახმადაც მათ ეკისრებათ მოვალეობა, უზრუნველყონ ბავშვებისათვის განათლების მიღება.

დ) მიტოვება: პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოზარდებზე, მათ შორის ქორწინების გარეშე დაბადებულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე.

მენტალური ძალადობა – არასათანადო მოპყრობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, სიტყვიერი და ემოციური ძალადობა, რომელიც მოიცავს:

- ა) ნეგატიურ ურთიერთობას ბავშვთან: ჩვენება, რომ ბავშვი არაფერს წარმოადგენს, იგი არ უყვართ, მისი არსებობა არასასურველია, რომ მას საფრთხე ემუქრება;
- ბ) ბავშვის შეშინებას, დამინებას, მუქარას, უსამართლოდ მოქცევას ბავშვის მიმართ, უპატივცემულობის გამოხატვას, მისი პიროვნების უარყოფას; ბავშვის იზოლირებას, იგნორირებასა და ფავორიტად აღიარებას (სხვა ბავშვების ხარჯზე);
- გ) ემოციური მოთხოვნილებების უპასუხოდ დატოვებას;
- დ) შეურაცხყოფას, დამაკნინებელი სახელების შერქმევას, დამცირებას, ცინიკურ დამოკიდებულებას, ბავშვის გრძნობების შელახვას;
- ე) ოჯახური ძალადობისგან დაცვის ვერუზრუნველყოფას;
- ე) მარტო განთავსებას, იზოლაციას, დამამცირებელ პირობებს თავისუფლების შეზღუდვის ადგილას;
- ვ) ბულინგს, დამცირებას სხვა ბავშვების წინაშე.

ფიზიკური ძალადობა, რომელიც გულისხმობს ფატალურ ან არაფატალურ ფიზიკურ ძალადობას:

- ა) ყველა ტიპის სხეულებრივი სასჯელი და სხვა ფორმის წამება, სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა. დასჯა, რომელიც გულისხმობს რაიმე ტიპის ფიზიკური ძალის გამოყენებას და მიმართულია ბავშვისათვის ტკივილისა და ზიანის მისაყენებლად, რაც არ უნდა მსუბუქი ხასიათი ჰქონდეს მას. დარტყმა (წამორტყმა, სილის გაწნა, საჯდომზე დარტყმა) ხელით, ნაჭრით, ჯოხით, ქანთით, ფეხსაცმლით, ხის საგნით და ა.შ. ფეხის დარტყმა, შეჯანჯღარება, მიხეთქება, დაფხაჭნა, ბწკენა, კბენა, თმის მოჭაჩვა, ყურის აწევა, გაჯოხვა; ბავშვის იძულება, გაჩერდეს მოუხერხებელ პოზაში/პოზიციისაში, დამწვრობის მიყენება და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს არ არის ამომწურავი ჩამონათვალი სხეულებრივი სასჯელის ფორმებისა;
- ბ) ფიზიკური დამცირება უფროსებისა თუ სხვა ბავშვების მიერ.

სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია, რომელიც გულისხმობს ბავშვთა პროსტიტუციას, ტრეფიკინგს, სექსტურიზმს, ბავშვთა გაყიდვას, იძულებით ქორწინებასა და ა.შ.

წამება და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა: აღნიშნული მოიცავს ყველა ფორმის ძალადობას ბავშვების მიმართ აღიარების მისაღებად; კანონით გაუთვალისწინებელ დასჯას არაკანონიერი და არასათანადო საქციელისთვის; ბავშვის ნების საწინააღმდეგოდ რაიმე აქტივობაში მონაწილეობის იძულებას, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს პოლიციის, ბავშვთა სახლების (რეზიდენტული დაწესებულებების) პერსონალისა და იმ პირების მიერ, რომელთაც აქვთ ბავშვების

მიმართ ძალის გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნულის მსხვერპლად ხდებიან ის ბავშვები, რომელთა უფლებები და ჭეშმარიტი ინტერესი არ არის დაცული პასუხისმგებელი პირების მიერ.

ბავშვთა შორის ძალადობა გულისხმობს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობას, ბავშვების მიერ ერთმანეთის დამცირებას. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა შორის ძალადობისას მოქმედი პირები არიან ბავშვები, ამ შემთხვევაშიც, გადამწყვეტია უფროსების პასუხისმგებლობა, რომლებმაც უნდა განახორციელონ ადეკვატური რეაგირება: მოახდინონ ძალადობის პრევენცია და არ გაამწვავონ ძალადობა სადამსჯელო ღონისძიებებით; არ შეეცადონ ძალადობითვე ძალადობის აღკვეთას.

ცხადია, ბავშვთა მიმართ შესაძლო ძალადობის ფორმების ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი სრული არ არის; ხოლო გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი მე-13 ზოგადი კომენტარის IV თავის (დ) პუნქტში მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მიერ ბავშვთა ძალადობისგან დაცვის სხვა მრავალ ღონისძიებას შორის მნიშვნელოვანია: გაერთიანებული ერების წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიკაცია და განხორციელება (ქვეპუნქტი 38) და ადამიანის უფლებების დამოუკიდებელ ეროვნული ინსტიტუტის, ომბუდსმენის ხელშეწყობა (ქვეპუნქტი 39) – ბავშვთა უფლებებზე მონიტორინგის განსახორციელებლად.

ბავშვთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის მეთოდოლოგია

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის კონვენციის ფაკულტატიური ოქმის საფუძველზე შექმნილი ეროვნული პრევენციის მექანიზმის ფარგლებში, სახალხო დამცველის ექსპერტების ჯგუფის მიერ ბავშვთა სახლების მონიტორინგი ეყრდნობოდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ ხედვასა და ბავშვთა საჭიროებების მიმართ სენსიტიურ მიდგომას.

თითოეულ ბავშვთა სახლში კვალიფიციური ფსიქოლოგი/ფსიქიატრი (ბავშვთა ფსიქოლოგიის/ფსიქიატრიის სფეროში მინიმუმ 10-წლიანი გამოცდილებით) ეროვნული პრევენციის მექანიზმის ექსპერტი და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი იურისტი კონფიდენციალურ ვითარებაში ხვდებოდნენ აღსაზრდელებს, მათი სურვილიდან გამომდინარე. თითოეულ ბავშვთა სახლში შეხვედრა ხდებოდა იქ მყოფი ბავშვების მინიმუმ 10%-თან. შეხვედრა ტარდებოდა ცალკე ოთახში, ბავშვისათვის მისაღებ გარემოში, სადაც ბავშვისა და უფლებადამცველის საუბარი დაცული იყო გარეშე პირთა მიერ მოსმენისა და ჩარევისგან. ბავშვს სურვილისამებრ შეეძლო შეეწყვიტა ინტერვიუ ნებისმიერ ეტაპზე. ბავშვის სურვილის შემთხვევაში საუბარი იწერებოდა აუდიოჩამწერით.

სახალხო დამცველის წარმომადგენლისა და ექსპერტი ფსიქოლოგი/ფსიქიატრის მიერ განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა იმ გარემოებას, რომ ბავშვი არ გადაღლილიყო გასაუბრების დროს; ინტერვიუს ჰქონოდა ბავშვისათვის სასურველი ხასიათი; არ მომხდარიყო ბავშვის ხელახალი ტრავმატიზაცია მისი ცხოვრების უარყოფით მომენტზე საუბრით.

ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში მონიტორინგის ჯგუფის სხვა წევრები ამოწმებდნენ დოკუმენტაციას (სამედიცინო ჩანაწერები, უბედური შემთხვევების ჟურნალი, დაზიანების ჟურნალი); ესაუბრებოდნენ პასუხისმგებელ პერსონალს; ძალადობის ფაქტის შესახებ რამდენიმე წყაროდან მიღებული ინფორმაციის შეჯერებით კი, ხდებოდა ფაქტის კომპლექსური შესწავლა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები, მონიტორინგის დროს და ასევე მისი დასრულების შემდეგ, ისევე, როგორც 2010 წლის მონიტორინგის დროს, თვალს ადევნებენ და ახორციელებენ უწყვეტ ზედამხედველობას, რათა ბავშვების მიერ ძალადობის შესახებ უფლებადამცველებისათვის ინფორმაციის მიწოდება არ გახდეს მათი შემდგომი დასჯის, განმეორებითი ძალადობის ან რაიმე სახის არასასურველი შედეგის მომტანი.

ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი არასათანადო მიდგომა

2010 წლის მონიტორინგისგან განსხვავებით, რამდენიმე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ადმინისტრაცია (წყნეთის, საგურამოს, თელავის) ღიად საუბრობს დაწესებულებაში ბავშვთა მიმართ სხვადასხვა ტიპის ძალადობის ფაქტებისა და ამ პრობლემის გადასაჭრელად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, რაც დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს; თუმცა, რიგ შემთხვევაში, მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები გაუმართლებელი ან არაეფექტურია როგორც აღმზრდელობითი, ისე ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით, რაც თვალსაჩინოს ხდის ამ სფეროში დამატებითი ცოდნის მიღების აუცილებლობას.

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ხშირია ბენეფიციართა შორის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის ფაქტები, რაც თვითდამკვიდრების, დაცვის ან დასჯის მანკიერი სტერეოტიპების ხასიათს ატარებს. დაწესებულების ადმინისტრაციისა და აღმზრდელების ნაწილი ძალადობის ფაქტებზე დუმილს ამჯობინებს – ისინი არ აღრიცხავენ ძალადობის ფაქტებს, გატარებულ სააღმზრდელო ღონისძიებებსა და მიღებულ შედეგებს, ნაწილი კი ძალადობის პრევენციას, წესრიგის აღდგენას და ბავშვებს შორის აგრესიის განმუხტვას ძალადობრივი მეთოდებით ახდენს და იყენებს დაშინებას, ფსიქოლოგიურ ზეწოლას და ფიზიკურ დასჯას (ყურის აწევა, თმების მოწიწვნი, კუთხეში დაყენება, ცემა, „კედელზე შემოხეთქება“, ლოყაში გარტყმა). ყველაზე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ აღმზრდელებისა და პედაგოგების, ასევე,

ბენეფიციართა ნაწილი შედარებით მსუბუქი ფორმის ძალადობას (ყურის აწევა, თმის მოწიწება, წამორტყმა) სრულიად დასაშვებ აღზრდის მეთოდად მიიჩნევა.

მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით, რიგ შემთხვევაში, ადმინისტრაცია ძალადობის შემთხვევების შესახებ შესაბამისი უწყებებისადმი ინფორმაციის მიუწოდებლობას ეთიკურ საეციოდ განიხილავს და ბოლომდე ვერ აცნობიერებს აღნიშნულის შედეგებს, კანონით დაკისრებული შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. რიგ შემთხვევაში რეაგირების გარეშე რჩება ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევები, რაც ხელს უშლის მათ აღმოფხვრას და პრევენციას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს აღმზრდელების მხრიდან ბავშვთა მიმართ ძალადობის გამამართლებელი დაუსაბუთებელი არგუმენტი: „ჩვენ ყველას ოჯახში შესაძლებელია ეს დაგვემართოს, თავი ვერ შევიკავოთ და ბავშვს წამოვარტყათ“. შესაბამისად, აშკარაა პერსონალის დაბალი ინფორმირებულობა გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციისა და სხვა საერთაშორისო აქტების შესახებ, რომელთა თანახმადაც, სამზრუნველო დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვის ძალადობისგან დაცვის გარანტია უნდა იყოს აბსოლუტური, ვინაიდან ეს ბავშვები ძალადობის ბევრად უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან და სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ყველა ზომა ნებისმიერი ხარისხისა და ფორმის ძალადობის აღსაკვეთად ამ დაწესებულებებში.

ძალადობის შემთხვევები ბავშვთა სახლებში

წალენჯიხის ბავშვთა სახლი

მონიტორინგის ჯგუფი გაესაუბრა 5 ბავშვს, მათგან 4 აღსაზრდელი იდენტურად აღწერს 8 და 9 წლის ბავშვების მიმართ ფიზიკური ძალადობის განხორციელებას აღმზრდელების მიერ. მონათხრობში იკვეთება ძალადობის პატერნი (ძალადობის განმეორებითი მოვლენა, რომლის შინაარსი და მიმდინარეობა ემთხვევა ერთმანეთს): ჯოხით ცემა ხელებსა და ფეხებზე, თმების მოგლეჯა დასჯის მიზნით, სახეში ჩარტყმა, ყურის აწევა. ოთხივე ბავშვი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ექსპერტებს ინფორმაციას აწვდის ხშირად განმეორებადი დასჯის პრაქტიკის შესახებ ერთ-ერთი აღსაზრდელის მიმართ, რომელსაც გაურკვეველი დროით აყენებენ კუთხეში, შემოტრიალების აკრძალვით. ექსპერტები ასევე იღებენ ინფორმაციას დასჯილი ბავშვის მძიმე ემოციური რეაქციის შესახებ დასჯის განმეორებად ინციდენტზე. ერთ-ერთ ძალადობის მსხვერპლ ბავშვს ხელებზე აღმოაჩნდა დაზიანებები (ექსკორიაციები), რომელთა წარმომავლობას იგი არ ასახელებდა. არც სამედიცინო ჩანაწერებსა და არც ბავშვის პირად საქმეში არ ფიქსირდება დაზიანებების წარმოშობის მიზეზი.

მონიტორინგის ჯგუფი ადგილზე შეესწრო აღმზრდელის მიერ ბავშვზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტს. ერთ-ერთმა ბავშვმა სააღმზრდელო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ყველაზე უარყოფით მოვლენად დაასახელა ის ფაქტი, რომ დაბადების დღე არ მიულოცეს, რის გამოც გული დასწყდა და აღნიშნა, რომ არც სხვა ბავშვების

დაბადების დღეებს არ აღნიშნავენ. საუბრის დროს ოთახში შემთხვევით შევიდა დაწესებულების ბუღალტერი, რომელმაც ბავშვს მკაცრი ტონით მისცა შენიშვნა. , აღსაზრდელი ოთახიდან ქურთუკის ჩასაცმელად გავიდა და უკან დაბრუნების შემდეგ, შეკითხვის გამეორების გარეშე, ნათქვამი სასწრაფოდ უარყო და განაცხადა, რომ დაბადების დღე მიულოცეს და დათუნია და ველოსიპედი აჩუქეს, რომლებიც სახლში წაიღო.

ფსიქოლოგიური ძალადობისა და მუქარის არსებობა დასტურდება იმითაც, რომ ბავშვები სრულიად განსხვავებულ თემებზე საუბრისას სპონტანურად იმეორებენ აღმზრდელების მიერ ნათქვამ მუქარის შემცველ ფრაზებს, რომლებიც გულისხმობს მშობლისთვის მათი საქციელის შეტყობინებასა და მშობლის მიერ ჯოხით ცემას.

მონიტორინგის ჯგუფისათვის ასევე ერთ-ერთი შემაშფოთებელი ინფორმაცია იყო ბავშვთა სახლში მოხვედრამდე აღსაზრდელების მიერ მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის გადატანა. მათ რეაბილიტაციაზე დაწესებულებაში არავის უზრუნია. ერთ-ერთმა აღსაზრდელმა ჯგუფის წევრებს უამბო, რომ იგი იზრდებოდა კონფლიქტის ზონაში და სხვადასხვა დროს გახდა მამის მკვლელობის, 7 წლის დის გაუპატიურებისა და მკვლელობის და 3 კაცის ნაღმზე აფეთქების მოწმე. არასრულწლოვნის გადმოცემით, სტრესიდან გამომდინარე, მას ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა (სხეულზე შეინიშნება ნაწიბური). დღემდე აქვს მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა, განმეორებადი მოგონებები; მას მოვლენების თხრობა უჭირდა და გამოხატავდა პოსტ-ტრავმული სტრესის ტიპურ სიმპტომებს. აღსაზრდელის ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია დაწესებულებაში არ მომხდარა, სავარაუდოდ, ბავშვი მძიმე სულიერ ტკივილს განიცდის, რომელიც დაუყოვნებლივ საჭიროებს შესაბამისი პროფესიონალის ჩარევას.

ანალოგიური ვითარებაა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც ჰყვებიან დაწესებულებაში მოხვედრამდე გადატანილ უმძიმეს მოვლენებზე: დედის ცემა, სახლიდან გაგდება, პატარა დის ცემა, ოჯახური კონფლიქტები. ეს აღსაზრდელები იმყოფებიან მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ; ამჟღავნებენ ძლიერ დათრგუნულ არავერბალურ რეაქციებს.

ბავშვებთან საუბრისას ასევე გამოვლინდა აღსაზრდელების სერიოზული აკადემიური ჩამორჩენაც, რაც მოწმობს განათლების კუთხით არსებულ პრობლემებზე: 10 წლის ბავშვი ვერ ასახელებს კვირის დღეებს, ვერ ცნობს ფერებს, ერთ ხელზე ითვლის 7 თითს.

სურამის ბავშვთა სახლი

მონიტორინგის ჯგუფი გაესაუბრა 7 ბავშვს; სამი მათგანისგან მიიღო ინფორმაცია პედაგოგებისა და სხვა ბავშვების მიერ მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ. ძალადობის ფაქტები ასევე მოიცავს სკოლაში ძალადობას. ბავშვების გადმოცემით, სკოლაში ადგილი აქვს ცემას, კედელზე შეხეთქებას, მუცელში ჩარტყმას მასწავლებლის მხრიდან (ზინიკო მასწავლებელი). უშუალოდ ბავშვთა სახლის

აღმზრდელები, ბავშვების გადმოცემით, ყურს უწევენ. თუმცა, რაც ყველაზე საგულისხმოა, ეს ბავშვები ისევე, როგორც სხვა ბენეფიციარები წარმოადგენენ ბავშვთა შორის ძალადობის მსხვერპლებს. აღნიშნულის მოგვარებას ვერ ახერხებს პერსონალი ისევე, როგორც სკოლაში არსებული პრობლემების გადაჭრას. ბავშვები იხსენებენ სხვა ბავშვებთან ფიზიკური კონფლიქტის კონკრეტულ ეპიზოდებს ზამთრის პერიოდში.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვებიდან, ერთ-ერთს გონებრივი შეფერხება, ხოლო მეორეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. აღნიშნება უძილობა, დეპრესიული ეპიზოდი, ნიჰილიზმი, ინდიფერენტობა. აღსაზრდელები მას „გიჟს“ ემახიან. ინფორმაციას ადასტურებს დაწესებულების ფსიქოლოგიც. მოზარდი სრულიად გარიყულია, არავისთან კონტაქტობს, არანაირ აქტივობაში არ ერთვება, სკოლაში არ დადის. მას არ მიეწოდება ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარება. მარტოობის დროს იგი თავს სამზარეულოს აფარებს.

ზუგდიდის ბავშვთა სახლი

მონიტორინგის ჯგუფთან გასაუბრებისას სამი ბავშვი მიუთითებს ბავშვებს შორის ძალადობის პერმანენტულ ხასიათზე, რომლის გადაჭრასაც პერსონალი ვერ ახერხებს აღზრდის პოზიტიური მეთოდებით. სამივე ბავშვი აღწერს, რომ ძალადობისგან თავის დასაცავად საკუთარ ძმებს მიმართავენ დასახმარებლად ან თავად იცავენ მათ. აღმზრდელებისგან კი საპასუხოდ იღებენ სახაზავის ხელში ჩართყმას, ყურის აწევას, კუთხეში დაყენებასა და თმის მოქაჩვას. თვალსაჩინოა ბავშვების დამაბული ფსიქოლოგიური მდგომარეობა და აღსაზრდელთა შორის ძალადობით გამოწვეული კრიზისი, თუმცა სრულიად გამქრალია პროტესტი აღმზრდელების მიერ დასჯის ფაქტზე, რომელზეც ინდიფერენტულად საუბრობენ.

წყნეთის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება

მონიტორინგის ჯგუფმა 8 ბავშვისგან მიიღო ინფორმაცია ბავშვთა შორის ძალადობაზე. მნიშვნელოვანია, რომ თავად დაწესებულების დირექტორი და ადმინისტრაცია ადასტურებს აღსაზრდელთა შორის ძალადობის ფაქტებს, თუმცა მათ მიაჩნიათ, რომ პრობლემა უკვე გადაჭრეს საკუთარი ინიციატივით. ინიციატივას წარმოადგენდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოცალკეება ჯგუფებიდან და ახალი, დაჩაგრულებისგან და მსხვერპლებისგან შემდგარი ჯგუფის შექმნას. აღნიშნული ინიციატივა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც ბავშვთა უფლებებისა და ძალადობის მართვის კუთხით გაუმართლებელი ინიციატივა. მონიტორინგის ჯგუფის შეხედულება დაადასტურა ბავშვთა შორის ძალადობის მიმდინარე ფაქტებმა, რომლებიც არათუ გადაიჭრა, არამედ, სავარაუდოდ, გამწვავდა ადმინისტრაციის მოქმედებით.

რვავე აღსაზრდელი მონიტორინგის ჯგუფს აწვდის ინფორმაციას უფროსი ბავშვებისაგან მათი ცემის შესახებ. აგრეთვე ფაქტებს იმის შესახებ, რომ უფროსი

აღსაზრდელების ამგვარი ქმედება არათუ აღკვეთა ადმინისტრაციამ, არამედ წააქეზა, რათა მათ არ შეექმნათ დამატებითი პრობლემები უმცროს აღსაზრდელებთან დისციპლინის დამყარების კუთხით. უფროსი ბავშვები აღმზრდელების ნაცვლად ფიზიკურად უსწორდებიან პატარებს: სცემენ, აჩუმებენ.

ზოგიერთი პატარა ბენეფიციარის გადმოცემით, ამგვარ შემთხვევებში დაწესებულების დირექტორი ემუქრება უმცროსი ასაკის აღსაზრდელებს დიდების ჯგუფში გადაყვანით, „ისინი გამოგასწორებენო“.

უფროსი ბავშვების სასარგებლოდ უმცროსების დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს აღგილზე შეესწრო მონიტორინგის ჯგუფიც, რომელიც შესაბამის თავშია აღწერილი.¹⁰²

„მომავლის სახლი“

მომავლის სახლის 4-მა აღსაზრდელმა მონიტორინგის ჯგუფს ინფორმაცია მიაწოდა ერთ-ერთი აღმზრდელის ნატო მ.-ს მიერ 5 ბავშვის ფიზიკური დასჯის ინციდენტის შესახებ. აღნიშნულმა პირმა 5 აღსაზრდელი გოგონა (10-დან 12 წლამდე ასაკის) იმის გამო, რომ ისინი ღამე არ იძინებდნენ, ლოგინებიდან ააყენა და ისე, რომ ერთმა მათგანმა ჩაცმაც კი ვერ მოასწრო, მეორე სართულიდან პირველზე უბრძანა ჩასვლა, რის შემდეგაც დერეფანში მუხლებზე დააყენა და ამგვარ მდგომარეობაში ამყოფა დაახლოებით ნახევარი საათიდან - ერთ საათამდე, შემდეგ ბოდიში მოახდევინა და დაძინების პირობით საძინებელში გაუშვა. ბავშვები აღწერენ შემთხვევის ზუსტ დეტალებს: მუხლებზე დგომის ადგილისა და დამსწრე პირების ჩათვლით.

ასევე დაფიქსირდა ერთ-ერთი აღმზრდელის მზია ტ.-ს მიერ დასჯის უცნაური ფორმა, ეზოში ხესთან გაურკვეველი დროით ბავშვის დაყენება.

მონიტორინგის ჯგუფის შეკითხვაზე, თუ რამდენი ძალადობის შემთხვევა დაფიქსირდა 2009 წლიდან დღემდე დაწესებულებაში, „მომავლის სახლის“ ადმინისტრაციამ განმარტა, რომ ძალადობის არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა; თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, თავად ბავშვთა სახლის აღმზრდელების განმარტებითი ბარათებით იყო დამოწმებული აღსაზრდელებს შორის ძალადობის საკმაოდ რთული შემთხვევები, რომელთაც სისტემატური ხასიათი აქვს:

ორმა აღმზრდელმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს შეატყობინა, რომ 2010 წლის 18 დეკემბერს, ღამის პირველ საათზე, მოხდა კონფლიქტი ფილიალის ორ აღსაზრდელს შორის, რომელმაც მიიღო მწვავე ხასიათი. ერთ-ერთი აღსაზრდელი ველარ აკონტროლებდა თავს და ცდილობდა, ფიზიკური ძალადობა განეხორციელებინა მეორე აღსაზრდელზე. კონფლიქტს ასევე მოჰყვა მატერიალური ზიანი – ჩაიმსხვრა რამდენიმე მინა. აღმზრდელების განცხადებით, მოსალოდნელია ძალადობის ფაქტის განმეორება, რაც საფრთხეს შეუქმნის სხვა აღსაზრდელებს. აღმზრდელები ითხოვდნენ რეაგირებას

¹⁰² იხ „ბავშვთა დისკრიმინაცია“

ადმინისტრაციისგან, რომელსაც არანაირი ზომა არ მიუღია მომავალი ინციდენტების პრევენციისთვის.

როგორც ირკვევა, 18 დღის შემდეგ იმავე აღსაზრდელებს შორის კვლავ განმეორდა ძალადობისა და შინაგანაწესის დარღვევის ფაქტი: აღმზრდელების 2011 წლის 5 იანვრის მოხსენებითი ბარათის თანახმად, ღამის განმავლობაში ბენეფიციარები მათ და ბავშვებს აყენებდნენ შეურაცხყოფას, იგინებოდნენ, აზიანებდნენ ინვენტარს, ცდილობდნენ გაპარვას დაწესებულებიდან, შედიოდნენ კონფლიქტში როგორც სხვა ბავშვებთან, ისე აღმზრდელებთან, არ იძინებდნენ ღამის განმავლობაში და სხვა აღსაზრდელებსაც არ აძლევდნენ მოსვენების საშუალებას. აღმზრდელები აღნიშნავენ, რომ ამ ფაქტებს აქვთ სისტემატური ხასიათი და კვლავ ითხოვენ ადმინისტრაციისგან რეაგირებას.

ზემოხსენებული აღმზრდელების არც განცხადება და არც მოხსენებითი ბარათი არ იყო ოფიციალურად დარეგისტრირებული ადმინისტრაციის მიერ. ასევე, არ დაფიქსირდა რაიმე ჩანაწერი ინციდენტებზე რეაგირებისა; შედეგად, ამავე სააღმზრდელო დაწესებულებაში გრძელდება ბავშვებს შორის ძალადობის შემთხვევები:

„მომავლის სახლის“ ფსიქოლოგის ჩანაწერების ჟურნალში, 2011 წლის 1 იანვარს, ფიქსირდება მორიგი კონფლიქტი ორ აღსაზრდელს შორის. ამავე ჟურნალში არსებული ჩანაწერის თანახმად, 2011 წლის 5 იანვარს ერთ–ერთმა აღსაზრდელმა მეორე აღსაზრდელს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, უკბინა მკლავზე. დაზიანების ადგილას აღინიშნება ჩალურჯებები.

სააღმზრდელო დაწესებულება „სათნოება“

8 ბავშვთან გასაუბრების შედეგად მონიტორინგის ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია 201–ე საჯარო სკოლაში (სადაც ბენეფიციარები სწავლობენ) რამდენიმე მასწავლებლისა და დირექტორის მხრიდან არაჰუმანური მოპყრობის ფაქტების თაობაზე. მათი გადმოცემით, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ასხვავებენ სხვა ბავშვებისაგან და უწოდებენ დამაკნინებელ სახელებს: პრიმატებს, ჭუჭყიანებს, ტილიანებს, მაიმუნებს. დირექტორი შეურაცხყოფს ბავშვების ღირსებას და მათ ბიოლოგიურ ოჯახებს, ხაზს უსვამს რა მიმართვისას ფაქტს, რომ ისინი ბავშვთა სახლიდან არიან და ამბობს, რომ მათი ოჯახები საღორეში ცხოვრობენ, მათ მშობლები არ უვლიან და სწორედ ამიტომ მოხვდნენ ბავშვთა სახლებში.

რამდენიმე ბენეფიციარი დეტალურად აღწერს შემთხვევას, როდესაც მიუხედავად ბავშვის თხოვნისა, მათემატიკის მასწავლებელმა მარინა ჭ.–მ გაკვეთილიდან იგი საპირფარეშოში არ გაუშვა, რისი შედეგადაც ბავშვმა ვეღარ მოახერხა თავშეკავება და კლასში მოშარდა.

ბავშვების გადმოცემით, ერთ–ერთ აღსაზრდელს ბიოლოგიის მასწავლებელმა სოფო ჯ.–მ ჯოხი ჩაარტყა ხელში, რის შედეგადაც ბავშვმა მიიღო ხელის მოტეხილობა. სამედიცინო დოკუმენტაციაში ჩანაწერი აღნიშნულის შესახებ არ მოიპოვება. ისტორიის მასწავლებელი მაია დ. ფეხებს ურტყამს ბავშვებს ერთმანეთში გადალაპარაკების

შემთხვევაში. აღსაზრდელებმა დეტალურად აღწერეს შემთხვევა, როდესაც სკოლის დირექტორმა ერთ–ერთ ბავშვს ხელი დაადებინა მაგიდაზე, ახლოს მიუტანა დანა და დაემუქრა თითების მოჭრით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის მხრიდან ასევე დასტურდება აღნიშნულ სკოლაში გარკვეული პრობლემების არსებობა.

საგურამოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება

საგურამოს დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფი შეხვდა 5 ბავშვს. ერთ–ერთი ბენეფიციარის გადმოცემით, მას აღმზრდელმა სილა გააწნა, რასაც დაწესებულების დირექტორი შეესწრო, თუმცა ამ ფაქტზე ქმედითი რეაგირება არ მოუხდენია, მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნა მისცა აღმზრდელს. ანალოგიურ ფაქტზე საუბრობს თავად დირექტორიც, რომლის თანახმადაც მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებაში 2010 წელს დაფიქსირდა აღმზრდელის მხრიდან აღსაზრდელის მიმართ ფიზიკური ძალადობა („წამორტყმა“), მაგრამ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებია სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის. შესაბამისად, დაირღვა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურები. აღნიშნულის შესახებ არ გაკეთებულა ჩანაწერი შესაბამის ჟურნალშიც. დირექტორის თქმით, მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა შემთხვევის განხილვა ძალადობის მსხვერპლთან, მოძალადესთან და სხვა თანამშრომლებთანაც, რის შემდეგაც აღმზრდელმა ბოდიში მოუხადა დაზარალებულს.

კოჯრის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება

კოჯრის დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფი გაესაუბრა 5 ბენეფიციარს. აღსანიშნავია, რომ ბავშვების მონათხრობში დიდი სიზუსტით მეორდება 2010 წლის მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაწესებულების იმავე დირექტორის მხრიდან ბავშვთა მიმართ ფიზიკურ ძალადობაზე. კერძოდ: თავში ჩარტყმა, შეჯანჯღარება, საყელოთი მალლა აწევა და იატაკზე დაგდება (9 წლის ბენეფიციარს სახეზე აღენიშნებოდა ყვითელი ლაქა, დაზიანების კვალი, რაზეც განაცხადა, რომ კიბეებზე სირბილისას დაეცა).

მონიტორინგის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია, რომ წინა დღით ორ ბენეფიციარს შორის (7 და 9 წლისა) ადგილი ჰქონდა გარკვეული სახის სექსუალური ქმედების მცდელობას (უფროსების სექსუალური ქმედების მიმბაძველობით), რის გამოც დირექტორმა ორივეს სცემა. 7 წლის ბენეფიციარი აცხადებდა, რომ რცხვენოდა ამაზე ლაპარაკი, ხოლო 9 წლის აღსაზრდელმა განაცხადა, რომ 7 წლისამ მას დააბრალა, თითქოსდა გარყვნილ ქმედებას ეწეოდა, ოღონდ არა მეორე ბენეფიციარის მიმართ, არამედ თავის თავთან (აღწერა არარეალური ქმედება).

თავდაპირველად დაწესებულების დირექტორი მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან საუბრისას უარყოფდა ბენეფიციარებს შორის რამენაირი სექსუალური ხასიათის ქმედების მცდელობას, თუმცა მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ მონიტორინგის ჯგუფის წევრებისათვის უკვე ცნობილი იყო ზემოხსენებული ფაქტის შესახებ, განაცხადა, რომ აღნიშნული ფაქტი მოხდა, თუმცა მომხდარზე მთელი პასუხისმგებლობა გადაიტანა 7 წლის ბავშვზე. მან ასევე განაცხადა, რომ ამ ბავშვების ცემაზე ხელს არ გაისვრიდა, რომ დაწესებულების ფსიქოლოგს ჰქონდა ჩანაწერები აღნიშნულზე. ვინაიდან ფსიქოლოგი დაწესებულებაში არ იმყოფებოდა, მეორე დღეს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა განახორციელა ხელმეორე ვიზიტი დაწესებულებაში, თუმცა ფსიქოლოგს აღნიშნული ინციდენტის შესახებ არანაირი ჩანაწერი არ აღმოაჩნდა.

კოჯრის სახლის აღსაზრდელებთან საუბრისას შეიმჩნეოდა გარკვეული დამაბულობა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მათ დაწესებულების თანამშრომლებისაგან მიიღეს ინსტრუქცია, თუ რაზე არ უნდა ესაუბრათ ექსპერტებთან. ერთ-ერთი ბენეფიციარი ინტერვიუს დროს, როდესაც დახურული ოთახის კარს ვინმე გამოაღებდა, კონტექსტიდან მოწყვეტილად, არაადეკვატურად მაღალ ხმაზე იწყებდა ლაპარაკს, რომ იქ ყველაფერი კარგად არის, დირექტორი და ყველა მასწავლებელი კარგია, არავინ სცემს ბავშვებს. ბავშვი ამას უწყვეტად იმეორებდა მანამ სანამ კარი ღია იყო. კითხვაზე, თუ რატომ აკეთებდა ამას, აღნიშნა, რომ არჩევანი არ ჰქონდა. ბავშვი ავლენდა ფსიქოლოგიური დათრგუნვის ნიშნებს.

თელავის ბავშვთა სახლი

ექსპერტები ვიზიტის განმავლობაში ესაუბრნენ თელავის ბავშვთა სახლის 7 აღსაზრდელს. უშუალოდ მონიტორინგის ადგილზე ყოფნის დროს გამოვლინდა ბავშვის უგულვებელყოფის კონკრეტული შემთხვევა – მონიტორინგის წინა საღამოს ერთ-ერთმა 10 წლის აღსაზრდელმა დააზიანა კარადის კარი, რის გამოც ერთ-ერთმა აღმზრდელმა (ეთერმა) დასაჯა იმით, რომ დილას არ გაუშვა საუზმეზე. ბავშვი შუადღემდე მშვიდი იყო. ამის შესახებ ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფს მიაწოდეს სხვა აღსაზრდელებმა, თავად ამ ბენეფიციარმა კი ჯერ განაცხადა, რომ ამ აღმზრდელმა თავიდან არ გაუშვა საუზმეზე, ცოტა ხნის შემდეგ კი ნება დართო რომ ესაუზმა და მანაც ისაუზმა. კითხვაზე, თუ რა საკვები მიირთვა საუზმეზე, მან პასუხი ვერ გასცა და შემდეგ აღიარა, რომ იგი მოგვიანებითაც არ გაუშვიათ სასაუზმოდ და ზემოხსენებულმა მასწავლებელმა უთხრა მას, რომ ამგვარად მოეყოლა ეს ამბავი მონიტორინგის ჯგუფისთვის.

თელავის ბავშვთა სახლში ხშირი პრაქტიკაა ბავშვებს შორის ძალადობა. ერთ-ერთი აღსაზრდელი პერმანენტულად ფიზიკურად ძალადობს დანარჩენ ბავშვებზე. იმავე აღსაზრდელმა გასული წლის ნოემბერში სხვა ბენეფიციარს მიაყენა ძლიერი დამწვრობა ხელზე და სახის არეში – ბენზინიან ხელზე მოუკიდა ცეცხლი. აღნიშნული ფაქტის აღწერა სამედიცინო ნაწილში არ არსებობს. დამწვრობის ფაქტი დასტურდება „კურაციოს“ სამედიცინო ჯგუფის მიერ აღსაზრდელების სამედიცინო შემოწმების ჩანაწერებში, თუმცა არ არის მინიშნებული კონკრეტული გარემოებები.

ბავშვთა შორის სერიოზული ფორმის ძალადობა დასტურდება ადმინისტრაციის გადმოცემითაც. თელავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში დაფიქსირდა აღსაზრდელ X-ის ძალადობა სხვა ბავშვებსა და აღმზრდელებზე. როგორც თელავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღმზრდელ რ.თ-ს მიერ დირექტორისადმი მიწერილ მოხსენებით ბარათშია¹⁰³ აღნიშნული: 12 წლის X სისტემატურ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს სხვა ბავშვებს და აღმზრდელებს, იპარება ბავშვთა სახლიდან, ეწევა სიგარეტს, იღებს ალკოჰოლს, არ დადის სკოლაში, ქურდობს. მიუხედავად იმისა, რომ თელავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ადმინისტრაციამ განახორციელა მრავალი ღონისძიება X –ს პრობლემის გადასაჭრელად – საქმეში ჩაერთო ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, დახმარებისთვის მიმართეს სოციალურ მუშაკს – პრობლემა გადაჭრილი არ არის. აღმზრდელების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, თავად X ოჯახური ძალადობის მსხვერპლია. იგი მამამ მცირეწლოვნობის ასაკში აივნებიდან გადმოაგდო, რის გამოც თავზე აღენიშნება ტრავმა. აღმზრდელების გადმოცემით, მამის მიერ ძალადობა, სავარაუდოდ, დღემდე გრძელდება X-სა და იმავე სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფ მის ძმაზე, ასევე მათ დედაზე და სხვა 3 და-ძმაზე, რომლებიც ოჯახში იმყოფებიან. ბავშვთა სახლში მყოფ ორივე ძმას აღენიშნება მძიმე სტრესი, რაც გამოხატულია მძიმე ფორმის ქცევის დარღვევით.

აღმზრდელების განცხადებით, X-ის ერთ-ერთი ბოლო ძალადობრივი ქცევა იყო სხვა ბავშვისათვის ყელში ხელების წაჭერა. აღნიშნული ინციდენტი, ბავშვთა აღმზრდელის ჩარევის გამო, უმსხვერპლოდ დასრულდა. თუმცა X-ის მიერ მოხრჩობის მცდელობა არ ყოფილა ერთჯერადი.

ცხადია, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოპოვებული მონაცემები მხოლოდ მცირე ნაწილია ძალადობის შემთხვევების რეალური სურათისა და იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში რეგულარულ ხასიათს ატარებს აღსაზრდელების მიმართ და შორის ძალადობრივი ქცევა, რომელიც რეალური საფრთხის ქვეშ აყენებს ყველა იქ მყოფ აღსაზრდელს.

რეკომენდაციები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შეიმუშაოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგისა და კონტროლის ეფექტური და ქმედითი მექანიზმი შესაბამისი ანგარიშგების სისტემით;
- პირადი კონტროლის ქვეშ აიყვანოს ძალადობის ყველა გამოვლენილ ფაქტზე რეაგირება.

¹⁰³ მოხსენებითი ბარათი 25.11.2010, N 05/152.

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა“ და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორებს:

- განახორციელონ ერთობლივი, კომპლექსური და კოორდინირებული მუშაობა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და მართვისთვის.

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- შეიმუშაოს და დანერგოს დაწესებულებების ადმინისტრაციის მხრიდან ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და მათ შესახებ ანგარიშგების სწრაფი, ეფექტური და გამჭვირვალე სისტემა;
- სკოლის პედაგოგების მიერ სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელებზე განხორციელებული ძალადობის ყველა შემთხვევა ეცნობოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“;
- შესაბამისი დამატებები განახორციელოს დაწესებულებების დებულებებში, რათა ბავშვის ყოველი გასვლა–შემოსვლისას დაწესებულების ექიმმა ჩაატაროს ბავშვების გარეგნული დათვალიერება, მათ შორის, ოჯახური ძალადობის შემთხვევების პრევენციისა და გამოვლენის მიზნით;
- ყველა დაწესებულების ექიმს დაავალოს დაზიანებების ჟურნალის წარმოება, სადაც სათანადო ნაწილში აღირიცხება და აღიწერება ყველა დაზიანების, თვითდაზიანებისა და საყოფაცხოვრებო ტრავმის ფაქტი, მათი წარმომავლობის ბავშვისეული ვერსიის მითითებით;
- ყველა დაწესებულების ექიმსა და პერსონალის ყოველ წევრს დაევალოს ძალადობის საეჭვო შემთხვევების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება ადმინისტრაციისადმი, იმ შემთხვევების გათვალისწინებით, როდესაც მოძალადე, ბავშვის განცხადებით, არის თავად დირექტორი, რა დროსაც ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პირდაპირ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“;
- ყველა დაწესებულების ფსიქოლოგს დაევალოს სპეციალური ჟურნალის წარმოება ძალადობის ფაქტების დასაფიქსირებლად, ასევე, აღნიშნული ფაქტების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება ადმინისტრაციისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც მოძალადე, ბავშვის განცხადებით, არის თავად დირექტორი, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პირდაპირ სააგენტოს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- უზრუნველყოს სამინისტროს გენერალური ინსპექციის სათანადო რეაგირება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ბენეფიციარებზე საჯარო სკოლის მასწავლებლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ ყველა შეტყობინებაზე.

ბავშვის შრომის გამოყენება

ბავშვების შრომის გამოყენება დასტურდება მონიტორინგის ჯგუფის მიერ რამდენიმე დამოუკიდებელი წყაროს გამოკითხვის საფუძველზე. ბათუმის ბავშვთა სახლის ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ აღსაზრდელები მცირე ანაზღაურების სანაცვლოდ ადგილობრივ მოსახლეობას მანდარინის კრეფაში ეხმარებიან. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაცია არ ახორციელებს ანაზღაურების შესაბამისობის კონტროლს გაწეულ შრომასთან და შრომის სიმძიმის მონიტორინგს, თუმცა ბავშვების მონათხრობით ბავშვთა შრომის გამოყენების კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე ნათელი ხდება ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის არასრულობა.

16 წლის ბენეფიციარი აღნიშნავს, რომ ისინი არა მხოლოდ მანდარინის კრეფაში ეხმარებიან მეზობლებს, არამედ ასევე ალაგებენ სააღმზრდელო დაწესებულების მასწავლებელთა ან მათი მეზობლების სახლებს, თავიანთ თავს უწოდებენ იაფ მუშახელს, რადგან იციან, რომ იმავე საქმის გაკეთებისას სხვას უხდებიან გაცილებით მეტს, ვიდრე ტანსაცმლის ჩუქება და 5 ლარის ეკვივალენტი ანაზღაურებაა.

სიტუაცია განსაკუთრებით მძიმდება, ამ და სხვა ბენეფიციარის მიერ ბავშვთა სახლში საკუთარი ნების წინააღმდეგ საპირფარეშოებისა და სამზარეულოს მოხეხვის შემთხვევების მოყოლისას. აღსაზრდელის გადმოცემით, როდესაც მორიგე არ არის, მათ დამლაგებელი მკაცრი ტონით სთხოვს არა მხოლოდ საკუთარი ჯგუფის (რომლის დალაგებაზეც ბავშვები პროტესტს არ გამოთქვამენ), არამედ სხვა ჯგუფების დალაგებას. მეორე აღსაზრდელი ასევე მიუთითებს საპირფარეშოებისა და დერეფნების დალაგების იძულების შესახებ. არშესრულების შემთხვევაში კი, მისი გადმოცემით, მათ აღარ ურეცხავენ ტანსაცმელს სარეცხ მანქანაში და აიძულებენ ცივ წყალში თავად გარეცხონ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბავშვთა შრომის გამოყენების შესახებ ეროვნული მონიტორინგის მექანიზმმა ასევე მიიღო ინფორმაცია თავად სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორისგანაც, რომლის მიერ გადმოიგზავნა სურამის ბავშვთა სახლის ერთ-ერთი ბენეფიციარის მშობლის მიერ დაწერილი საჩივარი. საჩივარში აღწერილია ბავშვების მიერ სიცივეში სარეცხის ხელით რეცხვის ფაქტები. ღამის ძიძა დარიკო, ბავშვების მიერ ჩასველების შემთხვევაში, საკუთარი დასველებული ტანსაცმლის გარეცხვას აიძულებს და ფიზიკურ ძალადობას (ცემა) ახორციელებს მათზე. აღსანიშნავია, რომ სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ მიერ აღნიშნული საქმე შესასწავლად გადაეგზავნა პასუხისმგებელ უწყებებს.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“:

- უზრუნველყოს ბავშვთა შრომის გამოყენების შემთხვევების გამოვლენა და განახორციელოს მათზე ადეკვატური რეაგირება. სააგენტომ უზრუნველყოს ბავშვთა სახლის აღსაზრდელების დაცვა ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის ნებისმიერი ფორმისგან.

ბავშვთა დისკრიმინაცია

წყნეთის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში მონიტორების ადგილზე ყოფნის პერიოდში შესამჩნევი გახდა სხვადასხვა სააღმზრდელო ჯგუფის განსხვავებული პირობები და მდგომარეობა: ერთ-ერთი სააღმზრდელო ჯგუფის კოტეჯი აშკარად უკეთესი პირობებით იყო უზრუნველყოფილი, ვიდრე ყველა სხვა საცხოვრებელი კოტეჯი. ნორმალური საცხოვრებელი ტემპერატურის პირობებში ბავშვებს შეეძლოთ ზომიერად თბილი ტანსაცმლის ტარება მაშინ, როდესაც ყველა სხვა კოტეჯში გამოხატულად დაბალი ტემპერატურის გამო აღსაზრდელები კოტეჯშიც ატარებდნენ ქურთუკებს. სხვა კოტეჯების აღმზრდელებს, ოთახებში დაბალი ტემპერატურის გამო, შენობებში ეცვათ პალტო, ბეწვის ქურქი. დანარჩენ კოტეჯებში ბავშვები, სიცვივის გამო, მთელი დღის განმავლობაში შემოკრებილნი იყვნენ ერთადერთი გაზის გამათბობლის (ე.წ. „კარმის“) გარშემო..

ერთ-ერთი კოტეჯის საძინებელ ოთახში, სადაც განთავსებულნი იყვნენ ბიჭი აღსაზრდელები 8-იდან 10 წლამდე, იდგა სხვადასხვა ზომის საწოლები. საძინებელ ოთახში დგას 5 საწოლი: 3 საწოლის სიგრძე შეადგენს 139 სმ-ს, ხოლო სიგანე – 64 სმ-ს, დანარჩენი 2 საწოლის სიგრძეა 151 სმ და სიგანე – 67 სმ. იგივე მდგომარეობა იყო გოგონების ოთახშიც, სადაც ერთი ასაკის ბავშვებს ჰქონდათ განსხვავებული ზომის საწოლები, ერთს – დიდი საწოლი (სიგრძე 1.88სმ. და სიგანე 93სმ.) მატრასით და ლეიბით, ხოლო მეორე აღსაზრდელს – პატარა არასტანდარტული საწოლი (სიგრძე – 138 და სიგანე – 69 სმ.) თხელი, სრულიად უვარგისი ლეიბით. არათანაბარი პირობებია სხვა ჯგუფებშიც.

შესამჩნევი იყო ასევე ერთ-ერთი ჯგუფის რამდენიმე მოსწავლის პრივილეგირებული მდგომარეობა. მონიტორების იქ ყოფნის პერიოდში რამდენიმე ბავშვი მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციის კორპუსში, სადაც იყო სითბო, საკვები და ტკბილეული. პარალელურად სხვა ჯგუფის ბავშვები ცივი ამინდისთვის (თოვლი და სადამოს პერიოდში ყინვა) სრულიად შეუფერებლად ჩაცმულნი და შესამჩნევად მოუვლელ მდგომარეობაში (დაუბანელი ხელებით, გამოწადენი ცხვირიდან), მეთვალყურეობის გარეშე იმყოფებოდნენ ეზოში მთელი დღის განმავლობაში. ადმინისტრაციის განმარტებით, ყველა აღსაზრდელს შეუძლია ადმინისტრაციის კორპუსში ნებისმიერ დროს ყოფნა, თუმცა ეს არ დადასტურდა ბავშვებთან საუბრისას, რომელთა გადმოცემით, იქ მათთვის შესვლა არ შეიძლება.

მონიტორინგის პროცესში არ დაფიქსირებულა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ აღსაზრდელთა მიმართ (ლაგოდეხის, თელავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები) რაიმე სახის განსხვავებული მიდგომა. დადებითი პრაქტიკა დაფიქსირდა ლაგოდეხის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში, სადაც ერთ-ერთი აღმზრდელი ფლობს აზერბაიჯანულ ენას, რაც განსაკუთრებით მშობლიურ გარემოს უქმნის აზერბაიჯანული

თემის წარმომადგენელ ბავშვებს, რომლებიც ქართული ენის დაუფლებამდე სწორედ ამ აღმზრდელის საშუალებით საკუთარ საჭიროებებს ატყობინებენ პერსონალს.

როგორც საჯარო სკოლაში, ასევე სააღმზრდელო დაწესებულებაში, რიგ შემთხვევებში, ხდება ბავშვების დისკრიმინაციული ნიშნით მარგინალიზაცია. უწოდებენ სახელებს: „გიჟი“, „დიმიტროველი“, „თათრები“, „მათხოვარი ბავშვი“, რაც დამატებითი სტრესის წყაროს წარმოადგენს და ხშირად ბენეფიციართა შორის ფიზიკური დაპირისპირებისა და ძალადობის მიზეზი ხდება.

რეკომენდაციები სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დირექტორს“:

- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების შიდა მონიტორინგის მექანიზმების მიერ ბავშვთა დისკრიმინაციისა და არათანაბარი მოპყრობის ფაქტების პრევენცია და აღმოფხვრა;
- განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბენეფიციარების სპეციალურ (რელიგიურ, კვებით, სოციალურ და სხვა) საჭიროებებზე.

საყოფაცხოვრებო პირობები

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ყველა ბავშვს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი თუ სოციალური განვითარებისთვის. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი პირობები ამ ვალდებულების განხორციელებისთვის. ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის საჭიროა ნორმალური, ოჯახის გარემოსთან გათანაბრებული გარემო.

ბავშვზე ზრუნვის მე-14 სტანდარტის თანახმად¹⁰⁴, „მომსახურებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის ადგილმდებარეობა, გარეგნული მხარე და ფართობი შეესაბამება მომსახურების მიზანს და აკმაყოფილებს მომხმარებლის საჭიროებებს. ეს გულისხმობს, რომ ფიზიკური გარემო არის მოსახერხებელი, მაქსიმალურად მიახლოებული ოჯახურ გარემოსთან, გარემონტებული და ადვილად მისადგომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის“.

„მომსახურების მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომსახურების მიმწოდებლის ტერიტორიაზე ჰიგიენური ნორმების დაცვასა და პროპაგანდას გაუწევს ამ ნორმებს მომხმარებელთა შორის“.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბავშვები, ზოგიერთ შემთხვევაში, განთავსებულნი არიან შენობებში, რომლებშიც არ არის უზრუნველყოფილი ნორმალური საცხოვრებელი პირობები. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ლაგოდეხის სააღმზრდელო დაწესებულება, „მომავლის სახლი“, წალენჯიხის სააღმზრდელო დაწესებულება და წყნეთის ბავშვთა სახლის ორი კოტეჯი. აღნიშნულ შენობებში კედლებიდან ცვივა ბათქაში, ჭერიდან ჩამოდის წყალი და იატაკი დაზიანებულია. გაუსაძლისი პირობების გამო მონიტორინგის დროს გაუქმებული იყო წყნეთის ბავშვთა სახლის IV ჯგუფი. დასახელებული შენობები საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს.

ზოგიერთი ბავშვთა სახლის ნაწილი ფრაგმენტულად არის გარემონტებული. ზოგან გარემონტებულია საძინებლები, ზოგან შეცვლილია ფანჯრები ან შეკეთებულია საპირფარეშოები. ზოგადად, ყველა ბავშვთა სახლი საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.

ბავშვებისთვის განკუთვნილი საძინებლები, ზოგ შემთხვევაში, ყაზარმული ტიპისაა და ერთ საძინებელში 10-ზე მეტი საწოლი დგას. აღნიშნულის ნათელი მაგალითია წალენჯიხის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება. აღნიშნული დაწესებულების ერთ-ერთ საძინებელში, რომელიც 48 კვ.მ-ია, დგას 15 საწოლი, მეორე ოთახში – 16 საწოლი (ფართი – 69 კვ.მ). სურამის ბავშვთა სახლის ორ საძინებელში, რომელთა ფართობიც შეადგენს 57 და 59 კვ.მ-ს, დგას 14-14 საწოლი. ლაგოდეხის ბავშვთა სახლის ერთ-ერთ ოთახში დგას 15 საწოლი. „სააღმზრდელო დაწესებულებების ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ა.“ ქვეპუნქტის თანახმად, საძინებელი ოთახის ფართობი ერთ აღსაზრდელზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 6 კვ.მ-ს. ასევე, საძინებელ ოთახში არ უნდა იყოს განთავსებული 10 ბავშვზე მეტი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვთა საძინებლებში თითოეულ აღსაზრდელზე გამოყოფილი უნდა იყოს არანაკლებ 6 კვ.მ. ფართისა. ზოგიერთ სააღმზრდელო დაწესებულებაში ეს სტანდარტიც დარღვეულია. მაგალითად, ლაგოდეხის ბავშვთა სახლში საძინებელი ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთ მხარეს მერხები და შეშის ღუმელია, ხოლო მეორე მხარეს – ბავშვების საძინებელი. ერთ-ერთი საძინებელი შეადგენს 34.56 კვ.მ-ს და ოთახში დგას 10 საწოლი (თითოეულ აღსაზრდელზე გამოყოფილია 3.456 კვ.მ.), მეორე საძინებელში დგას 15 საწოლი და თითოეული ბავშვისთვის განკუთვნილია დაახლოებით 3.24 კვ.მ. რუსთავის ბავშვთა სახლში საძინებლის ფართია 29.7, დგას 7 საწოლი, შესაბამისად, თითოეული აღსაზრდელისთვის განკუთვნილია 4.24 კვ.მ. წყნეთის ბავშვთა სახლის ერთ-ერთ საძინებელში დგას 7 საწოლი, ხოლო ოთახის ფართი შეადგენს 16.8 კვ.მ-ს, შესაბამისად, თითოეული აღსაზრდელისთვის განკუთვნილია 2.38 კვ.მ. მეორე საძინებლის ფართია 10.24 კვ.მ, სადაც დგას 4 საწოლი.

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის თანახმად, ბავშვს აქვს უფლება, იქონიოს პირადი ნივთები და მათი შესანახი ადგილი (მაგ: კარადა, ტუმბო).

რამდენიმე ბავშვთა სახლში (წყნეთი, ზუგდიდი) ყველა ბავშვს საკუთარი ტუმბო არ აქვს.

ლაგოდების ბავშვთა სახლში საძინებლებში დგას რკინის „ტუმბოები“, რომლებშიც ძირითადად შეშა ინახება და არის კარადები, თუმცა დაზიანებული და არასაკმარისი რაოდენობით. მოძველებული და დაზიანებული კარადები და ტუმბოები არის სხვა ბავშვთა სახლებშიც (ზუგდიდი, სურამი, ბათუმი, წალენჯიხა, ასპინძა).

ბენეფიციართა უმეტესობა კითხვაზე, თუ რას შეცვლიდა აღნიშნულ დაწესებულებაში, პასუხობდა, რომ თითოეულ ბავშვს ექნებოდა საკუთარი კუთხე და კარადა, რომლის ჩაკეტვაც შესაძლებელი იქნებოდა. ვინაიდან, ბავშვების გადმოცემით, ხშირია ერთმანეთის ტანსაცმლისა და სხვადასხვა ნივთის დაუკითხავად აღების ფაქტები. უმეტეს ბავშვთა სახლში არსებული ინვენტარი მოძველებულია და განახლებას საჭიროებს.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს საგურამოს ბავშვთა სახლი, სადაც დგას ახალი ავეჯი და ყველა ბავშვს აქვს საკუთარი კარადა და საწერი მაგიდა.

„მომავლის სახლში“, ბათუმის, ტაშისკარისა და ზუგდიდის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ზოგიერთი საწოლი დაზიანებულია.

ბავშვზე ზრუნვის მე-8 სტანდარტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი აღჭურვილია ბავშვების ასაკისა და ინტერესების შესაბამისი რესურსებით.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში არის კომპიუტერის ოთახი, ტელევიზორები, მუსიკალური ცენტრები, სპორტული დარბაზები, ზოგიერთი ბავშვთა სახლის ეზოში მოწყობილია სათამაშო მოედნები.

როგორც წესი, ბიბლიოთეკა ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაშია (გამონაკლისს წარმოადგენს წალენჯიხის ბავშვთა სახლი) და წიგნების რაოდენობაც საკმაოდ დიდია. ბათუმის სააღმზრდელო დაწესებულებაში ძირითადად რუსულენოვანი წიგნებია და პერსონალის განმარტებით, დაახლოებით 7 წელია, რაც არ განახლებულა. მათივე თქმით, ძირითადად მიეწოდებათ სასკოლო წიგნები. სააღმზრდელო დაწესებულებებში არ არსებობს წიგნების გასვლისა და შემოსვლის აღრიცხვის ჟურნალი. სააღმზრდელო დაწესებულებების ადმინისტრაციის გადმოცემით, ბიბლიოთეკარის ფუნქციას ითავსებენ ფსიქოლოგები ან აღმზრდელები. დადებითად უნდა აღინიშნოს ტაშისკარის ბიბლიოთეკა, სადაც წიგნების ასორტიმენტი საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანია.

რეკომენდაციები სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი იქნეს სააღმზრდელო დაწესებულებების გარემონტება, რათა იქ განთავსებულ ბავშვებს შეექმნათ ცხოვრებისთვის ელემენტარული ღირსეული პირობები;
- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების აღჭურვა შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით.

გათბობა, ვენტილაცია და განათება

ბავშვზე ზრუნვის მე-14 სტანდარტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მომსახურების მიწოდებისათვის განკუთვნილი შენობა აკმაყოფილებს შემდეგ ნორმებს: არის ნათელი (სათანადო ბუნებრივი განათებით); კარგად ნიავედება; უზრუნველყოფილია სეზონის შესაბამისი ტემპერატურით.

პრევენციული ჯგუფის მიერ მონახულებულ დაწესებულებებში ბუნებრივი განათება და ვენტილაცია საკმარისია იქ არსებული დიდი ზომის ფანჯრების გამო, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს „მომავლის სახლი“, სადაც ოთახებში არ არის ფანჯრები და ვენტილაცია ხდება დერეფანში არსებული ფანჯრების საშუალებით, რაც არ არის საკმარისი.

უმეტეს დაწესებულებაში არ იყო საკმარისი ხელოვნური განათება. ოთახებში, სადაც უნდა ყოფილიყო 4-5 ნათურა მუშა მდგომარეობაში, იყო მხოლოდ ერთი ან ორი. ბავშვთა სახლების ადმინისტრაციის გადმოცემით, დაწესებულებებში ნათურები ხშირად იწვება და იმის გამო, რომ მათი გამოწერა ხდება ცენტრალიზებულად, ისინი ვერ ახერხებენ მათ მუდმივ ცვლას. იმავე პრობლემის წინაშე დგას ბავშვთა სახლების ადმინისტრაცია ჩატეხილი შუშის გამოცვლის საჭიროებისას.

გათბობა ცენტრალურად და საკმარისად უზრუნველყოფილია კოჯორში, საგურამოში, რუსთავეში, „მომავლის სახლსა“ და „სათნოებაში“. ელექტროგამათბობლებითა და ბუნებრივი აირის გამათბობლებით თბება თბილისისა და წყნეთის დაწესებულებები, მაგრამ აღნიშნული საშუალებები ვერ უზრუნველყოფს საკმარის გათბობას. რეგიონებში არსებული სააღმზრდელო დაწესებულებების უმეტესობაში გათბობა ხდება შეშის ღუმლების საშუალებით, თუმცა მონიტორინგის ჩატარების მომენტისათვის ზოგიერთ ბავშვთა სახლში საკმარისად ციოდა, რადგან შეშის ღუმელი ერთ ან ორ ოთახში ენთო. ლაგოდეხის ბავშვთა სახლში თბებოდა მხოლოდ საერთო სარგებლობის ოთახი, დანარჩენ ოთახებში კი ციოდა (ტემპერატურა 7⁰). თელავის ბავშვთა სახლში თითო სართულზე იყო სამი შეშის ღუმელი, რომლებიდანაც დანთებული იყო ერთი ან ორი. იგივე შეიძლება ითქვას თითქმის ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაზე, რომლებიც თბება შეშის ღუმლების საშუალებით. ძირითადად თბებოდა ის ოთახები, სადაც მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი (მაგალითად მუსიკის წრის ოთახი ან საკლასო ოთახი), თუმცა ამის პარალელურად სხვა ოთახებში, სადაც ბავშვები იმყოფებოდნენ (დერეფნებში, სასადილოებში, გასახდელებში და საპირფარეშოებში), საკმარისად ციოდა. ბათუმის ბავშვთა სახლში აუტანელი სიცხის გამო ბენეფიციარებთან შეხვედრისას ექსპერტები ბავშვებს სთხოვდნენ ემოძრავათ, რათა გამთბარიყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს ეცვათ ქურთუკები. ბავშვების გადმოცემით, ისინი გადასაფარებლებსა და საბნებში გახვეულნი უყურებენ სადამოკებით ტელევიზორებს.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ცენტრალური გზით გათბობა, ასევე, საცხოვრებელი ნაწილების, საპირფარეშოებისა და საშხაპეების სათანადოდ აღჭურვა.

სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები

დაწესებულებათა უდიდეს ნაწილში ბავშვებს საშუალება აქვთ, კვირაში ერთხელ მიიღონ შხაპი. კბილის ჯაგრისები და პასტები უმეტეს შემთხვევაში ბავშვებს თვითონ აქვთ შენახული. გამონაკლისს წარმოადგენდა წყნეთის ბავშვთა სახლის პირველი კოტეჯი, სადაც ჯაგრისები თავდაუხურავ მდგომარეობაში ერთად იყო დალაგებული აბაზანაში.

ბავშვთა სახლების ადმინისტრაციის გადმოცემით, აღსაზრდელებს თეთრეულს კვირაში ერთხელ უცვლიან, თუმცა, მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით, ზოგიერთ დაწესებულებაში შეინიშნებოდა ჭუჭყიანი თეთრეული და გადასაფარებლები, მაგალითად, „მომავლის სახლში“, ლაგოდეხის ბავშვთა სახლში, წყნეთის ბავშვთა სახლის ზოგიერთ კოტეჯში. პირადი მოხმარების პირსახოცები ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში საკმარისი რაოდენობითაა, თუმცა წყნეთში და „მომავლის სახლში“ პირსახოცები არ იყო სუფთა.

სააღმზრდელო დაწესებულებების ადმინისტრაციის გადმოცემით, ოთახებს ალაგებენ ყოველდღიურად, თუმცა, მონიტორინგის წევრების დაკვირვებით, ზოგიერთ დაწესებულებაში შეიმჩნეოდა ანტისანიტარია, კერძოდ, საწოლებზე და იატაკზე ყვარა პურის ნამცეცები, იატაკი და ავეჯი დამტვერილი იყო („მომავლის სახლი“, წყნეთის ბავშვთა სახლის V და VI ჯგუფები).

საპირფარეშოები ძირითადად არის აზიური ტიპისა, თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში დამონტაჟებულია უნიტაზებიც. წყნეთში, კოტეჯის მეორე სართულზე, ასევე, სურამის და ლაგოდეხის ბავშვთა სახლებში ერთმანეთთან მიჯრითაა დადგმული უნიტაზები, რაც განმარტოების საშუალებას არ იძლევა. იმ შემთხვევაშიც, როდესაც საპირფარეშოები ერთმანეთისგან გამოყოფილია კედლით, მათ არ აქვს კარი. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ლაგოდეხისა და „მომავლის სახლის“ საპირფარეშოები. ბავშვთა უმეტეს სახლებში არსებულ საპირფარეშოების შესასვლელ კარებს არ აქვთ საკეტები (თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, წალენჯიხა, ასპინძა).

ზოგიერთ სააღმზრდელო დაწესებულებაში საშხაპეები ერთმანეთისგან არ არის იზოლირებული და 7–8 ბავშვს ერთად უწევს ბანაობა (კოჯრის, თელავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები, „მომავლის სახლი“), ზოგან კი – საშხაპე არასათანადოდ არის აღჭურვილი (წალენჯიხა). სავალალო მდგომარეობაშია ბათუმის სააღმზრდელო დაწესებულების პირველ სართულზე არსებული საშხაპე. ტამისკარის

ბავშვთა სახლის საშხაპეში წყალი თბება იქ არსებული შეშის ღუმლით და საშხაპე არ არის სათანადოდ აღჭურვილი და მოწყობილი.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ჰიგიენური პირობების დაცვის რეგულარული კონტროლი.

კვება

მოწოდებული ინფორმაციით ბავშვთა სახლებში კვების მენიუებს ადგენენ უკიდურესად მოძველებული სტანდარტით. წყნეთის ბავშვთა სახლის მიერ მოწოდებული დოკუმენტი თარიღდება 1988 წლით (დოკუმენტის სიძველიდან გამომდინარე, თარიღი ბუნდოვნად იკითხება) და წარმოადგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს. მოწოდებული სტანდარტი განკუთვნილია მხოლოდ სკოლამდელი დაწესებულებებისათვის (ბაღები), შესაბამისად, იგი ვერ აკმაყოფილებს უფრო დიდი ასაკის ბავშვების მოთხოვნებს.

2010 წლის 20 ივლისს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დირექტორის¹⁰⁵ მიერ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებს მიეწოდა დოკუმენტი ბენეფიციართა კვების რაციონის ენერგეტიკული ღირებულების შესახებ (ასაკის შესაბამისად გათვლილი კ.კ.), თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა სახის ჯანსაღი საკვები უნდა მიეწოდოთ ბავშვებს ასაკობრივი ნორმების შესაბამისად. შედეგად, თითოეული ბავშვთა სახლის ადმინისტრაცია საკუთარი შეხედულებისამებრ გეგმავს დღის მენიუს, რომელიც ხშირად სრულიად გაუგებარი პრინციპითაა შედგენილი. მენიუების ზოგადი შეფასებით თვალშისაცემია ჭარბი ნახშირწყლების შემცველი კვების რაციონი, პურისა და პურის პროდუქტების გაზრდილი მოხმარებით.

ტაშისკარის ბავშვთა სახლის მენიუმში საერთოდ არ არის ჩანაწერი ბავშვების მიერ ხილის მიღების შესახებ, რამაც შესაძლებელია სერიოზული ზიანი მიაყენოს აღსაზრდელთა ჯანმრთელობას. ამავე დაწესებულების მენიუმში ასევე არ არის დათვლილი საკვების კალორაჟი.

თბილისის ბავშვთა სახლის მენიუს ჩანაწერით ბავშვები კვირაში მხოლოდ ერთი დღე იღებენ 200 გრამ ხილს (ვაშლი). კალორაჟი ასევე არ არის მითითებული.

¹⁰⁵ სსიპ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის 2010 წლის 20 ივლისის ბრძანება 1/253.

ლაგოდების ბავშვთა სახლის მენიუს ჩანაწერით ბავშვები კვირაში მხოლოდ 3 დღე იღებენ ხილს.

„სათნოების“ ბავშვთა სახლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით (მენიუ) ირკვევა, რომ ბავშვები კვირაში 5 დღის განმავლობაში იღებენ ხილს.

თელავის ბავშვთა სახლის მენიუს თანახმად კი, ბავშვები კვირის განმავლობაში ხილის სახით იღებენ მხოლოდ 1 ვაშლს. როგორც ამ დაწესებულების მენიუებიდან ირკვევა 7–8 წლის ასაკის ბავშვები ყოველ დღე საუზმეზე ყავას იღებენ. აღნიშნული მოწმობს, რომ დაწესებულების ადმინისტრაციამ ან არ იცის კოფეინის მიღების უარყოფითი გავლენის შესახებ მცირეწლოვან ბავშვებზე ან აღნიშნული ჩანაწერი ფორმალურაა, ისევე, როგორც ზამთრის პერიოდში პომიდვრის, კიტრისა და მწვანე ლობიოს მიწოდება (ჩანაწერი მენიუდან).

ბავშვთა სახლებში სამკურნალო კვებაზე არცერთი აღსაზრდელი არ იმყოფებოდა. არც ერთ ბავშვთა სახლში არ იყო მენიუების შედგენაში გათვალისწინებული ბავშვების ასაკობრივი საჭიროებები.

აღსანიშნავია, რომ სააღმზრდელო დაწესებულებაში ერთი ბავშვის კვებაზე გამოყოფილი თანხა შეადგენდა 3–4 ლარს დღეში, თუმცა იყო დაწესებულებები, სადაც დღესასწაულებზე ეს თანხა გაზრდილი იყო ჰუმანიტარული დახმარების ხარჯზე.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ბავშვთა სახლების მენიუები არ არის მრავალფეროვანი. მასში მცირე რაოდენობითაა ხილი და ბოსტნეული, კალორიული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია პურისა და პურის პროდუქტების დიდი ოდენობით მიღების ხარჯზე.

რეკომენდაციები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შემუშავდეს ასაკობრივი მენიუები, განისაზღვროს საკვებ ინგრედიენტებზე დღიური ნორმები ბავშვთა და მოზარდთა სრულფასოვანი განვითარებისათვის.

რეკომენდაციები სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი იქნეს მოზარდებისთვის ჯანსაღი კვება, ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების, მინერალებისა და ვიტამინების შესაბამისი შემცველობით, ბავშვების სრულფასოვანი განვითარებისათვის;
- გათვალისწინებული იყოს სადღესასწაულო მენიუებისთვის კვების გაზრდილი ბიუჯეტის გამოყოფა.

პროდუქტების შესყიდვა და უსაფრთხოება

საკვებ პროდუქტებს ბავშვთა სახლებს სააგენტო მიაწოდებს ცენტრალიზებულად, სხვადასხვა სიხშირით (მალფუჭებადს – მცირე ინტერვალებით). ბავშვთა სახლების განაცხადის საფუძველზე, მოთხოვნილ პროდუქტს ტენდერის საშუალებით გამოვლენილი კომპანია აწოდებს. თუმცა საკვები პროდუქტების შესყიდვის ამ ფორმას აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზები.

საკვებ პროდუქტებზე საბაზრო ფასების ცვლილება და წლის ბოლოსათვის ფასების სწრაფი ზრდა არ იძლევა საშუალებას, ერთი წლით ადრე გამოყოფილი თანხით ხარისხიანი პროდუქტები შეიძინონ, ამიტომაც მონიტორინგის ჯგუფმა ვიზიტის განმავლობაში დაწესებულებებში დააფიქსირა უხარისხო, ხშირად – უვარგისი პროდუქტების მარაგი.

ბავშვთა სახლ „სათნოებაში“, ადმინისტრაციის გადმოცემით კარტოფილის შესყიდვისთვის წლის დასაწყისში გამოყოფილი იყო ერთ კილოგრამზე – 0.50 თეთრი, თუმცა კარტოფილის საბაზრო ფასი წლის ბოლოსთვის მინიმუმ 2-ჯერ აღემატებოდა გათვალისწინებულ თანხას. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაუარესდა შეძენილი პროდუქტის ხარისხი. სურამის ბავშვთა სახლის ადმინისტრაციის გადმოცემით, ბავშვებს დიდი ხანია არ მიუღიათ წიწიბურა, მიუხედავად საჭიროებისა, რადგან მისი ფასი მკვეთრად გაიზარდა.

პროდუქტის ცენტრალიზებული შესყიდვის სისტემიდან გამომდინარე, რეგიონებში ადმინისტრაციას უწევს დიდი რაოდენობის საკვების ერთდროული მომარაგება (მიმწოდებელი ფირმის საშუალებით) და შემდგომ მათი შენახვა მაცივრებში, თუმცა ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხებების გამო დიდი რაოდენობით მომარაგებული პროდუქტი ხშირად ფუჭდება. წალენჯიხის ბავშვთა სახლში მონიტორინგის ჯგუფმა დააფიქსირა გაფუჭებული ხორცის მარაგი.

განსაკუთრებით რთული სიტუაცია იქმნება ყოველი წლის დასაწყისში, ვინაიდან ადმინისტრაციის გადმოცემით, ხშირია წინა წლის ბოლოს ტენდერების ჩატარების დაგვიანება მიმწოდებელი ფირმის გამოსავლენად, რაც იწვევს საკვების მიწოდების შეფერხებას.

ასპინძის ბავშვთა სახლში, პერსონალის გადმოცემით, 2010 წლის ზაფხულში მოტანილი კვერცხი და თევზი იყო მოძველებული, პური–დაობებული, ბავშვებმა პროდუქტის ჭამაზე უარი თქვეს.

მომარაგების ცენტრალიზებული სისტემა საშუალებას არ იძლევა, ბავშვებს მიეწოდოთ ახალი სეზონური ხილ–ბოსტნეული და მწვანელი. ეს უკანასკნელი უკვე დაზიანებულ მდგომარეობაში მიდის თბილისიდან შედარებით მოშორებით მდებარე დაწესებულებებში. იმავე მიზეზით პრობლემურია ახალი პურით მომარაგებაც.

დაწესებულებების დირექტორების განცხადებით, ზოგიერთ რეგიონში პარადოქსული ვითარებაა შექმნილი – პროდუქცია, რომელიც ადგილობრივად იწარმოება/მოდის (ციტრუსები, მწვანილი, ყველი, კარტოფილი) დაწესებულებებს თბილისის გავლით მიეწოდება. აღნიშნული, სავარაუდოდ, ზრდის პროდუქტის მიწოდების ხარჯებსა და მნიშვნელოვნად აუარესებს საკვების ხარისხს.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი დაწესებულებების საკვები პროდუქტებით მომარაგების ტენდერის დროული ჩატარება მომარაგებაში წყვეტის თავიდან აცილების მიზნით;
- ტენდერის ორგანიზებისას უზრუნველყოფილი იქნეს მაღალუქებადი და სეზონური საკვები პროდუქტების ადგილობრივი მწარმოებლებისგან შეძენა;
- გაკონტროლდეს დაწესებულებებში პროდუქციის შენახვისა და მოხმარების წესების მკაცრი დაცვა.

კვების ბლოკი

მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების უმრავლესობაში გათვალისწინებულია წინა მონიტორინგის შემდეგ გაცემული რეკომენდაციები საკვების მომზადებისა და შენახვის წესების შესახებ. გაუმჯობესებულია საკვების მომზადების უსაფრთხოება. თუმცა, ზოგან კვლავ არ არის მარკირებული სარეცხი ნიჟარები, რომლებიც გამოიყენება პროდუქტების, ბოსტნეულისა და ჭურჭლის გასარეცხად (თბილისის ბავშვთა სახლი). დაფები ხორცის დასამუშავებლად არ არის მარკირებული სამტრედიის ბავშვთა სახლში.

არც ერთ სააღმზრდელო დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს ან არ არის დამონტაჟებული გამწოვი და განიავება ხდება მხოლოდ ბუნებრივი ვენტილაციის გზით.

ზოგიერთ კვების ბლოკში იყო ანტისანიტარია (თელავი, სურამი, წალენჯიხა). კვების ბლოკების ნაწილი აუცილებლად საჭიროებს რემონტს, ვინაიდან იატაკი დაზიანებულია, არ არის დაფარული მეტლახით, კედლები ნესტიანია, ჩამოცვენილია კაფელის ფილები (თბილისის, სურამის, ბათუმის, სამტრედიის ბავშვთა სახლები). დაწესებულებების სამზარეულოში ხშირად დგას მწყობრიდან გამოსული ამორტიზებული ელექტროქურები („სათნობა“, კოჯორი, თელავი).

სამზარეულო ბლოკის თანამშრომლებს, როგორც წესი, არ აცვიათ ხალათები, არ ახურავთ ქუდები, არ აქვთ ტანსაცმლის გამოსაცვლელი კარადა ან ცალკე გამოყოფილი ადგილი ტანსაცმლის შესანახად (თბილისის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, წყნეთი, თელავი).

სამზარეულოების ცენტრალიზებული უზრუნველყოფა ცხელი წყლით არ ხდება, წყალს ადუღებენ გაზქურაზე (ლაგოდები, წყნეთი, სურამი).

ჭურჭელს რეცხვავენ ძირითადად ხელით. თევშები და დანა-ჩანგალი ინახება კარადაში, რომელსაც არ აქვს კარი და ჩამოფარებული აქვს ფარდა („სათნობა“, საგურამო).

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- გაკონტროლდეს საადმინისტრაციო დაწესებულებების კვების ბლოკებში სანიტარიულ-ჰიგიენური სტანდარტების მკაცრი დაცვა;
- უზრუნველყოფილი იქნეს კვების ბლოკების სათანადო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა;

სასმელი წყლით უზრუნველყოფა

რიგ ბავშვთა სახლებში სერიოზული პრობლემაა სასმელი წყლით უზრუნველყოფა. წყნეთის ბავშვთა სახლს წყალი მიეწოდება 2 დღეში ერთხელ ან დღეში რამდენიმე საათი. წყლის მომარაგება ხდება სამზარეულოში დიდი ზომის ქვაბებში. კოტეჯებშიც იმარაგებენ სასმელ წყალს პლასტმასის ჭურჭელში. ბათუმში სასმელი წყალი ცენტრალიზებულად მიეწოდება გრაფიკით, თუმცა ჭურჭლის სარეცხად იყენებენ ავზში მომარაგებულ წყალს, ხოლო სასმელი წყალი წყაროდან მოაქვთ.

ასპინძისა და კოჯრის ბავშვთა სახლში წყალს იმარაგებენ დიდი მოცულობის ავზში. ამ წყალს იყენებენ დასაღვებადც, თუმცა წყალს არ ამოწმებენ (კოჯორი, ასპინძა), რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას აღსაზრდელთა ჯანმრთელობას.

ზუგდიდისა და სამტრედიის ბავშვთა სახლებში სარგებლობენ ჭის წყლით. ამ შემთხვევაშიც წყალი ვარგისიანობაზე არ შემოწმებულია.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- საადმინისტრაციო დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნეს სასმელი წყლისა და მის შესანახად განკუთვნილი ავზების რეგულარული შემოწმება.

სამედიცინო მომსახურება

სამედიცინო მომსახურება ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულებებში ხორციელდება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 135-ე მუხლის შესაბამისად, რომელშიც მითითებულია, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფის სამედიცინო

დახმარებას ობოლი და მშობლების ზრუნვას მოკლებული, ფიზიკური და ფსიქიკური დეფექტების მქონე ბავშვებისათვის განკუთვნილ დაწესებულებებში“.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის N441/ნ ბრძანებით დამტკიცდა 2010 წლის ბავშვზე ზრუნვის პროგრამა. პროგრამა მოიცავს ქვეპროგრამებს, რომელთა შორის, სამედიცინო მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც განსაზღვრავს „ბენეფიციარების პირველადი საჭიროებების მედიკამენტებითა და დახმარებით უზრუნველყოფას, საჭიროების შემთხვევაში კი, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას“.

ამავე დროს მნიშვნელოვანია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 26 აგვისტოს N281/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები“. სტანდარტი N9-ის მიხედვით – ბავშვის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაცვა – „...მომსახურების მიმწოდებელი უზრუნველყოფს, რომ მომხმარებელს ხელი მიუწვდება იმუნიზაციასა და სამედიცინო-პროფილაქტიკურ შემოწმებაზე. (...) ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებელი კვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით იქნება უზრუნველყოფილი“.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დაქვემდებარებაში შემავალი ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების შინაგანაწესით განსაზღვრულია სამედიცინო პერსონალის სამუშაო საათები, ხოლო დებულებით – საშტატო განრიგით გათვალისწინებული ყველა კატეგორიის უფლება-მოვალეობანი.

დაწესებულებების დებულებები თითქმის იდენტურია და მათში დაწვრილებით არის მითითებული ექიმის უფლება-მოვალეობები. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ ექიმი „ახორციელებს აღსაზრდელო სამედიცინო მომსახურებას“, „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ექიმი „ფილიალში ატარებს სისტემატურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს“.

თითქმის ყველა ბავშვთა ინსტიტუციაში ბავშვებს უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში – სტაციონარში გადაჰყავთ, გეგმავენ აცრებსა და ბავშვთა რაიონის პოლიკლინიკებსა და ჯანმრთელობის ცენტრებში აცრების ჩატარებას უზრუნველყოფენ, ადგილზე ამბულატორიულ მკურნალობას უტარებენ, მაგრამ ყველა შემთხვევაში სამედიცინო პერსონალი არ აკეთებს შესაბამის ჩანაწერებს საერთო რვეულებში.

სამედიცინო ჩანაწერების წარმოება

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტში, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და დაცვას, მითითებულია აღსრულების მაჩვენებლები, ანუ ის ინდიკატორები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია, შეფასდეს ინსტიტუციურ დაწესებულებაში მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ეფექტურობა. ბავშვზე ზრუნვის მე-9 სტანდარტის „ბავშვის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაცვა“, აღსრულების მაჩვენებლები ქვეპუნქტი „ბ“ მიუთითებს, რომ „მომსახურების მიმწოდებელი სპეციალურ ჟურნალში აღრიცხავს ბავშვთა უბედურ შემთხვევებს;“ ამავე სტანდარტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ „მომსახურების მიმწოდებელი ახორციელებს ინფექციებზე კონტროლს“. თუმცა, როგორც მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, ყველა დაწესებულებაში სათანადო აღრიცხვიანობა არ წარმოებს.

მხოლოდ რამდენიმე დაწესებულებაში აღმოჩნდა უბედური შემთხვევის აღრიცხვის ჟურნალი (საგურამო, წყნეთი, წალენჯიხა), რომელშიც დაფიქსირებულია ძაღლის კბენის, რაგბის თამაშის დროს თითის მოტეხილობის შემთხვევები.

მხოლოდ რამდენიმე ბავშვთა სახლში აწარმოებენ ინფექციურ დაავადებებზე კონტროლის ჟურნალს (წყნეთი, „სათნოება“, საგურამო, კოჯორი). მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ჩატარებული მონიტორინგის დროს ყურადღება გამახვილდა ამ და სხვა სახის ჟურნალების წარმოებაზე, აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია.

სამედიცინო მომსახურების მიწოდების ვალდებულების პარალელურად უნდა იყოს განხორციელებული სრულყოფილი სამედიცინო ჩანაწერების წარმოების ვალდებულებაც, რაც განსაზღვრულია „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.¹⁰⁶

¹⁰⁶ თავი VII „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ სამედიცინო ჩანაწერების წარმოების მოვალეობა“, მუხლი 56, პუნქტი 2:

„(...) ბ) სამედიცინო ჩანაწერები იყოს სრულყოფილი. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტმა სამედიცინო ჩანაწერების თითოეული ნაწილი (პაციენტის პიროვნული, სოციალური, სამედიცინო და სხვა მონაცემები) სრულად უნდა შეავსოს;

გ) სამედიცინო ჩანაწერებში ინფორმაცია დაფიქსირდეს დროულად და განსაზღვრულ ვადებში;

დ) სამედიცინო ჩანაწერები ადეკვატურად ასახავდეს პაციენტის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს;

ე) სამედიცინო ჩანაწერების ყოველი ახალი ნაწილი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტმა დამოწმოს მკავიო ხელმოწერით, არსებული წესის მიხედვით.“

მიუხედავად კანონმდებლობის ამ მოთხოვნისა, მონიტორინგის დროს დაფიქსირდა, რომ ბავშვების ინდივიდუალური სამედიცინო ბარათების წარმოება ხდება რვეულებში, უმრავლეს შემთხვევაში – არასრულფასოვნად და რეალურად არ ასახავს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ჩანაწერების გაურკვეველი შინაარსის გამო შეუძლებელია ბავშვის რეალური მდგომარეობისა და კონკრეტული საჭიროებების გარკვევა. რეალურად არ ხდება ბენეფიციართა ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების მონიტორინგი. ზოგიერთ ინსტიტუციაში მხოლოდ პროფილაქტიკური გასინჯვების დროს (წელიწადში ერთხელ) ხდება ფიზიკური განვითარების შეფასება, ზოგან ესეც ვერ ხერხდება სასწორისა და სიმაღლის საზომი მოწყობილობის არარსებობის გამო („მომავლის სახლი“).

რიგ დაწესებულებებში არ იყო ხელმისაწვდომი ბენეფიციართა ინდივიდუალური განვითარების ბარათები (ლაგოდები), გაფანტულია დოკუმენტები (ლაგოდების ბავშვთა სახლში არის ნაწილი დოკუმენტებისა, ხოლო ნაწილი – ჯანმრთელობის ცენტრში), რაც ართულებს ჯანმრთელობის მონიტორინგის სრულყოფილ ჩატარებას. არ ხორციელდება შესაბამისი ჩანაწერები ჯანმრთელობის გაუარესების, ტრავმის ან სხვა რაიმე მწვავე მდგომარეობის დროს.

თელავის ბავშვთა სახლში მონიტორინგის წინა დღეს ბავშვმა საშხაპეში მიიღო დამწვრობა. იგი მონიტორინგის პერიოდში გადაყვანილი იყო საავადმყოფოში. სამედიცინო დოკუმენტაციაში არ აღმოჩნდა შესაბამისი ჩანაწერი შემთხვევის შესახებ.

ბავშვთა სახლებში სხვადასხვაგვარად ხდება ბენეფიციართა ამბულატორიული დახმარების აღრიცხვა. ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება შესაბამისი დახმარებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება დროულად ან არ ხდება საერთოდ. ასევე, მოუწესრიგებელია ამბულატორიულ მკურნალობაზე მყოფ ბენეფიციარებზე წამლების გაცემის მონიტორინგი (მხოლოდ საგურამოში აქვთ დანიშნულების ფურცლები); ხშირ შემთხვევაში ნანახი იქნა წამლების ყუთზე ან ფურცელზე გაკეთებული შემდეგი სახის ჩანაწერები, „გთხოვთ ჩამიწეროთ წამლები, ვინც დაღუპს“, „მიეცი (ბავშვის გვარი, სახელი) ამოქსაცილინი და სტრეფსილსი“. ექიმსა და ექთანს შორის მკურნალობის შესახებ ინფორმაციის გადაბარება პრაქტიკულად არ ხდება სათანადოდ დოკუმენტირებული ჩანაწერით.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმისა და ექთნის განმარტებით, აწარმოებენ ბენეფიციართა ჰიგიენური მდგომარეობის შეფასებას, უმეტესად არ არის შესაძლებელი, მოიძიო რაიმე ჩანაწერი იმის შესახებ, თუ როდის, რა სახის პრობლემები ჰქონდათ ბავშვებს და კონკრეტულად რა სახის სამედიცინო დახმარება გაეწიათ მათ (სურამი, ტაშისკარი, ბათუმი, რუსთავი).

ანალოგიის პრინციპით, შესაძლებელია, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით იწარმოებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს „პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში პირველადი სამედიცინო

დოკუმენტაციის ფორმების, მათი წარმოებისა და შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ N224/ნ ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ფორმები.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს N224/ნ ბრძანების „ა.ზ“ ქვეპუნქტი მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების აღრიცხვის შესახებ (ფორმა N IV-007/ა) და „ა.თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბავშვის განვითარების ისტორია (ფორმა N IV-008/ა). ამ ფორმების დანერგვა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში გაცილებით გაამარტივებს წამლების აღრიცხვიანობაზე კონტროლსა და ზედამხედველობას, ხოლო ბავშვის განვითარების ისტორიის ფორმის იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს ბავშვთა ჯანმრთელობის მონიტორინგის გაუმჯობესებას.

რეკომენდაციები სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- მოხდეს სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული მკურნალობისა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სრულფასოვანი აღრიცხვა, აღსაზრდელოა სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ექიმებს დაევალოთ სამედიცინო მომსახურების შესახებ ჩანაწერების წარმოება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს N224/ნ ბრძანების „ა.ზ“ (მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების აღრიცხვის შესახებ (ფორმა N –007/ა)) და „ა.თ“ ქვეპუნქტებით (ბავშვის განვითარების ისტორია (ფორმა N-008/ა)) დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

სამედიცინო კაბინეტი

ყველა ბავშვთა სახლში არის გამოყოფილი ადგილი სამედიცინო კაბინეტისათვის, თუმცა პრაქტიკულად არცერთ მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არ აკმაყოფილებს სტანდარტს,

ზოგ შემთხვევაში სამედიცინო კაბინეტი არ თბება (წალენჯიხა), არ აქვს სველი წერტილები (კოჯორი, ტაშისკარი, რუსთავი, ასპინძა, საგურამო, „სათნოება“), სარემონტოა (წალენჯიხა, სურამი, ლაგოდეხი, წყნეთი), ძალიან მცირე ზომისაა და გადატვირთულია („სათნოება“).

სამედიცინო კაბინეტები არაა აღჭურვილი აუცილებელი ინვენტარით (სიმაღლის საზომი, სასწორი, წამლის კარადა, პაციენტის გასასინჯი ტახტი, წნევის აპარატი, თერმომეტრი და სხვა), ან არის ძალიან ძველი და ამორტიზებული (ლაგოდეხი), თუმცა ზოგან აქვთ ინჰალატორები (თბილისის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, კოჯორი) და გლუკომეტრი (თბილისის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება).

თითქმის არცერთ ბავშვთან სახლში არ არის შესაბამისი ფართი დათმობილი სამედიცინო იზოლაციისათვის. „სააღმზრდელო დაწესებულებების ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5¹ მუხლის მე-10 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია კარანტინისთვის არანაკლებ 25 კვ.მ. ზომის ოთახის გამოყოფა. სამედიცინო იზოლაციის საერთოდ არ აქვთ წალენჯიხის, ლაგოდეხის, საგურამოს, წყნეთის, რუსთავის სააღმზრდელო დაწესებულებებს; სამედიცინო იზოლაციის საერთოდ არ აკმაყოფილებს სტანდარტს, სარემონტო და კეთილმოუწყობელია ან ძალიან მცირე ზომისაა, ძალიან ცივა, არ თბება, არ აქვს სველი წერტილი, ან ძალიან დაშორებულია სამედიცინო კაბინეტიდან, რაც ამნელებს სამედიცინო მეთვალყურეობას (თბილისი, წყნეთი, „სათნოება“).

სახალხო დამცველის 2010 წლის მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციის შემდეგ „მომავლის სახლის“ ექიმის კაბინეტი გადატანილია უფრო დიდ და ნათელ ოთახში, რაზეც ექიმმა გამოხატა მადლიერება, ვინაიდან აღნიშნული ცვლილებით მას შეეძენა მინიმალური სამუშაო პირობები.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- **უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების სამედიცინო ნაწილებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და აღჭურვის გამოყოფა.**

ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სტატუსის განსაზღვრა

დადებითად უნდა შეფასდეს 2010 წლის მონიტორინგის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე ზოგიერთ ბავშვთან სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სტატუსის მინიჭება, მათი საჭიროებიდან გამომდინარე. (2 ბავშვი წყნეთის ბავშვთა სახლიდან, 2 – ბავშვთა სახლ „სათნოებიდან“, 1 – ლაგოდეხის ბავშვთა სახლიდან). რის საფუძველზეც ნაწილი მათგანი გადავიდა, ხოლო ნაწილი უახლოეს მომავალში გადავა სპეციალიზებულ ინსტიტუციაში და დაენიშნათ პენსია, თუმცა აღნიშნულ სფეროში პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს.

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ბენეფიციართა პირადი სამედიცინო ბარათების დეტალურმა შემოწმებამ გამოავლინა ტენდენცია, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში ცხოვრობენ ბავშვები სხვადასხვა დიაგნოზით, რომლებიც ექვემდებარებიან შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭებას (ენურეზი, ოლიგოფრენია დისემბრიოგენეზული სტიგმებით, ეპილეფსია, დისლალია, ჰიპოფიზური ნაწიში, ენკოპრეზი ენურეზით და სხვა). სტატუსი არ აქვს მინიჭებული ენურეზით დაავადებულ 4 ბენეფიციარს (საგურამო), მაშინ, როდესაც ნაწარმოებია მშრალი ღამის დღიური. ბათუმის ბავშვთა სახლშიც არის 4 ბავშვი ენურეზის

დიაგნოზით, რომელთა ისტორიებში არ არის შესაბამისი ჩანაწერები. ერთი ბენეფიციარი, „გონებრივი ჩამორჩენილობით, რომელსაც დარღვეული აქვს მეტყველება, უჭირს კონტაქტში შემოსვლა, აქვს არაადეკვატური რეაქციები“, შეფასებულია, როგორც შესაძლებლობის შეზღუდვის არმქონე. ექიმის განცხადებით, იგი ექთანთან ერთად ატარებს ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა გასინჯვას, საბოლოო დიაგნოზი შემოიფარგლება მხოლოდ დასკვნით „ბავშვის განვითარება შეესაბამება ასაკს“ ან „ბავშვის განვითარება არ შეესაბამება ასაკს“. არ არის მითითებული ჩივილები, ობიექტური მდგომარეობა, ბავშვის სიმაღლე, წონა და სხვა, არც რაიმე რეკომენდაცია სხვა ვიწრო სპეციალისტის კონსულტაციის აუცილებლობაზე. ბავშვის ჯანმრთელობის არაადეკვატური შეფასება ვერ უზრუნველყოფს დაავადებათა ადრეულ გამოვლენასა და დროულ და ხარისხიან მკურნალობას.

ყველა სადაზღვევო პოლისი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევების ჩატარებას, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა. მიუხედავად ამისა, შესაბამისი დიაგნოზის არსებობის დროსაც კი, ბავშვებს არ ანიჭებენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 17 მარტის N62/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსს (წალენჯიხა, სურამი), რომლის საფუძველზეც მათ განესაზღვრებოდათ შესაბამისი პენსია და სხვა შეღავათები.

რეკომენდაციები სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა სახლებში აღსაზრდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სიდრმისეული შესწავლა, დოკუმენტებისა და ობიექტური შეფასების საფუძველზე;
- უზრუნველყოფილი იქნეს ყველა სტატუსდაქვემდებარებული ბენეფიციარის გაგზავნა სტაციონარულ გამოკვლევებსა და შემდგომ, სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაზე.

ბენეფიციართა სტაციონარში გადაყვანა და სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა

დაწესებულებებში არ არსებობს სრულფასოვანი ჩანაწერი აღსაზრდელთა სამედიცინო სტაციონარში გადაყვანის შესახებ. ზოგ შემთხვევაში ჩანაწერი გაკეთებულია მხოლოდ ინდივიდუალურ ბარათში, არ არსებობს ერთიანი სარეგისტრაციო ჟურნალი სტაციონარში გადაყვანილი პაციენტების შესახებ (გამონაკლისია კოჯრის ბავშვთა სახლი) არც გეგმიურად (სხვადასხვა ოპერაციის გამო) და არც სასწრაფო დახმარების მანქანით სტაციონარში გადაყვანის შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ასევე არ არის დარეგულირებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N 52/ნ ბრძანებითაც „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. ბრძანების მე-7 მუხლში, „ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებიდან ბენეფიციარის დროებით გაყვანა“ პუნქტი 1-ით განსაზღვრულია სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებიდან ბენეფიციარის დროებითი გაყვანის წესები, თუმცა არ არის არცერთი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ბენეფიციარის სტაციონარში მოთავსების მიზნით დროებითი გაყვანის წესს და ამგვარი გაყვანის აღრიცხვის მექანიზმს, რაც საფუძველს ქმნის ზემოაღნიშნული პრობლემისათვის.

პაციენტის გადაყვანა სტაციონარში ხდება დირექტორის წერილის საფუძველზე, რომელშიც მითითებულია მხოლოდ ბავშვის სახელი და გვარი და თხოვნა გადაყვანის შესახებ. წერილში არ არის სრული ინფორმაცია ბავშვის ჯანმრთელობის გაუარესების წინაპირობებისა და დაავადების განვითარების შესახებ, არც ბავშვთა სახლში ჩატარებული მკურნალობისა და მისი ეფექტურობის შესახებ, რაც პრაქტიკაში წარმოშობს პრობლემებს ბავშვების სრულფასოვანი მკურნალობისათვის.

ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულებების ექიმების აქვთ არასწორი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ისინი არ არიან უფლებამოსილნი, აწარმოონ ფორმა N IV-100/ა, თუმცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 9 აგვისტოს N338/ნ ბრძანების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „*ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემაზე უფლებამოსილია ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის მიუხედავად) და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სერტიფიცირებული ექიმი (შემდგომში – ექიმი – სპეციალისტი) კომპეტენციის ფარგლებში.*“

რეალურად, ავადმყოფ ბავშვზე უწყვეტი მეთვალყურეობა არ ხდება. საავადმყოფოდან დაბრუნებულ ბავშვებსაც მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ახლდათ ფორმა N IV-100/ა, ისიც ექიმების დაჟინებული მოთხოვნის შემდგომ (წყნეთი, „მომავლის სახლი“), რაც პრაქტიკულად აუარესებს სამედიცინო მომსახურების უწყვეტობას და ბავშვთა ჯანმრთელობაზე მონიტორინგს. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ფორმა N IV-100/ა-ს ბავშვთა სახლების ექიმებს საავადმყოფოდან გამოთხოვის შემთხვევაშიც კი არ აძლევენ (ზუგდიდი, წალენჯიხა, ასპინძა, სურამი). სრული ინფორმაცია საავადმყოფოში ჩატარებული გამოკვლევების შედეგების შესახებ უცნობი რჩება 24-საათიან სამზრუნველო დაწესებულებებში ბავშვზე ზრუნვაზე პასუხისმგებელი პირებისათვის.

რეკომენდაციები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- 2010 წლის 26 თებერვლის N 52/5 ბრძანების „სპეციალიზირებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლს დაემატოს შესაბამისი ქვეპუნქტი, რომელიც დაარეგულირებს ბენეფიციარის დროებითი გაყვანას სტაციონარში ან სხვა ტიპის სამედიცინო-სამკურნალო სარეაბილიტაციო დაწესებულებაში;
- ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ბენეფიციარის სტაციონირების ყველა შემთხვევაზე უზრუნველყოფილი იქნეს ფორმა N IV-100/ა-ს წარმოება და მისი ასლის გადაცემა სააღმზრდელო დაწესებულებისთვის.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ექიმებს დაევალოთ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხები

გარე სამყაროსთან კონტაქტი

ბავშვზე ზრუნვის მე-4 სტანდარტის¹⁰⁷ (კონფიდენციალობის დაცვა) შესაბამისად, მნიშვნელოვანია, „მომსახურების გარემო და ფორმა უზრუნველყოფდეს მომხარებელთა პირადი ცხოვრების (წერილობითი და ელექტრონული კორესპონდენციების, სატელეფონო საუბრებისა და პირადი შეხვედრების) ხელშეუხებლობას.“

მე-14 სტანდარტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მომსახურებაში ტელესაკომუნიკაციო საშუალებები განლაგებული უნდა იყოს პირადი საუბრებისათვის ხელსაყრელ ადგილზე.

ზოგიერთ სააღმზრდელო დაწესებულებებში არ იყო გამოყოფილი ინდივიდუალური შეხვედრებისთვის ოთახი და ამ ფუნქციას სხვა დანიშნულების ოთახი ასრულებდა.

ბენეფიციართათვის ტელეფონით სარგებლობა თითქმის ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილია, თუმცა კონფიდენციალურობის დაცვა უმეტეს დაწესებულებაში არ ხდება, რადგან ბავშვებისთვის განკუთვნილი ტელეფონის აპარატები დგას

¹⁰⁷ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 281/ნ „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“

დირექტორის ოთახში ან მისი პარალელურია. წყნეთის ბავშვთა სახლში ტელეფონის აპარატი დარაჯის კაბინაში დგას.

აღმზრდელების გადმოცემით, ისინი თავიანთი მობილური ტელეფონებით არეკვინებენ ბავშვებს ან აძლევენ შესაძლებლობას, „გაუშვან ზარი“. ტელეფონით სარგებლობა უკეთესადაა უზრუნველყოფილი რუსთავის ბავშვთა სახლში, სადაც აპარატი დგას სამიწებელში და მისი გამოყენება ნებისმიერ დროს შეუძლიათ იქ მყოფ პირებს.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი იქნეს ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში ბენეფიციართათვის ტელეფონის ხელმისაწვდომობა და საუბრების კონფიდენციალურობა.

უსაფრთხოება

დადებითად უნდა შეფასდეს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2010 წლის დასაწყისში ჩატარებული მონიტორინგის დროს გაცემული რეკომენდაციის შესრულება ყველა დაწესებულების მიერ პოლიციის, სახანძროს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახალხო დამცველის ოფისისა და სხვა უწყებების საკონტაქტო ინფორმაციის ბავშვებისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე გაკვრის შესახებ..

თუმცა, უსაფრთხოების დაცვის საკითხი კვლავაც პრობლემატურია.

ზოგიერთ ბავშვთა სახლში ელექტროსადენები შიშველ მდგომარეობაშია და შტეფსელები მწყობრიდან არის გამოსული, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვების სიცოცხლეს (ლაგოდები, წყნეთი, თბილისი, „მომავლის სახლი“).

წყნეთის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ტერიტორია ბავშვთა უსაფრთხოების კუთხით წარმოადგენს დაუცველ ადგილს. მიუხედავად იმისა, რომ მთავარ ჭიშკართან განთავსებულია დარაჯის ჯიხური, რომელიც ფორმალურად იცავს ბავშვთა მიერ ტერიტორიის უმეტესაწილად დატოვებას, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ღობე რამდენიმე ადგილას გარღვეულია, ღია ასევე, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების მეორე ჭიშკარიც: მონიტორების ადგილზე ყოფნის პერიოდში 7 წლის აღსაზრდელმა უნებართვოდ დატოვა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ტერიტორია და გაიქცა მთავარი საავტომობილო გზისკენ. ბავშვის გაქცევა შეუმჩნეველი დარჩა აღმზრდელებისთვის. არასრულწლოვანს დასაბრუნებლად გაეკიდა სხვა აღსაზრდელი, რომელიც შემთხვევით შეესწრო აღნიშნულ შემთხვევას. ამავ დანებებულების საცხოვრებელი კოტეჯების ქვეშ განთავსებულ ბნელ სარდაფებს არ აქვთ არანაირი დამცავი კარი და ციცაბო ნაპირების გამო არსებობს ბავშვების ჩავარდნის საფრთხე. ბენეფიციართა გადმოცემით, იქ ბავშვები უმეტესაწილად ჩადიან.

დაუცველია ტერიტორია ლაგოდეხის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაშიც. ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ეზოში განთავსებულია შენობა, სადაც იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობენ. საერთო ჭიმკარი ფაქტობრივად არასდროს იკეტება, რის გამოც, აღმზრდელების განცხადებით, მუდმივად არსებობს საშიშროება, რომ ბავშვი უმეტესაწყურეოდ დატოვებს ეზოს და დაიკარგება. გასული წლის განმავლობაში ერთ-ერთი აღსაზრდელი მუდმივად იპარებოდა დაწესებულებიდან.

თელავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღმზრდელები აღნიშნავენ, რომ მათი აღსაზრდელების უსაფრთხოებას ყოველდღიური საშიშროება ემუქრება, რადგან სკოლაში მისასვლელად მათ თელავის ერთ-ერთი ცენტრალური სამანქანო გზა უნდა გადაკვეთონ. აღმზრდელების განმარტებით, უშუალოდ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების წინ გადის სამანქანო გზა, რომლის გადაკვეთაც არ არის დარეგულირებული შუქნიშნით, მიწისქვეშა გადასასვლელით და/ან გადასასვლელი ხიდით. ყოველ დილას, ბავშვების სკოლაში წაყვანის პროცესში, აღმზრდელებს ექმნებათ პრობლემა ბავშვების თანხლებით აღნიშნული გზის გადაკვეთისას. მათი გადმოცემით, მათ არაერთხელ მიმართეს სხვადასხვა პასუხისმგებელ უწყებას პრობლემის მოგვარების მიზნით, თუმცა ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია. აღნიშნული გზა განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს იმ ბენეფიციარებისთვისაც, რომლებიც ახერხებენ აღმზრდელების დაუკითხავად დაწესებულების ტერიტორიის დატოვებას.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და შენარჩუნება.

ფსიქოლოგიური დახმარება

2010 წლიდან ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში შეიქმნა ფსიქოლოგის შტატი, რომელსაც, დებულების მიხედვით, ევალება ბენეფიციართა ფსიქოსოციალურ განვითარებაზე დაკვირვება, მათი ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა, საჭიროების შემთხვევაში ბავშვების ქცევის კორექცია;

მიუხედავად ზემოაღნიშნული ფუნქციების უდიდესი მნიშვნელობისა მზრუნველობამოკლებული ბავშვების განვითარების საქმეში, დაწესებულებათა უმრავლესობაში ფსიქოლოგის შტატი მხოლოდ ფორმალურად არსებობს. შედეგად რეაბილიტაციის გარეშე რჩებიან მძიმე ფსიქოლოგიური სტრესგამოვლილი ბავშვები (ოჯახური ძალადობა, სექსუალური ძალადობა ა.შ.). ზოგიერთ დაწესებულებაში, განსაკუთრებით რეგიონებში, საერთოდ ვერ ხერხდება პროფესიონალი ფსიქოლოგის დაქირავება.

ხშირ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში ასეთი ადამიანი არსებობს, ფსიქოლოგის მოვალეობა და მუშაობის ხასიათი არ არის დიფერენცირებული აღმზრდელის ან პედაგოგის მოვალეობისაგან, უფრო ხშირად, ეს არის დახმარება გაკვეთილების მომზადებისას (ზოგ შემთხვევაში ამაყოფენ კიდეც ამით) და ბენეფიციარისათვის გაურკვეველი ხდება, თუ რა მოვალეობას ასრულებს ფსიქოლოგი ან ბენეფიციარი საერთოდ ვერ იხსენებს, ჰქონდა თუ არა სესია ფსიქოლოგთან.

ფსიქოლოგებს არ აქვთ ან ნაკლებად ინფორმაციული, ფრაგმენტული და არასრულია თითოეული ბენეფიციარის ფსიქო-სოციალური შეფასების და ფსიქოლოგიური ინტერვენციის, მიღებული შედეგების, ასევე, ფსიქოსოციალური გარემოს გაჯანსაღებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ წარმოებული დოკუმენტაცია, რის გამოც შეუძლებელია ობიექტური მარკერებით მათი მუშაობის შეფასება.

ფსიქოლოგები არ არიან უზრუნველყოფილი ფსიქოლოგიური შეფასების, ინტერვენციის, უკუკავშირის შეფასებისა და ჩატარებული სამუშაოს დოკუმენტირების მტკიცებულებებზე დაფუძნებული ერთიანი სტანდარტებითა და პროტოკოლებით, რომლებიც ორიენტირებული იქნება ცალკეულ სამიზნე ჯგუფებზე, არა მარტო ასაკის, არამედ ფსიქოსოციალური პრობლემებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ფსიქოლოგები არ არიან უზრუნველყოფილი მუშაობისათვის აუცილებელი სტანდარტული ინვენტარით (ადაპტირებული სკალები, ტესტები, თემატური ბუკლეტები როლური თამაშებისათვის და სხვა).

არ ხდება ფსიქოლოგების სპეციალური მომზადება, გადამზადება, სამიზნე ჯგუფებზე აპრობირებული თანამედროვე ფსიქოთერაპიული მეთოდებში დახელოვნება. უმრავლესობა მუშაობს ემპირიულად, საბაზისო განათლების და კეთილსინდისიერების ხარჯზე.

„მომავლის სახლს“ ჰყავს ფსიქოლოგი, რომლის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს შორის დაპირისპირება ხშირია დაწესებულებაში, სერიოზული კონფლიქტები იშვიათია¹⁰⁸, ამიტომ აგრესიის გამოსავლენი ტესტების, ასევე, აგრესიის მართვის ტექნიკების გამოყენების აუცილებლობას ვერ ხედავს. სარგებლობს 2 ვერბალური ტესტით, არ იყენებს არავერბალურ, პროექციულ ტესტებს, არ არსებობს მულტიდისციპლინური მიდგომა და შემთხვევის მართვა. მხოლოდ საუბრობს აღსაზრდელებთან. მონიტორინგის პერიოდში დაწესებულებაში იდენტიფიცირებული იქნა წარსულში არაჰუმანური მოპყრობის მსხვერპლი, რომელიც სხვა ბენეფიციარებთან ერთად საჭიროებს მულტიპროფილურ რეაბილიტაციას.

„სათნოების“ ფსიქოლოგი დირექტორის მოვალეობას ასრულებს გასული წლის 26 თებერვლიდან. მისი განცხადებით, იგი ვეღარ ასრულებს ფსიქოლოგის მოვალეობას. ახალი ფსიქოლოგი არ აუყვანიათ.

¹⁰⁸ იხ. „ბავშვთა მიმართ ძალადობის“ თავი

თბილისის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ფსიქოლოგმა განაცხადა, რომ იყენებს ფსიქომეტრულ ტესტებს, პროექციულ ტესტებს, და მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგინა რამდენიმე ბავშვის მიერ შესრულებული –“სახლი, ხე, ადამიანი” მასალა, ტესტის ინტერპრეტაცია ვერ წარმოგვიდგინა. დაწესებულებაში იმყოფება ბენეფიციარი, რომელიც, თანამშრომელთა გადმოცემით, ოჯახური ძალადობის მსხვერპლია. აღნიშნულ ბენეფიციარს აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები, თუმცა მას არ ჩასტარებია ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის სრულფასოვანი კონსულტაციები. არ მიმდინარეობს შემთხვევის მართვა და მულტიდისციპლინური მუშაობა.

წყნეთის დაწესებულების ფსიქოლოგმა საუბრისას (დაწესებულებაში მუშაობის სტაჟი 8 თვე) განაცხადა, რომ დაახლოებით 10-12 ბავშვთან მუშაობს სისტემატურად. შეკითხვაზე, თუ რომელ ფსიქომეტრიულ ტესტებს იყენებდა ბავშვებთან, გვიპასუხა, რომ ტესტირება სცადა, მაგრამ მიხვდა, აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან ბავშვები რომ ვერ ასრულებდნენ მოცემულ დავალებებს, ღიზიანდებოდნენ. ფსიქოლოგიური ჩანაწერები ვერ წარმოადგინა, სხვა სპეციალისტებთან – ექიმთან, აღმზრდელებთან კოორდინაცია არ აქვს.

საგურამოს დაწესებულებას ფსიქოლოგი არ ჰყავს. დირექტორის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით ფსიქოლოგია, იგი თავად ფსიქოლოგის ფუნქციას ვერ ასრულებს. გამოკითხული ბენეფიციარების ინტერვიუებიდან ასევე ირკვევა, რომ მათ რაიმე სახის ფსიქოლოგიური ინტერვენცია არ უტარდებათ. დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ იდენტიფიცირებულები იყვნენ წარსულში არაჰუმანური მოპყრობის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი საკმაოდ გამოხატული ემოციური და ქცევითი დარღვევებით, სუიციდის მცდელობით, რომლებიც საჭიროებენ ინტერვენციასა და რეაბილიტაციას, აღნიშნული ბენეფიციარები ვერ სარგებლობენ მათთვის აუცილებელი სერვისებით.

კოჯრის სააღმზრდელო დაწესებულებაში ვნახეთ ბავშვების სტანდარტული სახის დახასიათებები, რომლებიც, სავარაუდოდ, წელიწადში ერთხელ კეთდება. სხვა რაიმე ჩანაწერები ვერ მოვიძიეთ.

რუსთავის დაწესებულების ფსიქოლოგმა, რომელიც ამ დაწესებულებაში მუშაობს 2 წელია, მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან საუბრისას განაცხადა, რომ ატარებდა ინდივიდუალურ და ჯგუფურ სამუშაოებს – მუშაობდა აზროვნების, მეხსიერებისა და ყურადღების საკითხებზე, ასევე აღმზრდელებთან, პედაგოგებთან და მშობლებთანაც, თუმცა მხოლოდ რამდენიმე ჩანაწერის წარმოდგენა შეძლო, განაცხადა, რომ ძირითადი ჩანაწერები სახლში ჰქონდა. ფსიქოლოგმა ერთ-ერთი ბენეფიციარის, სავარაუდოდ ძალადობის მსხვერპლის, შესახებ განაცხადა, რომ საქმის დეტალები არ იცოდა და ბავშვთან არ ატარებდა ფსიქორეაბილიტაციურ სამუშაოს.

ლაგოდეხის ბავშვთა სახლს ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც იქ მუშაობს დაახლოებით 5 თვეა. მასთან საუბრისას გაირკვა, რომ დაწესებულებაში იმყოფებიან აღსაზრდელები სხვადასხვა ტიპის ემოციური და ქცევითი დარღვევით, ასევე, გონებრივი ჩამორჩენილობით, აგრესიული და აუტოაგრესიული ქცევებით, ერთ ბენეფიციარს

აღენიშნებოდა სუიციდალური აქტივობა. გარდა ამისა, დაწესებულებაში იმყოფება, სავარაუდოდ, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. ფსიქოლოგმა გვიჩვენა რამდენიმე ჩატარებული ტესტი, თუმცა მათი დამუშავებული ჩანაწერები ვერ წარმოგვიდგინა.

წალენჯიხის დაწესებულებაში ფსიქოლოგის შტატი ვაკანტურია, დირექტორის განმარტებით, წალენჯიხის რაიონში ვერ მოიძებნა სათანადო განათლების მქონე სპეციალისტი, შესაბამისად, არ ხდება ბენეფიციართა ფსიქოსოციალური მდგომარეობის შეფასება და მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

ზუგდიდის სააღმზრდელო დაწესებულებაში ფსიქოლოგთან გასაუბრება ვერ მოხერხდა (დაემთხვა დასვენების დღე). დირექტორის ან აღმზრდელისათვის ხელმისაწვდომი არ არის ფსიქოლოგის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია, შესაბამისად, ვერ მოგვაწოდეს ინფორმაცია მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ;

სურამის დაწესებულებაში პირმა, რომელსაც დაკავებული აქვს ფსიქოლოგის ვაკანსია, ვერ წარმოადგინა შესაბამისი დიპლომი. მისივე განმარტებით, დაამთავრა კერძო ინსტიტუტი და ჯერჯერობით დიპლომი ვერ აიღო ტექნიკური პრობლემების გამო, ხოლო წარმოებული მუშაობის შესახებ ინფორმაციას ინახავს კომპიუტერში და მოგვაწვდის ელექტრონული მიწოდების აღდგენის შემდეგ, რაც არ განხორციელდა, მიუხედავად მონიტორინგის პერიოდში ელექტრონული მიწოდების აღდგენისა.

ბათუმის დაწესებულებაში ფსიქოლოგი დეკრეტულ შვებულებაში აღმოჩნდა. დროებით იკავებდა ვაკანსიას პირი, რომელსაც მიღებული ჰქონდა შესაბამისი პროფესიული განათლება. მისი გადმოცემით, წინამორბედისაგან მას არ მიუღია არანაირი წერილობითი ინფორმაცია ბენეფიციართა ფსიქოსოციალური შეფასების ან წარმოებული მუშაობის შესახებ. მისი თქმით, იგი არ არის უზრუნველყოფილი მუშაობისათვის საჭირო ელემენტარული ინვენტარითაც კი და იძულებულია, ბენეფიციარებთან მხოლოდ ზეპირსიტყვიერად ან საკუთარი სახსრებით შეძენილი მწირი ინვენტარით იმუშაოს.

სამტრედიის, ტაშისკარისა და ასპინძის სააღმზრდელო დაწესებულებებში ფსიქოლოგის ვაკანსია დაკავებული აქვთ შესაბამისი განათლების მქონე სპეციალისტებს. დაწესებულებების ფსიქოსოციალური კლიმატისა და ბენეფიციარების გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, სხვა სააღმზრდელო დაწესებულებებთან შედარებით, მუშაობის ხარისხი უკეთესია, თუმცა მაინც არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. ფსიქოლოგების მიერ წარმოებული დოკუმენტაცია ნაკლებად ინფორმაციული, არასტანდარტული და არასრულია.

რეკომენდაციები სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- სააღმზრდელო დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნეს პროფესიონალი ფსიქოლოგების მუშაობა;

- სააღმზრდელო დაწესებულებები უზრუნველყოფილნი იყვნენ პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო ინვენტარი და საშუალებები;
- შემუშავდეს ფსიქოლოგიური კვლევისა და ინტერვენციის ერთიანი სტანდარტები, გაიდლაინები და პროტოკოლები, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების სპეციფიკის და სამიზნე ჯგუფების გათვალისწინებით;
- შემუშავდეს ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული მუშაობის დოკუმენტირების ერთიანი სისტემა.

გასაჩივრების მექანიზმები

მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ საჩივრების ყუთების არსებობას ფორმალური ხასიათი აქვს დაწესებულებათა უმრავლესობაში. ზოგ დაწესებულებაში ასეთი ყუთი არ არსებობს („მომავლის სახლი“).

ასპინძის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში საჩივრის ყუთი აქვთ, თუმცა არ აქვთ საჩივრების რეგისტრაციის ჟურნალი. შექმნილია ჯგუფი ფსიქოლოგის, აღმზრდელისა და დაწესებულების უფროსის შემადგენლობით, რომლებიც განიხილავენ ყუთში მოთავსებულ საჩივრებს. მიუხედავად ამისა, ვერ წარმოადგინეს სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მოწესრიგდება ჯგუფის საქმიანობა, საჩივრის განხილვის თარიღი, რეაგირების მექანიზმი და ჯგუფის წევრთა ფუნქციები. ასევე ვერ იქნა წარმოადგინეს ჩანაწერები ჯგუფის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ წლის განმავლობაში არცერთი საჩივარი არ შემოსულა ყუთის მეშვეობით.

ბათუმის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში საჩივრების ყუთი არ არსებობს. დირექტორის თქმით, არ არის გასაჩივრების სხვა საშუალებაც. ბავშვის პრეტენზიებს განიხილავენ ზეპირი სახით, ძირითადად აღმზრდელები ან თავად დირექტორი, თუმცა აღნიშნულის შესახებ დაწესებულებაში არ მოიპოვება რაიმე ჩანაწერი.

ტაშისკარის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებობს საჩივრების ყუთი, თუმცა, დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით, ბენეფიციარები მას არ იყენებენ.

სურამის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებული საჩივრების ყუთს, დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით, ხსნიან ყოველი კვირის ბოლოს, თუმცა საჩივრების განხილვის სისტემა არ არის გაწერილი. არ მოიძებნა ჩანაწერი თუნდაც ერთი საჩივრის განხილვის შესახებ.

წალენჯიხის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებობს საჩივრების ყუთი, რომლის გახსნის პროცედურა წესრიგდება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით, თუმცა საჩივრების განხილვა მიმდინარეობს ზეპირი ფორმით. განხილვის შედეგები არ ფიქსირდება წერილობით.

ზუგდიდის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებობს საჩივრების ჟურნალი, მაგრამ მას ბავშვები ვერასოდეს იყენებენ. არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც მოაწესრიგებს საჩივრების განხილვის პროცედურებს.

ზემოაღნიშნულ შემთხვევათა უმეტესობაში საჩივრების ყუთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ცარიელია, რაც, ადმინისტრაციის განცხადებით, აიხსნება იმ ფაქტით, რომ ბავშვებს არაფერზე უკმაყოფილების გრძნობა არ უჩნდებათ. მათი განცხადებით, აღსაზრდელებს იმდენად ახლო ურთიერთობა აქვთ აღმზრდელებთან და ადმინისტრაციასთან, რომ შეუძლიათ პირდაპირ განაცხადონ ნებისმიერი უკმაყოფილების შესახებ.

გარე ორგანოსთვის საჩივრის ან პრეტენზიის წარდგენის საშუალებად შეიძლება განვიხილოთ სატელეფონო კავშირი, მით უმეტეს, რომ პრაქტიკულად ყველა დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული სხვადასხვა უწყებებს, მათ შორის, სახალხო დამცველის ტელეფონის ნომერი, თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში ტელეფონით საუბრის კონფიდენციალობა არ არის დაცული, რაც ამ მექანიზმს არაქმედით ხდის.¹⁰⁹

მონიტორინგის პრაქტიკა აჩვენებს, რომ საჩივრების აღნიშნული სისტემა არაეფექტურია და რეალურად არ ასახავს ბავშვთა მოსაზრებებსა და პრეტენზიებს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. აღნიშნულის ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი ისაა, რომ ბავშვები ხშირ შემთხვევაში სათანადოდ არ არიან ინფორმირებულნი საჩივრის წარდგენის ან პრეტენზიის გამოთქმის უფლების თაობაზე ან არ ენდობიან გასაჩივრების მექანიზმს, ვინაიდან, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის მიხედვით, პირი რომელმაც უნდა განიხილოს მათი საჩივარი (ადმინისტრაცია, აღმზრდელი), შესაძლებელია თავად წარმოადგენდეს მოძალადეს დაწესებულებაში.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- **უზრუნველყოფილი იქნეს ინსტიტუციაში მყოფი ბავშვებისათვის ეფექტური გასაჩივრების მექანიზმის არსებობა, გასაჩივრების ნათელი და გასაგები პროცედურების გაწერა და ბენეფიციართა სათანადო ინფორმირება აღნიშნული უფლების შესახებ.**

სააღმზრდელო დაწესებულებებში ჩარიცხვის ხარვეზები

ჩარიცხვის წესის მხრივ საყურადღებოა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული ქ. სამტრედიის N15 საჯარო სკოლის შემთხვევა. ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი სკოლის დებულების თანახმად, აღნიშნულ დაწესებულებაში

¹⁰⁹ იხ. „გარე სამყაროსთან ურთიერთობა“.

ჩაირიცხებიან 11–14 წლის არასრულწლოვანი ვაჟები, რომელთა მიმართ გამოტანილია არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილება და განათლების სამინისტროს მიერ გამოწერილია სათანადო ფორმის საგზური. თუმცა, დაწესებულების დირექტორის განმარტებით, არასრულწლოვანთა კომისია უკვე აღარ არსებობს, შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობით, დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო ან განათლების სამინისტროში არსებული მულტიდისციპლინური ჯგუფი. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების კომპეტენციაში არ შედის ბენეფიციართა ჩარიცხვა აღნიშნულ დაწესებულებაში, თუმცა არასრულწლოვანთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბენეფიციართა გარკვეული ნაწილი ჩარიცხულია სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით სამტრედიის N15 საჯარო სკოლას აქვს გაურკვეველი პროფილი და ბავშვთა მომსახურების კრიტერიუმები. როგორც დაწესებულების დირექტორი აღნიშნავს, სკოლის ძველი დებულების თანახმად, იგი წარმოადგენდა სპეციალურ აღმზრდელობით დახურული ტიპის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრს დამნაშავე, სამართალდამრღვევი და სხვა ძნელად აღსაზრდელი ვაჟი არასრულწლოვნებისათვის – რაც დღესდღეობით არარელევანტური დახასიათებაა. თუმცა, ვინაიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დღემდე არ განახლებულა დაწესებულების არსის, მუშაობის პროფილისა და ჩარიცხვის წესი, დაწესებულება ინარჩუნებს ძველი დროიდან გადმოყოლილ მანკიერ მახასიათებლებს: დაწესებულებაში მოთავსებულნი არიან მხოლოდ ვაჟები (ზოგიერთი მათგანი უკვე მე-7 წელია იქ იმყოფება) და ადმინისტრაციის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში დაწესებულების მუშაობა განსაზღვრულია, როგორც „რეჟიმი“. დაწესებულების ძველი პროფილიდან გამომდინარე, იქ მოხვედრილი ყველა არასრულწლოვანი განიცდის სერიოზულ სტიგმატიზაციას საზოგადოების მხრიდან, რაც განსაკუთრებით სამწუხაროა, იქიდან გამომდინარე, რომ დღესდღეობით N15 საჯარო სკოლა წარმოადგენს ჩვეულებრივ სააღმზრდელო დაწესებულებას და ამჟამად იქ განთავსებული ბავშვები არ გამოირჩევიან განსაკუთრებული აგრესიულობით ან სამართალდარღვევებისადმი მიდრეკილებით.

როგორც მონიტორინგის ჯგუფისთვის გახდა ცნობილი, დაგეგმილია სამტრედიის დაწესებულებისთვის თავისი ძველი „სტატუსის“ დაბრუნება, რაც გულისხმობს მასში ბავშვების „გამოსასწორებლად“ მოთავსებას. ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად როგორ ჩამოყალიბდება სამტრედიის დაწესებულების დებულება და რა იქნება მისი ზუსტი დანიშნულება, თუმცა ნათელია, რომ ეს უნდა განისაზღვროს ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, რათა სამტრედიის სკოლაში მოთავსებამ სამართალდარღვევისკენ მიდრეკილ პრობლემურ ბავშვებზე არ მოახდინოს უკუეფექტი – მათი სტიგმატიზაცია და ერთხელ და სამუდამოდ მათთვის „კრიმინალის“ იარლიყის მიწებება, რაც არანაირად არ დაეხმარება მათ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციას.

რეკომენდაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში მყოფ პანსიონური მომსახურების მექანე საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა ჩარიცხვის ერთიანი წესის შემოღება, სამტრედიის N15 საჯარო სკოლის დებულების დამტკიცება, რომელშიც დაწესებულების მუშაობის პროფილი იმგვარად განისაზღვრება, რომ არ შეუწყობს ხელს ბავშვთა სტიგმატიზაციასა და საზოგადოებიდან გარიყვას.

ბენეფიციართა დროებით გაყვანა დაწესებულებიდან

ბავშვთა რამდენიმე სააღმზრდელო დაწესებულებაში დაურეგულირებელი აღმოჩნდა ან მოქმედი რეგულაციის დარღვევით ხორციელდებოდა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან ბავშვების დროებითი გაყვანა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანების „სპეციალიზებულ დაწესებულებებში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლის თანახმად:

1. სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებიდან ბენეფიციარის დროებითი გაყვანა შესაძლებელია:
 - ა) იმ პირის მიერ, რომლის მონაცემები (სახელი, გვარი, ბენეფიციართან ნათესაური კავშირი და პირადი ნომერი) განსაზღვრულია ასეთ დაწესებულებაში პირის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებაში (ოქმიდან ამონაწერში);
 - ბ) მომსახურების მომწოდებლის ადმინისტრაციის მიერ – დასვენების, კულტურულ–სპორტულ, საგანმანათლებლო და სანახაობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომსახურების მიმწოდებელს, რომლის დარღვევის თაობაზე დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს.
3. ბენეფიციარის სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებიდან დროებით გაყვანასთან და უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით ჩანაწერი კეთდება ამ დაწესებულებიდან გაყვანის აღრიცხვის ჟურნალში და ხელმოწერას აკეთებს გამყვანი პირი ან ბენეფიციარი, თუ ეს უკანასკნელი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირია.

იმავე ბრძანებით დამტკიცებულია სპეციალური ფორმა – „პირის დროებითი გაყვანის აღრიცხვა“, რომელიც თავის მხრივ საჭიროებს გაუმჯობესებას. ფორმაში მიეთითება დაბრუნების ვადა (ანუ ის სავარაუდო თარიღი, როცა გამყვანი გეგმავს ბავშვის დაბრუნებას დაწესებულებაში), თუმცა არ არსებობს შესაბამისი გრაფა, რომელშიც დაფიქსირდებოდა ბავშვის დაწესებულებაში დაბრუნების რეალური თარიღი. ასევე,

ფორმა არ საჭიროებს დაწესებულების წარმომადგენლის მიერ ბავშვის დროებითი გაყვანის შესახებ ინფორმაციის წერილობით დამოწმებას – დაწესებულების წარმომადგენლისთვის გრაფა საერთოდ არ არსებობს. ამგვარი რამ არც ბრძანების მე-7 მუხლში მოცემული წესით არის მოთხოვნილი – მუხლის მე-3 პუნქტში, როგორც ვნახეთ, ნახსენებია მხოლოდ გამყვანი პირის ან ბენეფიციარის ხელმოწერა. სავარაუდოდ, იგულისხმება რომ დაწესებულების წარმომადგენლის გარეშე აღნიშნულ ჟურნალს ვერავინ გამოიყენებს, უმჯობესი იქნებოდა, დაწესებულების წარმომადგენელს ხელმოწერით დაედასტურებინა ფორმაში მოყვანილი ინფორმაციის სიზუსტე, მით უმეტეს, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 26 აგვისტოს „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ“ N281/ნ ბრძანებით დამტკიცებული მე-12 სტანდარტით დაწესებულების გარეთ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფრთხის გამოვლენისა და ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ვალდებულება ეკისრება სწორედ მომსახურების მიმწოდებელს, ე.ი. დაწესებულებას.

პრაქტიკის ანალიზმა ნათელყო, რომ ბენეფიციარის დროებითი გაყვანა დაწესებულებიდან ხდება საკმაოდ ქაოტურად, ხოლო ჯანდაცვის მინისტრის ზემოხსენებული ბრძანებით დამტკიცებული დროებითი გაყვანის წესი, მაშინაც კი, როდესაც იგი დაცულია, არ უზრუნველყოფს ბავშვების უსაფრთხოებას დაწესებულების დატოვებისას.

დროებითი გაყვანის წესი მრავალჯერადად ირღვევა რამდენიმე დაწესებულებაში: კოჯრის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების დროებითი გაყვანის ჟურნალში დაფიქსირდა არასრულწლოვან 12–13 წლის ბენეფიციარების ხელმოწერები, რომლებიც საკუთარი განცხადების საფუძველზეც გადიოდნენ დაწესებულებიდან. დირექტორის განცხადებით, არასრულწლოვნების ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებიდან უმეტესადაც ურეოდ გასვლის მიზეზია ის, რომ ხშირად მშობელს, რომელსაც სურს გაიყვანოს ბავშვი, არ აქვს თანხა თბილისიდან კოჯორში ავტობუსით მგზავრობისათვის. დაწესებულების ადმინისტრაცია, მშობლის სატელეფონო ზარის საფუძველზე (მისი ხელმოწერის გარეშე), აცხადებს ბავშვს ავტობუსის გაჩერებამდე. დანიშნულების ადგილზე მას, სავარაუდოდ, ხვდება მშობელი. ადმინისტრაციის განცხადებით, ამგვარი გადაწყვეტილება გამართლებულია ბავშვისა და მშობლის ურთიერთობის მხარდაჭერის მიზნით. მიუხედავად აღნიშნული დადებითი მიზნისა, მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დროებითი გაყვანის წესის ამგვარი დარღვევა დაუშვებელია, ვინაიდან ხელყოფს ბავშვის უსაფრთხოებას.

„მომავლის სახლში“ დროებითი გაყვანის ჟურნალი არ შეიცავს სრულყოფილ ინფორმაციას აღსაზრდელების გადაადგილებაზე. არის შემთხვევები, როდესაც 12–13 წლის ბენეფიციარები, ხელოვნების სხვადასხვა წრეზე სიარულის მიზნით, მეთვალყურეობის გარეშე, საკუთარი განცხადების საფუძველზე ტოვებენ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებას. აღნიშნული განცხადებები არც კი აღირიცხება დროებითი გაყვანის ჟურნალში. ზოგჯერ ბავშვების გაყვანა ხდება მშობლების მიერ დაწერილი განცხადებების საფუძველზე, რომელთაც რიგ შემთხვევაში არ აქვს

ხელმოწერა ან/და თარიღი და რომლებიც ასევე არ აღირიცხება დროებითი გაყვანის ჟურნალში. დაწესებულებიდან ბავშვთა გაშვება ხდება მშობლის სატელეფონო ზარის საფუძველზე.

თითქმის არცერთ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში არ მოიძებნა ბრძანების სრული დაცვით შედგენილი განცხადებები, რომელთა საფუძველზეც მოხდებოდა ბავშვების დროებით გაყვანა. არც ერთ განცხადებას არ ახლდა სრულად ის რეკვიზიტები, რომლებიც წერილს ან განცხადებას აძლევს იურიდიულ ძალას. ზუგდიდის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში აღმოჩნდა, რომ მშობლები ან სხვა პირები, რომლებსაც ბენეფიციარები დროებით გაჰყავთ, წინასწარ წერენ განცხადებებს იმის შესახებ, რომ ისინი შემდეგ კვირაში წაიყვანენ ბავშვს დროებით. ადმინისტრაციის განმარტებით, ეს ხდება მაშინ, როცა მშობლები მომდევნო კვირაში ვერ შეძლებენ პირადად წაიყვანონ ბავშვები. ასეთ შემთხვევებში ბავშვები თავად მიდიან სააღმზრდელო დაწესებულებიდან.

„მომავლის სახლში“ საერთოდ არ წარმოებდა ბენეფიციართა აღრიცხვა. ბავშვთა აღრიცხვის ძირითადი მიზანი და საშუალება ისევე, როგორც ბევრ სხვა დაწესებულებაში, იყო მეორე დღის მენიუსთვის სიების შედგენა წინა დღეს, თუმცა, რამდენი ბავშვი იყო რეალურად დაწესებულებაში მონიტორინგის დღეს, ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ ჰქონდათ არც აღმზრდელებს და არც ადმინისტრაციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღამის პერსონალის მიერ დღის აღმზრდელებზე ბავშვების გადაბარება ხდებოდა მხოლოდ ზეპირი სახით („სათნოება“, კოჯრის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება) და არანაირი ჩანაწერი იმის შესახებ, თუ რამდენი ბავშვი იყო ადგილზე, არ წარმოებდა.

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- N52/ნ ბრძანებაში შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რათა ბენეფიციარის მიერ დაწესებულების დატოვების შემთხვევების აღრიცხვის დროს სავალდებულო გახდეს მისი რეალური დაბრუნების თარიღის მითითება, ასევე, დაწესებულების წარმომადგენლის ხელმოწერა.

რეკომენდაციები სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვების ნებისმიერ გადაადგილებაზე დაწესებულებების თანამშრომელთა სათანადო მეთვალყურეობა;
- ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნეს ადეკვატური სატრანსპორტო და ადამიანური რესურსით.

აღმზრდელობით-პედაგოგიური მუშაობა და ხელოვნების წრეები

მონიტორების მიერ ყველა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში დაფიქსირდა სხვადასხვა ტიპის სააღმზრდელო საქმიანობა და ხელოვნების წრეების ფუნქციონირება მეტ-ნაკლები ინტენსივობით. ხელოვნების წრეების ჩამონათვალი დიდია და მოიცავს ცეკვის, ხატვის, მუსიკის, თექის, თიხის, ფოტოგრაფიის, კომპიუტერის, ჭრა-კერვისა და სხვა წრეების ფუნქციონირებას. თუმცა, ვინაიდან წრეების ხელმძღვანელები, როგორც წესი, არ აწარმოებენ აღსაზრდელების მიღწევებისა და განვითარების შესახებ ინდივიდუალურ ჩანაწერებს, შეუძლებელია კონკრეტული წრის ფუნქციონირების ეფექტურობის შეფასება.

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება „სათნოებაში“ გახსნილია ბისერისა და თექის წრეები, მაგრამ ადმინისტრაციას არ აქვს მასალა, რომელსაც ბავშვები წრეზე მუშაობისას გამოიყენებდნენ და აღმზრდელებს თავად უწევთ მასალის მოტანა სახლიდან. ამავდროულად გამო „სათნოების“ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელები 2010 წელს დადიოდნენ „მომავლის სახლში“ ბისერისა და თექის წრეებზე დასასწრებად საზოგადოებრივი ტრანსპორტით. „სათნოების“ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელებს არ გააჩნიათ, ასევე, ცეკვისა და ფეხბურთის ფორმები. ცეკვისა და ფეხბურთის წრეები ამ დაწესებულებაში ქველმოქმედთა შემწეობით ფუნქციონირებს.

სამწუხაროდ, ანგარიშგების პროცედურის გარეშე, რომელშიც მითითებული იქნებოდა წრის ფუნქციონირებისას მიღწეული წარმატებები და არსებული სირთულებები, შეუძლებელია ბოლომდე შეფასდეს მათი მუშაობის ეფექტურობა.

ზოგიერთ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში (თბილისის, თელავის, საგურამოს, ასპინძის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები) აქტიურად ხდება ბავშვთა წრეებში ჩართვა, რაც დადებით პრაქტიკად უნდა შეფასდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საგურამოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების მოზარდი ბიჭების მოტივირებული ჩართულობა რაგბის წრეში, სადაც რაგბის კვალიფიციური მწვრთნელი მუშაობს. ასევე, მნიშვნელოვანია თბილისისა და თელავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ადმინისტრაციის გადაწყვეტილება აღსაზრდელების იმ წრეებში ჩართვის შესახებ, რომლებიც ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების გარეთ არის ორგანიზებული.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი იქნეს სახელობო და ხელოვნების წრეების ფუნქციონირების რეგულარული ხასიათი – საჭირო მასალითა და ინვენტარით მომარაგება; ასევე, წრის ფუნქციონირების ეფექტურობის კონტროლი – ხელმძღვანელის მიერ პერიოდული ანგარიშების წარდგენა, რომელშიც მითითებული იქნება წრის მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეები

ანგარიშგების სისტემა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 26 აგვისტოს N281/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები“ არ მოიცავს იმ აუცილებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომლის წარმოებაც ევალება ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებას. სტანდარტები მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში ითვალისწინებს ჩანაწერების გაკეთების საჭიროებას, კერძოდ, უბედური შემთხვევის აღრიცხვის ჟურნალი (სტანდარტი 9), უკუკავშირის მოწოდების აღრიცხვის ჟურნალი (სტანდარტი 3); ძალადობის ყველა ფაქტის თუ ძალადობის შესახებ განცხადების აღრიცხვა, ასევე, საპასუხოდ გატარებული ღონისძიებების წერილობითი აღრიცხვა (სტანდარტი 12). ამგვარი ჩამონათვალი არც დაწესებულებების დებულებებშია განსაზღვრული.

აღნიშნული ხარვეზი დაწესებულებებს ურთულებს დოკუმენტაციისა და ანგარიშგების გამართული სისტემის ქონას, ხოლო მაკონტროლებელ მექანიზმებს – დაწესებულების ფუნქციონირების ანალიზს.

ბავშვთა დაწესებულებათა უმრავლესობაში გაუმართავია ან არ არსებობს შიდა ანგარიშგების სისტემა. უფროსი აღმზრდელები, უმეტეს შემთხვევებში, არ აწარმოებენ ყოველდღიური ჩანაწერებს ბავშვების მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული გამყარებულია ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ადმინისტრაციის მხრიდან არგუმენტაციით იმის თაობაზე, რომ „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“¹¹⁰ მე-5 მუხლი მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შესახებ, ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ასევე განსაზღვრულია უფროსი აღმზრდელის მიერ ინდივიდუალური გეგმების შემუშავების ვალდებულების ამოქმედება 2011 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მე-3 პუნქტის „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „კ“ ქვეპუნქტების მიხედვით 2010 წლის განმავლობაში უფროსი აღმზრდელების უფლება-მოვალეობებში შედიოდა: ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება, პროფესიის არჩევაში ხელშეწყობა, ფსიქოლოგთან და პედაგოგთან, ასევე ბავშვის კანონიერ წარმომადგენლებთან სისტემატური კავშირის ქონა და თვითმომსახურების უნარების განვითარება; შესაბამისად, ყველა ამ ფუნქციის განხორციელება, რომლებიც უფროსი აღმზრდელის უფლება-მოვალეობებში შედიოდა დაწესებულების დებულების თანახმად, აუცილებლად საჭიროებდა მათ მიერ თითოეულ პუნქტზე კონკრეტული ჩანაწერების გაკეთებას თითოეულ აღსაზრდელზე, რომელიც ჩაკრული იქნებოდა ბავშვის პირად საქმეში და მონიტორინგის ჯგუფს ისევე, როგორც ბავშვის კანონიერ წარმომადგენლებს, მიაწვდიდა ინფორმაციას წლიდან წლამდე ბავშვის განვითარებისა თუ იდენტიფიცირებული სირთულეების შესახებ. აღნიშნული ჩანაწერები არ აღმოჩნდა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების სრულ უმრავლესობაში; შესაბამისად,

¹¹⁰ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 26 აგვისტოს N281/ნ ბრძანება „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სააღმზრდელო პერსონალის მიერ ანგარიშგება გაუმართავია.

დაწესებულებების დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფილიალის უფროსი განიხილავს თანამშრომელთა ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ და წარუდგენს სააგენტოს დირექტორს. ამ ეტაპზე მონიტორინგის ჯგუფისთვის უცნობია აღნიშნული მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტურობა, თუმცა ნათელია, რომ თანამშრომლების (აღმზრდელების) მიერ ამგვარი ჩანაწერების წარმოების გარეშე აღნიშნული ვალდებულების შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია.

დადებით პრაქტიკად უნდა შეფასდეს ზუგდიდის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებისა და თბილისის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების უფროსი აღმზრდელების მონდომება და გაწეული შრომა, რომელთაც მონიტორინგის ჯგუფს გააცნეს საკუთარი აღსაზრდელებისთვის შედგენილი შეფასებისა და განვითარების გეგმები.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის დამტკიცებული დებულება არ ითვალისწინებს ღამით მორიგე აღმზრდელების მიერ ღამის საათებში აღსაზრდელებისათვის გაწეული მომსახურების შესახებ ჩანაწერების წარმოებას. დებულებაში ასევე არ არის გაწერილი ღამის აღმზრდელის მიერ დღის აღმზრდელისათვის ბავშვების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რაც ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ამავე დებულების მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, არსებობს ცალმხრივი ვალდებულება მორიგე უფროსი (დღის) აღმზრდელის მიერ (ღამის) აღმზრდელისათვის დღის განმავლობაში აღსაზრდელთა მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა. ბავშვთა ზრუნვის ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ინფორმაციის ორმხრივი გაცვლა ხდებოდეს დღისა და ღამის განმავლობაში ბავშვებთან მომუშავე პერსონალის მიერ; მაგ. ისეთი რთული პრობლემის მენეჯმენტი, როგორიცაა ბავშვთა ენურეზი, გულისხმობს დღის და ღამის აღმზრდელების შეთანხმებულ და კოორდინირებულ მუშაობას, რაც რეალურად ვერ მოხდება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების დებულების ზემოაღნიშნული ხარვეზის პირობებში.

რეკომენდაცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში გამართული ანგარიშგებისა და დოკუმენტაციის წარმოება, რომელიც სრულფასოვნად ასახავს აღსაზრდელებისთვის გაწეულ ყველა მომსახურებას, პროფესიონალთა შორის კომუნიკაციას, რა მიზნითაც დებულებაში საჭიროა ჩაემატოს იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც დაწესებულებაში უნდა აწარმოონ.

აღსაზრდელების შესახებ დოკუმენტაცია

მონიტორინგის ჯგუფის მიერ მონახულებელ უმეტეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში მოუწესრიგებელია აღსაზრდელთა პირადი საქმეები. მათი უმრავლესობა მოიცავს მხოლოდ ბავშვის დაბადების ან პირადობის მოწმობას (არსებობის შემთხვევაში), მწირ ინფორმაციას მშობლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში), სოციალური მუშაკის დასკვნას ბავშვის ჩარიცხვის შესახებ (არსებობის შემთხვევაში). ბავშვთა პირად საქმეებში არ არის ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ინფორმაცია, როგორიცაა: ბავშვის განვითარების ისტორია დაწესებულებაში ჩარიცხვიდან დღემდე; ბავშვის კოგნიტური, ემოციური და ფიზიკური განვითარების შეფასება; აღმზრდელისა და ფსიქოლოგის ჩანაწერები ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

2010 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული ყველა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელისა და მათი ოჯახების შეფასების მონაცემები, ზოგიერთ შემთხვევაში (საგურამოს, წყნეთის, ტაშისკარის, წალენჯიხის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები, „მომავლის სახლი“) ხელმისაწვდომი არ არის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღმზრდელებისა და ადმინისტრაციისთვის, რომელთაც უწევთ ყოველდღიური მუშაობა ამავე ბავშვებთან. აშკარაა კოორდინაციის ნაკლებობა სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფილიალებს შორის, რაც უარყოფითად აისახება ბავშვების ჭეშმარიტი ინტერესის დაცვის კუთხით. მონიტორინგის ჯგუფის მიერ ბავშვის განვითარებისა და სამედიცინო საჭიროებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა კითხვაზე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების თანამშრომლები პასუხობენ, რომ აღნიშნულ ინფორმაციას ფლობს სოციალური მუშაკი, თუმცა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ადმინისტრაციისთვისაც კი ეს ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი არ არის. დაწესებულების ხელმძღვანელთა განმარტებით, არასრულყოფილი პირადი საქმე მათ ხელს უშლით ბავშვის მომსახურების გეგმის შედგენაში. მათ არ აქვთ ინფორმაცია ბავშვის ოჯახისა და მშობლების საცხოვრებელი ადგილის შესახებ. სურამის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების უფროსმა განაცხადა, რომ მას პირადად სურდა მოენახულებინა ბენეფიციართა ოჯახები, რათა წარმოდგენა შეჰქმნოდა, თუ სად, რა პირობებში უწევთ ხოლმე ბავშვებს გასვლა დროებით. ამიტომ მან დიდი ძალისხმევის შედეგად მოიპოვა მისამართები და თავად მოინახულა ყველა ოჯახი.

რიგ შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაცია ახერხებს არაოფიციალური წყაროებით ბავშვის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებას, თუმცა ვერ ახერხებს ამგვარად მოპოვებული ინფორმაციის გადამოწმებას ოფიციალური შეფასების შედეგების მიხედვით. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო ართულებს დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ ბავშვთა სახლის გარეთ ბავშვის მიმართ

ძალადობის შემთხვევების გამოვლენასა და აღკვეთას, რასაც მათ ბავშვზე ზრუნვის მე-12 სტანდარტი ავალდებულებს.

ზოგიერთ დაწესებულებაში (ტაშისკარი) ბავშვთა პირად საქმეთა უმეტესობაში არ მოიძებნება სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის ჩარიცხვის საფუძველი – შეფასების დოკუმენტი. მიზეზი ორგანია: ბავშვების უმეტესი ნაწილის ჩარიცხვა მოხდა წლების წინ, როდესაც ბავშვები სოციალური მუშაკის შეფასების გარეშე ირიცხებოდნენ; სოციალური სამსახურის მიერ ბავშვის ჩარიცხვისთვის განხორციელებული შეფასების დოკუმენტი ინახება სოციალური მომსახურების სააგენტოში და ზოგ შემთხვევაში მისი ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში გადაგზავნა იგვიანებს ან საერთოდ არ იგზავნება.

პირად საქმეებში აგრეთვე არ არსებობს რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართვის მიზნით ბავშვის გაყვანის დროს განხორციელებული შეფასება ან ასაკის გამო ბავშვის ამორიცხვის დროს განხორციელებული შეფასება. სოციალური მუშაკის მიერ რეინტეგრაციასთან დაკავშირებით შედგენილი დოკუმენტებიდან, როგორც წესი, დაწესებულებას ეგზავნება მხოლოდ ერთგვერდიანი დასკვნა, რომელიც მას არ აძლევს საკმარის ინფორმაციას რეინტეგრაციის მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის შესახებ. დაწესებულების ხელმძღვანელთა განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტებიც სრული სახით ინახება სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ცენტრებში. თუმცა მათ მიაჩნიათ, რომ ბენეფიციარის ჩარიცხვის შემდეგ ეს ინფორმაცია სრული სახით უნდა მიეწოდოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებს, ვინაიდან საჭიროა, არსებობდეს ძლიერი კოორდინაცია ბავშვისთვის მომსახურების მიმწოდებელ სააგენტოებსა და უწყებებს შორის.

ზოგიერთ ბავშვს არ აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. წყნეთის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში პირადობის მოწმობის გარეშე 17 ბავშვი. კოჯრის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში 4 ბავშვს არ ჰქონდა დაბადების მოწმობა.

რეკომენდაციები სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვების პირადი საქმის სრულყოფილი წარმოება;

რეკომენდაცია სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებისთვის სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული შეფასების ამსახველი დოკუმენტის სრული სახით მიწოდება;
- ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტითა და დაბადების მოწმობით.

სადაზღვევო კომპანიების მიერ სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების სამედიცინო მომსახურება ხორციელდება სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ შემოთავაზებული მომსახურების პაკეტის შესაბამისად („იმედი ლ“ – ბათუმი, თელავი; „აი სი ჯგუფი“ – წალენჯიხა; „ალფა“ – წყნეთი, „მომავლის სახლი“, კოჯორი, „სათნოება“; „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“ – საგურამო; „ირაო“ – რუსთავი).

ბავშვთა სახლების ყველა ბენეფიციარი ვერ სარგებლობს სადაზღვევო მომსახურების პაკეტით. რუსთავის ბავშვთა სახლში სადღეღამისო მომსახურებაზე მყოფი 7 ბავშვიდან მხოლოდ ოთხს აქვს სადაზღვევო პაკეტი; სადაზღვევო პოლისი არ აქვს თელავის ბავშვთა სახლის 13 აღსაზრდელსაც. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების ყოფილმა დირექტორმა გააგზავნა წერილები (N 04/157, N04/160 და N 04/161) სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ თელავის რაიონული განყოფილების უფროსის სახელზე 2010 წლის 12 ოქტომბერს, სადაც იგი ითხოვდა 9 ბენეფიციარზე დაზღვევის პოლისის მიღებას, მონიტორინგის განხორციელების მომენტისათვისაც (23.01.2011) ბენეფიციარებს არ ჰქონდათ მიღებული არც სადაზღვევო პოლისები და არც საპასუხო წერილი, თუ რის საფუძველზე დარჩნენ აღსაზრდელები სადაზღვევო პოლისის გარეშე, ხოლო დარჩენილი 4 ბავშვის პოლისით უზრუნველყოფის საკითხის შესახებ ვერც ბავშვთა სახლის ექიმმა მოგვცა განმარტება.

ლაგოდეხის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების 36 აღსაზრდელს არ აქვს სადაზღვევო პოლისი. როგორც ლაგოდეხის ბავშვთა სახლის ექიმი აღნიშნავს თავის მოხსენებით ბარათში: *„2010 წლის მარტიდან ბენეფიციარებს აღარ აქვთ უმწეოთა დაზღვევის პოლისები, რაც სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის ბავშვების ვიწრო სპეციალისტებთან კონსულტაციის დროს და ჰოსპიტალიზაციის საჭიროების შემთხვევაში. ბავშვების მომსახურებას ვახორციელებ პირადი თხოვნის მეშვეობით. ჩვენს რაიონში დაზღვეულებს ემსახურება სადაზღვევო კომპანია „არქიმედე გლობალ ჯორჯია“. გთხოვთ, დაგვეხმაროთ, რომ ყველა ბენეფიციარმა მიიღოს დაზღვევა, რათა შევძლოთ მათი ჯანმრთელობასთან არსებული ყველა პრობლემის გადაწყვეტა“.*

წალენჯიხის ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა გარკვეულ ნაწილსაც არ აქვს სადაზღვევო პოლისი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „აი-სი ჯგუფმა“ შეცდომით შეავსო სადაზღვევო პოლისების მფლობელთა სახელი, გვარი და პირადი ნომერი, რის გამოც პოლისები უკან დააბრუნეს.

სადაზღვევო კომპანიების მიერ შემოთავაზებული მომსახურების მოცულობა თითქმის ერთნაირია. არც ერთ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული ბავშვთა და მოზარდთა ასაკის დაავადებების სპეციფიკა, დაავადებების მიმდინარეობის თავისებურებები და დინამიკა, პათოლოგიასთან მომიჯნავე მდგომარეობები, ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებული ჰორმონალური ცვლილებები და სამედიცინო-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კომპონენტები. ამიტომაც პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა ბავშვთა სახლების ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურების დროს, თითქმის ყველგან იდენტურია. არ ფინანსდება ენდოკრინული დარღვევები და შესაბამისი გამოკვლევები, მოზარდ გოგონათა გინეკოლოგთან კონსულტაცია, სათვალის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები, ქრონიკული პათოლოგიის

შემთხვევაში დაზღვევა არ ითვალისწინებს სისხლის ანალიზის მონიტორინგს, გამონაკლისის ფარგლებშიც არ ფინანსდება კომპიუტერული ტომოგრაფია.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სადაზღვევო პაკეტით ფინანსდება გეგმური ქირურგიული ოპერაციები, კონკრეტულ შემთხვევებში ვერ მოხერხდა ტონზილექტომიის ჩატარება ნარკოზით (წყნეთის ბავშვთა სახლი), ოპერაცია თვალზე (კოჯრის ბავშვთა სახლი). დაწესებულებებმა წერილითა და დამატებითი ანაგარიშ-ფაქტურით მიმართეს სააგენტოს და სადაზღვევო კომპანიებს, თუმცა პროცედურები დროში ძალიან გაჭიანურდა და მონიტორინგის განხორციელების მომენტისათვის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი.

ყველა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებისათვის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ არც ერთი სადაზღვევო პაკეტით არ არის გათვალისწინებული სტომატოლოგიური მომსახურება, მაშინ, როცა სტომატოლოგიური დაავადებების მაღალი სიხშირე სწორედ ამ ასაკობრივ პერიოდზე მოდის. ასევე, ხშირია ბავშვებში ჭიებით ინვაზია და ექიმების გადმოცემით, დაავადების დიაგნოსტიკა და მკურნალობა არ არის გათვალისწინებული სადაზღვევო ვაუჩერით.

სტომატოლოგიური მომსახურების საკითხი სხვადასხვაგვარად გადაიჭრა: სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ გამოყო დამატებითი თანხები ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელთა სტომატოლოგიურ მომსახურებაზე ბავშვთა რაოდენობების გათვალისწინებით. ხელშეკრულებით ხორციელდება სტომატოლოგიური მომსახურება ტერიტორიული პრინციპით (წყნეთის ბავშვთა სახლი, თბილისის ბავშვთა სახლი, თელავის ბავშვთა სახლი); ან სტომატოლოგიური მომსახურება მიეწოდებათ უფასოდ – მაგ. კერძო სტომატოლოგიური კლინიკა „დენსი“ ემსახურება რუსთავის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტომატოლოგიური მომსახურება ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი ყველა ბავშვთა სახლის აღსაზრდელთათვის (ლაგოდეხი).

არც ერთ სადაზღვევო პაკეტში არ არის გათვალისწინებული საჭიროების შემთხვევაში ანტიტეტანური ანატოქსინის გაკეთება, რისთვისაც დირექტორები, მათივე განცხადებით, ხშირად „საკუთარი ჯიბიდან იხდიან“, მაშინ, როდესაც დაზიანების განვითარების რისკი სწორედ რომ, ბავშვისა და მოზარდის ასაკში ძალიან მაღალია.

რეკომენდაციები სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- სადაზღვევო პაკეტების შესარჩევი ტენდერის პირობების განსაზღვრისას გათვალისწინებული იყოს ბავშვთა და მოზარდთა ზრდა-განვითარების თავისებურებანი და პათოლოგიების განვითარების რისკები, დაავადებათა თავისებურებანი და საჭიროებანი;
- სადაზღვევო პოლისი მოიცავდეს სტომატოლოგიურ მომსახურებას, ასევე სხვა აუცილებელი სამედიცინო დახმარების სახეებს;

- უზრუნველყოფილი იქნეს ბენეფიციარებისათვის სადაზღვევო პოლისების დროულად მიწოდება;
- განხორციელდეს მონიტორინგი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მიწოდების დროულობასა და ხარისხზე.

დაწესებულებების პერსონალის უფლებები

პერსონალის უფლებრივი მდგომარეობის ხარვეზები აღნიშნულია სახალხო დამცველის 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში, რომელიც შეეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობას სახელმწიფო დაწესებულებებში.

2010 წლის ბავშვთა სახლების მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ ანალოგიური პრობლემები არსებობს აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა მიმართაც. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაციები, რის გამოც აუცილებელია, განმეორებით გაესვას ხაზი პერსონალის უფლებრივ მდგომარეობას ბავშვთა სახლებში.

2010 წლის მონიტორინგის დროს პერსონალის ის ნაწილი, რომელიც ღამის განმავლობაში მუშაობდა ბავშვებთან (ბათუმის ჩვილ ბავშვთა სახლი), აცხადებდა, რომ უწევდა 3 დღეში ერთხელ 24–საათიანი მორიგეობა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ეს მათთვის ზედმეტი დატვირთვაა, იწვევს მათ გადაღლას და ითხოვდნენ 4–დღიანი გრაფიკის შემოღებას.

2011 წლის მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ მომსახურე პერსონალის სამუშაო გრაფიკი კიდევ უფრო გაუარესდა. მაგალითად, წყნეთის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში, ასევე დაწესებულებაში „სათნოება“, აღმზრდელები ყოველ მეორე ღამით მორიგეობენ, შესაბამისად, ისინი ფიზიკური გამოფიტვის სერიოზული საშიშროების წინაშე დგანან.

მნიშვნელოვანია, კომპლექსურად შეფასდეს პერსონალის მუშაობა, კერძოდ, განხილული იყოს ის ფაქტორები, რომლებიც მათ ხელს უშლის საკუთარი უფლება–მოვალეობების ჯეროვნად შესრულებაში. ყველა რანგის თანამშრომელს დაწესებულების დებულებით აქვს გარკვეული ვალდებულებები, მაგრამ ისინი ხშირ შემთხვევაში ვერ ასრულებენ აღნიშნულ მოვალეობებს. მიზეზი სხვადასხვაგვარია. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებების დებულებები და შინაგანაწესები დეკლარირებულად გადმოსცემენ პერსონალის ფუნქციების ჩამონათვალს, თუმცა არსადაა გაწერილი დეტალურად, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პრაქტიკაში მათი მოვალეობები (გამონაკლისია ინდივიდუალური მომსახურების გეგმების შედგენის საკითხი, რომლის შესახებაც მათ რამდენიმე თვის წინ ჩაუტარდათ ტრენინგები და მიეწოდათ კონკრეტული მითითებები). მონიტორინგის ჯგუფთან საუბრისას მრავალი დაწესებულების პერსონალი თხოვნიტ მიმართავდა ექსპერტებს, განემარტათ მათთვის,

თუ როგორ უნდა განხორციელდებინათ ესა თუ ის მოვალეობა (მაგ. ბენეფიციარებისგან უკუკავშირის მიღება).

„მომავლის სახლის“ აღმზრდელებს არ ჰქონდათ ინფორმაცია, თუ როგორ უნდა აღრიცხონ ბენეფიციართა დროებითი გაყვანის შემთხვევები, რაც ნიშნავს, რომ მათ ინფორმაცია არ აქვთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N52/ნ ბრძანების არსებობის შესახებ, რომლითაც მოწესრიგებულია აღნიშნული საკითხი. ლაგოდეხის ბავშვთა სახლის აღმზრდელების განცხადებით, მათ საკუთარი ინიციატივით შეადგინეს ამგვარი ჟურნალი. ცხადია, რომ დაწესებულების ხელმძღვანელისა და სააგენტოს მიერ არ მომხდარა მათი ინფორმირება აღნიშნულ საკითხზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბავშვთა სახლების დებულებები საკმაოდ ბუნდოვან განმარტებას იძლევა უფროსი აღმზრდელების უფლება-მოვალეობებზე: ზოგადი ჩანაწერი „ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობის“ შესახებ, სხვადასხვანაირად ესმის სხვადასხვა ბავშვთა სახლის პერსონალს და საკუთარი შეხედულებისამებრ ამ პროცესში ხან პედაგოგიურ გაკვეთილებს გულისხმობენ (გაკვეთილი დედაზე, საქართველოს კულტურაზე ა.შ.) და ხანაც – ბავშვებთან არაფორმალურ საუბრებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არც ერთ შემთხვევაში დოკუმენტურად არ ფიქსირდება ამა თუ იმ სააღმზრდელო პროცესის შედეგი და/ან ეფექტურობა. ამ აღმზრდელებისთვის არც დაწესებულების ადმინისტრაციასა და არც სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს არ მიუწოდებია სრულფასოვანი ანგარიშგების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის შევსებითაც აღმზრდელები დაცულნი იქნებოდნენ მათ მიმართ წაყენებული პრეტენზიებისგან ანგარიშგების ხარვეზების შესახებ.

ბავშვთა სახლების აღმზრდელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოვალეობა ცხოვრების ჯანსაღი წესის სწავლებასთან დაკავშირებით, რომელიც, ბუნებრივია, გულისხმობს აღსაზრდელებისათვის ასაკის შესაბამისი სექსუალური განათლების მიწოდებასაც. არც ერთ ბავშვთა სახლში არ აღმოჩნდა აღმზრდელი, რომელსაც ექნებოდა აღნიშნული კომპეტენცია. როგორც აღმზრდელების გადმოცემით ირკვევა, ეს თემატიკა არ ყოფილა სათანადოდ გაანალიზებული სააგენტოს მიერ მათთვის უზრუნველყოფილი კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების დროსაც. თუმცა, უმეტეს ბავშვთა სახლში ცხოვრობენ გარდატეხის ასაკში მყოფი აღსაზრდელები, რომელთათვისაც ამგვარი ინფორმაციის მიწოდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათი ჯანმრთელობისა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვის კუთხით. წყნეთის ბავშვთა სახლი, ასევე სააღმზრდელო დაწესებულება „მომავლის სახლი“ ღიად საუბრობენ ბავშვებისათვის ამგვარი განათლების მიწოდების აუცილებლობაზე და აღნიშნავენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ყოლის აუცილებლობას. კომპეტენციისა და ინფორმაციის არქონის პირობებში საკმაოდ რთულია, უფროს აღმზრდელებს მოეთხოვოს დებულებით გათვალისწინებული აღნიშნული პუნქტის შესრულება.

სამართლებრივი რეგულირების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა დგას თითქმის ყველა დაწესებულებაში. შესაბამისად, როცა დარღვევებზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, თუ რა გარემოში უხდება მუშაობა პერსონალს, როგორია მისი ინფორმირების დონე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, სააგენტომ რატომ არ მიაწოდა სწორი და აუცილებელი ინფორმაცია და სხვა.

მიუხედავად სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ 2010 წელს განხორციელებული ბავშვთა სახლების პერსონალის ხელფასების 20%-იანი ზრდისა, კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება პერსონალის შეუსაბამოდ დაბალი ანაზღაურება, რომლის პირობებშიც თითქმის შეუძლებელია მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა ამ დაწესებულებებში. ბავშვთა სახლში უფროსი (დღის) აღმზრდელის მაქსიმალური ხელფასია 350 ლარი, ხოლო აღმზრდელისა (რომელიც ყოველ მეორე ღამეს მორიგეობს ბავშვებთან) – 290 ლარი; დაწესებულებებში მომუშავე ფსიქოლოგებისა და წრის ხელმძღვანელების ხელფასი – 290 ლარი; ექიმისა – 350 ლარი; მზარეულისა – 240 ლარი. აღნიშნული სახელფასო განაკვეთის პირობებში დაწესებულების ადმინისტრაცია ვერ მოახერხებს კვალიფიციური კადრის მოზიდვასა და შენარჩუნებას, რაც დადასტურდა კონკრეტული ბავშვთა სახლების შემთხვევაშიც.

ბავშვთა სახლების ექიმების გარკვეულ ნაწილს არ გაუვლია პროფესიულ განათლებაში ტრენინგი უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. ექიმები მიუთითებდნენ სპეციფიკურ საჭიროებებზე, ორიენტირებული, უწყვეტი სამედიცინო განათლების კურსების ჩატარების აუცილებლობაზე. ექიმები ასევე მიუთითებდნენ სპეციალური კურსების ორგანიზების აუცილებლობაზე ექთნებისათვისაც, სააღმზრდელო დაწესებულებების ბენეფიციართა განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით.

ექიმები და ფსიქოლოგები ითხოვდნენ საჭირო დამხმარე მეთოდურ მასალას, ასევე ინფორმირებას აუცილებელი და საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალისა და მათი წარმოების წესის შესახებ; დოკუმენტებს ჰიგიენური ნორმებისა და კვების სადღეღამისო მოთხოვნების, ასაკობრივი მენიუების შედგენის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადად მეტყველებს, რომ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში პერსონალისათვის შრომის პირობების გაუმჯობესება – ინფორმაციის მიწოდება, კვალიფიკაციის ამაღლება, ჯანმრთელობისათვის საზიანო გრაფიკის შეცვლა და სათანადო ანაზღაურების უზრუნველყოფა – წარმოადგენს აუცილებელ პირობას ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

რეკომენდაციები სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი იქნეს შრომის სათანადო პირობების შექმნა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალისთვის, მათ შორის, შესაბამისი ანაზღაურების განსაზღვრაც;
- უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებისთვის დეტალური გაიდლაინების შედგენა და მარეგულირებელ

საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებზე სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება.

მიმდინარე რეფორმა და მასთან დაკავშირებული პრობლემები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად¹¹¹, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ მართვის სფეროს.¹¹² დაწესებულებებში ჩარიცხვა-ამორიცხვის საკითხს კურირებს იმავე სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“.¹¹³

მონიტორინგის განხორციელებამდე შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილ იქნა სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელიც შეეხება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ფუნქციონირებას, ბავშვზე ზრუნვის 2010 წლის პროგრამის¹¹⁴ განხორციელებას, ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის მიმდინარეობასა და სხვა.

ჯანდაცვის მინისტრის N441/ნ ბრძანების მიხედვით ბავშვზე ზრუნვის პროგრამის განხორციელებაზე მონიტორინგი, ევალება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვისა და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა მათ და მოითხოვა აღნიშნული მონიტორინგის/შეფასების ამსახველი დოკუმენტაციის ასლები, ასევე მონიტორინგის/შეფასების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტაციის ასლები.¹¹⁵ სამინისტროდან მოსული პასუხით¹¹⁶ გვეცნობა, რომ პროგრამის მიმდინარეობის შეფასების მიზნით რეგულარულად ხორციელდებოდა სამინისტროსა და ცალკეული დაწესებულებების წარმომადგენლების შეხვედრები როგორც ადგილებზე, ისე სამინისტროში, რა დროსაც „ერთობლივად განიხილებოდა ისეთი პრობლემური საკითხები, როგორიცაა: ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებათა შენობა-ნაგებობის კეთილმოწყობა, ბავშვთა ჩარიცხვის რეგულაციების განსაზღვრა, აღსაზრდელთა ჯანმრთელობის პრობლემების უზრუნველყოფა, ასევე, სააღმზრდელო დაწესებულებათა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

¹¹¹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 25 თებერვლის N428/ნ და N339/ნ ბრძანებები.

¹¹² გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, რომლებიც ექვემდებარება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს.

¹¹³ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

¹¹⁴ დამტკიცებულია შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის N441/ნ ბრძანებით

¹¹⁵ 2011 წლის 24 იანვრის N121/03 და 122/03 წერილები.

¹¹⁶ 2011 წლის 4 თებერვლის N01-10/04/680 წერილი.

ამასთან, 2009 წლის დასაწყისში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა – ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ადმინისტრაციებმა, წარმოადგინეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაცია. წლის მანძილზე, არსებული მდგომარეობის გაცნობის მიზნით, სამინისტროს წარმომადგენლებმა ადგილზე მოინახულეს ყველა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება. აღნიშნული ემსახურებოდა, როგორც დაწესებულებაში არსებული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას, ისე შენობა-ნაგებობების მდგომარეობის დადგენას, რაც შემდგომში [დაეხმარებოდათ] იმ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებათა განსაზღვრაში, რომელიც პრიორიტეტების გათვალისწინებით დაექვემდებარებოდა რეაბილიტაციას.“

იმავე წერილის თანახმად, „რაც შეეხება ბავშვზე ზრუნვის 2010 წლის პროგრამის მონიტორინგის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს, პროგრამის თანახმად სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ ხორციელდებოდა პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ მოწოდებული ანგარიშების ანალიზი და ღონისძიებების შედეგების შეფასება.“

სამწუხაროდ, აღნიშნული წერილის დანართი არ შეიცავდა არანაირ დოკუმენტს, რომელიც ასახავდა ჩატარებული სამუშაოების შედეგებს, შეხვედრებისა და მონიტორინგის დროს გამოვლენილ ნაკლოვანებებსა და მათი აღმოფხვრის გზებს, არც პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ მოწოდებული ანგარიშების ანალიზის შედეგებსა და ღონისძიებების შედეგების შეფასებას. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი დოკუმენტი/დოკუმენტები ვერც განმეორებითი მოთხოვნის შედეგად მივიღეთ.¹¹⁷

ამრიგად, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ვერ მოიპოვა სათანადო დოკუმენტაცია და ინფორმაცია ბავშვზე ზრუნვის პროგრამის განხორციელებაზე ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მხრიდან მონიტორინგის თაობაზე, ასევე, – ვიზიტების, შეხვედრებისა და განხილვების შედეგების ასახვაზე შემაჯამებელ დოკუმენტში, ხოლო ამ უკანასკნელზე დაყრდნობით, დარღვევებისა და პრობლემების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრის გზების დაგეგმვა-განხორციელებაზე.

რეინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობისას აღმოჩენილი დარღვევები

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი გულისხმობს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ბენეფიციარების დაბრუნებას (რეინტეგრაციას) მათ ბიოლოგიურ ოჯახებში ან მათ განთავსებას მიმღებ ოჯახში. დეინსტიტუციონალიზაციის განხორციელებისთვის სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ სოციალური მუშაკი შეაფასებს ოჯახს, რაც გულისხმობს მშობლის/მშობლების და ოჯახის სხვა წევრების პიროვნების, მატერიალური და ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვა

¹¹⁷ 2010 წლის 16 თებერვლის N202/03 წერილი

კომპონენტების შეფასებას იმისთვის, რომ ნათელი გახდეს, რამდენად აქვს ოჯახს შესაძლებლობა, უზრუნველყოს ბავშვი ფიზიკური, ფსიქიკური და გონებრივი განვითარებისთვის სათანადო პირობებით. 2010 წელს, სოციალური მუშაკების განსაკუთრებული აქტიურობის შედეგად, მოხდა გარკვეული რაოდენობის ბავშვების რეინტეგრაცია თავიანთ ბიოლოგიურ ოჯახებში.¹¹⁸

მონიტორინგის მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფისთვის ცნობილი გახდა სააღმზრდელო დაწესებულებების ბავშვთა რეინტეგრაციის პროცესის თვალსაჩინო ხარვეზები. რამდენიმე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ადმინისტრაცია და აღმზრდელები (ლაგოდების ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, თელავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, სურამის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, ტაშისკარის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, ასპინძის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება) მიუთითებდნენ კონკრეტულ შემთხვევებზე, როდესაც აღსაზრდელების გაყვანა ბიოლოგიურ ოჯახებში მოხდა ნაჩქარევად, ოჯახის შესაძლებლობებისა და ბავშვის განვითარებისთვის აუცილებელი გარემოს არსებობის ჯეროვანი შეფასების გარეშე. შედეგად, ზოგიერთი ბავშვი დაბრუნდა ბიოლოგიურ ოჯახში, სადაც არ არსებობს მისი განვითარებისთვის ელემენტარული პირობებიც კი.

სააღმზრდელო დაწესებულებების პერსონალის, მშობლებისა და თავად ბავშვების მტკიცებით, ხშირ შემთხვევაში, ბავშვების ოჯახებში რეინტეგრირებისთვის სოციალური მუშაკები იყენებენ არცთუ ისე მისაღებ მეთოდებს – იმის მაგივრად, რომ ობიექტურად შეაფასონ ოჯახის მდგომარეობა და გადაწყვიტონ, შედის თუ არა ბავშვის ინტერესებში იქ დაბრუნება (რაც დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის განუყოფელი მექანიზმია), ისინი არწმუნებენ მშობლებს, რომ თუ ბავშვს არ დაიბრუნებენ, მათ ჩამოერთმევათ მშობლის უფლება, რაც არ წარმოადგენს რეალობას, ვინაიდან ბავშვის სააღმზრდელო დაწესებულებაში დარჩენა არ განაპირობებს მშობლის უფლების ჩამორთმევას – კანონის თანახმად,¹¹⁹ ამ შემთხვევაში მშობლის უფლების შეზღუდვა შემოიფარგლება ზოგიერთ სიტუაციაში (სამედიცინო ჩარევის უფლების მიცემა, ბავშვის გასვლა დაწესებულებიდან ამა თუ იმ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად) დაწესებულების ადმინისტრაციისთვის მშობლის მაგივრად გადაწყვეტილების მიღების უფლების მინიჭებით და არანაირად არ ნიშნავს, რომ მშობელი ვეღარ იხილავს თავის შვილს ან ვეღარ დაიბრუნებს ოჯახში, თუ ოდესმე მას ამის საშუალება გაუჩნდება. სოციალური მომსახურების სააგენტოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მშობლის უფლების შეზღუდვა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ბენეფიციართა შემთხვევაში ძირითადად შემოიფარგლება ორი მიმართულებით: ბავშვის წარმომადგენლობის უფლება და ბავშვის საცხოვრებლის განსაზღვრის უფლება.

მშობლებისა და აღმზრდელების თქმით, ზოგიერთი შემთხვევაში სოციალური მუშაკები კიდევ უფრო შორს მიდიან და მშობლებს მატერიალური სარგებლით „იტყუებენ“. მათი

¹¹⁸ იხ. ზემოთ, „სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების 2010 წლის მონიტორინგის შედეგად განხორციელებული ცვლილებები“.

¹¹⁹ “შვილად აყვანის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტი.

თქმით, მშობლებს ხშირ შემთხვევაში არ მიეწოდებათ სრული ინფორმაცია რეინტეგრაციის დახმარების შესახებ, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ დახმარება – 90 ლარი¹²⁰, რომელიც ბავშვის რეინტეგრაციის შემთხვევაში ბიოლოგიურ ოჯახებს ეძლევათ, გაიცემა ექვსი თვის განმავლობაში, რაც ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის ბავშვის აღსაზრდელად საჭირო სახსრების უზრუნველყოფას. არის შემთხვევები, როდესაც აღნიშნული დახმარების მიღების მიზნით ბიოლოგიური მშობელი დასთანხმდა ბავშვის გამოყვანას, თუმცა ამის შემდეგ ბავშვი რომელიმე ნათესავს მიაბარა, ხოლო თვითონ მხოლოდ დახმარების მიღებით „შემოიფარგლა“ (ასპინძის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება).

იმედს ვიტოვებთ, რომ ზემოაღნიშნული ფაქტები ზოგიერთი სოციალური მუშაკის მხრიდან ეთიკისა და პროფესიონალიზმის პრინციპების არცოდნაზე მიუთითებს და არ წარმოადგენს სოციალური მომსახურების სააგენტოს გამიზნულ პოლიტიკას, რაც მიზნად ისახავს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ხელოვნურ დაჩქარებას.

მიუხედავად იმისა, რომ თავად დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი მისასალმებელია, აუცილებელია მისი ჯეროვანი მართვა და შეფასებისა და კონტროლის სათანადო მექანიზმის შემუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი არასათანადო მიმართულებით განვითარდეს და უკუშედეგი გამოიღოს – ბავშვები განთავსდნენ არაკეთილსაიმედო გარემოში, სადაც არც ფიზიკური და არც გონებრივი განვითარების პირობები არ იქნება შექმნილი.

აღნიშნული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვინაიდან დაწესებულებების გეგმური მონიტორინგის პროცესში შეუძლებელი გახდა ყველა ამგვარი საექვო შემთხვევის აღრიცხვა და რეინტეგრაციის ადგილის ვიზიტი, სახალხო დამცველი მომავალში გეგმავს მსგავსი შემთხვევების შემოწმებასა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მონიტორინგს.

სურამის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების შემთხვევა

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დირექტორისადმი სურამის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის წერილში¹²¹ აღნიშნულია, რომ მისდამი დაქვემდებარებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელების, ნ.ა.-ს, თ.ა.-ს, თ.ა.-ს და ი.ა.-ს მამის ხ.ა.-ს, გადმოცემით, სოციალური მუშაკები აიძულებენ ბავშვები გაიყვანოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებიან მშობლის უფლების შეზღუდვით ან ჩამორთმევით. თავად ხ.ა.

¹²⁰ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილების მე-10³ მუხლი:

„რეინტეგრაციის შემწეობა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) ჯანმრთელი ბავშვისათვის – თვეში 90 ლარით;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის – თვეში 130 ლარით.“

¹²¹ 2010 წლის 20 ივლისი N118.

ამბობს, რომ არ აქვს პირობები ბავშვების აღზრდისთვის. მეუღლე გარდაცვლილი ჰყავს. არ აქვს ბინა. ღამეს ნათესავებთან ათევს, თუმცა ბავშვებს სისტემატურად აკითხავს.

ასევე, აღსაზრდელების ი.ბ.-ს, გ.ბ.-ს და ჯ.ბ.-ს დედა ც.ბ. აღნიშნავს, რომ სოციალური მუშაკები ავალდებულებენ მას ბავშვების გაყვანას დაწესებულებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებიან მას დედობის უფლების ჩამორთმევით. თავად ც.ბ. აცხადებს, რომ არის დევნილი გორის რაიონის სოფელ ერედვიდან. არც მას და არც მის მეუღლეს არა აქვთ სამსახური. არის მრავალშვილიანი დედა. ბავშვების რჩენის საშუალება არ აქვს.

ანალოგიურ პრობლემებზე საუბრობენ აღსაზრდელები გ.მ., ბ.მ., და ზ.მ., რომლებსაც მამა გარდაეცვალათ, დედა არ აკითხავთ. ბავშვებს აკითხავთ მხოლოდ ბაბუა, რომელიც ღრმად მოხუცებულია და ბავშვების გასაყვანად არც პირობები აქვს და არც ასაკი უწყობს ხელს.

სურამის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის აღნიშნულ განცხადებაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილობითი პასუხის¹²² თანახმად, ი.ბ.-ს, გ.ბ.-ს და ჯ.ბ.-ს დედის ც.ბ.-ს განცხადება ბავშვების რჩენის შეუძლებლობის შესახებ არ შეესაბამება რეალობას, ვინაიდან „ (...) *ოჯახს აქვს შემოსავალი – დევნილობის შემწეობა და სოციალური დახმარება, რომელიც ყოველთვიურად განისაზღვრება 198 ლარის ოდენობით (...) ასევე ოჯახს ჰყავს მეწველი ძროხა და შინაური ფრინველები (...)*“. სოციალურ მუშაკს მიაჩნია, რომ შესაძლებელია ბავშვების რეინტეგრაცია ფინანსური შემწეობით ოჯახში, მაგრამ დედა უარს ამბობს ბავშვების ოჯახში დაბრუნებაზე, აქედან გამომდინარე, მშობელს სასამართლოს მიერ უნდა განესაზღვროს (შეეზღუდოს ან ჩამოერთვას უფლებები) სტატუსი, რათა მოხდეს ბავშვების განთავსება ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში.

მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით, ანალოგიურ შემთხვევებში მშობლები საბოლოოდ მაინც თანხმდებიან ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრაციაზე. შედეგად, მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირდა რეინტეგრაციის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ბავშვები არასათანადო გარემოში აღმოჩნდნენ.

ასპინძის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება

ასპინძის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ბენეფიციარის, 16 წლის ლ.მ.-ს რეინტეგრაცია მოხდა ბიოლოგიურ ოჯახში, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკის შეფასების თანახმად: „*ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ოჯახს საშუალებას არ აძლევს, რომ დააკმაყოფილოს ბავშვის ძირითადი მოთხოვნილებები (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ოჯახების სარეგისტრაციო ბაზაში ოჯახის სარეიტინგო ქულაა – 32310)*“. მონიტორინგის ჯგუფმა ადგილზე მოინახულა ბავშვის ოჯახი და დააფიქსირა, რომ ვიზიტის მომენტში არასრულწლოვანი იყო ვირუსული ინფექციით ავად, ჰქონდა მაღალი ტემპერატურა, ხოლო ოჯახის განცხადებით, მათ არ შეეძლოთ საჭირო

¹²² 2010 წლის 4 ოქტომბერი N03/12-18847

მედიკამენტებით ბავშვის უზრუნველყოფა. სოციალური მუშაკის დასკვნაშივე იყო აღნიშნული, რომ ოჯახი სახლობს სოფელში, სადაც არ არის სკოლა. ამიტომ სასკოლო პერიოდში ბავშვი განთავსდებოდა ნათესავის ოჯახში. თუმცა მონიტორინგის ჯგუფთან საუბრისას, არასრულწლოვნის მშობელმა აღნიშნა, რომ რეინტეგრაციის თანხით (90 ლარი) მათ მოუწევდათ ბინის დაქირავება ასპინძაში, სადაც არასრულწლოვანი მარტო იცხოვრებდა, სამაგიეროდ, სკოლაში სიარულის საშუალება ექნებოდა. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანი ლ.მ.-ს ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა ბავშვის ჯანმრთელობის, განათლებისა და განვითარების უფლების შეზღუდვის რისკის ქვეშ. სოციალური მუშაკის დასკვნით, ბიოლოგიური ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთ გარანტს წარმოადგენდა რეინტეგრაციის ფინანსური შემწეობა (90 ლარი), რომელიც 6 თვის ვადით განესაზღვრა ბიოლოგიურ ოჯახს. მშობლის გამოცემით, ბავშვის რეინტეგრაციის გადაწყვეტილების მიღების ერთადერთ მიზეზს წარმოადგენდა მისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შიში.

ასპინძის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებიდან რეინტეგრაციის პროგრამით გასულ ბენეფიციარებს ს.ბ.-ს და მ.ბ.-ს, შეუზღუდათ განათლების უფლება, ვინაიდან სოფელ ორგორაში, სადაც მოხდა მათი ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, არ იყო ქართულენოვანი საჯარო სკოლა. შედეგად, ბავშვებს მოუხდათ საცხოვრებლად ნათესავის ბინაში დარჩენა ასპინძაში, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი სოციალურ-ეკონომიკური პირობები. სოციალურ მუშაკის დასკვნაში კვლავ აღნიშნულია, რომ „ოჯახი ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, რაც ვერ იძლევა სტაბილურ შემოსავალს, ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას არ აძლევს, რომ ბავშვის ძირითადი მოთხოვნილებები დააკმაყოფილონ“. ამ შემთხვევაში ოჯახის ეკონომიკური გაძლიერების გარანტად მიჩნეული იქნა რეინტეგრაციის ფინანსური დახმარების (90 ლარი) სამი თვით დანიშვნა.

ლაგოდების ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება

ლაგოდების ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ადმინისტრაციის შეტყობინებით, 2009 წელს მოხდა სამი არასრულწლოვანი დის, ე.მ.-ს, ე.მ.-ს და ა.მ.-ს რეინტეგრაცია. აღმზრდელების გადმოცემით, მას შემდეგ ბავშვები სისტემატურად დაკავებულნი არიან ქუჩაში მათხოვრობით.

ამავე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ბენეფიციარი თ.რ.-ს რეინტეგრაცია მოხდა 2009 წელს, რის შემდეგაც ბავშვი, ოჯახის გადაწყვეტილებით, რეგულარულად დადის საქონლის სამწყემსად, რის გამოც ვერ იღებს განათლებას. იგი ასევე მოკლებულია სრულფასოვან საკვებს. ბავშვის დედამ არასრულწლოვნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში დაბრუნების თხოვნით არაერთხელ მიმართა ჯერ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებას, შემდეგ კი – სოციალური მომსახურების სააგენტოს. ბავშვი არ დაუბრუნებიათ.

ტაშისკარის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება

ტაშისკარის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ადმინისტრაციის შეტყობინებით, 2010 წელს მოხდა ზ.მ.-ს რეინტეგრაცია ბიოლოგიურ ოჯახში, სადაც აღინიშნებოდა ოჯახური ძალადობის გამოკვეთილი ნიშნები. დედამ არაერთხელ მიმართა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების უფროსს ბავშვის უკან დაბრუნების თხოვნით. ანალოგიურ შემთხვევა იყო ამავე დაწესებულებიდან ნ.გ.-ს ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის დროს; ბავშვი მუდმივად სთხოვდა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ხელმძღვანელს მის სააღმზრდელო დაწესებულებაში დაბრუნებას; ამ შემთხვევაში სოციალური სამსახურის მიერ მართლაც დადგინდა ოჯახური ძალადობის შემთხვევა და მოხდა ბავშვის ხელახალი განთავსება სურამის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში.

ტაშისკარის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ყოფილი ბენეფიციარების მშობელმა ახსნა-განმარტებითი ბარათი დაწერა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის სახელზე, სადაც აღნიშნავდა, რომ ბავშვების რეინტეგრაცია სოციალურმა მუშაკმა განახორციელა ცრუ დაპირების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ბავშვების ოჯახში დაბრუნების შემთხვევაში, ოჯახის გაძლიერების მიზნით, მოხდებოდა საცხოვრებლის გარემონტება და შინაური პირუტყვის შეძენა. დირექტორის განმარტებით, აღნიშნული დაპირება არ შესრულებულა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ.

ტაშისკარის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების სხვა ყოფილი ბენეფიციარის, დ.რ.-ს ახსნა-განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებიდან მისი ამორიცხვა მოხდა მასთან სოციალური მუშაკების გასაუბრების გარეშე. მან აღმზრდელებთან საუბრისას მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ აღარ ირიცხებოდა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში და იძულებით მოუწია სამ და-ძმასთან ერთად ოჯახში დაბრუნება, სადაც, დაწესებულების დირექტორის გადმოცემით, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა.

აუცილებელია, სოციალური მომსახურების სააგენტო უფრო დეტალურად და სიღრმისეულად დაინტერესდეს რეინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობით, რათა ზოგიერთი სოციალური მუშაკის არასათანადო მუშაობამ ჩრდილი არ მიაყენოს ამ უმნიშვნელოვანესი რეფორმის სათანადო და ეფექტურ განხორციელებას.

რეკომენდაცია სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორს:

- განხორციელებული იქნეს ბავშვთა ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების ყველა შემთხვევის მონიტორინგი და შეფასდეს ყველა პრობლემური შემთხვევის ხელახლა.

დიდი ზომის სააღმზრდელო დაწესებულებების საოჯახო ტიპის სახლებით ჩანაცვლების პროცესი

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროდან პრაქტიკულად ვერანაირი ინფორმაცია ვერ მოიპოვა იმის შესახებ, როგორ იგეგმება ბავშვზე ზრუნვის რეფორმის ერთ-ერთი საკვანძო მიმართულების – დიდი სააღმზრდელო დაწესებულებების საოჯახო ტიპის სახლებით ჩანაცვლების – განხორციელება, გარდა იმ ზოგადი მონაცემებისა, რომლებსაც შეიცავს ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის ძირითადი მიმართულებების 2011–2012 წლების სამოქმედო გეგმა.

აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ დეინსტიტუციონალიზაციისა და მინდობით აღზრდა/გაშვილების პროცესის დასრულების შემდეგ ბავშვთა სახლებში დარჩენილი 576–მდე აღსაზრდელი გადანაწილდება რეგიონული პრინციპით შერჩეულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, რომელთაგან თითოეული მოემსახურება მაქსიმუმ 8 აღსაზრდელს. საწყის ეტაპზე დაგეგმილია 72 ასეთი სახლის ამუშავება. აღმზრდელების ფუნქციას შეასრულებენ ე.წ. დედობილ–მამობილი. მცირე საოჯახო ტიპის სახლების დაფინანსება იგეგმება როგორც საბიუჯეტო, ისე დონორთა თანხებითა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, „*არსებული გამოთვლებით მათი მოცულობა არ აღემატება დღეს მოქმედ ინსტიტუციებზე გაწეულ ხარჯებს.*“ სამოქმედო გეგმის მიხედვით მცირე საოჯახო ტიპის სახლების მართვა გადაეცემა კონკურსის წესით შერჩეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია მათი ლიცენზირება, ხოლო დედობილ–მამობილის საქმიანობის მუდმივი მონიტორინგი, სამოქმედო გეგმის თანახმად, სავარაუდოდ, დაევალება სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს. პარალელურად, სოციალური მომსახურების სააგენტო, სოციალური მუშაკების მეშვეობით, ბავშვის საჭიროებებს რეგულარულად შეაფასებს.

ზემოაღნიშნული სიახლე, რომელიც გულისხმობს ბავშვის კეთილდღეობისთვის, მისი დიდი დაწესებულებებიდან ოჯახურთან მიახლოებულ გარემოში განთავსებას, უდავოდ მისასალმებელია. აღნიშნული პროცესის სწორად წარმართვასა და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის წინასწარ განსაზღვრაზე ბევრად არის დამოკიდებული რეფორმის წარმატება. ვინაიდან სამოქმედო გეგმა შეიცავს მხოლოდ რეფორმის ძირითად მიმართულებებს, ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს¹²³ და მოითხოვა ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია შემდეგ საკითხებზე:

¹²³ 2011 წლის 1 თებერვლის #161–03 წერილი.

- დედობილ-მამობილის შერჩევის კრიტერიუმების, ასევე მათი ფუნქციებისა და მუშაობის მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, როდის იგეგმება აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება);
- მცირე საოჯახო ტიპის სახლის მმართველი ორგანიზაციის შერჩევის კრიტერიუმების ამსახველი დოკუმენტი (კონკურსის პირობები);
- მცირე საოჯახო ტიპის სახლის ფუნქციონირების რომელ ასპექტებზე განახორციელებს მონიტორინგს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო (სხვა შემთხვევაში, რომელი ორგანო განახორციელებს აღნიშნული სახლების მონიტორინგს და როგორ); იგეგმება თუ არა ამასთან დაკავშირებით ცვლილებებისა და დამატებების შეტანა საქართველოს კანონმდებლობაში (რომელ აქტებში?);
- სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის საჭიროებათა რეგულარული შეფასების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი;
- ნებისმიერი სხვა დოკუმენტი ან საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის განხორციელებას უკავშირდება.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული წერილის თანახმად¹²⁴, „მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურების მიმწოდებლებს წარმოადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციები (...) რომელთაც შემუშავებული აქვთ მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელთა შერჩევის ინდივიდუალური კრიტერიუმები და მეთოდოლოგია, ისევე, როგორც აღმზრდელთა სამუშაო აღწერილობები და მათ მიერ გაწეულ საქმიანობაზე ზედამხედველობის სისტემები“. აღნიშნული კრიტერიუმები, სამუშაო აღწერილობები და მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტაცია არ ერთვოდა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

ამავე წერილის თანახმად, მცირე საოჯახო ტიპის სახლების მმართველი ორგანიზაციის შერჩევის კრიტერიუმის ამსახველი დოკუმენტი და კონკურსის პირობები ამ ეტაპზე განსაზღვრული არ არის. ასევე, სამინისტროს მიერ მცირე საოჯახო ტიპის სახლების მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანო და მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები ამჟამად განხილვის სტადიაშია და გადაწყვეტილებები ჯერ არ არის მიღებული.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც მცირე საოჯახო ტიპის სახლების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი დაუზუსტებელია, ამ ეტაპზე შეუძლებელია რეფორმის პროცესების შეფასება და გადაჭრით თქმა, რამდენად დაგეგმილად და მომზადებულად ხდება მცირე საოჯახო ტიპის სახლების სისტემაზე გადასვლა.

დასკვნითი რეკომენდაციები:

¹²⁴ 2011 წლის 3 მარტის #01/1418 წერილი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შემუშავებული იქნეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგისა და კონტროლის ეფექტური და ქმედითი მექანიზმი შესაბამისი ანგარიშგების სისტემით;
- პირადი კონტროლის ქვეშ იქნეს აყვანილი ძალადობის ყველა გამოვლენილ ფაქტზე რეაგირება;
- 2010 წლის 26 თებერვლის N 52/ნ ბრძანების „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლს დაემატოს შესაბამისი ქვეპუნქტი, რომელიც დაარეგულირებს ბენეფიციარის დროებითი გაყვანას სტაციონარში ან სხვა ტიპის სამედიცინო-სამკურნალო სარეაბილიტაციო დაწესებულებაში;
- ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ბენეფიციარის სტაციონირების ყველა შემთხვევაზე უზრუნველყოფილი იქნეს ფორმა N IV-100/ა-ს წარმოება და მისი ასლის გადაცემა სააღმზრდელო დაწესებულებისთვის.
- N52/ნ ბრძანებაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რათა ბენეფიციარის მიერ დაწესებულების დატოვების შემთხვევების აღრიცხვის დროს სავალდებულო გახდეს მისი რეალური დაბრუნების თარიღის მითითება, ასევე, დაწესებულების წარმომადგენლის ხელმოწერა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- უზრუნველყოფილი იქნეს სამინისტროს გენერალური ინსპექციის სათანადო რეაგირება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან ბენეფიციარებზე სკოლის მასწავლებლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ ყველა შეტყობინებაზე.
- უზრუნველყოფილი იქნეს მის დაქვემდებარებაში მყოფ პანსიონური მომსახურების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა ჩარიცხვის ერთიანი წესის შემოღება, სამტრედიის N15 საჯარო სკოლის დებულების დამტკიცება, რომელშიც დაწესებულების მუშაობის პროფილი იმგვარად განისაზღვრება, რომ არ შეუწყობს ხელს ბავშვთა სტიგმატიზაციასა და საზოგადოებიდან გარიყვას.

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა“ და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორებს:

- უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფო ზრუნვისა და სოციალური მომსახურების სააგენტოების თანამშრომელთა ტრეინინგი ბავშვის უფლებების დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობაში, ასევე აღნიშნული უფლებების დაცვისთვის შექმნილ საერთაშორისო და ეროვნულ მექანიზმებში.

- განახორციელონ ერთობლივი, კომპლექსური და კოორდინირებული მუშაობა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და მართვისთვის.

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორს:

- უზრუნველყოფილი იქნეს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მონიტორინგის ხელშეწყობა და შეუფერხებელი წარმართვა მომავალში;
- შემუშავებული და დანერგილი იქნეს დაწესებულებების ადმინისტრაციის მხრიდან ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და მათ შესახებ ანგარიშგების სწრაფი, ეფექტური და გამჭვირვალე სისტემა;
- სკოლის პედაგოგების მიერ სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელებზე განხორციელებული ძალადობის ყველა შემთხვევა ეცნობოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“;
- შესაბამისი დამატებები განახორციელოს დაწესებულებების დებულებებში, რათა ბავშვის ყოველი გასვლა-შემოსვლისას დაწესებულების ექიმმა ჩაატაროს ბავშვების გარეგნული დათვალიერება, მათ შორის, ოჯახური ძალადობის შემთხვევების პრევენციისა და გამოვლენის მიზნით;
- ყველა დაწესებულების ექიმს დაევალოს დაზიანებების ჟურნალის წარმოება, სადაც სათანადო ნაწილში აღირიცხება და აღიწერება ყველა დაზიანების, თვითდაზიანებისა და საყოფაცხოვრებო ტრავმის ფაქტი, მათი წარმომავლობის ბავშვისეული ვერსიის მითითებით;
- ყველა დაწესებულების ექიმსა და პერსონალის ყოველ წევრს დაევალოს ძალადობის საეჭვო შემთხვევების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება ადმინისტრაციისათვის, იმ შემთხვევების გათვალისწინებით, როდესაც მოძალადე, ბავშვის განცხადებით, არის თავად დირექტორი, რა დროსაც ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პირდაპირ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“;
- ყველა დაწესებულების ფსიქოლოგს დაევალოს სპეციალური ჟურნალის წარმოება ძალადობის ფაქტების დასაფიქსირებლად, ასევე, აღნიშნული ფაქტების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება ადმინისტრაციისადმი. იმ შემთხვევაში, როდესაც მოძალადე, ბავშვის განცხადებით, არის თავად დირექტორი, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პირდაპირ სააგენტოს.
- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა შრომის გამოყენების შემთხვევების გამოვლენა და განახორციელოს მათზე ადეკვატური რეაგირება. დაიცვას ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ბავშვთა შრომით ექსპლუატაციის ნებისმიერი ფორმისგან.
- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების შიდა მონიტორინგის მექანიზმების მიერ ბავშვთა დისკრიმინაციისა და არათანაბარი მოპყრობის ფაქტების პრევენცია და აღმოფხვრა;

- განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბენეფიციარების სპეციალურ (რელიგიურ, კვებით, სოციალურ და სხვა) საჭიროებებზე.
- უზრუნველყოფილი იქნეს საადმინისტრაციო დაწესებულებების გარემონტება, რათა იქ განთავსებულ ბავშვებს შეეძინათ ცხოვრებისთვის ელემენტარული ღირსეული პირობები;
- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულებების აღჭურვა შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით;
- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულებების ცენტრალური გზით გათბობა, ასევე, საცხოვრებელი ნაწილების, საპირფარეშოებისა და საშხაპეების სათანადოდ აღჭურვა;
- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულებებში ჰიგიენური პირობების დაცვის რეგულარული კონტროლი;
- შემუშავდეს ასაკობრივი მენიუები, განისაზღვროს საკვებ ინგრედიენტებზე დღიური ნორმები ბავშვთა და მოზარდთა სრულფასოვანი განვითარებისათვის
- უზრუნველყოფილი იქნეს მოზარდებისთვის ჯანსაღი კვება, ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების, მინერალებისა და ვიტამინების შესაბამისი შემცველობით, ბავშვების სრულფასოვანი განვითარებისათვის;
- გათვალისწინებული იყოს სადღესასწაულო მენიუებისთვის კვების გაზრდილი ბიუჯეტის გამოყოფა;
- უზრუნველყოფილი იქნეს დაწესებულებების საკვები პროდუქტებით მომარაგების ტენდერის დროული ჩატარება მომარაგებაში წყვეტის თავიდან აცილების მიზნით;
- ტენდერის ორგანიზებისას უზრუნველყოფილი იქნეს მალფუჭებადი და სეზონური საკვები პროდუქტების ადგილობრივი მწარმოებლებისგან მოწოდება;
- გაკონტროლდეს დაწესებულებებში პროდუქციის შენახვისა და მოხმარების წესების მკაცრი დაცვა;
- გაკონტროლდეს საადმინისტრაციო დაწესებულებების კვების ბლოკებში სანიტარიულ–ჰიგიენური სტანდარტების მკაცრი დაცვა;
- უზრუნველყოფილი იქნეს კვების ბლოკების სათანადო მატერიალურ–ტექნიკური აღჭურვა;
- საადმინისტრაციო დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნეს სასმელი წყლისა და მის შესანახად განკუთვნილი ავზების რეგულარული შემოწმება;
- მოხდეს სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული მკურნალობისა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სრულფასოვანი აღრიცხვა, აღსაზრდელთა სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულებების სამედიცინო ნაწილებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და აღჭურვის გამოყოფა;
- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა სახლებში აღსაზრდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სიღრმისეული შესწავლა დოკუმენტებისა და ობიექტური შეფასების საფუძველზე;

- უზრუნველყოფილი იქნეს ყველა სტატუსდაქვემდებარებული ბენეფიციარის გაგზავნა სტაციონარულ გამოკვლევებსა და შემდგომ, სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაზე;
- ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ექიმებს დაევალოთ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- უზრუნველყოფილი იქნეს ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში ბენეფიციართათვის ტელეფონის ხელმისაწვდომობა და საუბრების კონფიდენციალურობა;
- ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში უზრუნველყოს ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და შენარჩუნება;
- სააღმზრდელო დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნეს პროფესიონალი ფსიქოლოგების მუშაობა;
- სააღმზრდელო დაწესებულებები უზრუნველყოფილი იქნეს პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო ინვენტარითა და საშუალებებით;
- შემუშავდეს ფსიქოლოგიური კვლევისა და ინტერვენციის ერთიანი სტანდარტების, გაიდლაინები და პროტოკოლები, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების სპეციფიკისა და სამიზნე ჯგუფების გათვალისწინებით;
- შემუშავდეს ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული მუშაობის დოკუმენტირების ერთიანი სისტემა;
- უზრუნველყოს ინსტიტუციაში მყოფი ბავშვებისათვის ეფექტური გასაჩივრების მექანიზმის არსებობა, გასაჩივრების ნათელი და გასაგები პროცედურების გაწერა და ბენეფიციართა სათანადო ინფორმირება აღნიშნული უფლების შესახებ;
- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვების ნებისმიერ გადაადგილებაზე დაწესებულებების თანამშრომელთა სათანადო მეთვალყურეობა;
- ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნეს ადეკვატური სატრანსპორტო და ადამიანური რესურსით;
- უზრუნველყოს სახელობო და ხელოვნების წრეების ფუნქციონირების რეგულარული ხასიათი – საჭირო მასალითა და ინვენტარით მომარაგება; ასევე, წრის ფუნქციონირების ეფექტურობის კონტროლი – ხელმძღვანელის მიერ პერიოდული ანგარიშების წარდგენა, რომლებშიც მითითებული იქნება წრის მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეები;
- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში გამართული ანგარიშებისა და დოკუმენტაციის წარმოება, რომელიც სრულფასოვნად ასახავს აღსაზრდელებისთვის გაწეულ ყველა მომსახურებას, პროფესიონალთა შორის კომუნიკაციას, რა მიზნითაც დებულებაში ჩაემატოს იმ დაწესებულებაში წარმოებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვების პირადი საქმის სრულყოფილი წარმოება;
- სადაზღვევო პაკეტების შესარჩევი ტენდერის პირობების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნეს ბავშვთა და მოზარდთა ზრდა-განვითარების

თავისებურებანი და პათოლოგიების განვითარების რისკები, დაავადებათა თავისებურებანი და საჭიროებანი;

- სადაზღვევო პოლისი უნდა მოიცავდეს სტომატოლოგიურ მომსახურებას, ასევე სხვა აუცილებელი სამედიცინო დახმარების სახეებს;
- უზრუნველყოფილი იქნეს ბენეფიციარებისათვის სადაზღვევო პოლისების დროულად მიწოდება;
- განხორციელდეს მონიტორინგი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მიწოდების დროულობასა და ხარისხზე;
- უზრუნველყოფილი იქნეს შრომის სათანადო პირობების შექმნა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალისთვის, მათ შორის, შესაბამისი ანაზღაურების განსაზღვრაც;
- უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებისთვის დეტალური გაიდლაინების შედგენა და მარეგულირებელ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებზე სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება.

„სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორს

- უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებისთვის სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული შეფასების ამსახველი დოკუმენტის სრული სახით მიწოდება;
- ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციითა და დაბადების მოწმობით;
- განხორციელდეს ბავშვთა ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების ყველა შემთხვევის მონიტორინგი და მოხდეს ყველა პრობლემური შემთხვევის ხელახალი გადაფასება.

სახალხო დამცველი და კონსტიტუციური კონტროლი

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე ზედამხედველობის ერთ–ერთ ფორმას აბსტრაქტული კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა წარმოადგენს.

საქართველოს სახალხო დამცველს, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლების მქონე სუბიექტს, უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს კონსტიტუციური სარჩელით, თუ მიაჩნია რომ ნორმატიული აქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებასა და თავისუფლებას ან თუ მიაჩნია, რომ რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმები და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნები (რეფერენდუმი) არაკონსტიტუციურია.

სახალხო დამცველი კონსტიტუციური სარჩელის მომზადების უფლებამოსილებით სარგებლობს, როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე ფიზიკური ან იურიდიული პირის განცხადების საფუძველზე.

2010 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს სახალხო დამცველის 4 კონსტიტუციური სარჩელი განიხილა:

- 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით, სრულად დაკმაყოფილდა საქართველოს სახალხო დამცველის #466 კონსტიტუციური სარჩელი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სიტყვების „საქართველოში მცხოვრებ“ და „საქართველოს“ (რომელიც გრძელდება სიტყვებით „იურიდიულ პირებს“) არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით;

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება ჰქონდათ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს და საქართველოს იურიდიულ პირებს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა არ შეეძლოთ: ფიზიკურ პირებს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და იმავდროულად, არ ცხოვრობენ საქართველოში.

აგრეთვე, - იურიდიულ პირებს, თუ ისინი არ არიან რეგისტრირებულნი საქართველოში.¹²⁵

საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს რა ყველა ადამიანის უფლებას, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, ავალდებულებს სახელმწიფოს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება უზრუნველყოს ყველა პირისათვის, რომლებიც მისი იურისდიქციის ქვეშ ექცევა.¹²⁶

მოცემული დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია განემარტა „საქართველოში მცხოვრები სხვა ფიზიკური პირები“ და „საქართველოს იურიდიული პირები“. ფიზიკურ პირებთან მიმართებით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ტერმინებზე „საქართველოში მცხოვრები“ და „საქართველოში მყოფი“.

მოქმედი კანონმდებლობის მიმოხილვის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ „მცხოვრების“ განმარტებისას მინიმალური და აუცილებელი მოთხოვნაა ზოგადად საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრება, ფიზიკური ყოფნა დროის კონკრეტული ინტერვალით.¹²⁷ ამდენად, „საქართველოში მცხოვრებად“ ვერ ჩაითვლებიან პირები, რომლებიც ფიზიკურად საქართველოში არ იმყოფებიან და ისინი ვერ მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს.

რაც შეეხება იურიდიულ პირებს, სადავო ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას მხოლოდ საქართველოს იურიდიულ პირებს ანიჭებდა. ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე სასამართლომ დაასკვნა: მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ საქართველოს იურიდიულ პირებში მოვიაზროთ ყველა ის იურიდიული პირი, რომლებზეც საქართველოს კანონმდებლობა, იურისდიქცია ვრცელდება. ამიტომ იმ იურიდიულ პირებს შორის, რომლებიც არ არიან საქართველოს იურიდიული პირები, ნებისმიერ შემთხვევაში მოექცევიან ისეთები, რომლებიც ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ, მაგრამ მათზე საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება.¹²⁸

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტი საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლების გარეშე ტოვებდა:

- უცხო ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არ ცხოვრობენ;
- იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან საქართველოს იურიდიული პირები, მაგრამ მათზე ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია.

¹²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 06 აპრილის #1/7/281 განჩინებით, სწორედ სადავო აქტზე დაყრდნობით ეთქვა უარი საფრანგეთის ორ მოქალაქეს, კონსტიტუციური სარჩელის მიღებაზე.

¹²⁶ საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის საფუძველზე, დასახელებულ პირთა შორის იგულისხმებიან იურიდიული პირებიც;

¹²⁷ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #466 გადაწყვეტილება.

¹²⁸ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #466 გადაწყვეტილება.

მოცემული დავის ფარგლებში სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია სასამართლოსთვის მიმართვის უფლების საფუძვლიანი განმარტება, მაგრამ მიუთითა, რომ ... მართალია, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია, თუმცა არა პირთა მოქალაქეობრივი კუთვნილების მიხედვით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ზუსტად უფლების სუბიექტებზე აკეთებს საგანგებო მითითებას, კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს ყოველ ადამიანს, რაც [...], გულისხმობს ყველას, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა.¹²⁹

სასამართლომ დაადგინა:

- უცხოელები და აპატრიდები არიან საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებების სუბიექტები;
- საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის სუბიექტი არის ყველა ადამიანი (მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე არმცხოვრები უცხოელები და აპატრიდები);
- 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ამ პირების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას;
- საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მათი მიმართვა ცალკეულ შემთხვევაში ერთადერთი შესაძლებლობა ან საჭირო ბერკეტია უფლების სრულყოფილად დასაცავად;
- არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომლისთვისაც ამ პირებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა უნდა ეკრძალებოდეთ;
- უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზნის რეალურად არსებობის შემთხვევაშიც კი, ადამიანი არ შეიძლება დარჩეს საკუთარი უფლებების დარღვევის პირისპირ ყოველგვარი სამართლებრივი ბერკეტისა და მით უფრო დარღვეული უფლებების სასამართლოში დაცვის შესაძლებლობის გარეშე.¹³⁰

მეორე სარჩელი შეეხებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის რამდენიმე დებულების¹³¹ არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ საქმე

¹²⁹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #466 გადაწყვეტილება.

¹³⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #466 გადაწყვეტილება.

¹³¹ საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ“ მე-2 მუხლის "ტ" ქვეპუნქტის სიტყვების "ლიცენზიის მფლობელი", 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვების "თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების, საკაბელო ქსელის", 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვების "აგრეთვე ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით", 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 41-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით;

არსებითად განიხილა საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეზე გადაწყვეტილება არ ჯერ არ მიუღიათ.

კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გახდილი ნორმები საკაბელო და თანამგზავრული მაუწყებლობის ლიცენზირებისთვის დაქვემდებარებას შეეხება. საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით მედიის ლიცენზირება ბუნებრივად ამოწურვადი რესურსების გონივრულად მართვითაა გამართლებული, რაც შეეხება საკაბელო მაუწყებლობის ლიცენზირებას, ლეგიტიმური საჯარო მიზანი, რომელიც გამართლებდა სახელმწიფოს მიერ ამგვარ ქმედებასა და მაუწყებლისთვის ამგვარი იურიდიული ბარიერების დაწესებას, არ არსებობს, რადგან ამ ტიპის მაუწყებლობა არ არის დამოკიდებული ბუნებრივად ამოწურვად რესურსებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ რესურსი შეზღუდული არაა, ბაზარზე ნებისმიერი სუბიექტის სახელმწიფოსაგან თავისუფლად შესვლა ზიანს ვერ მიაყენებს სხვა სოციალური ჯგუფებისა თუ ფენების ინტერესებს. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ამგვარი მაუწყებლები სრულიად თავისუფლდებიან სახელმწიფო კონტროლის სფეროდან. სახელმწიფოს კვლავ რჩება აღნიშნული მაუწყებლის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლის ფუნქცია.

საკაბელო და თანამგზავრული მაუწყებლობის ლიცენზირების სისტემა საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით არაკონსტიტუციურია იმდენად, რამდენადაც „არ არსებობს ლეგიტიმური საჯარო მიზანი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლითაა გათვალისწინებული. ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების შეზღუდვა დასაშვებია როგორც უკიდურესი ზომა, რომელიც მხოლოდ მკაცრად შეზღუდულ შემთხვევებში გამოიყენება სხვა თანაბარზომიერი სიკეთის გადასარჩენად, რომელთა ამომწურავ სიას თვით კონსტიტუცია განსაზღვრავს და ასეთად მხოლოდ: 1) სახელმწიფო უშიშროებას, 2) ტერიტორიულ მთლიანობას, 3) საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, 4) დანაშაულის თავიდან აცილებას, 5) სხვათა უფლებებსა და ღირსებას, 6) კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებას ან 7) სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას მიიჩნევს.“¹³²

• საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის 5¹ ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით კონსტიტუციის 39-ე მუხლთან, მე-40 მუხლის პირველ პუნქტთან, 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

სადავო ნორმის თანახმად, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, აღნიშნული მიდგომა სისხლის სამართალში დამკვიდრებულ სასჯელის

¹³² საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება.

ინდივიდუალიზაციის პრინციპს (nulla poena sine culpa) ეწინააღმდეგება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 21 ივლისის #1/51 გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სასჯელის ინდივიდუალურობა ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული. რაც შეეხება სასჯელს, სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაციაა. აღნიშნული მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სასჯელი ეკისრება:

- მას, ვინც სჩადის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას;
- სამართლიანობის აღსადგენად, ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და დამნაშავის რესოციალიზაციისთვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სადავო ნორმის თანახმად, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. შესაბამისად, მშობლისთვის ჯარიმის (ანუ პასუხისმგებლობის) დაკისრების საფუძველი არა დანაშაულის ჩადენა, არამედ ის ფაქტი ხდება, რომ მისი შვილი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა (და შესაბამისად სასამართლომ დამნაშავედ ცნო), არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა.

სახალხო დამცველის ხედვა, მშობლისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაბამისი საფუძვლის, ანუ დანაშაულის გარეშე დაკისრების შესახებ, ჯარიმის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახის განხილვას ეფუძნება. **უნდა აღინიშნოს, რომ ჯარიმა პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახედ მიიჩნია მოპასუხე მხარის, ხოლო მშობლის სამოქალაქო პასუხისმგებლობად და ამავდროულად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ნაწილად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა.**

კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის დროს დასმული შეკითხვები ასევე შეეხო საკითხებს: მიიღწევა თუ არა სასჯელის მიზნები მშობლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებით; ხომ არ შეილახება ამით სხვათა (მათ შორის ოჯახის სხვა წევრების) უფლებები; გაასაჩივრებს თუ არა მშობელი ჯარიმის მისთვის დაკისრების ფაქტს, დაეკისრება თუ არა მას რაიმე სახის პასუხისმგებლობა ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში; როგორია ნორმის გამოყენების პრაქტიკა და ა.შ.

აღნიშნული საქმეც არსებითად განიხილა საკონსტიტუციო სასამართლომ, თუმცა ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

- საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არსებითად განიხილა სახალხო დამცველის სარჩელი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის რამდენიმე ნორმის¹³³ არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. სასამართლოს გადაწყვეტილება ამ საქმეზე არ გამოუცხადებია.

კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ იყო გახდილი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლებიც შეკრებასა და მანიფესტაციაში მონაწილეობას უკრძალავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სპეციალური უფლებამოსილების მქონე მოსამსახურეებს. სადავოდაა მიჩნეული ის ნორმებიც, რომლებიც:

- გამორიცხავს ერთი პირის, ისევე, როგორც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებას;
- კრძალავს კანონით განსაზღვრული დაწესებულებების შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებას;
- ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილზე შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებას და გზის გადაკეტვის შესაძლებლობას უკავშირებს შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობას;
- აწესებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში 5 დღით ადრე შეტყობინების შეტანის ვალდებულებას და ამ გზით გამორიცხავს

¹³³ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვების – „აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სპეციალური უფლებამოსილების მქონე მოსამსახურეებზე“, ამავე კანონის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „პოლიტიკური პარტია, გაერთიანება, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია ან მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი“, ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვების – „აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები“, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „და მათი შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე“, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 11¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-3 პუნქტის პირველი წინადადების, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის სიტყვების „შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე“, მე-5 პუნქტის სიტყვის „აუცილებლობის“ და ამავე პუნქტის ბოლო ნაწილის სიტყვების „მასში მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე“, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „აგრეთვე 11¹ მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში“, რომელიც გრძელდება სიტყვით „დაუყოვნებლივ“, საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 174¹ მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების „მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან“ და ასევე ამავე პუნქტის სიტყვების „ანდა მისგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლთან მიმართებით. საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 150-ე მუხლის 2¹ ნაწილის სიტყვების „აგრეთვე მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლებთან მიმართებით. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა.

სპონტანური ხასიათის შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შესაძლებლობას.

კონსტიტუციური სარჩელით ასევე სადავოდაა მიჩნეული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის ნორმები, რომლებიც წარწერებისა და ნახატების გაკეთებას კრძალავს ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე, ხოლო შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებას – მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ანდა მისგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე.

სახალხო დამცველის აზრით, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით აღიარებულ შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლებას და კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულ გამოხატვის თავისუფლებას, ისევე, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით განმტკიცებულ ანალოგიური შინაარსის მქონე უფლებებსა და თავისუფლებებს, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული აქტებით დაწესებული შეზღუდვები ვერ უპასუხებს ისეთ წინაპირობებს, როგორიცაა:

- კანონით განსაზღვრული;
- აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში;
- მიზნის მიღწევის ერთადერთი და პროპორციული ზომა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ მიჩნეულ ნორმათა ნაწილის კონსტიტუციურობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2002 წლის 5 ნოემბრის #180–183 გადაწყვეტილებაში იმსჯელა. ამ გარემოების, ისევე როგორც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განიხილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა.

კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული სფეროს შეფასებას, ვინაიდან კონსტიტუციის დასახელებული მუხლი ნათლად არ მიუთითებს უფლების შეზღუდვის წინა პირობების შესახებ. არსებითი განხილვის პროცესში ინდივიდუალურად შეფასდა, თუ რა შეიძლება იყოს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი და შეზღუდვის პროპორციულობის საზომი.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოება საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შეტანილ 2 კონსტიტუციურ სარჩელზე შეწყვიტა.

2010 წლის 28 ივნისის № 1/1/474 განჩინებით წარმოება შეწყდა საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის

მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვის „მე-6“ არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი (როგორც დღეისთვის, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის დროს მოქმედი რედაქცია) ეკონომიკური საქმიანობის იმ სახეებს განსაზღვრავს, რომელთა ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებაც აკრძალულია და კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას იწვევს. კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ იყო მიჩნეული აღნიშნული შეზღუდვისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის 1990 წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე გავრცელების ფაქტი. ვინაიდან, სახალხო დამცველი მიიჩნევდა, რომ კანონით დაწესებული შეზღუდვის მოქმედების 1990 წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე გავრცელება უკუქცევით ძალას ანიჭებდა შესაბამისი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ სისხლისსამართლებრივ ნორმას და ამდენად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებას, რომლის თანახმადაც, კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში 2010 წლის 26 თებერვალს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: ამ კანონის მე-5, მე-6 და მე-8 მუხლების მოქმედება გავრცელდეს 1990 წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. უკუძალა არ აქვს ამ მუხლების არც ერთ დებულებას, რომელიც მიუთითებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.

დასახელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად #474 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტის მომენტისათვის, სადავო ნორმამ იურიდიული ძალა დაკარგა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით და საქმის წარმოება შეწყვიტა.

2010 წლის 30 ივლისის #1/1/452-453 განჩინებით შეწყვეტილ საქმეზე თანამოსარჩელებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენდნენ. #453 კონსტიტუციურ სარჩელზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 129^მ მუხლის მე-10 ნაწილის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 წინადადებების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლთან მიმართებით. დასახელებული ნორმები 2008 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას საუბნო საარჩევნო კომისიაში განთავსებული ვიდეოთვალის ჩანაწერის გაცნობის წესს შეეხებოდა.

სახალხო დამცველის პოზიციით, საარჩევნო კოდექსის ჩანაწერი - „ვიდეოთვალის ჩანაწერის მონაცემები არ არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით

გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია“ - ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლს, ვინაიდან ვიდეოთვალის ჩანაწერი არ წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან პირად საიდუმლოებას და, შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს საჯარო ინფორმაციად.

2008 წლის 15 ივლისს საქართველოს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე 129⁸ მუხლი, მათ შორის მე-10 ნაწილის სადავოდ გამხდარი წინადადებები ამოიღეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამჯერადაც იხელმძღვანელა „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით და იმ საფუძველით რომ არ არსებობდა სამართალწარმოების გაგრძელების სამართლებრივი საფუძველი, საქმის წარმოება შეწყვიტა.

სასამართლო ხელისუფლება და ადამიანის უფლებები

უფლება სამართლიან სასამართლოზე

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა მართლმსაჯულება, რომელსაც საქართველოს საერთო სასამართლოები ახორციელებენ.¹³⁴ „მართლმსაჯულება“ ეტიმოლოგიურად ასოცირდება სამართლიანობასა და კანონიერებასთან. შესაბამისად, საქმის განხილვისას სასამართლოს ობიექტურობა, მიუკერძოებლობა და ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა განსაზღვრავს საბოლოო ჯამში სასამართლოს ავტორიტეტს და მის ეფექტურობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით:

ინდივიდების სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა ის საშუალებაა, რომელიც ახდენს სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ინიცირებას და, შესაბამისად, ამ მხრივ, მისი კონსტიტუციური წონა მჭიდროდ არის დაკავშირებული ზოგადად სასამართლო ხელისუფლების ეფექტურად განხორციელებასთან.¹³⁵

სასამართლო რეფორმა საქართველოში უკვე წლებია ეტაპობრივად მიმდინარეობს. რეფორმების ახალი ტალღა ითვალისწინებს მართლმსაჯულების გაძლიერებასა და საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას. ეს უკანასკნელი სასამართლო ხელისუფლების ჯეროვანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა და საბოლოო ჯამში მთლიანი სახელისუფლებო შტოს ეფექტურობის კატალიზატორს წარმოადგენს.

სასამართლო რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელიც 2010 წლის 01 ოქტომბრიდან შევიდა ძალაში. აღნიშნული კანონით მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი გაძლიერდა. საინტერესო ნოვაციას წარმოადგენს ასევე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებაც, რაც მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების ჩაბმას გულისხმობს. იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციითა¹³⁶ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით¹³⁷ გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ჯეროვან დაცვას განაპირობებს სამართალწარმოების ყველა დონეზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში არის რიგი საკითხებისა, რომლებმაც სამართალწარმოებაში შესაძლოა გარკვეული სირთულეები წარმოშვას. საკანონმდებლო

¹³⁴ საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლი

¹³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 განჩინება II-2.

¹³⁶ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი

¹³⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი

ნორმების ანალიზზე ანგარიშის სხვა თავში ვისაუბრებთ, წინამდებარე თავში კი იმ დარღვევებს შევხებით, რომლებიც 2010 წელს აპარატში საქმეების ანალიზის შედეგად დაფიქსირდა უშუალოდ სამართალშეფარდების პროცესში, საკანონმდებლო ხარვეზებისაგან დამოუკიდებლად.

2009 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში საუბარი იყო სასამართლოს გადაწყვეტილებების (როგორც შუალედური, ისე საბოლოო) არასაკმარისად დასაბუთებულობის საკითხზე. დასაბუთებულობის პრობლემა დამახასიათებელი იყო როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებისთვის, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილებებისთვის. აღნიშნული პრობლემა კვლავ აქტუალურია, თუმცა გარდა დასაბუთებულობისა, 2010 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებისა თუ სახალხო დამცველის ინიციატივით შესწავლილი საქმეების შედეგად საერთო სასამართლოების საქმიანობაში გამოვლინდა რიგი ხარვეზებისა, რომლებიც ადამიანის უფლებების დარღვევას იწვევს. დარღვევათა უმრავლესობა ეხება საკმაოდ ფუნდამენტურ საკითხებს: არ არის უზრუნველყოფილი სისხლისსამართლებრივი კანონიერების პრინციპი, ორჯერ მსჯავრდების აკრძალვა, მოსამართლეთა უცვლელობის პრინციპი და სხვა.

სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის საკითხი

2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში სასამართლო გადაწყვეტილებათა არასაკმარისად დასაბუთებულობაზე საუბრისას აღვნიშნავდით, რომ ეს არ იყო ერთი რომელიმე სასამართლოს ან კონკრეტული სასამართლო ინსტანციის პრობლემა, არამედ დამახასიათებელი იყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედი სასამართლოებისათვის. 2010 წელს სახალხო დამცველის აპარატში განხილულ საქმეთა ანალიზით დგინდება, რომ მართლმსაჯულების სისტემაში კვლავ პრობლემად რჩება შუალედური თუ საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის საკითხი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სისტემური პრობლემის აღმოფხვრა არ მომხდარა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მრავლად იყო მომართვები სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობასთან დაკავშირებით. ძირითადად საჩივრები შეეხებოდა აღკვეთის ღონისძიებების შესახებ განჩინებებისა და განაჩენების დაუსაბუთებლობის საკითხს.

2010 წელს სახალხო დამცველის აპარატში განიხილეს ვ. ვ.-ს საქმე. აღნიშნულ საქმეზე 2009 წლის 27 აპრილს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც განსასჯელისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება დაპატიმრების სახით დატოვა უცვლელი.

ზემოაღნიშნული დადგენილების მიხედვით სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას დადგენილებაში კონკრეტულად არ მიუთითა, თუ რატომ იყო

განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრება შერჩეული სწორად. კერძოდ, დაცული იყო თუ არა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისთვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, არსებობდა თუ არა დაპატიმრების, როგორც ყველაზე მძიმე აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისთვის აუცილებელი ფაქტობრივი და პროცესუალური საფუძვლები. მოსამართლე შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი მითითებით, რომ მან შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები და რომ განსასჯელს აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრება სწორად აქვს შერჩეული.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ განჩინების არასათანადოდ დასაბუთების საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ასევე ბრალდებულ კ. რ.-ს მიმართ დაპატიმრების შეფარდების საკითხი.

2010 წლის 21 ოქტომბერს შსს-ს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს კ. რ. მას წარედგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით¹³⁸ გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. 2010 წლის 23 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ კ. რ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით 2 თვის ვადით პატიმრობა შეუფარდა.

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 23 ოქტომბრის განჩინებაში მითითებულია:

„აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო მხედველობაში იღებს, რომ ბრალდებულის ქმედება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რისთვისაც სასჯელის სახით ალტერნატიულ სასჯელებთან ერთად გათვალისწინებულია ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაბუთებულია ვარაუდი, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, ბრალდებული მოსალოდნელი რეალური სასჯელის შიშით შესაძლოა მიიმალოს, არ გამოცხადდეს გამომძიებელთან, სასამართლო პროცესზე, ხელი შეუშალოს საქმეზე მტკიცებულებათა შეგროვებას, ჩაიდინოს ახალი დანაშაული. ამასთან არსებობს საფრთხე, რომ ბრალდებულმა ზეგავლენა მოახდინოს იმ პირებზე, რომლებიც ამხელენ მას დანაშაულის ჩადენაში“

ზემოაღნიშნული დასაბუთებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 23 ოქტომბრის განჩინების დასაბუთებისას მოსამართლე მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ზოგადად აღკვეთის ღონისძიებისა და პატიმრობის გამოყენების

¹³⁸ წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ

საფუძვლების ჩამონათვალით შემოიფარგლა, თუმცა არ დაასაბუთა, თუ კონკრეტულად რომელი გარემოებები განსაზღვრავენ „დასაბუთებულ ვარაუდს“, რომ ბრალდებული არ გამოცხადდება გამომძიებელთან, სასამართლო პროცესზე, ხელს შეუშლის საქმეზე მტკიცებულებათა შეგროვებას, ჩაიდენს ახალ დანაშაულს და ზეგავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებიც ამხელენ მას დანაშაულის ჩადენაში. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლეს არ უმსჯელია კონკრეტულად, რომელი გარემოებების გამო უნდა ყოფილიყო შერჩეული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა. გასათვალისწინებელია, რომ შესაძლო დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის არსებობა არ შეიძლება უპირობოდ გახდეს ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევის საფუძველი. ამგვარი მიდგომით ნებისმიერი პირის მიმართ ბრალის წაყენება *per se* პატიმრობის შეფარდების საფუძველია, რაც დაუშვებელია და ადამიანის უფლებების ვერანაირ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ განხილული განჩინება სასამართლომ მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ. სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კანონმდებლობის მიზანია ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც აგებული იქნება მხარეთა თანასწორობისა და ბრალდებულის უფლებათა პატივისცემის პრინციპებზე, თუმცა ზემოთ მოყვანილი სასამართლო გადაწყვეტილება საწინააღმდეგოზე მეტყველებს.

სახალხო დამცველისათვის დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ლ.ჩ., დ.შ., ა.ზ., ზ.ბ., გ.გ., რ.მ., ჯ.გ. და შ.ა. მსჯავრდებულ იქნენ ხულიგნობისათვის, ე.ი. ქმედებისათვის, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული).

სასამართლომ განაჩენში მიუთითა იმ მტკიცებულებებზე, რომელთა განხილვის საფუძველზეც დამნაშავედ სცნო განსასჯელები, თუმცა განაჩენში ზოგადაა აღნიშნული, რომ მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს ძალადობა და არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა აღნიშნული ქმედება თითოეული მსჯავრდებულის მიერ.

განაჩენში თითოეული მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება იდენტურადაა აღწერილი და შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი ხასიათის ფრაზებით – „ძალადობით დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა“.

სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდებისას გადაწყვეტილებაში კონკრეტული მტკიცებულებები ინდივიდუალურად და ერთობლივად უნდა შეფასდეს, მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებულებებზე ზოგადი მითითებით არ შეიძლება პირის მსჯავრდება. მტკიცებულებათა ანალიზის შემდეგ თითოეული ფაქტი ინდივიდუალურად უნდა

დამტკიცდეს. დანაშაულის შემადგენლობის (*Corpus Delicti*) სხვადასხვა ნიშანი უნდა დადგინდეს ცალკე აღებული და შემდგომ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. სასამართლოს ფორმულირებები კი საკმაოდ მარტივ მიდგომას ეფუძნება დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობაზე უბრალო მითითებითა და ზოგადი ფრაზით, რომ აღნიშნული დამტკიცდა „საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით“.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2009 წლის მეორე ნახევრის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილ სხვა ფაქტებთან ერთად წინამდებარე თავში განხილული შემთხვევების ანალიზიც ცხადყოფს, რომ საქართველოში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების არასაკმარისად დასაბუთებულობის საკითხი კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება და ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს სასამართლოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლითა და ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების დარღვევის მიზეზს.

საქართველოში ადამიანის თავისუფლების უფლების დაცვა, სხვა ბუნებითი უფლებების დაცვასთან ერთად, წარმოადგენს სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილებებს არასათანადოდ ასაბუთებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას ან/და აღკვეთას, აღნიშნული მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი პირობაა. როდესაც სასამართლო ახდენს გადაწყვეტილებების არასათანადოდ დასაბუთებას, ამით რეალურად საფრთხის წინაშე დგება დემოკრატიული ღირებულებები. შეიძლება კონკრეტული პირი მართლაც სოციალურად დევიანტურ ქმედებას სჩადიოდეს, მაგრამ აღნიშნული არამც და არამც არ ნიშნავს მისი უფლებების უგულებელყოფას. სასამართლოს მხრიდან ადამიანის უფლებების ჯეროვანი დაცვა მართლმსაჯულების აუცილებელი პირობაა.

კანონის უკუძალის საკითხი

2010 წლის საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში განიხილეს სასამართლო გადაწყვეტილებები, სადაც კანონის უკუძალის პრობლემას ვაწყდებით. განხილულ საქმეთა ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ რიგ შემთხვევებში სასამართლომ უკუძალა გაავრცელა კანონზე, რომლითაც პასუხისმგებლობა გამკაცრებულია, რაც თავის მხრივ კონსტიტუციის 42-ე მუხლის, სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევას იწვევს.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს პირის ფუნდამენტურ უფლებას, არ დაისაჯოს რეტროაქტიული კანონმდებლობით (პრინციპი *Nullum Crimen Sine Lege Praevia*) და ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტთან ერთობლიობაში განსაზღვრავს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ნორმებისათვის უკუძალის გავრცელების სავალდებულობას (*Lex Mitior* პრინციპი). აღნიშნული კონსტიტუციური დებულება ორი წინადადებისგან შედგება:

„არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის სტანდარტის ასახვას კოდექსის დონეზე. მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად:

„სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს“

უკუძალის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობასა და სამართალწარმოების პრაქტიკაში განსხვავებული მიდგომები არსებობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების მიღებამდე. არსებობდა მიდგომა, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის უკუძალა არ ვრცელდებოდა ზოგადი ნაწილის მომწესრიგებელ ნორმებზე. ამ ფონზე 2009 წლამდე მიღებული ზოგიერთი განაჩენი შეიცავს აშკარად არაკონსტიტუციური რეგულირების შემცველ დებულებას, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სამართალწარმოების განახლების¹³⁹ საფუძველს, ამგვარ განაჩენთა გადასინჯვა არ ხორციელდება, აღნიშნული კი იწვევს პირის დასჯას იმაზე მკაცრი კანონით, ვიდრე მის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებდა.

თავისუფლების აღკვეთის შეფარდება უკუძალის აკრძალვის დარღვევით

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა გ. ფ.-ს სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც სწორედ უკუძალის პრობლემას ვაწყდებით. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ უკუძალა გაავრცელა კანონზე, რომელიც ამკაცრებს პასუხისმგებლობას.

გ. ფ. დააკავეს 2006 წლის 17 დეკემბერს ქალაქ ბათუმში პოლიციის თანამშრომელთათვის წინააღმდეგობის გაწევისა და მკვლელობის მცდელობის

¹³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის (1998 წლის კოდექსის 593-ე მუხლი) დებულება სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მიიჩნევს მხოლოდ და მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი კანონი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებამ, რომლითაც განიმარტა კოდექსის კერძო და ზოგადი ნაწილების უკუძალის საკითხი, არ ცნო არაკონსტიტუციურად კონკრეტული კანონი.

ბრალდებით. მასზე 2002 წლის სექტემბრიდან გამოცხადებული იყო ძებნა. 2006 წლის 22 დეკემბერს ძველი და ახალი სისხლის სამართლის საქმეები გაერთიანდა და საქმეზე სამართალწარმოება წარიმართა ერთიანად.

2006 წლის 17 დეკემბერს გ. ფ.-მ წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელებს და მათი მისამართით ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა დაკავებისას. 2002 წელს ასევე მან პირს თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. 2002 წელს მან ასევე განახორციელა პირის მიმართ თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 ივლისის განაჩენით გ. ფ. მსჯავრდებული იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე, მუხლით, 236-ე მუხლის მეორე ნაწილით (ორი ეპიზოდი) და 19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი მკვლელობის მცდელობა, მსხვერპლის სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს). საბოლოო სასჯელის სახით გ. ფ.-ს მოსახდელად განესაზღვრა 19,108-ე მუხლით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მეორე ნაწილით – ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის მეორე ნაწილით – ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით და 19,109-ე მუხლით – 18 წლით თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მოსამართლემ აღნიშნული განაჩენები შეკრიბა და საბოლოო სასჯელად დაადგინა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 000 ლარის ოდენობით ჯარიმა. გ. ფ.-მ სასჯელის მოხდა დაიწყო 2006 წლის 17 დეკემბრიდან. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმე არ დაუშვა განსახილველად.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის განსაზღვრულია ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართალში გამოიყენება პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ის ნორმები, რომლებიც ქმედების/უმოქმედობის ჩადენის დროს მოქმედებდნენ. ასევე აკრძალულია პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი კანონისთვის უკუძალის მინიჭება. კანონში კი იგულისხმება როგორც პასუხისმგებლობის ზოგადი წესები, ისე უშუალოდ დელიქტის შემადგენლობები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით:

„...კოდექსის ზოგადი ნაწილის მთავარი დანიშნულება კერძო ნაწილში გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების კვალიფიკაციასა და სასჯელთა შეფარდებაში ვლინდება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ზოგადი ნაწილის ნორმები ერთიმეორეს არ განაპირობებენ. უკუძალის აკრძალვის გარანტია მთელი სისხლის სამართლისათვის, როგორც ნორმათა ორგანული კავშირისათვის, გათვალისწინებული გარანტიაა და არა მისი ერთი ნაწილისათვის. როცა

საუბარია კანონის უკუძალაზე, აქ მოიაზრება სისხლის სამართლის ნორმათა მთელი სხეული.¹⁴⁰

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლი განსაზღვრავს დაუშვებელი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნის წესს. 2006 წლის 29 დეკემბრამდე მცდელობის დასჯადობის მიმართ მოქმედებდა წესი, რომლის მიხედვითაც მცდელობისთვის დანიშნული სასჯელი არ შეიძლება ყოფილიყო დანიშნული სასჯელის ვადის ან ზომის სამ მეოთხედზე მეტი. აღნიშნული გაუქმდა 2006 წლის 29 დეკემბრიდან. გ. ფ.-ს მიერ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კანონის მიხედვით 109-ე მუხლის მესამე ნაწილისთვის გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა თექვსმეტიდან ოც წლამდე ვადით.¹⁴¹ ამ დანაშაულის მცდელობის შემთხვევაში მაქსიმალური პასუხისმგებლობის ზომა 2006 წლის 29 დეკემბრამდე იყო 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, დაუშვებელი იყო მასზე მძიმე სასჯელის გამოყენება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის პრაქტიკის მიხედვით, 2006 წლის 29 დეკემბრამდე ჩადენილი ქმედებების მცდელობის დროს სანქციის ზომა და ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალური სასჯელის სამ მეოთხედს.¹⁴²

ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლომ გ. ფ.-ს დაუნიშნა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც წარმოადგენს კანონისა და ადამიანის უფლებების დარღვევას. გ. ფ.-ს თავისუფლების აღკვეთის სახით მისჯილი აქვს სასჯელის შესაძლო მაქსიმუმზე სამი წლით მეტი, რაც დაუშვებელია. სამწუხაროდ, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა არ გამოასწორეს აღნიშნული დარღვევა, მიუხედავად დამცველის საჩივრებში მისი პირდაპირი მითითებისა.

ჯარიმის შეფარდება უკუძალის აკრძალვის დარღვევით

ზემოაღნიშნულ საქმეში მსჯავრდებულს გარდა თავისუფლების აღკვეთისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის დარღვევით სასჯელის სახით აქვს შეფარდებული ჯარიმა.

2006 წლის 28 აპრილამდე ჯარიმა, როგორც სასჯელი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სხვაგვარად იყო ფორმულირებული. იგი გამოითვლებოდა დღიური ანაზღაურების წესით. 42-ე მუხლის მეორე ნაწილის იმ დროინდელი რედაქციის მიხედვით განსაზღვრული იყო ჯარიმის მინიმალური და

¹⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, 33.

¹⁴¹ როდესაც ერთი და იგივე ქმედების გამო, 109-ე მუხლის რამდენიმე ქვეპუნქტით ხდება პირის მსჯავრდება, ინიშნება ერთი სასჯელი.

¹⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის #70-კოლ განჩინება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 იანვრის #56-კოლ განჩინება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის #376-საზ განჩინება.

მაქსიმალური ოდენობა.¹⁴³ სასამართლო განაჩენში უთითებდა როგორც დღიურ ოდენობას, ისე გადასახდელ თანხას. დღეს მოქმედი რედაქციით ჯარიმა ფულადი გადასახდელია. კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ ჯარიმის მინიმუმის ცნებას¹⁴⁴ და ასევე, სასჯელი განაჩენში მიეთითება გადასახდელი ჯარიმის ოდენობით. რეალურად ჯარიმა – როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელი – გამკაცრებულია 2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედ რედაქციასთან შედარებით, რადგან გაიზარდა სასჯელის მინიმუმის ოდენობა, გაუქმდა სასჯელის მაქსიმუმის განსაზღვრება და დანიშვნის წესი პირთა საუარესოდ ფორმულირდა.

გ. ფ. მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე ნაწილის ორი ეპიზოდისთვის. 2002 წლის 11 აგვისტოს მოხდა პირველი დანაშაულებრივი ქმედება. სასამართლომ ამ ქმედებისთვის განუსაზღვრა ჯარიმად 2000 ლარი. სასჯელი აუცილებლად უნდა დანიშნულიყო იმ კანონის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ქმედების განხორციელების დროს. მოსამართლეს არ შეეძლო გამოეყენებინა სასჯელად ჯარიმის ახალი წესი, რადგან ამით დაირღვა სისხლის სამართლის პრინციპი, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც ქმედების ჩადენის დროს მოქმედებს. ძველი კანონის გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იყო უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა, მაშინ როცა ჯარიმის დღევანდელი რეგულირება 2000 ლარს ჯარიმის მინიმალურ ოდენობად ასახელებს.

სასჯელთა შეკრების ახალი წესი

2010 წლის 23 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატებისა და ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლს დაემატა 1¹ ნაწილი, რომლის თანახმადაც თუ პირს ჩადენილი აქვს რამდენიმე დანაშაული და თითოეული დანაშაულისთვის სასჯელის სახით ინიშნება ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, აღნიშნულ სასჯელთაგან ერთი ყველაზე მძიმე სასჯელის გარდა (თანაბარი სიმძიმის სასჯელების შემთხვევაში ერთი სასჯელის გარდა), დანარჩენი სასჯელები უნდა დაინიშნოს ვადის ნახევრიდან სრულ მოცულობამდე ვადით და ასე მოხდეს შეკრება საბოლოო სასჯელის დანიშვნისას. კანონის მეორე მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნული წესი ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა მიმართაც საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წლის 23 თებერვალს მიღებულ კანონს არ აქვს ე.წ. ნამდვილი უკუმაღლა და მხოლოდ და მხოლოდ რეტროსპექტულ, ანუ წარსულში დაწყებულ და შემდგომ კანონის მოქმედების დროს მიმდინარე ურთიერთობებზე ვრცელდება. ამ მიზნით კანონის მეორე მუხლი ადგენს, რომ სისხლის სამართლის იმ

¹⁴³ განსაზღვრული იყო დღიური ანაზღაურების ოდენობის მაქსიმუმი და ერთი დღიური ანაზღაურების შესაბამისი მაქსიმალური თანხა. მინიმალური ჯარიმის ოდენობა იყო 20 ლარი.

¹⁴⁴ 2000 ლარი (განსაკუთრებულ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში 500 ლარი)

საქმეებზე, რომლებზეც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული, სასჯელის შეკრების ახალი წესი მოქმედებს.

2010 წლის 23 თებერვლის კანონი გამოიყენება იმ საქმეებზე, რომლებზეც საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. საბოლოო გადაწყვეტილების დეფინიცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით არ არის განსაზღვრული. კოდექსი იცნობს მხოლოდ და მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ცნებას, რაც დაკავშირებულია სასჯელის აღსრულების წესთან და შესაბამის საპროცესო სტატუსთან. ევროსაბჭოს ფარგლებში მიღებული – განაჩენთა საერთაშორისო აღიარების შესახებ კონვენციის¹⁴⁵ განმარტებითი მემორანდუმის¹⁴⁶ მიხედვით განსაზღვრულია „საბოლოო გადაწყვეტილების“ დეფინიცია. ეს განმარტება წარმოადგენს ყველაზე ავტორიტეტულს.¹⁴⁷ გადაწყვეტილება საბოლოოა, როდესაც მას აქვს *res judicata* ძალა, ანუ იგი აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას. გასაჩივრების შეუძლებლობა ნიშნავს შემთხვევას, როდესაც აპელაციის ჩვეულებრივი¹⁴⁸ გზა აღარ არსებობს ან მხარეებმა ამოწურეს ან შესაბამისი საპროცესო ვადები გავიდა საჩივრის წარდგენის გარეშე. შესაბამისად, საკასაციო სამართალწარმოების დასრულებამდე გადაწყვეტილება არ არის საბოლოო.¹⁴⁹

59-ე მუხლის 1¹ ნაწილი არის სპეციალური ნორმა ამ მუხლით დადგენილ ზოგად წესთან მიმართებით და შესაბამისი პირობების არსებობისას¹⁵⁰ სასჯელი უნდა დაინიშნოს მასზე მითითებით. ამ დროს შესაძლებელია სასჯელთა სრული შეკრებაც, მაგრამ აღნიშნული ყველა შემთხვევაში საჭიროებს საკითხის 1¹ ნაწილით გადაწყვეტას.

59-ე მუხლის 1¹ ნაწილით განსაზღვრული წესი პირისთვის უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას იძლევა, რაც წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემსუბუქების ერთ-ერთ სახეს. ამგვარი კანონის სავალდებულოდ გამოყენება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით¹⁵¹, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით¹⁵² და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-15 მუხლით¹⁵³.

¹⁴⁵ CETS # 070 საქართველოსთვის ძალაშია 2002 წლის 26 ივნისიდან.

¹⁴⁶ პირველი ნაწილი, პირველი მუხლის მესამე პარაგრაფი. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე;

< <http://www.conventions.coe.int/Treaty/en/Reports/Html/070.htm> >

¹⁴⁷ მაგალითისთვის, მას ხშირად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროკონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-3 და მე-4 მუხლების განმარტებისას.

¹⁴⁸ აქ არ იგულისხმება ახლად აღმოჩენილ და გამოვლენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოება.

¹⁴⁹ ამას ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც, რადგან სასამართლო არსებითად საქმის განხილვის შემთხვევაში აქტიურად იყენებს სასჯელის დანიშვნის ახალ წესს. *მაგალითისთვის*, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 14 მაისის #902აპ-09 განჩინება, 2010 წლის 30 ივნისის #308აპ-09 განჩინება,

¹⁵⁰ ანუ როდესაც თავისუფლების აღკვეთა ინიშნება ორზე მეტი დანაშაულისთვის.

¹⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება §12

¹⁵² *Scoppola v. Italy*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 17 სექტემბრის განჩინება.

¹⁵³ საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

სახალხო დამცველის აპარატში განიხილეს თ. კ.-ს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 თებერვლის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 სექტემბრის განაჩენით ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. 2009 წლის ოქტომბრის თვეში განაჩენი გასაჩივრდა საკასაციო სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის განჩინებით საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. შესაბამისად, მსჯავრდებულს წაერთვა იმის სრული შესაძლებლობა, რომ მისი საქმე განხილულიყო უფრო მსუბუქი კანონით, რომელიც რეალურად სამართალწარმოების დროს მოქმედებდა. აღნიშნული სამართლებრივი პრაქტიკის გამოსწორების მიზნით სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

ორჯერ მსჯავრდების აკრძალვა

სახალხო დამცველის აპარატში განხილულ გ. ფ.-ს საქმეში, უკუძალის პრობლემის გარდა ასევე დარღვეულია ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური გარანტია და პრინციპი.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით „არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.“ ეს მუხლი განსაზღვრავს ორ მნიშვნელოვან გარანტიას – ერთი და იგივე დანაშაულისთვის ორჯერ დასჯისას და ხელმეორედ დასჯის აკრძალვას. ამ მუხლით აკრძალულია როგორც ერთი დანაშაულის გამო ორჯერ პასუხისმგებლობა (*Ne Bis In Idem*), ისე ქმედებისთვის მსჯავრდების შემდეგ განმეორებით დასჯა (*Double Jeopardy*). როდესაც ერთი ქმედება არის ჩადენილი, დაუშვებელია მისი შეფასება ორი მუხლით და შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხელოვნურად გაზრდა.¹⁵⁴ მსგავს აკრძალვას შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილი.¹⁵⁵

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით დასჯადია ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარება. ეს დანაშაული წარმოადგენს დენად დანაშაულს, ანუ იწყება მოქმედებით და შემდეგ უწყვეტად ხორციელდება. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დენადი დანაშაული დასრულებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან.¹⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტებულია ის გარემოებები, რომლებიც 236-ე მუხლის მიზნებისთვის

¹⁵⁴ გარდა დანაშაულთა იდეალური ერთობლიობისა (*concoure ideal d'infractions*), როდესაც ერთი ქმედებით ხდება რამდენიმე სამართალდარღვევის ჩადენა.

¹⁵⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, *ოთარ გამყრელიძე*, 2008, გვ 141.

¹⁵⁶ მე-13 მუხლი.

წარმოადგენენ ქმედების შეწყვეტას,¹⁵⁷ ესენია – ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება, გასაღება, ჩაბარება ან დაკარგვა. თუ არ დადგინდება რომელიმე ზემოთ აღნიშნული გარემოება, დაუშვებელია პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობით და სახეზეა ერთიანი დანაშაული.

გ. ფ. მსჯავრდებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236–ე მუხლის მეორე ნაწილით ორი ეპიზოდისთვის. განაჩენის მიხედვით პირველი ეპიზოდი ჩაიდინა 2002 წლის აგვისტოში, ხოლო მეორე – 2006 წლის 17 დეკემბერს. აღსანიშნავია, რომ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #1414/9 დასკვნით ორივე შემთხვევის დროს ამოღებული ტყვიის მასრები გასროლილი იყო ერთი და იმავე ცეცხლსასროლი იარაღიდან – 9 მმ მაკაროვის კონსტრუქციის პისტოლეტიდან. 2006 წელს დაკავებისას სწორედ აღნიშნული იარაღი იქნა ამოღებული მსჯავრდებულის ჩხრეკის შედეგად. საქმეში არსად არ მოიპოვება დადასტურება იმისა, რომ იარაღის ტარება შეწყდა 2002 წლის აგვისტოდან 2006 წლის დეკემბრამდე. ამ ფაქტის დადასტურების გარეშე სახეზეა ერთი დენადი და არა ორი დამოუკიდებელი დანაშაული. როდესაც გ. ფ.–ს ერთ, დროში დენად ქმედებას მისცეს ორი სამართლებრივი შეფასება, ამით დაირღვა ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი. რეალურად ერთი ქმედებისთვის ორი სამართლებრივი შეფასებით შესაძლებელი გახდა პირის ორმაგი დასჯადობა და ამით დაირღვა ერთი და იმავე ქმედებისთვის ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური გარანტია.

უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები

2010 წლის საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატს მიმართეს მსჯავრდებულებმა, რომლებიც უთითებდნენ, რომ მათი მსჯავრდება მოხდა უკანონო მტკიცებულებების საფუძველზე. სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, რომლებშიც აღნიშნული პრობლემა იკვეთება.

საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის მე–7 პუნქტის მიხედვით „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს.“

ამ მუხლით გარანტირებულია ერთ–ერთი ფუნდამენტური უფლება, რომლის მიხედვითაც მტკიცებულებები კანონის შესაბამისად უნდა იყოს მოპოვებული. აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს ე.წ. დეკლარაციული შინაარსის მუხლს¹⁵⁸,

¹⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ივლისის #178აპ–10 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 თებერვლის #797აპ–09 განჩინება.

¹⁵⁸ საწინააღმდეგო განმარტების პირობებში პირის გამამართლებელი კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ასევე დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული, რაც თავის მხრივ იწვევს პროცესის ფორმალიზაციას. ეს უკანასკნელი არ გამომდინარეობდა 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსიდან (რომელიც ხშირად საკმაოდ ხისტი მიდგომით ხასიათდებოდა პროცესიდან) და არც 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებებიდან. საქართველოს კონსტიტუციის დებულებების „პროცედურულ–სამართლებრივი წესრიგის“ კომფორტულად განმარტების შესახებ

არამედ იგი ადგენს ძირითად გარანტიას, რომლის მიხედვითაც ბრალდებული პირის წინააღმდეგ არ უნდა იქნას გამოყენებული ის მტკიცებულებები, რომლებიც კანონის დარღვევითაა მოპოვებული. ტერმინი „კანონის დარღვევა“ არ უნდა გავიგოთ ვიწროდ და ყველა კანონისმიერ დებულებასთან წინააღმდეგობა არ უნდა განვიხილოთ მტკიცებულების დაუშვებლობის საფუძველად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მიხედვით მტკიცებულება დაუშვებელია, თუ იგი „არსებითად ეწინააღმდეგება“ სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებს, ანუ ნებისმიერი დარღვევა, რომელიც მტკიცებულებების მოპოვების პროცესში წარმოიშობა, არ არის უფლების შემლახავი, აუცილებელია აღნიშნული დამატებით იწვევდეს მოქმედი რეგულირების აშკარა, თვითნებურ ხელყოფას.

განსხვავებით 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო დებულებებისგან, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს დაუშვებელი მტკიცებულების *Numerus Clausus* ჩამონათვალს და ადგენს ზოგად წესს, რომლის ფარგლებშიც მტკიცებულები მიიჩნევა დაუშვებლად. 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნეოდა, თუკი იგი მოპოვებული იყო იმ თანამდებობის პირის ან ორგანოს მიერ, რომელსაც საქმეზე მტკიცებულებების შეკრების უფლებამოსილება არ გააჩნდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მომართა მსჯავრდებულმა მ. კ.-მ, რომლის საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე დარღვევა. ერთ-ერთი ეხება სწორედ არაუფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებულ საგამომიებო მოქმედებებსა და მოპოვებულ მტკიცებულებებს. ამ სისხლის სამართლის საქმეს იძიებდა გამომძიებელი კ. რ. იგი თანამდებობიდან გათავისუფლდა 2005 წლის 17 იანვარს.¹⁵⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #5 საპრობილის დირექტორის #10/36-2/2-12974 წერილით დასტურდება, რომ 2005 წლის 25 იანვარს გამომძიებელი კ.რ. იმყოფებოდა სასჯელაღსრულების შესაბამის დაწესებულებაში საგამომიებო მოქმედებათა შესასრულებლად. ამ უკანასკნელს უფლებამოსილება რეალურად შეწყვეტილი ჰქონდა და მაინც შევიდა სასჯელაღსრულების შესაბამის დაწესებულებაში და საპროცესო მოქმედებები განახორციელა. გამომძიებელი, რომელმაც კ.რ.-ს შემდეგ განაგრძო საქმის გამოძიება, იყო რ.ზ. მას საქმე გადაეცა 2005 წლის 25 იანვარს.¹⁶⁰ შესაბამისად გაურკვეველია, თუ როგორ და რა უფლებამოსილებით შევიდა საგამომიებო მოქმედებათა შესასრულებლად კ.რ. შესაბამის პენიტენციურ

იხილეთ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403, 427 გადაწყვეტილება II-10.

¹⁵⁹ აღნიშნული დასტურდება საქართველოს გენერალური პროკურატურის 2005 წლის 13 დეკემბრის #02-6-772 წერილით. სისხლის სამართლის საქმის მეორე ტომი ს.ფ.133.

¹⁶⁰ სისხლის სამართლის საქმე, ტომი #1, ს.ფ. 140

დაწესებულებაში. აღნიშნული აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ საქმეზე საგამომიებო მოქმედებები კანონის დარღვევით, არაუფლებამოსილი პირის მიერ იყო ჩატარებული.¹⁶¹

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა ასევე მსჯავრდებულ მ. ნ.-ს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებათა გამო იხდის სასჯელს. მსჯავრდებული დააკავეს 2009 წლის 9 სექტემბერს. იმავე წლის 11 სექტემბერს მ. ნ.-ს წაეყენა ბრალი. როგორც მ.ნ.-ს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებიდან ირკვევა, დადგენილებას საფუძვლად უდევს ამოღებული პასპორტი, თუმცა აღნიშნული პასპორტი სისხლის სამართლის საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილ იქნა 2009 წლის 16 დეკემბერს, ანუ მ. ნ.-ს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შემდეგ.

საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ მტკიცებულებები კანონიერად უნდა იყოს მოპოვებული. საქმის განხილვის დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ნივთიერი მტკიცებულება პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილებით უნდა ყოფილიყო ასეთად მიჩნეული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მტკიცებულებად არ მიიჩნეოდა. იმავე კოდექსის 282-ე მუხლის მიხედვით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებულება. ვინაიდან მ. ნ.-ს პასუხისგებაში მიცემის საფუძველი იყო ამოღებული პასპორტი, რომელიც იმ დროისთვის მტკიცებულებად ცნობილი არ იყო, ამგვარ საგანს საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით არ ჰქონდა იურიდიული ძალა. ამის ფონზე დაკავებული პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა მოხდა საპროცესო დებულებების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.

მტკიცებულება არის საშუალება, რომლითაც ხორციელდება მტკიცების პროცესი. მისი მეშვეობით ხდება უდანაშაულობის პრეზუმფციის გადალახვა და პირის მსჯავრდება. სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნების¹⁶² მისაღწევად კანონმდებლობა ადგენს მრავალ საკანონმდებლო დანაწესს მტკიცებულებათა მიმართ. მათი დაუცველობა საბოლოოდ ქმნის საფრთხეს ან იწვევს სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების დარღვევას. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია უფრო მაღალი სტანდარტი ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით და ასეთი მტკიცებულება *a priori* დარღვევად მიიჩნევა, სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვის მიუხედავად. შესაბამისად, აუცილებელია მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში კანონისმიერი

¹⁶¹ ამ საქმეში ასევე საინტერესოა ის ფაქტიც რომ 2005 წლის 24 იანვრის დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ შედგენილია გამომძიებელ ჩუბინიძის მიერ და შემდგომ გადასწორებულია სახელი და გვარი რევაზ ჩხეიძით. ხელწერა, ფაქტობრივი გარემოებები აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ განმცხადებლის მიმართ ბრალის წაყენება ჩუბინიძის მიერ განხორციელდა, რაც დევნის შეწყვეტის ზოგად საფუძველს წარმოადგენს. ბრალის წარდგენა უკავშირდება სხვადასხვა უფლებრივი გარანტიის წარმოშობას, და როდესაც აღნიშნული კანონის დარღვევით, არაუფლებამოსილი პირის მიერ ხდება აუცილებელია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა (თავისი თანმდევი შედეგებით).

¹⁶² მტკიცებულებათა შესაძლო გამოცვლის თავიდან აცილება, მათზე კვალის გაქრობა და სხვა.

ნორმების დაცვა, რათა საპროცესო გარანტიები სრულად იქნეს უზრუნველყოფილი საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში.

სასამართლო შემადგენლობის შეცვლა

2010 წლის საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში განიხილეს სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა მიმდინარეობისას სასამართლო შემადგენლობა შეიცვალა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით. პრობლემა კი განხილულ საქმეებში ის გარემოება იყო, რომ საქმის განხილვისას ძველი მოსამართლის ჩანაცვლება ხდებოდა სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების გარეშე.

სისხლის სამართლის საქმეების არსებითი განხილვისას მოსამართლეთა უცვლელობა წარმოადგენს ერთ–ერთ საგარანტიო პრინციპს, რომელიც მეტწილად დაკავშირებულია განაჩენის სასამართლო დასაბუთებულობასთან. თუკი მოსამართლის წინაშე არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები და იგი სრულად არ იცნობს საქმის მასალებს, *a priori* გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, ვინაიდან ამ პირობებში საფუძველშივე გამოირიცხება მოტივაციის შესაძლებლობა, რადგან:

1. მოსამართლის მიერ საქმის მასალების უშუალო გაცნობის¹⁶³ მიზანია მტკიცებულებათა უტყუარობის დადასტურება, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე–40 მუხლითაა განსაზღვრული.
2. მოსამართლის მიერ საქმის მასალების სრულად გაცნობის ვალდებულება თავისთავად უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობასა და თანასწორობას, რადგან სასამართლო უნდა გაეცნოს ორივე მხარის ინტერესს ზედმიწევნით და შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება.
3. მოსამართლის მიერ საქმის მასალების სრულად გაცნობის ვალდებულება არის სამართლიანი სასამართლოს ერთ–ერთი კომპონენტის – დასაბუთებული გადაწყვეტილების¹⁶⁴ საწინდარი.

ნებისმიერ შემთხვევაში მოსამართლის ცვლილება აუცილებლად საჭიროებს საქმის განხილვის თავიდან დაწყებას. ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც მოსამართლის ცვლილება არ არის აუცილებელი, თუ დანიშნული იყო სათადარიგო მოსამართლე:

სასამართლომ საქმე ერთი და იმავე შემადგენლობით უნდა განიხილოს. თუ რომელიმე მოსამართლეს არ შეუძლია სხდომაში მონაწილეობის მიღება, მას ცვლიან იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლით და საქმის განხილვა იწყება ხელახლა, გარდა 436-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.¹⁶⁵

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 436-ე მუხლის მიხედვით კი:

სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმეზე შეიძლება დაინიშნოს სათადარიგო მოსამართლე, რომელიც ცვლის სასამართლო

¹⁶³ *inter alia*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის #255–აპ განჩინება.

¹⁶⁴ *mutatis mutandis*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 13 აპრილის განჩინება საქმეზე *Kraska v. Switzerland*, § 31–32.

¹⁶⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 435-ე მუხლი

შემადგენლობიდან გამოსულ მოსამართლეს და საქმის განხილვა გრძელდება.

435-ე მუხლით განსაზღვრული იყო ზოგადი წესი, ხოლო 436-ე მუხლი მისგან გამონაკლისს განსაზღვრავდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში არ იყო განსაზღვრული, ნორმის განმარტებიდან იგულისხმება, რომ სათადარიგო მოსამართლე უნდა დაინიშნოს მხოლოდ და მხოლოდ საქმის განხილვის დაწყებამდე. სხვა შემთხვევაში იარსებებდა კანონის თვითნებურად გამოყენების საფრთხე, რაც დაუშვებელია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2010 წლის საანგარიშო პერიოდში შეისწავლა ორი სისხლის სამართლის საქმე, რომლებშიც აშკარა იყო ამ ძირითადი გარანტიის ხელყოფა.

2010 წლის 13 მაისს ნ. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთმა მოსამართლემ, ხოლო 2010 წლის 05 აგვისტოდან გააგრძელა და განაჩენი გამოიტანა ამავე სასამართლოს სხვა მოსამართლემ. როგორც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ არ იყო დანიშნული სათადარიგო მოსამართლე, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 436-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სავალდებულო იყო იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვა დასრულდებოდა სასამართლოს სხვა შემადგენლობით.

სახალხო დამცველის აპარატში განიხილეს ასევე მ. კ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის სამართლის საქმე, რომელსაც პირველი ინსტანციით განიხილავდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, რომლის შემადგენლობიდან ერთ-ერთმა მოსამართლემ საქმის განხილვის მიმდინარეობისას დატოვა თანამდებობა, 2005 წლის¹⁶⁶ 16 დეკემბრიდან კი სამართალწარმოებაში მის ნაცვლად მონაწილეობა მიიღო სხვა მოსამართლემ, შესაბამისად, საქმის განხილვა ახალი შემადგენლობით განახლდა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ერთი დეტალი, რომელიც დამახასიათებელი იყო მამუკა კალანდამის სისხლის სამართლის საქმისთვის. საქმის მასალების მიხედვით უცნობი იყო, თუ როდიდან ჩაერთო მოსამართლე პროცესში. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკადრო საკითხთა და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსის 2010 წლის 20 დეკემბრის წერილის მიხედვით დასტურდება, რომ მოსამართლე დ.ნ. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2005 წლის 9 დეკემბერს. საქმის განხილვა გაგრძელდა იმავე წლის 16 დეკემბერს. შესაბამისად, გაუგებარია ამ ერთგვირიან შუალედში როდიდან ჰქონდა საქმის განხილვაში ახლად ჩართულ მოსამართლეს საქმის მასალების გაცნობის

¹⁶⁶ საქმის მასალებში აღნიშნული თარიღი შეცდომით მითითებულია 2006 წლად.

შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულის მთავარი მიზეზი კი არის ახალი მოსამართლის დანიშვნის ფორმალური დოკუმენტის არარსებობა.

შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებში საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის შეცვლის შემდეგ სასამართლო პროცესი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით გაგრძელდა. აღნიშნულს შესაძლოა არსებითი გავლენა ვერ მოეხდინა სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე, თუმცა აუცილებელია გარკვეული ფორმალური დოკუმენტის არსებობა, რომლითაც დადასტურდებოდა პირის საქმეში ჩართვის ზუსტი თარიღი. წინააღმდეგ შემთხვევაში დამატებით შეგვიძლია სამართლიანი განხილვის უფლების (*Right of Fair Hearing*) ხელყოფაზეც ვისაუბროთ.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები არ შეცვლილა და 2010 წლის 01 ოქტომბრიდან მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც თითქმის ასევე არეგულირებს საქმის განხილვის სასამართლო შემადგენლობის საკითხს, კვლავაც არსებობს მსგავსი დარღვევების ალბათობა. მომავალში აუცილებელია ამგვარ ქმედებათა პრევენცია. ასევე დამატებით უნდა გაიწეროს კანონმდებლობით იმის შესაძლებლობა, რომ ამგვარი დარღვევის მსხვერპლთ სამართალწარმოების განახლების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

კონსტიტუციურ სამართლებრივი გაგებით, სასამართლო ხელისუფლების შექმნის ერთ-ერთი საფუძველია ინდივიდთა უფლებების დაცვა სახელმწიფოსთან და კერძო პირებთან წარმოშობილ ურთიერთობებში. ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არც ერთი სახელისუფლებო ორგანო არ არის აღჭურვილი ისეთი ფართო უფლებამოსილებით, როგორითაც სასამართლო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი გამართული ფუნქციონირება არის ჩვენი საქმიანობის მთავარი მიზანი და ამ კუთხით მონიტორინგიც უფრო სკურპულოზურად ხორციელდება. ყოველი დარღვევა სასამართლოს საქმიანობაში იწვევს საკმაოდ მძიმე შედეგებს და მისი მინიმალიზება აუცილებელია. ნებისმიერი რეფორმა მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული, თუკი რეალურად ინსტიტუტი გამართულ ფუნქციონირებას შეძლებს და მის წინაშე დასახულ ამოცანებს სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევების ადეკვატურად გადაწყვეტს.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდეს ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებზე დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს, მოითხოვონ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მარტო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, არამედ სამოტივაციო ნაწილში მოცემული მსჯელობები და კონსტიტუციის ნორმების განმარტებანი.

საერთო სასამართლოებს ვაძლევთ რეკომენდაციას, საქმის განხილვისას გამოსაყენებელ ნორმათა განმარტებისას მხედველობაში მიიღონ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებანი (და მათთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებანი) და სწორედ მათთან შესაბამისობით განმარტონ ნორმები.

საერთო სასამართლოების მიერ შუალედურ თუ საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღებისას, უნდა მოხდეს თითოეული გადაწყვეტილების როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი დასაბუთება საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება

სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტური და სწრაფი აღსრულება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით საყოველთაოდ დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი წინაპირობაა. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში¹⁶⁷ არაერთხელ იყო ასახული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების სისტემაში არსებული პრობლემები.

2010 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს ხშირად მიმართავდნენ მოქალაქეები მათ სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვადის გაჭიანურებისა და მათი უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. შემოსული განცხადებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რომლებსაც წინამდებარე თავში განვიხილავთ. ასევე მიმოვიხილავთ 2010 წლის 7 დეკემბერს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებმაც მომავალში შესაძლებელია კონკრეტული პირების უფლებების დარღვევა გამოიწვიოს.

1. აღსრულების სისტემაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში 2010 წლის 7 დეკემბერს რამდენიმე ცვლილება შევიდა, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების სისტემის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. მოცემულ ქვეთავში რამდენიმე მათგანს განვიხილავთ.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად, როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი უცნობია ან როცა იგი სპეციალურად არიდებს თავს მოვალეობის შესრულებას, მოსამართლეს აღსრულების ეროვნული ბიუროს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე გამოაქვს განჩინება, პოლიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნისა და მოყვანის შესახებ. 2010 წლის 7 დეკემბრის ცვლილებით, ნორმას მოყვანის ინსტიტუტი დაემატა. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, მოითხოვოს როგორც მოვალის ადგილსამყოფელის დადგენა, ასევე მისი იძულებით მოყვანა აღსრულების ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით.

ცხადია, მოვალის ძებნა და მოყვანა გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობას და ამ გზით კრედიტორის უფლებების დაცვას ისახავს მიზნად. დასახელებული

¹⁶⁷ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოსხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2008 წლის 2-ე ნახევრის, 2009 წლის პირველი და მეორე ნახევრის ანგარიშებში.

ლონისძიებები იმ შემთხვევაში ხორციელდება, როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი უცნობია ან იგი სპეციალურად არიდებს თავს მოვალეობის შესრულებას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მოყვანა, როგორც ღონისძიება თავისუფლების ხელშეუვალობის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვასთან არის დაკავშირებული, საჭიროა შევავსოთ, რამდენად აუცილებელი და ამავე დროს პროპორციული ზომია იგი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოვალის ძებნა და მოყვანა მაშინ გამოიყენება, როცა ეს უკანასკნელი მასზე დაკისრებული მოვალეობის ნებაყოფლობით შესრულებაზე უარს ამბობს. თავის მხრივ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი აღმასრულებლის მიერ იძულებითი აღსრულების ფარგლებში განსახორციელებელი მოქმედებების ნუსხას განსაზღვრავს. მათ შორისაა მოვალის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადება, ხელფასზე ან სხვა თანხაზე გადახდევინების მიქცევა და ა.შ., ანუ მოყვანა არაა ერთადერთი ღონისძიება, რომელმაც იძულებითი აღსრულება უნდა უზრუნველყოს და იგი უნდა განიხილებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა.

შესაბამისად, მიზანშეწონილია კანონმდებელმა განსაზღვროს:

- ძებნის გამოყენების კონკრეტული, ანუ ის შემთხვევები, როცა გადაწყვეტილების აღსრულება მოვალის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია;
- მოყვანის ფორმა, მისი ხანგრძლივობა და მის ფარგლებში განსაზღვრული მოქმედებები.

საკითხის მსგავსი გადაწყვეტა უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილებების დროულად აღსრულებას და კრედიტორთა ინტერესების დაცვას, ამავდროულად, თავიდან აგვაცილებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და მოყვანისთვის, როგორც იძულებითი აღსრულების ღონისძიებისთვის, სისტემატური ხასიათის/დამსჯელი სახის მიცემას.

2. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება საბიუჯეტო ორგანიზაციათა მიმართ

წლების განმავლობაში აღსრულების სფეროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და პრობლემურ საკითხს საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება წარმოადგენდა. პრობლემური გადაწყვეტილებები, როგორც წესი, სახელფასო ან სხვაგვარ ფინანსურ დავალიანებებს ეხებოდა.

მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციათა მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესს ხელი შეუწყო წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების

დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შესაბამისი ასიგნებების გამოყოფამ.

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, წინა წლებში საბიუჯეტო ორგანიზაციათა მიმართ წარმოქმნილ ვალდებულებათა, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის გამოიყო 20 მილიონი ლარი, რაც თავისთავად დადებითი ფაქტია.

ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის განმავლობაში, 11 თვის მანძილზე, საბიუჯეტო ორგანიზაციის მიმართ აღსასრულებელ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 1 491 საქმე. აქედან, აღსრულდა 1 267, დამთავრდა¹⁶⁸ 34, სულ დასრულდა 1 301 საქმე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წელს სააღსრულებო ბიუროს მიერ ჩამოჭრილმა თანხამ ჯამში შეადგინა 3 556 713 ლარი. სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ მსგავსი კატეგორიის გადაწყვეტილებათა აღსრულება ეფექტურად ხორციელდება, თუმცა ამ მიმართულებით არსებობს რიგი პრობლემური საკითხები.

სახალხო დამცველის აპარატში განხილული განცხადებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა კონკრეტული პრობლემა. კერძოდ, გასული წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ხშირად მიმართავდნენ პირები, რომელთა განცხადებით, მათ სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება არ ხდებოდა. როგორც წესი, პრობლემა აქტუალური იყო იმ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისას, რომლებითაც საბიუჯეტო ორგანიზაციას დაეკისრა თანხის გადახდის ვალდებულება ფიზიკური ან კერძო იურიდიული პირის სასარგებლოდ. განცხადებების შესწავლისა და ამ კატეგორიის გადაწყვეტილებათა აღსრულების მიზნით არსებული სამართლებრივი და პრაქტიკული პროცედურების ანალიზის შედეგად დაფიქსირდა პრობლემა. იგი მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში აღმასრულებლის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის – წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ანგარიშზე ინკასოს დადების საშუალებით თანხის ჩამოჭრას უკავშირდება.

1999 წლის 16 აპრილის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრულია ყველა ის სამართლებრივი ბერკეტი და ვალდებულება, რომლებიც აღმასრულებელს ჰქონდა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების პროცესში. მოცემული მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია, რომ იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდევინება მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებითა და მისი

¹⁶⁸ დამთავრებაში იგულისხმება მისი სხვადასხვა საფუძვლით დამთავრების შემთხვევები. (კრედიტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვა, სააღსრულებო წარმოების გადაგზავნა სასამართლოში, სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმება და ა.შ.)

რეალიზაციით. იმ შემთხვევაში, თუ საკითხი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებას ეხება, აღმასრულებელმა ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოს უნდა აცნობოს. ამავე კანონის 90-ე მეოთხე პრიმა მუხლი განმარტავს, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციათა მიმართ ფულადი ვალდებულების შესასრულებლად იძულებითი აღსრულების ღონისძიებები აღმასრულებლის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების წინადადების მიცემიდან ერთი თვის შემდეგ უნდა დაიწყოს. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი პროცედურები და საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც აღმასრულებელმა უნდა უზრუნველყოს იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებების გატარება მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციის მიმართ, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების 1-თვიანი ვადის გასვლის შემდგომ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით არ არის განსაზღვრული.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს (შემდგომში აღსრულების ეროვნული ბიურო) და გამოითხოვა ინფორმაცია ინკასოს დადების ინსტიტუტის პროცედურებისა და ვადების სამართლებრივი რეგულირების თაობაზე. აღსრულების ეროვნული ბიუროდან მიღებული 2010 წლის 30 დეკემბრის წერილით დგინდება, რომ მსგავსი პროცედურები და ვადები საკანონმდებლო დონეზე არ არის გაწერილი. თუმცა, ამავე კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ პრაქტიკულ დონეზე არსებობს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადახდევინებას.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ კანონით დადგენილ 1-თვიან ვადაში, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღმასრულებელი ინკასოს ადებს სახელმწიფო ბიუჯეტში – წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოყოფილ ასიგნებებს და სასამართლო გადაწყვეტილებით კრედიტორებს მიკუთვნებულ თანხას ჩამოაჭრის.

მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციათა მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი თანხების გამოყოფა და ინკასოს დადების ინსტიტუტის პრაქტიკაში დამკვიდრება დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა აღმასრულებლის მიერ ბიუჯეტის ანგარიშზე ინკასოს დადების სამართლებრივი საფუძვლისა და რეგულაციის არარსებობა, კრედიტორებს დაუცველ მდგომარეობაში აყენებს. საკითხის მხოლოდ პრაქტიკით მოწესრიგება კრედიტორის უფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად არ არის საკმარისი. მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობაში უნდა გაიწეროს ის კონკრეტული ვადები და პროცედურები, რომელთა საფუძველზეც კრედიტორს ექნება საშუალება, მოითხოვოს აღმასრულებლისგან სააღსრულებო ღონისძიების განხორციელება–ინკასოს დადება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღმასრულებელი არ განახორციელებს მისთვის კანონით

დაკისრებულ მოვალეობას, კრედიტორს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დააყენოს მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

ამდენად, კრედიტორის უფლებების ეფექტურად დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს ინკასოს დადების პროცედურა და ვადები, რაც ხელს შეუწყობს ამ კატეგორიის საქმეთა სწრაფად და ეფექტურად აღსრულების პროცესს.

3. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიღება

მეორე პრობლემა, რომელიც სახალხო დამცველის აპარატში განხილული განცხადებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, აღმასრულებლისათვის საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან აღსრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების გაჭიანურებაა.

აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარმოებაში აქვს სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთა აღსრულებაც დამოკიდებულია მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციის მხრიდან აღმასრულებლისათვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდებაზე. კერძოდ, საუბარია იმ კატეგორიის სასამართლო გადაწყვეტილებებზე, რომლებშიც საბიუჯეტო ორგანიზაციას ფიზიკური პირის მიმართ დაკისრებული აქვს თანხის გადახდევინების ვალდებულება, ამასთან, ობიექტური მიზეზების გამო გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ზუსტი ოდენობა (მაგ: სასამართლო გადაწყვეტილებით საბიუჯეტო ორგანიზაციას პირის სასარგებლოდ ეკისრება 2006 წლის თებერვლიდან 2008 წლის იანვრამდე სახელფასო დავალიანების ან იძულებითი განაცდურის ანაზღაურება). მსგავს შემთხვევაში, აღმასრულებელი მიმართავს მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციას და მისგან ითხოვს კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის დაანგარიშებას და მის კანონით დადგენილ 1-თვიან ვადაში, ნებაყოფლობით გადახდევინებას. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაცია არ ასრულებს აღმასრულებლის მოთხოვნას. კანონმდებლობით აღმასრულებელს ინფორმაციის მოპოვებისათვის წერილობითი მიმართვის გარდა რაიმე სახის იძულებითი აღსრულების მექანიზმი არ გააჩნია.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ აღმასრულებლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველასათვის, დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად. ამდენად, მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია, დაიანგარიშოს თანხა და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს აღმასრულებელს, რაც ამ უკანასკნელს საშუალებას მისცემს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამის ანგარიშზე ინკასოს დადებით გადახდევინოს თანხა.

შესაბამისად, მაშინ, როდესაც მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაცია არ დაიანგარიშებს თანხას და არ აწვდის აღმასრულებელს აღსრულებისათვის აუცილებელ ინფორმაციას, აღმასრულებელი ვერ ახორციელებს იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს – კერძოდ, ინკასოს დადებას. ეს კი იწვევს გადაწყვეტილების აღსრულების გაურკვეველი ვადით გადავადებას, გაჭიანურებასა და, შესაბამისად, კრედიტორის უფლებების დარღვევას.

საკითხის შესწავლის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და გამოითხოვა ინფორმაცია, მსგავსი კატეგორიის საქმეთა არსებობის შემთხვევაში მათ აღსასრულებლად რა სამართლებრივი მექანიზმი არსებობს და რა სახის პრაქტიკაა დამკვიდრებული.

აღსრულების ეროვნული ბიუროდან მიღებული კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ წერილობით მიმართვის გარდა, არც საკანონმდებლო და არც პრაქტიკულ დონეზე არ არსებობს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მსგავს შემთხვევებში გადაწყვეტილების აღსრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებას.

ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესის გასაუმჯობესებლად მიგვაჩნია, რომ აუცილებელია აღმასრულებელს საკანონმდებლო დონეზე ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა/ბერკეტი, მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციის მხრიდან საჭირო ინფორმაციის გაუცემლობის შემთხვევაში იძულებით აღსრულების წესით მოიპოვოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში გაიწეროს აღმასრულებლის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ინკასოს დადების როგორც იძულებითი აღსრულების ღონისძიების პროცედურები და ვადები, როდესაც მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სასამართლო წესით დაკისრებული ფულადი ვალდებულება ნებაყოფლობით არ სრულდება;

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგინდეს მექანიზმი, რომელიც მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციისაგან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციის იძულებითი წესით მოპოვებას უზრუნველყოფს;

კანონმდებლობით განისაზღვროს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში:

ძეზნის გამოყენების კონკრეტული, ანუ ის შემთხვევები, როცა გადაწყვეტილების აღსრულება მოვალის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია;

მოყვანის ფორმა, მისი ხანგრძლივობა და მის ფარგლებში განსაზღვრული მოქმედებები.

სამართალდამცავი ორგანოები და ადამიანის უფლებები

2010 წლის საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებისა და აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ღირსების შემლახავი მოპყრობა, ისევე, როგორც არაპროპორციული ძალის გამოყენების საკითხი, კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება. გადამეტებული ძალის გამოყენების ფაქტების გარდა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში გამოიკვეთა რიგი პრობლემებისა, რომლებიც იწვევს ადამიანის უფლებათა დარღვევასა თუ შეზღუდვას.

წინამდებარე თავში საუბარი იქნება, ერთი მხრივ, დაკავებულ პირთა მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენებისა და თვითნებური დაკავების პრობლემაზე, მეორე მხრივ კი, პოლიციისა და პროკურატურის მუშაკთა მხრიდან სისხლის სამართლის საპროცესო უფლებების/ნორმების ისეთ დარღვევებზე, როგორიცაა დაკავების შემდგომ ოჯახის წევრებთან დაკავშირების შესაძლებლობა, პირის დაკავება ექვმიტანილის სტატუსის გარეშე და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის აღძვრაზე უარის გასაჩივრების უფლება.

პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებისა და თვითნებური დაკავების ფაქტები

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად: „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. დაუშვებელია დაკავებულის თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.“

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის მიერ ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა გარანტირებულია ასევე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით.¹⁶⁹

დაკავებულთა მოპყრობის წესები, შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან ერთად, არაერთი საერთაშორისო კონვენციით რეგულირდება, რომლებსაც საქართველო სავალდებულოდ აღიარებს. აღნიშნული ნორმები შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილია და შესაბამისად წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ადამიანი ნებისმიერ გარემოსა და პირობებში, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის დროს, დაცული იქნება თავისუფლების უფლების უკანონო შეზღუდვისა და წამების, ასევე არაადამიანური, სასტიკი ან სხვა ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან.

¹⁶⁹ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1 პუნქტი

2009 წლის როგორც პირველი, ასევე მეორე ნახევრის ანგარიშში საუბარი გვქონდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან მოქალაქეთა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო დასავლეთ საქართველოსთვის. აღნიშნული ტენდენცია კვლავაც შეინიშნება 2010 წელს. სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც დასავლეთ საქართველოს პოლიციის თანამშრომლების მიერ დაფიქსირდა პირის დაკავებისას ძალის გადამეტება, მოქალაქეების, მათ შორის არასრულწლოვნების, თვითნებური დაკავების ფაქტები, და არაადამიანური/ღირსების შემლახავი მოპყრობა.

პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენება

2010 წლის სააგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმეების მიხედვით დგინდება, რომ ხშირი იყო დაკავების პროცესში პოლიციის თანამშრომლების მიერ საჭიროებისთვის აშკარად შეუსაბამო ძალის გამოყენებისა და შესაძლო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები. ამასთან, პოლიცია ძალას იყენებდა როგორც დაკავებისას, ისე დაკავებული პირების პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ.

პოლიციელის მიერ ფიზიკური იძულების გამოყენების პირობები გაწერილია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლში, რომლის მიხედვითაც პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება დამნაშავეს დასაკავებლად, თუ უძალადო მეთოდების გამოყენებით ვერ უზრუნველყოფს კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. ამავე კანონის მე-10 მუხლის თანახმად, პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპის გათვალისწინებით. შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც პოლიციის მიერ ფიზიკური იძულება გამოწვეულია აუცილებლობით, ძალა უნდა გამოიყენოს პროპორციულად და ადეკვატურად.

სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ ძალიან ხშირად პოლიციის მიერ ძალის გამოყენება პოლიციელის მიერ ზემოხსენებულ პრინციპებს არ შეესაბამება და რიგ შემთხვევებში შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2010 წელს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლინდა პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა. როგორც უკვე ითქვა, თითქმის ყველა ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა დასავლეთ საქართველოში.

2010 წლის 24 მარტს სახალხო დამცველის რწმუნებულები ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში შეხვდნენ და ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს დაკავებულებს: ადვოკატ კ.ს.-ს და შ.დ.-ს.

შ.დ. სახალხო დამცველის რწმუნებულისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელს მისთვის თავი არ წარუდგენია, ისე უბრძანა გადმოსულიყო ავტომანქანიდან. გადასვლის შემდეგ საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა მას ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდა. დაკავებულის გადმოცემით, მან გონება დაკარგა.

ფიზიკურ შეურაცხყოფაზე მიუთითებს დმი-ში განთავსებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალიც.

სახალხო დამცველმა აღნიშნული ფაქტის გამოძიების რეკომენდაციით საქართველოს მთავარ პროკურორს მიმართა. როგორც საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილიდან ირკვევა, ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში ზემოაღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³-ე მუხლით დაიწყო.

2010 წლის 8 და 12 ივლისს სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა ბრალდებულ ნ.ნ.-ს, რომელიც დააკავეს მესტიის რაიონში. დაკავებულის განმარტებით, დაკავებისას მისი და მისი ქალიშვილის მიმართ პოლიციის თანამშრომელთა მიერ განხორციელდა ფიზიკური და სიტყვიერი ზემოქმედება. კერძოდ, ნ.ნ. და მისი ქალიშვილი იმყოფებოდნენ საცხოვრებელ სახლში, როცა მესტიის შს სამმართველოს უფროსის მოადგილემ და სპეცდანიშნულების რაზმის ორმა თანამშრომელმა ძალის გამოყენებით დააკავეს ნ.ნ. დაკავების შემდეგ ის ასევე ძალის გამოყენებით გაიყვანეს ეზოში და ჩასვეს მანქანაში, რა დროსაც მან მიიღო ფიზიკური დაზიანებები. ნ.ნ.-ს დაკავებისას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ასევე მის ქალიშვილს, რომელმაც დაზიანებები მიიღო ხელის არეში. დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანებები დაფიქსირებულია ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორის ჩანაწერთა წიგნსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #4 საპრობილეში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შემთხვევები დაფიქსირდა დაკავებულთა პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგაც.

2010 წლის 04 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ნ.ე.-მ და მიუთითა, რომ მისი მეუღლე კ.გ. 27 სექტემბერს ღამის საათებში დააკავეს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა, რომლებმაც მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

კ.გ.-ს ახსნა-განმარტებით, ის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე ქურდობის ფაქტზე დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. დაკავებისთანავე პოლიციის რამდენიმე თანამშრომელმა დაიწყო მისი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. დაკავებული ასევე განმარტავს, რომ ის პოლიციის მე-3 განყოფილებაში გადაყვანის დროს გახდა ცუდად, ჰქონდა ძლიერი ტკივილები სახის, ბეჭის, თავისა და ნეკნების მიდამოში, რის გამოც განყოფილებაში გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

დაკავებულ ხ.ა.-ს განმარტებით, ის და კ.გ. პოლიციის თანამშრომლებმა დაკავების შემდეგ ერთ ოთახში მოათავსეს (დაკავების ადგილზე), წააქციეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ზურგის, ფეხების, სახისა და თავის არეში. კ.გ. მისგან 2-3 მეტრში ჰყავდათ, რომლის ცემისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ხმაც მას კარგად ესმოდა. მათ სცემდნენ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაიყვანეს პოლიციის მე-3 განყოფილებაში. ისინი განყოფილების ერთ-ერთ ოთახში შეიყვანეს,

სადაც მათი ცემა ისევ განაგრძეს 10-15 წუთის განმავლობაში, სანამ ოთახში მორიგე არ შემოვიდა.

ახსნა-განმარტებების მიხედვით კ.გ.-ს მიმართ ძალა გამოიყენეს როგორც დაკავებისას, ისე პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ. განმცხადებლები უთითებენ, რომ დაკავებისას მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა რამდენიმე პოლიციელი.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა აღნიშნული ფაქტის გამოძიების რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს. როგორც საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილით გვეცნობა, ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) დაიწყო. მოცემულ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ პროკურატურისთვის გადაგზავნილი მასალები წარმოადგენდა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ გამოძიება დაწყებულიყო სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეხედულებაა, რომ როდესაც დაკავებამდე პიროვნებას დაზიანებები არ აღენიშნებოდა, ხოლო გათავისუფლებისას მას აღენიშნება დაზიანებები, სახელმწიფოს ვალდებულებაა, წარმოადგინოს ჯეროვანი ახსნა-განმარტება და მტკიცებულებები, თუ რამ გამოიწვია ეს დაზიანებები, რითაც გააქარწყლებენ დაზარალებულის ჩვენებას. აღნიშნული განმარტებების სახელმწიფოს მიერ არ წარმოდგენა იწვევს კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას.¹⁷⁰

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიციის ქმედებები ხშირად კანონის დარღვევით მიმდინარეობს და რიგ შემთხვევებში შესაძლოა, დანაშაულის ნიშნებსაც კი შეიცავდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პოლიციის მიერ ძალის გამოყენება გამოწვეულია აუცილებლობით, პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია დაასაბუთოს, თუ რამ გამოიწვია ფიზიკური იძულების გამოყენების აუცილებლობა, ამასთან, გამოყენებული ძალა აუცილებლად პროპორციული უნდა იყოს.

პირთა დაკავება სათანადო ოქმის შედგენის გარეშე

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში განიხილეს შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავები არ აფიქსირებდნენ როგორც დაკავების, ასევე დაკავების პროცესში ექვმიტანილთა მიმართ ძალის გამოყენების შედეგად მიყენებულ ფიზიკურ დაზიანებებს. კერძოდ, სამართალდამცავების მიერ არ დგებოდა დაკავების ოქმი და დაკავებულებს არ ატყობინებდნენ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებების შესახებ,

¹⁷⁰ გოხან ილდირიმი თურქეთის წინააღმდეგად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება. საქმე #31950/05

როგორც ამას ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლი (1998 წლის რედაქცია).

2010 წლის 4 მაისს სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის ოფისის წარმომადგენლებს სატელეფონო ზარით შეატყობინეს, რომ მოქალაქე ი.მ.–ს რამდენიმე საათის განმავლობაში პოლიციის თანამშრომელთა მიერ თავისუფლება ჰქონდა შეზღუდული. კერძოდ, 2010 წლის 4 მაისს, დაახლოებით 15:30 საათზე, ის იმყოფებოდა ქ.ქუთაისში სადგურის მოედანზე, სადაც ელოდებოდა საქართველოს პრეზიდენტს, რათა მისთვის გადაეცა წერილი. პრეზიდენტის მოსვლისთანავე სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა ორმა პიროვნებამ მას პირზე ხელი ააფარა და იძულებით ჩასვა ავტომანქანაში. ი.მ.–ს განმარტებით, მას აღნიშნული პიროვნებების მიერ ორი საათის განმავლობაში ჰქონდა თავისუფლება უკანონოდ აღკვეთილი. გატაცების მომენტში მან ძალის გამოყენების შედეგად მიიღო ქალა–ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში, როგორც განმცხადებლის ახსნა–განმარტებიდან ირკვევა, მას თავისუფლება ფაქტობრივად აღკვეთილ ჰქონდა, თუმცა მისი დაკავების შესახებ პოლიციის თანამშრომელთა მიერ არანაირი ოქმი არ შედგენილა.

საქმეში „ფედოტოვი რუსეთის წინააღმდეგ“¹⁷¹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან განმცხადებლის დაკავების თაობაზე არავითარი ჩანაწერი არ გაკეთებულა და პოლიციის განყოფილებაში უფლებამოსილმა პირმა ღიად განაცხადა უარი მსგავსი ჩანაწერის გაცემაზე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული მიიჩნია სერიოზულ დარღვევად. სასამართლოს ტრადიციული შეხედულებაა, რომ „დაკავება“, რომელიც არ არის აღიარებული, არის კონვენციის მე-5 მუხლით დაცული ფუნდამენტური გარანტიების აბსოლუტური უფლებელყოფა და წარმოადგენს ამ დებულების ყველაზე სერიოზულ დარღვევას. სასამართლომ დაასკვნა, რომ ისეთი ჩანაწერის არარსებობა, როგორიცაა დაკავების თარიღი, დრო და ადგილი, დაკავებულის ვინაობა, დაკავების საფუძვლები და დაკავების შემსრულებელი პირი, შეუსაბამოა „კანონიერების“ მოთხოვნებსა და მე-5 მუხლის მთავარ მიზანთან.

როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ისე ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით დაკავებად ითვლება პირის ფაქტობრივი დაკავება, ანუ მას შემდეგ, რაც პოლიციის თანამშრომელი ფაქტობრივად აკავებს პირს, ითვლება რომ მას აქვს გარკვეული სტატუსი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, შესაბამისად, აღნიშნული დაკავება უნდა გაფორმდეს სათანადო ოქმით და აისახოს დოკუმენტალურად. სახალხო დამცველის აპარატში განხილული საქმეების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ რიგ შემთხვევებში პირის ფაქტობრივი დაკავების დრო განსხვავდება ეჭვმიტანილის დაკავების ოქმში მითითებული დროისგან. მოცემულ შემთხვევაში გამოდის, რომ პირი ფაქტობრივი დაკავების დროიდან ეჭვმიტანილის დაკავების ოქმში მითითებულ დრომდე თვითნებურად არის დაკავებული პოლიციის მიერ, რაც, ბუნებრივია, მისი თავისუფლების უფლების დარღვევას იწვევს.

¹⁷¹ http://www.echr.coe.int/Eng/Press/2005/Oct/ChamberjudgmentFedotovvRussia251005.htm#_ftn1

ძალის გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ

როგორც უკვე აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში დასავლეთ საქართველოში შეინიშნებოდა პოლიციის თანამშრომელთა მიერ არასრულწლოვანთა თვითნებური დაკავების ფაქტები.

შესწავლილ საქმეებს შორის იყო ფაქტები, როდესაც სამართალდამცავები თავისუფლებას უზღუდავდნენ არასრულწლოვნებს, აყენებდნენ მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, თუმცა მათი დაკავების შესახებ არანაირი დოკუმენტი არ დგებოდა. ამასთან, დაკავებულებზე ახდენდნენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რაც ვლინდებოდა კონკრეტული დანაშაულის აღიარების მოთხოვნაში.

2010 წლის 11 თებერვალს სახალხო დამცველს მომართა არასრულწლოვანმა შ.კ.-მ. და განმარტა, რომ ის ძალის გამოყენებით წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც განყოფილების უფროსის მოადგილემ და თავად განყოფილების უფროსმა მასზე განახორციელეს ზეწოლა კ.ბ.-ს კუთვნილი ა/მანქანის მინის დაზიანების აღიარების მოთხოვნით.

არასრულწლოვანმა აღნიშნა, რომ მას განყოფილებაში შეყვანისთანავე ჩაუტარეს ჩხრეკა, წაართვეს ტელეფონი (ტელეფონი დაუბრუნდა დედას არასრულწლოვნის გათავისუფლების შემდეგ), თუმცა პოლიციის განყოფილებაში მისი თანდასწრებით დაკავების, პირადი ჩხრეკის ან სხვა რაიმე ოქმი, შედგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაშიც შესაძლოა არასრულწლოვნის თვითნებურ დაკავებასთან გვექონდეს საქმე.

ამასთან, თავად არასრულწლოვანს სახის არეში აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანება.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პირველ განყოფილებაში არსებულ დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალში შ.ქ.-ს დაკავებისა და შესაბამისად, ფიზიკური დაზიანებების ფაქტი დაფიქსირებული არ არის.

საქართველოს სახალხო დამცველმა გამოძიების რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს. როგორც მთავარი პროკურატურის წერილით გვეცნობა, ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით დაიწყო.

სახალხო დამცველის აპარატში ი.ხ.-ს განცხადების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილებაში, 19, 26, 27 თებერვალს თავისუფლება შეზღუდული ჰქონდათ არასრულწლოვნებს: 14 წლის დ.ს.-ს, 15 წლის ვ.ქ.-ს, 15 წლის ს.შ.-ს და 13 წლის გ.მ.-ს.

არასრულწლოვან დ. ხ.-ს აიძულებდნენ ეღიარებინა ავტომანქანის ენერგიის წყაროს, ე.წ. აკუმულატორის, მოპარვის ფაქტი.

სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში თავად არასრულწლოვანი დ.ხ. განმარტავს, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა როგორც დაკავებისას, ასევე განყოფილებაში ყოფნის დროსაც. კერძოდ, ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და კისრის არეში მუჭის ჩარტყმით აიძულეს, ეღიარებინა დანაშაული. პირის მშობელი მიუთითებს, რომ დ.ხ. სრულიად უკანონოდ იყო დაკავებული 9 (ცხრა) საათის განმავლობაში. მას, როგორც დაკავებულს, არ განუმარტეს უფლებები, არ უზრუნველყვეს დამცველისა და კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა.

აღნიშნულ ფაქტზე ასევე დაკავებული იყვნენ სხვა არასრულწლოვნებიც. ვ.ქ. წერილობით ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ პოლიციის წარმომადგენლებმა ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომანქანაში და განყოფილებაში მიიყვანეს, სადაც პოლიციის უფროსი ქურდობის ფაქტის აღიარებას სთხოვდა. არასრულწლოვანი მიუთითებს რომ, არც ის იყო უზრუნველყოფილი ადვოკატისა და კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. უფრო მეტიც, მის კანონიერ წარმომადგენელს, მამას, ტ.ქ.-ს ძალის გამოყენებით დაატოვებინეს განყოფილება.

დასახელებულ პირებთან ერთად ქურდობის ფაქტის აღიარებას სთხოვდნენ ს.შ.-ს, რომელიც წერილობით ახსნა-განმარტებაში საუბრობს პოლიციის მხრიდან ფიზიკური ძალის გამოყენებაზე. პოლიციის განყოფილებაში ს.შ.-მ 9 (ცხრა) საათი დაყო.

სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ განყოფილებაში ზემოაღნიშნული არასრულწლოვნების დაკავების ფაქტი დაფიქსირებული არ არის.

ასევე გაირკვა, რომ ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილებაში არ დაწყებულა და არც მიმდინარეობს გამოძიება ზემოხსენებულ ქურდობის ფაქტზე. შესაბამისად, არასრულწლოვნები პოლიციის მიერ დაკავებულნი არ ყოფილან კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, როგორც ამას ევროპული კონვენციის მე-5 (1) მუხლი ადგენს.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, თუ პიროვნების, როგორც დანაშაულში ეჭვმიტანილის, დაკავება არ არის კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზანი, არამედ იგი დააკავეს, რათა დაეკითხათ ზოგადი ინფორმაციის მოსაპოვებლად, ეს ითვლება თვითნებურ დაკავებად, რაც ეწინააღმდეგება კონვენციით გარანტირებულ უფლებამოსილებას.¹⁷²

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო არასრულწლოვნებთან დაკავშირებით. მაშინაც კი, როდესაც არასრულწლოვანს აკავენ სასამართლოს წინაშე წარდგენის მიზნით, ეს უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ზომას.

¹⁷² Murray v. the United Kingdom

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: „არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში.“

ზემოაღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ 2010 წლის საანგარიშო პერიოდში კვლავაც შეინიშნება სამართალდამცავების მიერ ძალისა და უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები. აღსანიშნავია, რომ ყოველ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და თავის ხელთ არსებული მასალები გადაუგზავნა შემდგომი რეაგირებისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ მსგავს ფაქტებზე დაწყებული გამოძიება იყოს ეფექტური და დამნაშავე პირები გამოვლინდეს, რაც დანაშაულის პრევენციას შეუწყობს ხელს.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის¹⁷³ მე-3 მუხლი,¹⁷⁴ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის¹⁷⁵ მე-7 მუხლი¹⁷⁶ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ იმპერატიულად კრძალავს სახელმწიფოს წარმომადგენლების¹⁷⁷ მიერ წამების განხორციელებას. ამ უფლებიდან დაუშვებელია გადახვევა.

ნეგატიური აკრძალვის პარალელურად სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული პოზიტიური ვალდებულებები, მათ შორის წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის გამოძიება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი¹⁷⁸, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) მე-14 ზოგადი ანგარიში და სხვა საერთაშორისო აქტები მკაფიოდ მოითხოვენ წამების, ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიების ვალდებულებას სახელმწიფოთა მხრიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტებით გამოძიება აუცილებლად უნდა იყოს ეფექტური¹⁷⁹, რაც გულისხმობს – გამომძიებელთა დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და შესაბამისი

¹⁷³ საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან

¹⁷⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის განჩინება საქმეზე *Gafgen v. Germany*, § 87.

¹⁷⁵ საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

¹⁷⁶ მუხლის ზოგადი კომენტარი. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

< [http://www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/\(Symbol\)/6924291970754969c12563ed004c8ae5?Opendocument](http://www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/(Symbol)/6924291970754969c12563ed004c8ae5?Opendocument) >

¹⁷⁷ იგულისხმება *de facto* და *de jure* საჯარო უფლებამოსილების განხორციელება. Committee Against Torture, General Comment #2, CAT/C/GC/2/CRP.1/Rev.4, პარ. 7.

¹⁷⁸ *inter alia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 დეკემბრის განჩინება საქმეზე *Bekos and Koutropoulos v. Greece*, § 53.

¹⁷⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 8 იანვრის განჩინება საქმეზე *Barabanshchikov v. Russia*, § 54.

კომპეტენციის ქონას, გამოძიების ზედმიწევნითობას, დაუყოვნებლობას, დაზარალებულთა მონაწილეობას და საჯაროობას პროცესში.¹⁸⁰

ზედმიწევნითობა ერთ-ერთი აუცილებელი გარანტიაა. იგი მოითხოვს გამოძიების დროს დაზარალებულის სავალდებულო დაკითხვას.¹⁸¹ სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების განხორციელებას, მათ შორის ამოცნობის ჩატარებას.¹⁸² ასევე, აუცილებელია სხვადასხვა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და დამატებით სხვადასხვა დოკუმენტაციის შემოწმება.¹⁸³ დამატებით აუცილებელია სხვადასხვა პირის დაკითხვა, რომლებიც შესაძლო შემსწრენი არიან წამების ან მისი შედეგების შესახებ შეუძლიათ ჩვენების მიცემა.¹⁸⁴ შეკრებილი მტკიცებულებების შეფასება აუცილებლად უნდა განხორციელდეს ობიექტურ საფუძვლებზე დაყრდნობით.¹⁸⁵

ევროპული სტანდარტებით გამოძიება აუცილებლად უნდა წარიმართოს გონივრულ ვადებში¹⁸⁶, რათა მტკიცებულებათა შეგროვება შესაძლებელი იყოს და ასევე დამრღვევ პირთა პასუხისმგებლობა განხორციელდეს ადეკვატურ პერიოდში¹⁸⁷.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა 2010 წლის 21 სექტემბერს გამოაქვეყნა მოხსენება საქართველოში განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით.¹⁸⁸ კომიტეტმა საქართველოს მთავრობას მისცა რეკომენდაცია, რათა წამების ან სხვა არაადამიანური მოპყრობის საქმეების გამოძიება წარიმართოს ეფექტურად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების შესაბამისად.¹⁸⁹

დაკავების შემდგომ დაკავებულის მიერ ოჯახის წევრებთან დაკავშირების პრობლემა

სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას დაკავებულები ხშირად აცხადებენ, რომ მათ დაკავების შემდეგ პოლიციის თანამშრომლები არ აძლევენ

¹⁸⁰ Effective Investigation of ill Treatment, *Guidelines on European Standards*, Eric Svanidze, Directorate of Human Rights and Legal Affairs Council of Europe, გვ 50.

¹⁸¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე *Cobzaru v. Romania*, \$ 71.

¹⁸² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 3 ივნისის განჩინება საქმეზე *Bati and Others v. Turkey*, \$142.

¹⁸³ Ibid. *Barabanshchikov v. Russia*, \$ 59.

¹⁸⁴ სტამბოლის ოქმი, 103-ე პარაგრაფი. დამატებით აუცილებელი მოთხოვნაა, რომ გამოძიება არ დაეყრდნოს მხოლოდ და მხოლოდ იმ პოლიციელთა ჩვენებებს, რომლებიც არიან საჩივრის ადრესატები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის განჩინება საქმეზე *Gharibashvili v. Georgia*, \$ 73.

¹⁸⁵ Opinion of the Commissioner of Human Rights, CommDH (2009) 4, \$ 69, Ibid. *Barabanshchikov v. Russia*, \$ 59.

¹⁸⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 იანვრის განჩინება საქმეზე *Mikheev v. Russia*, \$ 113. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 27 იანვრის განჩინება საქმეზე *Ramishvili and Kokhraidze v. Georgia*, \$ 80.

¹⁸⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 25 სექტემბრის განჩინება საქმეზე *Aydin v. Turkey*, \$ 108.

¹⁸⁸ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2010-27-inf-eng.pdf> >

¹⁸⁹ \$ 18-21, გვ 14-16.

შესაძლებლობას დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს და შეატყობინონ დაკავების შესახებ. ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ არ ხდება დაკავებულთა მიერ ოჯახის წევრებისა და სხვა ახლო ნათესავებისათვის დაკავშირების უფლების გამოყენებისა თუ აღნიშნულ უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტირება და სხვა მასალებთან ერთად სისხლის სამართლის საქმეზე დართვა, ვერ ხერხდება იმის დადგენა, ნამდვილად დაერღვათ თუ არა დაკავებულ პირებს მათთვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გარანტირებული უფლება. ასევე შეუძლებელია იმ ფაქტის დადგენა, რამდენად კეთილსინდისიერად შეასრულეს თავიანთი უფლება-მოვალეობები დაკავებულის მიმართ პოლიციის თანამშრომლებმა.

დაკავებულ პირთა მიერ ოჯახის წევრებისათვის დაკავების შესახებ შეტყობინების უფლების განხორციელების შეზღუდვასთან დაკავშირებით, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან, სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას განაცხადა ბრალდებულმა ვ.ჯ.-მ. სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის 2010 წლის 30 ოქტომბრის ოქმი, რომლის თანახმადაც დაკავებულს პოლიციის თანამშრომელთა მიერ განემარტა ოჯახის წევრებთან დაკავშირების უფლების შესახებ, თუმცა ამავე ოქმიდან და სხვა მასალებიდან სახალხო დამცველის აპარატმა ვერ შეძლო დაედგინა, ნამდვილად მიეცა თუ არა შესაძლებლობა დაკავებულ ვ. ჯ.-ს ესარგებლა აღნიშნული უფლებით. დაკავების ოქმისა და სხვა დოკუმენტაციის შესწავლით ასევე შეუძლებელი იყო დადგენილიყო ის გარემოება, რომ დაკავებულმა პირმა ნებაყოფლობით განაცხადა უარი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული ზემოაღნიშნული უფლების გამოყენებაზე და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მისი უფლებები არ დაარღვიეს.

ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეების მასალებითა და პირის დაკავების შესახებ სხვა დოკუმენტაციის შესწავლით შეუძლებელია უტყუარად დადგინდეს, დაირღვა თუ არა დაკავებული პირების უფლებები და ეძლევათ თუ არა მათ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ოჯახის წევრებთან დაკავშირებისა და მათთვის დაკავების შესახებ შეტყობინების შესაძლებლობა, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ, პირთა დაკავებისა და მათთვის უფლებების განმარტებისას, შემუშავდეს წერილობითი დოკუმენტირების სავალდებულო ფორმა, სადაც დაფიქსირდება დაკავებულთა მიერ მათთვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლით მინიჭებული უფლებების, მათ შორის დაკავების შესახებ ოჯახის წევრებისა და სხვა ახლობლებისათვის შეტყობინების უფლების (ამავე მუხლის მე-10 ნაწილი) გამოყენების ან/და მასზე ნებაყოფლობით უარის თქმის შესახებ, რასაც ასევე დაადასტურებს დაკავებული.

პირის დაკავება ექვმიტანილის სტატუსის გარეშე

2010 წლის საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან პირის ექვმიტანილის/ბრალდებულის სტატუსის გარეშე დაკავების შემთხვევები.

სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ განცხადებაში ერთ-ერთი განმცხადებელი მიუთითებდა, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ფაქტობრივად დააკავეს რამდენიმე საათით ადრე ქუთაისში. მას იძულების წესით აღუკვეთეს თავისუფლება და ჩამოიყვანეს თბილისში, რის შემდეგაც ჯერ მოწმის სახით დაკითხეს, ხოლო შემდეგ იგი დააკავეს, როგორც ექვმიტანილი და შეადგინეს შესაბამისი ოქმი.

მოწმის ფაქტობრივი დაკავების უტყუარად დადასტურება სახალხო დამცველს მის ხელთ არსებული მასალებით არ შეუძლია, თუმცა, მხარის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე, ექვს იწვევს ის გარემოება, რომ ქ.ქუთაისში მყოფ გ.კ.-ს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-3 განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელმა პირადად გადასცა უწყება, რომლითაც იმავე დღეს მოწმის სახით იბარებდა ამავე განყოფილების შენობაში. მას შემდეგ, რაც მოქალაქე გ.კ.-მ 20:30 საათზე მოწმის სახით მისცა ჩვენება, 00:20 საათზე ექვმიტანილის სახით დააკავეს.

სახალხო დამცველისათვის დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი თვითმხილველთა ახსნა-განმარტებების თანახმად, გ.კ. პოლიციის თანამშრომლებმა იძულებით წამოიყვანეს თბილისში და იგი უკვე ფაქტობრივად დაკავებული იყო. ახსნა-განმარტებებში თვითმხილველები აღნიშნავენ, რომ პოლიციის თანამშრომლები იარაღით ხელში შეცვივდნენ გ.კ.-ს მეუღლის მშობლებისა და მისი მეზობლის სახლებში და კითხულობდნენ, თუ სად იყო იგი. მათ დაათვალიერეს ოთახები და მხოლოდ მას შემდეგ დატოვეს ეზო, რაც ერთ-ერთმა მათგანმა დაიძახა, რომ გ.კ. უკვე „აიყვანეს“. თვითმხილველთა განცხადებით, გ.კ. ავტომანქანასთან პირქვე იწვა ძირს და ხელები უკან ჰქონდა გადაგრეხილი. ტაქსის მძღოლის ახსნა-განმარტებიდან გამომდინარე კი, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირმა, რომელმაც მანქანიდან გადმოიყვანა გ.კ. და რომელსაც ხელში იარაღი ეჭირა, უბრძანა გაეჩერებინა ავტომანქანა. აღნიშნულმა პირმა მისი მგზავრი გადაიყვანა ავტომანქანიდან და გაჩხრიკა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ გ.კ.-ს უკვე ქუთაისში აღეკვეთა თავისუფლება და იგი ფაქტობრივად დაკავებული იყო ამ დროიდან. მიუხედავად ამისა, მას თბილისში, პოლიციის შენობაში ჰკითხავენ, როგორც მოწმეს და მხოლოდ ამის შემდეგ აკავენ ექვმიტანილად.

პირის სტატუსის გარეშე დაკავების საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა ასევე შეისწავლა ბრალდებულ თ.წ.-ს დაკავების საკითხი, რომელიც ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ 2010 წლის 07 აპრილს დილის 12 სთ-ზე იმყოფებოდა სოფ. გეგუთში, თავის საცხოვრებელ სახლთან, რა დროსაც პოლიციის თანამშრომლებმა ის ჩასვეს ავტომანქანაში და ქუთაისის მიმართულებით წაიყვანეს.

თ.წ.-ს დაკავების კანონიერების შესწავლის მიზნით სახალხო დამცველის რწმუნებულებმა შეამოწმეს ქუთაისის #2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში არსებული პატიმართა პირადი საქმეები. ექვმიტანილად დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, თ.წ. დააკავეს მოწმედ დაკითხვის შემდეგ ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილებაში 07/04/2010 – 21:50 სთ–ზე. ხოლო დაკავებულის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის ზუსტ დროდ ოქმში მითითებულია 21:45 სთ., თუმცა როგორც თ.წ.-ს ახსნა–განმარტებით ირკვევა, ის საკუთარ სახლთან პოლიციის თანამშრომლებმა დღის 12 სთ–ზე დააკავეს.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის აღძვრაზე უარის გასაჩივრების უფლება

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს რამდენჯერმე მომართეს ადვოკატებმა იმის თაობაზე, რომ მათ განცხადებით მიმართეს საქართველოს მთავარ პროკურორს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოების განახლების მოთხოვნით.¹⁹⁰ ადვოკატების განცხადებით, მათ ყველა ამ მიმართვაზე უარი ეცნობათ, თუმცა ეს უარი არ ატარებდა დადგენილების სახეს, არამედ იყო უბრალო წერილი. ადვოკატების მიერ ყველა ასეთი უარი გასაჩივრდა შესაბამის სასამართლოში. ამ უკანასკნელმა რამდენიმე შემთხვევაში¹⁹¹ არ დაუშვა საჩივარი განსახილველად, რადგან მთავარი პროკურატურიდან გაცემული პასუხი იყო არა დადგენილება, არამედ უბრალოდ წერილი, რაც არ საჩივრდებოდა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის¹⁹² 596–ე მუხლის მიხედვით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოება იწყება მთავარი პროკურორის წინაშე წარდგენილი საჩივრით, რომელიც საკითხს გადასცემს ქვემდგომ პროკურორს საქმის შესწავლის მიზნით. საქმის შესწავლის შემდეგ, უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მას გამოაქვს დადგენილება წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. ეს დადგენილება ექვემდებარება გასაჩივრებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242–ე მუხლის შესაბამისად.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის მიხედვით პროკურორი უფლებამოსილების განხორციელებისას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია, შეადგინოს შემდეგი აქტები: მოთხოვნა, წარდგინება, პროტესტი, დადგენილება, თანხმობა, მითითება, საჩივარი, ინფორმაცია. აღნიშნული ჩამონათვალი არის ამომწურავი.

¹⁹⁰ 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსის მიხედვით აღნიშნული იყო მთავარი პროკურორის მიერ განსახილველი საკითხი.

¹⁹¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 17 თებერვლის დადგენილება

¹⁹² 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსი

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 17 თებერვლის დადგენილებაში მითითებული იყო, რომ მსჯავრდებულისთვის გაგზავნილი პასუხი უბრალო მიმართვაა (წერილს) და არა დადგენილება. აღნიშნული ტიპის დოკუმენტის გამოცემის კომპეტენცია საქართველოს პროკურატურას აქვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან გამომდინარე. შესაბამისად, როდესაც ადმინისტრაციულ კანონმდებლობას იყენებენ სისხლის საპროცესო ურთიერთობებში, ამით სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს დაუცველად ტოვებენ, რადგან რეალურად მას არ გააჩნია არც სისხლის სამართლებრივი და არც ადმინისტრაციული გარანტიებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს სამართალწარმოების პრაქტიკის გადახედვის რეკომენდაციითაც მიმართა.

ვინაიდან დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსხვავებულად არეგულირებს აღნიშნულ საკითხს, პროკურატურის მხრიდან ზემოხსენებული საპროცესო დარღვევის განმეორების ალბათობა პრაქტიკულად აღარ არსებობს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა თავიანთი საქმიანობა ჯეროვნად და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად განახორციელონ, რათა მომავალში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები თავიდან იქნეს აცილებული.

რეკომენდაციები :

შესაბამისად, ამ თავში ასახული პრობლემების აღმოსაფხვრელად საქართველოს პარლამენტს მივმართავ რეკომენდაციით, უზრუნველყოს იმ სახის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლებიც დაკავებისას სავალდებულოდ გახდის დაკავებული პირის დროებითი მოთავსების იზოლატორში დაუყოვნებლივ გადაყვანას და გამორიცხავს მის მოხვედრას სხვა ადმინისტრაციულ შენობაში, გარდა სასამართლო ორგანოებისა.

დროებითი მოთავსების იზოლატორებს დაევალოს დაკავებულის უფლების რეალიზება, შეატყობინოს საკუთარ ახლობლებს დაკავების შესახებ. ამ მიზნით კანონმდებლობაში განხორციელდეს ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც დაკავებულს ექნება შესაძლებლობა, ტელეფონით დაუკავშირდეს ოჯახის წევრებს და შეატყობინოს დაკავების შესახებ.

აღნიშნულის რეალიზებისათვის დროებითი მოთავსების იზოლატორები აღიჭურვოს სატელეფონო მომსახურების განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური საშუალებებით, ხოლო დაკავშირების დოკუმენტირება განახორციელოს დმი-ის უფლებამოსილმა თანამშრომელმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა აღიკვეთოს დაკავებულ პირთა მიმართ გადამეტებული ძალის გამოყენებისა და მოქალაქეთა თვითნებურად დაკავების ფაქტები.

სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებები

შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება

საქართველოში შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონით „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ“.

შეკრებებისა და გაერთიანებების თავისუფლება ასევე განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებით. ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-11 მუხლით, „ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა...“. მშვიდობიანი შეკრების უფლება აღიარებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლითაც.

2009 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველი საუბრობდა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებზე. ვინაიდან საკანონმდებლო კუთხით 2010 წელს სიახლე არ ყოფილა, 2010 წლამდე არსებული პრობლემები ისევ აქტუალურია.

2010 წელი ისევე, როგორც 2009 წლის მეორე ნახევარი, შეკრება-მანიფესტაციების კუთხით აქტიურ პერიოდს არ წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი აქციები არ ყოფილა, ქ.თბილისის მასშტაბით რამდენიმე აქცია ჩატარდა, რომელთა მიმდინარეობის დროს საქართველოს სახალხო დამცველმა რამდენჯერმე დააფიქსირა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევების ფაქტები. შესაბამისად, აღნიშნულ თავში ყურადღებას გავამახვილებთ იმ სისტემურ პრობლემებზე, რომლებიც შეკრება-მანიფესტაციების მსვლელობისას აღნიშნული თავისუფლებით სარგებლობისას დაფიქსირდა.

1. კანონმდებლობა შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების შესახებ

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2009 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო ანგარიშში ვრცლად არის მიმოხილული ის ხარვეზები, რომლებიც საქართველოს კანონში – „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ – გვხვდება. ამავე თავში საუბარი იყო ცვლილებებზე, რომლებიც 2009 წლის 17 ივლისს შეკრება-მანიფესტაციების

მარეგულირებელ აქტებში შევიდა და ამასთან დაკავშირებულ ვენეციის კომისიის დასკვნებზე¹⁹³. მოგვიანებით, 2010 წლის 1 მარტს, საქართველოს ხელისუფლებამ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონზე შემუშავებული ცვლილებების პროექტი გადაუგზავნა ვენეციის კომისიას. კომისიამ ზემოაღნიშნულ ცვლილებებზე 2010 წლის 12–13 მარტს შეიმუშავა შუალედური დასკვნა.¹⁹⁴ ცვლილებების პროექტი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმდებლობაში მთელი რიგი ხარვეზების გამოსწორებას ითვალისწინებდა, რაც თავისთავად ვენეციის კომისიის შუალედურ დასკვნაში დადებითად შეფასდა.

მიუხედავად ამისა, ვენეციის კომისიისათვის 2010 წლის 1 მარტს გადაგზავნილი ცვლილებები დღემდე არ ასახულა საქართველოს კანონში, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. შესაბამისად, კანონმდებლობაში არსებული ის ხარვეზები, რომლებზეც საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება, ისევ აქტუალური რჩება.

2010 წლის 7 სექტემბერს სახალხო დამცველმა შეკრება–მანიფესტაციის შესახებ კანონმდებლობაში არსებული ყველა სადავო ნორმის შესახებ კონსტიტუციური სარჩელით (#502) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა¹⁹⁵. 2010 წლის 5 ნოემბერს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასამართლომ #1-1/2/502 განჩინებით საქმე გადასცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დიდ პლენუმს. 2010 წლის 3-4 დეკემბერს სასამართლომ განიხილა საქმე. ამ ეტაპზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ცნობილი არ არის.

იმედს ვიტოვებთ, რომ ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში გვხვდება, ეტაპობრივად აღმოიფხვრება, რაც ქართული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას შეუწყობს ხელს.

¹⁹³ ¹⁹³ Comments on the law on Assembly and Manifestations of the Republic of Georgia by mr. Bogdan Aurescu, Opinion no. 547 / 2009, <[http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL\(2009\)153-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL(2009)153-e.asp)>:
Comments on the law on Assembly and Manifestations of the Republic of Georgia by Finola Flanagan, Opinion no. 547 / 2009, <[http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL\(2009\)152-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL(2009)152-e.pdf)>

¹⁹⁴ ¹⁹⁴ **CDL-AD(2010)009** Interim Opinion on the Draft Amendments to the Law on Assembly and Manifestations of Georgia adopted by the Venice Commission at its 82nd Plenary Session. Venice, 12-13 March 2010

¹⁹⁵ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსათვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად მიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშყარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ: 2010 წლის 7 სექტემბერი, სარჩელი #502

2. პრაქტიკაში არსებული პრობლემები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2010 წლის განმავლობაში აქციები დიდი სიხშირით არ ტარდებოდა. მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებიც ერთი მხრივ, აქციების მიმდინარეობისას პოლიციის უმოქმედობას, ხოლო რიგ შემთხვევებში სამართალდამცავთა უსაფუძვლო მოთხოვნებსა და არაკანონიერ ქმედებებს უკავშირდება. ამ ქვეთავში სწორედ აღნიშნულ ასპექტებსა და პრობლემებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

● სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა 2010 წლის 4 მაისს ქ.თბილისში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ, მიმდინარე აქციის დროს აქციის მონაწილეთა უფლებადარღვევის ფაქტი. კერძოდ, 2010 წლის 4 მაისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ დაახლოებით 17 სთ–ზე, აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები გამოხატვის თავისუფლების დაცვას ითხოვდნენ. საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიცემული ახსნა–განმარტებებიდან და აქციის ამსახველი ვიდეო–მასალიდან ირკვევა, რომ დაახლოებით 18:30 სთ–ზე აქციაზე მივიდა პირთა ჯგუფი, რომელთაც გამართეს პარალელური აქცია. ისინი გამოირჩეოდნენ აგრესიულობით და ითხოვდნენ მიმდინარე აქციის შეწყვეტას. მოგვიანებით პროცესი აქციის მონაწილეთა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. აქციის ერთ–ერთმა მონაწილემ, ნიკოლოზ ლუტიძემ, თავის ტრავმა მიიღო. აქციის მონაწილეების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი ასევე დასტურდება ჩვენს ხელთ არსებული ვიდეო ჩანაწერებიდან.

ინციდენტის დროს ადგილზე იმყოფებოდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. თუმცა, აქციის მონაწილეები და პირები, რომელთაც მოქალაქეთა ჯგუფმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, აცხადებდნენ, რომ სამართალდამცავებს, აგრესიულად განწყობილი ჯგუფის წევრების ქმედებების აღკვეთის მიზნით, ეფექტური ღონისძიებები არ გაუტარებიათ.

საქართველოს სახალხო დამცველმა თავის ხელთ არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. პასუხად გვეცნობა, რომ 2010 წლის 7 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე–საბურთალოს სამმართველოს პირველ განყოფილებაში წინასწარი გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის #007101246 საქმეზე, ნიკოლოზ ლუტიძის სხეულის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით¹⁹⁶. მოგვიანებით სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაცია

¹⁹⁶საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლი – ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის საშიშვლო არ არის და არ გამოუწვევია ამ კოდექსის 117–ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან ან საერთო შრომისუნარიანობის მყარ, ერთ მესამედზე ნაკლებად დაკარგვასთან.

შეიცვალა და გამოდიება წარიმართა სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით¹⁹⁷.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით აღნიშნულ საქმეზე ნიკოლოზ ლუტიძე და ვასილ გაბუნია დაზარალებულად არიან ცნობილნი.

აღნიშნულ ფაქტზე 2010 წლის 29 სექტემბერს რატი მაისურაძესა და ავთანდილ ზუმბაძეს, 2010 წლის 4 მაისს ქ.თბილისში ილიას სახელობის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ხულიგნობისთვის, წარედგინათ ბრალდება და ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2010 წლის 30 სექტემბრის ბრძანებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ დაპატიმრება.

2010 წლის 17 ნოემბერს სისხლის სამართლის #007101246 საქმეზე დასრულდა წინასწარი გამოძიება და საქმე, საბრალდებო დასკვნით, განსახილველად გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში. ამ ეტაპზე სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის და მიმდინარეობს საქმის განხილვა.

მიუხედავად აღნიშნულ ფაქტზე მოგვიანებით გატარებული ღონისძიებებისა, აუცილებლად მიგვაჩნია, ყურადღება გავამახვილოთ გარკვეულ ასპექტებზე. საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 2010 წლის 04 მაისს, ილიას უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების დროს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არ გატარდა სათანადო ღონისძიებები, რათა დაცული ყოფილიყო პირთა შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლება შემდეგ გარემოებათა გამო:

სახელმწიფო როგორც საერთაშორისო, ისე შიდა კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენს თითოეული პირის შეკრებებისა და მანიფესტაციების ფორმით აზრის/პოზიციის გამოხატვის უზრუნველყოფის გარანტს;

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად: „ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა...“. ამავე კონვენციის მე-10 მუხლი უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მოიცავს „პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“. მე-10 მუხლის დაცვის სფეროს განეკუთვნება როგორც ჩვეულებრივი, საზოგადოებისთვის მისაღები შეხედულებები, ასევე საზოგადოების წევრებისთვის შეურაცხყოფელი ან/და აღმაშფოთებელი მოსაზრებები.

¹⁹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი - ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების ეფექტური რეალიზაცია არ შემოიფარგლება სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებით სარგებლობისთვის ჩაურევლობის ვალდებულებით. სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს შეკრების თავისუფლებით ეფექტური სარგებლობა¹⁹⁸. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირებისთვის, რომლებსაც განსხვავებული აზრი აქვთ ან უმცირესობის რომელიმე ჯგუფს განეკუთვნებიან.

შესაბამისად, 2010 წლის 4 მაისს გამართული აქციის მსვლელობისას ადგილზე მყოფ სამართალდამცავებს უნდა გაეტარებინათ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა აქციის მონაწილეებისათვის, ნებისმიერი სახის დაბრკოლების გარეშე, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცათ.

ერთი მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ილიას უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფების ორი პარალელური აქცია მიმდინარეობდა. მათი მონაწილეების შეხედულებებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, რამაც მოგვიანებით ფიზიკური დაპირისპირება გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ 4 მაისს განვითარებული მოვლენები კერძო პირთა ორ ჯგუფს შორის მომხდარი დაპირისპირება იყო, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენდა ყველა სათანადო ზომის გატარება იმისთვის, რომ ორივე ჯგუფს ყოველგვარი ძალადობის გარეშე ჰქონოდა პროტესტის დაფიქსირების შესაძლებლობა.

საქმეში „ქიმები სიცოცხლისათვის ავსტრიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აქციამ ან დემონსტრაციამ შესაძლოა შეურაცხყოფა მიაყენოს იმ პირებს, რომლებიც დემონსტრაციაზე გამოთქმულ მოსაზრებებს ეწინააღმდეგებიან. მიუხედავად ამისა, დემონსტრაციის მონაწილეებმა იგი უნდა ჩაატარონ შიშის გარეშე, რომ შეიძლება ოპონენტების ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. ამგვარმა შიშმა შესაძლოა უმცირესობათა ჯგუფებს ხელი შეუშალოს ან/და გადააფიქრებინოს იდეებისა და მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმა.

აღნიშნულ საქმეში სასამართლომ გაუსვა ხაზი იმ ფაქტორს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ნეგატიური ვალდებულების შესრულება არ შეესაბამება კონვენციის მე-11 მუხლის მიზანს. მე-11 მუხლი გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფოსგან მოითხოვს პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდებს შორის არსებულ ურთიერთობებშიც¹⁹⁹.

¹⁹⁸ *Wilson & the National Union of Journalists and Others v. the United Kingdom*, nos. 30668/96, 30671/96 and 30678/96, § 41, ECHR 2002-V, and *Ouranio Toxo v. Greece*, no. 74989/01, 20 October 2005, § 37

¹⁹⁹ *X and Y v. the Netherlands* judgment of 26 March 1985, Series A no. 91, p. 11, § 23.

პოზიტიური ვალდებულება არ მოითხოვს სახელმწიფოსგან კონკრეტული შედეგის მიღებას. იგი მოითხოვს სახელმწიფო ორგანოების მიერ ყველა აუცილებელი ზომის გატარებას, რათა უფლების დარღვევა ან ასეთი დარღვევის საფრთხე თავიდან აიცილონ.

შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს თავის ხელთ არსებული ნებისმიერი საშუალება, რათა რამდენიმე აქცია, რომლებიც დროის იდენტურ მონაკვეთში, ერთსა და იმავე ადგილას მიმდინარეობს და შინაარსით ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მშვიდობიანად და ძალადობის გარეშე წარიმართოს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „საქართველოს პოლიცია არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი, სპეციალური, პოლიციური და გასამხედროებული დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან“. აღნიშნული დებულება მკაფიოდ განსაზღვრავს პოლიციის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი ერთ-ერთი ორგანოს როლსა და მის ძირითად ფუნქციებს.

2010 წლის 4 მაისს, ილიას უნივერსიტეტთან მიმდინარე აქციის დროს, მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმყოფებოდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. ამ შემთხვევაში, სწორედ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ეკისრებოდათ პოზიტიური ვალდებულება, შეენარჩუნებინათ აქციათა მშვიდობიანი ხასიათი და აღეკვეთათ ნებისმიერი სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

ახსნა–განმარტებების და აქციის ამსახველი ვიდეომასალის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ხედავდნენ, თუ როგორ აყენებდნენ აქციის მონაწილეებს ფიზიკურ შეურაცხყოფას სამართალდამცავებს პროცესის მშვიდობიანად წარმართვის მიზნით, შესაბამისი ზომები არ მიუღიათ, არ გაუტარებიათ შესაბამისი ღონისძიებები დამაბული სიტუაციის განსამუხტავად, ამასთან, ისინი არ ცდილობდნენ დაპირისპირების თავიდან აცილებას იმ დროს, როდესაც ამის საჭიროება რეალურად არსებობდა.

ერთ-ერთი დაზარალებულის, ნიკოლოზ ლუტიძის, ახსნა–განმარტების თანახმად, მას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დახმარებაზე უარი უთხრეს და გაქცევა ურჩიეს. მისი განმარტებით, სამართალდამცავებმა პიროვნება, რომელიც მას ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, ტერიტორიიდან გაიყვანეს, თუმცა, რამდენიმე წუთის შემდეგ იგი დაბრუნდა და აქციის მონაწილეთა ფიზიკური შეურაცხყოფა განაგრძო.

იმის გამო, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა არ გამოიყენეს ყველა აუცილებელი ზომა, რათა შინაარსობრივად ერთმანეთის საწინააღმდეგო აქცია ერთსა და იმავე ადგილას მშვიდობიანად წარმართულიყო, არც ერთი აქციის მონაწილეებს არ მიეცათ საშუალება, შეკრებილიყვნენ და თავისუფლად გამოეხატათ მათი მოსაზრებები.

ადგილზე მყოფი პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ყველა აუცილებელი ზომის გატარების შემთხვევაში შესაძლოა, ინციდენტი თავიდან აცილებულიყო.

• სამართალდამცავთა მოთხოვნათა კანონიერება შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს

სახალხო დამცველმა შეისწავლა 2011 წლის 3 იანვარს ქ.თბილისში, გმირთა მოედანზე, ომში დაღუპულთა მემორიალთან ვეტერანების მიმდინარე აქციის დაშლის ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტი 2011 წლის იანვარში მოხდა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მისი ანგარიშში ასახვა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მეზრძოლთა ნაწილმა, მათ შორის 1992-1993 წლებისა და 2008 წლის საომარი მოქმედებების მონაწილეებმა, გმირთა მოედანზე პერმანენტული საპროტესტო აქციები 2010 წლის 27 დეკემბერს დაიწყეს. აქციის ფარგლებში რამდენიმე ვეტერანი ომში დაღუპულთა მემორიალთან შიმშილობდა. 2010 წლის 24 დეკემბერს ვეტერანებმა ქ. თბილისის მერიას წერილობით აცნობეს გმირთა მოედნის ტერიტორიაზე აქციის მოწყობის შესახებ. ვეტერანები შიმშილობის შეწყვეტას 6 იანვრისთვის გეგმავდნენ.

2011 წლის 3 იანვარს, აქციის დაშლის მოთხოვნით, ადგილზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ. ვეტერანთა განმარტებით, ანალოგიური მოთხოვნით მათთან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი უცნობი პირებიც მივიდნენ.

აქციის დაშლის დროს სამართალდამცავებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს აქციის მონაწილენი მალხაზ თოფურია, ამურ რევიშვილი, ზაზა გერმანოზაშვილი, ლევან ასათიანი, ლევონ ასატრიანი, შოთა იამანიძე, ვალერიან ძეგირაშვილი, შოთა ზღუდაძე, ლეონიდ ეხვია, ილია ჩილოშვილი და სერგო დვალი. აღნიშნული პირების ადმინისტრაციული წესით დაკავების ოქმებში დაკავების საფუძველად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებია მითითებული.

2011 წლის 4 იანვარს დაკავებულები თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით ცნობილ იქნენ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად და შეეფარდათ ადმინისტრაციული სახდელი 400 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ფაქტის შესწავლის მიზნით 2011 წლის 3 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ აქციის მონაწილეებს და ჩამოართვეს ახსნა-განმარტებები. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციის, ტელეკომპანია „კავკასიისა“ და ინტერნეტ პორტალ „interpressnews.ge“-ს მიერ გავრცელებული ვიდეომასალის შესწავლის შედეგად მიგვაჩნია, რომ დაირღვა აქციის მონაწილეთა შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება. აღნიშნულ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები პირთათვის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაში არამართლზომიერად ჩაერივნენ შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. აქციის ადგილი

მასალებიდან დგინდება, რომ აქცია მიმდინარეობდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

კერძოდ, საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ ითვალისწინებს აქციის ჩატარების მსურველთა ვალდებულებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიმართონ წერილობითი გაფრთხილებით იმ შემთხვევაში, თუ აქციის გამართვა ხალხის ან ტრანსპორტის სავალ ნაწილზე იგეგმება.

ამავე კანონის მე-7 მუხლის თანახმად, გაფრთხილება არ არის სავალდებულო ცალკეული მოქალაქეებისათვის, რომელთაც სურთ თავიანთი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა პლაკატებით, ლოზუნგებით, ტრანსფარანტებით ან სხვა სახვითი საშუალებებით, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება, ამისათვის გამოიყენონ შენობების შესასვლელები და კიბეები, გადაკეტონ გზის სავალი ნაწილი ან შეაფერხონ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობა.

ვინაიდან აქცია არ იმართებოდა ხალხის ან ტრანსპორტის სავალ ნაწილზე, აშკარაა, რომ არ იყო აუცილებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის გაფრთხილებისა და იგი ექვემდებარებოდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლს.

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქციის მონაწილეებმა გაფრთხილება შეიტანეს ადგილობრივ თვითმმართველობაში. პასუხად, მათ ქ.თბილისის მერიიდან განემარტათ, რომ აქციის გამართვის წესების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-11¹ მუხლებით განსაზღვრულია ის ქმედებები, რომლებიც აქციათა მიმდინარეობისას იკრძალება. კერძოდ, შეკრებებისა და მანიფესტაციების მონაწილეებს ეკრძალებათ განზრახ დაბრკოლებების შექმნა ტრანსპორტის გადაადგილებისთვის. აკრძალულია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, თუ ამას არ მოითხოვს შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობა. აგრეთვე, აკრძალულია ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვა ავტომატურად, სხვადასხვა კონსტრუქციით ან/და საგნით.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მემორიალთან მიმდინარე აქციის მონაწილეებს დაკავებული არ ჰქონიათ გზის სავალი ნაწილი და არ გადაუკეტავთ მოძრაობა. ისინი აქციის განმავლობაში იმყოფებოდნენ გმირთა მოედანთან მდებარე მემორიალის ტერიტორიაზე. მისი ჩატარების ფორმა, დრო და ადგილი კი სრულად შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ბ. კარავი

აქციის დაშლის შემდგომ, იმავე დღეს, გავრცელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაცია აღნიშნული ფაქტის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, აქციის მონაწილეებს გაშლილი ჰქონდათ თვითნაკეთი კარავი. ისინი არ დაემორჩილნენ ადგილზე გამოცხადებული საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მოთხოვნას კარვის აღების თაობაზე, გაუწიეს მათ ფიზიკური წინააღმდეგობა და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის გამოც მოგვიანებით ისინი დააკავეს.

აღსანიშნავია, რომ როგორც საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიცემული ახსნა-განმარტებებიდან დგინდება, აქციის მონაწილეებმა კარავი პოლიციის მოთხოვნის საფუძველზე აიღეს. ამასთან, გავრცელებული ვიდეომასალიდან კარგად ჩანს, რომ იმ მომენტში, როდესაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დაიწყეს აქციის მონაწილეების დაკავება, მემორიალთან კარავია ღარ იყო.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტორს, რომ კარავი ვეტერანთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე რომც ყოფილიყო, მისი აღებისა და აქციის დაშლის მოთხოვნა სამართალდამცავთა მხრიდან საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან კარავი აქციის მიმდინარეობის დროს გმირთა მოედანზე ომში დაღუპულთა მემორიალურ დაფასთან იდგა და არ იწვევდა ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნულ გადაკეტვას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹ მუხლი კრძალავს ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვას სხვადასხვა კონსტრუქციით, შესაბამისად, ვინაიდან მსგავსი ფაქტი არ ყოფილა, კანონის მოთხოვნები აქციის მონაწილეების მიერ არ დარღვეულა. ამასთან, ამავე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ აქციის მიმდინარეობისას ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნური გადაკეტვა ხდება, მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელს აქვს უფლება, მიმართოს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს მოთხოვნით, გაათავისუფლონ სავალი ნაწილი, რაც ამ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

გ. სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ აქციის მიმდინარეობისას, ადგილზე სამართალდამცავებთან ერთად იმყოფებოდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები. აღსანიშნავია, რომ ისინი ფიზიკურად უსწორდებოდნენ და რიგ შემთხვევაში აკავებდნენ შეკრების მონაწილეებს. სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა მიაყენა შეურაცხყოფა აქციის მონაწილე ქალბატონს, ეკა მათიაშვილს. აქციის მონაწილეთა

განმარტებით, მათ არ წარუდგენიათ შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რის გამოც შეუძლებელი იყო მათი იდენტიფიცირება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლი განსაზღვრავს იმ ორგანოების (თანამდებობის პირების) ჩამონათვალს, რომელთაც ადმინისტრაციული დაკავების უფლებამოსილება აქვთ. აღნიშნული მუხლის თანახმად, წვრილმანი ხულიგნობის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობების და დემონსტრაციების ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევის, პოლიციის მუშაკის, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობისას პირის ადმინისტრაციული წესით დაკავების უფლება შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლებს აქვთ.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიცია ვალდებულია აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევები. ამავე კანონის 28-ე მუხლის თანახმად, პოლიციელი ვალდებულია ატაროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ტანსაცმელი.

შესაბამისად, აშკარაა, რომ აქციის დაშლის დროს დაირღვა კანონმდებლობის ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

დ. აქციის მონაწილეთა ფიზიკური შეურაცხყოფა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქციის დაშლის დროს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ აქციის მონაწილეებს. ვიდეომასალიდან კარგად ჩანს, როგორ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა აქციის ერთ-ერთ მონაწილე ქალბატონს, ეკა მათიაშვილს.

დაკავებულებიდან ორ პირს, მალხაზ თოფურიასა და შოთა იამანიძეს, აღენიშნებოდათ ფიზიკური დაზიანებები, რომლებიც დაფიქსირებულია შსს დროებითი მოთავსების იზოლატორის დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმებშიც, თუმცა დაზიანებები არაა დაფიქსირებული ზემოაღნიშნულ პირთა ადმინისტრაციულ დაკავების ოქმებში.

ე. დაკავებულთა მიმართ გამოყენებული მუხლები

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისისა და მცხეთა – მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული დაკავების ოქმებით დგინდება, რომ აქციის მონაწილეები დააკავეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძველზე.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიცემული ახსნა–განმარტებებიდან, ასევე, ტელეკომპანია „კავკასიისა“ და ინტერნეტ პორტალ „interpressnews.ge“-ს მიერ გავრცელებული ვიდეო მასალებიდან არ დგინდება აქციის მონაწილეთა მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე და 173–ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევა.

საპატრულო პოლიციის აქციაზე მისვლის მომენტში აქციის მონაწილეები ისხდნენ გმირთა მოედანზე მდებარე მემორიალთან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადებით²⁰⁰, დაკავებული პირები მართავდნენ საპროტესტო აქციას საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან, სადაც ასევე გაშლილი ჰქონდათ თვითნაკეთი კარავი. აქციის მონაწილეები არ დაემორჩილნენ ადგილზე გამოცხადებული საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მოთხოვნას კარვის აღების თაობაზე, გაუწიეს მათ ფიზიკური წინააღმდეგობა და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც გახდა მათი დაკავების საფუძველი.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან ვერ დგინდება დაკავებული პირების, აქციის მონაწილეთა მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე მუხლის დარღვევა. აღნიშნული მუხლის თანახმად, წვრილმანი ხულიგნობა წარმოადგენს საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინებას, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას და სხვა ამგვარ მოქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, არც ერთი მსგავსი ფაქტი აქციის მონაწილეთა მხრიდან არ ყოფილა. გავრცელებული ვიდეომასალიდან ჩანს, რომ არეულობა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირების მისვლისა და მათ მიერ აქციის მონაწილეებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის შემდგომ დაიწყო.

რაც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე მუხლის გამოყენებას, აღნიშნულ შემთხვევაში პატრულ–ინსპექტორებმა აბსოლუტურად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ დააყენეს 173–ე მუხლით დადგენილი სამართალდარღვევის საკითხი. ჩვენს ხელთ არსებული ვიდეომასალიდან კარგად ჩანს, რომ დაკავებულ პირებს სამართალდამცავთათვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ყურადღების გამახვილება მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლების გამოყენება წარმოადგენს. მსს–ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის მოთხოვნას წარმოადგენდა აქციის მსვლელობისას თვითნაკეთი კარვის აღება. გაუგებარია, რატომ დაკვალიფიცირდა სამართალდამცავთა მიერ აქციის მონაწილეთა ქმედება 166–ე მუხლად, მაშინ, როდესაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹–ე მუხლი წარმოადგენს სპეციალურ ნორმას,

²⁰⁰ <<http://police.ge/index.php?m=8&date=2011.1&newsid=1937>>, 23.02.11: 18:44

რომელიც ითვალისწინებს პირთა პასუხისმგებლობას შეკრება-მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევისათვის.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც დაარღვიეს საქართველოს კანონმდებლობა.

2011 წლის 5 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2011 წლის 3 იანვარს თბილისში, გმირთა მოედანზე, ვეტერანთა აქციის დაშლაში მონაწილე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ოთარ გვენეტაძე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან პოლიციის ეთიკის ნორმების დარღვევის გამო.

ხოლო ჩვენთვის მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულ დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება 2011 წლის 3 იანვარს ქ.თბილისში, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ვეტერანთა მიერ გამართული საპროტესტო აქციის დროს, ეკა მათიაშვილის, მალხაზ თოფურიას და შოთა იამანიძის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანების მიყენების ფაქტზე.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ამ გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ აღნიშნული პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენს და იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული ფაქტის შესწავლა გაგრძელდება და გატარებული ღონისძიებები იქნება ადეკვატური.

სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულ პირთა აქტიურობა აქციების მიმდინარეობისას ასევე დაფიქსირდა 2010 წლის 21 ოქტომბერს ლილოს ბაზრობაზე მიმდინარე მოვაჭრეთა მხარდამჭერ აქციაზეც.

ამ შემთხვევაშიც ისევე, როგორც ვეტერანთა აქციის დროს, ინციდენტში მონაწილე მთელ რიგ პირებს ეცვათ სამოქალაქო ტანსაცმელი. ოფიციალური ინფორმაციით, ამ დროს ლილოს ბაზრობას იცავდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები და შპს „ელსავაკოს“ (იმავე ლილოს ბაზრობის) კერძო დაცვის თანამშრომლები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა განსაზღვრულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის #1633 ბრძანებით. იმის გამო, რომ ინციდენტში მონაწილე პირთა უმეტესობას არ ეცვა ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული ფორმა, აქციის მონაწილეთა მიერ მათი იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინციდენტის დროს ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტის უფლებაც დაირღვა, რასაც გამოხატვის თავისუფლების თავში მიმოვიხილავთ.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვასთან დაკავშირებული პრობლემები

2009 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო ანგარიშში ვრცლად იყო მიმოხილული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვასთან დაკავშირებული პრობლემები.²⁰¹

საანგარიშო პერიოდში გაანალიზდა ჩვენს ხელთ არსებულ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილი რამდენიმე დადგენილება. მათი შესწავლის შედეგად აშკარაა, რომ ის პრობლემები, რომლებზეც საუბარი გვქონდა 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში, კვლავ აქტუალური რჩება.

სახალხო დამცველის აპარატში შეისწავლეს 2011 წლის 3 იანვარს ქ.თბილისში, გმირთა მოედანზე, ომში დაღუპულთა მემორიალთან ვეტერანების მიერ გამართულ აქციაზე დაკავებული პირების: ლევან ასათიანის, ლევონ ასატრიანის, ილია ჩილოშვილის, მალხაზ თოფურიას, ამურ რევიშვილის, ლეონიდ ეხვასიას, შოთა ზღუდაძის, ზაზა გერმანოზაშვილის, ვალერიან ძეგისაშვილის, შოთა იამანიძესა და სერგო დვალის მიმართ გამოტანილი დადგენილება.

ასევე, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 ივნისის დადგენილება, რომელიც 2010 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობის კანცელარიის წინ საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა „მრგვალი მაგიდის“ წევრების მიერ ჩატარებული აქციისას დაკავებული ნათია მაისურაძის, ირაკლი შონიას და ინგა სიხარულიძის მიმართ გამოიტანეს. აღნიშნული პირები სასამართლომ სამართალდამრღვევებად ცნო, შედეგად, ირაკლი შონიას შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 10 დღის ვადით, ხოლო ნათია მაისურაძესა და ინგა სიხარულიძეს – 05 დღის ვადით.

ორივე შემთხვევაში გამოტანილი დადგენილებების ანალიზისას საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შემდეგი პრობლემები დაფიქსირდა.

ა. მტკიცებულებათა ნაკლებობა

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე მუხლის

²⁰¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება; სამართლიანი სასამართლოს უფლება, გვ.144

თანახმად, „*ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა...*“. შესაბამისად, სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი უნდა დაადგინოს და შესაბამისი სახდელი დააკისროს ამგვარი გამოკვლევის შედეგად.

ამავე კოდექსის 236–ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანოს შეუძლია დაადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. **ამასთან, სამართალდარღვევის არსებობა, ან არარსებობა უნდა დადგინდეს არა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმით, არამედ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა–განმარტებების, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ასევე სხვა დოკუმენტებით;**

სასამართლოს 2011 წლის 4 იანვრის დადგენილების სამოტივაციო ნაწილში ვეტერანების საქმეზე, აღნიშნულია, რომ საქმის მასალების შესწავლისა და მხარეთა მოსმენის შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლევან ასათიანმა, ლევონ ასატრიანმა, ილია ჩილოშვილმა, მალხაზ თოფურიამ, ამურ რევიშვილმა, ლეონიდ ეხვიაიმ, შოთა ზღუდაძემ, ზაზა გერმანოზაშვილმა, ვალერიან ძეგისაშვილმა, შოთა იამანიძემ და სერგო დვალმა ჩაიდინეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე და 173–ე მუხლებით დადგენილი სამართალდარღვევა – „*კერძოდ, წვრილმანი ხულიგნობა, საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა–გინება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს*“ და სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა, „*რაც კონკრეტულად იმაში გამოიხატა, რომ 2011 წლის 03 იანვარს, ქ.თბილისში, გმირთა მოედანზე, ვარაზის ხევის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილას აღნიშნული პირები ილანძღებოდნენ უცენზურო სიტყვებით და არ დამორჩილდნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნას, შეეწყვიტათ აღნიშნული ქმედება*“. სასამართლომ აღნიშნული ფაქტები დადგენილად მიიჩნია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმებით, პატრულ – ინსპექტორების ახსნა–განმარტებებით და საქმეში არსებული მასალებით.

იმავე ფორმულირებას ვხვდებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის დადგენილებაში, რომლის თანახმად, სასამართლომ საქმეში არსებული 2011 წლის 3 იანვრის ადმინისტრაციული დაკავების ოქმებით, მხარეთა ახსნა–განმარტებებითა და საქმის სხვა მასალებით დაადგინა, რომ 2011 წლის 3 იანვარს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქ.თბილისში გმირთა მოედანზე დააკავეს ზემოაღნიშნული პირები იმ მოტივით, რომ ისინი უცენზურო და უხამსი ქმედებით არღვევდნენ საზოგადოებრივ

წესრიგს და არ ემორჩილებოდნენ პოლიციელთა არაერთგზის კანონიერ მოთხოვნას, შეეწყვიტათ აღნიშნული ქმედება.

აღნიშნული დადგენილების თანახმად: „საქმის მასალების შესწავლის შედეგად სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლევან ასათიანის, ლევონ ასატრიანის, ილია ჩილოშვილის, მალხაზ თოფურიას, ამური რევიშვილის, შოთა ზღუდაძის, ლეონიდ ეხვაციას, ზაზა გერმანოზაშვილის, შოთა იამანიძის, ვალერიან ძევისაშვილის და სერგო დვალის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ნიშნებს“.

ორივე დადგენილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო საქმეში არსებულ მასალებზე აკეთებს მითითებას. თუმცა, გაურკვეველია, კონკრეტულად რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია სასამართლომ სამართალდარღვევის ფაქტი ჩადენილად. ამასთან, არც ერთი დადგენილება არ შეიცავს სასამართლოს პოზიციას და მსჯელობას, თუ რატომ მივიდა იგი ამ დასკვნამდე და რამდენად იყო „საქმეში არსებული მასალები“ საკმარისი მსგავსი დასკვნის გასაკეთებლად.

ბ. დაცვის გარანტიების ნაკლებობა

2011 წლის 4 იანვრის სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად, ლევან ასათიანის, ლევონ ასატრიანის, ილია ჩილოშვილის, მალხაზ თოფურიას, ამური რევიშვილის, ლეონიდ ეხვაციას, შოთა ზღუდაძეს, ზაზა გერმანოზაშვილის, ვალერიან ძევისაშვილის, შოთა იამანიძესა და სერგო დვალის ინტერესების დამცველებმა, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, სასამართლოს წინაშე 4-ჯერ დააყენეს შუამდგომლობა ადმინისტრაციულ საქმეზე ტელეკომპანია „კავკასიისა“ და დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიერ გადაღებული ვიდეოფირის მტკიცებულებად დართვისა და მისი სხდომაზე დემონსტრირების თაობაზე, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა უსაფუძვლოდ გამო.

სასამართლოს არ უმსჯელია, რატომ იყო უსაფუძვლო აღნიშნული ვიდეოფირის საქმეზე დართვა და სასამართლოში დემონსტრირება.

ვიდეოფირის პროცესზე წარმოდგენის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობასთან ერთად სასამართლომ არ გაიზიარა სამართალდამრღვევად ცნობილი პირების ახსნა-განმარტებები და მოწმეთა (ეკა მათიაშვილი და ირაკლი ბათიაშვილი) მიერ მიცემული ჩვენებები. სასამართლოს განმარტებით: „ისინი არ ემსახურება საქმეზე რეალური ფაქტების დადგენისა და გამორკვევის მიზანს, მოხმობილია მათ მიმართ მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით“. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ამ არგუმენტის დასაბუთებისგანაც თავი შეიკავა.

გ. დასაბუთებულობის პრობლემა

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე მუხლის თანახმად, „ორგანო (თანამდებობის პირი), ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს:

ა) ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;

ბ) ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში;

გ) ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;

დ) არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები;

ე) მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას სასამართლომ უნდა მოახდინოს ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა. 237-ე მუხლის საფუძველზე, „ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და სამართალშეგნებით, მტკიცებულებებს შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც გამყარებულია საქმის ყველა გარემოებით, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე, მათ ერთობლიობაში“.

აღნიშნული მუხლების შესაბამისად, სასამართლო, საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევისას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას (ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და არის თუ არა პირი ბრალეული მის ჩადენაში) ხელმძღვანელობს შინაგანი რწმენით. თუმცა, შინაგანი რწმენით მიღებული გადაწყვეტილება განმტკიცებული უნდა იყოს საქმის ყველა გარემოებით, რომლებიც სასამართლომ გამოიკვლია ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შესწავლით. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ასახავდეს ყველა იმ გარემოებას და ფაქტს, რომელთა საფუძველზეც სასამართლო დასკვნამდე მივიდა.

მიუხედავად ამისა, საქალაქო სასამართლო, 2011 წლის 4 იანვრის დადგენილებაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის არსებობის, პირთა ბრალეულობის შესახებ ყოველგვარი მსჯელობის, მოტივაციისა და შესაბამისი დასაბუთების გარეშე გადადის ადმინისტრაციული სახდელის დადების საკითხზე ისე, რომ გადაწყვეტილების მიზეზი არ განუმარტავს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა ისევე, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი შეფასებების გარეშე ადგენს სამართალდარღვევის ფაქტს,

მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის 4 იანვრის დადგენილება გამოტანილია 11 პირის მიმართ, სასამართლო დადგენილების სამოტივაციო ნაწილი შედგება მხოლოდ 2

აზნაცისგან. სასამართლო არ მსჯელობს, კონკრეტულად რომელ მტკიცებულებებში მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით ადგენს სამართალდარღვევის ფაქტს, არ მსჯელობს, რაში და რა ფორმით გამოიხატა სამართალდამრღვევთა მხრიდან წვრილმანი ხულიგნობა ან პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა.

სასამართლო ასევე არ განმარტავს, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა სამართალდამცველთა კანონიერი მოთხოვნა. მით უფრო, რომ სასამართლო სხდომის ოქმიდან კარგად ჩანს, რომ პატრულ–ინსპექტორთა განმარტება კანონიერი მოთხოვნის თაობაზე ხშირად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პატრულ–ინსპექტორები, რიგ შემთხვევებში, საკუთარ მოთხოვნას აქციის მონაწილეთა მიმართ პრევენციულ ღონისძიებებს უწოდებენ. კერძოდ, ერთ–ერთი მათგანის განმარტებით, მათ აქციის მონაწილეებს სავალი ნაწილიდან გადასვლა მოსთხოვეს. მისივე განმარტებით, აქციის მონაწილეები შესაძლოა, არც გადასულიყვნენ და არც გადაეკეტათ გზა, მაგრამ ისინი მაინც წინასწარ გააფრთხილეს.

სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად, რიგ შემთხვევაში, პატრულ–ინსპექტორები აცხადებდნენ, რომ მათი მოთხოვნა არა აქციის დაშლა, არამედ კარვის აღება იყო, ამასთან, არც ერთი არ აცხადებს, რომ კარავი კანონით აკრძალულ ადგილას იდგა. კარვის აღების მოთხოვნას ისინი ხსნიან იმ ფაქტით, რომ კარავი მემორიალთან ადგილს იკავებდა.

სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ და არც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ განმარტა თავიანთი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები. ამდენად, საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, სასამართლოებმა ზემოაღნიშნული პირები სამართალდამრღვევებად ცნეს და 400–ლარიანი სახდელი დააკისრეს მხოლოდ პატრულ–ინსპექტორებისა და მათ მიერ შედგენილი სამართალდარღვევათა ოქმების თანახმად.

დ. სამართალდამცავ ორგანოს მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა

2009 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო ანგარიშში, ყველა ზემოაღნიშნულ პრობლემასთან ერთად, ყურადღება გამახვილდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე მუხლის დამოუკიდებლად გამოყენებაზე. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელის დადებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობისათვის.

ანალოგიური პრობლემა დაფიქსირდა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 ივნისის დადგენილებაში, 2010 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობის კანცელარიის წინ მრგვალი მაგიდის

წევრების მიერ ჩატარებული აქციისას დაკავებული ნათია მაისურაძის, ირაკლი შონიას და ინგა სიხარულიძე მიმართ.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებიდან და სასამართლო დადგენილებიდან ირკვევა, 2010 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობის კანცელარიის წინ „მრგვალი მაგიდის“ წევრები, ნათია მაისურაძე, ირაკლი შონია და ინგა სიხარულიძე, ატარებდნენ საპროტესტო აქციას. რამდენიმე წუთში აქციაზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ, რომლებმაც დაშალეს საპროტესტო აქცია და დააკავეს აქციის მონაწილეები ირაკლი შონია, ნათია მაისურაძე და ინგა სიხარულიძე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები სამივე პირის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე.

არც ერთ დოკუმენტში არ არის აღნიშნული, კონკრეტულად რა ტიპის მართლსაწინააღმდეგო ქმედება ხდებოდა, რა გახდა სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების კანონიერი მოთხოვნის საფუძველი, ან რაში გამოიხატა კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა. სამწუხაროდ, არც ერთ ზემოაღნიშნულ ასპექტზე არც სასამართლოს არ უმსჯელია.

შესაბამისად, გაურკვეველია საპატრულო პოლიციის თანამშრომლების რომელი კანონიერი მოთხოვნა არ შესრულდა, მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მხოლოდ 173-ე მუხლს ეფუძნება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული შემთხვევები არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ შეკრება-მანიფესტაციების მიმდინარეობისას დაკავებულ პირთა საქმეების განხილვის დროს სასამართლოში კვლავ არსებობს პრობლემა ქმედებათა კვალიფიკაციის, მტკიცებულებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური შესწავლის, დაცვის გარანტიების უზრუნველყოფისა და დასაბუთებულობის კუთხით. ასევე ვაწყდებით პრობლემებს სამართალდამცავთა მხრიდან შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმდებლობის გამოყენებისა და აღნიშნული უფლებით მოსარგებლე პირთა დაცვის დროსაც.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს მივმართავ რეკომენდაციით, უზრუნველყოს საქართველოს კანონის „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ სტანდარტებთან. ამ კუთხით მხედველობაში მიიღოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სარჩელი და მასში ასახული მოთხოვნები.

გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლების კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხებისა რომელთა ნაწილი წინა წლებშიც აქტუალური იყო, თუმცა იყო პრობლემები, რომლებიც 2010 წლის დამახასიათებელ ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს.

ისევე, როგორც წინა წლებში, ხდებოდა ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ჩარევის, ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის, ხოლო რიგ შემთხვევებში, მათი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები. გარდა ამისა, გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის ნიადაგზე იყო კონკრეტულ ინციდენტებს მოქალაქეთა შორის.

საქართველოში მედიის მდგომარეობა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა ყურადღების ქვეშ ყოველთვის იყო. ამ კუთხით არც 2010 წელი წარმოადგენდა გამონაკლისს. ყველა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ საკუთარ ანგარიშებში აღნიშნა, რომ სიტუაცია საქართველოში მედიის მრავალფეროვნების კუთხით გაუმჯობესდა.²⁰² მიუხედავად ამისა, Freedom House-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველო კვლავ ნახევრად თავისუფალ სახელმწიფოდ რჩება.

საქართველოში 2010 წელს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ეუთოს სადამკვირვებლო მისიის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა – OSCE ODIHR წარმოადგინა შეფასება, რომლის თანახმად, საქართველოში მედიაგარემო მრავალფეროვანია, თუმცა დაყოფილია პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით და ბევრი მათგანი განიცდის მფლობელების ძლიერ გავლენას. ამავე ანგარიშში მითითებულია, რომ საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება მედიასაშუალებათა მფლობელობის გამჭვირვალების საკითხი.

აღნიშნულ თავში მიმოვიხილავთ 2010 წლის განმავლობაში გამოხატვის თავისუფლების შელახვის ფაქტებს, ყურადღებას გავამახვილებთ საანგარიშო პერიოდში ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ზეწოლის შემთხვევებზე. ასევე მოკლედ მიმოვიხილავთ 2010 წლის განმავლობაში მომზადებულ და ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს.

1. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

2010 წლის განმავლობაში იყო კონკრეტული მოქალაქეებისათვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები.

²⁰² “Freedom in the World, the Authoritarian Challenge to Democracy”, selected data from Freedom House’s annual survey of political rights and civil liberties, Freedom House, 2011, გვ. 7

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა 2010 წლის 14 აგვისტოს ჯორჯ ბუშისა და ლეხ კაჩინსკის ქუჩების კვეთაზე მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც სამართალდამცავებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის²⁰³ საფუძველზე დააკავეს ირაკლი კაკაბაძე, ალექსანდრე ჩიღვინაძე და შოთა დიდმელაშვილი.

აღნიშნული პირები ითხოვდნენ ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩისთვის სახელის გადარქმევას. ისინი ტრანსფარანტებით აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებას/პროტესტს და კითხულობდნენ ლექსებს.

მოგვიანებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ირაკლი კაკაბაძე, ალექსანდრე ჩიღვინაძე და შოთა დიდმელაშვილი ცნო სამართალდამრღვევებად. დადგენილების თანახმად, მათ დაარღვიეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი. კერძოდ, დადგენილებაში მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული პირები არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, იდგნენ ჯორჯ ბუშის ბილბორდთან სავალ ნაწილზე და აფერხებდნენ ავტოსატრანსპორტო ნაკადის მოძრაობას. ამასთან, ისინი საღებავებით ღებავდნენ სურათს, ხოლო პოლიციის კანონიერ მოთხოვნას წესრიგის დაცვის თაობაზე არ დაემორჩილნენ და გაუწიეს წინააღმდეგობა²⁰⁴.

ტელეკომპანიების, „კავკასიისა“ და „მაესტროს“ მიერ გავრცელებული ვიდეომასალიდან ჩანს, რომ ირაკლი კაკაბაძე და მისი თანმხლები პირები ხელს არ უშლიდნენ ტრანსპორტის მოძრაობას. ისინი იდგნენ ე.წ. „უსაფრთხოების კუნძულზე“ და კითხულობდნენ ლექსებს, აღნიშნული ქმედებები არ წარმოადგენს კანონის მოთხოვნათა დარღვევას.

ვიდეომასალიდან ასევე კარგად ჩანს, რომ აქციის მონაწილეებს დაკავების პროცესში საპატრულო პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და დაემორჩილნენ მათ მოთხოვნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი უზრუნველყოფს თითოეული პირის გამოხატვის თავისუფლებას, რაც .გულისხმობს ყოველი ადამიანის უფლებას, „თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“. იმდენად, რამდენადაც გამოხატვის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა რიცხვს, კანონი განსაზღვრავს მისი შეზღუდვის შესაძლებლობებსაც, შესაბამისად, პირის ან პირთა ჯგუფის გამოხატვის თავისუფლება შესაძლოა შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც 1. შეზღუდვა

²⁰³ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 173-ე მუხლი –სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა

გათვალისწინებულია კანონით, 2. ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, 3. აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში და 4. როდესაც შეზღუდვა მიზნის მიღწევის პროპორციულია.

საქართველოს კანონმდებლობით, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა „შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“²⁰⁵.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირაკლი კაკაბაძეს, ალექსანდრე ჩილვინაძესა და შოთა დიდმელაშვილს 2010 წლის 14 აგვისტოს არ დაურღვევიათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. მათ არ შეუფერხებიათ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა, გამოთქმული მოსაზრებები კი არ იყო მიმართული სახელმწიფო უშიშროების, დამოუკიდებლობის ან/და კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ და არ იწვევდა ძალადობის პროპაგანდას ან შუღლის გაღვივებას რაიმე ნიშნით. ამასთან, მათ არ გამოუთქვამთ ისეთი მოსაზრებები, რომლებიც მნიშვნელოვან საჯარო ან/და ინდივიდუალურ ინტერესებს საფრთხის ქვეშ დააყენებდა. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ზემოაღნიშნულ პირთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებს მოკლებულია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხსენებულ პირებს სამართალდამცავთა მიერ არამართლზომიერად შეეზღუდათ გამოხატვის თავისუფლება.

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი კვლავ მიუთითებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს არსებულ პრობლემაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის გამოყენებასთან²⁰⁶. ვინაიდან აღნიშნულ პრობლემაზე დეტალურად არის საუბარი 2009 წლის მეორე ნახევრისა და 2010 წლის ანგარიშებში, მოცემულ თავში ამ საკითხზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.

2. გამოხატვის თავისუფლების ზღვარი და დანაშაული

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა განსხვავებული ღირებულებებისა და შეხედულებების მქონე ორი ჯგუფის დაპირისპირება.

²⁰⁵ საქართველოს კონსტიტუცია, 24-ე მუხლი, მე-4 პარაგრაფი

²⁰⁶ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიში, „შეკრებები და მანიფესტაციები“.

ერთი ჯგუფის წევრები მიიჩნევდნენ და საჯარო გამოსვლებში აცხადებდნენ, რომ მათ რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფდნენ კონკრეტული პირები, ხოლო მოქალაქეთა მეორე ჯგუფი გამოხატვის თავისუფლების დასაცავად მოქმედებდა.

2010 წლის მაისის თვეში პროცესმა ინტენსიური ხასიათი შეიძინა. პერმანენტულად იმართებოდა ორივე ჯგუფის აქციები. საბოლოოდ აღნიშნული პროცესი პირველი ჯგუფის მხრიდან ოპონენტების ფიზიკური შეურაცხყოფითა და კერძო ტელეკომპანიაში შეჭრით დასრულდა.

2010 წლის 4 მაისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ, დაახლოებით 17 სთ–ზე, აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები გამოხატვის თავისუფლების დაცვას ითხოვდნენ. ადგილზე მივიდნენ დაპირისპირებული ჯგუფის წარმომადგენლები, მათ შორის „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და „სახალხო მართლმადიდებლური კავშირის“ წევრები და მხარდამჭერები. მათ კონკრეტულ პირებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს²⁰⁷. ვინაიდან აღნიშნული ფაქტი დეტალურადაა მიმოხილული 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშის „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ თავში, მასზე აღარ შევჩერდებით.

ამავე წლის 7 მაისს ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში აღნიშნულ საკითხებზე დებატები გაიმართა. ტელეკომპანია „კავკასიის“ თოქ-შოუ „ბარიერში“ სტუმართა ნაწილის მხრიდან განსხვავებული აზრის დაფიქსირებას სტუდიაში პირთა ჯგუფის შეჭრა მოჰყვა. მათ ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს, დავით აქუბარდიას და ამავე ტელეკომპანიის 5 ოპერატორს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

ეს მოვლენა საქართველოს სახალხო დამცველის განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. მან სპეციალური განცხადებით მიმართა შესაბამის ორგანოებს და მოითხოვა ამ ფაქტებზე ადეკვატური რეაგირება.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ როგორც ილიას უნივერსიტეტის წინ განვითარებული მოვლენების, ისე ტელეკომპანიაში შეჭრის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან გატარდა ადეკვატური ღონისძიებები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ილიას უნივერსიტეტთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება დაუყოვნებლივ არ განხორციელებულა, რაც ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის მასტიმულირებელი აღმოჩნდა.

ამ ფაქტების ანალიზისას მივდივართ დასკვნამდე, რომ ორივე შემთხვევაში პირველი ჯგუფის მიერ საკუთარი პოზიციის დასაცავად განხორციელებული ქმედებები გასცდა სამართლებრივ ჩარჩოებს და დაარღვია კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლითა

²⁰⁷ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიში, „შეკრებები და მანიფესტაციები“

და საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები, კერძოდ, გამოხატვისა და შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლება.

საერთაშორისო სამართალში გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტური უფლების პრივილეგიით არ სარგებლობს. ადამიანის უფლებათა შესახებ არსებული ძირითადი კონვენციები განამტკიცებენ გამოხატვის თავისუფლებას,²⁰⁸ თუმცა იქვე ადგენენ აღნიშნული უფლების შეზღუდვის საფუძვლებს, რომელთა შორის მითითებულია სხვების უფლებათა პატივისცემა.²⁰⁹

საქართველოს მიერ 1994 წელს რატიფიცირებული გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური სიძულვილით გაჯერებული ყოველგვარი მოწოდება, რომელიც დისკრიმინაციის, მტრობისა თუ ძალადობის წაქეზებაა, უნდა აიკრძალოს კანონით.

მსგავსად 1966 წლის საერთაშორისო პაქტისა, საქართველოს მიერ 1999 წელს რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, დაგმონ ყოველგვარი პროპაგანდა, რომელიც ცდილობს, გაამართლოს ან წაახალისოს ნებისმიერ ფორმაში გამოხატული რასობრივი ზიზღი და დისკრიმინაცია.

აღნიშნული კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, კონვენციას მიერთებული სახელმწიფოები კანონით დასჯად ქმედებად აცხადებენ ისეთი იდეების გავრცელებას, რომლებიც ემყარება რასობრივ უპირატესობასა და ზიზღს, რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარ წაქეზებას და ასევე ძალადობის აქტებს ან წაქეზებას ისეთი ქმედებებისაკენ, რომლებიც მიმართულია ნებისმიერი რასისა და კანის ფერის ან ეთნიკური წარმოშობის მქონე ჯგუფის წინააღმდეგ.

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც კონკრეტული პირის მოსაზრებების მიმართ შეუწყნარებლობის გამოვლენის მაგალითია, პაატა საბელაშვილზე განხორციელებული მუქარის ფაქტია. კერძოდ, 2010 წელს სოციალურ ქსელ “facebook”-ზე შეიქმნა ჯგუფი. ჯგუფის წევრების მიერ კუთვნილ გვერდზე ჰომოფობიური შინაარსის განცხადებები განთავსდებოდა. ამას ელექტრონულ სივრცეში კერძო პირებს შორის დებატები მოჰყვა. საწინააღმდეგო მოსაზრებების დაფიქსირების შემდგომ პაატა საბელაშვილი პირად ელექტრონულ ფოსტაზე მოქალაქე ვაჟა აფციაურისგან იღებდა მუქარის შემცველ გზავნილებს, რომლებშიც სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით ემუქრებოდა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით 2010 წლის 13 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების

²⁰⁸ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966, მე-19 (2) მუხლი.

²⁰⁹ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966, მე-19 (3.a) მუხლი; ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950, მე-10 (2) მუხლი.

სამმართველოს მესამე განყოფილებაში წინასწარი გამოძიება დაიწყო²¹⁰. პაატა საბელაშვილის ცნეს დაზარალებულად. ამჟამად საქმეზე გრძელდება გამოძიება.

აღნიშნული ქვეთავში განხილული ფაქტები ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება დაარღვიოს გამოხატვის თავისუფლებამ სხვა პირთა უფლებები და გადაიზარდოს დანაშაულში. აუცილებელია, თითოეული მსგავსი ფაქტის დაფიქსირებისას სახელმწიფომ გაატაროს ყველა სათანადო ღონისძიება, რათა არ მოხდეს მათი წახალისება და გახშირება.

3. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ჟურნალისტთა უფლებრივი მდგომარეობა

2010 წელს ისევე, როგორც 2009 წლის განმავლობაში, ხშირად ირღვეოდა ჟურნალისტებისა და ტელეკომპანიის მფლობელების უფლებები როგორც სახელმწიფო ორგანოების ზეწოლითა და ძალადობით, ასევე მათი უმოქმედობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედიისა და პრესის როლი მნიშვნელოვანია დემოკრატიული პროცესებისთვის. იგი არის ჯანსაღი დემოკრატიის გარანტი, უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, მისი ქმედებებისა თუ უმოქმედობის საჯარო განხილვისთვის გადმოცემას და ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა, რაც მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ამავე მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს აღნიშნული უფლების შესაძლო შეზღუდვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ ინფორმაციისა და იდეების შინაარსს, არამედ მათი გადმოცემის საშუალებებსაც. აღნიშნული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ჟურნალისტებს ანიჭებს დაცვის ფართო არეალს, რომელიც მოიცავს მათი გადაცემების, პუბლიკაციების მოსამზადებელ სამუშაოებს, როგორიცაა ჟურნალისტების მიერ განხორციელებული კვლევები და გამოძიებები (*Sunday Times v UK (No 2) A 217 (1991)*, *Dammann v Switzerland (2006) Para 52*). აქ ასევე იგულისხმება შემთხვევის ადგილზე ინფორმაციის მოძიება შემდგომ მისი საზოგადოებისთვის გადაცემის მიზნით.

საქართველოში მედიის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით, რომლის თანახმად, „*მასობრივი ინფორმაციის საშუალებები*

²¹⁰წინასწარი გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით (მუქარა).

თავისუფალია“. შესაბამისად, ნებისმიერი სახის ჩარევა მედიის საქმიანობაში აკრძალულია. დაცვის გარანტიებს ასევე ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი, რომლის თანახმად, აკრძალულია ჟურნალისტისთვის მის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა, ჩარევა.

იმისათვის, რომ ჟურნალისტებმა ობიექტურად და სრულად ასახონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, ისინი ნებისმიერი სახის ზეწოლისგან თავისუფლები უნდა იყვნენ. თუმცა, როგორც საქართველოს სახალხო დამცველის ხელთ არსებული საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, საქართველოში ჟურნალისტებისა და რიგ შემთხვევებში ტელეკომპანიების მფლობელების საქმიანობისათვის ხელის შეშლის, ზეწოლის ფაქტები კვლავ პრობლემად რჩება. ასევე პრობლემატურია სახელმწიფოს ორგანოების მხრიდან შესაბამისი ქმედებების განხორციელება, მაშინ როდესაც მედიის წარმომადგენელთა საქმიანობაში მესამე პირები აშკარად ერევიან.

სახელმწიფოს, ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ჩაურევლობის ვალდებულებასთან ერთად, ეკისრება პოზიტიური ვალდებულებაც, უზრუნველყოს ჟურნალისტის მუშაობის თავისუფლება. ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მედიის წარმომადგენლებს მათი საქმიანობის განხორციელებაში ხელს უშლის, ეფექტურად უნდა გამოიძიონ.

ა. სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჟურნალისტთა/მედიის წარმომადგენლების ფიზიკური შეურაცხყოფა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ინფორმაციის თავისუფლად, ყოველგვარი ზეწოლის, მითითებების გარეშე მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას. ცხადია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლის პირობებში შეუძლებელია დამოუკიდებელი მედიის არსებობა.

სახელმწიფოს ვალდებულებაა, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას თითოეულ ჟურნალისტს მისცეს საშუალება, განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, გაატაროს სათანადო ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ფიზიკური ხელშეუხებლობა. ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის გამო დევნისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში მან უნდა გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება, რათა მსგავს შემთხვევებზე, სწრაფი და ობიექტური გამოძიების გზით, დადგინდეს ჭეშმარიტება. მით უფრო გაუმართლებელია მედიამფლობელებისა და ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცხყოფა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა და სამართალდამცავთა მიერ.

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა 2010 წლის 7 ოქტომბერს ქ. გორში, ტელეკომპანია „თრიალეთის“ გენერალური დირექტორის, ჯონდო ნანეტაშვილის, ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი.

კერძოდ, 2010 წლის 7 ოქტომბერს, ჯონდო ნანეტაშვილის განმარტებით, მას საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა ტარიელ სარაულმა და ილია გავაშელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ჯონდო ნანეტაშვილმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა ორი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო ცნობები. სსიპ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის მიერ, 2010 წლის 08 ოქტომბერს გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობის თანახმად, ჯონდო ნანეტაშვილს დაუდგინდა ქალა-ტვინის დაზარალებული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, ხერხემლის კისრის ნაწილის ტრავმა, ტრავმული ცერვიკალგია, ორივე სხივ-მაჯის მიდამოებში ექსკორიაციები. სს „ზაზა ფანასკერტელის“ ქარელის საავადმყოფოს მიერ 2010 წლის 07 ოქტომბერს გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობის თანახმად კი, შემოწმებისას ჯონდო ნანეტაშვილს აღენიშნებოდა გულმკერდისა და კისრის არის დაჟეჟილობა, ექსკორიაციები ორივე სხივ-მაჯის არეში და თავის ტვინის შერყევა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით 2010 წლის 08 ოქტომბერს შიდა ქართლისა და მცხეთა – მთიანეთის საოლქო პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #082108025 საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე – ჯავახეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამ ეტაპზე საქმეზე გრძელდება გამოძიება.

ბ. უმოქმედობა მედიის წარმომადგენელთა უფლებების დარღვევის დროს

2010 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველმა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მედიის წარმომადგენელთა უფლებების შელახვის შემთხვევებში, მათზე დაკისრებული ვალდებულებების უგულებელყოფის შემთხვევებიც დააფიქსირა.

კერძოდ, 2010 წლის 24 ივნისს გორის მუნიციპალიტეტში სტალინის ძეგლის დემონტაჟის პროცესს ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტი ვლადიმერ ბიჭაშვილი და ოპერატორი იმედა გოგოლაძე იღებდნენ. მათთან მივიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი დაახლოებით რვა უცნობი პირი. მათ კამერას ხელი ააფარეს და წაართვეს იგი, ხოლო ვლადიმერ ბიჭაშვილი და მისი ოპერატორი წააქციეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ვლადიმერ ბიჭაშვილისა და იმედა გოგოლაძის განმარტებით, ინციდენტის ადგილზე იმყოფებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსი ვლადიმერ ჯუღელი და გორის შს რაიონული სამმართველოს უფროსი მიხეილ კანდელაკი. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტთა ფიზიკური შეურაცხყოფისა და მათთვის

პროფესიულ საქმიანობაში ხელისშემშლის ფაქტზე სამართალდამცავებს ადგილზე არანაირი ღონისძიებები არ გაუტარებიათ.

ვლადიმერ ბიჭაშვილის განმარტებით, ტელეკომპანიაში დაბრუნების შემდგომ იგი დაუკავშირდა ვლადიმერ ჯუღელს, რომელმაც აცნობა მას, რომ ვიდეოკამერას დაუბრუნებდნენ. ვლადიმერ ბიჭაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ ტელეკომპანიისთვის კამერის დაბრუნების შემდგომ ვიდეოკასეტიდან წაშლილი იყო ინციდენტის ამსახველი კადრები.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში, 2010 წლის 09 ივლისს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #082108014 საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ცალკეული თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამ ეტაპზე, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქმეზე გრძელდება გამოძიება.

საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე შეისწავლა 2010 წლის 21 ოქტომბერს შპს „ელსავაკოს“ (იგივე „ლილოს ბაზრობის“) ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტი. კერძოდ, 2010 წლის 21 ოქტომბერს ტელეკომპანია „კავკასიის“ გადამღები ჯგუფი პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ ღონისძიებას აშუქებდა.

შპს „ელსავაკოს“ (იმავე „ლილოს ბაზრობის“) ტერიტორიაზე აქციის მონაწილეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, წარმომადგენლებსა და შპს „ელსავაკოს“ კერძო დაცვის თანამშრომლებს შორის სიტუაციის დაძაბვის შემდეგ, თამარ ტოგონიძის განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, წარმომადგენლებმა და შპს „ელსავაკოს“ (იმავე „ლილოს ბაზრობის“) კერძო დაცვის თანამშრომლებმა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მისი განმარტებით, დაცვის წარმომადგენლები ცდილობდნენ „კავკასიის“ გადამღები ჯგუფისთვის წაერთმიათ ვიდეოკამერა. თამარ ტოგონიძის განმარტებით, იქ იმყოფებოდნენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, რომლებიც შესაბამისად არ რეაგირებდნენ.

აღნიშნული საქმის ამსახველი მასალა საქართველოს სახალხო დამცველმა შემდგომი რეაგირებისთვის გადაუზღავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას, თუმცა საანგარიშო პერიოდისთვის აღნიშნულ უწყებას მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია არ მოუწოდებია.

ფიზიკური შეურაცხყოფისა და მუქარის ფაქტების გარდა 2010 წლის განმავლობაში დაფიქსირდა ბეჭდური მედიის საკუთრების/მფლობელობის ხელყოფის ფაქტი.

მაგალითად, 2010 წლის 26 ოქტომბერს, გაზეთ „გურია ნიუსის“ ჩოხატაურის ოფისის შენობაზე განხორციელდა თავდასხმა.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ზემოაღნიშნულ ფაქტზე ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მიმდინარეობს გამოძიება, არც ერთ საქმეზე საბოლოო შედეგი ამ ეტაპზე მიღებული არ არის.

მიგვაჩნია, რომ თითოეულ ზემოაღნიშნულ ფაქტზე უნდა გატარდეს სწრაფი და ეფექტური საგამოძიებო ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ მედიის წარმომადგენელთა ფიზიკური უსაფრთხოება და პროფესიული საქმიანობისათვის სათანადო გარემოს შექმნა.

4. საკანონმდებლო ინიციატივები

დემოკრატიის განვითარების იმ ეტაპზე, რომელზეც დღესდღეობით საქართველო იმყოფება, აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების, თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიასაშუალებების ფორმირების ხელშეწყობის უზრუნველყოფა. ეს ხელშეწყობა უნდა გამოიხატოს ისეთი რეგულაციებისა და ნორმების შექმნით, რომლებიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს მედიასაშუალებების სრულ დამოუკიდებლობას, ხოლო, მეორე მხრივ – მათ გამჭვირვალობას. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოიპოვონ ინფორმაცია კონკრეტული მედიასაშუალებების მფლობელების შესახებ. ჯანსაღი საკანონმდებლო ბაზის გარეშე წარმოდგენილია თავისუფალი და საზოგადოებრივი ნდობით აღჭურვილი მედიის ჩამოყალიბება.

მაუწყებლობის შესახებ კანონის დღეს მოქმედი რედაქცია გამოხატავს სახელმწიფოს სულისკვეთებას, რომ მედიასაშუალებების მესაკუთრეთა ვინაობა გამჭვირვალე იყოს, თუმცა ამავდროულად ნორმის არასრულყოფილება და გაუმართაობა იძლევა შესაძლებლობას, მედიასაშუალების რეალური მფლობელი საზოგადოებისათვის დაფარული დარჩეს.

2010 წლის საშემოდგომო სესიის პერიოდში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატივით პარლამენტართა ორი ჯგუფი გამოვიდა.

მათ მიერ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის წარმოდგენას წინ უძღოდა პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება მედიაგარემოს გაუმჯობესებისა და გამჭვირვალობის კუთხით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის შესახებ.

მედიაგარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ორივე პროექტი, რომელთაც სახალხო დამცველი გაეცნო, შეეხება ლიცენზიის მფლობელთა ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის დარეგულირებას, თუმცა საინიციატივო ჯგუფის მიერ

წარმოდგენილი პროექტი²¹¹ გაცილებით ვრცელია და დამატებით მოიცავს და ახლებურად აწესრიგებს ინფორმაციის საჯაროობასთან, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრთა ინტერესთა კონფლიქტთან, მაუწყებელთა საკუთრების კონცენტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სახალხო დამცველმა საინიციატივო ჯგუფებს, სამუშაო ფორმატში, წერილობითი სახით გააცნო შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებიც წარმოდგენილ კანონპროექტებთან დაკავშირებით ჰქონდა. ასევე, სახალხო დამცველის აპარატის უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ შეხვედრაში, რომლებიც სწორედ არსებული კანონპროექტის ნორმების სრულყოფას შეეხებოდა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საინიციატივო ჯგუფებს შორის მიიღწია კონსენსუსი, რომლის მიხედვითაც ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიას არ ექნება საშუალება, იყოს ბენეფიციარი მესაკუთრე და მის შესახებ ინფორმაცია დარჩეს დახურული. აქვე აღვნიშნავთ, რომ უმჯობესი იქნებოდა ოფშორულ კომპანიას ჰქონოდა უფლება, ყოფილიყო მესაკუთრე, თუმცა მისი ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია ყოფილიყო საჯარო ისევე, როგორც სხვა იურიდიული პირების შემთხვევაში.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მედია-გამჭვირვალობის მისაღწევად, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები უნდა შეიცავდეს და აკმაყოფილებდეს მოთხოვნათა მინიმუმს, კერძოდ:

1. საჯარო უნდა გახდეს ინფორმაცია ლიცენზიის მფლობელი პირის ან მისი პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელი პირის შესახებ;
2. საჯარო უნდა გახდეს ინფორმაცია ლიცენზიის მფლობელი პირის მმართველი პირის ან მისი პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელი პირის მმართველი პირის შესახებ;
3. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფინანსური გამჭვირვალობა;
4. ამავდროულად მნიშვნელოვანია სწორად გაივლოს ზღვარი, ერთი მხრივ, საჯარო ინტერესს – მედიასაშუალებების გამჭვირვალობასა და მეორე მხრივ, მესაკუთრე პირების კერძო ინტერესს – მათი საიდუმლოებების დაცვას შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მედიაგამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მიღებული ნორმების ფორმულირებამ იმაზე მეტად არ უნდა გაასაჯაროს ინფორმაცია, ვიდრე ის ხსენებულ მიზანს შეესაბამება. პროპორციულად უნდა იყოს დაცული კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია.

²¹¹ კანონპროექტის ავტორები არიან: ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღაძე, გიორგი ჩხეიძე, ნინო დანელია და ელისო ჩაფიძე.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტმა დროულად მიიღოს ცვლილებები და დამატებები საქართველოს კანონში „მაუწყებლობის შესახებ“, რომელიც დააკმაყოფილებს ამ თავში მოცემულ პრინციპებს;

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულ „საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში“ აისახოს გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის (სსკ 161-ე, 153 და 154-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები) შემთხვევებში ადეკვატური და ეფექტური რეაგირების მექანიზმი.

ინფორმაციის თავისუფლება

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს არაერთხელ მიმართეს ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საჯარო დაწესებულებების მიერ მათ უწყებებში დაცული საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის თაობაზე. მოცემული განცხადებების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით პრობლემატიკა უცვლელი რჩება, საჯარო დაწესებულებები კონკრეტულ შემთხვევებში უგულბელყოფენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული ძირითადად გამოიხატება საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის გაუცემლობით ან ინფორმაციის გაცემის ვადების დარღვევით.

ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპი საყოველთაოდ აღიარებული და გარანტირებულია როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი აქტებით.

1948 წლის 10 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-19 მუხლით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილია როგორც გამოხატვის თავისუფლება, ისევე ყოველი ადამიანის უფლება, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით საჯარო ხელისუფლების ჩარევისა და საზღვრების მიუხედავად.

2009 წლის 18 ივნისს ევროპის საბჭომ მიიღო „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“, რომლითაც განისაზღვრა: ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების უფლების მატარებელი სუბიექტები; სუბიექტები, სადაც შესაძლებელია ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების უფლების რეალიზაცია; ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების უფლების შესაძლო შეზღუდვები; ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების საფასური და კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოების მიერ ყველასათვის მოცემული უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად სხვა რეგულაციები.

2009 წლის 18 ივნისის ევროპის საბჭოს კონვენცია „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ“ დღეის მდგომარეობით ხელმოწერილია სამი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს მიერ, მათ შორის არის საქართველო. თუმცა, აღნიშნული კონვენციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა იმ დღის შემდგომი სამთვიანი ვადის გასვლიდან მომდევნო თვის პირველ დღეს, როდესაც ევროპის საბჭოს 10 წევრი სახელმწიფო გამოთქვამს თანხმობას მოცემული კონვენციის სავალდებულოობასთან დაკავშირებით, აღნიშნული კონვენციის რატიფიცირებით, მიღებით ან დამტკიცებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დღემდე არ

განუხორციელებია „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიკაცია.

რაც შეეხება შიდასახელმწიფოებრივ აქტებს, ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციის ძირითადი გარანტი საქართველოში საქართველოს უზენაესი კანონი – კონსტიტუციაა. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი კი ყველა მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით დაცულია ადამიანის უფლება – ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი ადგენს საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის კონკრეტულ წესებსა და პირობებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია²¹² მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი კი ავალდებულებს საჯარო დაწესებულებას, საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ ან კონკრეტული გარემოებების არსებობისას არა უგვიანეს 10 დღისა. ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის მოთხოვნა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოიცავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების განმცხადებლისათვის დაუყოვნებლივ ცნობებასაც. აღსანიშნავია ისიც, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია,

²¹² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

2010 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების (საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით) ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირითადი პრობლემა საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაუცემლობა ან ინფორმაციის გაცემის ვადების დარღვევაა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, ცალსახად არის დადგენილი საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის ვალდებულება. საჯარო ინფორმაციის გავრცელებისა და გაცემისას ყველაზე მთავარი, სწორედ რომ, მისი დროულად და კანონით დადგენილ ვადებში გაცემაა, რადგან დაგვიანებამ და დროის გაჭიანურებამ შესაძლოა, ამა თუ იმ ინფორმაციას აქტუალობა და ღირებულება დაუკარგოს.

ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს, ასევე, საჯარო დაწესებულებების მხრიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის დანაწესის უგულებელყოფა. კერძოდ, რიგ შემთხვევებში დარღვეულია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განმცხადებლებისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების დასაბუთებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის განმარტების ვალდებულება.

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით 2010 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებების შემოწმების შედეგად გამოვლენილია ის საჯარო დაწესებულებები, რომლებმაც უგულებელყვეს საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებული უფლების – ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოაღნიშნული რეგულაციების დარღვევა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დადგინდა მოქალაქეების თ. ბ.–სა და ი. დ.–ს განცხადებების განხილვის შედეგად. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მოცემულ შემთხვევაში დაარღვია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და ვადები. კერძოდ, ამ უკანასკნელმა არ უზრუნველყო ზემოაღნიშნული მოქალაქეების წერილობითი განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაფიქსირდა მოქალაქეების, ზ. და გ. კ.-ების, განცხადებების განხილვის შედეგად. აღნიშნულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში არ უზრუნველყო მის უწყებაში დაცული მოქალაქეების ზ. და გ. კ.-ების პირადი ინფორმაციის გაცემა. მოცემული საქმეების სრული შესწავლის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველმა ზემოაღნიშნულ მოქალაქეებზე პირადი ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფის შესახებ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შპს „შ. XXI ს“-ის განცხადების შესწავლის შედეგად დადგინდა ზემოხსენებული იურიდიული პირის კანონისმიერი უფლების – საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ – დარღვევის ფაქტი. კონკრეტულად, ქალაქ თბილისის მერიამ უგულბელყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე – 41-ე მუხლების დანაწესები და არ უზრუნველყო შპს „შ. XXI ს“-ზე მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ცალკეულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოები, კანონისმიერი მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, უგულბელყოფენ კონსტიტუციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დაცულ უფლებას ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ.

რეკომენდაციები:

შესაბამისმა ორგანოებმა 2009 წლის 18 ივნისის „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“ რატიფიკაციისათვის საჭირო პროცედურების დასაწყებად გადადგან სათანადო ნაბიჯები;

საქართველოს პარლამენტმა განახორციელოს იმ სახის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც აიძულებს საჯარო დაწესებულებებს, ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად;

საერთო სასამართლოებმა ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას მხედველობაში მიიღონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტებანი.

რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტობა

წინამდებარე თავი ეხება 2010 წლის განმავლობაში საქართველოში რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ პროცესებს, მათი უფლებების დაცვისა და ზოგადად ტოლერანტობის სფეროში არსებულ პოზიტიურ ტენდენციებსა და პრობლემატურ საკითხებს.

ტოლერანტული გარემოს გაუმჯობესებისა და შეუწყნარებლობის გამოვლინების აღკვეთის კონტექსტში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი. საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების რიტორიკასა და სიმბოლური მნიშვნელობის ქმედებებში უფრო მეტად გამოიკვეთა ეთნიკურ უმცირესობებთან ერთად რელიგიური უმცირესობების თემატიკაც. საქართველოს პრეზიდენტმა საჯარო გამოსვლებისას არაერთხელ ისაუბრა რელიგიური ტოლერანტობის შესახებ. პრეზიდენტმა, პრემიერ მინისტრმა, მთავრობისა და პარლამენტის წევრებმა და თბილისის მერმა საგანგებოდ მიულოცეს საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეებს, სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებს, მუსლიმებსა და იუდეველებს მათი რელიგიური დღესასწაულები. კათოლიკე ეკლესიას ახალციხეში რაბათის ტერიტორიაზე ისტორიული სამონასტრო კომპლექსი დაუბრუნდა და ამჟამად მისი აღდგენა და განახლება მიმდინარეობს. ორმოცდაათიანელთა პროტესტანტულ-ევანგელისტურმა ეკლესიამ თბილისის ცენტრში, სპორტის სასახლეში, ხალხმრავალი შეკრება მოაწყო. არადომინანტური რელიგიური გაერთიანების ამგვარი მასშტაბური აქტივობა ბოლო ათეული წლების განმავლობაში პირველად აღინიშნა. ხაზგასასმელია ასევე, რომ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფომ ადეკვატური სამართლებრივი ზომები მიიღო შეუწყნარებლობის გაღვივების კამპანიაში ჩართული პირების მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, 2010 წელს პრობლემურად რჩებოდა რელიგიური უმცირესობების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, კერძოდ: სამართალდამცველების მხრიდან რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით განხორციელებულ ქმედებებზე არაადეკვატური რეაგირება და გაჭიანურებული გამოძიებები; კვლავ გადაუჭრელია რელიგიური უმცირესობებისათვის საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის საკითხი; საგადასახადო რეჟიმი, რომელიც სხვა რელიგიურ გაერთიანებებს უმრავლესობის რელიგიის მიმართ უთანასწორო პირობებში აყენებს; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი პატიმრებისთვის რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფა; საჯარო სკოლებში არსებული დისკრიმინაციული გარემო; პრობლემურია ისიც, რომ რელიგიური გაერთიანებების ერთი ნაწილი კვლავ უარს აცხადებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2010 წლის პირველი ნახევარი შეუწყნარებლობის ესკალაციითაც იყო გამორჩეული. ქსენოფობური და რასისტული მოწოდებები გაისმოდა როგორც საჯარო შეკრებებისას, ასევე მედიის საშუალებით.

შეუწყნარებლობის ნიადაგზე განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები

2010 წლის დასაწყისში საგრძნობლად გააქტიურდა მართლმადიდებლობის დაცვის სახელით მოქმედი ორგანიზაცია “მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი”, ასევე, შეიქმნა ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია “სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა”, რომლის ლიდერები არ ერიდებოდნენ ქსენოფობიური ხასიათის მოწოდებებსა და მუქარებს. 2010 წლის მაისში აღნიშნული ორგანიზაციების ახალგაზრდა წევრებმა სამღვდლო პირთა მხარდაჭერით, შეუწყნარებლობის გასაპროტესტებლად და გამოხატვის თავისუფლების მხარდასაჭერად ათიოდე აქტივისტის მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან გამართული აქცია დაარბიეს. ადგილზე მისული პოლიცია მხოლოდ გამშველბლის როლით შემოიფარგლა. თუმცა, მოგვიანებით ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.²¹³

ორი დღის შემდეგ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერით აღნიშნულ საკითხებზე გაიმართა დებატები, რომლის დროსაც ტელევიზიის ხელმძღვანელს, გადაცემის წამყვანსა და სხვა თანამშრომლებს, ასევე, გადაცემის სტუმრებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ეს მოვლენა სახალხო დამცველის განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. მან განცხადებით სამართალდამცავ ორგანოებს შეუწყნარებლობის ნიადაგზე გამოვლენილი ძალადობისა და ჟურნალისტების საქმიანობისათვის ხელის შეშლის ფაქტებზე ადეკვატური რეაგირებისკენ მოუწოდა. ტელეკომპანიაზე თავდასხმა, შეუწყნარებლობა და ექსტრემიზმი დაგმეს საქართველოს პრეზიდენტმა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში. მოგვიანებით აღნიშნული ფაქტთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ რვა წევრი ტელეკომპანია „კავკასიაში“ შეჭრისა და ხულიგნობის გამო დაძაშავედ ცნეს. 2010 წლის ბოლოს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ აქციის დარბევასა და ორი აქტივისტის ცემის ფაქტთან დაკავშირებით, დაიწყო აღნიშნულ მსჯავრდებულთაგან ორი პირის საქმის სასამართლო განხილვა.

გარკვეულწილად ამგვარი ქმედებების წახალისების ირიბი ხელშემწყობი მიზეზი გასულ წლებში სამართალდამცავების მხრიდან, რელიგიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე არაადეკვატური რეაგირება, სამართალდარღვევის ფაქტისათვის არასათანადო კვალიფიკაციის მინიჭება და გაჭიანურებული გამოძიებები იყო, რამაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ ტიპის დანაშაულებრივი ქმედებების რაოდენობის გაზრდა გამოიწვია. ამ პრობლემაზე სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში არერთხელ გამახვილდა ყურადღება.

2010 წელს სახალხო დამცველისთვის რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე მომხდარი შვიდი ფაქტის შესახებ გახდა ცნობილი. ექვს შემთხვევაში, განმცხადებლების

²¹³ შეკრებების თავზე მოთითება სადაც ეს საქმეა აღწერილი.

ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა იეჰოვას მოწმეებზე თავდასხმას, რელიგიური რწმენის გავრცელებისათვის ხელის შეშლასა და დევნას, ხოლო ერთი ფაქტი ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის დარბევასთან იყო დაკავშირებული. ბაპტისტური ეკლესიაზე თავდასხმის გარდა ყველა ამ ფაქტზე მიემატა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით (რელიგიური დევნა) დაიწყო, რაც, ერთი მხრივ, წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან ბოლო სამი წლის განმავლობაში მსგავსი ტიპის ძალადობრივ ქმედებებს, როგორც წესი, რელიგიური დევნის ან რელიგიური რიტუალისთვის ხელის შეშლის ნაცვლად მხოლოდ ხულიგნობისა და სხვისი ქონების ხელყოფის კვალიფიკაცია ეძლეოდა. ამ პრობლემის გადაჭრის აუცილებლობას სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებში არაერთხელ გაესვა ხაზი. ამ პროგრესული ტენდენციის მიუხედავად, 2010 წელს, წინა წლების მსგავსად, ამ ფაქტების გამო დაწყებული გამოძიება ხშირ შემთხვევაში გაჭიანურებულია ან შეწყვეტილია.

ქვემოთ მოცემულია საქმეები, რომლებიც სახალხო დამცველმა შემოსული განცხადებების საფუძველზე შეისწავლა.

1. იეჰოვას მოწმეების განცხადებით, მარტვილის რაიონში მოქალაქე ლ. ჯ. პერიოდულად თავს ესხმოდა იეჰოვას მოწმეებს. თავდასხმებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო მაისის თვეში. 2010 წლის 12 ოქტომბერს, სახალხო დამცველის წერილის საპასუხოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, 2010 წლის 6 ოქტომბერს დაიწყო წინასწარი გამოძიება მარტვილის რაიონის სოფელ დიდ ჭყონში იეჰოვას მოწმეების ზ. ვ.-ს, მ. გ.-ს, მ. ა.-ის, კ. გ.-ს, ა.გ.-ს, კ. წ.-ს და მ. ს.-ს მიმართ განხორციელებული დევნის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით. საანგარიშო პერიოდში გამოძიება არ დასრულებულა.

2. 2010 წლის 13 აპრილს იეჰოვას მოწმეები ბ. ტ. და გ. გ. ქალაქ ლანჩხუთში ესტუმრნენ მოქალაქეს, რომლისთვისაც უნდა გადაეცათ რელიგიური ლიტერატურა, თუმცა აღნიშნულ მისამართზე დახვდათ ოთხი ახალგაზრდა, რომლებმაც გ.გ.-ს და ბ.ტ.-ს მათივე განცხადებით, მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ამ ფაქტზე დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით.

3. ანალოგიურ ფაქტს იყო 2010 წლის 29 აპრილსაც. იეჰოვას მოწმეები ე. ზ. და ნ. ბ. იმყოფებოდნენ ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში. მათი განმარტებით, ორმა უცნობმა მათ რელიგიურ ნიადაგზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შესახებაც მათ საპატრულო პოლიციას აცნობეს, თუმცა შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები არ მისულან. ე. ზ. და ნ. ბ. მივიდნენ სოფელ აცანის უბნის ინსპექტორთან, რომელმაც განმცხადებლების ინფორმაციით, მათ უპასუხა, რომ თავდამსხმელების დასჯა შემოიფარგლებოდა ხელწერილის ჩამორთმევით. აღნიშნულ ფაქტებზე დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით.

4. 2010 წლის 13 იანვარს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქ. კ. წ-მ, რომელიც რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეების“ წევრია. მისი განცხადებით, 2010 წლის 13 დეკემბერს მარტვილში, ბობოთის ხიდთან მას და მის თანამორწმუნეს – ც. ს.-ს უცნობმა პირებმა მათი რელიგიური მრწამსის გამო მოსთხოვეს რაიონის დატოვება და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. კ. წ-ს მტკიცებით, მან სავარაუდო თავდამსხმელები ზ.ბ. ბ.კ. და მ.ს ამოიცნო. მისი თქმით, ერთ–ერთი მათგანი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მარტვილის სამსახურის თანამშრომელი იყო. კ. წ. ვარაუდობდა, რომ მეორე თავდამსხმელი ქალაქის მერიის თანამშრომელი იყო, ხოლო კიდევ ერთი მათგანი მარტვილის რაიონულ სასამართლოში იყო დასაქმებული. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 156 – ე მუხლის პირველი ნაწილით. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, დაიკითხნენ თავად განმცხადებლები –კ. წ. და ც. ს. დაკითხვისას მათ მოითხოვეს 2010 წლის 13 იანვრის მათივე განცხადების რეაგირების გარეშე დატოვება და უარყვეს განცხადებაში მოყვანილი პირების მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. როგორც მთავარი პროკურატურა იუწყება, საგამოძიებო ორგანოებმა მაინც შეისწავლეს კ. წ-ს განცხადება. წინასწარი გამოძიების მიერ კ. წ.-ს რელიგიური მოტივით დევნა არ დადასტურდა, რის შედეგადაც საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება.

5. 2010 წლის 9 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს რელიგიური გაერთიანება „იეჰოვას მოწმეების“ წევრებმა დ. დ-მ და თ. ც-მ. განცხადების თანახმად, ისინი ამავე წლის 3 ივნისს ერთად იმყოფებოდნენ თერჯოლის რაიონის სოფ. ძვერში რელიგიური მრწამსის გასავრცელებლად. რის გამოც სოფ. ძვერის გამგებელმა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მოსთხოვა საუბრის შეწყვეტა და „დანის გაყრით“ დაემუქრა. ამ საქმესთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ფაქტზე დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 156–ე მუხლის პირველი ნაწილით. თუმცა, 2010 წლის 30 ივნისს წინასწარი გამოძიება შეწყდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

6. 2010 წლის 27 სექტემბერს სახალხო დამცველს მომართა „იეჰოვას მოწმეების“ რელიგიური გაერთიანების წევრმა მ.ხ.-მ. მისი განმარტებით, 22 სექტემბერს თანამორწმუნე ნ.ყ.-სთან ერთად იმყოფებოდა ბორჯომის რ-ნ სოფ. წალვერში, სადაც ავრცელებდა საკუთარ სარწმუნოებას. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც სოფლის მცხოვრებმა ო. ბ-მა შეიტყო მათი რელიგიური კუთვნილების შესახებ, განმცხადებელსა და მის თანამორწმუნეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. აღნიშნულ ფაქტზე დაწყებულია წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 156–ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

7. 2010 წლის 19 ნოემბერს ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფელში, უცნობმა პირებმა შეამტვრიეს ბაპტისტური ეკლესიის შენობის ფანჯრები და დაარბიეს მოზარდებისათვის განკუთვნილი, საკვირაო სკოლისათვის გამოყოფილი ოთახი. სკოლაში განთავსებული ნივთები და ინვენტარი ძირს იყო გადმოყრილი და ფეხით გათელილი. ნივთების ნაწილი ეზოში იყო მიმოფანტული. იმავე დღეს ეს ფაქტი ყვარლის პოლიციის

განყოფილებას ეცნობა, რაც გახდა გამოძიების დაწყების საფუძველი. გამომძიებელთა ჯგუფმა უშუალოდ მოინახულა საეკლესიო შენობა, გადაიღო ფოტოსურათები და დაკითხა ეკლესიის ახლოს მცხოვრები მეზობლები. გამოძიების შედეგები დღემდე უცნობია.

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით იკლო რელიგიურ ნიადაგზე განხორციელებულმა ძალადობრივმა ქმედებებმა, სამართალდამცველების მხრიდან ეფექტური რეაგირების პრობლემა კვლავ დღის წესრიგში რჩება. კვლავ აშკარაა გარკვეული „შემწყნარებლური“ დამოკიდებულება ამ ტიპის დანაშაულებისადმი. როგორც წესი, ამა თუ იმ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება, რომელიც ხშირ შემთხვევაში გაჭიანურებული ან შეწყვეტილია. 2008 – 2010 წლებში 40–მდე ძალადობრივ ქმედება და უფლებადარღვევა აღირიცხება: შენობებზე თავდასხმა და უკანონო შეჭრა, ფიზიკური ძალადობა, დარბევა, რელიგიური დევნა და დისკრიმინაცია. დამკვიდრებულ პრაქტიკად იქცა სამართალდამცველების მხრიდან კანონდამრღვევების სიტყვიერი ან წერილობითი გაფრთხილება, გულგრილი დამოკიდებულების გამოვლენა რელიგიური ძალადობისადმი ან ძალადობის მსხვერპლის აბუჩად აგდება. ყოველივე ეს დიდწილად განაპირობებს იმას, რომ რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი ძალადობის პრობლემამ სისტემური ხასიათი შეიძინა და გაჩნდა კერები, სადაც ძალადობა პერმანენტულ ხასიათს ატარებს (მაგალითად იეჰოვას მოწმეებზე ლანჩხუთში, სამტრედიაში, მარტვილში, კასპში).

საგადასახადო რეჟიმი

2011 წლის იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი. აღნიშნული კანონი ისევე, როგორც მანამდე მოქმედი, რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას არ მიიჩნევს ეკონომიკურ საქმიანობად და შესაბამისად არ ბეგრავს რიგი გადასახადებით, თუმცა ეს წესი ყველა რელიგიური ორგანიზაციისათვის ერთნაირი არ არის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად: „საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კოდექსისა და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან“. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ნორმა საგადასახადო კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად არ განიხილავს „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციურ შეთანხმებას, ის მაინც საგადასახადო კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია. სწორედ ამ შეთანხმებით არის გათვალისწინებული საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიისათვის განსხვავებული საგადასახადო პირობები და განსაზღვრულია გადასახადები, რომელთაგანაც ის გათავისუფლებულია.

ამ თავის მიზანს არ წარმოადგენს „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების მართებულობაზე მსჯელობა. მსგავსი ტიპის საგადასახადო შეღავათები თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი სხვა რელიგიური ორგანიზაციებისათვის და ეს შესაძლებელია დარეგულირებული იყოს კონსტიტუციურ შეთანხმებაზე დაბალი იერარქიის საკანონმდებლო აქტით²¹⁴.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი **მოგების გადასახადს** უკავშირებს პირის ეკონომიკურ საქმიანობას. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადის გადამხდელი არ არის არასამეწარმეო იურიდიული პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება რელიგიური საქმიანობა.²¹⁵

რელიგიურ საქმიანობად საგადასახადო კოდექსი მიიჩნევს არა ნებისმიერი პირის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, არამედ ისეთი პირების საქმიანობას, რომლებიც რეგისტრირებული არიან რელიგიურ ორგანიზაციად. (რელიგიურ ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად და ასეთად რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.²¹⁶) ამავდროულად აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არ ჯდება აღნიშნულ დეფინიციაში, რადგანაც ის წარმოადგენს არა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, არამედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.²¹⁷ მიუხედავად აღნიშნულისა, კონსტიტუციური შეთანხმებიდან გამომდინარე,

²¹⁴ მათ შორის საგადასახადო კოდექსით.

²¹⁵ საგადასახადო კოდექსი, მუხლი 11. რელიგიური საქმიანობა

1. რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) საქმიანობა, რომლის მიზანია აღსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება, მათ შორის, ისეთი გზით, როგორიცაა: ა) რელიგიური წეს-ჩვეულებების, ცერემონიების, ლოცვების, სხვა საკულტო მოქმედებათა ორგანიზება და ჩატარება; ბ) მორწმუნეთათვის შესაძლებლობის მიცემა, ჰქონდეთ ან გამოიყენონ საღვთო წიგნები და სარიტუალო ნაგებობები რელიგიურ მოთხოვნათა როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად დასაკმაყოფილებლად; გ) რელიგიური დელეგაციების, მომლოცველების, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლების მიღებისა და გამგზავრების ორგანიზება, ეროვნული და საერთაშორისო რელიგიური თათბირების, ყრილობების, სემინარების ორგანიზება, ამ ღონისძიებათა ჩატარების პერიოდში მათი მონაწილეების სასტუმროებით (სხვა საცხოვრებელი), ტრანსპორტით, კვებითა და კულტურული მომსახურებით უზრუნველყოფა; დ) მონასტრების, სამონასტრო ეკლესიების, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების შენახვა, ამ სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მსმენელთა სწავლება, საექვემოქმედო ორგანიზაციების (საავადმყოფოები, თავშესაფრები, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები) შენახვა, აგრეთვე კანონიკური წესებით განპირობებული სხვა ანალოგიური საწესდებო საქმიანობა.

2. რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება იმ რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ რელიგიურ (საღვთისმსახურო) ლიტერატურას ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგნებს; ამ ორგანიზაციების (გაერთიანებების) ან მათი საწარმოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური (საღვთისმსახურო) ლიტერატურის ან რელიგიური დანიშნულების საგნების რეალიზაციასთან (გავრცელებასთან); აგრეთვე ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად.

²¹⁶ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 33-ე მუხლი.

²¹⁷ კონსტიტუციური შეთანხმება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციად უნდა განვიხილოთ.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულია რელიგიური ორგანიზაციის ის საქმიანობა, რომელიც არის არაეკონომიკური (ანუ რელიგიური საქმიანობა) და არა მისი ნებისმიერი საქმიანობა.

შესაბამისად, ნებისმიერი რელიგიური ორგანიზაციის (მათ შორის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიის) რელიგიური საქმიანობა არ განეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას და არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ამავდროულად აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსი²¹⁸ მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებს ნებისმიერი პირს, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს²¹⁹ მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით იღებს მოგებას. საგადასახადო კოდექსის ეს ნორმა თავისი ხასიათით დისკრიმინაციულია. ის შეღავათს (უპირატესობას) ანიჭებს იმ სუბიექტებს, რომლებიც საპატრიარქოსათვის დაამზადებენ ხსენებულ ნივთებს, ხოლო ანალოგიური საგადასახადო შეღავათით ვერ ისარგებლებენ სხვა რელიგიური ორგანიზაციებისათვის იმავე (ან მსგავსი დანიშნულების) პროდუქციის დამზადებისას. მაგალითად, თუ მეწარმე ამზადებს სანთელს საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოსაყენებლად და ამზადებს ანალოგიური დანიშნულების ნივთს სხვა რელიგიური ორგანიზაციისათვის, ის მხოლოდ მეორე შემთხვევაში გადაიხდის მოგების გადასახადს, რაც მოგების 15%-ს შეადგენს. ბუნებრივია, ეს აისახება ნივთის ფასზეც.

ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ გადასახადს ასევე წარმოადგენს **დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)**. როგორც მოგების გადასახადის შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც რელიგიური საქმიანობა არ წარმოადგენს რა ეკონომიკურ საქმიანობას, რელიგიური ორგანიზაცია არ არის ვალდებული, იყოს დღგ-ს გადამხდელი. შესაბამისად, რელიგიური საქმიანობის განმახორციელებელი პირი არ არის ვალდებული, მის მიერ განხორციელებული მიწოდების დროს (მაგალითად სანთლის, ხატის ან სხვა მსგავსი საგნის გაყიდვა) გადაიხადოს დღგ.

ამავდროულად, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დღგ-ს გადახდისაგან გათავისუფლებულია: ა) საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით;²²⁰ ბ) საქართველოს საპატრიარქოს

218 საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის დ) ქვეპუნქტი;

219 საგადასახადო კოდექსი არ იძლევა საქართველოს საპატრიარქოს ცნებას, თუმცა ლოგიკურად მასში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა მოიაზრებდეს.

220 საქართველოს საგადასახადო კოდექსი – 168-ე მუხლის პირველი ნაწილის ე) ქვეპუნქტი;

დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა;²²¹

აღნიშნული ნორმის თანახმად დღე-ს (ღირებულების 18%) გადახდა არ ევალდება საქართველოს საპატრიარქოს, თუ ის ახორციელებს ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდებას (საქონლის მიწოდებად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლით (მათ შორის, საქონლის რეალიზაცია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ.). გაურკვეველია კანონმდებლის ლოგიკა, თუ რატომ ათავისუფლებს დღე-ს გადახდისაგან საქართველოს საპატრიარქოს მაშინ, როდესაც საპატრიარქო არ არის ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი და, შესაბამისად, არ წარმოადგენს დღე-ს გადამხდელ სუბიექტს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საკითხი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობასთან, რესტავრაციასა და მოხატვასთან. საგადასახადო კოდექსი ამ შემთხვევაშიც ათავისუფლებს დღე-ს გადახდისაგან ამა თუ იმ სუბიექტს, რომელიც საპატრიარქოს დაკვეთით შეასრულებს ხსენებულ სამუშაოს. ამ შემთხვევაშიც კანონი არათანაბარ გარემოში აქცევს სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს. მსგავსი სამუშაოების შეკვეთის შემთხვევაში, თუ შემსრულებელი დღე-ს გადამხდელია, მას დღე-ს გადახდა მოუწევს, რაც საბოლოოდ აისახება მომსახურების ფასზე, ანუ, თუ საპატრიარქო დაუკვეთავს რელიგიური დანიშნულების მქონე უძრავი ნივთის სარემონტო სამუშაოებს, ის გადაიხდის მომსახურების ღირებულებას დღე-ს გარეშე, ხოლო სხვა რელიგიური ორგანიზაცია იმავე ღირებულების გარდა დამატებით ვალდებულია, შემსრულებელს გადაუხადოს დღე, რაც შეადგენს ღირებულების 18%-ს ბუნებრივია, რომ ასეთი საგადასახადო შეღავათები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს სხვა რელიგიურ გაერთიანებებს.

რაც შეეხება **ქონების გადასახადს**, რომელიც ადგილობრივ გადასახადს წარმოადგენს. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ქონებას განმარტავს, როგორც დასაბეგრ ქონებასა და მიწას. ქონების გადასახადის გადამხდელი არის როგორც ფიზიკური პირი, ასევე საწარმო/ორგანიზაცია. საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის ორგანიზაციას განეკუთვნება საჯარო სამართლის იურიდიული პირიც²²². საქართველოს კანონმდებლობით სწორედ სსიპ-ის სტატუსი აქვს საქართველოს საპატრიარქოს²²³, შესაბამისად; ისევე, როგორც სხვა რელიგიური ორგანიზაციები, ისიც წარმოადგენს ქონების გადასახადის გადამხდელ სუბიექტს. შესაბამისად, საქართველოს საპატრიარქოს ისევე, როგორც სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს, აქვთ ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ კონსტიტუციური შეთანხმებით, ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე, არაეკონომიკური მიზნით არსებული **ქონება და მიწა გათავისუფლებულია**

221 საქართველოს საგადასახადო კოდექსი – 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტი;

222 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 30.

223 "საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის" კონსტიტუციური შეთანხმება, მუხლი 1.3;

გადასახადებისაგან. მართალია, საგადასახადო კოდექსი ქონების გადასახადთან დაკავშირებით მსგავს ჩანაწერს არ შეიცავს (რაც გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის კონსტიტუციურ შეთანხმებასთან), მაგრამ ფაქტია, რომ კონსტიტუციურ შეთანხმებას, როგორც შედარებით მაღალი იერარქიის მქონე ნორმატიულ აქტს, პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან.

სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით კი საგადასახადო კოდექსი ქონების გადასახადის გათავისუფლებას მხოლოდ არაეკონომიკური საქმიანობის მიზნით არსებულ ქონებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს²²⁴.

შესაბამისად, ყველა რელიგიური ორგანიზაცია, განსხვავებით საქართველოს საპატრიარქოსაგან, ვალდებულია, ყოველი წლის 15 ნოემბრამდე გადაიხადოს მიწის გადასახადი.

საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები

სახალხო დამცველის ანგარიშებში არაერთხელ აღინიშნა, რომ წლების განმავლობაში გადაუჭრელია საბჭოთა პერიოდში რამდენიმე რელიგიური გაერთიანებისათვის ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის საკითხი. ამ ობიექტების ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია და პრობლემის გადაუჭრელობის გამო ვერ ხერხდება მათი შენარჩუნებისათვის აუცილებელი სარესტავრაციო სამუშაოს განხორციელება. ამ ეტაპზე სომხური სამოციქულო ეკლესია მოითხოვს 6 რელიგიური ნაგებობის დაბრუნებას, რომლებიც დღესდღეობით არ ფუნქციონირებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეგლებს, რომელთაგან ხუთი თბილისში, ხოლო 1 ახალციხეში მდებარეობს, დანგრევის საფრთხე ემუქრება. ორი მათგანი (თბილისში) უკვე თითქმის დანგრეულია. მუსლიმთა თემი სვამს საკითხს ქვემო ქართლში 18 ისტორიული, დღესდღეობით უფუნქციო მეჩეთის დაბრუნების თაობაზე. ამასთან, ადიგენის რაიონში 4, ხოლო, აჭარაში 3 მეჩეთის მუსლიმური თემისთვის გადაცემას ან დასუფთავებასა და აღდგენას მოითხოვენ აჭარელი მუსლიმები (ერთ მათგანი, სოფ. მუხაესტატეს ყოფილი მეჩეთი, რომელშიც პოლიცია იყო განთავსებული, 2010 დაანგრეს და მის აღდგენას პოლიციის ახალი შენობა ააშენეს). წლების განმავლობაში კათოლიკე ეკლესია ითხოვს 5 კათოლიკური ტაძრის დაბრუნებას. ეს ტაძრები დღესდღეობით მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაშია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის იანვარში კათოლიკეებს გადაეცათ ახალციხეში, რაბათის ისტორიულ უბანში ყოფილი კათოლიკური მონასტერი, დაწყებულია მისი აღდგენა და განახლება.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემის მოგვარება, ერთი მხრივ, მოითხოვს სახელმწიფოს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და აღნიშნული რელიგიური გაერთიანებების კონსენსუსს, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფომ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მიზნით და

²²⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის 1 ნაწილის ე) ქვეპუნქტი.

თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაყრდნობით დროულად უნდა გადაჭრას ეს პრობლემა.

რელიგიის თავისუფლების განხორციელება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

2010 წელს ისევ გადაუჭრელ საკითხად რჩებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ რელიგიის თავისუფლების რეალიზაციის საკითხი. არსებული პრაქტიკის თანახმად, აღნიშნულ დაწესებულებებში სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების სასულიერო პირების შესვლა საპატრიარქოსაგან ნებართვის მიღებას საჭიროებდა, რაც მიუღებელი იყო რელიგიური გაერთიანებებისთვის და დისკრიმინაციული პრაქტიკა იყო. წარმომადგენდა. შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წინაშე ეს საკითხი არაერთხელ დააყენა სახალხო დამცველი და მასთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო პრობლემის მოგვარების კონკრეტულ გზებზე მუშაობა. აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 30 დეკემბერს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხელი მოაწერა ბრძანებას (#187), „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ“, რომელიც არეგულირებს სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების სასულიერო პირების შეხვედრას პატიმრობაში მყოფ მრევლთან, შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის მიერ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო იღებს ვალდებულებას, შექმნას ამისათვის შესაბამისი პირობები. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული ბრძანების იმპლემენტაცია მოხდება იმგვარად, რომ ეფექტურად უზრუნველყოს ყველა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლისათვის რელიგიურ რიტუალში მონაწილეობისა და შესაბამის სასულიერო პირებთან შეხვედრის თანაბარი შესაძლებლობა.

განათლების სისტემა

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ პირდაპირ ითვალისწინებს საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენების დაუშვებლობას,²²⁵ ასევე, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური მიზნებით განთავსების აკრძალვას.²²⁶ მიუხედავად საკითხის დეტალური საკანონმდებლო რეგლამენტაციისა, კვლავაც პრობლემურად რჩება საჯარო

²²⁵ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 13.

²²⁶ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 18.

სკოლებში კანონის მოთხოვნათა დაცვა და შესაბამისად, სასწავლო დაწესებულებებში თანასწორუფლებიანი გარემოს უზრუნველყოფა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი უკვე მეორე წელია საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით რეგიონებისა და დედაქალაქის რამდენიმე სკოლაში მაღალი კლასების მოსწავლეებისთვის რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის გაღრმავების მიზნით ვიქტორინებს მართავს, რომლებიც ტოლერანტობის ცენტრის მიერ 2009 წელს გამოცემული ენციკლოპედიების „ეთნოსები და რელიგიები საქართველოში“ საფუძველზე ხორციელდება. ამ საგანმანათლებლო ვიქტორინების მიზანი და, შეიძლება უკვე ითქვას, კონკრეტული შედეგიც მოსწავლეებში ცოდნის გაზრდის მეშვეობით ტოლერანტობის კულტურის გაღრმავებაა.

მედია და ტოლერანტობა

მედიაში რელიგიური უმცირესობების გაშუქებისა და ტოლერანტობის კულტივაციის საკითხი პირობითად სამ მიმართულებად შეიძლება დაიყოს.

1. *სატელევიზიო მედიასაშუალებებში* უკვე დამკვიდრებულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს რელიგიური უმცირესობებისა და რელიგიური ტოლერანტობის საკითხების იგნორირება. ამ მხრივ გამონაკლისს საზოგადოებრივი მაუწყებლის რამდენიმე გადაცემა წარმოადგენს, რომლებშიც წლის განმავლობაში რამდენჯერმე დაეთმო ეთერი ტოლერანტობის, რელიგიის თავისუფლების დაცვისა და რელიგიური უმცირესობების თემატიკის გარშემო დისკუსიას. სრულიად მწირია რადიომაუწყებლობით რელიგიური უმცირესობების შესახებ გადაცემული ინფორმაცია. ერთადერთი რადიოარხი, რომელიც საქართველოში რელიგიის თავისუფლების მდგომარეობით პერიოდულად ინტერესდება, „რადიო თავისუფლება“.

2. *ბეჭდვითი მედია* ბოლო ორი წლის განმავლობაში რელიგიური ტოლერანტობის გაშუქების კუთხით უფრო მრავალფეროვანი გახდა. ამ თვალსაზრისით 2010 წელს განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოთხი გამოცემა: ჟურნალები: „ლიბერალი“, „ტაბულა“, „ცხელი შოკოლადი“ და გაზეთი „ბათუმელები“. ამ მხრივ ასევე აქტიურად დაიწყო მუშაობა ინტერნეტმედია გამოცემა „ნეტგაზეთი.გე“-მ. მიუხედავად ამისა, რელიგიური უმცირესობების თემის გაშუქება საქართველოში შეუწყნარებელი განწყობების გაღვივების ერთერთ სერიოზულ წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს. ხშირ შემთხვევაში ბეჭდვითი მედიასაშუალებები რელიგიურ უმცირესობთან დაკავშირებულ საკითხებს სტერეოტიპულად, ქსენოფობიურად, შუღლის ენის გამოყენებით აწვდიან მკითხველს ან ყოველგვარი ჟურნალისტური ან სარედაქციო კომენტარის გარეშე ახდენენ ამა თუ იმ რესპოდენტის ქსენოფობური რიტორიკის ტირაჟირებას.

3. მესამე მიმართულებად შეიძლება ე.წ. *ახალი მედია გამოიყოს*. ინტერნეტი საქართველოში თავისუფალია ყოველგვარი ტაბუებისა და რელიგიური ცენზურისგან. პოპულარულ ფორუმებსა და სოციალური ქსელების სივრცეში ხშირად იმართება

დისკუსიები რელიგიის, რელიგიური უმცირესობების, ტოლერანტობის საკითხების შესახებ. არსებობს ბლოგები, სადაც მათი ავტორები ან უშუალოდ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები არიან, ან წერენ და ანალიზებენ რელიგიის თავისუფლებისა და ტოლერანტობის შესახებ. თუმცა, აქვე შეუწყნარებლობისა და შუღლის ენის გამოყენების ყველაზე უფრო მწვავე შემთხვევებსაც ვაწყდებით.

რელიგიის თავისუფლება საქართველოში – საერთაშორისო შეფასებები

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხების ბიუროს 2010 წლის ანგარიში რელიგიის საერთაშორისო თავისუფლების შესახებ²²⁷

2010 წლის 17 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხების ბიურომ გამოაქვეყნა წლიური ანგარიში საქართველოში რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2010 წლის ანგარიში მოიცავს 2009 წლის 1 ივლისიდან 2010 წლის 30 ივლისის ჩათვლით პერიოდს. ანგარიშში საუბარია როგორც სახელმწიფოს მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებზე, ისე რიგ პრობლემებზე რელიგიის თავისუფლების კუთხით. დოკუმენტში არაერთხელაა ნახსენები საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის საქმიანობა და სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში ხაზგასმული პრობლემები ამ მიმართულებით. აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში მთავრობის ყურადღება ძირითადად ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებზე იყო მიმართული, ხოლო რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელების პროცესი შენეულა.

ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საქართველოს ხელისუფლებისა და სხვადასხვა უწყების მხრიდან გადადგმული დადებითი ნაბიჯების შესახებ. მათ შორის: 2010 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნოვრუზ-ბაირამის ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადება; კათოლიკური ეკლესიის საკუთრებაში არსებული სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ფილოსოფიის, თეოლოგიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის მიერ რეაკრედიტაციის მიღება, რაც 2007 წელს განაცხადის შეტანის პერიოდიდან ჭიანჭურდებოდა; გარდა ამისა, ხაზგასმულია სახალხო დამცველის ოფისის მიერ ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, რომელზეც სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოებმა ტოლერანტობის ქომაგის ტიტული მიანიჭეს იმ ორგანიზაციებს და პიროვნებებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოში ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში.

საკმაოდ ვრცელი ნაწილი ეთმობა რელიგიური ჯგუფების რეგისტრაციის საკითხს. ნათქვამია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა სხვა რელიგიურ ჯგუფებს კანონის მიხედვით საშუალება აქვთ, დარეგისტრირდნენ კერძო სამართლის არაკომერციულ ერთეულებად. რელიგიური გაერთიანებების უმრავლესობა

²²⁷ http://georgia.usembassy.gov/officialreports/-international_religious_freedom_report_2010.html

უკმაყოფილებას გამოთქვამს ამ ტიპის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, თუმცა მათი ნაწილი თანხმდება გაიარონ რეგისტრაცია, რათა ჰქონდეთ იურიდიული სტატუსი და ისარგებლონ გარკვეული შეღავათებით. ხოლო ის რელიგიური ჯგუფები, რომლებიც უარს აცხადებენ ამ ტიპის რეგისტრაციაზე, აწყდებიან რიგ პრობლემებს საკუთრებასთან დაკავშირებით. ანგარიშში აღწერილია რელიგიური თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები, რომლებიც მუდმივად ხდება სახალხო დამცველის ყურადღებისა და რეაგირების საგანი. მათ შორისაა: სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების ისტორიულ შენობა-ნაგებობებთან და ახალი ნაგებობების აშენების ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები; რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი სასულიერო პირების მიერ სასჯელაღსრულების სისტემაში საკუთარ მრევლთან შესვლის საკითხი; სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების შევიწროებისა და მათზე განხორციელებული ძალადობის ფაქტები; 2010 წლის მაისში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ტელეკომპანია კავკასიის გადაცემა „ბარიერში“ ფუნდამენტალისტური მართლმადიდებლური დაჯგუფებების მიერ განხორციელებული ქმედებები; საჯარო სკოლებში ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევები; მედიის დამოკიდებულება რელიგიური უმცირესობების მიმართ და სხვა პრობლემური საკითხები.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) 2010 წლის მოხსენება საქართველოს შესახებ²²⁸

2010 წლის 15 ივნისს ევროპულმა კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) საქართველოს შესახებ მესამე მოხსენება გამოაქვეყნა. მოხსენებაში საუბარია ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა პრობლემატიკაზე და სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებზე. გარდა ამისა, ECRI რეკომენდაციებს აძლევს სახელმწიფოს, გადადგას კონკრეტული ნაბიჯები არსებულ პრობლემათა აღმოსაფხვრელად.

ECRI-ს მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს სახალხო დამცველი კვლავ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საქართველოში უმცირესობათა, განსაკუთრებით კი ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვის საქმეში, ასევე, დისკრიმინაციასთან ბრძოლის საქმეში. ამას ახერხებს მის სამსახურთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის, აგრეთვე ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსა და რელიგიათა საბჭოს საქმიანობის ფარგლებში“. მოხსენებაში ნათქვამია, რომ რელიგიათა საბჭო და ეროვნულ უმცირესობათა საბჭო არის მთავრობისა და ყველა სამთავრობო ორგანოს უმთავრესი პარტნიორი ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებში, ასევე, ხაზგასმულია ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობისა და როლის მნიშვნელობა. დადებითადაა შეფასებული სახალხო დამცველის ანგარიშები (რომლებშიც რეგულარულადაა წარმოდგენილი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პრობლემები) და ხელისუფლებისადმი მიმართული რეკომენდაციები,

²²⁸ <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-IV-2010-017-GEO.pdf>

რომლებიც აღნიშნული პრობლემების გადაჭრას ისახავს მიზნად. სახალხო დამცველის საკვანძო როლის გათვალისწინებით რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ECRI ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, კვლავაც განაგრძოს ამ ინსტიტუციის მხარდაჭერა და განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლება არ იშურებს ძალისხმევას, წინ აღუდგეს რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლენას და წარმართოს დიალოგი რელიგიურ უმცირესობებთან. თუმცა, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული დადებითი ნაბიჯებისა, კვლავ ხდება პოლიტიკოსებისა და მედიის მიერ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ სტერეოტიპებისა და არასწორი შეხედულებების ტირაჟირება. საზოგადოებაც გულგრილია აღნიშნული ჯგუფების პრობლემების მიმართ და არ იცნობს უმცირესობათა კულტურას. ECRI აღნიშნავს, რომ ბოლო წლების განმავლობაში კვლავ ავიწროებენ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს და სიტყვიერად თუ ფიზიკურად შეურაცხყოფენ. ნათქვამია, რომ ამგვარი შემთხვევების მსხვერპლი ძირითადად ე.წ. არატრადიციული რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, კერძოდ, იეჰოვას მოწმეები ხდებიან. თუმცა, უფრო და უფრო ხშირად შემთხვევები, როდესაც ავიწროებენ მუსლიმებს. ბოლო პერიოდში სასამართლო და პროკურატურა უფრო ხშირად რეაგირებენ შეუწყნარებლობის გამოვლენის ფაქტებზე. მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის ანგარიშში და სხვა წყაროებში ნაკლებად პოზიტიური შედეგებია პოლიციის მხრიდან რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლენის შემთხვევებზე პასუხის თვალსაზრისით. ხაზგასმულია, რომ სახალხო დამცველი ასრულებს პოზიტიურ როლს, რათა პოლიციამ ყურადღება მიაქციოს რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებს. ECRI მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, განაგრძოს და გააძლიეროს ძალისხმევა და წინ აღუდგეს რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლენას.

მოხსენებაში საუბარია რელიგიის თავისუფლებაზე საჯარო სკოლებში. ECRI დადებითად აფასებს სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ამ მიმართულებით, მათ შორის ახალ კანონს ზოგადი განათლების შესახებ, რომლის მიხედვით, საჯარო სკოლებში საგანი რელიგია არის არჩევითი და იგი უნდა ეხებოდეს არა მხოლოდ ერთ, უმრავლესობის რელიგიას, არამედ მოსწავლეებს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიის შესახებ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურიკულუმში წარმატება მიღწეულია რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის კუთხით და კანონმდებლობა ცხადად კრძალავს დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმას რელიგიის საფუძველზე და რელიგიური სიმბოლიკის გამოფენას საჯარო სკოლებში, კვლავაც პრობლემად რჩება მასწავლებლებისგან მოსწავლეების შევიწროება, რომლებიც უმრავლესობის რელიგიას არ განეკუთვნებიან. აქვე აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი „აკვირდება ყველა საკითხს, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა შესაძლო შელახვას სკოლებში რელიგიის თავისიფლების თვალსაზრისით“. ECRI რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, მონიტორინგი გაუწიოს სკოლებში რელიგიის თავისუფლების დაცვას

და თითოეულ საჯარო სკოლაში უზრუნველყოს რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემა.

მოხსენებაში აღნიშნულია ისეთი პრობლემებიც, რომლებზეც საქართველოში რელიგიური უმცირესობები საუბრობენ. მაგალითად: ზედმეტი ბიუროკრატია რელიგიური შენობა-ნაგებობების აშენებასთან დაკავშირებით; ზოგიერთი რელიგიური გაერთიანების ისტორიული ქონების დაბრუნების საკითხი; რელიგიური გაერთიანებების სტატუსის პრობლემა.

ECRI დადებითად აფასებს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს როლს და რეკომენდაციას უწევს ხელისუფლებას, გააძლიეროს დიალოგი რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან აღნიშნულ საბჭოსთან თანამშრომლობის ფარგლებში.

რეკომენდაციები:

- სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებს, მოხდეს დროული, ეფექტური და ადეკვატური რეაგირება, მათ შორის საქმის საფუძვლიანი შესწავლა და გამოძიების გონივრულ ვადებში დასრულება, რაც ხელს შეწყობს ამგვარი ფაქტების პრევენციას, რელიგიის თავისუფლების ხელყოფისაგან დაცვასა და თანასწორუფლებიანი გარემოს განვითარებას.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული საქართველოს „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში“ გათვალისწინებული იყოს რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობრივი ქმედებებზე ადეკვატური და ეფექტური რეაგირების მექანიზმები.
- საქართველოს პარლამენტმა დაიწყო მუშაობა საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, რათა უზრუნველყოს ყველა რელიგიური ორგანიზაციისადმი თანასწორი საგადასახადო-სამართლებრივი რეჟიმის არსებობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილი პრინციპის შესაბამისად.
- დაუყოვნებლივ იქნეს შესწავლილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რელიგიური უმცირესობების ისტორიული ნაგებობების მდგომარეობა და უზრუნველყონ მათი კონსერვაციის მიზნით გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების შესრულება; პარალელურად მიიღონ ზომები სადავო ნაგებობების მესაკუთრეთა დადგენისა და შესაბამისი ქონების გადაცემის უზრუნველსაყოფად.
- სასურველია, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ქვეყანაში რელიგიური ტოლერანტობის მხარდასაჭერად მიმართოს მეტ ძალისხმევას. ამ მხრივ უმჯობესი იქნება ტელე- და რადიომაუწყებლობის მეშვეობით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო პოპულარული გადაცემების მომზადებას, რომლებშიც ასახული იქნება მსოფლიო და ადგილობრივი რელიგიური კულტურა და მრავალფეროვნება, გაანალიზდება ამ კუთხით მიმდინარე გლობალური თუ ლოკალური პროცესები და არსებული გამოწვევები.

ეროვნული უმცირესობების უფლებები და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა

2010 წელს ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში სახელმწიფო უწყებებმა (ზოგ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით) არაერთი პროგრამა განახორციელა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის მნიშვნელოვნად გამარტივდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების წესი და, წინა წლებთან შედარებით, გაცილებით ხელმისაწვდომი გახდა უმაღლესი განათლება. ამავდროულად აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორიცაა არაქართულენოვანი სკოლებისთვის სახელმძღვანელოების თარგმნა, სკოლების რეაბილიტაცია, კომპიუტერიზაცია, სახელმწიფო ენის სწავლების ეფექტურობის ამაღლება.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ამ მხრივ 2010 წელს განხორციელებული პროექტებიდან გამორჩეული დატვირთვის მქონეა თბილისი-წალკა-ახალქალაქის საავტომობილო გზის მშენებლობა. ასევე მნიშვნელოვანია ყარსი-ახალქალაქი-თბილისის რკინიგზის მშენებლობა, რომლის ამოქმედება პოზიტიურ გავლენას იქონიებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარებასა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრაზე.

სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის კონტექსტში 2010 წელს მიმდინარეობდა სახელმწიფო უწყებების საქმიანობის ინსტიტუციური სრულყოფა. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მონიტორინგის განსახორციელებლად სახელმწიფო უწყებებს, პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოებს შორის თანამშრომლობის საკმაოდ ეფექტური მოდელი შეიქმნა. სხვადასხვა უწყების კოორდინაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და მასთან არსებული სახელმწიფო უწყებათშორისი კომისია.

აღნიშნული პოზიტიური პროცესების მიუხედავად, კვლავ სახეზეა არაერთი სისტემური პრობლემა, რომელთა მოგვარება შესაბამის სახელმწიფო უწყებათა საქმიანობის კიდევ უფრო მეტად სრულყოფას, მეტ რესურსსა და დროს მოითხოვს. სამოქალაქო ინტეგრაციისთვის სერიოზულ გამოწვევად რჩება პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და მედიაპროცესებში უმცირესობების მონაწილეობა, ასევე, სახელმწიფო და მშობლიური ენის ცოდნის, კარიერული წინსვლის, დასაქმების, განათლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხები. ინტეგრაციისთვის დამაბრკოლებელი

ფაქტორია ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, უმრავლესობა–უმცირესობის ურთიერთგანწყობები. ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფთან უმრავლესობის წარმომადგენლების დამოკიდებულება ხშირად გაჯერებულია ნეგატიური და ქსენოფობური სტერეოტიპებით. ეს იგრძნობა როგორც ყოფით, ასევე „კულტურულ“ დონეზე, აისახება მედიასა და საჯარო პირების რიტორიკაში. მეორე მხრივ, უმცირესობებსაც ახასიათებს უმრავლესობისა და ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულებები. უმცირესობათა მნიშვნელოვან ნაწილს (გარკვეულწილად 90-იან წლების დამდეგს განვითარებული მოვლენების გამო) კვლავაც თანსდევს „მეორეხარისხოვანი მოქალაქის“ განცდა. მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა საამისოდ ობიექტური საფუძველი. ეროვნული უმცირესობები, ზოგადად, ჯერ ისევ დაუცველად და გარიყულად გრძნობენ თავს. ყოველივე ეს, ბუნებრივია, სერიოზულ ბარიერს ქმნის სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისთვის, რომელშიც, საბოლოოდ, ორმხრივი, უმრავლესობა–უმცირესობების ურთიერთდაახლოება და საერთო სამოქალაქო ღირებულებათა გარშემო კონსოლიდაცია იგულისხმება.

ბოლო წლების განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში თითქმის აღარ შემოდის მოქალაქეთა განცხადებები უშუალოდ ეთნიკური ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაციის შესახებ. ამ ფაქტის სწორხაზოვანი შეფასება ჯერჯერობით ძნელია. ერთი მხრივ, უაღრესად პოზიტიურია, რომ საქართველოში ეთნიკური ნიშნით უთანასწორო მოპყრობის კონკრეტული, სიტუაციური მაგალითები ნაკლებად მოგვეპოვება, მეორე მხრივ, შესაძლოა ზემოაღნიშნულის მიზეზი ისიც იყოს, რომ უმცირესობათა წარმომადგენლები გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდნენ ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით.

განათლების ხელმისაწვდომობა

2010 წელს საგანმანათლებლო სისტემაში ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა გაგრძელდა და სიახლე დაინერგა. ამ კუთხით შეიძლება შემდეგი მიმართულებები გამოიყოს: უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; უმცირესობათა ენებზე სახელმძღვანელოების თარგმნა; პედაგოგების მომზადება; სახელმწიფო ენის შემსწავლელი სპეციალიზებული პროგრამების განვითარება; ორენოვანი განათლების დანერგვა; სკოლების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

უმაღლესი განათლება

2010 წლამდე მწვავედ იდგა ეროვნული უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების წესი არ

ითვალისწინებდა უმცირესობების წინაშე არსებულ პრობლემებს (კერძოდ, უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები აბიტურიენტების ქართული ენის ცოდნის ხარისხსა და სხვა პრობლემურ საკითხებს). შედეგად, ენობრივი ბარიერის ფაქტორის გამო, არაქართულენოვანი აბიტურიენტები, მცირე გამონაკლისის გარდა, ვერ ახერხებდნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას. დაბალი იყო საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების მოტივაციაც. 2005 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდა ჯავახეთიდან მხოლოდ სამმა, ხოლო ქვემო ქართლიდან ჩვიდმეტმა აბიტურიენტმა ჩააბარა. 2006 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა – ქვემო ქართლიდან 25-მა, ხოლო ჯავახეთიდან 31-მა აბიტურიენტმა გადალახა საგამოცდო ბარიერი. 2008 წელს აბიტურიენტები ზოგადი უნარების გამოცდას მშობლიურ ენაზე აბარებდნენ. შესაბამისად, მაჩვენებელი ოდნავ გაუმჯობესდა, მაგრამ საერთო სურათი კვლავ არადადამკმაყოფილებელი იყო – უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან მხოლოდ ერთეულები ირიცხებოდნენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. 2009 წელს საქართველოს კანონში “უმაღლესი განათლების შესახებ” შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტები მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის მშობლიურ ენაზე ჩაბარებით ჩაირიცხებიან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ჩარიცხული სტუდენტები ერთი წელი ისწავლიან ქართულ ენას, შემდეგ კი შესაბამის სპეციალობას დაეუფლებიან. 2010 წელს ეს წესი ამოქმედდა აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი აბიტურიენტებისთვის. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების სურვილი გამოთქვა და, შესაბამისად, გამოცდების ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირდა დაახლოებით 550-მდე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი აბიტურიენტი, რომელთაგან დაახლოებით სამასი ჩაირიცხა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ჩარიცხულ სტუდენტთა მოტივაცია, დაეუფლონ ქართულ ენას, საკმაოდ მაღალია.

2010 წელს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს წევრებთან შეხვედრისას სტუდენტებმა სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან განაცხადეს, რომ მათი სურვილია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დასრულების შემდეგ თბილისში მოძებნონ სამსახური. წლების წინ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მხრიდან თბილისში ან საქართველოს სხვა რეგიონებში ჩასვლისა და ცხოვრების სურვილი საკმაოდ დაბალი იყო, რასაც ისინი თავიანთ ეთნიკურ წარმომავლობას უკავშირებდნენ. მოკლე პერიოდში სტუდენტების მნიშვნელოვან ნაწილში ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულების ასეთი კარდინალური ცვლილება სამოქალაქო ინტეგრაციის პოზიტიურ ნიშნად და ტენდენციად შეიძლება მივიჩნიოთ.

სახელმძღვანელოების თარგმნა

არაქართულენოვანი საჯარო სკოლების უზრუნველყოფა უმცირესობათა ენებზე გამოცემული, საქართველოს განათლების სისტემის სტანდარტებთან შესაბამისი

სახელმძღვანელოებით სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო. ბოლო წლებში დაიწყო სახელმძღვანელოების თარგმნა ეროვნული უმცირესობების ენებზე. 2010 წლის ბოლოსთვის სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნილი და გამოცემული იყო ათობით სახელმძღვანელო.

თუმცა, პედაგოგების, მშობლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ინფორმაციით, პრობლემებია თარგმანის ხარისხთან და, ზოგიერთ შემთხვევაში, თარგმნილი სახელმძღვანელოების შინაარსთან დაკავშირებით (ეს პრობლემა განსაკუთრებით აზერბაიჯანულ ენაზე თარგმანს ეხება). აღნიშნული პრობლემების დროულად აღმოსაფხვრელად სასურველია, რომ დაიხვეწოს თარგმანისა და თარგმნილი სახელმძღვანელოების ხარისხის შემოწმების მექანიზმი მათ გამოცემამდე. ამ პროცესში შესაძლოა სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლების ან სხვა ექსპერტებს ჩართვა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგ არაქართულენოვან სკოლაში, განსაკუთრებით სოფლებში, დღემდე, საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმასთან შეუსაბამო, სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი სახელმძღვანელოებით სარგებლობენ.

სკოლამდელი და დაწყებითი განათლება

ქვემო ქართლში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების, კერძოდ, ეთნიკური აზერბაიჯანელების, მნიშვნელოვან ნაწილს სურს, რომ მათმა შვილებმა განათლება ქართულად მიიღონ. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ქართულენოვან სკოლებში აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეებისათვის წარმოიქმნება გარკვეული სირთულეები. ხშირად ქართულენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ბავშვების ქართული ენის ცოდნის დონე რადიკალურად განსხვავებულია. შესაბამისად, ერთსა და იმავე კლასში, მოსწავლეთა ნაწილის აზრით, არაადეკვატურად მაღალია საგნის შესწავლისათვის დაწესებული მოთხოვნები, ხოლო მეორე ნაწილის აზრით, შესაბამისი საგნის სწავლების დონე არაადეკვატურად დაბალია. ეს გარემოება უარყოფითად აისახება სწავლის ხარისხზე და მშობლებისა და ბავშვების ნეგატიური განწყობის სტიმულირებას ახდენს. პრობლემურია ისიც, რომ ქართულენოვანი სკოლების პედაგოგებმა ხშირ შემთხვევაში უმცირესობათა მშობლიური ენა არ იციან, მართალია, ეს მათ პროფესიული სტანდარტების მიხედვით არც მოეთხოვებათ, მაგრამ აღნიშნული გარემოება ძალზე აფერხებს პედაგოგსა და მოსწავლეს შორის კომუნიკაციას, რაც ნეგატიურად აისახება გაკვეთილის ხარისხსა და მოსწავლის სწავლის დონეზე. ამის გამო ისინი ვერ ახერხებენ არაქართულენოვან მოსწავლეებთან კომუნიკაციას.

სასკოლო ასაკს მიღწეულ ბავშვებში ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს სკოლამდელი აღზრდის სისტემაში შესაბამისი რეფორმების გატარება. ამ მხრივ საწყისი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, სახელმწიფომ შეიმუშავა პროგრამა სახელწოდებით "სკოლამდელი განათლების საფეხურზე ქართული ენის სწავლის ხელშეწყობა არაქართულენოვან რეგიონებში", მაგრამ იგი სრულფასოვნად

არ არის ამოქმედებული. სასურველია, რომ აღნიშნული პროგრამა ფართოდ გავრცელდეს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და უზრუნველყოფილი იყოს მისი ეფექტური იმპლემენტაცია.

არაქართულენოვანი საჯარო სკოლები

2010 წლის განმავლობაში, ისევე როგორც გასულ წლებში, არაერთი არაქართულენოვანი საჯარო სკოლა გარემონტდა, განხორციელდა კომპიუტერიზაციის პროგრამა, სასკოლო ინვენტარით მომარაგდა. თუმცა, აღნიშნულ სკოლებში ისევ აქტუალურია საკადრო რესურსების მოზიდვის პრობლემა, რომლის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, ის იყოს, რომ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ ხდება უმცირესობების სკოლებისთვის პედაგოგების სპეციალური მომზადება. ამას უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები იმით ხსნიან, რომ თვითონ სტუდენტებს (მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს) არ აქვთ შესაბამისი სურვილი. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ სტუდენტები უფრო მეტად ე.წ. პრესტიჟული და ანაზღაურებადი პროფესიების დაუფლებას ირჩევენ. ქვემო ქართლიდან და სამცხე ჯავახეთიდან განათლების მისაღებად მეზობელ ქვეყნებში წასული ახალგაზრდები კი, უმრავლეს შემთხვევაში, დასაქმებას იქვე ცდილობენ. აქედან გამომდინარე, არაქართულენოვანი საჯარო სკოლები უახლოეს მომავალში, შესაძლოა, მწვავე საკადრო პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. ამ საკითხის გადასაჭრელად სასურველია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სპეციალური პროგრამები შეიმუშაოს და განახორციელოს.

ქართული ენის შესწავლა საჯარო სკოლებში

მრავალი წელია ვსაუბრობთ არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის შესაბამის დონეზე სწავლების აუცილებლობის შესახებ. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სკოლების დიდ ნაწილს დღემდე არ ჰყავს ქართული ენის კვალიფიციური მასწავლებლები. ჩვენი ინფორმაციით, კვლავ არსებობს არაერთი საჯარო სკოლა, სადაც ქართული ენის პედაგოგები სამეტყველო დონეზეც კი ვერ ფლობენ ქართულს.

2010 წლის განმავლობაში ქართული ენის ათობით მასწავლებელი მიავლინეს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სკოლებში, რაც მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პროგრამის “კვალიფიციური ქართული ენის სპეციალისტები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში” ფარგლებში განხორციელდა. ქართული ენის შესწავლის თვალსაზრისით ამ პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანი ნაბიჯია მოსწავლეებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, უშუალოდ ადგილობრივი პედაგოგებისთვისაც. თუმცა, დიდი მოთხოვნის მიუხედავად, ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის სკოლებს იგი ჯერჯერობით სრულად ვერ ფარავს.

ზოგადი განათლების სფეროში განხორციელებული ცვლილებებიდან უნდა აღინიშნოს, რომ არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლებისათვის გამოყოფილი დრო კვირაში 3-იდან 5 საათამდე გაიზარდა. ამ ცვლილების განხორციელებას სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები წლების განმავლობაში ითხოვდნენ. არაქართულენოვან საჯარო სკოლებში შემცირდა ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის სწავლების საათები კვირაში 5-იდან 3 საათამდე. ეროვნული უმცირესობების ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ენის სწავლების საათების რაოდენობის გაზრდა მათი მშობლიური ენისთვის გამოყოფილი სასწავლო საათების ხარჯზე ხდება და თითქოს ეს საბოლოო ასიმილაციისკენ არის მიმართული, ამის გამო ნეგატიური კუთხით წარმოჩინდება ქართული ენის სწავლების საათების რაოდენობის გაზრდა. ამდენად სასურველია, რომ ქართული ენის სწავლების საათების გაზრდა ნეგატიურად არ აისახოს ეროვნული უმცირესობებისთვის მშობლიური ენის სწავლების საათების რაოდენობაზე.

პოზიტიური ტენდენციაა ისიც, რომ თბილისის, ქვემო ქართლის, სამცხე ჯავახეთისა და კახეთის 40 საჯარო სკოლაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკვე რამდენიმე წელია აქტიურად ნერგავს ბილინგვურ სწავლებას, რაც ასევე ხელს უწყობს უმცირესობებისათვის როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიური ენის შესწავლას. თუმცა, პრობლემატურია კვალიფიციურ დონეზე შედგენილი სახელმძღვანელოების, სწავლების მეთოდოლოგიისა და ბილინგვური პედაგოგების მომზადების საკითხი.

ქართული ენის შესწავლა ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართული ენის შესწავლის მსურველთა რაოდენობა, რაც ბუნებრივია, სამოქალაქო ინტეგრაციისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. წლების განმავლობაში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციამ ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული მრავალ პროგრამა განახორციელა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სახელმწიფო ენის არცოდნა კვლავაც უმთავრეს პრობლემად შეიძლება დასახელდეს. სახელმწიფო ენის შესწავლის წასახალისებლად ისევ აქტუალურია ენის შემსწავლელი უფასო კურსების გახსნის საკითხი. ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ფუნქციონირებს ე.წ. “ენის სახლები”, სადაც მოსახლეობას ქართულ ენას ასწავლიან, მაგრამ სასურველია, რომ ქართული ენის სწავლების პროგრამა გაფართოვდეს და მოიცვას ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სხვა ქალაქები და სოფლებიც. ინტეგრაციის პროცესის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს ჰქონდეს ქართული ენის სწავლების პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა

ეროვნული უმცირესობების მიერ მშობლიური ენის შესწავლა

ეროვნული უმცირესობების მიერ მშობლიური ენის შესწავლასთან დაკავშირებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა მდგომარეობაა. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სირთულეები თითქმის არ არსებობს, მაგრამ პრობლემები თავს იჩენს თბილისსა და სხვა ქალაქებში. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალურია მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების მდგომარეობა. მცირე ეთნიკური ჯგუფების ნაწილმა მშობლიური ენის ცოდნის პრობლემა საკვირაო სკოლების მეშვეობით გადაჭრა, მათი ისტორიული წარმომავლობის ქვეყნების საელჩოების (საბერძნეთი, უკრაინა, ლატვია, პოლონეთი და სხვ.) ფინანსური მხარდაჭერით. თუმცა, პრობლემურად რჩება ეს საკითხი ქურთების, ასურელების, უდიებისათვის, რომლებიც, ცხადია, ვერც დიპლომატიური მისიების დახმარებით სარგებლობენ და ვერც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში ახერხებენ მშობლიური ენის შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ არაერთ ქართულენოვან საჯარო სკოლაში (თბილისსა და რეგიონებში) უმცირესობებს მიკუთვნებული მოსწავლეების შესაბამისი რაოდენობაა წარმოდგენილი, რომელთაც სურვილი აქვთ, საგანგებოდ მათთვის გამოიყოს მშობლიური ენის შემსწავლელი საათები, ჯერჯერობით ამ საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდება. სასურველია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საჯარო სკოლებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის სწავლების საკითხს.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

2010 წლის განმავლობაში სარემონტო სამუშაოების გამო ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა დაკეტილი იყო. გასულ წლებში სკოლაში დაგროვდა მრავალი პრობლემა, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს კვალიფიციური პედაგოგიური კადრებისა და სათანადო სასწავლო პროგრამების შემუშავების საკითხები. 2005 წლის შემდეგ სკოლაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელმა მრავალმა ახალგაზრდამ გაიარა სასწავლო კურსი. სკოლაში მათ სახელმწიფო ენის ინტენსიური შესწავლის საშუალება მიეცათ.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ თავიდანვე გაჩნდა ამ სკოლისა და სკოლის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების თაობაზე არაადეკვატური მოლოდინები – სკოლის დამთავრება ხშირ შემთხვევაში ავტომატური დასაქმების გარანტიად აღიქმებოდა, რეალობა კი მოლოდინებისგან განსხვავებული იყო.

თავისი არსიდან და ფუნქციიდან გამომდინარე, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას საჯარო სამსახურის სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადებისა და გადამზადების კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული, ისე ზოგადად, საქართველოს სხვა რეგიონებისთვის.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მედია

საანგარიშო პერიოდში ეროვნული უმცირესობების ენებზე ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებრივი მაუწყებელი და რამდენიმე რეგიონული ტელევიზია ახორციელებდა. გაიზარდა ეროვნული უმცირესობების ენებზე მომზადებული საინფორმაციო გადაცემების ინტენსივობა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ და აფხაზურ ენებზე ტრანსლირებულ ყოველდღიურ 10-წუთიან საინფორმაციო პროგრამას ქვემო ქართლის, სამცხე ჯავახეთისა და სხვა რეგიონების ტელევიზიებიც გადასცემდნენ. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, რომლებიც ყოველდღიური საინფორმაციო მაუწყებლობის რეჟიმზე გადასვლაში გამოიხატა, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში კვლავ აშკარაა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების დაბალი დონე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ეროვნული უმცირესობების ენებზე მომზადებული საინფორმაციო გადაცემები საანგარიშო პერიოდში უმთავრესად ადგილობრივ თუ საერთაშორისო სიახლეებს აშუქებდა, მაგრამ ნაკლებად ეთმობოდა დრო უშუალოდ უმცირესობათა თემებს - მათ შორის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს. უნდა ითქვას, რომ მსგავსი ტიპის ინფორმაციისადმი უმცირესობები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ.

პრობლემურია ისიც, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ უმცირესობების ენებზე მომზადებული ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემების რეგიონული და ნაციონალური ტელევიზიების ეთერით გაშვების შესახებ, ხშირ შემთხვევაში, ცნობილი არ იყო როგორც ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონების მაცხოვრებლებისათვის, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილისთვისაც.

ამავდროულად, აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას ის ფაქტიც აფერხებს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო სიგნალი სრულად ვერ ფარავს ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთს.

საზოგადოებრივი რადიოს ეთერით ყოველდღიურად გადაიცემა საინფორმაციო გადაცემები ეროვნული უმცირესობების ენებზე, მაგრამ საზოგადოებრივი რადიოს რადიოტალღები არ ვრცელდება ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის უმეტეს რაიონებში. ამის გამო ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების მიმართულებით ეროვნული რადიოს რესურსი ჯერჯერობით გამოუყენებელია.

აშკარაა, რომ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინფორმირების სისტემა ჯერ კიდევ მოითხოვს სრულყოფას, როგორც ინფორმაციის მიწოდების სიხშირისა და შინაარსის, ასევე ტელევიზიებისა და რადიოს სიგნალის გავრცელების არეალის გაფართოების მიმართულებით.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ ეროვნულ უმცირესობებს მათთვის გასაგებ (მშობლიურ) ენაზე რეგულარულად მიეწოდებოდეთ

ობიექტური ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. როგორც აღინიშნა, ამ მიმართულებით გარკვეული წინსვლაც არსებობს, მაგრამ საკითხის გადასაჭრელად გადადგმული ნაბიჯები საკმარისი არ არის. პრობლემის მოსაგვარებლად, საზოგადოებრივი მაუწყებლის რესურსის გარდა, უფრო აქტიურად უნდა იყოს ათვისებული რეგიონული ტელევიზიების შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია თავად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების ჩაბმა ნაციონალური მასშტაბის მედიაპროცესებში და მათი ინიციატივების მხარდაჭერა. აქვე აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაც. ისევე, როგორც გასულ წლებში, 2010 წლის განმავლობაშიც, როგორც წესი, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს ძირითადად მაშინ იწვევდნენ ამა თუ იმ გადაცემისა თუ გაზეთის რესპოდენტებად, როცა სასაუბრო თემა უშუალოდ უმცირესობებს ეხებოდა, ხოლო ზოგადად სხვა თემატიკის განხილვაში უმცირესობების ჩართვა კვლავ არააქტუალურად რჩებოდა, რაც ზოგადად სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის კულტურის სერიოზულ ხარვეზზე მიუთითებს.

კულტურა და თვითმყოფადობა

ეროვნული უმცირესობების საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის ელემენტების შენარჩუნების თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი პრობლემური საკითხია გადასაჭრელი. არ ჩატარებულა ეროვნული უმცირესობების კულტურული ძეგლების სრულყოფილი ინვენტარიზაცია, მრავალი ძეგლის მდგომარეობა ჯერ კიდევ შეუსწავლელია და არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში მათი შეტანის საკითხი. ასევე აშკარაა, რომ მრავალი ძეგლი საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, კულტურის სამინისტრო ახორციელებს საქართველოში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების ინვენტარიზაციას. ეროვნულ უმცირესობათა კულტურული ძეგლების ინვენტარიზაციის მიზნით, როგორც ცნობილია, უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები - აღრიცხულია სომხური სამოციქულო ეკლესიის 50-მდე ძეგლი, მუსლიმთა 10 მეჩეთი და ჯამე, ებრაელთა 5 სინაგოგა, მაგრამ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები არ არის საკმარისი - ჯერ კიდევ აღსარიცხია სხვადასხვა ძეგლი, მაგალითად, მხოლოდ ქვემო ქართლში არის არაერთი მეჩეთი, რომელთა შეფასება-ინვენტარიზაცია სამინისტროს ჯერ არ განუხორციელებია. ქვემო ქართლის მეჩეთების შესახებ სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებმა დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია კულტურის ისეთ კერებს, როგორებიცაა: თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი, თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო

დრამატული თეატრი, თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი, მირზა ფათალი-ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი, დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და სხვ. მაგრამ ამ დაწესებულებების შენობათა უმრავლესობა ავარიულ მდგომარეობაშია და საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. თავისი უნიკალურობის გათვალისწინებით განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ნინოწმინდაში, სოფელ გორელოვკაში, არსებული დუხობორების ე.წ. „სიროტსკი დომ“, რომელიც კულტურის სამინისტრომ შეიტანა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში, მაგრამ (სახალხო დამცველის, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ECMI-ს წარმომადგენელთა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრთა მრავალი მცდელობის მიუხედავად) ადგილობრივ მუნიციპალიტეტსა და კულტურის სამინისტროს ჯერჯერობით ძეგლის დაცვისა და მზრუნველობისთვის ადეკვატური ღონისძიებები არ განუხორციელებიათ.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე დადებითი გავლენა შეუძლია იქონიოს იმ სპეციალურმა პროგრამებმა, რომლებიც უმრავლესობასა და უმცირესობებს უკეთ გააცნობენ ერთმანეთის კულტურის თავისებურებებს, მიღწევებს, ტრადიციებსა და ფასეულობებს. აუცილებელია, რომ საქართველოში გამართულ სხვადასხვა ფესტივალში, გამოფენასა და სხვა კულტურულ ღონისძიებაში რეგულარულად მონაწილეობდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობების ტრადიციული ცეკვებისა და სიმღერის ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების ხელშეწყობა. ასევე აღსანიშნავია, რომ კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უმცირესობების კომპაქტური დასახლების რეგიონებში არსებულ მუსიკალურ სკოლებსა და კულტურის სახლებს, რომელთა საქმიანობის მხარდაჭერაზეც აუცილებელია გამახვილდეს ყურადღება.

დასაქმება და სამოქალაქო-პოლიტიკური მონაწილეობა

დასაქმება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კრძალავს საჯარო დაწესებულების მიერ ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, შენახვას ან გაცემას, რომლებიც დაკავშირებულია პირის ეთნიკურ კუთვნილებასთან. შესაბამისად შეუძლებელია საჯარო სამსახურში დასაქმებულ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება. თუმცა, თავად უმცირესობათა წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და ზოგადი დაკვირვების საფუძველზე შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ 2010 წლის განმავლობაში ეროვნულ უმცირესობათა ორ წარმომადგენელს ეკავა პოლიტიკური თანამდებობა (განათლების და რეინტეგრაციის მინისტრები), საჯარო სამსახურში ეროვნული უმცირესობების დასაქმების მაჩვენებელი, თუკი კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს არ მივიღებთ მხედველობაში, კვლავინდებურად დაბალი იყო. 2010 წელს გამონაკლისი, ამ თვალსაზრისით, რეინტეგრაციის სამინისტრო იყო. მართალია, ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელი პირები გამოხატავენ სურვილს, რომ მიიზიდონ და დაასაქმონ უმცირესობები, მაგრამ საკითხის სირთულეს, კვალიფიციური კადრების ნაკლებობისა და სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნის გარდა, გარკვეულწილად, ურთიერთგაუცხოების ფაქტორიც განაპირობებს.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში ეროვნული უმცირესობები მაღალ თანამდებობებზე უმთავრესად მათი კომპაქტური დასახლების რეგიონებში არიან წარმოდგენილი.

საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა

ბოლო წლებში საარჩევნო პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობისა და მათი აქტივობის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანი ინიციატივები ხორციელდება. წლების განმავლობაში საარჩევნო დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო მასალები და სარეკლამო ვიდეოკლიპები უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე ითარგმნა, დაიბეჭდა და გავრცელდა.

თუმცა, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში პოლიტიკური კულტურის „არაპლურალისტური“ ხასიათი ისევ თვალშისაცემია. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პოლიტიკური პარტიები ნაკლებ აქტიურობას იჩენენ. ამ რეგიონებში, როგორც წესი, არც სახელისუფლებო და არც ოპოზიციური პარტიები ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილ პოლიტიკურ აქტივიზმს არ მიმართავენ. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, 2010 წლის ადგილობრივი არჩევნებისათვის ქვემო ქართლში ნაციონალური მოძრაობის გარდა მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატიული პარტია აწარმოებდა მცირე წინასაარჩევნო კამპანიას, ხოლო

ჯავახეთში ნაციონალურ მოძრაობას უმნიშვნელო კონკურენციას მხოლოდ „ეროვნული საბჭო„ უწევდა. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისას წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ადგილობრივ ტელევიზიებში პოლიტიკური რეკლამისთვის უფასოდ გამოყოფილი საეთერო დროითაც კი არ სარგებლობდნენ.

პოლიტიკური ჩართულობის გასაანალიზებლად აუცილებელია აღინიშნოს, რომ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს პოლიტიკურ პარტიებსა და მათ საარჩევნო სიებში ეროვნული უმცირესობები მხოლოდ მათი კომპაქტური დასახლების რეგიონებში იყვნენ წარმოდგენილნი, ხოლო დედაქალაქის საკრებულოსა და სხვა რეგიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საარჩევნო სიებში, ე.წ. გამსვლელ სიაში, ნაკლებად ან საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილი. პრობლემურია უმცირესობათა წარმომადგენლობის საკითხი საქართველოს პარლამენტშიც. წინა ორი მოწვევის პარლამენტთან შედარებით 2008-2012 წლების საკანონმდებლო ორგანოში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობა მკვეთრად შემცირებულია. თუკი 1999-2004 წლის მოწვევის პარლამენტში ეროვნული უმცირესობების 16 წარმომადგენელი იყო არჩეული, ხოლო 2004-2008 წლებში – 12, 2008-2012 წლის მოწვევის პარლამენტში მათი რაოდენობა 6-მდე დავიდა. მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით მესამედით შემცირდა უშუალოდ დეპუტატთა რიცხვიც, უმცირესობების წარმომადგენლების რაოდენობის შემცირების მოცემული სტატისტიკა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისთვის ნეგატიური ნიშნულია.

პრობლემურია ისიც, რომ ნაციონალური მნიშვნელობის, საერთო სამოქალაქო, სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესებსა და კულტურულ მოვლენებში, ასევე, მათ შესახებ საზოგადოებრივ დისკუსიებში უმცირესობები ნაკლებად ან საერთოდ არ მონაწილეობენ. მათი ინტერესი და აქტიურობა უმთავრესად უმცირესობებთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით იკვეთება ხოლმე. ამ ეტაპზე, ეს მოცემულობა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად შეიძლება შეფასდეს.

ეთნიკურ ბოშათა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში ბოშები თავდაპირველად მე-19 საუკუნეში გამოჩნდნენ.²²⁹ საქართველოში ბოშათა რაოდენობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2002 წლის ეროვნული საყოველთაო აღწერის მდგომარეობით, საქართველოში 472 ბოშაა. მიუხედავად ამისა, ოფიციალური

²²⁹ „ბოშათა და მოლდაველთა ეთნიკური ჯგუფები საქართველოში – ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის პრობლემები“, გიორგი სორდია, საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წლის 15 სექტემბერი, გვ 6.

მონაცემები ზუსტი არ არის და ბოშათა რეალური რაოდენობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებულ ინფორმაციას ბევრად აღემატება.²³⁰ უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში ბოშების არაოფიციალური რაოდენობა დაახლოებით 750 ადამიანია.²³¹

საქართველოში მცხოვრები ბოშები ორ შტოდ არიან დაყოფილი – კრიმი და ვლახი. კრიმის შტოს შეადგენენ ყირიმიდან, სამხრეთ უკრაინიდან და სამხრეთ რუსეთიდან ჩასახლებული მუსლიმი ბოშები,²³² ხოლო ვლახის შტოს წარმოადგენენ უკრაინიდან და რუსეთიდან ჩამოსახლებული ქრისტიანი ბოშები.²³³

ბოშების ჩასახლებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონშია – ქ.თბილისის სამგორის რაიონში, გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში, ქ.თელავში, ქ.ქუთაისის ავანგარდის უბანში, ქ.ბათუმსა და ქ.ქობულეთში. ქ.ქობულეთის დასახლება საინტერესოა იმიტაც, რომ ქობულეთელი ბოშები ევანგელისტური ეკლესიის წევრები არიან.²³⁴

საქართველოს მასშტაბით განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ საქართველოში ბოშები განათლების, დასაქმების, სამართლებრივი დაცვის, პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივობისა და ჯანდაცვის კუთხით ერთ-ერთ ყველაზე მარგინალურ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ.

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა, აშკარაა, რომ არსებული პოლიტიკა ბოშების პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობას ვერ უზრუნველყოფს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ბოშების იზოლირება არა მხოლოდ საზოგადოების უმრავლესობისგან, არამედ დანარჩენი ეთნიკური უმცირესობებისგანაც.²³⁵

ბოშათა მარგინალიზაციის გამომწვევ მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს როგორც აღნიშნულ საკითხში საზოგადოებისა და საჯარო მოხელეების ცოდნის დაბალი დონე, ასევე, ბოშათა საზოგადოებაში ინტეგრაციის ინტერესის უქონლობა (როგორც თავად ბოშების, ასევე საზოგადოების მხრიდან) და გავრცელებული სტერეოტიპები.

²³⁰ საქართველოში ბოშათა ნაწილი პირადობის მოწმობებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გარეშე, რაც აფერხებს მათ დაფიქსირებას მოსახლეობის ოფიციალურ აღწერაში

²³¹ „ბოშათა და მოლდაველთა ეთნიკური ჯგუფები საქართველოში – ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის პრობლემები“, გიორგი სორდია, საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წლის 15 სექტემბერი, გვ 9

²³² Ibid გვ 18

²³³ Ibid

²³⁴ „არის გამოსავალი? საქართველოში ბოშათა პრობლემების გადაჭრისტის გადამდგმული პირველადი ნაბიჯები“ გიორგი სორდია, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი ECMI, მოხსენება #21, 2009 წლის მაისი, გვ 10

²³⁵ Ibid გვ 29–30

1. ენა და კულტურული თვითმყოფადობა

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველო ვალდებულია, ეროვნულ უმცირესობებს შეუქმნას აუცილებელი პირობები მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

საქართველოში წარმოდგენილი ეთნიკური ბოშების მშობლიური ენაა ბოშური, კრიმის და ვლახის დიალექტი²³⁶. ბოშების ქართული ენის დაუფლების დონე კი მათივე განსახლების ადგილზეა დამოკიდებული.²³⁷ ეთნიკურად ბოშები თავისუფლად ფლობენ რუსულს.²³⁸ სწორედ რუსული ენაა კომუნიკაციის საშუალება ბოშების ორი შტოს – კრიმისა და ვლახის წარმომადგენლებისათვის.²³⁹

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციის თანახმად, კონკრეტული უმცირესობის ჯგუფის ენა და მისი შენარჩუნება ამ ჯგუფის იდენტობის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელი ნაწილია.²⁴⁰ საქართველოში ბოშურ ენაზე მხოლოდ ბოშები საუბრობენ, მისი არსებობის შესახებ ინფორმაციას კი საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილი ფლობს – უმეტესად იმ ორგანიზაციებში დასაქმებული პირები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ბოშათა პრობლემებზე.

ბოშური ენის მნიშვნელობის აღიარება და ეთნიკური ბოშების ჯგუფებში ენის შენარჩუნებაზე ზრუნვა აუცილებელია, ვინაიდან მშობლიური ენის დაკარგვა ჯგუფის იდენტობისთვის საფრთხის შემქმნელ წინაპირობას წარმოადგენს.

ამასთან, საქართველოში არ მიმდინარეობს ბოშათა კულტურის პოპულარიზაცია. საზოგადოების უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას ბოშათა კულტურისა და ტრადიციების შესახებ და აღნიშნულ ეთნიკურ ჯგუფზე საზოგადოების წარმოდგენა მხოლოდ არსებული სტერეოტიპებით შემოიფარგლება.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრისას დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „რომას“ ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბოშები თანდათანობით კარგავენ

²³⁶ Ibid გვ 21

²³⁷ Ibid, ქ.ქუთაისში და ქ.თბილისი სამგორის რაიონში მცხოვრები ბოშები საკმაოდ თავისუფლად მეტყველებენ ქართულად. იგივე შეიძლება ითქვას ქ.ქობულეთზეც, თუმცა ქ.ქობულეთში წარმოდგენილ ეთნიკურ ბოშებს ქართულად წერა-კითხვა არ შეუძლიათ. სოფელ გაჩიანსა და სოფელ ლენინოვკაში ქართულ ენას მხოლოდ ახალგაზრდები ფლობენ და ისიც არა თავისუფლად.

²³⁸ Ibid

²³⁹ Ibid

²⁴⁰ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენცია, მე-5 მუხლი.

თავიანთ კულტურასა და ტრადიციებს, რამაც აღნიშნული ჯგუფის სრული ასიმილაცია შეიძლება გამოიწვიოს.

შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ბოშათა კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებაზე ზრუნვა აუცილებელია. აღნიშნული წინადადგმული ნაბიჯი იქნებოდა როგორც ეთნიკური ბოშების კულტურის შენარჩუნებისთვის, ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქართველი ბოშების საზოგადოებაში ინტეგრაციას, რაც საქართველოს მიერ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციით ნაკისრ ვალდებულებასთან²⁴¹ შესაბამისობაში მოვიდოდა.

2. განათლება, დასაქმება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

განათლება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში პირთა ჩართვისა და მონაწილეობისთვის აუცილებელია.

განათლების უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტებით.²⁴² განათლების უფლების მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ აღნიშნული უფლება განმტკიცებულია როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტებით, რაც სახელმწიფოთა მხრიდან ამ უფლების დაცვის პოზიტიურ ვალდებულებაზე მიუთითებს.²⁴³ მოწყვლადი ჯგუფებისათვის განათლების უფლებით სარგებლობისათვის სახელმწიფოს მხრიდან საგანგებო ღონისძიებების გატარების აუცილებლობა აღიარებულია ლიმბურგის პრინციპებშიც.²⁴⁴

განათლების მიღების კუთხით, ეთნიკური ბოშები მრავალ პრობლემას აწყდებიან. წერა – კითხვის უცოდინართა რაოდენობა უმცირესობათა ამ ჯგუფში დიდია და მათი რიცხვი კიდევ უფრო იზრდება. ისინი არ დადიან სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებებში, არ იღებენ საშუალო და უმაღლეს განათლებას. ბოშათა უმრავლესობა თავს ვაჭრობით, მათხოვრობით ან მკითხაობით ირჩენს. საგანმანათლებლო პროგრამებზე ინფორმაცია თითქმის არ გააჩნიათ. ამასთან, ბოშების ერთ–ერთ დასახლებაში, რომელიც

²⁴¹ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენცია, მე-5 მუხლი.

²⁴² სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი; ეკონომიკურ, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი; ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია;

²⁴³ იხ. გაეროს უმცირესობათ მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთისა და დაცვის ქვეკომისიის მომხსენებლის, დ. ტურკუს მოხსენებები „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზაციის შესახებ“, UN docs. E/CN.4/Sub.2/1989/19; E/CN.4/Sub.2/1990/19; E/CN.4/Sub.2/1992/16.

²⁴⁴ ლიმბურგის პრინციპები ეკონომიკურ, სოციალური და კულტურული უფლებათა საერთაშორისო პაქტის შესახებ, 1989 წლის 6 ივნისი, UN doc. E/CN.4/1987/17, Annex, 35-41.

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში მდებარეობს, მათხოვრობით უმეტესად ბავშვები არიან დაკავებული.²⁴⁵

უმეტეს შემთხვევებში აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ მშობლებს არ ესმით განათლების მიღების აუცილებლობა და ურჩევნიან მათი ბავშვები მატერიალური შემოსავლის მიღების მიზნით ვაჭრობდნენ ან მათხოვრობდნენ. ხშირად მიზეზი ბოშების ურთულესი სოციალური პირობებია. განათლების მიღების სურვილის შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არარსებობა, წიგნების უქონლობა და სოციალური პირობები მნიშვნელოვანი ხელშეშლელი ფაქტორია.

ბოშათა მიერ განათლების მიღების მხრივ მნიშვნელოვანია უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის როლი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკიდან 17 ბავშვს დაეხმარა ქ.დედოფლისწყაროს საჯარო სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით, ხოლო ქ.ქობულეთში კი – 30 ეთნიკურ ბოშას.²⁴⁶ აქვე აღსანიშნავია, რომ განათლებაზე ხელმისაწვდომობისთვის სოფელ ლენინოვკაში მცხოვრები ეთნიკურად ბოშა ბავშვებისთვის სკოლაში მისასვლელად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტობუსის ხაზი დაინიშნა.

მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, ეთნიკური ბოშების სკოლაში დასწრებისა და მოსწრების დონე ძალიან დაბალია. მშობლების არასწორი არჩევანი, ბავშვების მიერ დაბადების მოწმობების უქონლობა, მათხოვრობა და ადრეულ ასაკში ქორწინება მნიშვნელოვნად აბრკოლებს ბოშების მიერ განათლების მიღებას. ამასთან, ბოშა მშობელთა რაოდენობა, რომელთაც სურს რომ მათმა შვილებმა განათლება მიიღონ, ძალიან მცირეა.

ეთნიკურად ბოშები წინააღმდეგობას ხვდებიან არა მხოლოდ განათლების სფეროში, არამედ დასაქმების კუთხითაც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2002 წლის მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები 472 ბოშიდან 125 არის დასაქმებული.

მიუხედავად იმისა, რომ ბოშები ცდილობენ იყვნენ ეკონომიკურად აქტიურები, მათი დასაქმების მაჩვენებელი დაბალია. ბოშათა უმეტესობა ურბანულ დასახლებებში თავს ვაჭრობითა და მათხოვრობით ირჩენს, ხოლო სოფლად – სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით. შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის არქონის გამო, ისინი არ არიან დასაქმებულები არც საჯარო და არც კერძო სექტორში. ეს გარემოება კი ბოშების საზოგადოებისგან გარიყვის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს და მათ მოწყვლადობას განაპირობებს.

²⁴⁵ „ბოშათა და მოლდაველთა ეთნიკური ჯგუფები საქართველოში ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის პრობლემები“, გიორგი სორდია, საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წლის 15 სექტემბერი, გვ 9–10

²⁴⁶ Ibid გვ 15

3. რეგისტრაცია

ეთნიკურად ბოშების მნიშვნელოვანი პრობლემა დაბადების მოწმობებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების უქონლობაა.

აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი ბოშა ქალების სახლში მშობიარობაა. ამასთან, ბოშები არ არიან ინფორმირებული რეგისტრაციის საჭიროებასა და იმ პროცედურებზე, რომლებიც აუცილებელია მათი არსებობის იურიდიული დაფიქსირებისათვის.

ამის გამო ბოშების გრძელვადიან მიზნობრივ სამედიცინო პროგრამებში ჩართვა შეუძლებელია, ისინი ვერ იღებენ სახელმწიფო პენსიას, კანონით დადგენილ დახმარებებს და სოციალურად დაუცველები არიან. სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ბარიერების გარდა, დოკუმენტების უქონლობა მნიშვნელოვნად აბრკოლებს მათ სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობასაც.

დოკუმენტებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად გარკვეული ნაბიჯები სახელმწიფოს მხრიდან უკვე გადაიდგა. დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში, ქ.თბილისის სამგორის რაიონსა და ქ.ქობულეთში მცხოვრებ ეთნიკურ ბოშათა წარმომადგენლების უმრავლესობას აქვს მათი იდენტიფიკაციისთვის აუცილებელი დოკუმენტები, თუმცა დანარჩენ ჩასახლებებში (გარდაბნის რაიონის სოფელი გაჩიანი, ქ. თელავი, ქ. ქუთაისის ავანგარდის უბანი და ქ. ბათუმი) ბოშებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები ან არ გააჩნიათ, ან მათ მხოლოდ მცირედი ნაწილი ფლობს.²⁴⁷

აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის აუცილებელია ბოშათა ინფორმირებულობისა და სახელმწიფო შესაბამისი სტრუქტურების ინტერესის გაზრდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

4. სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივობები

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ეთნიკური ბოშების სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობაა. ისინი არ ფლობენ თავიანთი უფლებების შესახებ ინფორმაციას. ამასთან, ორგანიზაციები, რომლებიც ბოშათა პრობლემებზე მუშაობენ საქართველოში ნაკლებად არიან წარმოდგენილნი.

აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანი იყო უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის როლი. აღნიშნული ცენტრის დახმარებით 2009–2010 წლებში დაარსდა ორი

²⁴⁷ „ბოშათა და მოლდაველთა ეთნიკური ჯგუფები საქართველოში – ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის პრობლემები“, გიორგი სორდია, საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წლის 15 სექტემბერი, გვ 16

ბოშური არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლიდანაც ერთი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში, ხოლო მეორე – ქ.ქობულეთში.²⁴⁸ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ ის პირები, რომლებიც თავიანთ თემში ლიდერის სტატუსით სარგებლობენ.²⁴⁹ ისინი ასევე ეწევიან საგანმანათლებლო საქმიანობას.²⁵⁰

მაგალითად, სოფელ ლენინოვკაში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია „რომას“ მიზნებია ბოშათა უფლებების დაცვა, ბოშების განათლება, საზოგადოებაში ინტეგრაცია და ბოშების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.²⁵¹

პრობლემურია ბოშების არჩევნებში მონაწილეობაც. განათლებისა და ინფორმაციის უქონლობა, ამასთან, ენობრივი ბარიერი და დოკუმენტაციის არარსებობა ხშირად ბოშებს არ აძლევს რიგ შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობის, ხოლო რიგ შემთხვევაში თავისუფალი არჩევის გაკეთების საშუალებას. საარჩევნო პროცესების დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც ეთნიკურად ბოშებს მიუთითებენ, თუ ვის უნდა მისცენ ხმა.²⁵²

5. საზოგადოება და არსებული სტერეოტიპები

ეთნიკურად ბოშები დანარჩენი საზოგადოებისგან იზოლირებულად ცხოვრობენ. ეს განპირობებულია არა მარტო მათი ცხოვრების წესით, არამედ მათ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებით.

დღევანდელ საზოგადოებაში კვლავ არსებობს გავრცელებული სტერეოტიპები ბოშების მიმართ. ისინი ბოშებს „ციგნებად“ მოიხსენიებენ. გარდა ამისა, საზოგადოებაში გავრცელებული აზრით, ბოშათა უმრავლესობის ძირითად საქმიანობად მათხოვრობა მიიჩნევა, რაც მათ მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას კიდევ უფრო აღრმავებს.

თუმცა, ხშირ შემთხვევებში ბოშები არ მათხოვრობენ და ვაჭრობენ, მკითხაობენ და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მისდევენ.²⁵³

²⁴⁸ Ibid გვ 17

²⁴⁹ Ibid გვ 17– 18

²⁵⁰ Ibid გვ 18

²⁵¹ კახეთის საინფორმაციო ცენტრი, <http://ick.ge/ka/rubrics/main-news/62-bnews/790-2010-03-31-08-02-34.html>, 2011 წლის 17 იანვარს.

²⁵² ჟურნალი ლიბერალი, 13 ივლისი 2010,

²⁵³ „ბოშათა და მოლდაველთა ეთნიკური ჯგუფები საქართველოში – ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის პრობლემები“, გიორგი სორდია, საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წლის 15 სექტემბერი, გვ 18

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრისას დედოფლიწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია „რომას“ ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად ქ.დედოფლისწყაროს სკოლაში ახლად ჩარიცხულ ბოშა ბავშვებს დანარჩენი მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან ქსენოფობიურ ნიადაგზე პრობლემები ექმნებოდათ. კერძოდ, სკოლაში ბოშებს „ციგნებად“ მოიხსენიებდნენ და მათ მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ეთნიკურად ბოშა ბავშვების სკოლაში ჩარიცხვამ მათი დანარჩენ მოსწავლეებთან ინტეგრირება, ასევე ბოშა მშობლების დანარჩენ მშობლებთან ურთიერთობის გაღრმავება გამოიწვია.

შესაბამისად, ეთნიკურ ბოშათა ინტეგრაციისთვის საზოგადოებაში აუცილებელია როგორც ბოშათა სასწავლო დაწესებულებებში დასწრების მაქსიმალურად ხელშეწყობა, ასევე ბოშათა წეს-ჩვეულებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა. ეს ყოველივე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს როგორც ბოშათა მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების აღმოფხვრაზე, ასევე მათ სურვილზე, უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საქართველოს სამოქალაქო ცხოვრებაში.

რეკომენდაციები:

სახელმწიფო ორგანოებმა განახორციელონ ბოშათა პირადობისა და დაბადების მოწმობებით უზრუნველყოფის პროგრამები;

სახელმწიფოს მხრიდან გატარდეს ყველა სათანადო ღონისძიება, რათა ეთნიკურად ბოშა მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სათანადო ხარისხის განათლება;

სახელმწიფო უწყებებმა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით განსახორციელებელ პროგრამებში გაითვალისწინონ ბოშათა თემის საჭიროებები და ასახონ თავიანთ სამოქმედო გეგმებში;

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდეს საგანმანათლებლო ღონისძიებები ბოშათა თემისა და მათი კულტურის შესახებ;

ბოშათა მიერ კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა.

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს საქმიანობა

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმიანობაში აქტიური

მონაწილეობის წინაპირობების შექმნას ენიჭება. გარდა მონაწილეობის ისეთი ფორმებისა, როგორიცაა საარჩევნო მონაწილეობა (პასიური ან აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზაცია) და სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმება, გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულობისათვის მნიშვნელოვანია ასევე უფრო ფართო საკონსულტაციო და სამონიტორინგო მონაწილეობის უზრუნველყოფა, რასაც საფუძველი ჩაეყარა 2009 წელს, პრეზიდენტთან არსებულ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოსა და სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნული უმცირესობების საბჭოს შორის მემორანდუმის ხელმოწერით.. საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლის 8 მაისს დამტკიცებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით კი სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნული უმცირესობების საბჭომ 2010 წელს თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა იუსტიციის სამინისტროსთან (29 იანვარს), შინაგან საქმეთა სამინისტროსთან (4 თებერვალს), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან (15 მარტს) და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან (30 აპრილს). მემორანდუმების თანახმად, სამინისტროების უფლებამოსილი პირები რეგულარულად ხვდებიან საბჭოს წევრებს; აწვდიან ინფორმაციას შესაბამისი სამინისტროების მიერ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა და, ზოგადად, ეროვნულ უმცირესობების მიმართ სამინისტროების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი პროგრამების შესახებ.

მემორანდუმების ხელმოწერის შემდეგ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და ზემოაღნიშნულ სამინისტროების ხელმძღვანელ პირებს შორის სამუშაო შეხვედრები გაიმართა. აღნიშნული შეხვედრებისას საბჭოს წარმომადგენლებმა უმცირესობებთან დაკავშირებით განხორციელებული და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ მიიღეს ინფორმაცია. უმცირესობების მხრიდან დაისვა და სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს არაერთი კონკრეტული პრობლემა. საანგარიშო პერიოდში უმცირესობათა საბჭო შეხვდა, ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს, პარლამენტის ვიცესპიკერს, საკონსტიტუციო კომისიის წევრებსა და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭო სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფო უწყებების დიალოგისა და თანამშრომლობის კუთხით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გამოცდილების მქონე გაერთიანებად ჩამოყალიბდა. ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო უწყებები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან საბჭოს საქმიანობას და ცდილობენ გაითვალისწინონ მისი რეკომენდაციები.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი

2010 წელს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს მიერ ჩატარდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, რომელიც საქართველოს გაეროს ასოციაციის (ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში), უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა.

მონიტორინგი მოიცავდა თბილისს, ქვემო ქართლს, კახეთსა და სამცხე ჯავახეთს. საბჭოს ექსპერტებმა უმცირესობათა თემების ლიდერებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პედაგოგებთან, სახელმწიფო უწყებების, თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, მედიასთან და სხვა ჯგუფებთან გამართეს 66 შეხვედრა, რომელთა ფარგლებშიც გამოიკითხა დაახლოებით 300 ადამიანი.

მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში ეროვნული უმცირესობების მოსაზრებების, მათ წინაშე არსებული პრობლემების სრულყოფილად ასახვის მიზნით საბჭომ შეიმუშავა კონკრეტული რეკომენდაციები შემდეგი მიმართულებებით: 1. განათლება და სახელმწიფო ენა (ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის საშუალო განათლების მიღების ხელშეწყობა; ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება). 2. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია (ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა). 3. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. 4. მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა). 5. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ რეკომენდაციების ნაწილის გათვალისწინება შესაძლებელი გახდა 2010 წლის განმავლობაში. კერძოდ, უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის პედაგოგების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა; არაქართულენოვან სკოლებში ორენოვანი პედაგოგების შესარჩევად ჩატარდა მედიაკამპანია; უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების საჯარო სკოლებში გაიზარდა ქართული ენის სწავლების საათები; დაიწყო მირზა ფათალი-ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმისა და თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაცია.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის მესამე მოხსენება საქართველოს შესახებ

2010 წლის 15 ივნისს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ (ECRI) გამოაქვეყნა რიგით მესამე მოხსენება, რომელშიც განხილულია რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა; საკანონმდებლო საკითხები; განათლების სფეროში არსებული სირთულეები; ბოშებთან დაკავშირებული პრობლემები; ლტოლვილებისა და დევნილების თემატიკა; შრომითი მიგრანტების საკითხი; ნეგატიური სტერეოტიპებისა და ქსენოფობიური რიტორიკის ადგილი პოლიტიკაში, საზოგადოებრივ განხილვებსა და მედიაში. გამოქვეყნებული ანგარიში ასახავს 2009 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით არსებულ სიტუაციას. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს შესახებ მეორე ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ (2007 წლის 13 თებერვალი) მთელ რიგ სფეროებში მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა. ECRI-ს მიერ დადებითად არის შეფასებული 2009 წლის 8 მაისს ამოქმედებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა.

ამ მიმართულებით საგანგებოდაა ხაზგასმული სახალხო დამცველის მუშაობა, რომელიც, ანგარიშის თანახმად, „კვლავ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საქართველოში უმცირესობათა, განსაკუთრებით კი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის საქმეში, რაშიც ეხმარება მის სამსახურთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, აგრეთვე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საბჭოები.“²⁵⁴ ასევე პოზიტიურადაა შეფასებული ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახალხო დამცველის ოფისების ამოქმედება. ECRI რეკომენდაციას აძლევს საქართველოს ხელისუფლებას, „განსაკუთრებით ყურადღებით მოეკიდოს სახალხო დამცველის კონსულტაციებს, ისევე, როგორც მისი ეგიდით მომუშავე ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს კონსულტაციებს, სრულად ითანამშრომლოს მასთან და გაითვალისწინოს მისი რეკომენდაციები.“²⁵⁵

²⁵⁴ <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-IV-2010-017-GEO.pdf>

²⁵⁵

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები

საკუთრების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“. აღნიშნული პუნქტი, ერთი მხრივ, აღიარებს საკუთრების უფლებას, რაც გულისხმობს პირის თავისუფლებას, საკუთრების უფლების რეალიზაციისას იყოს დაცული სახელმწიფოს ჩარევისაგან და, მეორე მხრივ, აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს საკუთრების უფლების დაცვა. ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით განმტკიცებულია ყოველი ფიზიკური თუ იურიდიული პირის უფლება, შეუფერხებლად ისარგებლოს თავისი საკუთრებით. ევროპული კონვენციის თანახმად, საკუთრების ჩამორთმევა მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებშია შესაძლებელი.

ზემოაღნიშნულ თავში შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ ყველა იმ პრობლემურ საკითხზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდში საკუთრების კუთხით გამოიკვეთა. შეფასდება, რამდენადაა სახელმწიფოს მიერ დაცული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი აქტებით გაწერილი გარანტიები.

1. საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა

საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველს მიმართავდნენ მოქალაქეები საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. განცხადებების შესწავლის შედეგად, რიგ შემთხვევაში, დადგინდა, რომ არსებობდა საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთით სარგებლობის ხელშეშლის ფაქტები. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა ფაქტები, როდესაც პირთა კერძო საკუთრება თვითნებურად დაკავებული ჰქონდათ იძულებით გადაადგილებული პირებს – დევნილებს, რის გამოც, მესაკუთრეებს საკუთრებით სარგებლობაში ხელი ეშლებოდათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ორ სამართლებრივ გზას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელშემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით“.

ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს: „თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით“.

პირველ შემთხვევაში საკუთრების გამოთავისუფლება სამართალდამცავთა ვალდებულებაა. საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებებს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები ახორციელებენ 2007 წლის 24 მაისის „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747 ბრძანებით.

აღნიშნული ბრძანება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, მათი სტატუსიდან და განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სპეციალური დაცვის გარანტიებს ადგენს. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წერილობით მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან კერძო საკუთრებაში უკანონოდ შესულ იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოსახლების მიზანშეწონილობის შესახებ²⁵⁶. სამინისტროდან პასუხის მიღებამდე გამოსახლების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ჩერდება.

პრაქტიკაში პრობლემაა ის ფაქტი, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრებიდან გამოყვანის შესახებ დროულად არ თანხმდებიან შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. რიგ შემთხვევებში პროცესი გრძელდება წლების განმავლობაში, რის შედეგადაც მესაკუთრეებს ხელი ეშლებათ საკუთრებით სარგებლობაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საუბარი გაქვს იმ შემთხვევებზე, როდესაც დევნილს არამართლზომიერად უკავია სხვის საკუთრებაში არსებული ფართი.

ამკარაა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში გვაქვს ორი ინტერესი, დაცული იყოს კანონიერი მესაკუთრის უფლებები და ამავდროულად, იძულებით გადაადგილებულ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ადეკვატური, დროული დახმარება მიიღონ სახელმწიფოსგან თავშესაფრით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

²⁵⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების უფროსის 2009 წლის 01 დეკემბრის წერილი №27/13/3-42-5744

იმისათვის, რომ შევაფასოთ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს, რომ პირთა ორივე წრის უფლებები იყოს დაცული, აუცილებელია გავაანალიზოთ კანონმდებლობაში არსებული დაცვის გარანტიები და მოთხოვნები.

ექვგარეშეა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები სპეციალური დაცვის ობიექტები უნდა იყვნენ. სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი და პირველადი ვალდებულება მათი თავშესაფრით უზრუნველყოფაა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #747-ე ბრძანებაში არსებული დაცვის მექანიზმების მიზანს სწორედ იძულებით გადაადგილებული პირების თავშესაფრის გარეშე დარჩენის თავიდან აცილება წარმოადგენს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დაუშვებელია იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვით კანონიერ მესაკუთრეთა უფლების დარღვევა. მას შემდეგ რაც სამართალდამცავი ორგანოები ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განსაზღვრული წერილობითი შეტყობინებით მიმართავენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, როდესაც კანონიერი მესაკუთრის მიერ სამართალდამცავ ორგანოებში წარდგენილია საკუთრების მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) და ამავდროულად ესა თუ ის დევნილი არ არის კანონით დადგენილი წესით მიწერილი სადავო მისამართზე, (იგულისხმება იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის სამისამართო გრაფაში არსებული ჩანაწერი) სამინისტრომ უნდა გაატაროს ყველა სათანადო ღონისძიება, რათა საჭიროების შემთხვევაში იძულებით გადაადგილებული პირი დააკმაყოფილოს სათანადო ალტერნატიული ფართით, რაც საშუალებას მოგვცემს დაცული იყოს იქნას კანონიერ მესაკუთრეთა ინტერესებიც.

კიდევ უფრო მეტად საგანგაშოა ის შემთხვევები, როდესაც არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალში შესული გადაწყვეტილება მესაკუთრეთა სასარგებლოდ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვისა და ბინიდან გამოსახლების შესახებ სასამართლოსადმი მიმართვა საკუთრების ხელყოფის აღკვეთის მეორე სამართლებრივი გზაა. მსგავს შემთხვევებში საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის მოქმედება არ ვრცელდება.²⁵⁷

საქართველოს სახალხო დამცველის ხელთ არსებული განცხადებების ნაწილი სწორედ მსგავს შემთხვევებს ეხება. კერძოდ, უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვისა და ბინიდან იძულებით გადაადგილებული პირების გამოსახლების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ამ გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე წარმოიშობა პრობლემა.

იმის გამო, რომ სააღსრულებო ფურცელში მითითებულ მოვალე მხარეს იძულებით გადაადგილებული პირები წარმოადგენენ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

²⁵⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამკიცხების შესახებ“ №747 ბრძანება, მუხლი 1, პუნქტი 3.

აღსრულების ეროვნული ბიურო ატყობინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა დაგეგმილი გამოსახლების შესახებ²⁵⁸ და მიმართავს გამოსახლებამდე იძულებით გადაადგილებული პირების ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილების თაობაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო დიდ დროს ანდომებს კერძო საკუთრებაში მყოფი იძულებით გადაადგილებული პირების ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილებას, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ, როგორც წესი, მსგავს ღონისძიებებს სამინისტრო არ ატარებს. სააღსრულებო ბიურო ხშირ შემთხვევაში სამინისტროსგან იღებს სტანდარტულ წერილობით პასუხს, რომელშიც განმარტებულია სახელმწიფოში დევნილთა მიმართ არსებული ზოგადი სახელმწიფო სტრატეგიით/სამოქმედო გეგმით გაწერილი პროცედურები და ვადები. კერძოდ, წერილში, როგორც წესი, მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის #403 განკარგულებით დამტკიცებულია „იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა მიმართ 2009–2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა საცხოვრებელი ფართებით გრძელვადიან უზრუნველყოფას, დამტკიცებული სამოქმედო გეგმის ეტაპების შესაბამისად.

აღნიშნულის გამო ვერ ხერხდება ან დროში იწელება გამოსახლების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. ეს კი არღვევს როგორც სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტური და სწრაფი აღსრულების პრინციპს, ისე მესაკუთრის კანონიერ ინტერესს, ისარგებლოს საკუთრებით.

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, სამინისტროს ორგვარი მიდგომაა. ყველასთვის ცნობილია 2010 წლის აგვისტოს თვეში და მოგვიანებით, 2011 წლის იანვრის თვეში განხორციელებული დევნილთა განსახლება/გამოსახლების პროცესი. აღნიშნული პროცესის ფარგლებში განხორციელდა დევნილთა გამოყვანა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობებიდან. ცალკე თემაა აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი ანგარიშის თავში – იძულებით გადაადგილებული პირების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. მეორე მხრივ, გაუგებარია, რატომ არ ზრუნავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ალტერნატიული ფართის მოძიებაზე იმ დევნილთათვის, რომელთაც კერძო მესაკუთრეთა ფართი კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფით აქვთ დაკავებული, მით უფრო, რომ რიგ შემთხვევაში აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებებით არის დადასტურებული.

²⁵⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს რეგიონული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2010 წლის 07 ივისის №20/03–1096 წერილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სამინისტრომ უნდა გაატაროს ეფექტური ღონისძიებები ამ დევნილთა ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილების მიზნით, რათა დაცული იყოს შენობათა/ ფართების კანონიერ მესაკუთრეთა ინტერესები.

2. გაჭიანურებული გამოძიებები და საკუთრების უფლების ხელყოფის შედეგები

სახალხო დამცველი თავის არაერთ მოხსენებაში შეეხო დანაშაულთა გამოძიების გაჭიანურების საკითხს. 2010 წლის საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების სიმრავლე ადასტურებს, რომ ეს საკითხი კვლავაც პრობლემატურია. სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებისა და ამ სფეროში არსებული სიტუაციის მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე საგამოძიებო ორგანოების მიერ გამოძიება რიგ შემთხვევაში საგრძნობლად ჭიანურდება და არ ხდება პირთა პასუხისმგებლობის მიცემა. სახალხო დამცველი თავის მოხსენებებში მუდმივად ეხება საქმეებს, რომლებზეც გამოძიება უკვე წლებია მიმდინარეობს, პასუხისმგებელ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა კი არ ხდება. ამასთან აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების გაჭიანურება იწვევს სხვა უფლებების არალეგიტიმურ შეზღუდვას და მათ დარღვევასაც კი. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საკუთრების უფლების შეზღუდვის შემთხვევები. განმცხადებელთა ხშირი მომართვების შემდეგ სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილია საქმეთა გარკვეული რაოდენობა, რომლებშიც საგამოძიებო ორგანოების მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების გაჭიანურება პირდაპირ უკავშირდებოდა საკუთრების უფლების არამართლზომიერ შეზღუდვას ან დარღვევასაც კი. ყველა ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე ტენდენცია შეინიშნებოდა – გამოძიების შედეგად იყო შეზღუდული საკუთრების უფლების გარკვეული კომპონენტები და გაჭიანურებული სამართალწარმოებისას ჯეროვანი დასაბუთების²⁵⁹ გარეშე იზღუდებოდა პირთა უფლებები.

2010 წლის 01 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი. აღნიშნული კანონის 103-ე მუხლის თანახმად: „გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.“ მსგავს რეგულირებას შეიცავდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1998 წლის რედაქცია.

გამოძიების ვადისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსხვავებულად არეგულირებს დაზარალებულის სტატუსს. დღეს მოქმედი საპროცესო

²⁵⁹ იქიდან გამომდინარე, რომ გამოძიების მიმდინარეობისას არ ხდება პირის (არა იმ პირთა მიმართ, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა) უფლებების შეზღუდვის კანონიერების გადამოწმება.

კოდექსი დაზარალებულს, როგორც მხარეს აღარ აღიარებს და მას განიხილავს მოწმის რანგში. მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული ძირითადი უფლებების პროცედურული ასპექტებიდან გამომდინარეა გარანტირებული დაზარალებულის (დანაშაულებრივი ხელყოფის მსხვერპლის) სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობა და ამ მიმართულებით გამოძიების – როგორც პროცესის – ეფექტურად, შემჭიდროებულ ვადებში წარმართვის აუცილებლობა.²⁶⁰ სხვა დანარჩენ შემთხვევაში გამოძიების წარმართვის ვადა არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლით განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადებით შემოფარგლული.²⁶¹

ფაქტობრივად, გამოძიება შეიძლება გახდეს ადამიანის რიგი უფლებების შეზღუდვის საფუძველი, რომლებიც არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ბრალდებულთან. ხშირ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სახით ამოიღებენ კონკრეტულ საგანს, ედება ყადაღა, რაც არცთუ იშვიათად იწვევს საკუთრების უფლების შეზღუდვას, ვინაიდან შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ჩხრეკის²⁶² შედეგად ამოღებული საგანი²⁶³ სისხლის სამართლის საქმეზე ინახება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტამდე.²⁶⁴

ასევე, როდესაც გამოძიების მიმდინარეობის პროცესში კონკრეტულ ქონებას ედება ყადაღა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის შესაბამისად იზღუდება პირის საკუთრების უფლების რამდენიმე კომპონენტი – საკუთრების გასხვისება და სარგებლობა.²⁶⁵ აღნიშნული შეზღუდვა მოქმედებს განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე ან სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე.²⁶⁶

როგორც ჩხრეკა, ისე ყადაღა და სხვა ღონისძიებები/მოქმედებები დაკავშირებულია გამოძიების ვადასთან. ამ უკანასკნელის გაჭიანურების შემთხვევაში საკუთრების უფლება იზღუდება რამდენიმე წლის განმავლობაშიც კი. აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ მესაკუთრეს/მფლობელს არ ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ საკუთრებით ისარგებლოს გარკვეულ შემთხვევაში, ასევე, გაასხვისოს ნივთი. ამ შეზღუდვის შედეგად ხშირად ასევე შეუძლებელი ხდება საკუთრების სარგებლობიდან გარკვეული

²⁶⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3, მე-4 მუხლების მიხედვით დადგენილია ამგვარი გარანტიები. *inter alia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 იანვრის განჩინება საქმეზე *Mikheev v. Russia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 7 იანვრის განჩინება საქმეზე *Rantsev v. Cyprus and Russia*.

²⁶¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 103-ე მუხლი.

²⁶² ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის #2/6/264 გადაწყვეტილება, II-3.

²⁶³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის და მე-3 მუხლის 25-ე ნაწილის მიხედვით ჩხრეკის და ამოღების საგანი *per se* წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას

²⁶⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლი.

²⁶⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლი.

²⁶⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 158-ე მუხლი.

შემოსავლის მიღება, რამაც უფლებების საკმაოდ არსებითი შეზღუდვა შეიძლება გამოიწვიოს, საგნის ინდივიდუალური მახასიათებლიდან გამომდინარე. საქართველოს კანონმდებლობა ამ მიმართულებით არ ადგენს არანაირ გარანტიას და იმ პირს, რომლის საკუთრების უფლებაც შეიზღუდა, არათუ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს – შესაბამისი მოქმედების კანონიერების გადამოწმების მიზნით, არამედ ზოგადი საჩივრის წარდგენაც არ შეუძლია, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ პროცესის მხარეებს აქვთ აღნიშნული უფლებამოსილება.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში შეისწავლეს მოქალაქე ზ.მ.-სა და თ.მ.-ს საჩქმეები. საჩქმეთა შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ორივე შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობა ზღუდავდა საკუთრების უფლებას. პირველ შემთხვევაში განმცხადებელს საკუთრება გადაცემული ჰქონდა იჯარით ერთ-ერთი საწარმოსთვის. ამ უკანასკნელის შესაბამის უფლებამოსილ პირთა ქმედებებთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება და ზ.მ.-ს საკუთრება რამდენიმე წლის განმავლობაში იყო დალუქული. ამ პერიოდში განმცხადებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, განეკარგა თავისი საკუთრება და შესაბამისად, მიეღო შემოსავალი. მეორე საჩქმეში განმცხადებელმა საკუთრება შეიძინა საჯარო რეესტრში შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებით. გამოძიების მიზნით საგამოძიებო ორგანომ ამოიღო გარკვეული მასალები საჯარო რეესტრიდან, მათ შორის განმცხადებლის საკუთრებაში არსებულ ნივთთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. იმის გამო, რომ გამოძიება გრძელდებოდა ორი წელი და შესაბამისი დოკუმენტაცია არ ბრუნდებოდა საჯარო რეესტრში, განმცხადებელი ვერ ახერხებდა საკუთარი ქონების განკარგვას.

სახალხო დამცველმა საჩქმეთა შესწავლის შედეგად გამოარკვია, რომ ორივე შემთხვევაში საკუთრების უფლება იზღუდებოდა და რეკომენდაციით მიმართა შესაბამის უწყებებს, რათა მომხდარიყო იმის შესწავლა, თუ რამდენად პროპორციული იყო საგამოძიებო ორგანოების მიერ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით განმცხადებელთა საკუთრების უფლების შეზღუდვა. აღსანიშნავია, რომ ზ.მ.-ს შემთხვევაში სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინეს და საგამოძიებო ორგანომ მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე ლუქი მოხსნა.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით საკუთრების უფლება გარანტირებულია. იგივე უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით. ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია აუცილებელი საჭიროებისას, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერაა განმარტებული:

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ შინაარსს კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებელი განსაზღვრავს. მოქმედება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ არ ნიშნავს, რომ ის არის მიმართული საზოგადოებისათვის გარკვეული და გარდაუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. კანონმდებელი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეიძლება მოქმედებდეს, როდესაც მას ამომრავებს

საზოგადოებისათვის ან მისი ნაწილისათვის დადებითი შედეგების მომტანი მიზნები. ამასთანავე, არ არის აუცილებელი, რომ კანონმდებელმა კონკრეტულად მიუთითოს ნორმაში, თუ რა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ იღებს მას. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობა შეიძლება გაირკვეს ნორმის ანალიზის, მისი განმარტების შედეგად.“²⁶⁷

საზოგადოებისთვის სასარგებლო ერთ–ერთი მიზანი არის ასევე მართლმსაჯულების²⁶⁸ – სისხლის სამართლის პროცესის განხორციელება.

ნებისმიერ შემთხვევაში მტკიცებულება, როგორც საკუთრების უფლების საგანი, შეიძლება გადაეცეს პროცესის მწარმოებელ ორგანოს. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ საკუთრების უფლება იზღუდება საერთო სასარგებლო მიზნის – მართლმსაჯულების განსახორციელებლად.²⁶⁹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მეორე პარაგრაფში აღნიშნული „საერთო ინტერესების“²⁷⁰ მიზნით შეზღუდვა სახელმწიფოებს აძლევს შეფასების ფართო საზღვრებს და მასში დანაშაულებრიობის წინააღმდეგ ბრძოლაც მოიაზრება.²⁷¹ შესაბამისად, ამ დროს საკუთრების უფლების შეზღუდვა გამართლებულია. მაგრამ რეალურად უფლების შეზღუდვის კანონიერების აუცილებელი გარანტიაა ეფექტური კონტრსაშუალების არსებობა, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა უფლების დაცვა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–13 მუხლის აუცილებელი მოთხოვნაა ის, რომ არსებობდეს უფლების დაცვის ადეკვატური ეროვნული საშუალება, ანუ ნებისმიერი უფლების დაცვის მექანიზმი სავალდებულოა უფლების არსებობისთვის.

მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ მან გადაამოწმოს თავისი საკუთრების უფლების შეზღუდვის – საზოგადოების სასარგებლო მიზნის – კანონიერება გარკვეული პერიოდულობით მაინც. ამგვარი საშუალების გარეშე მესაკუთრე რჩება დაუცველი და მისი უფლების შეზღუდვამ შეიძლება მიიღოს პერმანენტული ხასიათი, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადების ფარგლებში შესაძლებელია პირის უფლების შეზღუდვა

²⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის N2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II-15.

²⁶⁸ *mutatis mutandis*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II-19.

²⁶⁹ *mutatis mutandis*, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1981 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება (განაცხადი #8819/79) საქმეზე *X and Y v. Federal Republic of Germany*. კომისიამ განაცხადა, რომ პირის მოწმედ გამოძახება და რამდენიმე საათი მისი დაკითხვა არ წარმოადგენდა მისი პირადი უსაფრთხოების და თავისუფლების უფლების შელახვას, რადგან საზოგადოებისთვის სასარგებლო მიზნით ხორციელდებოდა.

²⁷⁰ ამ ცნების განმარტება იხილეთ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 19 ივნისის განჩინება საქმეზე *Hutten-Czapska v. Poland*, § 164–169.

²⁷¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Handyside v. United Kingdom*, § 62; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Raimondo v. Italy* § 29.

საკმაოდ დიდი პერიოდით. დღევანდელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამ მიმართულებით არ იძლევა არანაირ გარანტიებს, რის გამოც ირღვევა პირთა უფლებები მაშინ, როდესაც გამოძიების პროცესი ჭიანჭურდება. ამ უკანასკნელის წარმართვა სრულად არის სახელმწიფოს უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ როდესაც ამგვარი სამართალწარმოება ახდენს გავლენას პირთა უფლებრივ სფეროზე, მაშინ აუცილებელია როგორც შესაბამისი გარანტიების არსებობა, ისე დაცულ სფეროში მინიმალური ჩარევა. აუცილებელია კანონმდებლობით/სამართალწარმოების პრაქტიკით შესაბამისი გარანტიების დადგენა, რომლებითაც შესაბამისი თანაზომიერება უზრუნველყოფილი იქნება და კანონიერი, საზოგადო მიზნები იქნება ლეგიტიმურ ფარგლებში მიღწეული, ასევე, პირის ინდივიდუალური უფლებები გაუმართლებლად არ შეიზღუდება.

მართალია, სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილ ზ.მ.-ს საქმესთან დაკავშირებით შესაბამისმა უწყებამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, მაგრამ აღნიშნული პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ ერთჯერადი მიდგომის ფარგლებში გადაწყდა და არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა წარმოდგენილი საკითხის მოგვარების საკანონმდებლო ან სხვა ზოგადი ტიპის ღონისძიება. ამ მიზნით აუცილებელია კანონმდებლობით კონკრეტულ პირთათვის გასაჩივრების უფლების მინიჭება, რათა რეალურად გამოძიების საჭიროება და ინდივიდუალური ინტერესები დამოუკიდებელმა ორგანომ შეაფასოს და საკითხი გადაწყვიტოს. ამ ფონზე მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ საკუთრების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობაზე, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობასა და დაბალანსებაზე. სახელმწიფოს აქვს უფლება აუცილებელი საჭიროების სახელით მიიღოს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება და შეზღუდოს საკუთრების უფლება, თუმცა, ასეთ შემთხვევაში შეზღუდვა უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, პროპორციული და აუცილებელი.

3. სახელფასო დავალიანებები

2010 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველს ხშირად მიმართავდნენ პირები წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანებების გადაუხდელობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოცემულ ქვეთავში სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ სახელფასო დავალიანებების გასტუმრების პრობლემას განვიხილავთ.

პრობლემის გაანალიზების პროცესში აუცილებელია დავადგინოთ შრომის ანაზღაურების ბუნება და მისი ადგილი ადამიანის უფლებათა სისტემაში. საჭიროა, იმის იდენტიფიცირება, რა უფლებას უკავშირდება სახელფასო დავალიანების მოთხოვნის კანონიერი ინტერესი და როგორია მისი დაცვის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტი.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით საყოველთაოდაა დაცული საკუთრების უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მიზნებისათვის: „საკუთრებაში იგულისხმება როგორც არსებული საკუთრება, ასევე აქტივები, მათ შორის მოთხოვნა, რომლის ფარგლებშიც პირს შეუძლია იდავოს, რომ ჰქონდა თავისი საკუთრების უფლებით სარგებლობის კანონიერი მოლოდინი“²⁷².

მნიშვნელოვანია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიდგომა გამომუშავებით მისაღები სარგებლის სამართლებრივი დაცვის მექანიზმთან დაკავშირებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ „სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ გამომუშავებული შემოსავალი არის „საკუთრება“ პირველი პროტოკოლის პირველი მუხლის ფარგლებში“²⁷³.

რაც შეეხება შიდა სამართლებრივ სისტემას, ამ კუთხით საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, განსახილველი უფლების ფარგლებსა და მისი სამართლებრივი დაცვის სტანდარტთან დაკავშირებით. სასამართლომ განმარტა, რომ: „შრომითი საქმიანობით მიღებული (მისაღები) კონკრეტული შედეგი (უფლება მიუღებელ შემოსავალზე - საკუთრებაზე) საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით²⁷⁴ დაცული არ არის.. ...უფლება მიუღებელ შემოსავალზე - საკუთრებაზე განმტკიცებულია საკუთრების უფლებით. საკუთრების ცნება ავტონომიური შინაარსისაა და იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკურ საგნებზე საკუთრების უფლებით, ზოგიერთი სხვა უფლება და სარგებელი, რომელიც ქმნის ქონებას, ქონებრივი ხასიათის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ასევე ქონებრივი ღირებულებები, მათ შორის უფლება მოთხოვნაზე, რაც კანონიერი მოლოდინის საფუძველზე წარმოიშობა და პირის საკუთრების ეფექტურ გამოყენებას განაპირობებს, შესაძლოა განიხილებოდეს როგორც საკუთრება და უფლება საკუთრებაზე“²⁷⁵.

ამრიგად, შესრულებული სამუშაოსათვის მისაღები ანაზღაურება (ხელფასი) საერთაშორისო და ეროვნულ სამართალში დამკვიდრებული მოსაზრებით საკუთრების უფლების დაცვის სტანდარტით სარგებლობს.

აღნიშნული საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და გამოითხოვა ინფორმაცია სახელფასო დავალიანებებთან და მათი გასტუმრების სახელმწიფო მექანიზმთან დაკავშირებით. მოწოდებული ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები წინა წლებში წარმოქმნილ სახელფასო დავალიანებებს ფარავდნენ მათთვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში ახორციელებენ. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დავალიანება

²⁷² Case Of Cazacu v. Moldova §37. №40117/02, 2008 წლის 23 იანვარი.

²⁷³ Case Of Lelas v. Croatia §58. №55555/08, 2010 წლის 20 აგვისტო.

²⁷⁴ მოცემული მუხლით დაცულია პირის შრომითი უფლებები.

²⁷⁵ მოქალაქეები – ოთარ კვეტაძე და იზოლდა რჩეულიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. №1/5/489–498, 2010 წლის 20 ივლისი.

იფარებოდა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან²⁷⁶.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის განმავლობაში, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 13 067 531 ლარი გაიცა, რომლიდანაც, 9 510 817 ლარი იყო საბიუჯეტო ორგანიზაციების ასიგნებებიდან დაფარული დავალიანებები. დანარჩენი 3 556 713 ლარი სააღსრულებო ბიუროს მიერ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ჩამოჭრილი თანხა იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სახალხო დამცველს ხშირად მიმართავენ მოქალაქეები, რომელთა მიმართაც საბიუჯეტო ორგანიზაციებს დაუგროვდათ სახელფასო დავალიანებები. მიმართვის შემთხვევაში, მოქალაქეები საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან სახელფასო დავალიანებების გაცემაზე, როგორც წესი, უარს იღებენ. მიზეზად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებების არგამოყოფა სახელდება. აღნიშნული არგუმენტით მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციები წლების მანძილზე აჭიანურებენ ყოფილი თანამშრომლებისთვის კუთვნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას. მსგავსი მიდგომა არ შეიძლება მიიჩნეს ადეკვატურად, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებების არარსებობა არ ათავისუფლებს მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციას პასუხისმგებლობისგან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს სახალხო დამცველს სახელფასო დავალიანების გასტუმრების მოთხოვნით უმეტეს შემთხვევებში საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები მიმართავდნენ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი „პირველ რიგში, გულისხმობს საკუთრების უფლების ყველასათვის თანაბრად აღიარებასა და უზრუნველყოფას იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა სახით ვლინდება საკუთრების უფლება – ფიზიკურ ნივთებზე უშუალო საკუთრების უფლებით თუ მოთხოვნის უფლებაზე საკუთრებით“²⁷⁷. შესაბამისად, სახელმწიფომ ეფექტურად და სამართლიანად უნდა დააკმაყოფილოს სახელფასო დავალიანების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი.

მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ სახელფასო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში პირისათვის ერთადერთი ეფექტური გზა კანონიერი საკუთრების მისაღებად სასამართლოსათვის მიმართვაა. სახელფასო დავალიანებების გაცემის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შემთხვევაში

²⁷⁶ „2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით ფონდისთვის გამოყოფილმა ასიგნებებმა 20 მილიონი ლარი შეადგინა.

²⁷⁷ სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი თბილგაზოაპარატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. №1/14/184,228 2005 წლის 28 ივლისი.

მოქალაქეს (კრედიტორს) აქვს კანონიერი საკუთრების მიღების უფრო მაღალი გარანტია სააღსრულებო ღონისძიებების სახით, რაზეც ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიც მიუთითებს. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებითაც არსებობს პრობლემები, რომლებიც ვრცლად სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების თავშია განხილული²⁷⁸.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2010 წელს სააღსრულებო ბიუროს მიერ ჩამოჭრილი თანხების ყველაზე დიდი რაოდენობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (1 556 974 ლარი) შემდეგ, საქართველოს შინაგან საქმეთა (347 105 ლარი) და თავდაცვის სამინისტროზე (324 878 ლარი) მოდის. მაშინ, როდესაც დავალიანების დასაფარად გამოყოფილმა ასიგნებებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის 252 517 ლარი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 165 730 ლარი შეადგინა, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები საერთოდ არ გამოჰყოფია.

ამკარაა, რომ მოქალაქეებს, რომლებსაც არ მიუმართავთ სასამართლოსათვის დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით, სახელფასო დავალიანებების მიღების გაცილებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ. მიგვაჩნია, რომ მაშინ, როდესაც საბიუჯეტო ორგანიზაციები აღიარებენ სახელფასო დავალიანებების შესახებ, პირი კუთვნილი თანხის ასაღებად იძულებული არ უნდა ხდებოდეს, მიმართოს სასამართლოს. აუცილებელია საბიუჯეტო ორგანიზაციებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიაწოდონ ინფორმაცია მათ მიერ გასაცემი სახელფასო დავალიანებების ოდენობის შესახებ, რათა სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ასიგნება გამოიყოს და არსებული სახელფასო დავალიანებები ეტაპობრივად გაისტუმროს.

4. საკუთრების უფლების აღიარება

2010 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადება/საჩივრებით ხშირად მიმართავდნენ მოქალაქეები საჯარო დაწესებულებების – საკუთრების უფლების აღიარების კომისიების მიერ მათი მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. მოქალაქეები განცხადება/საჩივრებში ძირითადად მიუთითებდნენ საკუთრების უფლების აღიარების კომისიების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე მათი საკუთრების უფლების აღიარების საკითხის განხილვისას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე, რომლებმაც გამოიწვიეს მოქალაქეების კანონისმიერი უფლებების ხელყოფა. წინამდებარე თავში ასახულია საკუთრების უფლების აღიარების კომისიების ის

²⁷⁸ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება (მისათითებელია გვერდები).

კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებიც დააფიქსირა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა კონკრეტული მოქალაქეების განცხადებების განხილვისას.

2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით და 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით“ განხორციელდა რეგლამენტაცია იმ წესების, პირობებისა და პროცედურებისა, რომლებიც არეგულირებს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფოს საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების²⁷⁹ ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარებას.

ზემოაღნიშნული აქტებით ცალსახად განისაზღვრა თუ სახელმწიფოს საკუთრების რომელი სასოფლო ან/და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეიძლება დაექვემდებაროს²⁸⁰ ან არ დაექვემდებაროს²⁸¹ საკუთრების უფლების აღიარებას.

²⁷⁹ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2010 წლის 7 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად, აღნიშნული აქტს დაემატა 7⁴ მუხლი, რომლის თანახმად, 2012 წლის 1 იანვრიდან კერძო სამართლის იურიდიული პირი კარგავს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, ასევე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებას. აღნიშნული თარიღის შემდეგ საკუთრების უფლების მოპოვება კერძო სამართლის იურიდიული პირს შეეძლება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისათვის დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად.

²⁸⁰ 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან/და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგი მიწის ნაკვეთი: მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული და თვითნებურად დაკავებული.

²⁸¹ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცავს სრულ ჩამონათვალს მიწის ნაკვეთების იმ კატეგორიებისას, რომლებიც არ შეიძლება დაექვემდებაროს საკუთრების უფლების აღიარებას, ვინაიდან თავისი დანიშნულებით სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

ამასთანავე, მოცემული აქტებით განისაზღვრა ის სუბიექტები – ერთი მხრივ, დაინტერესებული პირები²⁸², რომელთაც უფლება მიეცათ მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფოს საკუთრების მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ წერილობითი მოთხოვნით მიმართონ შესაბამის ორგანოებს და, მეორე მხრივ, ის ორგანოები²⁸³, რომლებიც საკუთრების უფლების აღიარების პროცესში წარმოადგენს სახელმწიფოს და უფლებამოსილია, ზემოხსენებული სუბიექტების მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში აღიაროს დაინტერესებული პირების საკუთრების უფლება კონკრეტულ ობიექტებზე.

2008–2009 წლების საანგარიშო პერიოდებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხილული განცხადებები და შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები ძირითადად ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიების მიერ დაინტერესებულ პირთა განცხადებების განხილვის პროცესში კანონმდებლობით დადგენილი შემდეგი მოთხოვნების დარღვევას ეხებოდა: განცხადების განხილვის ვადები; დაინტერესებული პირის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება; დაინტერესებული მხარისათვის ზეპირი მოსმენით საკითხის განხილვისას დროისა და ადგილის შეტყობინება; მიღებული გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით გაცნობა/გამოქვეყნება და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2010 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების განხილვის შედეგად საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემატიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ 2008–2009 წლების საანგარიშო პერიოდებში მოქალაქეები ძირითადად საქართველოს სახალხო დამცველს მიმართავდნენ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევების შესწავლისა და სათანადო

²⁸² „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

²⁸³ 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის უფლებამოსილია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს მუდმივმოქმედი კომისიის მეშვეობით, ხოლო მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის უფლებამოსილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდეგში - სააგენტო), რომელიც აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით.

სამართლებრივი რეაგირების განხორციელების მოთხოვნით, 2010 წლის საანგარიშო პერიოდში შემოსული საქმეების უმრავლესობა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებათა კანონიერების შესწავლის მოთხოვნას ეხებოდა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმე, რომლებიც შეეხება საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგო ქმედებას.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ორ საქმეს. პირველის თანახმად, 2008 წლის მაისის თვეში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით, მიწის ნაკვეთზე აღიარებული იქნა დაინტერესებული პირის მამის საკუთრების უფლება და შესაბამისად, გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა. მოგვიანებით, 2008 წლის დეკემბერში, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ახალი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის მაისის გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთზე დაინტერესებული პირის მამის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ და შესაბამისად, გააუქმა გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ახსნა–განმარტების შესაბამისად, 2008 წლის დეკემბერში კომისიამ განიხილა საგამოძიებო ორგანოს წერილი, რომლის თანახმადაც, კომისიის მიერ 2008 წლის მაისში მიღებული გადაწყვეტილება საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე დამატებით შეისწავლეს. საგამოძიებო ორგანომ წერილით კომისიას აცნობა, რომ იგი შეცდომაში შეიყვანეს, კერძოდ: სამკვიდრო მოწმობის გაყალბების ფაქტზე საგამოძიებო ორგანოში აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობდა გამოძიება. საკუთრების უფლების აღიარების კომისიის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნული გარემოება დაედო საფუძვლად საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმების ფაქტს.

მეორე საქმის თანახმად, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2009 წლის გადაწყვეტილებით დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე, ვინაიდან კომისიამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება მიზანშეუწონლად მიიჩნია. 2009 წლის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ოქმის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება მიზანშეუწონლად მიიჩნია შემდეგი საფუძვლით, კერძოდ: დაინტერესებულმა პირმა კომისიაში წარადგინა 1992 წლის მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნული საქმეების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მოქალაქეების უფლებები დაირღვა შემდეგ გარემოებათა გამო:

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია დაინტერესებული პირის განცხადების განხილვისას და მისი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების დეკლარირებისას (თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისას ან საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმისას) მოქმედებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ №525 ბრძანებულებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ფარგლებში, რაც იმავდროულად უკრძალავს მას, განახორციელოს რაიმე ქმედება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ²⁸⁴.

ამასთანავე, 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ №525 ბრძანებულების²⁸⁵ მიხედვით, კომისია კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და რომელსაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის²⁸⁶ დანაწესისამებრ, ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის²⁸⁷ იმპერატიული ხასიათის მოთხოვნის მიუხედავად, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ უგულებელყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები²⁸⁸. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

²⁸⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი.

²⁸⁵ 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

²⁸⁶ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

²⁸⁷ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი.

²⁸⁸ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი, 53-ე მუხლის პირველი ნაწილი, 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი და 96-ე მუხლის პირველი ნაწილი.

სამართლებრივი აქტის (საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება) გამოცემისას ვალდებული იყო, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დროს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის²⁸⁹ მიხედვით, „გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.“ იმავედროულად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან²⁹⁰ გამომდინარე, კომისია უფლებამოსილი არ იყო თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ გამოიკვლია და შეისწავლა ადმინისტრაციული წარმოების დროს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახვისას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის²⁹¹ შესაბამისად, საკუთრების უფლების აღიარების კომისიას წერილობით დასაბუთებაში უნდა მიეთითებინა (მოცემული კანონისმიერი დანაწესი განსახილველ შემთხვევებში არ არის დაცული კომისიის მიერ) ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ვინაიდან საკუთრების უფლების აღიარების კომისია მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

განხილულ პირველ საქმესთან დაკავშირებით საკუთრების უფლების აღიარების კომისიის არგუმენტი, რომ საგამომიებო ორგანოს წერილის შესაბამისად გაირკვა დაინტერესებული პირის მხრიდან კომისიის შეცდომაში შეყვანის ფაქტი და სამკვიდრო მოწმობის გაყალბების ფაქტზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობდა გამოძიება, არ ათავისუფლებდა კომისიას კანონისმიერი დანაწესის (გადაწყვეტილება მიიღოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე) განხორციელების ვალდებულებისაგან, მით უფრო მაშინ, როცა არ არსებობდა სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომლითაც დადგენილი იქნებოდა ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად, მათი სამართლებრივი შეფასება პრეიუდიციული ხასიათის მატარებელი იქნებოდა კომისიისათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნიშნადობლივია ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის²⁹² მიხედვით: „დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

²⁸⁹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²⁹⁰ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

²⁹¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

²⁹² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილი.

აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს“. მოცემულ შემთხვევაში კომისიას არ უმსჯელია და არ დაუდგენია, ჰქონდა თუ არა ადგილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევას²⁹³, ანუ მიღებული საკუთრების უფლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებით სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლებების ან ინტერესების არსებითად დარღვევა. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომისიამ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისას არ გამოიკვლია და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას არ დაეყრდნო იმ გარემოებას ან/და ფაქტს, რომელიც ადასტურებდა დაინტერესებული პირის აღნიშნული აქტისადმი კანონიერი ნდობის არარსებობას ანუ მის მიერ უკანონო ქმედებას (არასწორი ინფორმაციის ან ყალბი დოკუმენტების წარდგენა ადმინისტრაციული ორგანოსათვის).

მეორე საქმესთან დაკავშირებით კომისიის მიერ ზემოხსენებული კანონისმიერი მოთხოვნის (გადაწყვეტილება მიიღოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე) განხორციელების შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრების ასახვის გარეშე დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების (საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ 2009 წლის გადაწყვეტილება) მიღებას, მით უფრო მაშინ, როცა საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმას საფუძვლად შეიძლება დაედოს ორი გარემოება:

1. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ №525 ბრძანებულებით განსაზღვრული პირობების არდაკმაყოფილება

ან

2. განცხადებისათვის დართული დოკუმენტებით თვითნებურად დაკავების ფაქტის არდადასტურება.

წინამდებარე შემთხვევაში კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას გამორიცხა საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის პირველი საფუძვლის არსებობა და მიიჩნია, რომ დაინტერესებული პირის მიერ კომისიისთვის 1992 წლის მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების წარდგენით არ დასტურდებოდა მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი. საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების

²⁹³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილის მეორე წინადადება.

უფლების აღიარების კომისიის მიერ მიღებული საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არ უპასუხებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რასაც ადასტურებს შემდეგი გარემოებები:

1. კომისიამ არ შეისწავლა და არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები (დაინტერესებული პირი 2005 წლიდან დღემდე ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე ფლობს და სარგებლობს აღნიშნული მიწის ნაკვეთით) და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოსცა საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება (დარღვეულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება).
2. საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ მოცემული გადაწყვეტილება, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შინაარსობრივად არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს, ანუ არ უპასუხებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონისა²⁹⁴ და 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ №525 ბრძანებულების²⁹⁵ მოთხოვნებს – განცხადებისათვის დართული დოკუმენტებით არ დასტურდება თვითნებურად დაკავების ფაქტი. ის გარემოება, რომ დაინტერესებულ პირს 2005 წლიდან არ გააჩნია მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, იმთავითვე ადასტურებს მის მიერ აღნიშნული მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტს (დარღვეულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორივე ზემოთ ხსენებულ საქმეში გამოიკვეთა, რომ აშკარა იყო ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები, რომლებითაც დასტურდებოდა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების

²⁹⁴ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5¹ მუხლის მე-7 პუნქტი.

²⁹⁵ 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ №525 ბრძანებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტი.

აღიარების კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითად დარღვევის ფაქტი, რაც წარმოშობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის²⁹⁶ მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველს.

ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის დეკემბრისა (პირველი საქმე) და 2009 წლის გადაწყვეტილებები მიღებული და გამოცემული იყო საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევით, რაც, თავის მხრივ, არღვევდა დაინტერესებული პირების კანონისმიერ უფლებებს.

შესაბამისად, ვინაიდან გამოიკვეთა ადმინისტრაციული ორგანოს – საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მხრიდან მოქალაქეთა კანონისმიერი უფლებების დარღვევის ფაქტი, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოითხოვა ზემოაღნიშნულ განცხადებებში დაფიქსირებულ საკითხებთან დაკავშირებით კანონშესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში აისახოს ყველა ის გარემოება, რომელთაც საფუძვლად დაედო შესაბამისი (საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ან საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა) გადაწყვეტილების მიღება, რათა გამოირიცხოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების ფაქტები, რაც იმთავითვე უგულებელყოფს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და წარმოშობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის²⁹⁷ მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველს.

რეკომენდაციები:

²⁹⁶ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის 1-ლი და მე-2 (მეორე წინადადება) ნაწილები.

²⁹⁷ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი და მე-2 (მეორე წინადადება) ნაწილები.

საქართველოს პარლამენტს მივმართავ რეკომენდაციით, კანონმდებლობაში განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გამოძიების შედეგად საკუთრების უფლების შეზღუდვის შემთხვევაში (დაყადაღება, ამოღება და ა.შ.) შესაძლებელს გახდის დაინტერესებული პირის მიერ საკუთრების უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვას;

რეკომენდაციით მივმართავ გამოძიების მწარმოებელ ორგანოებს, გამოძიება წარიმართოს მაქსიმალურად გონივრულ ვადებში. საგამოძიებო მოქმედებების ჩატერებისას, რომელიც შეეხება მესამე პირთა საკუთრების უფლებას (ჩხრეკა, ამოღება, ყადაღა და სხვა), შეფასდეს, თუ რამდენად აუცილებელია საგამოძიებო ორგანოსათვის ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენება და რამდენად პროპორციულია მათ მიერ სხვა პირთა საკუთრების უფლებაში ჩარევა (საჯარო მიზანი) კერძო პირის ინტერესთან;

საქართველოს პარლამენტს მივმართავ რეკომენდაციით, დროულად იქნას მიღებული კანონი "ქონების ლეგალიზების შესახებ", რომელიც პარლამენტმა მიიღო პირველი მოსმენით;

სახელმწიფოს მიერ გატარდეს ეფექტური ზომები, რომელთა საფუძველზეც ფინანსთა სამინისტრო დაადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელფასო დავალიანების ზუსტ ოდენობას. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოყალიბდეს მოკლევადიანი გეგმა, რომელიც საშუალებას მისცემს ფინანსთა სამინისტროს, განსაზღვროს და ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინოს შესაბამისი ხარჯები ამ ვალდებულებათა შესასრულებლად;

საკუთრების უფლების აღიარების კომისიებს მივმართავ რეკომენდაციით – დაინტერესებული პირების განცხადებების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების (საკუთრების უფლების აღიარების ან საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახვისას წერილობით დასაბუთებაში მიუთითონ ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

სათანადო საცხოვრისის უფლება

საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში დეტალურად იყო განხილული სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებული პრობლემები. სამწუხაროდ, 2010 წლის განმავლობაში ის პრობლემები, რომლებიც 2009 წლის მეორე ნახევრისთვის იყო დამახასიათებელი უცვლელი დარჩა. 2010 წელს, ისევე როგორც 2009 წლის მეორე ნახევარში, პრობლემად რჩება უსახლკარო პირთა სოციალურ პროგრამებში ჩართულობის საკითხი²⁹⁸, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში უსახლკარო პირთა ერთიანი ბაზისა და ადმინისტრაციულ ერთეულში საბინაო ფონდების საკმარისი რაოდენობით არარსებობა. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში არსებული რეკომენდაციები უცვლელი რჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დეტალურად აღარ შევჩერდებით იმ საკითხებზე, რომლებიც წინა ანგარიშში აისახა და მოკლედ მიმოვიხილავთ იმ მონაცემებს, რომლებიც სიახლეა.

2010 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების რაოდენობა მიუთითებს პრობლემის სიმწვავესა და სიტუაციის უცვლელობაზე.

2010 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს არაერთი შუამდგომლობით მიმართა თავშესაფრის არმქონე პირების საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ ავალდებულებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, უზრუნველყონ მოქალაქეები თავშესაფრით²⁹⁹, მათგან მიღებული პასუხები იდენტური, უარყოფითი შინაარსისაა. თითოეულ მათგანში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მიუთითებენ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში საბინაო ფონდის არარსებობაზე, რის გამოც შეუძლებელია ბენეფიციარების დაკმაყოფილება საცხოვრებლით.

უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კუთხით არსებულ ყველაზე წარმატებულ პროექტად ისევ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტი „სოციალური

²⁹⁸ „სათანადო საცხოვრებლის უფლება“ – საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2009 წლის მეორე ნახევარი, გვ 204;

²⁹⁹ საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მუხლი 18

საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ წარმოადგენს. პროექტის მიზანი გაჭირვებული, სოციალურად იზოლირებული და უსახლკარო, იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, მათი სოციალური დახმარება და დაცვაა. აღნიშნული პროექტი საქართველოს ხუთ ქალაქში – თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა და გორში განხორციელდა. პროექტის ფარგლებში დასახელებულ ქალაქებში აშენდა სოციალური სახლები, სადაც შესახლდნენ ბენეფიციარები.

უმნიშვნელოვანეს პრობლემად საქართველოს მასშტაბით უსახლკარო პირთა ერთიანი ბაზის არარსებობა რჩება, რაც აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის ფორმირების უმნიშვნელოვანესი ხელშემშლელი ფაქტორია³⁰⁰. 2011 წლის 11 მარტს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული პასუხის თანახმად, სააგენტო არ აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში რეგისტრირებულ უსახლკარო პირთა ერთიან რეესტრს, ვინაიდან სამინისტროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან არ შესულა მსგავსი ინფორმაცია.

საქართველოს სახალხო დამცველმა, იმისთვის, რომ დადგინდეს რამდენად აქტუალური საკითხია თავშესაფრით დაკმაყოფილება და არის თუ არა პროგრესი ამ კუთხით, ოთხი ქალაქიდან – თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ზუგდიდიდან გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

1. რამდენმა პირმა მიმართა 2010 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სხვადასხვა მიზეზის გამო თავშესაფრის მოთხოვნით;
2. რამდენი ოჯახი დაკმაყოფილდა 2010 წლის განმავლობაში თავშესაფრით;
3. აქვს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საბინაო ფონდი;
4. არსებობს თუ არა თავშესაფრის განაწილების კრიტერიუმები;
5. საცხოვრებლის გამოყოფის შემთხვევაში რა პროცედურების დაცვით ხორციელდება ფართის გადაცემა ბენეფიციარისათვის.

ქ.თბილისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქ.თბილისის მერიაში საბინაო საკითხებთან დაკავშირებით შესული განცხადებების აღრიცხვასა და რეგისტრაციას აწარმოებს მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური. 2007–2010 წლებში თავშესაფრის მოთხოვნით დარეგისტრირებულია 4884 განცხადება.

³⁰⁰ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 17-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი: „სააგენტო (სოციალური მომსახურების სააგენტო) აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში რეგისტრირებულ უსახლკარო პირთა ერთიან რეესტრს“.

2010 წელს დაკმაყოფილდა 24 ოჯახი, აქედან 14 დევნილი და 10 ადგილობრივი მცხოვრები. რაც შეეხება 2011 წელს იგეგმება 26 ოჯახის დაკმაყოფილება.

ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2010 წლის განმავლობაში შვეიცარიის მთავრობის, გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლეს კომისარიატსა და ქალაქ ქუთაისის მერიას შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა პროექტი „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში ქუთაისში“. პროექტის ფარგლებში აშენდა ორი სოციალური სახლი (14 ბინა), სადაც სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული 14 ოჯახი შესახლდა.

სულ თავშესაფრის მოთხოვნით ქ. ქუთაისის მერიას მიმართა 351–მა მოქალაქემ, მათგან წლის განმავლობაში დროებითი თავშესაფრით 3 სოციალურად დაუცველი მოქალაქე დაკმაყოფილდა.

როგორც ქ. ქუთაისის მერიიდან მიღებული წერილით ირკვევა, პრობლემა ის ფაქტია, რომ მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურს საბინაო ფონდი არ გააჩნია. ქალაქის მასშტაბით ვერ მოხერხდა თავისუფალი ფართების მოძიება, რის გამოც ამ ეტაპზე მოქალაქეთა დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართით შეუძლებელია.

ქალაქ ბათუმის მერიიდან მიღებული ინფორმაციით, 2010 წელს ქალაქ ბათუმის მერიას თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა 90–მა მოქალაქემ. აქედან 78–მა მოქალაქემ მერიას პროექტ „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში ბათუმში“–ს ფარგლებში დაკმაყოფილების, ხოლო, 7–მა მოქალაქემ წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის უპოვართა სავანეში მოთავსების თხოვნით მიმართა. შვიდივე მოქალაქე მოთავსდა უპოვართა სავანეში.

რაც შეეხება პროექტს, „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში ბათუმში“, მის ფარგლებში დაკმაყოფილდა 14 ოჯახი. მათგან 8 – იძულებით გადაადგილებული პირი და 6 – ადგილობრივი სოციალურად დაუცველი ოჯახი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მიღებული ინფორმაციით, ამავე პროექტის ფარგლებში აშენდა 14 ოჯახზე გათვალისწინებული ორი საცხოვრებელი კორპუსი (7 ბინა იძულებით გადაადგილებული პირის, ხოლო 7 ადგილობრივი სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის). ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიაწოდა ზუგდიდის ტერიტორიაზე მცხოვრები 53 უსახლკარო პირის სია. აქედან, თავშესაფრით დაკმაყოფილდა 15 ოჯახი – შვიდი იძულებით გადაადგილებული და რვა ადგილობრივი სოციალურად დაუცველი ოჯახი.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობაზე მეტყველებს. საჭიროა ერთიანი ხედვის შემუშავება, რათა შესაძლებელი გახდეს ეტაპობრივად ამ სფეროში არსებული

პრობლემებისა და პოტენციურ ბენეფიციართა დაკმაყოფილება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვინაიდან 2010 წლის განმავლობაში არ დაკმაყოფილებულა 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციები, ისინი უცვლელი რჩება.

რეკომენდაციები:

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც საშუალებს მისცემთ აღრიცხონ უსახლკარო პირები და უზრუნველყონ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ამ მონაცემების სოციალური დახმარების სააგენტოსათვის მიწოდება;

თვითმმართველობის ორგანოებმა მხედველობაში მიიღონ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის დაკისრებული ვალდებულება და ბიუჯეტის ფორმირებისას საბინაო ფონდის შესაქმნელად ან სხვა ალტერნატიული პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც უზრუნველყოფს უსახლკაროთათვის თავშესაფრის მიცემის შესაძლებლობას, გაითვალისწინონ გარკვეული ხარჯები.

სოციალური უზრუნველყოფის უფლება

ზოგადი მიმოხილვა

2010 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველისათვის პირთა მომართვიანობის მაჩვენებელი სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით მაღალი იყო. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად ამ სფეროში რჩება იმ პირთა ქონებრივი მდგომარეობის შეფასება, რომლებიც სხვის საკუთრებაში დროებით ცხოვრობენ და სურთ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ პირთა სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა. ასევე, პრობლემას წარმოადგენს უსახლკარო პირთა მიერ სოციალური ბენეფიტებით სარგებლობის საკითხი. შესაბამისად, აღნიშნულ თავში სოციალური დაცვის სისტემის ზოგად მიმოხილვასთან ერთად ყურადღებას ზემოაღნიშნულ პრობლემებზე გავამახვილებთ.

2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში მიმოხილული იყო საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობა, რომელიც საქართველოში სოციალური დახმარების სფეროში მოქმედებს.

საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ ითვალისწინებს ფულადი სოციალური დახმარების შემდეგ სახეებს:

- საარსებო შემწეობა;
- საყოფაცხოვრებო სუბსიდია;
- რეინტეგრაციის შემწეობა;
- მინდობით აღზრდის ანაზღაურება;
- სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება³⁰¹.

აღნიშნულ სფეროში ძირითად კანონქვემდებარე აქტი საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილებაა, რომელიც ადგენს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ლატაკი ოჯახებისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის სოციალური დახმარების ოდენობას; ღონისძიებათა დაფინანსებისა და ანგარიშსწორების წესსა და ძირითად პრინციპებს; განსაზღვრავს სოციალური დახმარების ადმინისტრირების კომპეტენტურ ორგანოსა და პროგრამის ფარგლებში სოციალური დახმარების გაცემის ძირითად პრინციპებს; ასევე – რეინტეგრაციის შემწეობისა და შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურების ოდ-

³⁰¹ 2006 წლის 29 დეკემბრის „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

ენობასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ლტოლვილთა ყოველთვიური შემწეობის დაფინანსების პროცედურებს³⁰².

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სოციალური მომსახურების სააგენტოს ინტერნეტგვერდზე განთავსებული 2010 წლის დეკემბრის მონაცემებით, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 545 619 ოჯახი (1 773 294 მოქალაქე), აქედან 144 877 ოჯახი (408 367 მოქალაქე) იღებს ყოველთვიურ ფულად საარსებო შემწეობას. სოციალური მომსახურების სააგენტო ფულადი საარსებო შემწეობის მიმღებებისთვის ყოველთვიურად გასცემს დაახლოებით 11 მილიონ ლარს.

ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობს 901 285 მოქალაქე, მათ შორის: 885 325 - სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირი, 12 848 - კომპაქტურ დასახლებებში მყოფი იძულებით გადაადგილებული, 2 150 - მზრუნველობამოკლებული ბავშვი, 175 - სახალხო არტისტი, სახალხო მხატვარი და რუსთაველის პრემიის ლაურეატი, 232 - შშმ პირთა და ხანდაზმულთა სახლების ბენეფიციარი და 555 - სკოლა-პანსიონების ბენეფიციარი.

სააგენტოს პენსიონერთა ერთიან სააღრიცხვო ბაზაში ირიცხება 835 901 სახელმწიფო პენსიის მიმღები, აქედან: 662 288 ასაკით პენსიონერია, 138 614 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 32 120 - მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი, 2 539 - პოლიტრეპრესირებული, ხოლო 340 კი იღებს პენსიას წელთა ნამსახურობით. სახელმწიფო პენსიონერთა უზრუნველსაყოფად სააგენტო თვეში გასცემს დაახლოებით 71 მილიონ ლარს.

გარდა სახელმწიფო პენსიის მიმღებებისა, სააგენტოში ირიცხება 20 289 სახელმწიფო კომპენსაციისა და 1 917 სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიმღები პირი³⁰³.

საქართველოში, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროგრამა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაა (შემდგომში პროგრამა). მას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს. სწორედ აღნიშნული სააგენტო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,

³⁰² საქართველოს მთავრობის დადგენილება N145 2006 წლის 28 ივლისი

სოციალური დახმარების შესახებ, მუხლი 1.

³⁰³ <http://ssa.gov.ge/index.php?id=69&mid=1170&lang=1>

უზრუნველყოფს საარსებო შემწეობის მაძიებელი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის დანიშვნას, გაცემას, შეწყვეტას, გაანგარიშებას, შეჩერებას, აღდგენასა და საარსებო შემწეობის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტას.

სახალხო დამცველი წინა ანგარიშებში კონკრეტული საქმეების შესწავლის საფუძველზე დაფიქსირებული ხარვეზებისა და პრობლემების გამო, რომლებიც ძირითადად ოჯახების შეფასების მეთოდოლოგიას ეხებოდა, არაერთხელ გაესვა ხაზი საქართველოს მთავრობის 2005 წლის 4 აგვისტოს „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ #126 დადგენილების შეფასების მეთოდოლოგიის სისტემური განახლების აუცილებლობას.

2009 წლის ბოლოს და 2010 წლის განმავლობაში განახლდა სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების მეთოდოლოგია, შესაბამისად, მიღებული იქნა მთელი რიგი ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, რომელთაც ძალადაკარგულად გამოაცხადეს ამ სფეროში მოქმედი აქტები.

კერძოდ, 2010 წლის 30 მარტის საქართველოს მთავრობის #93 დადგენილებამ „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრა განახლებული მეთოდოლოგია და შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოაცხადა „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 4 აგვისტოს N126 დადგენილება.

2010 წლის 24 აპრილს მიიღეს საქართველოს მთავრობის #126 დადგენილება ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის N51 დადგენილება.

შემუშავდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის განაცხადის ფორმები, რომლებიც დამტკიცდა. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრაციასთან, რეგისტრაციის გაუქმებასთან და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შეფასებასთან (გადამოწმებასთან) დაკავშირებული განაცხადის ფორმის, მისი მიღებისა და აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის #140/5 ბრძანებით. ამავე ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა:

- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში მოსახვედრად

განაცხადის ფორმისა და მისი მიღების, აღრიცხვისა და დამუშავების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 27 აპრილის N120/ნ ბრძანება;

- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების განაცხადის ფორმისა და მისი მიღების, აღრიცხვისა და დამუშავების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 15 თებერვლის N47/ნ ბრძანება;

- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 3 თებერვლის N34/ნ ბრძანება.

განხორციელებულმა ცვლილებებმა გააუმჯობესა სისტემისა და პროგრამის დაფარვა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის კომუნიკაციის ხარისხი. ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი გახდა კონკრეტულ პირთა დახმარება და მათი ჩართვა სოციალური დახმარების პროგრამაში.

სხვისი საკუთრებით მოსარგებლე პირთა ქონებრივი მდგომარეობის შეფასების თავისებურებანი.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის განმავლობაში სახალხო დამცველისადმი ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე მომართვიანობა იყო მაღალი. განცხადებები ძირითადად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების შეფასების საკითხს უკავშირდებოდა.

კერძოდ, სახალხო დამცველს ხშირად მიმართავენ პირები, რომლებიც ითხოვენ დახმარებას, რათა მათ პროგრამაში ჩართვა შეძლონ. მათი უმეტესობა აცხადებს, რომ მძიმე სოციალური პირობების გამო იმყოფებიან დროებით ახლობლების/ნათესავების ბინაში, ან რიგ შემთხვევებში დაქირავებული აქვთ ბინა. როგორც ცნობილია, ოჯახებს შეაფასებენ მათი ადგილსამყოფელის, დროებითი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სოციალური დახმარების პროგრამების მთელ რიგ მარეგულირებელ აქტებში ოჯახი, რომელიც შეიძლება გახდეს პროგრამის ბენეფიციარი, განმარტებულია, როგორც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები

ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინა-სამეურნეო საქმიანობას.³⁰⁴

შესაბამისად, როდესაც პირი დროებით თავს აფარებს ნათესავის სახლს ან ცხოვრობს ახლობლის/ნათესავის ოჯახთან ერთად, პროგრამაში ჩასართველად უთითებს მისამართს, სადაც მისი ოჯახი ფაქტობრივად იმყოფება. სოციალური აგენტი ცხადდება ადგილზე და ყველა სხვა ფაქტორთან ერთად ამოწმებს გარემოპირობებს, რომელშიც ოჯახი იმყოფება. განმცხადებლები მსგავს შემთხვევებში აპელირებენ იმ არგუმენტზე, რომ ასეთ დროს ე.წ. მასპინძელი ოჯახის მდგომარეობას შეაფასებენ და არა მათ რეალურ მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრობლემებით ხშირად კერძო სექტორში განსახლებული დევნილები მოგვმართავენ. კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების გარკვეული კატეგორია დღემდე იძულებულია, ქირით ან ნათესავების სახლებს შეაფაროს თავი და პერიოდულად იცვალოს საცხოვრებელი. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ გარკვეული კატეგორია იმ პირებისა, რომლებიც შესაძლოა საჭიროებდნენ დახმარებას, რჩებიან ამ დახმარების გარეშე.

ამჟამად არსებული შეფასების სისტემა არ იძლევა მსგავსი შემთხვევების გათვალისწინების შესაძლებლობას.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა უმისამართო/უსახლკარო პირების პროგრამაში ჩართვის შეუძლებლობაა.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სოციალური დახმარება არის ნებისმიერი სახის ფულადი ან არაფულადი ხასიათის სარგებელი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური საჭიროების მქონე პირისათვის, ღატაკი ოჯახისათვის ან უსახლკარო პირისათვის;

ამავე კანონის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სოციალური დახმარების სისტემა - არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, ორგანიზებული ან/და მისი მეთვალყურეობით განხორციელებული ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის, ღატაკი

³⁰⁴ საქართველოს მთავრობის #51 დადგენილება, „ქვეყანაში სიღატაკის ღონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ 17 მარტი, 2005 წელი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 120/ნ ბრძანება - "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მოსახვედრად განაცხადის ფორმის და მისი მიღების, აღრიცხვისა და დამუშავების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 27 აპრილი, 2005 წელი;

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის #1-1/1024 ბრძანება - "სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ", 29 სექტემბერი, 2005 წელი.

ოჯახის ან უსახლკარო პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

ზემოაღნიშნული კანონი უსახლკარო პირს განმარტავს, როგორც მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებლის ადგილის არმქონე პირს, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო.

მსგავსი კატეგორიის პირების ჩართვა პროგრამაში შეუძლებელია, ვინაიდან როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოჯახი, რომელიც შეიძლება გახდეს პროგრამის ბენეფიციარი, აუცილებელია განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე ფიქსირდებოდეს, შესაბამისად, უსახლკარო პირები, რომლებსაც არ აქვთ საცხოვრებელი, ვერ მოხვდებიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაში.

სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემაში არ არსებობს სპეციალური დახმარებების სისტემა ან პროგრამა, რომელიც ამ მოწყვლად კატეგორიას დაფარავს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სწორედ აღნიშნულ სისტემას და სისტემის ფარგლებში ოჯახისათვის მინიჭებული ქულის ოდენობას უკავშირდება მთელი რიგი დახმარებები. შესაბამისად, ის პირები, რომლებიც მოკლებულნი არიან პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობას არა მატერიალური მდგომარეობის, არამედ კონკრეტული სქემისა და პროგრამის არარსებობის გამო, მოკლებულნი არიან ყველა იმ დახმარებას, რომლებიც ექსკლუზიურად ზემოაღნიშნულ პროგრამას ებმის, მათ შორის, სოციალურ სახლებში დაკმაყოფილების შესაძლებლობასაც კი. ეს პრობლემა სახალხო დამცველმა დეტალურად მიმოიხილა 2009 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო ანგარიშის სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის თავში.³⁰⁵

სახალხო დამცველისთვის ნათელია, რომ ამ ეტაპზე შესაძლებელია კონკრეტული ობიექტური სირთულეებთან იყოს დაკავშირებული ამ კატეგორიის ჯგუფის ჩართვა უკვე არსებულ სიღარიბის ზღვარს მიღმა პროექტში. მით უფრო გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ოჯახის სოციალური მდგომარეობის შეფასების სისტემა რთულ არითმეტიკულ ფორმულაზე დაყრდნობითაა შექმნილი, თუმცა აუცილებლად მიგვაჩნია, შესაბამისი ორგანოებმა განიხილონ ზემოაღნიშნული საკითხი, რათა მსგავს ოჯახებს საჭიროების შემთხვევაში გაეწიოს შესაბამისი დახმარება.

³⁰⁵ საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება, სათანადო საცხოვრებლის უფლება, გვ 204

რეკომენდაციები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მივმართავ რეკომენდაციით, შემუშავებული იქნეს და მთავრობას წარედგინოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს უსახლკარო ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომლებიც თავს აფარებენ სხვა ოჯახებს ან სხვის საკუთრებაში არსებულ სახლებს, საჭიროების შემთხვევაში მიიღონ დახმარება;

საქართველოს მთავრობას მივმართავ რეკომენდაციით, დადგენილებით დამტკიცებული იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში შესატანი ცვლილებები და დამატებები, რომელიც საშუალებას მისცემს უსახლკარო ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომლებიც თავს აფარებენ სხვა ოჯახებს ან სხვის საკუთრებაში არსებულ სახლებს, საჭიროების შემთხვევაში მიიღონ დახმარება.

შრომის უფლება და საჯარო სამსახური

მოხელეთა უფლებები

საქართველოს სახალხო დამცველს საანგარიშო პერიოდში ხშირად მიმართავდნენ მოქალაქეები საჯარო სამსახურებიდან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გათავისუფლებასთან დაკავშირებით. განცხადებების ანალიზმა ნათელყო, რომ საქართველოს სახალხო დამცველის წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, პრობლემა უცვლელი დარჩა – სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებების შესაბამისი უფლებამოსილი პირები საჯარო მოხელეებს სამსახურიდან კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, დაუსაბუთებლად და უკანონოდ ათავისუფლებენ.

შრომის უფლებას, სოციალურ–ეკონომიკურ უფლებებს შორის, ადამიანის ერთ–ერთ ძირითად უფლებას მიაკუთვნებენ. საქართველოში ადამიანის შრომის უფლება განმტკიცებულია საქართველოს უზენაესი კანონით – კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“, საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“³⁰⁶, სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით³⁰⁷, რომელთა ხელშემკვრელი მხარე არის საქართველო და რომლის ნორმებით დადგენილი შრომით–სამართლებრივი რეგულაციები სავალდებულო ხასიათს ატარებს საქართველოსთვის.

ამდენად, შრომასთან დაკავშირებული უფლებები (მათ შორის, შრომის უფლების ერთ–ერთი კომპონენტი – დასაქმების დაცვის უფლება³⁰⁸) სამართლებრივად სავალდებულო სახით არის ფორმულირებული ზემოდასახელებულ აქტებში, თუმცა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2010 წლის საანგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ შრომის უფლების დაცვასთან დაკავშირებით მოცემული აქტებით გარანტირებული უფლებები ცალკეულ შემთხვევებში უხეშად ირღვევა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებების შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ.

³⁰⁶ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს დირექციისა და მასწავლებლების შრომით სამართლებრივ ურთიერთობებს.

³⁰⁷ გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, ევროპის სოციალური ქარტია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები.

³⁰⁸ „დასაქმების დაცვის უფლების არსი ძირითადად გალისხმობს – ადგილი არ ჰქონდეს თვითნებურ ან უსამართლო დათხოვნას შრომითი ურთიერთობების სტაბილურობიდან და ხელშეუხებლობის განმსაზღვრელი სხვა ასპექტებიდან გამომდინარე“. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხ. კრეჩმტოვ დრევეცი „შრომის უფლება და შრომის პირობების უფლებები“, დასაქმების დაცვის უფლება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შრომის უფლების ერთ-ერთ კომპონენტთან დასაქმების დაცვის უფლებასთან დაკავშირებით 2010 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების უმრავლესობა ეხებოდა სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევის (დისციპლინური გადაცდომის) საფუძველით სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებიდან საჯარო მოხელეთა გათავისუფლების კანონიერების შესწავლას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საჯარო სამსახურიდან მოხელის გათავისუფლებასთან დაკავშირებით განცხადებებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებიდან საჯარო მოსამსახურეების (მოხელეების) გათავისუფლებისას ირღვევა მოხელეთა უფლებები ძირითადად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოში მოქმედი ზემოდასახელებული შიდასახელმწიფოებრივი აქტებიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგლამენტირებულია საჯარო მოხელეთა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები³⁰⁹. სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ანიჭებს საჯარო სამართლებრივ კომპეტენციას საჯარო მოსამსახურეებს³¹⁰ და იმავდროულად, განსაზღვრავს საჯარო სამსახურისა³¹¹ და სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების³¹² ცნებებს, მოცემული კანონის სუბიექტის – საჯარო მოხელის სტატუსს³¹³, საჯარო მოსამსახურეთა უფლებებსა და გარანტიებს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძველის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის X თავი

³⁰⁹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა საჯარო მოხელეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რომელიც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

³¹⁰ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესისამებრ, „საჯარო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესითა და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

³¹¹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში“.

³¹² „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა“.

³¹³ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების სამტატო (მტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე“.

ცალსახად განსაზღვრავს იმ სამართლებრივ საფუძვლებს, რომელთა შესაბამისად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების უფლებამოსილ პირს შეუძლია საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება. ამასთანავე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის დანაწესით, დადგენილია, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ თანამდებობის პირმა ან ორგანომ, რომლებსაც შესაბამის თანამდებობაზე მოხელის მიღების უფლებამოსილება აქვს.

ამდენად, საჯარო მოხელეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს განსაზღვრული საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი დაწესებულების უფლებამოსილი თანამდებობის პირი ან დაწესებულება, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს³¹⁴ და შესაბამისად, კონკრეტული გადაწყვეტილების (საჯარო მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება) მიღებისას საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს³¹⁵.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხის განხილვისას უნდა შემოწმდეს კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს შრომის კოდექსის“ ნორმებით დადგენილ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საჯარო სამსახურის უფლებამოსილ პირს კონკრეტული მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, მაგრამ იმავდროულად, იგი ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, ანუ საჯარო სამსახურის უფლებამოსილი პირი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებულია, საქართველოს ზოგადი

³¹⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება.“

³¹⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები“.

ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების (სამსახურიდან გათავისუფლება) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახვისას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წერილობით დასაბუთებაში მიუთითოს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის №ბს-835-797 (კ-07) საქმეზე გაკეთებული განმარტება, რომლის თანახმად: „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, კერძოდ, სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს იმპერატიულ მოთხოვნას – ადმინისტრაციულმა ორგანომ უფლებამოსილება განახორციელოს კანონის საფუძველზე³¹⁶, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით განხილულ რიგ საქმეებში ფიქსირდება როგორც ზემოაღნიშნული პრინციპის უგულვებელყოფა, ასევე იკვეთება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გათავისუფლების შესახებ ბრძანების) ფორმალური ან/და მატერიალური კანონიერების³¹⁷ დარღვევა, რაც თავის მხრივ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველია.

საჯარო სამსახურიდან მოხელის გათავისუფლებასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების განხილვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ რიგ შემთხვევებში საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოების მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნები დაირღვა.

³¹⁶ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ რაიმე ქმედების განხორციელება.

³¹⁷ „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების კრიტერიუმებიდან – დასაშვებობა, კანონიერების ფორმალური და მატერიალური წინაპირობები – ერთ-ერთის არ დაცვა, ისევე, როგორც სამართლის ნორმის გამოყენება საქმის გარემოებათა არასწორი გამოკვლევის შედეგად, შესაძლოა, იქცეს მისი უკანონობის საფუძვლად“. იხ. პ.ტურავა, ნ. წკეპლაძე „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და უკანონობა.

2009 წელს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობიდან საჯარო მოხელე თ.მ. გათავისუფლდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შემოწმების შედეგად საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ თ.მ.-ს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისას და გამოცემისას დარღვეული იყო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ანუ დაირღვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გათავისუფლების შესახებ ბრძანების) ფორმალური კანონიერება, კერძოდ: ადმინისტრაციულმა ორგანომ არ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება და არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არ უზრუნველყო დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლების რეალიზაცია. წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს დასაბუთებას, მასში მითითებული არ არის ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომლებიც საფუძველად დაედო აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას.

2009 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის თანამდებობიდან მოხელე ი.ზ. გათავისუფლდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე. მოცემულ საქმეში არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაკეთებული დასკვნის თანახმად, ი.ზ.-ს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისას და გამოცემისას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაირღვა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, დაირღვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გათავისუფლების შესახებ ბრძანების) ფორმალური კანონიერება. ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არ უზრუნველყო დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლების განხორციელება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ სავალდებულო რეკვიზიტს – გასაჩივრების წესს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს წერილობით დასაბუთებაში ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც საფუძველად დაედო ი.ზ.-ს სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ცალკეულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოები საჯარო მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახვისას უგულებელყოფენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს მაშინ, როცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის №ზს-835-797 (კ-07)

საქმეზე გაკეთებული განმარტებით: აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვა მნიშვნელოვანია, ვინაიდან მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ჯანმრთელობის უფლება განსაზღვრულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კონსტიტუციის პრეამბულაში, რომლის თანახმადაც, ჯანმრთელობა არის „სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კარგად ყოფნა, და არა მხოლოდ დაავადების და ფიზიკური ნაკლის არარსებობა“³¹⁸. ამ განსაზღვრებას აქვს მნიშვნელოვანი კონცეპტუალური და პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი ხაზს უსვამს ჯანმრთელობის უფლებისა და მისი მომიჯნავე უფლებების ურთიერთდამოკიდებულებასა და განუყოფლობას. ჯანმრთელობის მაღალი შესაძლო სტანდარტის მისაღწევად აუცილებელია დისკრიმინაციის აკრძალვის, ავტონომიის, ინფორმაციის მიღებისა და განათლების უფლებების და ჯანმრთელობის დაცვის უფლების განუყოფლობა.

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის მიხედვით თითოეულ ადამიანს აქვს ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტის უფლება, რომელიც მისი ცხოვრების ღირსეულ პირობებს უზრუნველყოფს. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის³¹⁹ ფორმულირება ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჯანმრთელობის უფლება თავის თავში მოიცავს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ფართო სპექტრს, რომელიც ადამიანის ჯანსაღი ცხოვრების პირობებს ქმნის და ჯანდაცვის ისეთ ძირეულ ფაქტორებს ითვალისწინებს, როგორიცაა: საკვები და კვების რეჟიმი, საცხოვრებელი, უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა და სათანადო სანიტარიული პირობები, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო შრომის პირობები და ჯანსაღი გარემო.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება წარმოშობს ვალდებულებებს როგორც საერთაშორისო დონეზე, რომელიც გარკვეულწილად სავალდებულოა ქვეყნებისათვის, ასევე ეროვნულ დონეზე. ეს არის უფლება ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით მას წარმოქმნის

³¹⁸ http://www.who.int/governance/eb/who_constitution_en.pdf

³¹⁹ ზომები, რომლებიც წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის, უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია:

ა) მკვდრადშობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველსაყოფად;

ბ) გარემოს ჰიგიენისა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენის ყველა ასპექტის გასაუმჯობესებლად;

გ) ეპიდემიური, ენდემური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან ასაცილებლად, სამკურნალოდ და შესამოწმებლად;

დ) ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ავადმყოფობის შემთხვევაში ყველასათვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და მოვლას.

პაქტები და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებები და ვიწრო გაგებით – ეროვნული კანონმდებლობის უშუალო მოქმედება.

სამართლებრივი ვალდებულებები გადამწყვეტია ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტის მისაღწევად. ეროვნულ დონეზე ჯანდაცვის სისტემას უნდა ჰქონდეს ეროვნული ჯანდაცვის გეგმა, სოციალური პროგრამები დაუცველთათვის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისების მინიმალური პაკეტი, ეფექტური რეფერალური პროგრამა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბენეფიციართა ჩართულობა, კულტურალური განსხვავებების პატივისცემა და ა.შ.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მიმოხილვა

საქართველოში ჯანდაცვის სისტემის რეფორმა 20 წელია მიმდინარეობს და ბოლო ცვლილებების მიხედვით „მთლიანად კერძო“ სისტემისაკენ იხრება. „ჯანდაცვისათვის გამოყოფილი საჯარო სახსრების კერძო სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით განაწილება“ არის ერთ-ერთი იმ გეგმის ოთხი პრიორიტეტიდან, რომელსაც მსოფლიო ბანკმა 2006 წელს „ჯანდაცვის სექტორის მასშტაბური რეფორმა“ უწოდა³²⁰. კერძო სისტემის არსებობისას სამედიცინო მომსახურებას კერძო სექტორი ახორციელებს (სადაზღვევო კომპანიები და სამედიცინო დაწესებულებები), რაც ჯანდაცვის მიმართ საბაზრო მიდგომას ნიშნავს. თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ჯანდაცვის სისტემის არსებობა თავისთავად მიუთითებს ჯანდაცვის უფლებისადმი „საბაზრო მიდგომაზე“. ეს არ არის უტილიტარული ან პატერნალისტური მიდგომა, თუმცა ამ უკანასკნელის ელემენტებსაც შეიცავს და მით უმეტეს არ არის „უფლებრივი“, რომელიც იწყება ადამიანიდან და ფოკუსირდება მის კეთილდღეობაზე.

სხვა ქვეყნების გამოცდილების მიხედვით, საბაზრო მიდგომა ყველაზე ნაკლებად არის ორიენტირებული ჯანდაცვის საყოველთაო ხელმისაწვდომობაზე და იგი სახელმწიფოს მხრიდან მეტ რეგულაციებს საჭიროებს. შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც კრძალავს ყველა ნიშნით დისკრიმინაციას დაზღვევისას – სქესობრივი ნიშნით, რომლის ერთ-ერთ ფორმადაც შეიძლება მოვიაზროთ ორსულობის ნიადაგზე დისკრიმინაცია, შშმპ სტატუსის ნიშნით, ასაკის მიხედვითა და გენეტიკური მემკვიდრეობის ნიშნით (დაავადებები – ალცჰეიმერი, მკერდის კიბო ან დიაბეტი). ასევე, უნდა იკრძალებოდეს ფსიქიკურად დაავადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაცია დაზღვევისას. სასურველია პრემიუმების მარეგულირებელი კანონის არსებობაც.

³²⁰ კვლევა „ხუთლარიანი სადაზღვევო პოლისი“, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2009

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის³²¹ მიხედვით, „უნდა გადაისინჯოს ის, რასაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ჯანდაცვის სამინისტროს „საზედამხედველო ფუნქციებს“ უწოდებს“. ეს ფუნქციები „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შემსყიდველებმა მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად იმოქმედონ. სამედიცინო მომსახურების კერძო სექტორში გადანაცვლება არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისაგან“.

საქართველოში ბოლო დროს განხორციელებული ჯანდაცვის რეფორმის მიხედვით ჯანდაცვის საკითხებისადმი საბაზრო მიდგომა დომინირებს „უფლებრივი“ თვალსაზრისით მიდგომაზე. საბაზრო მიდგომა ჯანდაცვას განიხილავს, როგორც საქონელს, რომელიც უნდა გაიყიდოს და არა როგორც საზოგადოებრივ სიკეთეს, რომელიც უნდა განაწილდეს თანაბრად. საერთაშორისო სამართლებრივი აქტების უმეტესი ნაწილი რატიფიცირებულია რეფორმის საწყის ეტაპზე. ამიტომ ჯანდაცვის პოლიტიკის ის კურსი, რომელიც რეფორმის მიმდინარეობის წინა პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი მათი დებულებების უმეტესობას შეესაბამებოდა. ასევე, დღეს არსებული ჯანდაცვის ეროვნული კანონმდებლობა რეფორმის იმ ეტაპის ნაწილია, როდესაც ჯანდაცვაში ცენტრალიზებული დაფინანსების წყარო არსებობდა. შესაბამისად, ჯანდაცვის კანონმდებლობა მიმდინარე ჯანდაცვის პოლიტიკის შეუსაბამოა. ამ თვალსაზრისით, ჰარმონიზებასა და გადახედვას საჭიროებს მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები. კერძოდ, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი და „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი. ეს უკანასკნელი ქვეყნისა და არსებული ჯანდაცვის სისტემის რეალობაში უკვე ძალზე რთულად აღსასრულებელია. ხშირ შემთხვევაში ირღვევა პაციენტის უფლება მიმართოს სასურველ სამედიცინო დაწესებულებასა და ექიმს.

სადაზღვევო კომპანიის არჩევის უფლების შეზღუდვა

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის დადგენილებაში #218, „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“, 2010 წელს შესული ცვლილებით (საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება #85) ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების სახელმწიფო პროგრამების წესები მნიშვნელოვნად შეიცვალა.

2010 წლამდე მოქალაქე (მიზნობრივი ჯგუფიდან) თავად ირჩევდა სადაზღვევო კომპანიას და ვაუჩერის საფუძველზე იღებდა სადაზღვევო პოლისს, რომელიც უზრუნველყოფდა სადაზღვევო ვაუჩერით დაფინანსებულ სამედიცინო დაზღვევას. პროგრამაში ბოლო დროს შესული ცვლილების თანახმად, სადაზღვევო ვაუჩერის

³²¹ იხ.იგივე

საფუძველზე დამზღვევი სადაზღვევო ხელშეკრულებას აფორმებს იმ სადაზღვევო კომპანიასთან (მზღვეველთან), რომელიც დაზღვეულის საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად, ტენდერის საფუძველზე გამოვლინდა 26-იდან ერთ-ერთ სამედიცინო რაიონში³²². ამავდროულად, საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სახელმწიფო დაფინანსებით მიზნობრივი ჯგუფის სამედიცინო მომსახურება ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით ან ვაუჩერის საშუალებით, ხოლო სახელმწიფო დაფინანსებით მიზნობრივი ჯგუფის პირადი დაზღვევა ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერი არის პერსონიფიცირებული და მისი მესაკუთრე შეიძლება იყოს პირი ან პირთა წრე. ამავდროულად კანონის მე-19 მუხლის მეხუთე პუნქტში ასახული ვაუჩერის პირობების თანახმად, მის მესაკუთრეს აქვს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის ან სადაზღვევო ორგანიზაციის თავისუფლად არჩევის უფლება. შესაბამისად, მოქალაქეს (მიზნობრივი ჯგუფიდან) სადაზღვევო კომპანიის არჩევის უფლება აღარ აქვს და მისი უფლება, თავისუფლად აერჩია სადაზღვევო კომპანია, კონკრეტულ კომპანიასთან სავალდებულო ურთიერთობით შეიცვალა, რაც კანონს პირდაპირ არღვევს. სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები ცხადყოფს, რომ მოსახლეობის ნაწილი უკმაყოფილოა აღნიშნული ცვლილებით. მათი განცხადებით, მათ სურთ იმკურნალონ იქ, სადაც ენდობიან და სადაც აქვთ ჯანმრთელობის გაუმჯობესების იმედი.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით.“ ჯანმრთელობის დაზღვევა კონსტიტუციით არის გარანტირებული, როგორც ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის საშუალება. ჯანმრთელობის დაზღვევა ავადმყოფობით გამოწვეული კატასტროფული ხარჯების მართვის მექანიზმია. დღეისათვის საქართველოში მოქმედებს 15-მდე ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანია. ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის ბაზარი შედარებით ნელი ტემპით ვითარდება. 2009 წელს ჩატარებული კვლევის ³²³ მიხედვით საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 24.5% სარგებლობდა რაიმე ტიპის დაზღვევით. მათი უმეტესობა სახელმწიფოს მიერ იყო დაზღვეული. 2010 წლის აპრილის თვის

³²² საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის დადგენილება #218-ის მე-5 მუხლის მეორე პუნქტი – ...დამზღვევი სადაზღვევო ვაუჩერის საფუძველზე სადაზღვევო ხელშეკრულებას აფორმებს იმ სადაზღვევო კომპანიასთან, რომელიც ბენეფიციარიის საცხოვრებელის ადგილის შესაბამის რაიონში კონკურსში გამოვლინდება გამარჯვებულად.

³²³ ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2009, გვ.76

მონაცემებით, ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფილია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 954 966 მოქალაქე, რაც მთელი საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 25%-ია. ეს მაჩვენებლები დაბალ სადაზღვევო კულტურასა და ჯანდაცვის არასათანადო ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს.

ხშირად საქართველოს მოქალაქეთათვის თუნდაც ოჯახის ერთი წევრის ავადმყოფობა გადატაკების მიზეზი ხდება. ჯანდაცვის სისტემა ხელს ვერ შეუწყობს ჯანმრთელობის შედეგების თანასწორობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუ ის არაადეკვატურ ფინანსურ ტვირთს აკისრებს იმათ, ვისაც ყველაზე ნაკლებად შეუძლია მისი დაძლევა. ძლიერი ჯანდაცვის სისტემა უზრუნველყოფს მკურნალობას ყველასათვის, მათი შემოსავლების დონის მიუხედავად. ამ განზომილების შედეგები შემაშვოთებელია ჯანდაცვის მომსახურებისათვის ნაღდი ფულით გადახდილი ხარჯების სიდიდის გამო, რომლებსაც ადამიანები პირდაპირ მომსახურების გაწევის ადგილას იხდიან მკურნალობისათვის და ოჯახების მიერ ჯანდაცვისათვის გადახდილი თანხები აღემატება მათ მიერ გადახდის შესაძლებლობას.³²⁴

ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებითაა განსაზღვრული, ითვალისწინებს საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის – ყველა მოქალაქისათვის თანაბარი, მაგრამ კონკრეტული სამედიცინო მომსახურების პაკეტის (თანა) დაფინანსებას. დღეისათვის საქართველოში 26 სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს. მათი უმეტესობა გარკვეული სამიზნე ჯგუფებისთვის არის განკუთვნილი და არ მოიცავს მთელ მოსახლეობას. განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი შეზღუდული რესურსების პირობებში პროგრამებით მიწოდებული მომსახურება შეიცავს შეზღუდვებს ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით და ძირითადად თანადაფინანსებით ხორციელდება. სამიზნე ჯგუფები უმეტესად ასაკობრივ კატეგორიებად არის დაყოფილი და მომსახურების უმეტესობა ბავშვებისა და 60 წელს ზემოთ მოსახლეობისათვის არის განკუთვნილი. მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, მათ შორის ფსიქიატრიული, ფტიზიატრიული, აივ ინფექცია/შიდსის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის და სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა მოიცავს მთელ მოსახლეობას.

რაც შეეხება აივ ინფექცია/შიდსის პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას - „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სახელმწიფო უზრუნველყოფს ინფიცირებულთა და დაავადებულთა მოვლის დროულობასა და უწყვეტობას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიმართა რამდენიმე აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულმა მოქალაქემ. მათი ინფორმაციით, ამა წლის ოქტომბრის თვეში მათ ვერ შეძლეს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების მიღება. ასევე, მათ არ მიეწოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის აღდგებოდა მედიკამენტების

³²⁴ ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2009, გვ.16

მიწოდების პროცესი. პროცესი კი ერთ თვეზე მეტ ხანს იყო შეწყვეტილი, რითაც დაირღვა აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უფლება მკურნალობის დროულობასა და უწყვეტობაზე და ვერ შესრულდა სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულება.

ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ჯანდაცვის განვითარების დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს უღარიბესი მოსახლეობის მონაცემთა ბაზის შექმნა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის პროგრამა. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევა კერძო კომპანიების მიერ ზედმიწევნით ფრთხილად და სათანადო რეგულაციების განვითარების ფონზე უნდა წარიმართოს, მასში ჩართული ყოველი მხარის პასუხისმგებლობებისა და უფლებების მკაფიოდ განსაზღვრით.

2010 წელს კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შედეგად სადაზღვევო პაკეტს დაემატა ახალი კომპონენტი – მედიკამენტების ხარჯები (წლიური ლიმიტი 50 ლარი და 50%-იანი თანაგადახდა). დაზღვეულსა და მზღვეველს შორის 1–წლიანი ხელშეკრულება 3–წლიანით შეიცვალა, რაც თავისთავად ასევე დადებითი ტენდენციაა. თუმცა, მედიკამენტებზე ფასების ზრდის გათვალისწინებით, აღნიშნული დახმარება მინიმალურ სტანდარტზე ბევრად დაბალია.

საქართველოში ჯანდაცვის ბაზრის ფუნქციონირება ბევრ ხარვეზთან არის დაკავშირებული და მთავრობას ძალზე დიდი როლი ენიჭება მათ გამოსწორებაში. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელი მექანიზმების გაძლიერება და სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. აუცილებელია, სახელმწიფომ გააძლიეროს საინფორმაციო კამპანია, რათა ბენეფიციარებმა უკეთ იცოდნენ თავიანთი უფლებების და უფლებადაცვითი მექანიზმების შესახებ (მაგ.: მედიაციის სამსახური). კვლევამ³²⁵ აჩვენა, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის კერძო კომპანიებისათვის გადაცემა ძირითადად პოლიტიკური მოსაზრებებით იყო განპირობებული და დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები ნაკლებად გაითვალისწინეს. აღსანიშნავია, რომ მთავრობა არა თუ სხვა ორგანიზაციების (თუ ექსპერტების), არამედ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს არ ითვალისწინებდა. ასეთმა ერთპიროვნულმა გადაწყვეტილებებმა (რომელთაც საფუძვლად არ უდევთ მტკიცე, კვლევებზე დამყარებული ჩვენებები) შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში პრობლემები შეუქმნას პროგრამის განხორციელებას.

ამავე კვლევის მიხედვით რესპოდენტთა 55% აღნიშნავს, რომ მათ არ აურჩევიათ სადაზღვევო კომპანია, ისინი გაანაწილეს. მხოლოდ 56% აღნიშნავს, რომ მათ სადაზღვევო კომპანიაში განუმარტეს, რას ფარავს მათი სადაზღვევო პოლისი.

³²⁵ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის მონიტორინგის შედეგები, ველფარ ფაუნდეიშენი, 2010

რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ საერთო დანახარჯებში სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე გაწეული დანახარჯების წილი მაღალია – იგი აღემატება ე.წ. კატასტროფული სამედიცინო ხარჯების ზღვარს და საშუალოდ შეადგენს 19%-ს. კვლევის მიხედვით, ბენეფიციართა ოჯახების 41%-თვის ყოველთვიურად მხოლოდ მედიკამენტებზე გაწეული ხარჯიც კი აღემატება მთლიანი თვიური ხარჯის 10%-ს, ანუ „კატასტროფულ“ ზღვარს. განსაკუთრებულ, მწვავე პრობლემად რესპოდენტები მედიკამენტებისა და დამატებითი გამოკვლევების ხელმისაწვდომობას ასახელებენ. ამასთან, 29% მიუთითებს, რომ თანხა ოფიციალურად სალაროში გადაიხადა, 19%-ის განმარტებით, თანხა პირადად ექიმს გადაუხადა (საშუალოდ 61 ლარი). რესპოდენტთა 19%-მა ასევე მიუთითა სამედიცინო დაწესებულების სიშორე, ანუ ქ.თბილისის მაცხოვრებლების გარკვეული რაოდენობისათვის სამედიცინო დაწესებულება გეოგრაფიულად ხელმიუწვდომელია.

სამედიცინო მომსახურების კვლევის³²⁶ შედეგების მიხედვით, ქალები რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“, მაგრამ მათთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა აღემატება 70 000-ს, ვერ იღებენ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში მათი ოჯახების გადატაკებას იწვევს. კვლევამ აჩვენა, რომ მიმართვიანობა ქალთა საკონსულტაციო ცენტრებში იწყება ორსულობის ადრეულ ეტაპზე და მიმართვათა რიცხვი საკმაოდ მაღალია. აქედან გამომდინარე, დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის ინდიკატორები საკმაოდ კარგი უნდა იყოს. თუმცა, ამ მხრივ საქართველოში მდგომარეობა მთლად სახარბიელო არ არის. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით 2009 წელს დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (52.1 – 100 000 ცოცხალშობილზე)³²⁷ ძალიან მაღალია და ბევრად აღემატება ევროპული ქვეყნების მაჩვენებლებს.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა (3-იდან 60 წლამდე ღარიბი და არაღარიბი მოსახლეობა)

მოსახლეობის ნაწილისთვის, რომელზეც არ ვრცელდებოდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული არც ერთი პროგრამა, 2008 წლიდან ერთი წლის განმავლობაში მოქმედებდა სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსებული ჯანმრთელობის დაზღვევის სქემა ე.წ. „5-ლარიანი დაზღვევა“. შემოთავაზებული პაკეტი მოიცავდა ძირითად რისკებს და სამი ნაწილისაგან შედგებოდა – გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურება და უბედური შემთხვევის შედეგად საჭირო სამედიცინო მომსახურება. სქემის დაფინანსება იმპლემენტაციის პრობლემების გამო ერთი წლის შემდეგ შეწყდა. კვლევის³²⁸ მიხედვით უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო

³²⁶ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მონიტორინგი, ველფარ ფაუნდემენი, 2010

³²⁷ <http://www.ncdc.ge/W1/cnobar2009.htm>

³²⁸ „ხუთლარიანი სადაზღვევო პოლისი“, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2009

სადაზღვევო პაკეტის გაფართოება, განსაკუთრებით რუტინული სტაციონარული მომსახურებისა და პირველადი სამედიცინო მომსახურების მხრივ. იმის გამო, რომ შეთავაზებული პაკეტი ძალიან შეზღუდული იყო, მისით დაინტერესება არ იყო მაღალი. მოქალაქეების წახალისება, რომ უფრო ფართო და ძვირი პაკეტები აერჩიათ, კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზანს მოემსახურებოდა – სისტემაში დამატებითი სახსრების მოზიდვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ჯანდაცვის სექტორის სათანადო დაფინანსების უქონლობის შემთხვევაში.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მოსახლეობის დაფარვის თვალსაზრისით 5-ლარიანი სადაზღვევო სქემა სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო. ერთწლიანი არსებობის შემდეგ სქემის დაფინანსების შეწყვეტამ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გარეშე დატოვა საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებიდან გამოიკვეთა, ხშირია ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ჯანმრთელობის დაცვის უფლების დარღვევა მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც არ არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და მისი ასაკი 3-იდან 60 წლამდეა. მსგავს პრობლემას აწყდება მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის მონაცემთა ბაზაში, მისი ქულა 70 000-დან 100 000-მდეა. ამ კატეგორიაში მოხვედრილი ქ.თბილისში მცხოვრები პირების ჯანმრთელობის დაზღვევას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, მაგრამ რეგიონების მოსახლეობა დაზღვევის გარეშე რჩება, რაც ერთი და იმავე სტატუსის მქონე პირებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

სამედიცინო მომსახურების ხარისხი

პრობლემურია სამედიცინო მომსახურების ხარისხიც. კვლევის მიხედვით³²⁹ გამოვლინდა პრიორიტეტული პრობლემები: სადაზღვევო კომპანიასა და სამედიცინო დაწესებულებას შორის არსებული არასრულყოფილი კონტრაქტები, მოთხოვნათა ადმინისტრირების პრობლემები და შემთხვევათა მართვის არასტანდარტულობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადეკვატური ხელშეკრულებების არსებობა სადაზღვევო კომპანიებსა და პროვაიდერ კლინიკებს შორის, სარწმუნო საინფორმაციო სისტემების დანერგვა და მკურნალობის ჩატარება სტანდარტული მიდგომით (გაიდლაინები). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამინისტროს მიერ შემუშავებული პროტოკოლებისა და გაიდლაინების გამოყენების აუცილებლობა, ვინაიდან ხარისხის მართვის ერთ-ერთი

³²⁹ ადეკვატური სამედიცინო მოსახურება – პაციენტის უფლება, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, 2010

მნიშვნელოვანი კომპონენტია მტკიცებულებაზე დამყარებული მედიცინა და არა საკუთარი შეხედულებებით მკურნალობა.

კვლევის მიხედვით³³⁰, რომლის მიზანი იყო, გაერკვია რამდენად ხელმძღვანელობს ახალგადაამზადებული ექიმები ეროვნული რეკომენდაციებით (გაიდლაინებით), აღმოჩნდა, რომ ექიმთა 44.7% – ხელმძღვანელობს ეროვნული რეკომენდაციით (გაიდლაინით), ხოლო 40.4% ნაწილობრივ, საერთოდ არ სარგებლობს გამოკითხულ ექიმთა 14.9%. დაახლოებით იგივე პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა მედიკამენტური მკურნალობის შერჩევისას გაიდლაინის გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ექიმები მკურნალობისას ხშირ შემთხვევაში არჩევენ აკეთებენ საკუთარი გამოცდილებით მკურნალობაზე და არა საერთაშორისო სტანდარტზე, რომელიც ასახულია ეროვნულ რეკომენდაციებში (გაიდლაინებში). აღნიშნული დაბლა სწევს სამედიცინო მომსახურების ხარისხს. ამავდროულად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულია ეროვნული რეკომენდაციების ძალიან მცირე რიცხვი, რაც კიდევ ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის.

ინფორმირებული თანხმობა

სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სამედიცინო მომსახურების გაწევისას ხშირად ირღვევა ინფორმირებული თანხმობის უფლება. ამ უფლების დარღვევა განსაკუთრებით მწვავეა, თუ პაციენტი არასრულწლოვანია. ერთ-ერთი საქმის შესწავლის შედეგების მიხედვით, არასრულწლოვანი პაციენტის ვაქცინაციისას დაირღვა პაციენტის ავტონომიის პრინციპი და არ იყო მიღებული მშობლისგან ინფორმირებული თანხმობა, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და რაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი არასრულწლოვანი პაციენტის შეცდომით, განმეორებით ვაქცინაციისა. რადგან საყოველთაო იმუნიზაციის პროგრამები გარკვეულწილად ლახავენ მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს – განსაკუთრებით ფიზიკური ხელშეუხებლობისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოეკიდოს ამგვარი პროგრამების განხორციელებას, განსაკუთრებით თუ ეს ეხება არასრულწლოვან პაციენტს. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს ბალანსი საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და პიროვნების ინტერესს შორის, რადგან ჯანმრთელობის უფლება თავისი არსით ინდივიდუალურია და არა საზოგადოებრივი ხასიათისა. ეპიდჩვენებით აცრების ჩატარებისას უნდა გამოიყენონ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი, ანუ არასრულწლოვანი პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას უნდა არსებობდეს წერილობითი თანხმობა. ამ კონკრეტული შემთხვევისას ასეთი თანხმობის არსებობა თავიდან ააცილებს სამედიცინო მომსახურების გამწევსა და

³³⁰ გაიდლაინების მოხმარებასთან დაკავშირებით ოჯახის ექიმების გამოკითხვა, ველფარ ფაუნდემენი, 2010

პაციენტის კანონიერ წარმომადგენელს დავას და მინიმუმამდე დაიყვანს სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისას არსებული ხარვეზით გამოწვეულ შეცდომას. სახალხო დამცველის რეკომენდაციების პასუხად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია რესურს-ცენტრების მეშვეობით აცნობა საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, ხოლო საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება საგანმანათლებლო დაწესებულებას და ასევე აღნიშნა, რომ „სამინისტროს შესაბამისი სამსახური თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებს ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმუნიზაციის ჩატარებისას შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სამედიცინო მომსახურების მომწოდებლის მიერ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების ზედმიწევნით ინფორმირება, მათთვის სხვადასხვა ფორმით მეთოდური მითითებების მიცემის გზით.“

უფლება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესახებ

მნიშვნელოვან დარღვევებს შორის უნდა აღინიშნოს ჯანდაცვის პერსონალის მხრიდან პაციენტებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. საილუსტრაციოდ, იაშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკის მიმღებში მორიგე ექთანმა მხოლოდ ზეპირად მოისმინა პაციენტის დედისგან ჩივილები და მიუხედავად ბავშვის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობისა, არ შეატყობინა ექიმს, რომ მას გაესინჯა პაციენტი და აღმოეჩინა პირველადი დახმარება. წინამდებარე საქმის შესწავლისას გამოვლინდა ხარვეზი, რომელიც ეხება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის იმპლემენტაციას. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით ექიმი მოვალეა აღმოუჩინოს პაციენტს სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოს მისი უწყვეტობა, თუ პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას ექიმის სამუშაო ადგილზე. ამ საქმის შესასწავლად მივმართეთ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, ვინაიდან მისი კომპეტენციაა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ პაციენტთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი და მოქალაქეთა განცხადებების(საჩივრების) შესწავლის უზრუნველყოფა არსებული კანონმდებლობის ფარგლებში. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თუ სამედიცინო პერსონალმა არ გაატარა პაციენტი სარეგისტრაციო ჟურნალში, არ არსებობს უფლებამოსილი ორგანო, რომელიც დაადგენს, დაარღვია ჯანდაცვის პერსონალმა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესახებ თუ არა.

რეკომენდაციები:

საქართველოს ჯანდაცვის კერძო სადაზღვევო სისტემაზე გადასვლის გამო გაძლიერდეს მარეგულირებელი მექანიზმები სახელმწიფოს მხრიდან და დაიხვეწოს სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა. ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს დაზღვევისას დისკრიმინაციის აკრძალვას;

გადაიხედოს საქართველოს კანონმდებლობა ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმის და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობისა და ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად. სადაზღვევო კომპანიის არჩევის უფლების შეზღუდვა ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას;

გაძლიერდეს საინფორმაციო კამპანია მოსახლეობის სადაზღვევო კულტურის ამაღლების მიზნით;

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით შეიქმნას ეფექტური სისტემა, რომელიც გამოირიცხავს ხელმისაწვდომობის პრობლემას დაზღვევის შესყიდვისას და არათანაბარი მოპყრობის ფაქტებს, განსაკუთრებით 3-იდან 60 წლამდე და რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის შემთხვევაში;

დაიხვეწოს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის პროგრამა მედიკამენტებზე ხარჯების მოცვის თვალსაზრისით;

სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით შემუშავდეს მეტი რაოდენობით ეროვნული რეკომენდაციები (გაიდლაინები) და გახდეს ერთგვარად სავალდებულო გამოსაყენებლად;

ჯანდაცვის პერსონალის ცნობიერება აამაღლონ ინფორმირებული თანხმობის, კონფიდენციალობის, გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და პაციენტის სხვა უფლებების შესახებ. ამ უფლებათა დარღვევისას დაისვას ჯანდაცვის პერსონალის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი.

მომხმარებელთა უფლებები – სურსათის უვნებლობა

ყველა მომხმარებელს აქვს უფლება, მოითხოვოს სტანდარტის შესაბამისი სათანადო ხარისხის საქონელი – სამუშაო, სავაჭრო და სხვა სახის მომსახურება.³³¹ წინამდებარე თავი განიხილავს საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივ მდგომარეობას უვნებელი და ხარისხიანი სურსათის გამოყენების, შეძენისა და შეკვეთის კუთხით 2010 წლის განმავლობაში.

მსოფლიოში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის სისტემას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.³³² მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების რომის დეკლარაციის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უვნებელი სურსათის მოხმარების უფლება, რაც მოიცავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას სურსათით გამოწვეული რისკებისაგან.³³³

1985 წლის 16 აპრილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო “სახელმძღვანელო პრინციპები მომხმარებელთა დაცვის შესახებ.”³³⁴ აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია დაეხმაროს სახელმწიფოებს მომხმარებელთა უფლებების ადეკვატური დაცვის ხარისხის მიღწევასა და შენარჩუნებაში.³³⁵ სახელმძღვანელოში განსაზღვრულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის ძირითადი პრინციპები.³³⁶ კერძოდ:

- უსაფრთხოების უფლება;³³⁷
- სათანადო ინფორმაციის მიღების უფლება, რაც დაეხმარება მომხმარებელს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში პირადი სურვილებისა და საჭიროებების შესაბამისად;³³⁸
- მომხმარებლის უფლება, დაიცვას საკუთარი უფლებები ეფექტური მექანიზმებით.³³⁹

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ერთ-ერთ მიზანს სურსათის მაკონტროლირებელი

³³¹ საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“; მუხლი 2.

³³² Food and Agriculture Organization of the United Nations, World Health Organization: “Assuring Food Safety and Quality: Guidelines for Strengthening National Food Control Systems”, პრეამბულა გვ.1.

³³³ 1996 წელი, რომი.

³³⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1985 წლის 16 აპრილის რეზოლუცია # A/RES/39/248; გავრცობილ იქნა 1999 წელს.

³³⁵ სახელმძღვანელო პრინციპები მომხმარებელთა დაცვის შესახებ, პარაგრაფი 1.

³³⁶ სახელმძღვანელო პრინციპები მომხმარებელთა დაცვის შესახებ, პარაგრაფი 2.

³³⁷ სახელმძღვანელო პრინციპები მომხმარებელთა დაცვის შესახებ, პარაგრაფი 2; „ა“ ქვეპუნქტი.

³³⁸ სახელმძღვანელო პრინციპები მომხმარებელთა დაცვის შესახებ, პარაგრაფი 2 „გ“ ქვეპუნქტი.

³³⁹ სახელმძღვანელო პრინციპები მომხმარებელთა დაცვის შესახებ, პარაგრაფი 2 „ე“ ქვეპუნქტი.

ეროვნული სისტემების წახალისება წარმოადგენს.³⁴⁰ აღნიშნული ორგანიზაციების მიერ შემუშავდა Codex Alimentarius-ი.³⁴¹ Codex Alimentarius-ის კომისია შეიქმნა 1963 წელს. იგი წარმოადგენს სამთავრობათშორის ორგანოს და დღეისათვის აერთიანებს 168 წევრ სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს. კომისიის ფარგლებში არსებული კომიტეტები შეიმუშავებენ სურსათის სტანდარტების პროგრამებს, რომელთა ერთ-ერთ მიზანს მომხმარებელთა უფლებების დაცვა წარმოადგენს.

სურსათის შესახებ FAO-ს და WHO-ს საერთაშორისო კონფერენციაზე³⁴² გაკეთებული განცხადების შესაბამისად, ადეკვატური და უსაფრთხო სურსათის ხელმისაწვდომობა თითოეული ადამიანის უფლებაა. ამდენად, სურსათის უსაფრთხოებას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს როგორც სახელმწიფოს, ასევე მეწარმეებისა და მომხმარებლების მხრიდან.

ზოგადად, სურსათზე კონტროლი განიმარტება, როგორც ნაციონალური ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სავალდებულო რეგულირება, რომელიც სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფას და შესაბამისად, მომხმარებელთა უფლებების დაცვას ისახავს მიზნად.³⁴³ მითითებული ცნება მოიცავს სურსათის უვნებლობასა და ხარისხთან შესაბამისობის საკითხებზე კონტროლს, ასევე კანონით გათვალისწინებული ეტიკეტირების წესების დაცვაზე ზედამხედველობას.³⁴⁴ ბევრ ქვეყანაში არაეფექტური სურსათის კონტროლის სისტემის მიზეზად, საკანონმდებლო ხარვეზებთან ერთად, მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმების არარსებობას მიიჩნევენ.³⁴⁵

სურსათის უვნებლობის საკითხებზე თანამშრომლობა წარმოადგენს „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს.³⁴⁶ აღნიშნული გულისხმობს საქართველოს მხრიდან პირველადი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ევროკავშირის სურსათის უვნებლობის ზოგად პრინციპებთან და სტანდარტებთან მიახლოებას. ევროკავშირისა

³⁴⁰ Food and Agriculture Organization of the United Nations, World Health Organization: “Assuring Food Safety and Quality: Guidelines for Strengthening National Food Control Systems”, შესავალი გვ. 2 *ixileT* http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=461&lang_id=ENG

³⁴¹ იხილეთ http://www.codexalimentarius.net/web/index_en.jsp

³⁴² 1992 წელი, რომი.

³⁴³ Food and Agriculture Organization of the United Nations, World Health Organization: “Assuring Food Safety and Quality: Guidelines for Strengthening National Food Control Systems”, 3.1 sursaTis uvnebloba, xarixsi da momxmarebelTa uflebebis dacva; gv.3.

³⁴⁴ Food and Agriculture Organization of the United Nations, World Health Organization: “Assuring Food Safety and Quality: Guidelines for Strengthening National Food Control Systems”, 3.1 sursaTis uvnebloba, xarixsi da momxmarebelTa uflebebis dacva; gv.3.

³⁴⁵ Food and Agriculture Organization of the United Nations, World Health Organization: “Assuring Food Safety and Quality: Guidelines for Strengthening National Food Control Systems”, პრეამბულა გვ.1.

³⁴⁶ საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2006 წლის 14 ნოემბერს, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს მოწონების შემდგომ.

და საქართველოს სამოქმედო გეგმა მოუწოდებს საქართველოს გაზარდოს სურსათის უსაფრთხოების ხარისხი მომხმარებელთა უფლებების უკეთესად დაცვის მიზნით.³⁴⁷

აღნიშნული საკითხი ასევე განიხილა 2010 წლის იანვარში სოციალური უფლებების ევროპულმა კომიტეტმა მომზადებული დასკვნის ფარგლებში,³⁴⁸ რომელიც შეეხება ქართის მე-11 მუხლის³⁴⁹ დაცვის კუთხით საქართველოში არსებულ მდგომარეობას. კომიტეტი აცხადებს, რომ ქარტიასთან შესაბამისობის მისაღწევად აუცილებელია სავალდებულო ძალის მქონე ჰიგიენის სტანდარტების დადგენა. ასევე უნდა დაინერგოს შესაბამისი მექანიზმის სტანდარტებთან შესაბამისობაზე ზედამხედველობისათვის, სისტემატურად უნდა განხორციელდეს და განახლდეს პრევენციის ზომები, მაგალითად, ეტიკეტირების საშუალებით. ასევე უნდა განხორციელდეს სურსათით გამოწვეულ დაავადებებზე მონიტორინგი. კომიტეტის მოთხოვნაა, რომ მომდევნო ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას ზემოთ წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით.³⁵⁰

საქართველოში მომხმარებელთა უფლებები გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,³⁵¹ რომლის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით. საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები განისაზღვრება „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 20 მარტის კანონით.³⁵² აღნიშნული კანონის შესაბამისად, თითოეული მომხმარებელი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილი სტანდარტის შესაბამისი საქონელი, უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო სურსათით, ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას პროდუქციის რაოდენობაზე, ხარისხსა თუ ასორტიმენტზე. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს მიეწოდება არასათანადო ხარისხის პროდუქცია ან ისეთი პროდუქცია, რომელიც საშიშია მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მას გაუზნდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ამავდროულად, მომხმარებელი უფლებამოსილია, დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოში ან შესაბამისი რწმუნების სახელმწიფო ორგანოში, გაერთიანდეს მომხმარებელთა კავშირებში ან გაერთიანებებში.³⁵³

მომხმარებელთა ჯანმრთელობა, სიცოცხლე და ეკონომიკური ინტერესები ასევე დაცულია საქართველოს კანონით „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“.³⁵⁴ მიუხედავად იმისა, რომ კანონი მიღებულია 2005 წლის 27 დეკემბერს, დღემდე კანონი

³⁴⁷ იხილეთ http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=461&lang_id=ENG

³⁴⁸ იხილეთ http://www.coe.int/t/dghl/monitoring/socialcharter/conclusions/State/Georgia2009_en.pdf

³⁴⁹ ევროპის სოციალური ქარტია, ჯანდაცვის უფლება. მუხლი 11.

³⁵⁰ European Committee of Social Rights Conclusions 2009 (GEORGIA) Articles 11,12 and 14 of the Revised Charter, გვ.11.

³⁵¹ მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.

³⁵² „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომხმარებელი წარმოადგენს პირადი საჭიროებისათვის საქონლის, სამუშაოს, მომსახურების გამოყენებელს, შემძენს, შემკვეთს ან ასეთი გაზრახვის მქონე პირს.³⁵²

³⁵³ საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მე-2 მუხლი.

³⁵⁴ საქართველოს კანონით „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“, მუხლი 1.

პრაქტიკულად არ მოქმედებს. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.³⁵⁵ სურსათის უვნებლობის სფეროში კონკრეტული უფლებამოსილებები აქვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსაც.³⁵⁶ კერძოდ: სურსათის უვნებლობის პარამეტრებისა და მახასიათებლების განსაზღვრა; ჯანსაღი კვებისა და სურსათის კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავება; ბავშვთა კვებასთან დაკავშირებული პოლიტიკის სრულყოფასა და კანონმდებლობის დახვეწის საკითხებზე მუშაობა.

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“, საქართველოს კანონის თანახმად, სურსათის უვნებლობაზე სახელმწიფო კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, დადგენილი წესით ნიმუშების აღებისა და დასახელებული ლაბორატორიული გამოცდის ჩატარებით, პერსონალის ჰიგიენის დამადასტურებელი დოკუმენტების, ასევე მონაცემებისა და დოკუმენტების შემოწმებისა და განსაზღვრული ჩანაწერების შემოწმების გზით.³⁵⁷ ამასთან, ამავე კანონის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლში მოიაზრება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედება, რომლის მიზანია სურსათის ან ცხოველის საკვების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ან გამოვლენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის უზრუნველყოფა.³⁵⁸

ინსპექტირების ფარგლებში სახელმწიფო ვალდებულია, შეამოწმოს სურსათის წარმოების ადგილი, საწარმოს, ოფისების, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის, სატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკისა და აღჭურვილობის მდგომარეობა და გამოყენების პირობები.³⁵⁹ ინსპექტირების პროცესი ასევე მოიცავს სურსათის დასამზადებლად საჭირო პროდუქტების, მწარმოებლებისა და დისტრიბუტორების მიერ გამოყენებული სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების შემოწმებას.³⁶⁰ ინსპექტირების ერთ-ერთი ელემენტია ასევე სურსათის წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებისა და სურსათის ეტიკეტირების შემოწმება.

კანონის თანახმად, აღნიშნული მექანიზმის ამოქმედების თარიღი განსხვავდება საწარმოთა მიხედვით. საწარმოთათვის, რომლებიც ახორციელებენ ექსპორტს ევროკავშირში, ინსპექტირების მექანიზმი ამუშავდა 2011 წლის 1 იანვრიდან. მაღალი რისკის სურსათის მწარმოებელი საწარმოებისათვის დადგენილია 2013 წლის 1 იანვარი, ხოლო ყველა სხვა სურსათის მწარმოებელი საწარმოებისათვის 2015 წლის 1 იანვარი.

³⁵⁵ იქვე, მუხლი 25.1.

³⁵⁶ იქვე, მუხლი 27.

³⁵⁷ საქართველოს კანონით „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“.

³⁵⁸ საქართველოს კანონით „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“; მუხლი 3, „რ“ ქვეპუნქტი.

³⁵⁹ იქვე, მუხლი 22.

³⁶⁰ იქვე.

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი არეგულირებს სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოდ ან/და დისტრიბუტორად რეგისტრაციის საკითხს. ამ მუხლის თანახმად, რეგისტრაცია უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით. ამავე კანონის გარდამავალი დებულებების მიხედვით, სურსათის მწარმოებელი საწარმოებისა და დისტრიბუტორთათვის აღნიშნული მუხლი ამოქმედდა 2010 წლის 30 იანვრიდან. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ 2010 წლის 25 მარტს მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოდ ან/და დისტრიბუტორად რეგისტრაციის პროცესი შეჩერებული იყო 2007 წლის ივლისიდან 2010 წლის 30 იანვრამდე.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოდ ან/და დისტრიბუტორად რეგისტრაცია, რომელიც ასევე მოიცავს იმ საწარმოდ რეგისტრაციას, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების გადამუშავებასთან, რეალიზაციასთან, საკვებწარმოებასთან, აგრეთვე რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაციასთან, ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის მიერ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრს და გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნულ საწარმოთა რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, სუბიექტთა რაოდენობა, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან გადამუშავებასთან, დისტრიბუციასთან, რეალიზაციასთან, საკვებწარმოების ობიექტებთან შეადგენს 16.677-ს.

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებები ითვალისწინებს ინსპექტირების განხორციელების შესაძლებლობას მეწარმის მოთხოვნის საფუძველზე. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ 2010 წლის 25 მარტს მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2007, 2008 და 2009 წლებში მეწარმის მოთხოვნის საფუძველზე ინსპექტირება განხორციელდა 19 საწარმოში, ხოლო 2010 წელს მეწარმის მოთხოვნის საფუძველზე ინსპექტირება ჩატარდა 5 საწარმოში.

2011 წლის 26 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს, აღნიშნული სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული ძირითადი დარღვევებისა და პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით.

2011 წლის 9 თებერვალს სააგენტომ წარმოადგინა სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის შედეგების 2010 წლის ანგარიში, რომელიც დეტალურად ასახავს მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს 2010 წლის განმავლობაში.

ანგარიშში მითითებულია, რომ 2010 წელს განხორციელდა სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა. სურსათის (მათ შორის სასმელი წყლის) ნიმუშების/სინჯების უვნებლობისა და ხარისხის პარამეტრებზე ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით 474 ნიმუშიდან 51 არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს. შეუსაბამოების აღმოჩენის შემდგომ სააგენტომ გაატარა კონკრეტული ღონისძიებები. კერძოდ: სააგენტოს საქალაქო და რაიონული სააგენტოების მიერ მეწარმეთათვის გაიგზავნა 51 შეტყობინება სურსათის ადამიანთა საკვებად (სასმელად) უშუალოდ გამოყენებისათვის უვარგისობისა და ბაზარზე განთავსების აკრძალვის შესახებ. სასმელი წყლის ხარისხის დადგენილ სტანდარტთან შეუსაბამობის აღკვეთის მიზნით შესაბამის უწყებებში გაიგზავნა რეკომენდაციები. ანგარიშის მიხედვით სასმელი წყლის კუთხით განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ზუგდიდის რაიონში.

ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ პესტიციდების ნარჩენებზე ლაბორატორიული კვლევისათვის სარეალიზაციო ქსელიდან აღებული ხილისა და ბოსტნეულის 154 ნიმუშზე ჩატარდა თვისობრივი ანალიზი; ხოლო 154-იდან 60-ზე – რაოდენობრივი. ანალიზის შედეგად შეუსაბამოა დაფიქსირდა 28 ნიმუშში.

2010 წლის განმავლობაში ასევე გამოვლინდა ეტიკეტირების წესის დარღვევის ფაქტები. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად, ეროვნული სამსახურის მიერ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და 16 მეწარმე/დისტრიბუტორი დაჯარიმდა.

2010 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა ევროკავშირში სურსათის ექსპორტიორ 51 საწარმოში. ანგარიშის შესაბამისად, კრიტიკული შეუსაბამოა არ აღმოჩნდა. შეუსაბამოებთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაციები, ასევე, მათი აღმოფხვრის მიზნით დადგინდა გონივრული ვადები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მომხმარებლის უფლება მიიღოს ხარისხიანი და უვნებელი სურსათი მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციის შესაბამისად, 2010 წლის განმავლობაში სასმელი წყლისა და საკვებით მიღებით გამოწვეული ინტოქსიკაციის 23 შემთხვევა დაფიქსირდა, დაავადებულთა რიცხვი კი 108 ადამიანს შეადგენს.

სააგენტოს ანგარიშში მითითებულია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოებში მიკვლევადობისა და საფრთხეების კონტროლის შიდა სისტემების დანერგვას. ამისათვის აუცილებელია მეწარმეთათვის და პერსონალისათვის შესაბამისი კონსულტაციების, რეკომენდაციების გაწევა და სემინარების გამართვა. არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითონ სააგენტოს სპეციალისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

სურსათის უვნებლობის საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ მომზადდა ანგარიში, რომელიც განიხილავს საქართველოს მხრიდან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით დადგენილი სტანდარტების მიღწევისათვის გადადგმულ ნაბიჯებს.³⁶¹ ანგარიშის შესაბამისად, კანონით განსაზღვრული მექანიზმების უმოქმედობის მიზეზად ძირითადად სახელდება საშიშროება, რომ კანონის ამოქმედების შემთხვევაში მეწარმეთა დიდი ნაწილი ვერ შეძლებს დადგენილი სტანდარტების დაკმაყოფილებას და შესაბამისად, საწარმოთა ნაწილი იძულებული გახდება, შეწყვიტოს საქმიანობა.³⁶²

აღნიშნულ სფეროში გარკვეული სტანდარტების დანერგვა თავისთავად საჭიროებს დამატებით ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს. თუმცა აუცილებელია, რომ გატარდეს სახელმწიფოს მხრიდან ყველა საჭირო ღონისძიება, რათა კანონის ამოქმედების დროისათვის საწარმოებმა დააკმაყოფილონ შესაბამისი სტანდარტები. სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების გარეშე კანონი, მიუხედავად მისი ამოქმედების თარიღისა, სასურველ შედეგს ვერ გამოიწვევს. შესაბამისად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია სახელმწიფომ გაატაროს დროებითი ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც ეტაპობრივად განხორციელდება მეწარმეთა ადაპტაცია საერთაშორისო სტანდარტებთან.

რეკომენდაცია:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მომხმარებელთა და მეწარმეთა ინტერესების გათვალისწინებით, გადადგას ეფექტური ნაბიჯები, რათა „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალ დებულებებში დადგენილი ვადების დადგომისათვის კანონი ეფექტურად ამოქმედდეს.

³⁶¹ საერთაშორისო გამჭვირვალობა – სურსათის
http://www.amcham.ge/res/Bullets_on_1stPage/TI_Food_Safety.pdf

უსაფრთხოება საქართველოში

³⁶² საერთაშორისო გამჭვირვალობა – სურსათის
http://www.amcham.ge/res/Bullets_on_1stPage/TI_Food_Safety.pdf

უსაფრთხოება საქართველოში

იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა)

უფლებები

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ყოველთვის წარმოადგენდა და რჩება საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ პრიორიტეტად. ამის ნათელი დადასტურებაა 2010 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული სპეციალური ანგარიში, რომელიც საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უფლებრივ მდგომარეობას შეეხებოდა.³⁶³ 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში დეტალურად არის ასახული დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის შედეგები, რომელიც საქართველოს მასშტაბით განხორციელდა. მასში აისახა ყველა ძირითადი პრობლემა, რომლებიც დევნილების წინაშე დგას და ხაზი გაესვა იმ სისტემურ პრობლემებს, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის იმპლემენტაციის კუთხით არის. შეიძლება ითქვას, რომ ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ ძირეული ცვლილებები პრობლემების აღმოფხვრის მიზნით არ განხორციელებულა, თუმცა არის გარკვეული პოზიტიური სიახლეებიც. მაგალითად, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული ტენდერის შედეგად რეაბილიტაცია განხორციელდა კოტეჯური ტიპის ახალ ჩასახლებებში.³⁶⁴ სპეციალურ ანგარიშში ვრცლად იყო საუბარი კოტეჯური ტიპის ჩასახლებებში აღმოჩენილ პრობლემებზე, რომლებიც მშენებლობის ხარისხს უკავშირდებოდა. ანგარიშის ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორების აუცილებლობას შეეხებოდა. შესაბამისად, დადებითად უნდა შეფასდეს სამინისტროს ინიციატივით განხორციელებული ის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც ახალ ჩასახლებებში განხორციელდა.

მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, სპეციალური ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ ახალი ტიპის პრობლემებიც გამოიკვეთა, რომლებიც ძირითადად თბილისის მასშტაბით დევნილთა გამოსახლებების პროცესს უკავშირდება.

მოცემულ თავში დეტალურად აღარ განვიხილავთ იმ პრობლემებს, რომლებზეც უკვე გავამახვილეთ ყურადღება 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში. აღნიშნულ თავში აქცენტი ძირითადად 2010 წლის მეორე ნახევარში არსებულ პრობლემებზე გაკეთდება, კერძოდ ეს შეეხება თბილისში მიმდინარე დევნილთა გამოსახლების პროცესს. ასევე, წარმოდგენილი იქნება კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების მდგომარეობის მცირემასშტაბიანი კვლევა.

³⁶³ ანგარიში მომზადდა პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა მიმართებით არსებული პრობლემების გადასაჭრელად“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ოფისის მიერ. 2011 წლიდან პროექტის თანადაფინანსებელი გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატია.

³⁶⁴ იხ. <[http://www.mdg.ge/georgian/tender\(old\).php?id=1282974981](http://www.mdg.ge/georgian/tender(old).php?id=1282974981)>

თბილისში მიმდინარე დევნილთა გამოსახლების/განსახლების პროცესი

საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ გააკეთა განცხადება თბილისში მდებარე სხვადასხვა შენობებიდან დევნილთა გამოსახლების პროცესთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატი და მასთან არსებული პროექტი აქტიურად იყო ჩართული გამოსახლების პროცესის მონიტორინგში. შესაბამისად, ანგარიშში გაკეთებული დასკვნები ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს ეყრდნობა. აუცილებელია ცალ-ცალკე განიხილებოდეს გამოსახლებების ორი ტალღა, პირველი – 2010 წლის ივლის-აგვისტოს თვეში განხორციელდა, ხოლო მეორე – 2010 წლის ნოემბრის თვეში დაიწყო და 2011 წლის იანვარში დასრულდა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაკეთებულ განცხადებებში და სპეციალურ ანგარიშში ყურადღება გამახვილებული იყო პროცესის არასწორ დაგეგმვასა და განხორციელებაზე, განსაკუთრებით კი პროცედურულ დარღვევებზე დევნილთა სხვადასხვა ობიექტებიდან გამოსახლებისას. როგორც აგვისტოს თვეში ჩატარებული მონიტორინგისას გამოიკვეთა, (მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ ობიექტებზე: გამომცემლობა „სამშობლო“, თამარაშვილის N9, მაჩაბლის ქ.N8, მოსაშვილის ქ.N24, სანდრო ეულის ქ.N3), ობიექტების უმეტესობა, საიდანაც გამოსახლება/განსახლება განხორციელდა, არ იყო დევნილთა კოლექტიური განსახლების ობიექტი. სამინისტროს განმარტებით, არც ერთ შენობას/ობიექტს არ ჰქონდა კოლექტიური ცენტრის სტატუსი და იქ მყოფი დევნილები შენობაში მიწერილები არ იყვნენ, შესაბამისად, მათზე არ ვრცელდებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური დაცვის გარანტიები.

2010 წლის ივლის-აგვისტოს თვეებში მიმდინარე გამოსახლების პროცესში გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რომელთაც აღნიშნულ ქვეთავში დეტალურად მიმოვიხილავთ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა დევნილთა გამოსახლების მარეგულირებელი სპეციალური პროცედურების არარსებობა იყო. დევნილების უმეტესობა მიუთითებდა, რომ მათ შენობების დაცლისთვის გონივრული ვადა არ მიეცათ. მაგ. მოსაშვილის ქუჩაზე მცხოვრები დევნილები მიუთითებდნენ, რომ მათ გამოსახლების შესახებ მხოლოდ ერთი დღით ადრე შეიტყვეს და ეს შეტყობინებაც ზეპირი ხასიათის იყო.

გამოსახლების პროცესში ერთ-ერთ სერიოზული პრობლემა ალტერნატიული საცხოვრებლის შესახებ ინფორმაციის არარსებობაა. კერძოდ, დევნილებს, რომლებიც ალტერნატიულ განსახლებას ექვემდებარებოდნენ, არ ჰქონდათ ინფორმაცია ალტერნატიული საცხოვრებლის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მათ მხოლოდ გამოსახლების დღეს მიაწოდეს. შესაბამისად, აშკარაა, რომ მათ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

დევნილთა განმარტებით, გამოსახლების პროცესი რიგ შემთხვევებში შეურაცხყოფელ ხასიათს ატარებდა. დაფიქსირდა დევნილების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებიც. კოსტავას ქუჩაზე მდებარე გამომცემლობის შენობიდან გამოსახლებულ დევნილებს პრეტენზიები ჰქონდათ გამოსახლების პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ისინი მიუთითებდნენ, რომ გამოსახლებისას მათ ცუდად ეპყრობოდნენ, ასევე, დაუზიანდათ კუთვნილი ნივთები.

გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა იმ დევნილებთან მიმართ, რომლებიც კოტეჯის სანაცვლო საკომპენსაციო თანხის მოლოდინით, დროებით იყვნენ შენობებში შესახლებული. მონიტორინგისას ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე დევნილი ოჯახი მანამ გამოსახლეს, სანამ კუთვნილ კოტეჯის სანაცვლო კომპენსაციას მიიღებდნენ. ისინი იძულებულნი გახდნენ, თანხის მიღებამდე ნათესავებთან შეეფარებინათ თავი.

პროცესში აღმოჩენილი დარღვევების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. რეკომენდაციებში საუბარია იმაზე, რომ სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს დევნილებისათვის გამოსახლებამდე/განსახლებამდე ზუსტი ინფორმაციის მიწოდება მათ მიმართ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ; დევნილ მოსახლეობას უნდა მიეცეს შესაძლებლობა წინასწარ, მოინახულოს შეთავაზებული ალტერნატიული ფართი და გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი; ალტერნატიულ საცხოვრებელში გადაყვანამდე საცხოვრებელი ფართი სამეთვალყურეო საბჭომ დადგენილ მინიმალურ საცხოვრებელ სტანდარტებს უნდა შეუსაბამოს.³⁶⁵

იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის, ვოლტერ კელინის, 2010 წლის მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია თბილისში ივლის-აგვისტოს თვეში მიმდინარე დევნილთა გამოსახლების საკითხზე.³⁶⁶ როგორც პროფესორი კელინი აღნიშნავს, თავად გამოსახლება არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს. მისივე თქმით, რიგ შემთხვევებში გამოსახლება შესაძლოა გარდაუვალიც იყოს, როდესაც დევნილები კანონიერი მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაშიც კი უარს აცხადებენ ნებაყოფლობით დატოვონ საცხოვრებელი ფართი. თუმცა, იმისათვის, რომ პროცესი საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით განხორციელდეს, აუცილებელია, რომ დევნილებს შეეთავაზოთ ისეთი ალტერნატივები, სადაც მათ ექნებათ ხელმისაწვდომობა საარსებო წყაროებზე, ჯანდაცვაზე, განათლებაზე.³⁶⁷

³⁶⁵ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უფლებები მდგომარეობის შესახებ, გვ.73-74.

³⁶⁶ Report of the Representative of the Secretary-General on the human rights of Internally displaced persons, Walter Kalin, follow-up mission to Georgia, A/HRC/16/43/add.3, 23 December 2010.

³⁶⁷ იქვე, para.11-13.

ავგისტოს თვეში განხორციელებულ გამოსახლებებთან დაკავშირებით კრიტიკული შეფასება გააკეთა არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ. Amnesty International 2010 წლის 20 ავგისტოს გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნავს, რომ გამოსახლების პროცესი საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა. ორგანიზაცია უთითებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა დევნილებს გამოსახლებისთვის გონივრული ვადა არ მისცეს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ შესთავაზეს ადეკვატური საცხოვრებელი ალტერნატივა.³⁶⁸

ანალოგიურ პრობლემებზე მიუთითებს Human Right Watch. კერძოდ, ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მთავრობის მიერ შეთავაზებული ალტერნატივები არ იყო ადეკვატური და დევნილებს შორეულ რეგიონებში მოუწიათ საცხოვრებლად წასვლა (ზოგიერთ საცხოვრებელ ფართს ჰქონდა სახურავის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის პრობლემა).³⁶⁹

საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით: „გამოსახლების შედეგად პირი არ უნდა დარჩეს უსახლკაროდ და არ უნდა დაირღვეს მისი სხვა უფლებები. იმ შემთხვევაში, თუ გამოსახლებულ პირებს არ შეუძლიათ თავად უზრუნველყონ საარსებო სახსრები, მონაწილე სახელმწიფოებმა, ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში ყველა სათანადო საშუალება უნდა გამოიყენონ მათთვის სათანადო ალტერნატიული საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად, დასასახლებლად ან ნაყოფიერი მიწების გამოსაყოფად, არსებული გარემოებების გათვალისწინებით.“³⁷⁰

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო საზოგადოებისა და ზოგადად, არასამთავრობო სექტორის აქტიური ძალისხმევის შედეგად სამინისტრომ გადაწყვიტა, დევნილთა მიერ დაკავებული შენობებიდან გამოსახლებაზე/განსახლებაზე მორატორიუმი გამოეცხადებინა.

დევნილთა გამოსახლების/განსახლების მეორე ტალღა 2010 წლის ნოემბრის თვეში დაიწყო. შემუშავდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით გამოსახლების/სხვა საცხოვრებელში გადაყვანის სტანდარტული ოპერაციული პროცედურები“(შემდგომში სოპ).³⁷¹ სოპ-ი მოიცავს გამოსახლების/სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესის სახელმძღვანელო პრინციპებს, ის არ არის სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტი. სოპ-ი განმარტავს, რომ საჭიროა დევნილთა ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა განსახლების პროცესში. ასევე ხაზგასმულია, რომ შენობის გამოთავისუფლების პროცესში ყველა

³⁶⁸ Amnesty International, Urgent Action: Thousands Forcibly Displaced in Georgia, 20 August, 2010, <<http://www.amnesty.org/en/library/asset/EUR56/005/2010/en/3dfa62dc-3a08-421d-bd5a-17d8e5c38563/eur560052010en.pdf>>.

³⁶⁹ Human Rights Watch, World Report 2011: Georgia, <<http://www.hrw.org/en/world-report-2011/georgia>>

³⁷⁰ Right to adequate Housing (art11.1): forced evictions, CESCR General Comment 7, 05.20.1997, para. 17.

³⁷¹ სოპ-ის შემუშავება მოხდა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მიერ (TEG-ში შედიოდა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია UNHCR, DRC, NRC), და დამტკიცდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ზომა უნდა მიიღონ, რათა დევნილები არ დარჩნენ უსახლკაროდ, უნდა დაიცვან დევნილთა კონფიდენციალურობა მთელი პროცესის განმავლობაში. საცხოვრებელი ფართები, რომელიც დევნილებს ალტერნატივად შეეთავაზებათ, უნდა შეესაბამებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტებს, დაცული უნდა იყოს ოჯახის ერთიანობის პრინციპი. დევნილებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული გასაჩივრების მექანიზმები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ მათთვის შეთავაზებული გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობები არ არის ადეკვატური და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, უნდა უზრუნველყონ უნდა იქნას დევნილებისათვის ეფექტური მონიტორინგის მექანიზმების შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა.³⁷²

იმისათვის, რომ შეფასდეს რეალურად განხორციელდა თუ არა პროცესი გაწერილი სტანდარტების შესაბამისად, აუცილებელია განიმარტოს, რა პროცედურები იყო სოპ-ით გაწერილი და რა ფუნქციები ჰქონდათ პროცესში ჩართულ მხარეებს.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ვალდებულია შენობიდან დევნილთა გამოსახლებამდე/განსახლებამდე გაარკვიოს, აქვს თუ არა შენობას კომპაქტური განსახლების ობიექტის სტატუსი. ვალდებულია, ინდივიდუალური მონაცემების საფუძველზე და „პროფაილინგზე“ დაყრდნობით შეაფასოს და განსაზღვროს, უნდა შეეთავაზოს თუ არა დევნილს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი. სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ მოვალეობა, პროცედურების თანახმად, დევნილი ოჯახებისთვის ინდივიდუალური შეტყობინებების³⁷³ გადაცემაა. სამინისტროს კიდევ ერთ მთავარ ფუნქცია დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესის ეფექტური წარმართვაა.

აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ასპექტი გამოსახლება/განსახლების პროცესთან დაკავშირებული ღონისძიებების ვადაა. კერძოდ, სოპ-ის მოთხოვნების თანახმად, დევნილთა გაფრთხილებებში ჩაიწერა, რომ შენობის გამოთავისუფლებას პოლიცია განხორციელებს არა უადრეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

რაც შეეხება პოლიციის პასუხისმგებლობას, სოპ-ის თანახმად, პოლიციას აღსრულების ღონისძიების განხორციელება შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სოპ-ით გათვალისწინებული ყველა პროცედურა დასრულდება. პოლიცია ვალდებულია, გასცეს გაფრთხილების წერილი N747 ბრძანების 1 დანართის³⁷⁴ მიხედვით.

³⁷² სოპ, თავი 5, გვ.5.

³⁷³ პროფაილინგის საფუძველზე 8 სხვადასხვა ტიპის ინდივიდუალური შეტყობინება შეიძლება შედგეს. ამ 8 კატეგორიიდან 4 კატეგორიის დევნილ ოჯახს არანაირ ალტერნატიულ გადაწყვეტილებას არ სთავაზობს სამინისტრო, იხ. სოპ პუნქტი 6.5, გვ.9-11.

³⁷⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N747, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ.

მას შემდეგ, რაც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მოხდა აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცება, სამინისტრომ 2010 წლის ნოემბრის თვიდან დაიწყო პროცედურებით გაწერილი ღონისძიებების განხორციელება. მიმდინარე პროცესის მონიტორინგში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან ერთად, ჩართული იყო: ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, დანიის ლტოლვილთა საბჭო, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. პროცესს კოორდინირებდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფისი.

დევნილებისათვის, ისევე, როგორც პროცესში ჩართული ყველა ორგანიზაციისთვის, ცნობილი იყო, რომ გამოსახლების პროცესი დეკემბრის ბოლოს უნდა ყოფილიყო,³⁷⁵ თუმცა, არსებული ობიექტური მიზეზების გამო, პროცესი გადაიდო. პროცესის განახლდა 2011 წლის 20 იანვარს. დღევანდელი მდგომარეობით, გასათავისუფლებელ შენობათა ოფიციალურ სიაში არსებული 22 ობიექტიდან 20 ობიექტი უკვე გამოსახლებულია. დარჩენილია ორი ობიექტი, რომელთა გამოსახლების ზუსტი თარიღი ამ ეტაპისათვის უცნობია.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემუშავდა გამოსახლება/განსახლების მთელი რიგი პრინციპები და წესები, 2011 წლის იანვრის გამოსახლება/განსახლების პროცესის დროს დაფიქსირდა არაერთი სერიოზული პრობლემა. კერძოდ:

სამინისტრომ სოპ-ით განსაზღვრული წესით დევნილებს შეტყობინების წერილები გადასცა. შეტყობინებებში განსაზღვრული იყო, რომ დევნილთა გამოსახლება გაფრთხილების ჩაბარებიდან 10 დღის შემდეგ დაიწყებოდა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გაფრთხილებები დარიგდა დეკემბრის თვის განმავლობაში, რასაც თითქმის ერთი თვით პროცესის შეჩერება მოჰყვა, მიგვაჩნია, რომ სამინისტროს პროცესის განახლების შესახებ დევნილთათვის განახლებული ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა. როგორც ჩვენთვის მონიტორინგის შედეგად გახდა ცნობილი, ხშირ შემთხვევაში დევნილებმა მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე შეიტყვეს გამოსახლების შესახებ, რაც თავისთავად გამოსახლების მოსამზადებლად გონივრულ ვადად ვერ ჩაითვლება.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც გამოსახლების პროცესში მონიტორინგის განმახორციელებელ ყველა ორგანიზაციას შეექმნა, თავად პროცესზე დაკვირვებას უკავშირდება. დამკვირვებელი ორგანიზაციების განმარტებით, გამოსახლების დღეს არც ერთ მონიტორს შენობასთან მიახლოების ან მასში შესვლის უფლება არ მიეცა. პროექტის დამკვირვებლებს დევნილებთან კონტაქტის შეზღუდული შესაძლებლობა ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ სოპ-ის მიხედვით ყველა დევნილს უნდა ჰქონოდა „ეფექტური მონიტორინგის მექანიზმებზე შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა,“ ეს პრინციპი პრაქტიკაში არ განხორციელებულა. დამკვირვებლები, როგორც წესი, წინააღმდეგობას

³⁷⁵ დეკემბრის თვეში მოსალოდნელი გამოსახლება, სოპ-ით დადგენილი ვადებიდან გამომდინარეობდა.

პოლიციის მხრიდან აწყდებოდნენ. სამართალდამცავებთან საუბრის შედეგად ცხადი გახდა, რომ ისინი სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შესახებ ინფორმაციას არ ფლობდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დოკუმენტის მთავარი მიზანი განსახლება/გამოსახლების პროცესის საჯაროდ და გამჭვირვალედ წარმართვაა. გამოსახლებების დღეს დამკვირვებელთა ობიექტებზე არშემვებით კი დოკუმენტის აღნიშნული მიზანი მიუღწეველი დარჩა.

დარღვევები დაფიქსირდა დევნილთა კოტეჯის სანაცვლო კომპენსაციების მიღებასთან დაკავშირებითაც. მონიტორინგისას ნათელი გახდა, რომ გამოსახლების დღეს არაერთი დევნილი დარჩა ფინანსური დახმარების (კოტეჯის სანაცვლო კომპენსაციის) გარეშე.³⁷⁶ აგვისტოს გამოსახლებებისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა კოტეჯის სანაცვლო კომპენსაციების მიღების გარეშე დევნილი ოჯახების გამოსახლება/განსახლება იყო. სწორედ ამის გამო, სოპ-ში ჩაიდო სპეციალური გარანტიები. დოკუმენტის თანახმად, იმ დევნილ ოჯახებს, რომლებიც ფინანსური დახმარების მოლოდინში იყვნენ, შენობის გამოთავისუფლებამდე უნდა მიეღოთ აღნიშნული თანხა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ დაფიქსირდა პრობლემა, რომელიც თავის მხრივ ცალკე შესწავლას საჭიროებს.

გამოსახლებებისას კომპენსაციებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა კოტეჯის სანაცვლო კომპენსაციების გაცემასთან დაკავშირებული მთელი რიგი სირთულეები კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახდა. ცხადია, რომ აღნიშნული საკითხი კვლავაც პრობლემურია. არაერთი დევნილი ოჯახი აცხადებს, რომ ისინი კუთვნილი კომპენსაციის გარეშე დარჩნენ, რაც სერიოზული პრობლემაა. აუცილებელია ამ ადამიანებს დროულად მიეცეთ საკომპენსაციო თანხები.

დევნილი ოჯახები ხშირად მიუთითებენ, რომ კოტეჯის სანაცვლო კომპენსაციის გაცემისას სამინისტრომ საოჯახო ნომრები გააერთიანა და რამდენიმე ოჯახზე ერთი საკომპენსაციო თანხის გასცა, რაც თავის მხრივ სერიოზული პრობლემაა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, წერილობით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს³⁷⁷ და გამოითხოვა ინფორმაცია მთელ რიგ საკითხებზე. კერძოდ, რომელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით რეგულირდება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებისათვის კოტეჯის სანაცვლო კომპენსაციების გაცემის წესი,³⁷⁸ რა საკანონმდებლო აქტებით ხელმძღვანელობს

³⁷⁶ მსგავსი ტიპის პრობლემის არსებობას დევნილები მონიტორინგის განხორციელების დროს პროექტის მონიტორებთან პირად საუბრებში აფიქსირებდნენ; მსგავსი ტიპის ინფორმაცია ჰქონდათ მონიტორინგში ჩართული სხვა ორგანიზაციებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე მსგავ მდგომარეობაში მყოფი კონკრეტული პირების სახელები და გვარები ჩვენთვის უცნობია.

³⁷⁷ წერილი N: 1542/04-3, გაგზავნის თარიღი 2010 წლის 23 დეკემბერი.

³⁷⁸ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საკომპენსაციო თანხის ოდენობას, არის საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის N534 განკარგულება, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი, თანხის ოდენობას გარდა, სხვა არანაირ დეტალს არ განმარტავს.

სამინისტრო როდესაც ხდება დევნილთა საოჯახო ნომრების გაერთიანება. ასევე დავინტერესდით რა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით შეიქმნა კოტეჯის სანაცვლო კომპენსაციის გამცემი კომისია, რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს კომისია კომპენსაციის გაცემაზე დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას და რაც მთავარია, საკითხის განხილვის შემდგომ გამოსცემს თუ არა კომისია რაიმე ტიპის აქტს, რომელშიც მისი გადაწყვეტილება აისახება.

კრიტიკას ვერ უძლებს ის ფაქტი, რომ არც ერთ კითხვაზე ოფიციალური პასუხი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არ მიუღია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება, დევნილთათვის შეთავაზებულ ალტერნატივებს უკავშირდება. მონიტორინგის პროცესში გაირკვა, რომ სამინისტრო დევნილებს ალტერნატიულ ფართს კორპუსის ტიპის შენობებში სთავაზობდა: გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმში, ლესიჭინესა და ფოცხო-ეწერიში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუასა და ნარაზენში, აბაშის რაიონის სოფელ აბაშისპირში და ხობის რაიონის სოფელ თორსა-დღვაბაში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის/პროექტის მონიტორების მიერ ჩატარდა ალტერნატიული საცხოვრებლების მონიტორინგი, რის შედეგად აშკარაა, რომ ზემოხსენებულ ობიექტებზე განსახლების შემთხვევაში დევნილი ოჯახები არ იქნებიან უზრუნველყოფილი ალტერნატიული საარსებო საშუალებებით. ობიექტების უმრავლესობა დაშორებულია ადმინისტრაციულ ცენტრებს (მაგალითად, ფოცხო-ეწერი ზუგდიდთან 50 კილომეტრით არის დაშორებული). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ მონახულებული ყველა ობიექტი რეაბილიტირებულია, დევნილთა უმრავლესობა უკმაყოფილოა სარეაბილიტაციო სამუშაოებით. ძირითადი პრობლემები ყველგან ერთია, სახურავიდან ჩამოდის წყალი, შესაბამისად ოთახებში არის ნესტი, რაც უარყოფითად მოქმედებს მოქალაქეების ჯანმრთელობაზე. სერიოზული პრობლემები გვხვდება ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით. მაგალითად, იმის გამო, რომ ფოცხო-ეწერიში აფთიაქი არ არის, იქ მცხოვრებ დევნილ ოჯახებს მედიკამენტების შესაძენად დაბა ჯვარში უწევთ ჩასვლა; გარდა ამისა, ფოცხო-ეწერიში არ არის სამედიცინო პუნქტი; დევნილების განმარტებით, სამედიცინო მომსახურების მისაღებად მათ ზუგდიდში უწევთ ჩასვლა, რაც ცალკე ხარჯებთან არის დაკავშირებული (დევნილების განმარტებით ფოცხო-ეწერიდან ზუგდიდამდე მგზავრობა საშუალოდ 5 ლარი ღირს, შესაბამისად, დევნილების მწირი შემოსავალი მათ არ აძლევთ ადმინისტრაციულ ცენტრში ხშირად ჩასვლის შესაძლებლობას).

სოფ. აბაშისპირში სკოლის მოსწავლეებს ფეხით დაახლოებით 2 კილომეტრის გავლა უწევთ, ვინაიდან სოფელში არ არის სკოლა და არც ავტობუსი დადის, რომელიც

ბავშვების სკოლაში ტრანსპორტირებას უზრუნველყოფდა; სოფ. თორსა–დღვასა და აბაშისპირში ასევე აღინიშნება წყლის პრობლემა.³⁷⁹

ასევე, ამ ეტაპისათვის უცნობია, განხორციელდება თუ არა ადგილზე დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის პროექტები. კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რომელსაც დევნილები დამკვირვებლებთან საუბრისას აღნიშნავენ, სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს წარმომადგენლების მიერ გაკეთდა განცხადება იმის შესახებ, რომ ყველა დევნილ ოჯახს გადაეცემოდა მიწა საკუთრებაში, ამ ეტაპზე, მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დაპირება შესრულებული არ არის. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ წინწყაროში განსახლებული დევნილები. მათ გადაეცათ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწა, თუმცა მათ სხვა ტიპის პრობლემები აწუხებთ, კერძო ის, რომ ვერ ახერხებენ მიწის დამუშავებას შესაბამისი სამუშაო იარაღების არარსებობის გამო.

2011 წლის 28 იანვარს მონიტორინგი განხორციელდა გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში, სადაც 6 დევნილი ოჯახი დასთანხმდა განსახლებას. დევნილები ახლად რეაბილიტირებულ კორპუსის ტიპის შენობაში შეიყვანეს, თუმცა ბაკურციხეშიც, მსგავსად სხვა ობიექტებისა, დევნილები უკმაყოფილო არიან სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხით. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ისინი დამკვირვებლებთან საუბრისას უსვამდნენ ხაზს, დასაქმებას და სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწების არარსებობას უკავშირდება. როგორც პროექტის დამკვირვებლებისთვის გახდა ცნობილი, იმისათვის, რომ დევნილებმა შეძლონ მიწის დამუშავება, მათ მიწის დროებით სარგებლობაში მისაღებად უნდა მიმართონ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს. თუმცა, დევნილთა თხოვნაა, რომ მიწები არა დროებით სარგებლობაში, არამედ საკუთრებაში გადაეცეთ. დევნილთა განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს მიმართეს, მათგან რაიმე კონკრეტული პასუხი, თუნდაც მიწის დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით, ვერ მიიღეს.

სასოფლო–სამეურნეო მიწების არარსებობა პრობლემაა დასავლეთ საქართველოში განსახლებული დევნილებისთვისაც.

იმისათვის, რომ მიიღწეს იძულებით გადაადგილებული პირებისათვის პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა და ისინი აღარ საჭიროებდნენ სახელმწიფოს მხრიდან სპეციფიკურ დახმარებებს, აუცილებელია განსახლების ადგილებზე უახლოეს მომავალში განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის დასაქმების პროგრამა, დევნილ ოჯახებს გადაეცეთ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწა და საწყის ეტაპზე ხელი შეეწყოს მის დამუშავებაში, რათა მათ შეძლონ მინიმალური საჭიროებების საკუთარი შემოსავლით დაკმაყოფილება. დევნილების განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ განსახლების ადგილებში სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ტიპის დასაქმების პროგრამები

³⁷⁹ აბაშისპირში, მიუხედავად იმისა რომ წყლის მიწები ობიექტში დამონტაჟებულია, წყალი არ არის შენობაში შეყვანილი.

არ განხორციელდა და თუ მათ არ გაეწიათ გარკვეული ტიპის დახმარება, ისინი ვერ შეძლებენ რეგიონებში ცხოვრებას და უარს განაცხადებენ არსებული ფართების პრივატიზებაზე.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სახელმწიფოს ძირითადი მიზანი უღარიბესი ფენებისა და იმ პირების მიწით უზრუნველყოფა უნდა იყოს, რომლებსაც ის არ გააჩნიათ. „უნდა განისაზღვროს მთავრობის მკაფიო ვალდებულებები, რომლებიც კონკრეტულ შინაარსს შესძენს პირის უსაფრთხო და მშვიდობიან გარემოში ცხოვრების უფლებას, მათ შორის, კანონით უნდა დადგინდეს მიწაზე ხელმისაწვდომობა.“³⁸⁰

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოსახლების/განსახლების პროცესის მეორე ფაზის დასრულების შემდგომ (იგულისხმება ნოემბერი-იანვრის გამოსახლების/განსახლების პროცესი) ცნობილი გახდა, რომ არც ერთ დევნილ ოჯახს, რომელსაც აღნიშნული ალტერნატივები შეეთავაზა, თანხმობა არ განუცხადებია დასავლეთ საქართველოში განსახლებაზე.³⁸¹ რამდენიმე ოჯახი დასთანხმდა ბაკურციხეში შეთავაზებულ ფართს. როგორც გაირკვა, გამოსახლების დღეებში სამინისტრომ დევნილებს შესთავაზა ახალი ალტერნატივებიც. კერძოდ, თეთრიწყაროს რაიონი სოფელი წინწყარო (სადაც დევნილებისთვის ინდივიდუალური სახლები შეისყიდეს და გადასცეს) და გარდაბანი.

სოფ. წინწყაროში, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 12 დევნილი ოჯახი განსახლდა. მათი უმრავლესობა კოდორის ხეობიდან იძულებით გადაადგილებული პირია. 2011 წლის 18 თებერვალს სოფ. წინწყაროში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დევნილებისთვის გადაცემული საცხოვრებელი ფართი საჭიროებს სერიოზულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სახლები წლების მანძილზე იყო მიტოვებული, ნაწილს დაზიანებული აქვთ სახურავი, ჩასასმელია მინები, კარ-ფანჯარა, შესაკეთებელია იატაკი და გაყვანილობა.³⁸² დევნილებისათვის, ისევე, როგორც მთლიანად სოფელში მცხოვრები მოსახლეობისთვის, მთავარი პრობლემა სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობაა. სოფელს სასმელი წყალი მიეწოდება გრაფიკით, რაც შეეხება სარწყავ წყალს, სოფელს ის საერთოდ არ მიეწოდება.

საინტერესოა შეფასდეს ნოემბერ-იანვარში მიმდინარე გამოსახლების/განსახლების პროცესის შედეგები და ისიც, თუ როგორია სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ალტერნატივებზე დევნილთა თანხმობის მაჩვენებელი. სამინისტროს მონაცემებით, ამ ეტაპზე, შეთავაზებულ ალტერნატივებს მხოლოდ 21 დევნილი ოჯახი დასთანხმდა, რაც

³⁸⁰ The Right to adequate housing (art.11(1)):13/12/91, CESCR General Comment 4, para.8(e).

³⁸¹ აღნიშნული ინფორმაცია გადამოწმდა პროექტის დამკვირვებლის მიერ სამინისტროს ადგილობრივი სამმართველოს თანამშრომლებთან.

³⁸² მხოლოდ ერთი დევნილი ოჯახის შემთხვევაში აღმოჩნდა სერიოზული პრობლემა. დევნილი ოჯახი უარს აცხადებს მათთვის გადაცემულ სახლში ცხოვრებაზე, ვინაიდან მათი განცხადებით სახლი არის ავარიული.

ცხადყოფს რომ დევნილთა უმეტესობამ კერძო სექტორში განსახლება არჩია (ძირითადად ქირით ან ნათესავების ბინაში დროებითი განსახლება) სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ალტერნატივას. არსებული მონაცემებით, ნოემბერ-იანვრის პერიოდში სულ 534 ოჯახის გამოსახლება/განსახლება განხორციელდა, აქედან 68 ოჯახმა მიიღო კოტეჯის სანაცვლო კომპენსაცია, 131 დევნილი ოჯახი დაუბრუნდა კოლექტიურ ცენტრებს, სადაც ოფიციალურად იყვნენ მიწერილი, 21 ოჯახი დასთანხმდა განსახლებას და მიიღო სამინისტროს შემოთავაზება, ხოლო 193 დევნილმა ოჯახმა უარი განაცხადა რეგიონებში წასვლაზე და კერძო სექტორში გავიდა საცხოვრებლად.

ამგვარი შედეგი თავისთავად ცხადყოფს იმას, რომ შეთავაზებული ალტერნატივები, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მიუღებელია დევნილებისათვის, შესაბამისად, მათი უმრავლესობა უკეთესი ალტერნატივის მოლოდინში დროებით კერძო სექტორში განსახლებას ამჯობინებს. ცხადია, ეს სერიოზული პრობლემა გახდება სამინისტროსთვის, ვინაიდან დევნილთა ამგვარი გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად გაზრდის კერძო სექტორში განსახლებული დევნილების რიცხვს,³⁸³ რომელთა მოლოდინებიც შესაძლოა მომავალშიც არ დაემთხვეს სამინისტროს შეთავაზებებს, რაც ჩიხში შეიყვანს სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს.

ნათელია, რომ განსახლება მტკივნეული პროცესია დევნილებისათვის. ტექნიკურად შეუძლებელია თბილისში მყოფი ყველა დევნილის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ადგილზე, თუმცა აუცილებელია დევნილთათვის შეთავაზებული ალტერნატივები იყოს ადეკვატური. ადეკვატური საცხოვრებელი პირობები, თავის მხრივ, მოიცავს არა მხოლოდ შენობისა და ფართის ადეკვატურობას, არამედ აუცილებელია გათვალისწინებული იყოს სხვა არაერთი ასპექტიც. კერძოდ, მნიშვნელოვანია საცხოვრებლის მდებარეობა. საცხოვრებელი უნდა მდებარეობდეს ისეთ ადგილზე, სადაც ხელმისაწვდომი იქნება როგორც სამუშაო ადგილები, ასევე, სკოლები, საბავშვო ბაღები, სამედიცინო პუნქტები და სხვადასხვა სოციალური სერვისის ობიექტები.³⁸⁴ სათანადო საცხოვრებელი არ უნდა განიხილონ ვიწრო ან შეზღუდული გაგებით და მხოლოდ ჭერის ქონას არ უნდა ნიშნავდეს, „იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც ნებისმიერ ადგილას უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრების უფლება.“³⁸⁵ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გრძელვადიანი გადაწყვეტის ჩარჩო პრინციპებშიც (Framework on Durable Solutions for Internally Displaced Persons)³⁸⁶ ყურადღება გამახვილებულია საარსებო წყაროებსა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე. ხაზგასმულია, რომ დევნილებს უნდა მიეცეთ ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილების

³⁸³ სამინისტროს მონაცემებით კერძო სექტორში განსახლებული დევნილების რაოდენობა, დევნილი მოსახლეობის 60%-ს შეადგენს.

³⁸⁴ იხ. ზევით 17, General Comment 4, para.8(d).

³⁸⁵ იქვე, para.7.

³⁸⁶ Report of the Representative of the Secretary-General on the human rights of internally displaced persons, Walter Kalin, Addendum – Framework on Durable Solutions for Internally Displaced persons, A/HRC/13/21/Add.4, 29 December 2009. <http://www2.ohchr.org/english/issues/idp/docs/A.HRC.13.21.Add.4_framework.pdf>

საშუალება და ამისათვის შესაძლოა საწირო გახდეს პოზიტიური პრეფერენციული ზომების მიღებაც.³⁸⁷ აუცილებელია სამინისტროს წარმომადგენლებმა აქცენტი გააკეთონ სწორედ ისეთი ტიპის ადგილებზე, სადაც დასაქმების მეტი შესაძლებლობა იქნება.

აღნიშნულ საკითხზე რეკომენდაციები გაკეთდა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი მოუწოდებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, ხელი შეუწყოს დევნილებს, რათა ისინი ჩაერთონ პროფესიული სწავლების პროგრამებში და შეუქმნას შესაბამისი პირობები, რათა ხელი მიუწვდებოდეთ შემოსავლის მომტან საქმიანობაზე.³⁸⁸ გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი ვოლტერ კელინი ანგარიშში აღნიშნავს, რომ დევნილთა საცხოვრებელ ადგილას ინტეგრაციის პროცესში მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სამუშაო ადგილების შექმნას.³⁸⁹ საქართველოს მთავრობას მსგავსი რეკომენდაციებით არაერთმა სახელმწიფომ მიმართა. კერძოდ, სახელმწიფოები მოუწოდებენ საქართველოს მთავრობას, დევნილთა გამოსახლებისას დაიცვან საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები, ახალი განსახლების ადგილებში უზრუნველყოს დევნილები ადეკვატური საცხოვრებელით, სამუშაო ადგილებით, განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობით.³⁹⁰

მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ თბილისის მასშტაბით სოპ-ის პრინციპებისა და მოთხოვნების არაჯეროვან დაცვაზე, უნდა აღინიშნოს, რომ სოპ-ის სტანდარტები საერთოდ არ გამოიყენეს აჭარაში 2011 წლის თებერვალს, გოგოლის ქუჩაზე მდებარე შენობიდან დევნილთა გამოსახლების პროცესში. ოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნული შენობა 2007 წელს თვითნებურად დაიკავა კერძო სექტორის დევნილთა ექვსმა ოჯახმა. გამოსახლების შესახებ გაფრთხილების შეტყობინების ფურცელი დევნილებმა პოლიციისგან მიიღეს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსის მხრიდან კი მათ მხოლოდ ზეპირი ფორმით ეცნობათ, რომ ფართის დაცლის სანაცვლოდ ისინი მიიღებდნენ საგარანტიო წერილს აჭარაში დაგეგმილი მშენებლობის დასრულების შემდეგ საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის შესახებ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს რეგიონული სამმართველოების თანამშრომლების ინფორმირება მიღებული დოკუმენტების შესახებ, რათა რეგიონულ დონეზე დაიცვან სოპ-ით გათვალისწინებული პროცედურები. დოკუმენტში წარმოდგენილი პრინციპები მხოლოდ თბილისში მიმდინარე

³⁸⁷ იქვე

³⁸⁸ UNHCR observations on the resumption of the IDP relocation process, UNHCR Tbilisi, February 2011.

³⁸⁹ იბ. ზევიტ 4, para.34.

³⁹⁰ Human Rights Council, A/HRC/WG.6/10/L.9, draft report of the Working Group on the Universal Periodic Review, Georgia, 3 February 2011, Recommendations 105.91 (Greece), 105.92 (Switzerland), 105.93 (United Kingdom), 105.94 (Spain), 105.95 (Netherlands).

გამოსახლების/განსახლების პროცესს არ მოიცავს და ისინი ყველა რეგიონში თანაბრად უნდა დაიცვან.

„დევნის სტატუსის მაძიებლები“ - დევნის სტატუსის გარეშე მყოფი კონფლიქტით დაზარალებული პირები

2010 წლის სპეციალურ ანგარიშში საუბარი იყო პრობლემაზე, რომელიც ე.წ. არაკონტროლირებადი/კონფლიქტის ზონის მოსახლურ სოფლებიდან (ზარდიანთკარი, გუგუტიანთკარი, ახალი ხურვალეთი, ზემო ნიქოზი) დევნილ მოსახლეობას შეეხება. მათ დღემდე არ აქვთ დევნის სტატუსი, მათი უმეტესობა დღემდე გორში მდებარე საბავშვო ბაღების შენობებშია დროებით შესახლებული. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის კონფლიქტიდან 2 წელზე მეტია გასული, ხელისუფლების პოზიცია ამ ადამიანების მიმართ კვლავაც გაურკვეველია.

ერთ-ერთი საქმე, რომელზეც საუბარი იყო სპეციალურ ანგარიშში, ახალი ხურვალეთიდან დევნილ ფირუზ ვანიევს შეეხებოდა, რომლისთვის დევნის სტატუსის მინიჭების საკითხი დღემდე არ გადაწყვეტილა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ფირუზ ვანიევს ეცნობა, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს, არ ვრცელდება ქართული მხარის იურისდიქცია. მიუხედავად იმისა, რომ ფირუზ ვანიევმა აღნიშნული დოკუმენტი წარადგინა სამინისტროში, მისთვის დღემდე დევნის სტატუსი არ მიუნიჭებიათ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ფირუზ ვანიევს საქმესთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს არაერთხელ მიმართა, თუმცა ოფიციალური პასუხი წერილებზე არ მიგვიღია.³⁹¹

2010 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ანალოგიურ საკითხზე კოლექტიური განცხადებით მიმართეს გორის საბავშვო ბაღებში დროებით მცხოვრებმა პირებმა.³⁹² მათი განმარტებით, ისინი იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილები გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიანთკარში უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო. განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ასევე ცხადი ხდება, რომ ეს ოჯახები არ იღებენ სახელმწიფო დახმარებას, არ აქვთ დევნის სტატუსი და სახელმწიფო ამ ეტაპზე არ ზრუნავს მათი გრძელვადიანი საცხოვრებელით დაკმაყოფილების საკითხზე. სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და გამოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა კონკრეტული ღონისძიებების გატარება იგეგმება ამ პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, თუმცა კონკრეტული პასუხი ამ თემასთან დაკავშირებით არ მიგვიღია.

³⁹¹ წერილის ნომრები: 2609/04-11/0639-10; 3661/04-11/0639-10; 78/04-11/0639-10.

³⁹² სახალხო დამცველის აპარატს დევნილებმა მიმართეს 2010 წლის 27 ოქტომბერს, #3655/04-9/1635-10 წერილით.

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს იგეგმება ქალაქ გორში მდებარე საბავშვო ბაღებიდან დევნილთა გამოსახლებების პროცესი, ცხადია, პროცესი შემუშავებული ოპერაციული პროცედურების შესაბამისად უნდა წარიმართოს, რაც გულისხმობს პროფაილინგის ჩატარებას ყველა ობიექტზე. თუმცა მიზანშეწონილი იქნება, სამინისტროს წარმომადგენლებმა მიერ პირველ რიგში გაითვალისწინონ ამ კონკრეტული კატეგორიის ოჯახების საჭიროებები და სოპ-ით გათვალისწინებული გამოსახლების პროცესის დაწყებამდე მიიღონ გადაწყვეტილება აღნიშნული ოჯახებისთვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება თავად სტატუსის საკითხს, შეიძლება ითქვას, რომ არსებული საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ზემოხსენებული ჯგუფი ხვდება გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში ჩამოყალიბებულ დევნილის ცნების განსაზღვრებაში. სახელმძღვანელო პრინციპები განმარტავს, რომ: „იძულებით გადაადგილებულ პირად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოადევს ან იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა **გაპქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას**, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს, ამასთან, არ გადაუკვეთიათ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი.“³⁹³

„იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი განმარტავს, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც **იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი** და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ **საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას** უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.“

აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ დევნილობის ფაქტი პირდაპირ უკავშირდება დაბრუნების უფლების რეალიზებას. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლებიდან დევნილებს ტექნიკურად აქვთ სოფლებში დაბრუნების შესაძლებლობა, ამ ეტაპზე ადგილზე ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის საჭირო პირობები არ არის შექმნილი. კერძოდ, ეს ადამიანები მიუთითებენ უსაფრთხოების პრობლემებზე. დაბრუნების უფლების რეალიზებისთვის კი აუცილებელია, რომ ხელისუფლების უფლებამოსილმა ორგანოებმა იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუქმნან პირობები და მისცენ მათ საშუალება, „**დაბრუნდნენ თავიანთი ნებით, უსაფრთხოდ და ღირსეულად თავიანთ სახლებში** ან საცხოვრებელ ადგილებში.“³⁹⁴ იმ

³⁹³ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, E/NC.4/1998/53/ADD.2, პრეამბულა, პუნქტი 2.

³⁹⁴ იქვე, პრინციპი 28.1.

შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირობები არ იქნება დაცული, დევნილებს აქვთ ობიექტური საფუძველი, სახელმწიფოსგან მოითხოვონ დევნილის სტატუსის მინიჭება.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, აუცილებელია დროულად გადაწყდეს კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლებიდან, ე.წ. არაკონტროლირებადი სოფლებიდან, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით³⁹⁵ გაწერილი პროცესის მიმდინარეობა

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელზეც სპეციალურ ანგარიშში იყო ყურადღება გამახვილებული, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით (შემდგომში სამოქმედო გეგმა) გაწერილი პრივატიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობის ნელ ტემპებს შეეხებოდა. აღნიშნული საკითხი კვლავაც პრობლემური რჩება. მიუხედავად იმისა, რომ როგორც სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, მიმდინარეობს რეაბილიტირებული ფართების დევნილებისთვის საკუთრებაში გადაცემის პროცესი, ტემპი არ შეესაბამება დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადებს. სამინისტროს 2010 წლის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში არსებული 1600 კომპაქტური განსახლების ობიექტიდან მხოლოდ 544 ობიექტში მცხოვრები დევნილების ბედია გადაწყვეტილი. ეს ის ობიექტებია, რომლებიც გრძელვადიან საცხოვრებლად გადაკეთდა დევნილთათვის. კომპაქტური განსახლების ობიექტების უმეტესობის ბედი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. საუბარია საქართველოს მასშტაბით არსებულ 1044 ობიექტზე, სადაც არც სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარებულა და არც ისაა განსაზღვრული საერთოდ მოხდება თუ არა ამ ობიექტების პრივატიზება.³⁹⁶

სამინისტროს მონაცემებით, 1044 ობიექტიდან შესაძლოა მხოლოდ 596 კოლექტიური ცენტრი გამოიყენონ გრძელვადიან საცხოვრებლად, ხოლო დარჩენილი 446 კოლექტიური ცენტრი უნდა გამოთავისუფლდეს. მიზეზად სახელდება ობიექტების კერძო საკუთრებაში ან მძიმე მდგომარეობაში ყოფნა.³⁹⁷

³⁹⁵ საქართველოს მთავრობის განკარგულება N403, 2009 წლის 28 მაისი, 2010 წლის 11 მაისს N575 განკარგულებით მოხდა სამოქმედო გეგმის განახლება.

³⁹⁶ IDP Housing Strategy and Working Plan, 2010 Government of Georgia, Ministry of IDPs from Occupied Territories, Accommodation and Refugees of Georgia, Annex 7- The Structure of CCs, p.46-47.

³⁹⁷ იქვე.

როგორც ცნობილია, საქართველოს მასშტაბით კორპუსის ტიპის სახლები შენდება რამდენიმე ქალაქში, ესენია: ფოთი,³⁹⁸ წყალტუბო,³⁹⁹ ასევე, უახლოეს მომავალში იგეგმება მშენებლობების დაწყება ბათუმში. თუმცა, ამ მშენებლობების სწრაფი ტემპით დასრულების შემთხვევაშიც კი არსებული ფართები არ იქნება საკმარისი დევნილთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ნათელია ის გარემოებაც, რომ საკმარისი ფინანსების არარსებობის შემთხვევაში შესაძლოა, სახელმწიფო სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიებების განხორციელება ჩიხში შევიდეს. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ე.წ. კერძო სექტორის დევნილების დაკმაყოფილების ეტაპი ჯერ კიდევ არ არის დაწყებული. ამ პროცესის დაწყება კი განსხვავებული ტიპის მიდგომას საჭიროებს. ქვემოთ წარმოდგენილი კვლევის მიზანი სწორედ კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების საჭიროებების უკეთ წარმოჩენაა.

ე.წ. კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების მდგომარეობის კვლევა

სახალხო დამცველის 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში ასახული შედეგები ძირითადად წარმოადგენდა კოლექტიური განსახლების ობიექტებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობის კვლევას. სპეციალურ ანგარიშში ხაზგასმული იყო, რომ პროექტის ფარგლებში არ მომხდარა კერძო სექტორში განსახლებული დევნილების მდგომარეობის მონიტორინგი, ვინაიდან ასეთი ტიპის კვლევის ჩატარება მთელ რიგ სირთულეებთან იყო კავშირში. სირთულეების არსებობის მიუხედავად, მიღებულია გადაწყვეტილება, 2010 წლის ბოლოსათვის დაწყებულიყო მცირემასშტაბიანი კვლევა, რომელიც საქართველოს მასშტაბით კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების მდგომარეობის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მოგროვების შესაძლებლობას მოგვცემდა. მოცემულ თავში წარმოდგენილი შედეგები სწორედ კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილთა მდგომარეობის მონიტორინგის საფუძველზე გამოვლინდა.

კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების მდგომარეობის კომპლექსური შეფასების მიზნით მიღებულია გადაწყვეტილება, აღნიშნული კატეგორიის დევნილები საქართველოს მასშტაბით გამოიკითხონ. შესაბამისად, ანგარიშში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით გამოკითხული 279 დევნილი ოჯახის მონაცემს.

კვლევის დასაწყისში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და

³⁹⁸ ფოთში 32 კორპუსის ტიპის საცხოვრებელი სახლის აშენება იგეგმება, რომელიც დაახლოებით 1168 ბინას შეადგენს.

³⁹⁹ წყალტუბოში აშენდება 10 სახლი, რომელიც გათვლილია 352 ბინაზე.


ლტოლვილთა სამინისტროდან გამოითხოვა სახელობითი სია (რეგიონების მიხედვით) კერძო სექტორში განსახლებული დევნილებისა. 2010 წლის ნოემბრის თვეში სამინისტრომ გადმოგვცა მონაცემთა ბაზის ნაწილი, რომლის საფუძველზეც შეირჩნენ კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები. მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ ქალაქებში: თბილისი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი და ბათუმი.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი კერძო სექტორის დევნილების საჭიროებების შესწავლა იყო. ასევე ვცადეთ დაგვედგინა, რამდენად შეესაბამება სამინისტროში არსებული მონაცემთა ბაზა დღეს არსებულ რეალობას. დავინტერესდით, ზოგადად რა სოციალური ფონია კერძო სექტორში, არიან თუ არა დასაქმებული დევნილი ოჯახები, ჩართული არიან თუ არა ისინი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ პირთა დახმარების სახელმწიფო სოციალურ პროგრამაში, რა ძირითადი პრობლემების წინაშე დგანან და ა.შ.


სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების მდგომარეობით ნაკლებად ინტერესდებიან. გაცილებით მეტია ყურადღება კოლექტიური განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილების მიმართ. შესაბამისად, კერძო სექტორში განხორციელებული მონიტორინგი კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილთა პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოგროვების მცდელობა იყო. მონიტორინგის ფარგლებში შევეცადეთ, დაგვედგინა რამდენად არიან ეს დევნილი ოჯახები ინფორმირებული დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიებების შესახებ, იციან თუ არა რომელ ეტაპზე დააკმაყოფილებს მათ სახელმწიფო და რა ღონისძიებებია გათვალისწინებული კერძო სექტორში მცხოვრები თითოეული კატეგორიის დევნილის მიმართ.

კვლევისას პროექტის დამკვირვებლები არაერთ პრობლემას წააწყდნენ. უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ის, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი აღარ ცხოვრობს სამინისტროს მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე (საუბარია ჩვენ მიერ გადამოწმებული ოჯახების 44%-ზე). მონიტორინგის განხორციელებისას ცხადი გახდა, რომ ბაზაში მითითებული მისამართების დიდი ნაწილი არაზუსტია. რიგ შემთხვევებში ადგილზე მისვლისას ცხადი ხდებოდა, რომ მითითებულ მისამართზე მდებარეობდა მრავალსართულიანი კორპუსები, მონაცემთა ბაზაში კი მხოლოდ ქუჩის ნომერი იყო დაფიქსირებული. ეს ფაქტობრივად შეუძლებელს ხდიდა კონკრეტული პირის მოძიებას. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოწოდებულ მისამართზე არ ცხოვრობდა და არც არასოდეს უცხოვრია იძულებით გადაადგილებულ ოჯახს. სიაში გვხვდებოდა ისეთი მისამართებიც, რომლებიც საერთოდ არ არსებობს (მაგ. გორში სიაში მითითებული იყო ისეთი ქუჩის ნომრები, სადარბაზოები, კორპუსები და ბინის ნომრები რომლებიც არ არსებობდა). მიუხედავად ამისა, პროექტის დამკვირვებლები ცდილობდნენ ამ დევნილი ოჯახების ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის დადგენას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კითხვარის პირველ შეკითხვაზე მიღებული პასუხი მოულოდნელი არ არის. შეკითხვაზე, ცხოვრობს თუ არა დევნილი ოჯახი სამინისტროს მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე, ასეთი პასუხი მივიღეთ:




როგორც ზემოთ აღინიშნა, იმ შემთხვევაში, თუკი დევნილი ოჯახი არ ფიქსირდებოდა მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე, პროექტის დამკვირვებლები ცდილობდნენ ამ ოჯახების ფაქტობრივი მისამართის დადგენას. რიგ შემთხვევებში ეს შესაძლებელი გახდა მეზობლების, ნათესავების, სხვა დევნილი ოჯახების დახმარებით. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარკვეულ შემთხვევებში დევნილთა ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას სამინისტროს რეგიონული სამმართველოების თანამშრომლები გვაწვდიდნენ. ჩვენ მიერ გადამოწმებული 279 ოჯახიდან, საბოლოოდ, ასეთი სურათი მივიღეთ:



უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქების მიხედვით პროცენტული მაჩვენებელი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. თბილისში მცხოვრები კერძო სექტორის დევნილების 72.5% არ ცხოვრობს მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე, ასევე, მაღალია გორში მცხოვრები დევნილების მისამართზე არყოფნის მაჩვენებელი - 64%. განსხვავებული ვითარებაა ზუგდიდში, სადაც კერძო სექტორის დევნილთა 60.3% მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე ფიქსირდება. მეტ-ნაკლებად მაღალი მაჩვენებელია ქუთაისშიც, სადაც კერძო სექტორის დევნილთა 48% მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე ცხოვრობს.


ის გარემოება, რომ მისამართების საკმაოდ დიდი ნაწილი არ ემთხვევა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართებს, გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ დევნილები ხშირად იცვლიან საცხოვრებელს. როგორც მონიტორინგისას ჩვენთვის გახდა ცნობილი, მისამართის შეცვლის შემთხვევაში დევნილები არ მიმართავენ სამინისტროს გადამისამართების თხოვნით.⁴⁰⁰ ვცადეთ, გაგვერკვია საშუალოდ რა პერიოდულობით იცვლიან დევნილები საცხოვრებელს, შედეგად ასეთი პასუხი მივიღეთ:



საცხოვრებლის შეცვლის უმთავრეს მიზეზად დევნილების უმრავლესობა ქირის გადაუხდელობას ასახელებს. დევნილების განმარტებით, არასტაბილური შემოსავალი ქირის საფასურის გადაუხდელობის მიზეზია და შესაბამისად, არასტაბილური სამსახურის მქონე დევნილი ოჯახები იძულებული ხდებიან, დატოვონ საცხოვრებელი ფართი. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მისამართის ცვლილების მიზეზად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაც დასახელდა, უფრო კონკრეტულად კი საკუთარი სახლის შეძენა. თუმცა ამგვარი პასუხი გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილმა გაგვცა. მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების გარკვეული ნაწილი იძულებულია ან ნათესავის ბინას შეაფაროს თავი, ან თვითნებურად დაიკავოს ფართი ცარიელ შენობაში. (ასეთი კატეგორია ძირითადად თბილისის მასშტაბით დაფიქსირდა). შესაბამისად, დევნილებისათვის პროექტის

⁴⁰⁰ გამოკითხულთა 75.2%-მა განაცხადა, რომ საცხოვრებლის შეცვლის შემდეგ სამინისტროსთვის არ მიუმართავს გადამისამართების თხოვნით.

დამკვირვებლების დასმულ კითხვაზე, რა სტატუსით იმყოფებოდნენ დევნილები ფაქტობრივ საცხოვრებელში, ასეთი პასუხი მივიღეთ:




როგორც ცნობილია, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მეორე ეტაპი მოიცავს იმ დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, რომლებიც უარს იტყვიან კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში არსებული ფართების საკუთრებაში მიღებაზე და ასევე, იმ დევნილების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, რომლებიც ცხოვრობენ ე.წ. კერძო სექტორში. როგორც სტრატეგიის, ისე სამოქმედო გეგმის მიხედვით ამ კატეგორიის დევნილები 2010 წლიდან უნდა დაეკმაყოფილებინათ, თუმცა ვინაიდან ჯერ კიდევ არ არის დასრულებული კოლექტიური ცენტრების პრივატიზების პროცესი, სამინისტროს კონკრეტული ნაბიჯები არ გადაუდგამს დევნილთა ამ კატეგორიის დასაკმაყოფილებლად. 2010 წლის მაისში განახლებულმა სამოქმედო გეგმამ კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები ოთხ კატეგორიად დაყო, კერძოდ:

- ა) კერძო სექტორში განსახლებული დევნილები, რომელთაც აქვთ უძრავი ქონება;
- ბ) დევნილები, რომლებიც ცხოვრობენ ნათესავებთან ან ქირით და ამავდროულად, აქვთ მიწის ნაკვეთი;
- გ) დევნილები, რომლებიც არიან ნათესავებთან ან ქირით და არ აქვთ უძრავი ქონება;
- დ) დევნილები, რომლებმაც მიიღეს ფულადი კომპენსაცია სტრატეგიის დამტკიცებამდე და ეს თანხა არ გამოიყენეს უძრავი ქონების შესაძენად.

ამგვარი დიფერენციაცია მისასაღმებელია, მაგრამ არის გარკვეული სირთულეებიც რომლებიც ამ ტიპის მონაცემების შეგროვებას უკავშირდება. ცხადია, რომ ასეთი დეტალური მონაცემების შესაგროვებლად აუცილებელი გახდება კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების აღწერის ჩატარება, ასევე, მიზანშეწონილია სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნაც, რომელიც დეტალურად გაწერს ამ კუთხით ჩასატარებელი სამუშაოების სპეციფიკას.

პროექტის მიერ განხორციელებული კვლევის მიმდინარეობისას ვცადეთ გაგვერკვია, რომელი კატეგორიის დევნილები არიან უძრავი საკუთრებაში და რა მოლოდინები აქვთ თითოეული კატეგორიის დევნილ ოჯახებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის დამკვირვებლებს არანაირი მექანიზმი არ გააჩნდათ ამა თუ იმ დევნილი ოჯახის რომელიმე კონკრეტული კატეგორიისადმი მიკუთვნების სიზუსტის გადასამოწმებლად. ცხადია, კვლევის მიზნებისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, თუმცა აშკარაა, რომ სამინისტროს წარმომადგენლებისათვის საკმაოდ რთული იქნება მომავალში კერძო სექტორში განსახლებული დევნილების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებისას მათი ამა თუ იმ კატეგორიისადმი მიკუთვნების სიზუსტის დადგენა/გადამოწმება.



როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, ჩვენ მიერ გამოკითხული კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების თითქმის ნახევარი „გ“ კატეგორიას (დევნილები, რომლებიც არიან ნათესავებთან/არანათესავებთან ან ნაქირავები აქვთ საცხოვრებელი ფართი, რომელთაც არ გააჩნიათ უძრავი ქონება) მიეკუთვნება, ამ ადამიანებს არ გააჩნიათ არანაირი უძრავი ქონება. მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ დევნილების 17,6%-

ს აქვს უძრავი ქონება და უზრუნველყოფილია საკუთარი საცხოვრებელი ფართით. ძალიან მცირეა „ბ“ კატეგორიის (დევნილები, რომლებიც არიან ნათესავებთან/არანათესავებთან ან ნაქირავები აქვთ საცხოვრებელი ფართი, არ გააჩნიათ სახლი, მაგრამ აქვთ მიწის ნაკვეთი საკუთრებაში) დევნილების პროცენტული მაჩვენებელი. მონიტორინგისას ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ასევე, გაგვეჩვენა, რა მოლოდინები აქვს თითოეული ამ კატეგორიის დევნილ ოჯახს.

პროექტის დამკვირვებლების მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რა ტიპის დახმარების გაწევას საჭიროებენ „ა“ კატეგორიის (დევნილები, რომლებსაც აქვთ უძრავი ქონება, უზრუნველყოფილი არიან საკუთარი საცხოვრებელი) დევნილები, რომლებიც გამოკითხულთა 17,6%-ს წარმოადგენენ, შემდეგი სახის პასუხი მივიღეთ: უმრავლესობა დევნილებისა კონფლიქტის შედეგად დაკარგული ქონების კომპენსაციას მოითხოვს სახელმწიფოსგან (30.6%), გარკვეული კატეგორია – საცხოვრებელი ფართითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით დახმარებას, ნაწილი – საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო ფინანსურ დახმარებას. პროექტის დამკვირვებლები დევნილებს განუმარტავდნენ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში სამოქმედო გეგმაში „ა“ კატეგორიის დევნილთა მიმართ დაგეგმილი ღონისძიებები დევნილთა დიდ აგრესიას იწვევდა. დევნილებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს არაფერი გაუკეთებია მათ დასახმარებლად, წლების მანძილზე საკუთარი სახსრებით უწევდათ ყველა პრობლემის გადაჭრა და გარდა 28-ლარიანი შემწეობისა სახელმწიფოს მხრიდან არანაირი შეღავათით არ უსარგებლიათ. ამიტომაც, „ა“ კატეგორიის დევნილი ოჯახების უმრავლესობას უსამართლოდ მიაჩნია მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების ან სამშენებლო მასალებით დახმარების თაობაზე. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საჭიროა, სამინისტროს წარმომადგენლებმა დევნილებს მკაფიოდ განუმარტონ, რომ სახელმწიფო სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიებების მიზანი არის დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და არა კონფლიქტის შემდეგ დაკარგული ქონების რესტიტუცია.⁴⁰¹

„გ“ კატეგორიის დევნილების შემთხვევაში მთავარი შეკითხვა მათი სამომავლო განსახლების ადგილს უკავშირდებოდა. „გ“ კატეგორიის დევნილების უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ სახელმწიფოსგან საცხოვრებელი ფართი მხოლოდ იმ მუნიციპალიტეტში/ქალაქში სურთ, რომელშიც ამჟამად ცხოვრობენ (მსგავსი პასუხი გავცა თბილისში გამოკითხულთა 98.4%, გორში მცხოვრებთა 90,9%, ზუგდიდში

⁴⁰¹ ქონების რესტიტუციის საკითხი განხილული იყო 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში, რომელშიც აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ სახელმწიფომ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ჩამოაყალიბოს ქონების რესტიტუციის მექანიზმი, რომელიც გადაწყვეტს ყველა არსებულ ქონებრივ დავას. გვ.70-71.

მცხოვრებთა 52,9%,⁴⁰² რაც შეეხება ბათუმსა და ქუთაისში მცხოვრებ „გ“ კატეგორიის დევნილებს, მათი 100% ადგილზე დარჩენას ითხოვს).


როგორც უკვე განიმარტა, „დ“ კატეგორიას განეკუთვნება ის დევნილი ოჯახები, რომლებმაც უკვე მიიღეს ფულადი კომპენსაცია სტრატეგიის დამტკიცებამდე და ეს თანხა არ გამოიყენეს უძრავი ქონების შესაძენად. ამ კატეგორიის დევნილები ძირითადად აჭარაში არიან წარმოდგენილი, ისინი მასობრივად 2006 წელს გამოასახლეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოჯახებმა მიიღეს კომპენსაციის სახით გარკვეული თანხა, მიღებული თანხების არასაკმარისი ოდენობისა და სივრცეში დაშვებული უზუსტობების გამო უძრავლესობამ ვერ შეძლო საცხოვრებელი ფართის შეძენა. შესაბამისად, მათი უძრავლესობა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას ისევ სახელმწიფოსგან მოითხოვს.

სამოქმედო გეგმის 2.2.3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში ჩამოყალიბებული ფორმულირება ამ კონკრეტული კატეგორიის დევნილების მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საკმაოდ ბუნდოვანია. მიუხედავად იმისა, რომ საუბარია გასაჩივრების შესაძლებლობაზე, არ არის დაკონკრეტებული, რა იგულისხმება სამინისტროს მხრიდან „სათანადო რეაგირებაში.“ სასურველია, დეტალურად და მკაფიოდ ფორმულირდეს აღნიშნული პუნქტი, რათა დევნილებს არ გაუჩნდეთ უსაფუძვლო მოლოდინები. ამ ეტაპისათვის ჩვენ მიერ გამოკითხული „დ“ კატეგორიის დევნილების 95,8% სახელმწიფოს მხრიდან საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას მოითხოვს.

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საცხოვრებელი ფართი არის ყველაზე მთავარი პრობლემა, როზელზეც კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები ყველაზე აქტიურად მიუთითებენ. რა თქმა უნდა, არის სხვა პრობლემებიც, როგორიცაა: დასაქმების პრობლემა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, გაჭიანურებული კონფლიქტები, ქონების რესტიტუციის საკითხი და ა.შ. თუმცა, ყველაზე მწვავე პრობლემად დევნილები მაინც საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხს მიუთითებენ.

აღნიშნულს ადასტურებს მოცემული ცხრილიც. დასმულ კითხვაზე, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა,⁴⁰³ დევნილი ოჯახებისგან ასეთი ტიპის პასუხები მივიღეთ:


⁴⁰² ზუგდიდის შემთხვევაში ნაწილი დევნილებისა განიხილავს ფოთსა და სენაკში განსახლების ალტერნატივას.



კერძო სექტორის დევნილების შემთხვევაში დასაქმების საკითხი კიდევ უფრო მეტად პრობლემურია. თუ კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილებისთვის მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ხელმისაწვდომია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული გადამზადების პროგრამები და მცირე სესხების პროგრამა, ამგვარი ტიპის ინიციატივები საერთოდ არ გვხვდება კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების შემთხვევაში. სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების პროგრამების შექმნა და წახალისება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს კერძო სექტორში მცხოვრები დევნილებისთვის. კვლევის ფარგლებში გამოკითხული დევნილების მხოლოდ 26.9% არის დასაქმებული, რაც შეიძლება ითქვას, რომ საგანგაშო სურათია.

⁴⁰³ უნდა განიმარტოს ისიც, რომ აღნიშნული ღია ტიპის კითხვა იყო და დევნილები არანაირად არ იყვნენ პასუხში შეზღუდული.

დასაქმებული ხართ თუ არა? რეგიონების მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი ასე გამოიყურება:




პრობლემურია ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხებიც. კერძო სექტორში მცხოვრები არაერთი დევნილი აცხადებს, რომ მიმართეს სამინისტროს ერთჯერადი ფულადი შემწეობის გამოყოფის თხოვნით, რაც რიგ შემთხვევაში დაკმაყოფილდა, თუმცა ერთჯერადი დახმარება არ შეიძლება იყოს გამოსავალი ქრონიკული დაავადებების მქონე ავადმყოფებისათვის. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების საკმაოდ დიდი ნაწილი არ არის ჩართული სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ პირთა სოციალური დახმარების პროგრამაში, შესაბამისად, არ გააჩნიათ უფასო სამედიცინო დაზღვევის პოლისები. ამისი მთავარი მიზეზი ხშირად მათი ნათესავების, ახლობლების ან დაქირავებულ ბინებში ყოფნაა. სოციალური აგენტის მიერ ფასდება აღნიშნული ფართობი, რაც ბუნებრივია, ქულათა მაღალი მაჩვენებლის გამომწვევი ხდება. ამის გამო დევნილები ხშირად ვერ ხვდებიან სოციალურად დაუცველთა პროგრამაში. რიგ შემთხვევაში, დევნილთა მიერ საცხოვრებელი ადგილის სისტემატური ცვლილების გამო, სოციალურ აგენტებს უჭირთ დევნილი ოჯახების მოძიება, რის გამოც მათ მდგომარეობას საერთოდ ვერ აფასებენ. ანალოგიური შეიძლება ითქვას კერძო სექტორს მიკუთვნებულ იმ ოჯახებზე, რომელთაც დევნილის მოწმობაში, საცხოვრებელი ადგილის გრაფაში, მითითებული აქვს „უმისამართო.“ ამ კატეგორიის დევნილების მოძიება და მათი უფლებრივი

მდგომარეობის მონიტორინგი განსაკუთრებით დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც კვლევისას შევაჩერეთ ყურადღება, სამინისტროსა და კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილთა შორის კომუნიკაციაა. როგორც გამოიკვეთა, კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილთა 58.4%-ს ერთხელ მაინც მიუმართავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის. ძირითადად დევნილები სამინისტროს მიმართავდნენ საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებული კითხვით (გამოკითხულთა 71.2%), ასევე, ერთჯერად ფულად შემწეობებთან დაკავშირებით, დასაქმებაში ხელშეწყობის თხოვნით და ა.შ. ასევე ვცადეთ გაგვეჩვენა, რა მდგომარეობაა დევნილებში ინფორმირებულობის კუთხით და რამდენად იციან, რომელ ეტაპზე და როდის განახორციელებენ კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების მიმართ სხვადასხვა ღონისძიებას. დასმულ კითხვაზე საკმაოდ საინტერესო პასუხი მივიღეთ. როგორც გაირკვა, თბილისში ინფორმირებულობის კუთხით პრობლემები არ იკვეთება, თუმცა განსხვავებული ვითარებაა რეგიონებში, სადაც არაინფორმირებულობის პრობლემა აშკარად თვალშისაცემია.

იციო თუ არა რომელ ეტაპზე და როდის განხორციელდება ე.წ კერძო სექტორის მიმართ სხვადასხვა ღონისძიება?



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კერძო სექტორში განსახლებული დევნილების უმრავლესობას კოლექტიურად განსახლებულ დევნილებზე არანაკლებ რთულ ვითარებაში უწევს ცხოვრება. მათი დიდი ნაწილი შესაძლოა, გაცილებით უფრო რთულ პირობებშიც ცხოვრობდეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მათი უმრავლესობა

არ იღებს საყოფაცხოვრებო სუბსიდიებს (შეღავათებს ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ აირზე და ა.შ.). ასევე გარკვეული ტექნიკური პრობლემების გამო მათი ნაწილის ჩართვა სიღარიბის ზღვარს მიღმა სოციალურად დაუცველთა პროგრამაში ვერ ხერხდება. თუმცა ყველაზე მწვავე პრობლემად მაინც საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა რჩება. შესაბამისად, აუცილებელია, კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილთათვის გათვალისწინებულ ღონისძიებათა იმპლემენტაცია მაქსიმალურად სწრაფად დაიწყოს. ვინაიდან, როგორც ჩვენი კვლევა აჩვენებს, დიდი ნაწილი მისამართებისა არაზუსტია, აუცილებელია სამინისტრომ კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების ხელახალი რეგისტრაცია განახორციელოს. რაც შეეხება კერძო სექტორში განსახლებული დევნილების ოთხ სხვადასხვა კატეგორიად დაყოფას, აუცილებელია გარკვეული მექანიზმის შემუშავება, რაც შესაძლებელს გახდის დევნილი ოჯახების გადამოწმებასა და ზუსტი სტატისტიკური მონაცემების წარმოებას. ასევე აუცილებელია, შემუშავდეს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების კრიტერიუმები,⁴⁰⁴ რომლებიც განსაზღვრავს კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების დაკმაყოფილების რიგითობას.

რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ განახორციელოს შემდეგი:

გამოსახლების საკითხთან დაკავშირებით:

- დევნილთა სხვადასხვა ობიექტიდან გამოსახლების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნეს "იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით გამოსახლების/სხვა საცხოვრებელში გადაყვანის სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით" გაწერილი სტანდარტების დაცვა;
- დევნილთა ალტერნატიულ საცხოვრებელში გადაყვანამდე სამეთვალყურეო საბჭომ საცხოვრებელი ფართები დადგენილ მინიმალურ საცხოვრებელ სტანდარტებს შეუსაბამოს;
- საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლებამდე/განსახლებამდე აუცილებელია იმ დევნილ ოჯახებს, რომლებსაც არ მიუღიათ კოტეჯის სანაცვლო საკომპენსაციო

⁴⁰⁴ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების კრიტერიუმები უკვე შემუშავებულია კომპაქტურად განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილებისათვის. აღნიშნული კრიტერიუმები განსაზღვრავს დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების რიგითობას.

თანხა, გადაეცეთ კუთვნილი თანხები სოპ-ით გაწერილი პროცედურების შესაბამისად;

- სახელმწიფომ უზრუნველყოს დევნილთა განსახლება ისეთ ადგილებში, სადაც მათ ხელი მიუწვდებათ საარსებო წყაროებსა და დასაქმებაზე. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა უნდა იძლეოდეს დევნილების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას;
- რეგიონებში განსახლებულ დევნილებს გადაეცეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ახალი განსახლების ადგილებზე განხორციელდეს დევნილთა დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები;
- დროულად გადაწყდეს დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხი იმ მოსახლეობისათვის, რომელიც ე.წ. არაკონტროლირებადი/ კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლებიდან არის იძულებით გადაადგილებული.

პრივატიზაცია- რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებით:

- კოლექტიური ცენტრების პრივატიზაცია- რეაბილიტაციის პროცესი დაჩქარებული ტემპებით განხორციელდეს, რათა დევნილი მოსახლეობა ადეკვატური საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდეს მაქსიმალურად მცირე დროში;
- დევნილთათვის გადაცემული რეაბილიტირებული ფართების სამართლებრივი სტატუსი დროულად განისაზღვროს, უზრუნველყონ იქნას ყველა დევნილი შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტით;
- განისაზღვროს იმ კოლექტიური ცენტრების ბედი, რომელთა საკითხიც ამ ეტაპზე გაურკვეველია (საუბარია იმ 1044 ობიექტზე, რომელთა რეაბილიტაცია- პრივატიზაციის საკითხი ამ ეტაპისათვის საბოლოოდ განსაზღვრული ჯერ კიდევ არ არის);

კერძო სექტორთან დაკავშირებით:

- შეიქმნას ე.წ. კერძო სექტორის დევნილთა საკითხზე მომუშავე ტექნიკური სამუშაო ჯგუფი, რომელიც დეტალურად გაწერს ამ კუთხით გასატარებელ ღონისძიებებს;
- მაქსიმალურად დაჩქარებული ტემპებით განხორციელდეს კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების ხელახალი რეგისტრაცია და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე მოხდეს დევნილთა კატეგორიზაცია;

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა

შესავალი

საქართველოში ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა სამართლებრივ სტატუსს, მისი მინიჭების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლებსა და ლტოლვილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმებები და „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს.

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად: „საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.“

2010 წლის ოქტომბრისათვის ლტოლვილის სტატუსს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემებით 692 პირი აკმაყოფილებს, ხოლო ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი კი 48 პირია.⁴⁰⁵

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროში არაერთი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა, დღესდღეობით საქართველოს ტერიტორიაზე ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დახარჯული რესურსების ძირითადი ნაწილი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არის გამოყოფილი.

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ საქართველოს შიდა კანონმდებლობა და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სამართალთან

საერთაშორისო სამართალში ლტოლვილთა და სტატუსის მაძიებელთა უფლებებსა და გარანტიებს გაეროს 1951 წლის კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ და ამ კონვენციის 1967 წლის ოქმი არეგულირებს. 1951 წლის კონვენცია და 1967 წლის ოქმი უნივერსალურ ნორმებსა და პრინციპებს ამკვირდებს, რომელთა დაცვისა და შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაციის ვალდებულება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოსაც აქვს, რომელიც 1951 წლის კონვენციასა და

⁴⁰⁵ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, <<http://mra.gov.ge/#index/264/GEO>>

1967 წლის ოქმს 1999 წლის 28 მაისს პარლამენტის N1996 -II ს დადგენილებით შეუერთდა.

1951 წლის კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ არ შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი პრინციპებით და საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს ლტოლვილთა და თავშესაფრის მძიებელთა უფლებებს, რაც თავისთავად აფართოებს ვალდებულებათა სფეროს, რომელიც საქართველომ საერთაშორისო შეთანხმებაში მონაწილეობით იკისრა.

კონვენციის მიხედვით, ლტოლვილთა უფლებები იმავე ხარისხით უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაცული, როგორც უცხოელებისა. ლტოლვილს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, დაკავდეს ანაზღაურებადი საქმიანობით, მიიღოს განათლება, ჰქონდეს საცხოვრებელი და საკვები იმავე საფუძველზე, როგორზეც ამ ქვეყნის მოსახლეობას ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.⁴⁰⁶ ასევე, სტატუსის დადგენის გასაადვილებლად მასპინძელმა სახელმწიფომ უნდა გასცეს ლტოლვილის დამადასტურებელი მოწმობები,⁴⁰⁷ ლტოლვილის გამეგება უნდა დარეგულირდეს კანონით⁴⁰⁸ და სახელმწიფომ „შეძლებისდაგვარად სწრაფად“ უნდა წარმართოს ლტოლვილთა ასიმილაციისა და ნატურალიზაციის პროცესი.⁴⁰⁹

გარდა ამისა, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის ერთ–ერთ ფუნდამენტურ პრინციპს არგამეგების პრინციპი წარმოადგენს. ამ პრინციპის თანახმად, საქართველოს, როგორც ხელშემკვრელ მხარეს, აქვს ვალდებულება, არ გაასახლოს ან დააბრუნოს ლტოლვილი იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა და პოლიტიკური მრწამსის გამო.⁴¹⁰

რაც შეეხება შიდა კანონმდებლობას, ლტოლვილთა საკითხი „ლტოლვილთა შესახებ“ 1998 წლის საქართველოს კანონით რეგულირდება.

მიუხედავად იმისა, რომ, კონსტიტუციის მე–6 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, ნორმებსა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, აღნიშნული კანონი არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნული პრობლემა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ არაერთხელ აისახა საპარლამენტო ანგარიშებში,⁴¹¹ მიუხედავად ამისა, ამ კუთხით ცვლილებები დღემდე არ განხორციელებულა.

⁴⁰⁶ 1951 წლის კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, 17–24–ე მუხლები

⁴⁰⁷ 1951 წლის კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, 27–ე მუხლი

⁴⁰⁸ 1951 წლის კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, 32–ე მუხლი

⁴⁰⁹ 1951 წლის კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, 34–ე მუხლი

⁴¹⁰ 1951 წლის კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, 33–ე მუხლი

⁴¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის მოხსენება, 2009 წლის პირველი ნახევარი, „ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობა“. გვ 164

„ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც ლტოლვილად ითვლებიან. კერძოდ: „ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგანაც იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო“.

აღნიშნული დებულება ზღუდავს იმ პირთა წრეს, რომლებსაც შესაძლებელია მიენიჭოთ ლტოლვილის სტატუსი, ვინაიდან მოითხოვს უკვე განხორციელებული დევნის არსებობას და გამორიცხავს დევნის საფუძვლიანი შიშის შემთხვევაში სტატუსის მინიჭებას.

„ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენცია კი ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისათვის, დევნის ფაქტის გარდა, ერთ–ერთ წინაპირობად მიიჩნევს პირის რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო დევნის საფუძვლიანი შიშს, რაც მოითხოვს სახელმწიფოებისაგან ამ ტერმინის როგორც სუბიექტური მხარის – პირის მიერ საკუთარი მდგომარეობის აღქმის, ასევე ობიექტური მხარის გათვალისწინებას.

რაც შეეხება სტატუსის მინიჭების პროცედურას, „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის თანახმად, პირის ლტოლვილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განცხადების რეგისტრაციიდან ოთხი თვის განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ. ამ დროის განმავლობაში პირი სარგებლობს ლტოლვილის სტატუსის მამდიებლის სტატუსით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ოფიციალური წერილის თანახმად, 2010 წლის განმავლობაში ლტოლვილის სტატუსის მამდიებლად დარეგისტრირდა 57 პირი, მათგან ლტოლვილის სტატუსი 3–ს მიენიჭა. შესაბამისად, ვინაიდან მიმართვიანობა მაღალი არ არის, პროცედურებთან დაკავშირებული პრობლემებიც შედარებით ნაკლებია. თუმცა, არსებობს გამოწვევები, როდესაც პირები ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას წლების განმავლობაში ითხოვენ. ასეთი პირების უმრავლესობა საქართველოს ტერიტორიაზე 2000 წელს შემოვიდა. მათ ლტოლვილის სტატუსი ჯერ კიდევ არ აქვთ მინიჭებული. შესაბამისად, მათთვის სტატუსის მინიჭების პროცესი გაჭიანურებულია და სცდება კანონმდებლობით დადგენილ ვადას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველისთვის მსგავსი პრობლემის შესახებ განცხადებით არ მიუმართავთ, აღნიშნულ პრობლემებზე აქტიურად საუბრობენ ამ საკითხებზე მომუშავე

ორგანიზაციები. შესაბამისად, აუცილებელია თითოეული მსგავსი ფაქტის დეტალური შესწავლა.

„ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონი ლტოლვილთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფის მხოლოდ ზოგად და ბუნდოვან გარანტიებს შეიცავს. ისინი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტშია გაფანტული. მათი ნაწილი მოცემულია „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონში, ხოლო ნაწილი ასევე განსაზღვრულია „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის V თავში. დოკუმენტი, რომელშიც ლტოლვილთა უფლებების სრული, ერთიანი ჩამონათვალი იქნება წარმოდგენილი, ამ ეტაპზე არ არსებობს.

საკანონმდებლო აქტების ანალიზის შედეგად აშკარაა, რომ ლტოლვილები სრულად არ არიან უზრუნველყოფილნი იმ გარანტიებით, რომლებიც „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის დამატებითი ოქმით არის განსაზღვრული.

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის 28-ე მუხლით უზრუნველყოფილია კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ მათ ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ ლტოლვილებზე ტერიტორიის გარეთ გადაადგილებისთვის საჭირო სამგზავრო დოკუმენტების გაცემის ვალდებულება.

აღნიშნული გათვალისწინებულია „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წლის 21 მარტს შესული ცვლილებით.⁴¹² ცვლილება ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობის კუთხით კანონმდებლობის დახვეწისაკენ წინგადადგმული ნაბიჯია. აღნიშნული დოკუმენტი, თავისი ფორმითა და შემადგენელი რეკვიზიტებით, არ განსხვავდება სხვა სახელმწიფოების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტებისგან. მიუხედავად ამისა, ლტოლვილთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ისინი ვერ ახერხებენ საზღვრის გადაკვეთას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, ამ შემთხვევაში, მიზეზი მესამე ქვეყნების მიერ ლტოლვილებისათვის ვიზის გაცემაზე უარის თქმაა. ჩვენთვის ნათელია, რომ სახელმწიფო სტრუქტურების უფლებამოსილებას სცდება მესამე სახელმწიფოების მიერ მიღებულ მსგავს გადაწყვეტილებებზე მსჯელობა, თუმცა მიგვაჩნია, რომ ვინაიდან, აღნიშნული პრობლემა წლების განმავლობაში აქტუალურია, აუცილებელია დადგინდეს პრობლემის გამომწვევი მიზეზები.

⁴¹² საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენება, 2009 წ, პირველი ნახევარი, ლტოლვილთა და თავშესაფრის მადიებელთა სამართლებრივი მდგომარეობა, გვ 165

„ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა შეძლებისდაგვარად უნდა გააადვილონ ლტოლვილთა ასიმილაცია და ნატურალიზაცია. ლტოლვილის უფლება, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტითაა გათვალისწინებული. კერძოდ: „ლტოლვილს უფლება აქვს, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განცხადებით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ“.

აღნიშნული დებულების თანახმად, ლტოლვილებს საქართველოს მოქალაქეობა ენიჭებათ მოქალაქეობის მიღების ზოგად საფუძვლებზე დაყრდნობით. გაადვილებულ ნატურალიზაციის პროცედურას კი არც „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონი და არც „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ ითვალისწინებს. ეს პრობლემა საქართველოს სახალხო დამცველის 2007 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო ანგარიშშიც აისახა.⁴¹³ თუმცა ამ კუთხით დღემდე არაფერი შეცვლილა.

საქართველოში ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელი აქტის დახვეწის მიზნით 2008 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მომზადდა კანონპროექტი „ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ“. 2011 წლის 21 იანვარს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული კანონპროექტი სამართლებრივი ექსპერტიზისთვის გადაგზავნილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

კანონპროექტი განსაზღვრავს საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სამართლებრივ სტატუსს, უფლება–მოვალეობებს, სამართლებრივ და სოციალურ–ეკონომიკურ გარანტიებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და გაუქმების საფუძვლებსა და პროცედურებს.

მისასალმებელია „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის დახვეწის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები. თუმცა, გაუგებარია, რამ გამოიწვია პროცესის გაჭიანურება. ვიმედოვნებთ, რომ კანონპროექტის საბოლოო ვერსია დროულად შევა ძალაში, სრულ შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო აქტებთან, რაც აღმოფხვრის ყველა იმ ხარვეზს, რომლებიც ამჟამინდელ კანონმდებლობაში არსებობს.

⁴¹³ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენება, 2007 წ, პირველი ნახევარი, ლტოლვილთა უფლებების დაცვის შესახებ, გვ 155

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ლტოლვილებთან დაკავშირებით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით ისჯება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა, ხოლო 322¹-ე მუხლი ინკრიმინირებულ ქმედებად აცხადებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევას. ვინაიდან საქართველო არის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციისა და ამ კონვენციის 1967 წლის ოქმის ხელშემკვრელი სახელმწიფო, მას აქვს ვალდებულება, არ დასაჯოს ის პირები, რომლებიც საქართველოში თავშესაფრის მიღების მიზნით საზღვარს გადმოკვეთენ.⁴¹⁴ სისხლის სამართლის კოდექსის ორივე მუხლს აქვს შენიშვნა რომელიც მიუთითებს, რომ „...არ ვრცელდება საქართველოში გადმოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს ხელისუფლებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.“

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებით აწყდება რამდენიმე ტიპის პრობლემას, რომლებიც საჭიროებს გადაჭრას და შესაბამის რეგულირებას.

1. ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად პირის მიჩნევის საკითხი

„ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის 31-ე მუხლის მიხედვით:

„ხელშემკვრელი სახელმწიფოები არ დასჯიან მათ ტერიტორიაზე უკანონო შემოსვლის ან ყოფნისათვის ლტოლვილებს, რომლებიც შემოვიდნენ უშუალოდ იმ ტერიტორიიდან, სადაც მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებას პირველი მუხლით გათვალისწინებული საშიშროება ემუქრებოდა, იმ პირობით, რომ ასეთი ლტოლვილები დაუყოვნებლივ თავად გამოცხადდებიან ხელისუფლების ორგანოებში და სათანადო განმარტებებს წარადგენენ თავიანთი უკანონო ქმედების შემოსვლის ან ყოფნის შესახებ.“

⁴¹⁴ „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის 31-ე მუხლი. როდესაც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონს (და შესაბამისად სსკ-ის 322¹-ე მუხლის) იღებდნენ, ვენეციის კომისიამ წარმოადგინა თავისი მოსაზრება, სადაც ხაზგასმულია საქართველოს მხრიდან აღნიშნული ვალდებულების შესრულების აუცილებლობა. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL-AD\(2009\)015-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL-AD(2009)015-e.pdf) [ბოლოს ნანახია 2011 წლის 5 იანვარს]

მუხლით განსაზღვრულია ორი აუცილებელი ელემენტი: მიმართვა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ და პირმა უნდა წარადგინოს შესაბამისი განმარტებები (*Good Cause*) სტატუსის დასასაბუთებლად.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2008 წლის 27 სექტემბრის #117-ე ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად:

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის შემთხვევაში ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირი ვალდებულია, საზღვრის გადმოკვეთიდან სამი დღის განმავლობაში განცხადებით მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა ან შინაგან საქმეთა სამინისტროებს ან მათ ტერიტორიულ ორგანოებს.“

„ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სამინისტრო განცხადების წარდგენიდან 3 დღეში იღებს გადაწყვეტილებას პირის ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად მიჩნევის შესახებ. შესაბამისად, პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად მიჩნევის საკითხის განხილვა შეიძლება გაგრძელდეს 6 დღის⁴¹⁵ განმავლობაში მისი ქვეყანაში უკანონო შემოსვლის დღიდან.

რაც შეეხება სათანადო დასაბუთებულობას (*Good Cause*), საქართველოს კანონმდებლობა არ მოიცავს იმ პირობების ჩამონათვალს, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც პირს მიენიჭება ლტოლვილის მაძიებლის სტატუსი. არ არსებობს არც ზოგადი მტკიცების სტანდარტი, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია ამ დროს. სახელმწიფოს ამ შემთხვევაში ფართო უფლებამოსილება აქვს, რის გამოც გასაჩივრების პროცედურაც არაეფექტური ხდება და ყოველგვარი აპელაცია კარგავს აზრს. ზოგადად, საქმის წინასწარი დასაბუთებულობა მოიცავს განცხადებას (შესაბამისი საფუძვლით), რომ პირი გარკვეული ნიშნით იდენიფიკაცია და ვადას, რომლის განმავლობაშიც პირს სურს ქვეყანაში ყოფნა, სხვა ქვეყნის თავშესაფრად აურჩევლობას/მიუღებლობას.⁴¹⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ლტოლვილთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგინდეს ლტოლვილის სტატუსის მაძიებლისთვის მიღებისთვის აუცილებელი მტკიცების სტანდარტი (დეტალურ პროცედურებთან ერთად).

⁴¹⁵ „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული და სასამართლო წესით.

⁴¹⁶ *The Refugee in International Law*, Guy S. Goodwin-Gill, Jane McAdam, 3rd Edition, Oxford University Press, 2007, გვ 265.

2. სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხი იმ პირებთან მიმართებით, რომლებსაც არ მიენიჭათ ლტოლვილის სტატუსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე და 322¹-ე მუხლების შენიშვნების მიხედვით პირის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როდესაც იგი თავშესაფრის მიღების მოთხოვნით საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს. აღნიშნული პრინციპი „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციის 31-ე მუხლის პირველი პარაგრაფიდან გამომდინარეობს.

ზემოაღნიშნული მუხლის მეორე პარაგრაფის თანახმად:

„ხელშემკვრელი სახელმწიფოები ასეთ ლტოლვილებს გადაადგილების თავისუფლებაში არ შეავიწროებენ ისეთი შეზღუდვებით, რაც აუცილებლობით არ არის გამოწვეული და ასეთი შეზღუდვები გამოიყენება იქამდე, ვიდრე მოცემულ ქვეყანაში არ მოწესრიგდება ასეთ ლტოლვილთა სტატუსი ან სანამ ისინი არ მიიღებენ სხვა ქვეყანაში შესვლის უფლებას. ხელშემკვრელი სახელმწიფოები ასეთ ლტოლვილებს მისცემენ საკმაო ვადას და ყველა საჭირო პირობას შეუქმნიან სხვა ქვეყანაში შესვლის უფლების მისაღწევად.“

ამ მუხლის მიხედვით აუცილებელია, პირს მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, დატოვოს ქვეყანა. საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს წესს, რომლის მიხედვითაც პირის მიერ სახელმწიფოს დატოვების ვადა და პროცედურა განისაზღვრება. შესაბამისად, აუცილებელია ამგვარი რეგულაციის დადგენა, რათა იმ პირის პასუხისმგებლობა არ დადგეს, რომელსაც თავშესაფარზე უარს ეტყვიან. პირველ რიგში, კანონმდებლობით ის ვადა უნდა გაიწეროს, რომლის განმავლობაშიც პირი დაცული იქნება სისხლისსამართლებრივი დევნისგან. ქვეყნის ტერიტორიის დატოვების პროცედურები, როგორცაა: შესაბამისი დეპორტაციის წესი, დანიშნულების ქვეყნის განსაზღვრა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და სხვა აუცილებელი ელემენტები. ამ და სხვა მიმართულებითაც საქართველოს შეუძლია გაიზიაროს ევროკავშირის კანონმდებლობა, რაც, ერთი მხრივ ხელს შეუწყობს კანონმდებლობის სრულყოფის პროცესს და ასევე, ევროკავშირის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის თავსებადობას უზრუნველყოფს.

3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყალბი პირადობის მოწმობის ან ოფიციალური დოკუმენტის გამოყენებისთვის

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით დადგენილია პასუხისმგებლობა ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის გამოყენებისთვის. აღნიშნული მუხლი არ ვრცელდება პირზე, თუ მან აღნიშნული ქმედება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე ჩაიდინა. სხვა სახის

გამონაკლისი კანონმდებლობით არ არის დადგენილი. იქიდან გამომდინარე, რომ რეალურად ლტოლვილის სტატუსის მაძიებელიც იმავე მდგომარეობაშია, როგორშიც ტრეფიკინგის მსხვერპლი, მისთვის ამ დროს პასუხისმგებლობის დაკისრება დაუშვებლად მიგვაჩნია. რეალურად ყალბი დოკუმენტაცია ამ დროს არის მიზნის მიღწევის – თავშესაფრის მიღება – საშუალება და იგი *per se* მართლზომიერად უნდა მიიჩნეს, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა არ იწყება შესაბამისი საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისას.

4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთა მიმართ

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით:

„ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მიცემული აქვს პოლიტიკური თავშესაფარი საქართველოში ან მინიჭებული აქვს ლტოლვილის სტატუსი საქართველოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ექსტრადიციას მესამე, უსაფრთხო სახელმწიფო მოითხოვს.“

აღნიშნული მუხლი არ ფარავს ლტოლვილის სტატუსის მაძიებელ პირებს. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი ლტოლვილის სტატუსის მაძიებლების მიმართებით ექსტრადიციისას იმავე სტანდარტს ადგენს, რასაც ლტოლვილების მიმართ. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის 2001 წლის 4 სექტემბრის დოკუმენტის მიხედვით *non-refoulment* პრინციპი მოქმედებს ასევე თავშესაფრის მაძიებელთა მიმართაც.⁴¹⁷ რეალურად ექსტრადიციის მიმართებით საქართველოს სამართლებრივ სივრცეში დამატებით მოქმედებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც ყველა შემთხვევაში ავტომატურად გამოიყენება, მაგრამ ლტოლვილის სტატუსის მაძიებლის მიმართ დამატებით აუცილებლად უნდა გამოიყენებოდეს სპეციალური წესი, რომელიც სტატუსიდან გამომდინარე *a priori* იმოქმედებს. შესაბამისად, აუცილებელია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის იმგვარი მოდიფიცირება, რომლის მიხედვითაც ლტოლვილის მაძიებლის მიმართ იგივე სტანდარტი იქნება გამოყენებული, რაც ზოგადად ლტოლვილის მიმართ.

⁴¹⁷ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://www.unhcr.org/3b95d6244.html> > [ბოლოს ნანახია 2011 წლის 10 იანვარს]

სისხლისსამართლებრივი დევნა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2010 წლის 26 ნოემბერს მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ინფორმაცია, რამდენი სისხლის სამართლის საქმე განიხილეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322¹-ე და 344-ე მუხლებით.⁴¹⁸

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილების უფროსის 2010 წლის 3 დეკემბრის #64-კ წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2010 წლის განმავლობაში საერთო სასამართლოებში სულ განხილული იყო:

სსკ-ის 344-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებით პირველი ინსტანციის სასამართლოში 131 საქმე, სააპელაციო სასამართლოში 21 სააპელაციო საჩივარი და უზენაეს სასამართლოში 10 საკასაციო საჩივარი იყო.

სსკ-ის 322¹-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებით პირველი ინსტანციით 50 საქმე, სააპელაციო სასამართლოში 4 სააპელაციო საჩივარი, უზენაეს სასამართლოში 2 საკასაციო საჩივარი იყო.

ზემოხსენებული საქმეებიდან არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ შეწყვეტილა სსკ-ის 344-ე და 322¹-ე მუხლებით გათვალისწინებული შენიშვნებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გადმოგზავნილი 2010 წლის 7 დეკემბრის #0553 წერილის მიხედვით სასამართლომ სსკ-ის 344-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებით განიხილა 31 სისხლის სამართლის საქმე, ხოლო 322¹-ე მუხლით – 4 სისხლის სამართლის საქმე. არც ერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეწყვეტილა ზემოაღნიშნულ მუხლთა შენიშვნებით.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან 2010 წლის 29 დეკემბერს გადმოგზავნილი წერილით გვეცნობა, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკას პროკურატურა არ აწარმოებს, შესაბამისად, მათთვის უცნობია, შეწყდა თუ არა 344-ე ან 322¹-ე მუხლებით რომელიმე სისხლის სამართლის საქმე.

⁴¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მხოლოდ ამ მუხლებს აქვთ შენიშვნა, რომლის მიხედვითაც პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან თუ ზემოაღნიშნული დანაშაულის შემადგენლობები განხორციელდა იმ პირის მიერ, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ხელისუფლებას სთხოვს თავშესაფარს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის ზოგადი დინამიკა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2010 წლის 31 მაისს მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თავშესაფრის მამიებელთა საერთო რაოდენობის გასარკვევად. 2010 წლის 7 ივნისს სამინისტროდან გვეცნობა, რომ ლტოლვის სტატუსისა და თავშესაფრის მოთხოვნით საქართველოში სასაზღვრო გამშვები პუნქტების გავლით სულ შემოვიდა 64 ადამიანი. მათგან ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 8 ადამიანს. ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი გაასაჩივრა თექვსმეტმა ადამიანმა, რომელთაგან, სამინისტროს ცნობით, არც ერთი საჩივარი არ დაკმაყოფილებულა.

განათლება

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად, დაწყებითი განათლების კუთხით, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ლტოლვილებს მოქალაქეების მსგავსი უფლებრივი მდგომარეობა უნდა შეუქმნან. ამასთან, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ ლტოლვილთათვის საჯარო განათლების სხვა ფორმების ხელმისაწვდომობა. „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ ლტოლვილ ბავშვებს სახელმწიფო სკოლამდელ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოწყობაში“.

ლტოლვილთა განმარტებით, 2009 წლის ოქტომბრის თვიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რუსულენოვან სექტორზე დარეგისტრირებულ ლტოლვილ მოსწავლეებზე შეაჩერა ვაუჩერების გაცემა. რუსული სექტორის მასწავლებელთა ხელფასების ანაზღაურება კი ვაუჩერებზეა დამოკიდებული. აღნიშნული პრობლემა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სოფლების – დუისის, წინუბანისა და ჯოყოლოს სკოლებში ფიქსირდება. უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში მასწავლებლებს ხელფასი არ მიუღიათ. პრობლემის შესახებ ინფორმაცია აქვს როგორც ადგილობრივ რესურსცენტრს, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ამასთან, ლტოლვილთა განმარტებით, მოსწავლეთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, ჯოყოლოს სკოლა შესაძლებელია დუისის სკოლას შეუერთდეს. აღსანიშნავია, რომ სოფლები ერთმანეთისგან 4–5 კმ-ით არიან დაშორებული, რაც მოსწავლეთა სკოლაში სიარულის ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოვითხოვეთ დეტალური ინფორმაცია. სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით საჯაროს სკოლებში სულ სწავლობს – 247 ლტოლვილის სტატუსის მქონე მოსწავლე, აქედან:

დუისის საჯარო სკოლა – 168 მოსწავლე;

ომალოს საჯარო სკოლა – 22;

დუმასტურის საჯარო სკოლა – 19;

ჯოყოლოს საჯარო სკოლა – 24;

ბირკიანის საჯარო სკოლა – 14;

აქედან ჯოყოლოს საჯარო სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ასევე ჩეჩნურ ენაზე, რაც დადებითი ტენდენციაა.

რაც შეეხება ვაუჩერების საკითხს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად სამინისტრო აქტიურ სამუშაოებს აწარმოებს, თუმცა სამინისტრო სწავლის პროცესის შეფერხებას არ ადასტურებს.

უმაღლესი განათლების მიღების ეტაპზე ლტოლვილებს ძირითად დახმარებას როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური კუთხით, საერთაშორისო ორგანიზაციები უწევენ. ლტოლვილი სტუდენტების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის უზრუნველსაყოფად 2010 წლის განმავლობაში გაერომ გამოყო ე.წ. DAF-ის დაფინანსება, რაც გულისხმობს სწავლის საფასურის დაფარვასა და 4-წლიან სტიპენდიას. კონკურსის წესით საუკეთესო სტუდენტები შეირჩა. თუმცა, უცნობია, გაგრძელდება თუ არა აღნიშნული პროგრამა 2011 წელს.

რაც შეეხება სახელმწიფოს მიდგომას, არ არსებობს კონკრეტული გრანტები, დახმარებები ან სპეციალური პროგრამები, რომლებიც ლტოლვილთათვის იქნება გათვალისწინებული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 14 თებერვლის წერილის თანახმად: „*უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა და გრანტის გაცემა ლტოლვილის სტატუსის მიხედვით არ აღირიცხება*“. *ამავე სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ყოველწლიურად, შესაბამის სასწავლო წელს ჩარიცხულ სტუდენტთათვის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით, საგანმანათლებლო კომპონენტის გათვალისწინებით ხორციელდება სოციალური პროგრამა*“.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 აგვისტოს #227-ე დადგენილების თანახმად, სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღების უფლების მქონე პირები დაყოფილნი არიან 10 კატეგორიად, რომელთაგან არც ერთი კატეგორია არ ითვალისწინებს ლტოლვილის სტატუსის საფუძველზე სწავლის გადასახადის სრულ ან ნაწილობრივ დაფარვას.

2010 წლის 13 ოქტომბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #107/5 ბრძანების თანახმად, დამტკიცდა „2010–2011 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამა“.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღების უფლება აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2010–2011 სასწავლო წელს ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები. აღნიშნული პროგრამა ასევე ითვალისწინებს იმ სტუდენტთა დაფინანსებას, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, მათ შორის იმ ქვეყნების მოქალაქეების დაფინანსებას, „რომელთა წინაშე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით აღებული აქვს ვალდებულება, შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით“. ლტოლვილები არც ამ უკანასკნელ კატეგორიაში ხვდებიან.

ამ ეტაპზე ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ არის ლტოლვილის სტატუსის მქონე იმ პირთა სია, რომლებიც 2010 წლის მდგომარეობით, საქართველოს მასშტაბით, რეგისტრირებულნი არიან უმაღლესი განათლების დაწესებულებებში ქართულ და რუსულენოვან საგანმანათლებლო სექტორებზე. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ ლტოლვილი მოსწავლეები ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისას მეტ სირთულეებს აწყდებიან, ვიდრე საქართველოს მოქალაქეები. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა შემუშავდეს მოსამზადებელი კურსები ლტოლვილი მოსწავლეებისათვის, რაც საშუალებას მისცემს მათ კონკურენტუნარიანები გახდნენ.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხულ ლტოლვილ სტუდენტებს გაერო აფინანსებს. პროფესიულ სასწავლებლებში 2010 წელს 50-ზე მეტი ლტოლვილი სტუდენტი დაფინანსდა. უმეტესობა – კაჭრეთის პროფესიულ ცენტრში და თელავის პროფესიული სასწავლებლის კოლეჯებში. სტუდენტები სხვადასხვა პროფესიას ითვისებენ. აღნიშნული პროექტი გულისხმობდა სწავლის გადასახადის დაფარვას, ყოველთვიური სტიპენდიის გაცემასა და სასწავლო წლის დასაწყისში წიგნების შესყიდვას.

გრძელვადიანი გადაწყვეტილებები

საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, გრძელვადიანი გადაწყვეტილება წარმოდგენს კონკრეტული პირის ლტოლვილობის პროცესის დასასრულს.⁴¹⁹ არსებობს სამი

⁴¹⁹1951 წლის 28 ივლისის ჟენევის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია 429 (V), მუხლი 1(C); Handbook on Procedures and

მირითადი გრძელვადიანი გადაწყვეტილება: (1) ნებაყოფლობითი უკან დაბრუნება *i.e.* რეპატრიაცია – როდესაც ლტოლვილი ბრუნდება თავისი წარმოშობის ქვეყანაში; (2) ადგილობრივი ინტეგრაცია – თავშესაფრის მიმცემი ქვეყანა ხდება ლტოლვილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; (3) გადასახლება – რომელიც გულისხმობს ლტოლვილის გადასახლებას თავშესაფრის ქვეყნიდან მესამე ქვეყანაში. ამასთან, აუცილებელია, რომ მესამე სახელმწიფომ გამოთქვას ლტოლვილის მუდმივ მაცხოვრებლად მიღების სურვილი.⁴²⁰

რეპატრიაციისას აუცილებელია მიმღები ქვეყნის ინტერესების გათვალისწინება. ამასთან, საერთაშორისო სამართლით განმტკიცებულია პირის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების უფლება.⁴²¹ ნებაყოფლობითი რეპატრიაციის ხელშეწყობა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ერთ-ერთ ფუნქციაა.⁴²² „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, ითანამშრომლონ გლუკთან.⁴²³

რეპატრიაციის უმთავრესი ელემენტია უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნება.⁴²⁴ აღნიშნული მოიცავს ფიზიკურ, სამართლებრივ და მატერიალურ უსაფრთხოებას.⁴²⁵ სამართლებრივი უსაფრთხოება მოიაზრებს რეპატრიაციის პროცესის გათავისუფლებას ადმინისტრაციული ბარიერებისგან.

ადგილობრივი ინტეგრაციისას თავშესაფრის ქვეყანა ლტოლვილს სთავაზობს მუდმივ საცხოვრებელს, რაც ითვალისწინებს მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული გრძელვადიანი გადაწყვეტილების შესაძლებლობა აღიარებულია 1951 წლის კონვენციითა⁴²⁶ და გლუკის წესდებით.⁴²⁷

ადგილობრივი ინტეგრაციის პროცესი მოიცავს სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ინტეგრაციას. ინტეგრაცია სამართლებრივი კუთხით გულისხმობს ლტოლვილთათვის მოქალაქეობის მსგავსი უფლებების ეტაპობრივ მინიჭებას, რასაც მივყავართ მოქალაქეობამდე ან მუდმივ ბინადრობამდე. ეკონომიკური ინტეგრაციის მიზანია, ლტოლვილები თანდათან ნაკლებად დამოკიდებულნი გახდნენ თავშესაფრის ქვეყნის ან საერთაშორისო ჰუმანიტარულ დახმარებაზე. მნიშვნელოვანია

Criteria for Determining Refugee Status under the 1951 Convention and the 1967 Protocol relating to the Status of Refugees HCR/IP/4/Eng/REV.1 Reedited, Geneva, January 1992, UNHCR 1979.

⁴²⁰ იქვე.

⁴²¹ ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ.

⁴²² გლუკის წესდება.

⁴²³ კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, მუხლი 35.

⁴²⁴ გლუკის სტანდარტები.

⁴²⁵ იქვე.

⁴²⁶ კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, მუხლი 34.

⁴²⁷ გლუკის წესდება;

ასევე, ლტოლვილთა სოციალური და კულტურული ინტეგრაცია, რაც გულისხმობს საზოგადოებრივ და სოციალურ ცხოვრებაში ლტოლვილების ჩართვას.

გლუკი მიიჩნევს, რომ საქართველო სრულად იყენებს თავის ხელთ არსებულ რესურსებს ლტოლვილთა ადგილობრივი ინტეგრაციისათვის.⁴²⁸

საქართველოში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებს, რომლებიც ჩასახლებულნი არიან პანკისის ხეობაში, მიეცათ ნატურალიზაციის შესაძლებლობა. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი მიიჩნევს, რომ ლტოლვილთა ინტეგრაციისათვის აუცილებელია მათთვის შემოსავლის მიღების შესაძლებლობებისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.⁴²⁹ 2011 წლის განმავლობაში გლუკის დახმარებით ისარგებლებს 200-მდე ლტოლვილი, რომლებიც მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან.⁴³⁰

„ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ლტოლვილი საქართველოს მოქალაქეობას იღებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. ამასთან, ლტოლვილთა შესახებ კანონის მე-10 მუხლის თანახმად, საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება იწვევს ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტას.

გლუკის მონაცემებით, გაიზარდა საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველთა რიცხვი. 2010 წლის განმავლობაში 170-ზე მეტმა პირმა მიიღო საქართველოს მოქალაქეობა.⁴³¹

გადასახლება გულისხმობს ლტოლვილის გადაყვანას თავშესაფრის ქვეყნიდან მესამე სახელმწიფოში, რომელიც გამოთქვამს მისი მუდმივად საცხოვრებლად მიღებისა და დასახლების სურვილს. გადასახლება გამოიყენება, როგორც დაცვის საშუალება მაშინ, როცა ლტოლვილის ფუნდამენტურ უფლებებს საფრთხე ემუქრება თავშესაფრის ქვეყანაში. გადასახლება მიჩნეულია ყველაზე უკანასკნელ საშუალებად და მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როცა სხვა გადაწყვეტილებების რეალიზაცია შეუძლებელია.

2003–2004 წლებში საქართველო დატოვა 180-მა ლტოლვილმა, რომლებიც მესამე სახელმწიფოში გადასახლდნენ. აქედან 173 პირი იყო ლტოლვილი რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან; 4 ირანის ისლამური რესპუბლიკიდან, 3 კი იემენიდან. 2005 წლის პირველ ნახევარში 62 ლტოლვილი იქნა გადასახლებული მესამე

⁴²⁸ UNHCR Global Appeal 2011 (update) – Georgia, UNHCR Fundraising Reports, 1 December 2010.

⁴²⁹ UNHCR Global Appeal 2011 (update) – Georgia, UNHCR Fundraising Reports, 1 December 2010.

⁴³⁰ UNHCR Global Appeal 2011 (update) – Georgia, UNHCR Fundraising Reports, 1 December 2010.

⁴³¹ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატიდან მოწოდებული ინფორმაცია.

ქვეყანაში. აღნიშნულ პირთაგან 56 იყო რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან ლტოლვილი, 6 ირანის ისლამური რესპუბლიკიდან.⁴³²

2010 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტს და გამოითხოვა ინფორმაცია ლტოლვილთა გრძელვადიან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

აღნიშნული სამინისტროდან გვეცნობა, რომ 2010 წლის ბოლოსთვის საქართველოში ფიქსირდება 666 ლტოლვილის სტატუსის მქონე პირი. 2010 წლის განმავლობაში ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად დარეგისტრირდა 57 პირი. მათ შორის სამს მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი. ამასთან, საქართველოს მოქალაქეობა მიიღო 130-მდე ლტოლვილის სტატუსის მქონე პირმა, ხოლო, წარმოშობის ქვეყნის მფარველობით ისარგებლა და სამშობლოში დაბრუნდა 28 პირი.

რეკომენდაციები:

უზრუნველყოფილი იქნეს, „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის“ შესახებ კანონპროექტის დროული მიღება, რაც აღმოფხვრის დღეს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს და მოიყვანს ეროვნულ კანონმდებლობას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში;

ლტოლვილთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგინდეს „ლტოლვილის სტატუსის მაძიებლის“ მიღებისთვის აუცილებელი მტკიცების სტანდარტი (დეტალურ პროცედურებთან ერთად);

საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით განისაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს მიეცემა ქვეყნის დატოვების უფლება ლტოლვილის სტატუსის არმინიჭების ან ლტოლვილის სტატუსის მაძიებლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში (შესაბამისი სისხლისსამართლებრივი დევნის ამკრძალავი გარანტიებით);

ლტოლვილის სტატუსის მაძიებლის მიერ ყალბი დოკუმენტით სახელმწიფოს საზღვრის გადმოკვეთა იმპერატიულად გამოირიცხოს ინკრიმინირებულ ქმედებათა სიიდან;

შესაბამისმა სტრუქტურებმა გაატარონ სათანადო ღონისძიებები ლტოლვილი მოსწავლეებისათვის განათლების უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით.

⁴³² საინფორმაციო ფურცელი „გადასახლება“, გამოიცა საქართველოს გაეროს ასოციაციისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის მიერ, 2005 წ. იხილეთ <http://www.una.ge/geo/artdetail.php?id=81&group=documents>

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოქალაქეთა უფლებების დაცვის მდგომარეობა 2010 წლის განმავლობაში არ გაუმჯობესებულა. საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური კონფლიქტების არსებობა სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ საკუთარი იურისდიქციის განხორციელებისათვის. აღნიშნულ საკითხში პროგრესის მიღწევა სამშვიდობო მოლაპარაკებებში მიღწეულ შედეგებზეა დამოკიდებული. გაერო 2009 წლის რეზოლუციაში⁴³³ მოუწოდებს ქენევის მოლაპარაკებებში ჩართულ მხარეებს, მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ, რათა შეიქმნას გრძელვადიანი მშვიდობისათვის საჭირო გარანტიები, მხარეებს შორის აღსდგეს ნდობა, უზრუნველყონ ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების გარანტიების დაცვა. ევროპის საბჭოს გენერალური ასამბლეა მოუწოდებს რუსეთს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობებს, უზრუნველყონ ყველა იმ პირის უსაფრთხოება, რომლებიც მათი დე-ფაქტო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. ამაში კი იგულისხმება არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, ასევე ახალგორის რაიონი.⁴³⁴ გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი ვოლტერ კელინი მიუთითებს ქენევის მოლაპარაკებების მნიშვნელობაზე, ის ხაზს უსვამს საერთაშორისო საზოგადოების პროცესებში ჩართულობის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, კონფლიქტურ ზონებში დახმარება გაუწიონ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს.⁴³⁵

დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ფარგლებში“ მიმდინარე შეხვედრების არსებობა, რომლებშიც ჩართული არიან როგორც საქართველოსა და რუსეთის მთავრობები, ასევე, დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.⁴³⁶ აღნიშნული შეხვედრები მოლაპარაკებების გარკვეულ ფორუმს წარმოადგენს, თუმცა სამწუხაროა, რომ მოლაპარაკების მიმდინარეობის მიუხედავად, კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის არ არის ხელმისაწვდომი ეფექტური სამართლებრივი დაცვის მექანიზმები, რასაც შედეგად ადამიანის უფლებათა დარღვევის არაერთი ფაქტი სდევს თან. სამწუხაროა ისიც, რომ სახალხო დამცველი მოკლებულია უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტების ადგილზე გადამოწმებისა და შესაბამისი რეაგირების შესაძლებლობას.

⁴³³ General Assembly Resolution, A/RES/63/307, Status of Internally displaced persons and refugees from Abkhazia, Georgia, and the Tskhinvali region/South Ossetia, Georgia, 30 September 2009, para.5, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/506/40/PDF/N0950640.pdf?OpenElement>>

⁴³⁴ Council of Europe Parliamentary Assembly Resolution 1648(2009), The Humanitarian consequences of the war between Georgia and Russia, para.25,

<<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/ERES1648.htm>>

⁴³⁵ UN news, Displaced from Ossetia conflict need more pragmatism, less politics, says U.N. representative, <<http://www.ohchr.org/en/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=9607&LangID=E>>

⁴³⁶ http://www.eumm.eu/ge/press_and_public_information/features/2537/

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებული პოლიტიკური რეალობის მიუხედავად, რეგიონში მცხოვრები ადამიანები დაცული უნდა იყვნენ მთელი რიგი საერთაშორისო ნორმებით. პირველ რიგში, ოკუპანტ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, დაიცვას კონფლიქტური რეგიონების ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან⁴³⁷ ცხადია, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ოკუპანტი სახელმწიფო ახორციელებს ეფექტურ კონტროლს ტერიტორიაზე, მას აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებები.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას აქვს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოქალაქეების უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს აღნიშნულ ტერიტორიებზე, „არსებული დე-ფაქტო სიტუაციის გამო, როგორცაა სეპარატისტული რეჟიმის დაფუძნება... კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად, ტერიტორიის ამ ნაწილში სახელმწიფოს იურისდიქცია არ წყდება.“⁴³⁸ თუკი გავითვალისწინებთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეში *Ilascu and others v Moldova and Russia* (ილიასკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლო საქართველოს მოვალეობებს განიხილავს მხოლოდ პოზიტიური ვალდებულებების კრილში. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს აქვს ვალდებულება, გამოიყენოს თავის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი და დიპლომატიური საშუალება, რათა კონვენციაში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოს.⁴³⁹

არსებული რთული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების მდგომარეობის დეტალური შესწავლა კონფლიქტურ რეგიონებში ვერ ხერხდება. ჩვენთვის ინფორმაციის ძირითად წყაროს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები წარმოადგენს, რომელთაც აქვთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხელმისაწვდომობა⁴⁴⁰. საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში, იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა შესახებ, საუბარი იყო გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ანგარიშში აღინიშნა, რომ გალის რაიონში ხდებოდა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის რელიგიის თავისუფლების დარღვევის ფაქტები, რაც სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებით დასტურდებოდა. ასევე, პრობლემად რჩება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხი. ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას გალში მცხოვრები მოსახლეობისათვის ზუგდიდის

⁴³⁷ *Cyprus v Turkey*, (application no. 25781/94), Judgment of 10 May 2001, para.77.

⁴³⁸ *Ilascu and others v Moldova and Russia* (application no.48787/99), Judgment of 8 July 2004, para.333

⁴³⁹ იქვე, para.333.

⁴⁴⁰ გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის ვოლტერ კელინის ანგარიში, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ანგარიში, ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისიის განცხადება და ა.შ.

ტერიტორიაზე გადმოსვლა წარმოადგენს. მათ უმრავლესობას არ აქვს საშუალება, ისარგებლოს ზუგდიდთან დამაკავშირებელი მთავარი ხიდით, შესაბამისად, შემოვლითი გზებით სარგებლობენ, რაც დიდ საფრთხესთან არის დაკავშირებული. ცენტრალური ხიდით სარგებლობის საშუალება აქვს დევნილთა მხოლოდ იმ კატეგორიას, რომელსაც რუსული ან აფხაზური პასპორტი აქვს. მათ 100 რუსული რუბლის სანაცვლოდ ეძლევათ ხიდის გადაკვეთის უფლება.⁴⁴¹

უსაფრთხოების პრობლემები და უკანონო დაკავებები

კონფლიქტის ზონაში და მის მიმდებარე სასაზღვრო სოფლებში დღესდღეობით ყველაზე მწვავე პრობლემა უსაფრთხოების გარანტიების არარსებობა და უკანონო დაკავებებია. სეპარატისტების მხრიდან განსაკუთრებით ხშირია დაკავებები „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდებით. მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შესულია არაერთი საქმე საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ,⁴⁴² არც ერთ საქმეზე ამ დრომდე გადაწყვეტილება არ არის მიღებული. შესაბამისად, რთულია იმის მტკიცება, თუ რა ტიპის სამართლებრივი დასკვნები გაკეთდება სასამართლოს მიერ. ფაქტი ერთია, მოქალაქეების აფხაზური და ოსური მხარის მიერ დაკავება „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდებით საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის აშკარა დარღვევაა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის მანძილზე დაფიქსირდა მოქალაქეების თავისუფლების აღკვეთის 254 ფაქტი ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის ტერიტორიაზე ან ოკუპაციის ხაზის სიახლოვეს.⁴⁴³ როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვეცნობა, რთულია დაკავებული პირების ზუსტი რაოდენობის დადგენა გალის რაიონის ტერიტორიაზე, ვინაიდან ხშირად რუსი ოკუპანტები და აფხაზი სეპარატისტები ავტობუსის მძღოლებს და მგზავრებს, როგორც წესი, ოკუპაციის ხაზის გადაკვეთისას აპატიმრებენ. სამინისტროს განმარტებით, დაკავებულებს რამდენიმე საათში გარკვეული საფასურის გადახდის შემდგომ ათავისუფლებენ. გათავისუფლების შემდეგ, მოსახლეობა, როგორც წესი, პოლიციას არ აწვდის ინფორმაციას მათი დაკავების ფაქტის შესახებ, შესაბამისად, დაკავებულების ზუსტი რაოდენობის დადგენა ვერ ხერხდება.⁴⁴⁴

⁴⁴¹ ზემოხსენებული ინფორმაცია პროექტის დამკვირვებელთან საუბარში დაადასტურეს გალიდან გადმოსულმა მოქალაქეებმა.

⁴⁴² *Mamasakhlishi v Georgia and Russian Federation* (application no.29999/04), *Nanava v Georgia and Russian Federation* (Application no.41424/05) both cases concern arbitrary detention of individual on the ground of “illegal crossing of borders”

⁴⁴³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2011 წლის 1 თებერვლის წერილი N12/1/-7.

⁴⁴⁴ იქვე.

სახალხო დამცველის ოფისმა 2010 წლის განმავლობაში 3 გატაცებული პირის ოჯახის წევრის განცხადება შეისწავლა. სამივე შემთხვევაში პირები საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს გატაცებულთა ოჯახის წევრებმა დახმარების თხოვნით მიმართეს. სურათი სამივე შემთხვევაში მსგავსია, განსხვავებულია მხოლოდ გატაცების ფაქტის ადგილი (გატაცება მოხდა სოფელი ქვემო ნიქოზის ტერიტორიიდან, სოფელი ერგნეთის ტერიტორიიდან და ერთ შემთხვევაში დაკავება ახალგორის ტერიტორიაზე განხორციელდა). სამივე ფაქტის შესახებ ვაცნობთ შინაგან საქმეთა სამინისტროს. სამინისტროს განმარტებით, ისინი დაკავების პირველივე დღიდან აქტიურად არიან ჩათული დაკავებული პირების უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების პროცესში. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2010 წელს „ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრებზეც დაისვა ცხინვალის ციხეში უკანონოდ მყოფი საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლების საკითხი და უცხოელი პარტნიორების თანდასწრებით ეთხოვა რუსულ და ოსურ მხარეებს დაკავებული ქართველების გათავისუფლება.⁴⁴⁵

ახალგორი

ახალგორში არსებული ვითარება განსხვავდება კონფლიქტის ზონის სხვა ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობისგან. 2008 წლის კონფლიქტის შედეგად დაახლოებით 5,000 ადამიანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციით, ამჟამად ახალგორის ტერიტორიაზე დაახლოებით 2,500 ეთნიკური ქართველი ცხოვრობს.⁴⁴⁶ ახალგორში არსებულ ვითარების უკეთ შესწავლის მიზნით პროექტის ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგისას შევეცადეთ მიგვეღო მაქსიმალური ინფორმაცია ახალგორში არსებული მდგომარეობის შესახებ. შევეცადეთ გაგვერკვია, რა დაბრკოლებებს აწყდებიან დევნილები ახალგორის ტერიტორიაზე შესვლისას. მონიტორინგისას ცხადი გახდა, რომ დევნილთა დიდ ნაწილს ახალგორში ჰყავს ნათესავები, მოსახლეობის ნაწილს აქვს საცხოვრებელი სახლები და მიწის ნაკვეთები, რომელთა დამუშავებითაც გარკვეულ მოსავალს იღებენ, შესაბამისად, გადასვლის მთავარი მიზეზიც სწორედ ზემოაღნიშნულია.

დიდი ნაწილი ახალგორიდან დევნილი მოსახლეობისა თავს იკავებს ახალგორში გადასვლისგან, უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო. თუმცა ამის მიუხედავად, საერთაშორისო ორგანიზაციების გაანგარიშებით, ყოველდღიურად 300-350 ადამიანი შედის ახალგორის ტერიტორიაზე.⁴⁴⁷ ახალგორის მოსახლეობის დიდი

⁴⁴⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის 2011 წლის 1 თებერვლის წერილი N:12/1/-8; 2010 წლის 20 დეკემბრის წერილი N4385/04-3/1394-10.

⁴⁴⁶ South Ossetia: The Burden of Recognition, Crisis Group International, 7 June 2010, <<http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/205%20South%20Ossetia%20%20The%20Burden%20of%20Recognition.ashx>>, p. 3.

⁴⁴⁷ კომისრის ანგარიში, პარაგრაფი 10.

ნაწილი მუდმივად ახალგორის ტერიტორიაზე დარჩენისგან თავს იკავებს, ადგილზე არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

მონიტორინგისას ასევე ცნობილი გახდა, რომ ახალგორში შესვლისას დევნილები არაერთ დაბრკოლებას აწყდებიან. ხშირად საათობით უწევთ საგუშაგოებთან დგომა საბუთებისა და ბარგის შესამოწმებლად, ეს კი განსაკუთრებით რთულია ზამთრის პერიოდში. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ანგარიშში საუბარია შემთხვევებზე, როდესაც მოსახლეობას „საზღვრის“ გადაკვეთისთვის გარკვეული საფასურის გადახდაც კი უწევს, ასევე აღნიშნულია ისიც, რომ საქართველოს მოქალაქეებს რუსულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული პირადობის მოწმობების წარდგენა უხდებათ, რათა მათ შეძლონ ახალგორის ტერიტორიაზე შეღწევა.⁴⁴⁸ ზემოაღნიშნულ ინფორმაციას პირად საუბრებში დევნილებიც ადასტურებენ. ეუთოს უმაღლესმა კომისარმა ეროვნული უმცირესობის საკითხებში, კნუტ ვოლბეკმა, ეუთოს 837-ე პლენარულ სხდომაზე ახალგორში არსებულ სიტუაციაზე ისაუბრა და მოუწოდა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობას, თავი შეიკავოს მოსახლეობაზე ზეწოლისაგან.⁴⁴⁹ როგორც უმაღლესი კომისარი აღნიშნავს, ახალგორში მისი ვიზიტის მთავარი მიზანი ადგილზე არსებული ვითარების შესწავლა იყო. კერძოდ, რა ვითარებაში უწევთ ცხოვრება ეთნიკურ ქართველ მოსახლეობას, რომელიც ახალგორის ტერიტორიაზე განაგრძობს ცხოვრებას. მისი განცხადებით, ახალგორის რაიონის სოფლები დანგრეულია. მოსახლეობა მიუთითებს უსაფრთხოებისა და თავისუფალი გადაადგილების პრობლემებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტის რეგიონებში არსებული ზოგადი სურათი ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ძალიან მძიმეა. აუცილებელია, საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ კონფლიქტის ზონის მონიტორინგი აქტიურად განხორციელდეს. ერთ-ერთ საუკეთესო გამოსავალი კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებამდე ეფექტური სადამკვირვებლო მისიების რეგიონში ყოფნაა, რაც კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის დაცვისა და უსაფრთხოების გარანტი იქნება.

⁴⁴⁸ იქვე პარაგრაფი 11.

⁴⁴⁹ 837th Plenary Meeting of the OSCE Permanent Council, Statement by Knut Vollebaek, OSCE High Commissioner on National Minorities, Vienna, Austria 18 November 2010, p.5, <<http://www.osce.org/hcnm/73715>>

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები – ეკომიგრანტები

2010 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველს ხშირად მიმართავდნენ სტიქიური მოვლენის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები – ეკომიგრანტები. განცხადებების შესწავლის შედეგად გამოვლინდა რიგი პრობლემური საკითხები, რომლებზეც ყურადღებას ზემოაღნიშნულ თავში გავამახვილებთ. თემის მნიშვნელობა იმითაცაა განპირობებული, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით,⁴⁵⁰ საქართველოში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 35 204 ოჯახია რეგისტრირებული.

1. ეკომიგრანტთა სფეროში არსებული კანონმდებლობის ანალიზი

საერთაშორისო დონეზე არ არსებობს სავალდებულო ძალის მქონე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ეკომიგრანტის დეფინიცია და ის ღონისძიებები, რომლებიც ეკისრება სახელმწიფოს ამ კატეგორიის პირთა სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად. რაც შეეხება ეროვნულ სამართლებრივ სისტემას, არც ერთი საკანონმდებლო აქტი არ განმარტავს, ვინ წარმოადგენს სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირს – ეკომიგრანტსა და პირთა რა კატეგორიაზე უნდა გავრცელდეს აღნიშნული სამართლებრივი სტატუსი.

ეკომიგრანტთა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს 1998 წელს გაეროს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ. მართალია, სახელმწიფოებისთვის იგი არ წარმოადგენს სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს, მაგრამ იგი სახელმძღვანელო უნდა გახდეს სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან მასში ასახულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი პრინციპები. შესაბამისად, დოკუმენტში აღნიშნული პრინციპები უნდა დაიცვას და გამოიყენოს ყველა ოფიციალურმა თუ სხვა პირმა, მიუხედავად აღნიშნული დოკუმენტის იურიდიული სტატუსისა.⁴⁵¹

1998 წლის „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“ განსაზღვრავს იძულებით გადაადგილებული პირის ცნებას. კერძოდ: „ამ პრინციპების მიზნებიდან გამომდინარე იძულებით

⁴⁵⁰ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, წერილი №04/02–09/8630

⁴⁵¹ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, E/NC.4/1998/53/ADD.2, პრეამბულა, პუნქტი 2

გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და **სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს** და ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი⁴⁵².

აღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ამ პრინციპების მიზნებისათვის ტერმინი „იძულებით გადაადგილებული პირი“ მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირს ან პირთა ჯგუფს – ეკომიგრანტებს. შესაბამისად, ყველა ის სამართლებრივი დაცვის სტანდარტი, რომლებსაც ადგენს აღნიშნული დოკუმენტი, ვრცელდება ეკომიგრანტებზეც.

სხვაგვარი მიდგომა გვაქვს ეროვნულ კანონმდებლობაში. იძულებით გადაადგილებული პირის განმარტება ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემულია 1996 წლის საქართველოს კანონში „იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა შესახებ.“ კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის თანახმად: „**იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო**“.

მოცემული დეფინიციების შედარების შედეგად აშკარაა მათ შორის არსებული შეუსაბამობა, კერძოდ, ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემული „იძულებით გადაადგილებული პირის“ ცნება გაეროს პრინციპებისგან განსხვავებით, არ იცავს პირთა ჯგუფს, რომელიც სტიქიური მოვლენის ან ადამიანის მიერ შექმნილი კატასტროფის შედეგად იძულებული გახდა, დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

იქედან გამომდინარე, რომ ეკომიგრანტები ვერ ხვდებიან 1996 წლის „იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განმარტებულ იძულებით გადაადგილებული პირის დეფინიციამ, მათზე არ ვრცელდება აღნიშნული სტატუსი და ამ კატეგორიის პირები ვერ სარგებლობენ ამავე კანონით გარანტირებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმით. სპეციალური სტატუსის უმთავრესი დანიშნულებაა, რომ კანონმდებლობა მიზანმიმართულად და სამართლიანად აყენებს შესაბამის პირს/ან პირთა ჯგუფს სამართლებრივად განსხვავებულ მდგომარეობაში და უზრუნველყოფს მის დაცვის განსხვავებული სტანდარტით. ამდენად, აუცილებელია, სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს ეროვნულ სამართლებრივ დონეზე ჰქონდეთ შესაბამისი სტატუსი და სტატუსიდან გამომდინარე ადეკვატური დაცვის მექანიზმი.

⁴⁵² გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, პრეამბულა, მე-2 პუნქტი.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის #34 დადგენილებაში გათვალისწინებულია სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ვალდებულება. აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) ფუნქციებში შედის ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამოწვეული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა.

ამავე დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი აკონკრეტებს ეკომიგრანტების დაცვის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალს. მოცემული მუხლის თანახმად, სამინისტროს უფლება-მოვალეობაში შედის: *„სტიქიასაშიშ რეგიონებიდან მოსალოდნელი მიგრაციის პროგნოზირება და ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამების განხორციელება; ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება; ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა; ეკომიგრანტების მონაცემთა ბაზის შექმნა“*.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი საუბრობს რწმუნებულის ვალდებულებაზე, პერიოდულად წარუდგინოს გამგებელს (მერს) ინფორმაცია ეკომიგრანტების რაოდენობისა და მათი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ. თუმცა, კანონი არ ადგენს აღნიშნული ინფორმაციის მიღების მიზანს, ამასთან, არ არის გაწერილი, კონკრეტულად რა ღონისძიებებს ატარებს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი ამ ინფორმაციის მიღების შემდგომ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტების მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში უსასყიდლოდ მიღებული ბინების ღირებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ საკანონმდებლო აქტები ითვალისწინებს გარკვეული ტიპის შეღავათს ეკომიგრანტის მიმართ, არეგულირებს ეკომიგრანტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, თუმცა არ არსებობს საკანონმდებლო ნორმა, რომელშიც მოცემულია ეკომიგრანტის დეფინიცია და პირთა წრე, რომელზეც ვრცელდება აღნიშნული სამართლებრივი სტატუსი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2010 წლის 02 ნოემბერს (№1346/04-4/ოფ) მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და გამოითხოვა ოფიციალური ინფორმაცია, სამართლებრივ დონეზე ეკომიგრანტების დაცვის მექანიზმი და პროცედურები დამატებით იყო თუ არა გათვალისწინებული სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. მიღებული კორესპონდენციის (წერილი №04/02-09/10383) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის #34 დადგენილებაში არსებული ჩანაწერის გარდა დამატებით არ არსებობს ეკომიგრანტების სამართლებრივი დაცვისათვის ნათლად გაწერილი პროცედურები ან სტანდარტები.

ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის #34 დადგენილებით სახელმწიფოს სამართლებრივ დონეზე ეკისრება ეკომიგრანტების დაცვის ვალდებულება და ზემოხსენებული ნორმები ამ უფლების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების გარკვეულ ჩამონათვალსაც („სტიქიასაშიშ რეგიონებიდან მოსალოდნელი მიგრაციის პროგნოზირება და ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამების განხორციელება; ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება; ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა; ეკომიგრანტების მონაცემთა ბაზის შექმნა“) მოიცავს, დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების ადეკვატური დაცვის რეალიზაციისათვის არსებული სამართლებრივი რეგულაცია ძალზედ ზოგადი, მწირი და არადაძმავყოფილებელია.

ამდენად, ეკომიგრანტებისათვის ეფექტური სამართლებრივი დაცვის სისტემის უზრუნველსაყოფად საჭიროა, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს ამ კატეგორიის პირების სამართლებრივი სტატუსი, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი პირთა რა ჯგუფზე გავრცელდება აღნიშნული დეფინიცია. გარდა ამისა, ეფექტური სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია სამართლებრივ დონეზე განისაზღვროს დროებითი ან მუდმივი განსახლების, შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის და სოციალური პირობებით უზრუნველყოფის მექანიზმი და პროცედურები. თუმცა, ამ კუთხით დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს საქართველოს მთავრობა ინდივიდუალურად, განკარგულებების საფუძველზე უზრუნველყოფს ფინანსური დახმარებით.

2. პრაქტიკაში არსებული მიდგომა და ხარვეზები

ეროვნულ საკანონმდებლო სისტემაში არსებული ბუნდოვანი სამართლებრივი დაცვის მექანიზმის მიუხედავად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან მიღებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, პრაქტიკაში არსებობს სისტემა, რომელიც მეტ-ნაკლებად არეგულირებს ეკომიგრანტების კუთხით არსებულ პრობლემატიკას, თუმცა აღნიშნული სისტემა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამართლებრივ დონეზე არ არის მოწესრიგებული.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სტიქიური უბედურების შემთხვევაში შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ორგანო მის იურისდიქციაში არსებულ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგენს დოკუმენტს დაზარალებული ოჯახების მონაცემების შესახებ და ამოწმებს სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხს,

სამინისტროდან მიღებული ოფიციალური ინფორმაციით, საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხის შეფასების სისტემა იყოფა კატეგორიებად და იგი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

I კატეგორია – სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია სტიქიური მოვლენების შედეგად;

II კატეგორია – სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად და საცხოვრებლად გამოუსადეგარია. საცხოვრებელი სახლი აღდგენას არ ექვემდებარება;


III კატეგორია – სახლი, რომელშიც ამჟამად ცხოვრობენ, დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად. საცხოვრებელი სახლი აღდგენას ექვემდებარება;

IV კატეგორია – სახლი საცხოვრებლად ვარგისია, მაგრამ მიმდებარე ტერიტორია დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად.

საცხოვრებელი სახლის დაზიანების კატეგორიის შემოწმების შედეგად დაზარალებულ ოჯახს ენიჭება ერთ-ერთი კატეგორია. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ შევსებულ დოკუმენტში (დაზარალებული ოჯახების მონაცემები) ფიქსირდება ინფორმაცია ოჯახის წევრების რაოდენობისა და მათი საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ. ამასთან, განისაზღვრება, სახელმწიფოს მხრიდან რა ტიპის დახმარებას ანიჭებს ბენეფიციარი უპირატესობას (განსახლება ან მატერიალური დახმარება), აქვე დგინდება, შეფასების მომენტისათვის ოჯახს გაეწია თუ არა რაიმე სახის დახმარება (აღნიშნული პუნქტი ეხება იმ ეკომიგრანტებს, რომლებსაც სტიქიის შედეგად წინა წლებში დაენგრათ საცხოვრებელი სახლი და ისინი არ შეუფასებიათ).

მიღებულ მონაცემებს მუნიციპალიტეტის გამგეობა უგზავნის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. სწორედ რეგიონებიდან მიწოდებული ინფორმაციის

საფუძველზე სამინისტრო აწარმოებს სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებული პირების მონაცემთა ბაზას. 2010 წლის მდგომარეობით, სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით სტიქიით დაზარალებულების, მათ შორის – ეკომიგრანტების რაოდენობა 35 204 ოჯახია. აქედან, პირველ კატეგორიას განეკუთვნება 4957 ოჯახი, მეორეს – 6050 ოჯახი, მესამე კატეგორიას – 17 925 ოჯახი და მეოთხე კატეგორიას – 6272 ოჯახი.



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტიქიური მოვლენის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი/პირთა ჯგუფი შიდა კანონმდებლობაში მოხსენიებულია ტერმინებით – ეკომიგრანტი⁴⁵³ და სტიქიით დაზარალებული⁴⁵⁴. საკითხის სწორად გაგებისათვის აუცილებელია ცნებები სტიქიით დაზარალებული პირი და ეკომიგრანტი გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. ცნება ეკომიგრანტი თავის თავში გულისხმობს იმ პირს/პირთა ჯგუფს, რომელიც სტიქიური მოვლენის გამო იძულებული გახდა, დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილდა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, შესაბამისად, იძულებით გადაადგილებული პირის დეფინიციაში გადაადგილების ფაქტორი არის მნიშვნელოვანი, მაშინ, როდესაც სტიქიით დაზარალებული პირი თავის თავში არ მოიაზრებს გადაადგილებას.

სტიქიის შედეგად საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხის შეფასების შედეგად III (სახლი, რომელშიც ამჟამად ცხოვრობენ, დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად. საცხოვრებელი სახლი აღდგენას ექვემდებარება) და IV (სახლი საცხოვრებლად ვარგისია, მაგრამ მიმდებარე ტერიტორია დაზიანებულია სტიქიური

⁴⁵³ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 42-ე მუხლი, მე-4 პუნქტი, „ვ“ ქვეპუნქტი; საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 82-ე მუხლი, პირველი ნაწილი, „მ“ ქვეპუნქტი.

⁴⁵⁴ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის #34 დადგენილება, პირველი მუხლი.

მოვლენების შედეგად) კატეგორიას მიკუთვნებული პირები ვერ ჩაითვლებიან ეკომიგრანტებად, ვინაიდან მიგრაციის ფაქტორი არ ჩანს, შესაბამისად, ამ კატეგორიაში შემავალი პირები მოიხსენიება, როგორც სტიქიით დაზარალებულები.

სტიქიური მოვლენის შედეგად იძულებით გადაადგილებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარებისა და განსახლების ღონისძიებების განხორციელებას სახელმწიფო თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ დონეზე უზრუნველყოფს. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სტიქიური მოვლენის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს საქართველოს მთავრობა განკარგულებების საფუძველზე უზრუნველყოფს ფინანსური დახმარებით⁴⁵⁵, რიგ შემთხვევებში კი ახორციელებს მონაცვლე მიწის ნაკვეთის გადაცემას⁴⁵⁶ (განსახლებას). პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს არ აქვს ერთიანი მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. არც სამართლებრივ და არც პრაქტიკულ დონეზე არ არსებობს სტრატეგია, რა შემთხვევაშია რელევანტური ფინანსური დახმარების გაწევა და რა შემთხვევაში – განსახლება. ამასთან, არ არსებობს სისტემა, რომელიც დაარეგულირებს ფინანსური დახმარების დროს გადასაცემი თანხის ოდენობას, მოცემულ შემთხვევაში საჭიროა ინდივიდუალურ დონეზე შეფასდეს დაზიანება და ექსპერტმა განსაზღვროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის შესაბამისი თანხა.

არსად არ არის გაწერილი, საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხის მიხედვით რომელი კატეგორიის ოჯახს რა ოდენობის ფინანსური დახმარება გაეწევა და რა კრიტერიუმებით განისაზღვრება დაზარალებული ოჯახისათვის ფინანსური დახმარება. ამასთან, არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს ეკომიგრანტების განსახლების დროსაც. არ არის გაწერილი, რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ეკომიგრანტებისათვის შეთავაზებული საცხოვრებელი სახლი. ასევე, არის გარკვეული პრობლემები ეკომიგრანტებისათვის ფინანსური დახმარების მინიჭების პროცესშიც.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქართველოში 1991 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგად საჩხერის რაიონში უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის მდგომარეობა., შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მთავრობის განკარგულებების საფუძველზე⁴⁵⁷ უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ რკინიგზის ვაგონებში, გაიცა ფინანსური დახმარება; თუმცა, საჩხერის რაიონში არის დაზარალებული ოჯახები, რომლებიც არ ცხოვრობენ რკინიგზის ვაგონებში, არამედ ფიცრულ ქოხებში, დანგრეული სახლის დამხმარე ნაგებობებში, ნათესავებთან და ქირით. ასეთი ოჯახებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებები. ამდენად აშკარაა, რომ საკითხისადმი ერთიანი მიდგომის არარსებობის გამო, აღნიშნულ

⁴⁵⁵ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის #627 განკარგულება.

⁴⁵⁶ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 7 ივლისის #111 განკარგულება.

⁴⁵⁷ „სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების შესახებ“ 2005 წლის 20 მაისის №190 განკარგულება; „საქართველოში 1991 წელს მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ“ 2005 წლის 23 ივნისის №264 განკარგულება

საქმეში სახელმწიფომ მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ოჯახების გარკვეული ნაწილი არათანაბარ პირობებში ჩააყენა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2004 – 2010 წლებში სამინისტრომ სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის შეისყიდა 1062 საცხოვრებელი სახლი ქვემო ქართლის, კახეთის და სამცხე ჯავახეთის რეგიონებში, კერძოდ:

- წალკის მუნიციპალიტეტი – 594 სახლი;
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი – 2010 სახლი;
- ახმეტის მუნიციპალიტეტი – 89 სახლი;
- მარნეულის მუნიციპალიტეტი – 70 სახლი;
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი – 57 სახლი;
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი – 51 სახლი.

განსახლების პროცესში პრობლემას წარმოადგენს განსახლების შემდგომი ადაპტაცია–ინტეგრაციის ღონისძიებების განხორციელების საკითხი. სახელმწიფოს მიერ განსახლების ვალდებულება სამართლებრივად ორ ძირითად ეტაპს გულისხმობს. პირველ ეტაპს წარმოადგენს ბენეფიციარის განსახლება, ხოლო მეორეს – განსახლების შემდგომი ადაპტაცია–ინტეგრაციის ღონისძიებების განხორციელება. ამდენად, სახელმწიფოს მიერ ბენეფიციარის განსახლება არ არის საკმარისი ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის. განსახლების შემდგომი ღონისძიებების განხორციელება გულისხმობს ეკომიგრანტისათვის ადეკვატური საცხოვრებელი და სოციალური პირობების შექმნას, რაც საბოლოოდ ემსახურება განსახლებული პირის ახალ რეგიონში ადაპტაციასა და დამკვიდრებას.

იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპის მე-18 პუნქტით დადგენილია მინიმალური სტანდარტი, რომლითაც სახელმწიფომ უნდა იხელმძღვანელოს იძულებით გადაადგილებული პირის უზრუნველყოფისას. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპის მე-18 პუნქტის თანახმად, ნებისმიერ ვითარებაში და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ხელისუფლების პასუხისმგებელმა ორგანოებმა ამ კატეგორიის პირებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახადონ „აუცილებელი საკვები და სასმელი წყალი, თავშესაფარი და საცხოვრებელი, შესაფერისი ტანსაცმელი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და სანიტარული მომსახურება.“⁴⁵⁸

2010 წლის პერიოდში იყო შემთხვევა, როდესაც სტიქიური მოვლენის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები მთიანი აჭარიდან სახელმწიფომ განასახლა ახმეტის რაიონში, სოფ. ქორეთში. მძიმე საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გამო რამდენიმე ოჯახმა დატოვა განსახლების შედეგად გადაცემული საცხოვრებელი

⁴⁵⁸ 1998 წლის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, პრინციპი 18, პუნქტი 2.

ადგილი და დაბრუნდა მთიან აჭარაში⁴⁵⁹. ეკომიგრანტების განსახლების შემდგომი სოციალური პრობლემატიკის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მძიმე სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული, მათ შორის: დაზიანებული საცხოვრებელი სახლის გადაცემა, რიგ შემთხვევებში ბუნებრივ აირსა და სასმელ წყალზე ხელმიუწვდომლობა, ასევე, განსახლებულ სოფლებში ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებების არარსებობა, დასაქმების უპერსპექტივობა. გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ეკომიგრანტების მძიმე სოციალური პირობების თაობაზე შემოსული განცხადებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ეკომიგრანტების უმეტესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

არსებული მდგომარეობა ცხადყოფს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ჯეროვნად ვერ ახორციელებს ეკომიგრანტებისათვის განსახლების შემდგომი პროგრამების შემუშავებას და მის პრაქტიკაში გამოყენებას. ამას ისიც ემატება, რომ 2008 წლის 22 თებერვლის საქართველოს მთავრობის #34 დადგენილებაში არსებული ჩანაწერი „...ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა...“ ძალიან ზოგადი ხასიათისაა და ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის საკმარისი არ არის. როგორც ზემოთ აღინიშნა, პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელია, სამართლებრივ დონეზე განისაზღვროს ეკომიგრანტის განსახლების შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის სტრატეგია და პროცედურები.

სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების – ეკომიგრანტების მიმართ არსებული პრაქტიკის ანალიზის შედეგად აშკარაა, რომ არსებობს პრობლემები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებას და ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ერთიანი სახელმწიფო მიდგომა სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის რელევანტური დამხმარე ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ ამ კუთხით საკითხი სრულიად დაურეგულირებელი და ბუნდოვანია, აუცილებელია გაიწეროს ის წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც ოჯახს გაეწევა ადეკვატური ფინანსური დახმარება და რიგ შემთხვევებში გადაეცემა მონაცვლე მიწის ნაკვეთი. ამასთან, აუცილებელია უფრო აქტიურად განხორციელდეს ის პროგრამები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ეკომიგრანტის განსახლებულ პუნქტში ადაპტაცია და რეგიონში დამკვიდრება. უნდა შემუშავდეს ეფექტური მიდგომა განსახლებული ოჯახების ცხოვრებისათვის ადეკვატური სოციალური პირობების შესაქმნელად. დაუშვებელია მსგავსი კატეგორიის ოჯახების ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენდეს სახელმწიფოს სოციალური პროგრამებიდან მიღებული ფინანსური დახმარებები.

⁴⁵⁹ <http://humanrightsge.org/index.php?a=main&pid=8340&lang=geo>.

რეკომენდაციები:

ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდეს ეკომიგრანტის დეფინიცია, განისაზღვროს პირთა წრე, რომლებზეც გავრცელდება აღნიშნული სამართლებრივი სტატუსი;

სტიქიის შედეგად იძულებით გადაადგილებული და დაზარალებული პირების უფლებების დაცვის მიზნით ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს ერთიანი მიდგომა, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს საკითხის სამართლებრივ დონეზე დარეგულირებას, რისთვისაც საჭიროა სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების განსახლებისა და სოციალური პირობებით უზრუნველყოფის მექანიზმი და პროცედურები;

სამართლებრივ დონეზე შემუშავდეს ეკომიგრანტების განსახლების შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის სტრატეგია და მოხდეს მისი ეფექტური რეალიზება პრაქტიკაში.

ბავშვის უფლებები

შესავალი

2010 წელს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე მწვავედ აისახა საყოველთაო ეკონომიკური კრიზისი და 2008 წელს რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2010 წლის აპრილში გამოქვეყნებული საქართველოს შესახებ კვლევის თანახმად⁴⁶⁰: ბავშვების 28% და მათი ოჯახები სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან. გამოკითხული ოჯახების (შინამეურნეობების) წევრების 40 %-ზე მეტმა განაცხადა, რომ არ შეუძლიათ საკუთარი თავის უზრუნველყოფა საკმარისი საკვებით ან ისე ცუდად იკვებებიან, რომ მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. გამოიკვეთა, რომ ქვეყნის მასშტაბით ასეთ შინამეურნეობებში ბავშვების 37% ცხოვრობს. შინამეურნეობების დაახლოებით 10 %-თვის ხელმისაწვდომი არ არის წყალი, გათბობა და სანიტარიული პირობები, ხოლო 63%-თვის მიუწვდომელია ამ კომუნალურ სერვისთაგან ერთ-ერთი. ეს შინამეურნეობები ასევე იმყოფებიან მატერიალური დეპრივაციის მაღალი რისკის ქვეშ.

1989 წლის გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად: სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. ზემოაღწერილი კვლევის მონაცემები იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ქვეყანაში მცხოვრები ბავშვების, სავარაუდოდ, 28%-ისთვის არ არის უზრუნველყოფილი ცხოვრების სათანადო პირობები.

2010 წელს სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრის მიერ ბავშვთა უფლებების დარღვევები გამოკვეთილად შემდეგ სფეროებში აღინიშნა (92 საქმე):

- ბავშვთა მიმართ ძალადობა;
- განათლების უფლების შეზღუდვა;
- ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინების ნაკლებობა.

⁴⁶⁰ როგორ უმკლავდებიან საქართველოში ბავშვები და მათი ოჯახები ფინანსური კრიზისის ზეგავლენას, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, 2010 წელი
http://www.unicef.org/georgia/WMS_draft_geo_edited.pdf

ბავშვთა მიმართ ძალადობა

ბავშვთა მიმართ ძალადობა რჩება ბავშვთა უფლებების დარღვევის მნიშვნელოვან სფეროდ საქართველოში. როგორც სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში აისახა, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის⁴⁶¹ თანახმად, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების მნიშვნელოვან რაოდენობას აღწევს. აღნიშნული კვლევის თანახმად:

მშობლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით – ისინი ბავშვების 79.8%-ს ფიზიკურად სჯიან, ხოლო 82.3 %-ის მიმართ ფსიქოლოგიურ დასჯას მიმართავენ.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯა ადრეული ასაკიდან დაფიქსირდა: ერთი წლის და უფრო დაბალი ასაკის ბავშვების 19 % ფიზიკურად ისჯება. ეს პროცენტი ოთხიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებში 90%-მდე იზრდება. ფსიქოლოგიური დასჯაც იმავე პროცენტულობით დაფიქსირდა. რესპოდენტი ბავშვების 54%-მა აღიარა, რომ ოჯახში უშუალო ფიზიკური ძალადობა განიცადა, ხოლო 59.1%-მა ფსიქოლოგიურ ძალადობაზე მიუთითა.

სამართლებრივი რეგულირება

2010 წლის 31 მაისს სამი მინისტრის მიერ დამტკიცდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები.⁴⁶² პროცედურების მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობა საქართველოში. ეს პროცედურები განსაზღვრავს ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების კოორდინირებულად მუშაობის წესს, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, კომპეტენტური ორგანოების უფლება-მოვალეობებს, თანამშრომლობას, რომელიც დაკავშირებულია ბავშვთა დაცვასთან.

არასრულწლოვნის მიმართ ძალადობას ასევე არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობის შემდეგი აქტები: სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის: ცემა,⁴⁶³ ძალადობა,⁴⁶⁴ აგრეთვე, წინასწარი შეცნობით

⁴⁶¹ საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობა, ეროვნული კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2007–2008 წელი http://www.unicef.org/georgia/Violence_Study_GEO_final.pdf

⁴⁶² საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება #152/ნ-#496 –#45/ნ.

⁴⁶³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 125, ნაწილი 2

⁴⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 126, ნაწილი 2, ქვეპუნქტი „დ“

არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება/გასაღებისთვის.⁴⁶⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცავს არასრულწლოვნის ინტერესებს, თუ მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი ბოროტად იყენებს საკუთარ უფლებამოსილებას, სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას ან არაჯეროვნად ასრულებს მას.⁴⁶⁶ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოვალეობაა ასეთი შემთხვევების გამოვლენა და რეაგირება.⁴⁶⁷

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი იცავს არასრულწლოვანს, რომელიც შეიძლება გახდეს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი,⁴⁶⁸ რომლის შემთხვევაშიც, სოციალური მომსახურების სააგენტოს კომპეტენციაში შედის: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელება;⁴⁶⁹ სასამართლოსადმი დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მიმართვა⁴⁷⁰; დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგი.⁴⁷¹

არსებული პრაქტიკა

არსებულ მდგომარეობაში უკეთ გარკვევის მიზნით სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრმა მიმართა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ და გამოითხოვა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების 2010 წლის სტატისტიკური მონაცემები. , სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მონაცემებით, 2010 წლის იანვრიდან 2010 წლის ნოემბრის ჩათვლით მოცემულია ძალადობის იდენტიფიცირებისა და შემთხვევების მართვის შემდეგი სურათი:

⁴⁶⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 255, ნაწილი 2

⁴⁶⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1206, ნაწილი 2

⁴⁶⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1198¹, ნაწილი 2

⁴⁶⁸ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტები „ვ“, „ზ“

⁴⁶⁹ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 8, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ბ“


⁴⁷⁰ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 11

⁴⁷¹ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 8, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ე“

2010 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით:

სულ ბავშვთა მიმართ ძალადობაზე შეტყობინება		89
შეტყობინება	პოლიციის მიერ	12
	სკოლის მიერ	3
	ბავშვის, ოჯახის, სხვადასხვა	74
	ორგანიზაციის მიერ	
ძალადობის ტიპები	ფიზიკური ძალადობა	33
	უგულებელყოფა	14
	ემოციური ძალადობა	38
	სექსუალური ძალადობის	4
	მცდელობა	

მოწოდებული მონაცემებით დგინდება, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინებათა რაოდენობა გაიზარდა 2010 წლის ოქტომბერ–ნოემბრის თვეებში, რაც, სავარაუდოდ, შესაძლებელია აიხსნას ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების ზრდით და არა თავად შემთხვევების რაოდენობის მატებით. აღნიშნულის ერთ–ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იყო მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცება, რომლებმაც ბავშვთან მომუშავე პროფესიონალებს განუსაზღვრა ძალადობის შესახებ შეტყობინების გაკეთების ვალდებულება და პროცედურა; ასევე, მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა განვიხილოთ საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა ამ სფეროში.



სოციალური მომსახურების სააგენტოს როლი ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების მართვაში

სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, განსაკუთრებული როლი აქვს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღკვეთასა და მასზე რეაგირების საკითხში. შესაბამისად, სახალხო დამცველისათვის ცნობილ ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა შემთხვევის შესახებ 2010 წლის განმავლობაში ინფორმაცია მიეწოდა სწორედ ამ უწყებას. მათ მიერ საქმის შესწავლის შედეგების ანალიზმა აჩვენა გარკვეული ხარვეზები:

რიგ შემთხვევაში სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული ოფისების უფლებამოსილი პირები – სოციალური მუშაკები – ვერ აფიქსირებენ ძალადობის ან არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. მაგალითისთვის, გ.ნ. –ს საქმეში, რომელიც 1 თვის ბავშვის მიმართ მშობლის მიერ განხორციელებულ შესაძლო ძალადობას ეხებოდა, სოციალური მუშაკი დასკვნის შედგენისას დაეყრდნო მხოლოდ მშობლის ნაამბობს. რის შედეგადაც გააკეთა დასკვნა ძალადობის ფაქტის არარსებობასთან დაკავშირებით, რაც არასაკმარისია, ვინაიდან სოციალური მუშაკის მუშაობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით; არ მოუპოვებიათ სხვა მტკიცებულებები.

გ.კ.–ს საქმეში სოციალური მომსახურების სააგენტომ ბავშვისთვის სათანადო და მზრუნველ გარემოდ შეაფასა ოჯახი, სადაც არასრულწლოვანი იზრდებოდა დედასთან ერთად, რომელიც, სავარაუდოდ, ანტისაზოგადოებრივი და ამორალური ქცევით ხასიათდებოდა.

მ.ჭ.–ს საქმეში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთან, რომელიც სოციალური მუშაკის დასკვნის მიხედვით, „შესაძლოა დედამ და ბებია მწიფებოდნენ საზღვარგარეთ და ჩააბან უკანონო ქმედებაში, მაგალითად, როგორცაა სხეულით ვაჭრობა“ სოციალურმა მუშაკმა ოჯახის მიერ მისამართის შეცვლის შემდგომ გამოიჩინა პასიურობა და ბავშვთან შეფასებისა და მუშაობის გაგრძელების მიზნით აღარ განახორციელა დამატებითი ღონისძიებები.

ზემოთ აღნიშნული საქმეებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური სამსახურის მიერ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და რეაგირებისას რიგ შემთხვევაში არ ტარდება საკმარისი ღონისძიებები ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დადგენისა და დაცვის მიზნით.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო ყოველთვის არ ასრულებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრულ მოვალეობას – შეატყობინოს პოლიციას ბავშვზე ძალადობის სავარაუდო ფაქტის შესახებ, განახორციელოს სრულფასოვანი შეფასება, ჩართოს კვალიფიციური ფსიქოლოგი შემთხვევის შესასწავლად და უზრუნველყოს ძალადობის მსხვერპლის სრულფასოვანი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია. აღნიშნულს ადასტურებს ის მომართვები, რომლებიც შემოდის სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებების

ცენტრში, სადაც განმცხადებლები ითხოვენ დახმარებას ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ უკვე მიმართული ჰქონდათ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსადმი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოციალური მუშაკების შეზღუდულ რაოდენობასთან დაკავშირებული პრობლემატიკაც. 2010 წელს საქართველოს მასშტაბით მომუშავე 200 სოციალური მუშაკი არ არის საკმარისი ბავშვთა ძალადობისგან დაცვის პრობლემის მოგვარებისთვის მიმართვიანობის პროცედურების ფარგლებში.

ყველა ზემოაღნიშნულ საქმეში სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან; ხარვეზების შესახებ ინფორმაციას აწოდებდა, თუმცა ინდივიდუალურ შემთხვევებში პრობლემების გადაჭრამ ვერ უზრუნველყო სააგენტოს მიერ სისტემური მიდგომის გაუმჯობესება ძალადობის პრევენციის, იდენტიფიცირებისა და რეაგირების კუთხით.

რეკომენდაცია:

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- უზრუნველყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და შემთხვევების მართვის ხარისხის გაზრდა, სოციალური მომსახურების სააგენტოში მონიტორინგის სისტემის გაძლიერებით, რომელიც შეისწავლის თითოეულ პრობლემატურ შემთხვევას და განახორციელებს სისტემურ ცვლილებებს სოციალური მუშაკების მუშაობის მეთოდოლოგიის გასაუმჯობესებლად.
- ჩართოს საჭირო რაოდენობის კვალიფიციური პროფესიონალი (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები) ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების მართვის პროცესში, რომელიც უზრუნველყოფს ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის სრულფასოვანი მომსახურების მიწოდებას (ძალადობის იდენტიფიცირება, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, საზოგადოებაში ინტეგრაცია ა.შ.).

არასრულწლოვნის დაცვა ოჯახური ძალადობის დროს

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრის მიერ ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე განცხადებების განხილვისა და მათზე რეაგირების დროს გამოვლინდა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით სამართლებრივ ნორმათა პრაქტიკაში გამოყენების პრობლემები.

არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ძალადობის იდენტიფიცირება სიძნელეს წარმოადგენს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოძალადე შეიძლება იყოს მშობელი/მშობლები და/ან როცა ძალადობა ფიზიკურ კვალს არ ტოვებს (მაგ.

ფსიქოლოგიური ძალადობა) და რთულდება ძალადობის ფაქტის დადგენა.

მოქალაქეთა განცხადებებიდან ირკვევა, რომ არის შემთხვევები, როდესაც უფლებამოსილ პოლიციელს მიაჩნია, რომ არ არის საკმარისი საფუძველი, რათა გამოიცეს შემაკავებელი ორდერი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ფსიქოლოგიურ ძალადობას და არ არსებობს მოწმე ან სხვა სახის რაიმე მტკიცებულება აღნიშნულის დასადასტურებლად. პრაქტიკამ ასევე აჩვენა, რომ პოლიციელი არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შესაძლო ფაქტის განხორციელების დროს შემაკავებელი ორდერის გამოცემის ერთ-ერთ წინაპირობად განიხილავს მოწმის არსებობას. აღნიშნული შეზღუდვა ეწინააღმდეგება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს, რადგან არის შემთხვევები, როდესაც მოწმე არ არსებობს, მაგრამ კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენელს (მაგ. სოციალურ მუშაკს) შეუძლია განაცხადოს, რომ ბავშვი არის ძალადობის მსხვერპლი. შესაბამისად, იმისთვის რომ პოლიციის მუშაკმა ეფექტურად განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, აუცილებელია ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე მოხდეს სოციალური სამსახურის ინფორმირება, რათა შესაძლებელი გახდეს სამართალდამცავთა მიერ ფსიქოლოგიური ძალადობის იდენტიფიცირება, რომლის აუცილებელი პირობაც არის სოციალური მუშაკის დასკვნა არასრულწლოვანთან დაკავშირებით. ასევე, სოციალური მუშაკის მუშაობის ეფექტურობისათვის აუცილებელია მათი კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა სამართალდამცავ ორგანოებთან.

2010 წელს სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრი ჩართული იყო „ოჯახში ძალადობის საკითხებზე“ პოლიციელებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში⁴⁷². მუშაობის პერიოდში შემუშავდა დეტალური რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს უფლებამოსილმა პირმა ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში. სახელმძღვანელოში დეტალურადაა გაწერილი ოჯახში ძალადობისგან არასრულწლოვნის დაცვის სპეციფიკური ღონისძიებები:

- **პოლიციისა და სოციალურ სამსახურის კოორდინირებული მუშაობა**

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის თანახმად პოლიცია ვალდებულია, ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები; ასევე, ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა, პოლიციის ორგანოებს მიმართა დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ თუ კანონით გათვალისწინებულმა

⁴⁷² დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, 2010 წელი, შედგენილი ავტორთა ჯგუფის მიერ.

პირმა.

კანონის თანახმად, პოლიციამ ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს და შემთხვევის ადგილზე გამოცხადება შესაძლებლობის ფარგლებში უნდა მოხდეს ერთობლივად, რათა გაადვილდეს ძალადობის იდენტიფიცირება.

- **მოწმის როლი შემაკავებელი ორდერის გამოცემის დროს**

უფლებამოსილი პოლიციელი ძალადობის ფაქტის შესწავლის დროს უნდა მოქმედებდეს ბავშვის ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, რაც იმას გულისხმობს, რომ მოწმის არარსებობა არ უნდა მიიჩნიოს შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემაფერხებლად, მაშინ, როცა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის დასკვნა მიუთითებს, რომ არსებობს დასაბუთებული ეჭვი იმისა, რომ არასრულწლოვანი შეიძლება ძალადობის მსხვერპლი იყოს. პოლიცია უფლებამოსილია, ზემოაღნიშნული დასკვნის საფუძველზე გამოსცეს შემაკავებელი ორდერი.

- **დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტები**

იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო მოძალადე ერთ-ერთი მშობელია და საქმის გარემოებებიდან ვერ დგინდება ძალადობის კვალი, რათა გამოიცეს შემაკავებელი ორდერი, პოლიცია ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია მეორე მშობელს და ოჯახის სხვა წევრებს, რადგან, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს არასრულწლოვნის უფლებების დასაცავად და მოითხოვონ დამცავი ორდერის გამოცემა. ასევე, მიაწოდოს ოჯახის წევრებს ან მეორე მშობელს დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ მიმართოს სასამართლოს.

იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო მსხვერპლი 14 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანია და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ ხერხდება პოლიციის მიერ შემაკავებელი ორდერის გამოცემა, პოლიციელი ვალდებულია, განუმარტოს არასრულწლოვანს, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამასთან, მიაწოდოს არასრულწლოვანს დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ მიმართოს სასამართლოს.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდება ოჯახის წევრებისა და არასრულწლოვნისთვის უნდა განხორციელდეს კონფიდენციალურობის დაცვით.

აღნიშნული საკითხები წერილობით უნდა დაფიქსირდეს პოლიციის მიერ შედგენილ ოქმსა თუ სხვა დოკუმენტში, რომლებშიც აღწერილია ადგილზე არსებული სიტუაცია.

სახალხო დამცველის რეკომენდაციები სრულად გაითვალისწინა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელმა საუწყებათშორისო საბჭომ სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია არასრულწლოვანთა უფლებების დაცვასთან ოჯახური ძალადობის ფაქტის არსებობის დროს.

რეკომენდაცია:

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოჯახური ძალადობის საკითხზე მომუშავე უფლებამოსილ პირებს, ასევე, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს:

- პრაქტიკაში დანერგონ დამხმარე სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული პრინციპები ოჯახური ძალადობის შემთხვევების მართვის პროცესში, არასრულწლოვანთა უფლებებისა და ჭეშმარიტი ინტერესის დაცვის მიზნით.

განათლების უფლება

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხილული საჩივრების ავტორები მიიჩნევენ, რომ ირღვეოდა ბავშვების განათლების უფლება. აღნიშნული საჩივრების ნაწილი შეეხებოდა განათლების ხელმისაწვდომობას, ხოლო ნაწილი – სასკოლო დისციპლინის დაცვის პროცესში ბავშვის უფლებების შელახვას.

სამართლებრივი რეგულირება

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით აღიარებულია ბავშვის განათლების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების ეტაპობრივად განხორციელების მიზნით სახელმწიფოს ვალდებულებები.⁴⁷³

სხვა ვალდებულებათა შორის, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობას.⁴⁷⁴ სახელმწიფოები იღებენ ზომებს სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშესაწყობად და სკოლიდან განთესილ

⁴⁷³ გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხლი 28

⁴⁷⁴ გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხლი 28, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“

მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად.⁴⁷⁵ ამასთან, სასკოლო დისციპლინა დაცული უნდა იყოს იმ მეთოდებით, რომლებიც ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემასა და გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციას ეფუძნება.⁴⁷⁶

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს განათლების უფლებას; დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო.⁴⁷⁷

სკოლაში დისციპლინის დაცვის ზოგად წესებსა და პირობებს ადგენს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას და შესაბამისი დისციპლინურ სახდელს უნდა განსაზღვრავდეს სკოლის შინაგანაწესი, რომელსაც სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო. აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეულ სკოლაში სკოლის შინაგანაწესი, შესაბამისად დისციპლუნური დარღვევებისა და სახდელების ნუსხა და მათი შეფარდების წესი შესაძლოა განსხვავებული იყოს.⁴⁷⁸

პრაქტიკა

- **განათლების ხელმისაწვდომობა**

განხილული განცხადებების ნაწილში მშობლები და მოსწავლეები გამოთქვამენ უკმაყოფილებას სწავლების დაბალი ან არასათანადო ხარისხის, მასწავლებლის არაკვალიფიციურობის გამო. მასწავლებლის არაკვალიფიციურობა და დადგენილ სტანდარტებთან⁴⁷⁹ შეუსაბამობა უკავშირდება ხარისხიანი განათლების მიღების შეუძლებლობას, რაც მიუთითებს განათლების ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევაზე.

სკოლაში „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნების დაუცველობას ამოწმებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც ახორციელებს საჯარო სკოლების სახელმწიფო კონტროლს.⁴⁸⁰

ი.მ.-ს საქმეზე, რომელშიც განმცხადებელი საუბრობდა მარნეულის სოფელ კასუმლოს სკოლის პედაგოგიური კადრების დაბალკვალიფიციურობასა და სხვა დარღვევებზე, სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრმა მდგომარეობის შესწავლის მიზნით მიმართა⁴⁸¹ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული

⁴⁷⁵ გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხლი 28, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ე“

⁴⁷⁶ გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხლი 28, პუნქტი 2

⁴⁷⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35, პუნქტი 3

⁴⁷⁸ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მუხლები: 2, 19, 38

⁴⁷⁹ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მუხლი 2, პუნქტი „დ“

⁴⁸⁰ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მუხლი 26, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ქ“

⁴⁸¹ წერილი 2689/08-1/1265-10, 28 ივლისი, 2010 წელი

მონიტორინგის შედეგად სოფელ კასუმლოს საჯარო სკოლას მიეცა წერილობითი გაფრთხილება⁴⁸². ხოლო, საკითხის შესწავლის შემდეგ სკოლის დირექციამ თანამდებობიდან გაათავისუფლა ადმინისტრაციის ერთ-ერთი წევრი⁴⁸³

მოქალაქეთა განცხადებები ასევე ცხადყოფს, რომ რიგ შემთხვევაში, ბავშვებს განათლების მიღების უფლება დოკუმენტაციის მოუწესრიგებლობის გამო ეზღუდებათ; იმ ბავშვებს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები ან არიან საქართველოს მოქალაქეები, მაგრამ არ აქვთ მოწესრიგებული დოკუმენტაცია – დაბადების მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან სხვა, ექმნებათ პრობლემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სასკოლო ვაუჩერის მიღების დროს. კონკრეტული საქმეებიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრის მიმართვით განათლების სამინისტრომ უზრუნველყო, რომ ბავშვებს არ შეზღუდვოდათ აღნიშნული უფლება დოკუმენტაციის მოწესრიგებამდე. თუმცა საკითხი სისტემურად არ გადაჭრილა – სკოლებისათვის ერთიანი რეგულაციის ან ინსტრუქციის შემუშავების გზით, რომელიც უზრუნველყოფდა დოკუმენტაციის პრობლემის მოგვარებამდე ბავშვის განათლების უფლების უწყვეტ რეალიზაციას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კომუნიკაციით ირკვევა, რომ ამგვარი რეგულაციები შემუშავების პროცესშია.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც უკავშირდება განათლების ხელმისაწვდომობას, არის სპეციალიზებულ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების მიერ ზოგადი განათლების სრულად მიღება. შუა სასწავლო წელს, ბავშვები, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ამოირიცხებიან რეზიდენტული ინსტიტუციიდან, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სკოლის დასრულებამდე დაწესებულებაში დარჩენის შესაძლებლობას. შესაბამისად, ბენეფიციარებს, რომელთაც სურთ მიიღონ საშუალო განათლება, მაგრამ მათი ოჯახები მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო ვერ უზრუნველყოფენ მათ შესაბამისი სამოსით, სასწავლო მასალითა და სხვა, ერთმევათ ამის შესაძლებლობა. რეგიონების შემთხვევაში პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ ბავშვების სოფლებში გარკვეულ შემთხვევებში არ ფუნქციონირებს საშუალო სკოლა, შესაბამისად, ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის მონახვის გარეშე ისინი ვერ ახერხებენ სრული ზოგადი განათლების მიღებას.

- **განსხვავებული მდგომარეობა**

მოსწავლეების ნაწილი განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა 2009–2010 წლის ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის გამოცდების ჩაბარების დროს. დამამთავრებელ კლასში უნდა ჩატარებულიყო 2 გამოცდა ქიმიის საგანში (სავალდებულო და არჩევითი კურსების სახით). მიუხედავად ამისა, იმ მოსწავლეებს, რომლებიც არჩევითი კურსის სახით აბარებდნენ ქიმიის გამოცდას, ქიმიის ორი გამოცდის ნაცვლად ჩაუტარდათ ერთი გამოცდა. შესაბამისად, ამ

⁴⁸² საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #826 ბრძანება, 10 ნოემბერი, 2010 წელი.

⁴⁸³ წერილი 1265–10, 01 ნოემბერი, 2010 წელი.

მოსწავლეებმა ჩააბარეს 7 გამოცდა, ნაცვლად 8-ისა (6 სავალდებულო და ერთი არჩევითი საგანი). ხოლო იმ მოსწავლეებმა, რომლებმაც არ აირჩიეს ქიმიის არჩევითი კურსი, ჩააბარეს 8 გამოცდა (6 სავალდებულო და ორი არჩევითი). აქედან გამომდინარე, ის მოსწავლეები, რომლებიც XII კლასში არ აბარებდნენ ქიმიას არჩევითი კურსის სახით, აღმოჩნდნენ განსხვავებულ მდგომარეობაში, რადგან მოუწიათ ერთი გამოცდით მეტის ჩაბარება.

მნიშვნელოვანია, რომ „ეროვნული სასწავლო გეგმა“ და „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულება“ გამორიცხავდეს სხვადასხვა მოსწავლის განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩენის შესაძლებლობას.⁴⁸⁴

2009–2010 წლების ექსტერნატის გამოცდებთან დაკავშირებით (მოქალაქეთა კოლექტიური განცხადების⁴⁸⁵ და ა.ყ.– განცხადების⁴⁸⁶ საფუძველზე) სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრმა მიმართა რაიონულ, ექსტერნატის გამოცდების ორგანიზებაზე პასუხისმგებელ რესურსცენტრებს, მაგრამ მათ მიერ მოწოდებულ პასუხში აღნიშნული ფაქტი არ ფასდება მოსწავლეთათვის არათანაბარი პირობების შექმნად. თუმცა, „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის N841 ბრძანებითა და „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულებით“ (დამტკიცებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 5 მარტის N15/ნ ბრძანებით) 2009-2010 სასწავლო წელს ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდები უნდა ჩატარებულიყო ყველა სავალდებულო საგანსა (სულ 6) და ორ არჩევით საგანში – ყველა მოსწავლისათვის ერთნაირად.

• სასკოლო დისციპლინის დაცვა

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრის მიერ განხილული განცხადებების/საჩივრების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც შეეხება ძალადობის შემთხვევებს სკოლაში. განმცხადებლები, უმრავლეს შემთხვევაში მშობლები, მიუთითებენ ბავშვების მიმართ არასათანადო მოპყრობის, სიტყვიერი, ფიზიკური შეურაცხყოფის, მათ შორის – წერილობით გაცემულ რეკომენდაციაში ბავშვის ღირსების დამამცირებელი ჩანაწერის ფაქტების თაობაზე.

აღნიშნული პრობლემა დასმული იყო სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში, რომელშიც შემუშავებული იყო შესაბამისი რეკომენდაციები. 2010 წლის თებერვალში, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ „უსაფრთხო სკოლის“ პროგრამის დამტკიცებისა და პილოტირების მიუხედავად, კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება მოსწავლეთა მიმართ ემოციური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები, რომლებიც წარმოშობს საჭიროებას, მეტი ყურადღება მიექცეს ე.წ. ფარული ძალადობის ფაქტებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

⁴⁸⁴ „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულება“ მუხლი 14, პუნქტი 3

⁴⁸⁵ 1062–10, 16 ივნისი, 2010 წელი.

⁴⁸⁶ 0506–09/1, 28 ივნისი, 2010 წელი

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრმა შეისწავლა მოქალაქეთა განცხადებები, რომლებშიც აღნიშნული იყო ბავშვების მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობის შესახებ. მოქალაქე ი.ქ.-ს განცხადებაში⁴⁸⁷ აღნიშნული იყო, რომ კლასის დამრიგებელი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მოსწავლეს. განცხადების განხილვის შედეგად ეს ფაქტი დადასტურდა, მასწავლებელს სკოლის ადმინისტრაციის მიერ შეეფარდა დისციპლინური სახდელი.

მოქალაქეების გ.კ⁴⁸⁸.-ს, დ.ლ⁴⁸⁹.-ს, ი.გ⁴⁹⁰.-ს განცხადებებში აღნიშნული იყო, რომ მათი შვილების მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნა იყო უსამართლო. აღნიშნული განცხადებების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ დ.ლ. -ს შვილის მიმართ წარმოებული დისციპლინური დევნა არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“ და სკოლის შინაგანაწესს. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სკოლას ბავშვის დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით. სახალხო დამცველს აღნიშნულ რეკომენდაციაზე პასუხი არ მიუღია.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- პასუხისმგებელი პირების მიერ უზრუნველყოფილი იყოს სკოლებში მოსწავლეთათვის განათლების ხელმისაწვდომობა და დისკრიმინაციისაგან დაცვა;
- უზრუნველყოფილი იყოს სკოლებში ბავშვთა ღირსების გრძნობისა და პიროვნული განვითარების ხელშეწყობი გარემო, რომელიც გამორიცხავს ბავშვების მიმართ რაიმე სახის ძალადობას, მათ შორის, დისციპლინური ღონისძიების სახით.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და ბავშვის უფლებები

საანგარიშო წლის განმავლობაში სახალხო დამცველს განცხადებებით მიმართეს მოქალაქეებმა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პრობლემატიკის თაობაზე, რომელიც შეეხებოდა არასრულწლოვნის ინტერესების დაცვას აღსრულების პროცესში. როგორც განცხადებების შინაარსიდან ირკვევა, ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება რთულდება არასრულწლოვნის მკვეთრად გამოხატული წინააღმდეგობის გამო. ასეთ შემთხვევებში აღსრულების პროცედურების განხორციელებას მოჰყვა არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. არც ერთ შესწავლილ საქმეში არ იკვეთება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართვა აღსრულების პროცესში ბავშვის უფლებებისა და ქვეყნის ინტერესის დაცვის მიზნით.

⁴⁸⁷ განცხადებით მომართა 2010 წლის 8 ივნისს.

⁴⁸⁸ განცხადებით მომართა 2010 წლის 24 დეკემბერს.

⁴⁸⁹ განცხადებით მომართა 2010 წლის 5 ოქტომბერს.

⁴⁹⁰ განცხადებით მომართა 2010 წლის 2 აგვისტოს.

სამართლებრივი რეგულირება

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის თანახმად (2010 წლის 15 დეკემბრამდე), ბავშვის გადაცემის საქმეზე სააღსრულებო მოქმედებებს ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელთა მონაწილეობით. აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია ამ კატეგორიის საქმეზე აღსრულების პროცესში ჩართოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

პრაქტიკა

2009 წლის 7 ივლისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ა. კ.-მ, რომელიც აღნიშნავდა, რომ წლების წინ, მისი ნების საწინააღმდეგოდ, მისი შვილი გააშვილეს. მისი თქმით, ამ დროისთვის საქართველოში არ იმყოფებოდა, რადგან იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი უცხო ქვეყანაში. ა.კ.-ს საქართველოში დაბრუნების შემდეგ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვი ბიოლოგიურ დედას მიეკუთვნა. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება გართულდა, ვინაიდან ბავშვი ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნების წინააღმდეგი იყო. მიუხედავად ამისა, თვეების განმავლობაში ხდებოდა აღმასრულებლის მიერ გადაწყვეტილების ჩვეულებრივი მეთოდით აღსრულება, რის გამოც არასრულწლოვანს განუვითარდა მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რადგან მას არ სურდა დედასთან დაბრუნება.

2010 წლის 31 მაისს სახალხო დამცველს მიმართა ნ. მ.-მ. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ყოფილ მეუღლეს განესაზღვრა ბავშვის მონახულების დღეები. სამი წლის განმავლობაში ყოფილი მეუღლე ყოველდღე აკითხავდა ბავშვს შეხვედრის მიზნით – პატრულისა და აღმასრულებლის თანხლებით. ბავშვს აღნიშნულთან დაკავშირებით განუვითარდა ემოციური სტრესი და რამდენჯერმე დასჭირდა ნევროპათოლოგის დახმარება.

2010 წლის 29 ოქტომბერს სახალხო დამცველს მიმართა თ. ბ.-მ. მისი განცხადებით, მას ჰყავს 13 წლის შვილი, რომელიც საერთოდ არ იცნობს საკუთარ მამას. 2010 წელს სასამართლოს განჩინებით მამას განესაზღვრა ბავშვის მონახულების დღეები და დაიწყო აღმასრულებლის მიერ გადაწყვეტილების აღსრულება. ბავშვს არ ჰქონდა მამასთან ურთიერთობის სურვილი, რის საფუძველზეც მოზარდს განუვითარდა ფსიქო-ემოციური სტრესი.

სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრის მიერ მოხდა თითოეულ შემთხვევაზე რეაგირება. კერძოდ, წერილობით მიმართვა გაეგზავნა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რათა მოეწოდებინა ინფორმაცია, თუ რამდენად იყო დაცული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში ბავშვის ჰუმანური ინტერესი; იყო თუ არა შესაძლებლობა გადაწყვეტილების განსხვავებული მეთოდით აღსრულებისა, რომელიც გაითვალისწინებდა ბავშვთან სპეციფიკური მიდგომის საჭიროებას.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ხშირ შემთხვევაში ძნელდება გადაწყვეტილების აღსრულება, მაგრამ აღმასრულებლის კომპეტენციაა

გადალახოს ყველა ის გარე ფაქტორი, რომლებიც ხელისშემშლელია გადაწყვეტილების აღსრულებისათვის და უზრუნველყოს მშობლის შეხვედრა ბავშვთან. მათი განმარტებით, ამგვარი საქმეების მართვაში აუცილებელია მონაწილეობას იღებდეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აღმასრულებელი და სოციალური მუშაკი, სააღსრულებო ბიუროს განმარტებით, აკვირდებიან მოზარდისა და ზრდასრულის ურთიერთობის პროცესს და თუ გამოვლინდა ფსიქოლოგიური ზეწოლის ან ფიზიკური ძალადობის ფაქტი, ისინი დაუყოვნებლივ აღკვეთენ აღნიშნულ ფაქტს, რაზედაც შედეგადად ოქმი. ხოლო თუ ბავშვმა უარი განაცხადა მშობელთან ურთიერთობაზე, მაშინ აღსრულება გადაიდება და ვიზიტი განხორციელდება სხვა დროს.⁴⁹¹ მიუხედავად კანონის აღნიშნული ჩანაწერისა, საქმეების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ პრაქტიკაში არ ჩანს სოციალური სამსახურის როლი აღსრულების პროცესში. ამას ადასტურებს სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი⁴⁹², რომელშიც აღნიშნულია, რომ სოციალური მომსახურების ცენტრს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, მონაწილეობა არ მიუღია სახალხო დამცველთან შემოსულ საქმეებში მითითებულ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაში, რადგან სააღსრულებლო ბიუროს მათთვის არ მიუმართავს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღსრულების პრობლემატიკა შესაძლებელია, ერთი მხრივ, განპირობებული იყოს სასამართლო განხილვის დროს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის, ბავშვის აზრის არასაკმარისად გათვალისწინებით, განსაკუთრებით მაშინ, თუ არასრულწლოვანს არ მიუღწევია 10 წლის ასაკისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, აღსრულების პროცედურაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობის ნაკლებობით.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ, „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად⁴⁹³, 2011 წლის 1 თებერვლისათვის აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული, ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეები გადაეცათ ამ საქმეთა აღსრულებაზე უფლებამოსილ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

ხოლო 2011 წლის 15 იანვრისათვის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი უზრუნველყოფს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ ზემოაღნიშნული საქმეების აღსრულების წესის განსაზღვრის მიზნით.

რეკომენდაცია:

⁴⁹¹ წერილი #1668-10; 2010 წ. 7 დეკემბერი.

⁴⁹² წერილი #1668-10; 2010 წ. 27 დეკემბერი

⁴⁹³ 15 დეკემბერი, 2010 წელი.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სოციალური მომსახურების სააგენტოს, რათა 2011 წლიდან:

- აღსრულების პროცესში უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭოს ბავშვის უფლებების გარანტირებულ დაცვას.
- უფლებამოსილმა უწყებამ უზრუნველყოს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის განსაზღვრა შესაბამისი პროცედურებითა და პროფესიონალების მონაწილეობით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოში

მსოფლიოს უმრავლესი პროგრესული საკანონმდებლო თეორიისა და პრაქტიკის თანახმად, ბავშვები, რომელთაც დაარღვიეს კანონი, უფრო მეტად საჭიროებენ რეაბილიტაციას და რეინტეგრაციას, ვიდრე დასჯას. გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის მე-10 ზოგადი კომენტარის თანახმად,⁴⁹⁴ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი უნდა იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ორგანიზების ძირითადი პრინციპი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს რეპრესიული და სადამსჯელო ღონისძიებების ჩანაცვლებას რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებებით, საზოგადოების უსაფრთხოებისადმი შესაბამისი ყურადღების დათმობით.

თანამედროვე მსოფლიოში ბავშვებს, რომელთაც ბრალად ედებათ კანონის დარღვევა, უფლება აქვთ ისარგებლონ იმგვარი მოპყრობით, რომლითაც სრულად იქნება გათვალისწინებული მათი ასაკი, გარემოებანი და მოთხოვნილებანი.

ქვემოთ მოყვანილია ის საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს არასრულწლოვანთა უფლებრივ მდგომარეობას მართლმსაჯულების სისტემაში:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებების კონვენცია (1989წ);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (პეკინის წესები, 1985წ.);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის წესები (1990წ.);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის თავიდან აცილების შესახებ (ერ-რიადი, 1990წ).

ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან უნივერსალური და სავალდებულო ხასიათის მატარებელია ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელშიც თავმოყრილია ყველა ძირითადი პრინციპი. სახელმწიფოები, რომლებიც შეუერთდნენ ბავშვის უფლებათა

⁴⁹⁴ გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის მე-10 ზოგადი კომენტარი, ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, 2007

კონვენციას, ვალდებულნი არიან არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა უზრუნველყონ სამ განსხვავებულ დონეზე:

- დანაშაულის პროფილაქტიკა;
- დაცვა;
- ინტეგრაციის ხელშეწყობა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა დაგეგმოს და შეიმუშაოს დანაშაულის პროფილაქტიკის სტრატეგია. ვალდებულებების შესრულება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კანონების მიღებით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთათვის მართლმსაჯულების ცალკე სისტემის შექმნა, როგორც არის მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში.

აღდგენითი მართლმსაჯულება

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დამახასიათებელ თავისებურებებს (მართლმსაჯულების დამოუკიდებელი სისტემა არასრულწლოვანთა სასამართლოებისა და სხვათა სახით⁴⁹⁵).

არასაპატიმრო ხასიათის ღონისძიებათა უპირატესი გამოყენების პრინციპი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ–ერთი დამახასიათებელი თვისებაა: „პეკინური წესების“ 13.1 წესის მიხედვით, „წინასწარი პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ როგორც განსაკუთრებული ზომა, მე-2 წესი ამ დებულებას უფრო განავრცობს და აცხადებს: „...არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ მინიმალური აუცილებელი ვადით და შეზღუდული უნდა იყოს გამონაკლისი შემთხვევებით“;

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის „ბ“ ქ/პუნქტის თანახმად, ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში“.

დღესდღეობით არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის სასჯელის შეფარდებისას საქართველოში უპირატესად ერთი მიდგომა გამოიყენება — თავისუფლების აღკვეთა და პირობითი მსჯავრი.

⁴⁹⁵ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის დამახასიათებელი სპეციალიზებული სასამართლოები, ასევე, სხვა ალტერნატიული, დამხმარე სისტემები. არასრულწლოვანთა სასამართლოები მოქმედებს ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ავსტრიაში, აშშ-ის ზოგიერთ შტატში და ა.შ. სხვა ალტერნატიული სისტემების სახით ახალგაზრდების უფლებათა დაცვის კომიტეტებია შექმნილი, მაგალითად: ნორვეგიაში, ფინეთსა და შვეციაში.

მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მახასიათებლები არ არის მნიშვნელოვნად გათვალისწინებული საქართველოს საკანონმდებლო სისტემაში, სახელმწიფომ უკვე დაიწყო აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპების გატარება, რაც მისასალმებელი ფაქტია; შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ საკანონმდებლო სივრცეში დამკვიდრებული სიახლე, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფის ერთ-ერთი დამახასიათებელი მიდგომაა.

განრიდების პროგრამა

2010 წლის ივლისში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება⁴⁹⁶. ამ ცვლილებასთან ერთად ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების განრიდების პროგრამა. პროგრამა დამტკიცდა იუსტიციის მინისტრისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ბრძანებებით⁴⁹⁷.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წინაპირობაა შემდეგი გარემოებების ერთობლიობა:

- არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული;
- არასრულწლოვანს არ მიუღია მონაწილეობა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში;
- არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს და მზად არის ბოდიში მოიხადოს დაზარალებულის წინაშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- არასრულწლოვანი (მისი ოჯახი) მზად არის, აანაზღაუროს ზიანი, ან დაზარალებული უარს აცხადებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე;
- პროკურორის შინაგანი რწმენითა და არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ან უკვე დაწყებული დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი.

აღნიშნული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში პროკურორს უფლება ეძლევა, არასრულწლოვანი განარიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი უკავშირდება სოციალურ მუშაკს და არასრულწლოვნის საქმეს მას გადასცემს. სოციალური მუშაკი ქმნის არასრულწლოვნის ბიოფსიქოსოციალურ პორტრეტს. არასრულწლოვნის პრობლემური მდგომარეობის გათვალისწინებით სოციალური მუშაკი შეადგენს სამოქალაქო ხელშეკრულებას, რომელსაც ხელს აწერენ: არასრულწლოვანი, მისი მშობლები,

⁴⁹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 105-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

⁴⁹⁷ იუსტიციის მინისტრის 2010 წლის, 12 ნოემბრის ბრძანება #216, განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე; საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის, 7 დეკემბრის ბრძანება #94, განრიდებისა და მედიაციის შესახებ მედიატორებისთვის სახელმძღვანელო მითითებების დამტკიცების თაობაზე.

პროკურორი, სოციალური მუშაკი და დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, არასრულწლოვანს გაეწევა მისთვის საჭირო სერვისები და ასევე დაეკისრება მოვალეობები დანაშაულის შედეგად დაზარალებულის ან საზოგადოების წინაშე. ეს ვალდებულებები გამოიხატება არასრულწლოვანის მიერ კონკრეტული ქმედებების განხორციელებაში.

არასრულწლოვანს დაეხმარებიან სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია. არასრულწლოვანის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობს სოციალური მუშაკი. არსებობს შესაძლებლობა, რომ არასრულწლოვანმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები. ამ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი არასრულწლოვანის საქმეს კვლავ პროკურორს უბრუნებს. პროკურორი კი უფლებამოსილია, დაიწყოს ან განაგრძოს სისხლისსამართლებრივი დევნა ამ არასრულწლოვანის მიმართ. ასეთი შესაძლებლობის არსებობამ კარგად უნდა დააფიქროს არასრულწლოვანი და უზრუნველყოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

პროგრამის ძირითადი მიზანია არასრულწლოვანის განრიდება მართლმსაჯულების სისტემიდან ისე, რომ არ დაზიანდეს საჯარო ინტერესი და სისტემის მიღმა მოხდეს მისი რეაბილიტაცია და სოციალურ რეინტეგრაცია, რაც პირდაპირ გამომდინარეობს ბავშვის უფლებათა კონვენციის უნივერსალური დებულებებიდან.

აღნიშნული სიახლე მისასაღმებელია, თუმცა საჭიროა ზოგიერთი დებულების განხილვა, ბავშვთა უფლებათა მომწესრიგებელ საერთაშორისო ნორმებსა და სამართლის ზოგად პრინციპებთან მიმართებაში.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის წინაპირობები

არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში არასრულწლოვანი ჩაერთვება სხვა წინაპირობების არსებობასთან ერთად იმ შემთხვევაში, თუ მან პირველად ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული და ეს დანაშაული განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, მე-10 ზოგადი კომენტარის ფარგლებში, მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ განრიდების პროგრამაში არ მოახვედრონ მხოლოდ ის არასრულწლოვნები, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული (და ეს დანაშაული განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას), არამედ ამ სიკეთით უნდა სარგებლობდნენ სხვა არასრულწლოვნებიც.⁴⁹⁸ შესაბამისად, მნიშვნელოვანია, განრიდების პროგრამით ისარგებლონ იმ არასრულწლოვნებმაც, რომლებმაც ჩაიდინეს არა მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაული, არამედ – ეს პროგრამა

⁴⁹⁸ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #10, 2007. მე-4 თავი, 25 ნაწილი.

ხელმისაწვდომი იყოს მათთვისაც, ვინც ჩაიდინა სხვა სიმძიმის დანაშაული, მიუხედავად იმისა, პირველად მოხდა დანაშაულის ჩადენა თუ სახეზეა დანაშაულის რეციდივი.

არასრულწლოვანი (მისი ოჯახი) მზად არის ანაზღაუროს ზიანი, ან დაზარალებული უარს აცხადებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე

განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში არასრულწლოვანი ასევე ჩაერთვება, სხვა წინაპირობების არსებობასთან ერთად, იმ შემთხვევაში, თუ თავად არასრულწლოვანი ან **მისი ოჯახი** მზად არიან ანაზღაურონ ზიანი.

ზემოაღნიშნული წინაპირობა, რომელიც ეხება ოჯახის წევრთა ვალდებულებას ზიანის ანაზღაურების თაობაზე, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სისხლის სამართლის ზოგად პრინციპს, კერძოდ, სასჯელის ინდივიდუალობის პრინციპს (*nulla poena sine culpa*).

აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს სახალხო დამცველის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი საკონსტიტუციო სარჩელი⁴⁹⁹, სადაც დავის საგანს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5¹ ნაწილი, რომლის თანახმადაც: **„თუ მსჯავრდებულია არასრულწლოვანი და გადახდისუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.“** (მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 29 დეკემბერს #4213).

ეს შემთხვევა შეიძლება განვიხილოთ განრიდების და მედიაციის პროგრამაში არასრულწლოვნის ჩართვის სადავო წინაპირობის ანალოგად. რადგან არასრულწლოვანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერთვება განრიდების პროგრამაში, თუ ის ან მისი ოჯახი მზად არიან ანაზღაურონ ზარალი, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას მოჰყვა. შესაბამისად, აღნიშნული დებულება, რომელიც გულისხმობს ოჯახის წევრთა პასუხისმგებლობას, წინაპირობას არ უნდა წარმოადგენდეს.

სარეაბილიტაციო ღონისძიებები და სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობა

არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია მისი საზოგადოებაში რეინტეგრაცია, სოციალური ადაპტაციის უნარების შეძენა და რთული ქცევის არსებობის შემთხვევაში მისი მენეჯმენტის შესწავლა. დღევანდელი მდგომარეობით, საზოგადოებაში არ არსებობს ან ერთეულია სერვისები, რომლებიც მიაწვდიდა არასრულწლოვანს ზემოთ ჩამოთვლილ მომსახურებებს. შესაბამისად, განრიდების პროგრამისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს არასრულწლოვნისათვის საზოგადოებაში ინტეგრაციის პრაქტიკული შედეგის მიღწევა. აღნიშნული ფაქტორი საფრთხის ქვეშ აყენებს ამ პროგრამის ეფექტურობას. ამგვარი სერვისების განვითარების ხელშეწყობა აქტიურად უნდა განხორციელდეს როგორც სახელმწიფოს, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. სერვისების განვითარებას საფუძვლად უნდა დაედოს ადეკვატური სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნება

⁴⁹⁹ კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №416).

ხარისხიანი და უწყვეტი მომსახურების უზრუნველყოფაზე. სერვისების ეფექტურობა საჭიროა გაიზომოს კონკრეტული არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობის კუთხით, ასევე, ზოგადად – არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რეციდივის შემცირების მაჩვენებლით.

რეკომენდაცია:

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- გაძლიერდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპების დანერგვა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში;
- გაუმჯობესდეს განრიდების პროგრამის მოქმედების მექანიზმი როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკის განხორციელების კუთხით;
- ხელი შეუწყოს არასრულწლოვანთა სოციალურ ინტეგრაციაზე და რეაბილიტაციაზე ორიენტირებული მომსახურებების ქსელის განვითარებას არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამის ფარგლებში.

ქალის უფლებები

2009 წლის სექტემბერში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრი, რომელიც რეგულარულად განიხილავს ქალთა უფლებების თემაზე შემოსულ საჩივრებს და ახორციელებს საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით მიღებული აქტების შესრულების მონიტორინგს.

2010 წლის ივნისიდან გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის („ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების გაძლიერება – SHiEld“) ფარგლებში სახალხო დამცველის ცენტრალურ და ოთხ რეგიონულ ოფისში (ქუთაისი, გორი, მარნეული, ზუგდიდი) ქალთა უფლებების თემაზე მუშაობა ხუთმა იურისტმა დაიწყო. შესაბამისად, 2010 წლის მეორე ნახევარში მიმდინარეობდა გაძლიერებული მუშაობა ქალთა უფლებებზე მოქალაქეთა საჩივრების მიღების, საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებისა და კანონმდებლობის ანალიზის კუთხით.

ქალთა უფლებების შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობითა და ამ საკითხის მიმართ სტიგმატიზირებული დამოკიდებულებით განპირობებულია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა უწყების, მათ შორის, სახალხო დამცველის მიმართ ქალთა უფლებების კუთხით მიმართვიანობა ჯერ კიდევ დაბალია. 2010 წლის მანძილზე სახალხო დამცველს ქალთა უფლებების დაცვის მიზნით მხოლოდ 30 განმცხადებელმა მიმართა. საჩივრების უმრავლესობა ოჯახური ძალადობის შემთხვევის შესახებ შეტყობინებები იყო.

ოჯახური ძალადობა და ქალთა უფლებები

სამართლებრივი რეგულირება

1994 წელს საქართველო მიუერთდა 1979 წლის 18 დეკემბრის საერთაშორისო ხელშეკრულებას (კონვენციას) „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW). აღნიშნული კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის N561 დადგენილებით, რის შემდეგაც საქართველომ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე იკისრა ვალდებულება - დაიცვას კონვენციით გათვალისწინებული ქალთა უფლებები. გაეროს „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია“ უშუალოდ „ქალის მიმართ ძალადობის“ ცნებას არ მოიცავს. მაგრამ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი – თავდაპირველად 1989 წელს, ხოლო შემდგომში 1992 წელს მიღებული მე-12 და მე-19 რეკომენდაციებით მოუწოდებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, გაატარონ ყველა სახის ღონისძიება, რათა ქალი დაცული იქნეს ყოველგვარი ძალადობისაგან ნებისმიერი პირის მხრიდან. აღნიშნულმა რეკომენდაციებმა პირველად გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ

ოჯახური ძალადობა კერძო ურთიერთობების სფეროს არ წარმოადგენს და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

2009 წელს ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ საქმეში „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“⁵⁰⁰ დაადგინა, რომ სახელმწიფომ მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა ქალების ოჯახური ძალადობისგან დაცვის შესახებ ადეკვატურად არ განახორციელა და სასამართლოს მუშაობის პრაქტიკაში პირველად მიუთითა, რომ გენდერული ძალადობა წარმოადგენს დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ფარგლებში.

2006 წელს საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისათვის წარდგენილი მე-2 და მე-3 გაერთიანებული პერიოდული ანგარიშის შედეგად საქართველომ მიიღო რეკომენდაცია⁵⁰¹, რომლის ფარგლებშიც კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს, პრიორიტეტი მიანიჭოს ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ კანონისა და სამოქმედო გეგმის შესრულებას; ოჯახური ძალადობის პრობლემატიკის ფართოდ გაცნობას საზოგადოებისა და პასუხისმგებელი ოფიციალური პირებისათვის; უზრუნველყოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ყველა ქალისთვის, მათ შორის, სოფლად მცხოვრებთათვის, დაცვის ღონისძიებების დაუყოვნებლივი განხორციელება – დამცავი ორდერების გამოწერა, თავშესაფრებში განთავსება, სამართლებრივი დახმარება ა.შ.

2006 წლის 25 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. კანონი ოჯახური ძალადობის მსხვერპლის, მოძალადის, ოჯახის წევრის, ოჯახური ძალადობის სახეების (ფიზიკური, სექსუალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური) და სხვ. ცნებებს განმარტავს, ასევე, შემოაქვს შემაკავებელი და დამცავი ორდერების მექანიზმი.

2008 წლის 28 ივლისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N 183/ნ ბრძანებით, განისაზღვრა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრის) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები.

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის #665 ბრძანებულებით დამტკიცდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესი. წინამდებარე წესი ადგენს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიან წესს, განსაზღვრავს მსხვერპლის იდენტიფიცირებაში მონაწილე სუბიექტებსა და მათ კომპეტენციას.

2010 წელს ძალაში შევიდა კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. კანონი მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობას; სათანადო პირობების შექმნას ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების,

⁵⁰⁰ Opuz v Turkey, European Court of Human Rights 09.09.2009 (33401/02)

⁵⁰¹ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის საბოლოო კომენტარები საქართველოს მიმართ, კომიტეტის 36-ე სესია, 7-25 აგვისტო, 2006 წელი.

თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონი იძლევა ისეთი მნიშვნელოვანი ცნებების განმარტებას, როგორიცაა: გენდერი, გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია სქესის ნიშნით, პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია და სხვა.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებაზე საქართველოში მუშაობენ: გენდერული თანასწორობის საბჭო⁵⁰², ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათშორისი საბჭო⁵⁰³ და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი⁵⁰⁴, რომელმაც მანდატის გაზრდის შემდეგ⁵⁰⁵ 2009 წლიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკითხებზე მუშაობაც შეითავსა.

ზემოთ მოყვანილი კანონმდებლობის აღსრულებისათვის შემუშავდა „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009–2010 წლების სამოქმედო გეგმა“⁵⁰⁶. აღნიშნული გეგმის ფარგლებში განხორციელდა მრავალი ღონისძიება, რომელთა შედეგადაც გაუმჯობესდა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობები, კერძოდ:

1. მომზადდა გეგმის 1.1.1 პუნქტით გათვალისწინებული ეროვნული რეფერალური მექანიზმი, რომელიც 2009 წლის 13 ივლისის სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელმა უწყებათშორისი საბჭომ.
2. მომზადდა გეგმის 1.2.1 პუნქტით გათვალისწინებული „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონსა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტებში შესატანი შემდეგი ცვლილებები და დამატებები:
 - „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;
 - საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

⁵⁰² საბჭოს მუდმივმოქმედი სტატუსი მიენიჭა კანონით „გენდერული თანასწორობის შესახებ“, 2010 წლის, 26 მარტი.

⁵⁰³ საბჭო შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის # 626 ბრძანებულებით, 2008 წლის 26 დეკემბერს.

⁵⁰⁴ სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ დებულება დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 18 ივლისის #437 ბრძანებულებით.

⁵⁰⁵ პრეზიდენტის 2009 წლის 6 იანვრის ბრძანებულება # 4 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 18 ივლისის # 437 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

⁵⁰⁶ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება #304, 23 აპრილი 2009 წელი.

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ;
- „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს შრომის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე;

აღნიშნული ცვლილებათა პაკეტი საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის 28 დეკემბერს მესამე მოსმენით მიიღო. იგი ძალაში 2010 წლის 1 აპრილს შევიდა.

დაიწყო მუშაობა ოჯახში ძალადობის დანაშაულის კრიმინალიზაციაზე, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი ცვლილება/დამატების მომზადებას ითვალისწინებს.

2010 წელს შეიქმნა ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის პროექტი.

2010 წელს ძალადობის საკითხებზე ტრენინგები ჩატარდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს რეგიონებში; ასევე, პროკურატურის თანამშრომლებს. და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებს. ამოქმედდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის 24- საათიანი ცხელი ხაზიც.

მიუხედავად ამისა, არსებობს სფეროები, სადაც პრაქტიკამ კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემები გამოავლინა, რომელთა აღმოფხვრაც დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი:

პრაქტიკა

2009 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევამ⁵⁰⁷ კიდევ ერთხელ დაადასტურა ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმის არსებობა საქართველოში (სულ გამოიკითხა 2391 ქალი: 1188 ქალი სოფლებში და 1203 ქალი ქალაქებში, ამათგან 500 თბილისში): ქალთა 35.9 % აღნიშნავს, რომ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან გამოუცდია ძალადობის სხვადასხვა ფორმა. ქალთა 14.3 % ემოციური ძალადობის შესახებ საუბრობს; 6.9 % – ფიზიკური ძალადობის; 6% – ეკონომიკურ ძალადობის; ხოლო, 3.9% – სქესობრივ ძალადობის შესახებ.

⁵⁰⁷ „ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, 2010“. გაეროს მოსახლეობის ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“ ფარგლებში კვლევა ჩატარეს ორგანიზაციებმა – „ეისითი კვლევა“ და სოციალური მეცნიერებათა ცენტრი ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2010 წელს სახალხო დამცველისადმი ქალთა უფლებების თემაზე მომართვების უმეტესი ნაწილი სწორედ ოჯახურ ძალადობას შეეხებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი მომართვების (30 განცხადება) პარალელურად ბევრად მაღალი იყო ზეპირი მომართვიანობა (197 ზეპირი კონსულტაცია). მსგავს შემთხვევებში, როგორც წესი, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთ არ სურდათ, წერილობით დაეფიქსირებინათ მათ მიმართ განხორციელებული ძალადობა და სახალხო დამცველისგან ითხოვდნენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ კონსულტაციას. ზეპირი საუბრის დროს მოქალაქეები აღნიშნავდნენ, რომ საჩივრის წერილობითი დაფიქსირებისგან უმეტესად თავს იკავებდნენ სოციალურ-ეკონომიკური დაცვის გარანტიების ნაკლებობის მიზეზით: მოძალადის (სახლის) დატოვების შემდეგ მათ არ ექნებოდათ ელემენტარული შემოსავლის წყარო, საცხოვრებელი და ცხოვრების სხვა აუცილებელი პირობები მათთვის და ბავშვებისათვის. ოჯახური ძალადობის შესახებ კონსულტაციის მსურველ მსხვერპლთა სრული უმრავლესობა იყო ქალი, რომელიც არ იყო დასაქმებული ან არ ჰქონდა სათანადო შემოსავალი. პრობლემებზე ღიად საუბრის ხელის შემშლელი ფაქტორი იყო ასევე საზოგადოებიდან გარიყვის შიში, ვინაიდან საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპი ჯერ ისევ მძლავრად ეწინააღმდეგება ოჯახური ძალადობის ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში განხილვას.

აღნიშნული ტენდენცია დასტურდება სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ განცხადებებშიც. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა (უმეტესად ქალები და ბავშვები) უმრავლესობა პროტესტს გამოთქვამს აქვს ოჯახის წევრთა არამართზომიერი საქციელის მიმართ, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქმის წარმოების დაწყების დროს, როდესაც ისინი იღებენ განმარტებას, თუ რა სამართლებრივი რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მოძალადე ოჯახის წევრის მიმართ, ეკარგებათ სურვილი დაიცვან საკუთარი უფლებები. აღნიშნული შესაძლოა უკავშირდებოდეს ზემოხსენებული კვლევის ერთ-ერთ დასკვნას, რომლის თანახმადაც, ოჯახი აღიქმება როგორც ხელშეუხებელი გარემო, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ არასდროს უნდა გახდეს ცნობილი საზოგადოებისთვის და არ უნდა იქცეს საჯარო დებატების საგნად.

მსხვერპლი ქალები განცხადებებში ხშირად აღნიშნავენ, რომ ისინი თავს იკავებენ სამართლებრივი რეაგირებისაგან და იძულებულნი არიან, აიტანონ ძალადობა – მათი ეკონომიკური დაუცველობის მიზეზით. კერძოდ, როდესაც ძალადობის მსხვერპლი ეკონომიკურად დაუცველია, მას არ აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი და საკუთარი საცხოვრებელი ადგილი, ის ვერ იღებს გადაწყვეტილებას პარტნიორისგან თავის დასაცავად, ვინაიდან ამას უმეტესწილად მოჰყვება მძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. მსხვერპლი ქალები განსაკუთრებით შემფოთებას გამოხატავენ იმ ფაქტის გამო, რომ მოძალადის ოჯახიდან წამოსვლის შემთხვევაში სახელმწიფო (უმეტესი არასამთავრობო ორგანიზაციებიც) მათ მხოლოდ 3 თვის მანძილზე უზრუნველყოფს თავშესაფრით. თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციათა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების წარმომადგენლები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა 3 თვის შემდეგ მსხვერპლი საცხოვრებელი პირობების გარეშე არ დარჩეს. მათთვის მორიგეობით სხვადასხვა თავშესაფარში ძებნიან ადგილს (დღესდღეობით საქართველოში სულ 6 თავშესაფარია: 2 სახელმწიფო და 4

არასამთავრობო ორგანიზაციების). მიუხედავად მსგავსი ძალისხმევისა, ამგვარი ბუნდოვანი პერსპექტივა ხშირ შემთხვევაში მსხვერპლთათვის დამაბრკოლებელი გარემოება ხდება. შესაბამისად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი კონსულტაციის შემდეგ ისევ მოძალადესთან ბრუნდებიან და ეგუებიან თავიანთ მდგომარეობას.

შემაკავებელი და დამცავი ორდერები

სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებისა და განხორციელებული სატელეფონო კონსულტაციების შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენცია: რეგიონებში ოჯახური ძალადობის ფაქტზე საპატრულო პოლიციას ნაკლებად იძახებენ. ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, მიუხედავად ზოგიერთი ფაქტის სიმწვავისა, გამოძახებული პოლიციის თანამშრომლები შემაკავებელ ორდერს არ გამოწერენ. მიზეზად განმცხადებლები ასახელებენ უფლებამოსილ პოლიციელთა მოსაზრებას ოჯახური ძალადობის საკითხის მიმართ. მათი განმარტებით, პოლიცია, როგორც წესი, ცდილობს შემთხვევას ოჯახური კონფლიქტის კვალიფიკაცია მისცეს და თავიდან აირიდოს უფრო მკაცრი ზომების (ოჯახური ძალადობის შემთხვევაში) გამოყენება.

სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრმა უზენაესი სასამართლოდან გამოითხოვა ინფორმაცია 2007–2010 წლებში I ინსტანციის სასამართლოებში ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების რაოდენობის შესახებ საქართველოს რეგიონების მიხედვით. მიღებული პასუხის თანახმად, შემდეგი სტატისტიკაა:

სასამართლოს დასახელება	2010 წლის 9 თვე		2009 წელი		2008 წელი		2007 წელი	
	გამოტანილია		გამოტანილია		გამოტანილია		გამოტანილია	
სასამართლოს დასახელება	დამცავი ორდერი	შემაკავებელი ორდერი	დამცავი ორდერი	შემაკავებელი ორდერი	დამცავი ორდერი	შემაკავებელი ორდერი	დამცავი ორდერი	შემაკავებელი ორდერი
სულ	34	132	30	110	11	44	2	94
გორი	6		2		5	1	8	8
რუსთავი	3	15	1	9	3	18		21
ქუთაისი	2	2			1	1		11
ახალციხე	1	2	1	1		1		1
ზუგდიდი						1		4
თელავი								1

სენაკი							1	1
ხაშური							1	
თბილისი	15	86	23	84	X	X	X	X
ბათუმი	3	20		16		18		53
მცხეთა	1	2						
თერჯოლა						2		2
მარნეული			1		1			
თეთრიწყარო	1							
ამბროლაური	1							
გარდაბანი		1	1					
სამტრედია		4						
ოზურგეთი	1							
ზესტაფონი					1	2		

მოწოდებული სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემის სიხშირე მნიშვნელოვნად დაბალია განსაკუთრებით საქართველოს რაიონებში. ზოგ შემთხვევაში (ზუგდიდი, თელავი, სენაკი, ხაშური, თერჯოლა, მარნეული, გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო, ამბროლაური, სამტრედია, ოზურგეთი, ზესტაფონი) დამცავი და შემაკავებელი ორდერები ფაქტობრივად არ დამტკიცებულა სასამართლოს მიერ ან დამტკიცდა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებზე.

ამგვარი სტატისტიკის გამომწვევ ერთ–ერთ მიზეზად შეიძლება განვიხილოთ ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ 2009–2010 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის საფუძველზე გაკეთებული დასკვნა⁵⁰⁸ შემაკავებელი და დამცავი ორდერების მოქმედებასთან დაკავშირებით: უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში, როდესაც ოჯახში ძალადობის ფაქტს თან სდევს სხეულის დაზიანება (მაგალითად ცემა), პოლიცია იწყებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას. აღნიშნული პრაქტიკა განამტკიცა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებამ, რომელმაც კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლი ძვ.რ) საერთოდ გააუქმა. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით – ხელმძღვანელობს რა საჯარო ინტერესებით.

⁵⁰⁸ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებები 2009–2010 წლების სპეციალური სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი“ –განხორციელდა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს ინიციატივით და გაეროს მოსახლეობის ფონდის და ნორვეგიის მთავრობის მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის “დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში” ფინანსური ხელშეწყობით და შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული გაეროს ქალთა ფონდის პროექტის “SHiEld – ოჯახში ძალადობის პრევენციისა და დამლევსათვის საქართველოში” მხარდაჭერით.

მოცემულ შემთხვევაში სხეულზე ძალადობის კვალის არსებობა ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უპირობო საფუძველია, რაც უპირატესად დამოკიდებულია ექსპერტიზის მიერ დადგენილი დაზიანების ხარისხსა და პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე. ამკარაა, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში შემაკავებელი ორდერის გამოწერა პოლიციას შეუძლია (ახორციელებს), უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ფსიქოლოგიური, ეკონომიური ძალადობისა და, გარკვეულწილად, იძულების შემთხვევაში და არა ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა მომხდარია ოჯახში და მოიცავს ოჯახში ძალადობის ყველა ნიშანს.

საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევაში პოლიცია ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლის დაცვისა და ძალადობის განმეორებით თავიდან აცილებისათვის აღარ იყენებს ადმინისტრაციულ მექანიზმს – შემაკავებელ ორდერს.

თუ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე პირის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით არ გამოიყენებენ პატიმრობას, გამოძიების მთელი ეტაპის განმავლობაში აღარ გამოიყენება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმი – შემაკავებელი ორდერი და მსხვერპლი არ არის დაცული განმეორებითი ძალადობისაგან.

თუ საქმეზე პირის (მომალადის) მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, მომალადეს არ დაეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა.

რადგან მოცემულ შემთხვევაში პოლიციის მიერ ფაქტზე შემაკავებელი ორდერი არ იწერება, მას (მომალადეს) ასევე არ დაუწესდება ადმინისტრაციული ღონისძიებით – შემაკავებელი ორდერით - გათვალისწინებული შეზღუდვები.

ასეთი დინამიკით სამართალწარმოების განვითარებისას დაუცველი რჩება ოჯახური ძალადობის მსხვერპლი და არ ხდება ძალადობის პრევენცია საჭირო ღონისძიებებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პოლიციის მუშაკების მიერ ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას გაითვალისწინონ შემდეგი გარემოება: საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არ ზღუდავს პოლიციას, გამოიყენოს მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის ადმინისტრაციული დაცვის მექანიზმი - შემაკავებელი ორდერი.

გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორისა, ასევე, დიდი მნიშვნელობის მატარებელია პოლიციის მუშაკთა გაზრდილი ცნობიერება იმის შესახებ, რომ ოჯახური ძალადობის ყველა შემთხვევა განიხილონ სათანადო ყურადღებით და არ მოხდეს ფაქტის იგნორირება საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების ზეგავლენით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ინფორმაციის მიწოდება ოჯახური ძალადობის სპეციფიკით მუშაობის თაობაზე, მსხვერპლთათვის დაცვის მაქსიმალური გარანტიების უზრუნველსაყოფად.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- გაგრძელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის ტრენინგების განხორციელება ოჯახური ძალადობის სპეციფიკის თაობაზე, განსაკუთრებით საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ოჯახური ძალადობის შესახებ მომართვიანობა პოლიციის მიმართ დაბალია ან საერთოდ არ არის.

სოციალური სამსახურის როლი

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზმა ცხადყო, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევების დროს სოციალური სამსახურის როლი და მათი ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სოციალური მუშაკების როლი დიდია როგორც პრევენციის, ისე რეაგირებისა და მსხვერპლთა რეაბილიტაციის უზრუნველყოფის კუთხით.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში გაწერილია ის სპეციფიკური ღონისძიებები, რომლებიც სოციალურმა სამსახურმა ოჯახში ძალადობის პრობლემის დასაძლევად უნდა გაატაროს:

1. ოჯახური დავების მიზეზების შესწავლა, შესაბამისი ანალიზი და დავების დაძლევაში ოჯახის წევრთა დახმარება;
2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელება;
3. შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა რისკჯგუფების გამოვლენა და მათთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევაში ხელშეწყობა;
4. დამცავი ორდერის გაცემის პროცესში მონაწილეობა;
5. დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგი;
6. მოძალადეთა და მსხვერპლთათვის დახმარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა.

თუმცა, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე გარდამავალი მუხლის თანახმად, სოციალური სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელება (მე-8 მუხლის ამოქმედება) გადადებულია 2015 წლის 1 ივლისამდე.

საქართველოს სახალხო დამცველისადმი მიმართული განცხადებების შესწავლისას ხშირად ფიქსირდება სოციალური სამსახურის მხრიდან არაეფექტური რეაგირება ოჯახური ძალადობის ფაქტებზე. სოციალური მომსახურების სააგენტო აქტიურად ერთვება ოჯახური ძალადობის შემთხვევების შესწავლაში, თუ საქმეში იკვეთება ბავშვთა მიმართ ძალადობის ეჭვი და მოქმედებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის

(რეფერირების) პროცედურებით⁵⁰⁹ გათვალისწინებული წესით. ვინაიდან ოჯახური ძალადობის მსხვერპლის ცნება კომპლექსურია, იგი უმეტეს შემთხვევაში ქალსა და ბავშვს ერთდროულად მოიცავს. შესაბამისად, მხოლოდ ბავშვთა დაცვისკენ მიმართული ღონისძიებები ვერ იქნება ეფექტური და აუცილებლად საჭიროებს სოციალური მუშაკების მიერ ბავშვისა და მსხვერპლი მშობლისთვის ერთდროული დახმარების გაწევას, რაც დღეს არ ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ. ამ პრობლემის ობიექტური მიზეზები კი ისაა, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოქმედების შეჩერებიდან გამომდინარე სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ დებულებაში არ არის გაწერილი აღნიშნული რგოლის მუშაობა და ფუნქცია ოჯახური ძალადობის შემთხვევების მართვისას.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტს:

1. უზრუნველყოს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის ამოქმედება 2015 წლის 1 აპრილამდე.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“:

1. გააძლიეროს ოჯახური ძალადობის კუთხით მუშაობა, რომელიც კომპლექსურად მოიცავს როგორც ბავშვებთან, ისე ოჯახის წევრ სხვა მსხვერპლებთან და მოძალადესთან მუშაობას.

მოძალადეთა სარეზილიტაციო ღონისძიებები

სოციალური მომსახურების მსგავსად, ანალოგიური ტიპის პრობლემაა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში მე-10 მუხლის ამოქმედების გადავადება 2015 წლის 1 აპრილამდე. აღნიშნული მუხლის თანახმად:

– მოძალადეთა დროებითი განთავსების ან/და მათი რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში, ასევე, არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ იქმნება მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები. მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები უნდა აკმაყოფილებდეს სამინისტროს მიერ ამ

⁵⁰⁹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება N152/ნ – N496 – N45/ნ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ.

ტიპის დაწესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს და უზრუნველყოფდეს მოძალადის დროებით განთავსებას, მის ფსიქოლოგიურ დახმარებასა და მკურნალობას.

– მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები მიმართულია მოძალადის ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებისა და გაჯანსაღებისაკენ, ცალკეული მავნე ჩვევებისაგან (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია ან ისეთი ფსიქიკური დაავადება, რომელიც არ გამოირიცხავს შერაცხადობას) პირის განკურნებისა და რეაბილიტაციისაკენ და დაკავშირებულია ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილებასა და მსხვერპლის შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან.

ამ ეტაპზე მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების არარსებობის გამო „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი ვერ ასრულებს პრევენციულ ფუნქციას. აღნიშნულ თემაზე მომუშავე ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოსაზრებით, მოძალადესთან მუშაობის გარეშე შეუძლებელია დისფუნქციური (ოჯახური გამოცდილების დამკვიდრებული პრაქტიკის მქონე) ოჯახის რეაბილიტაცია; შესაბამისად, მსგავს სიტუაციაში ოჯახური ძალადობის პრობლემის გადაჭრის ერთადერთ საშუალებად რჩება მოძალადისგან მეუღლის სრული იზოლაცია, სწორედ ესაა მიზეზი, რის გამოც ქალები ხშირად თავს იკავებენ მათზე განხორციელებული ძალადობის შესახებ ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისგან. ამის გამო გრძელდება ოჯახური ძალადობა.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტს:

1. უზრუნველყოს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის ამოქმედება 2015 წლის 1 აპრილამდე.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ სამინისტროს:

1. უზრუნველყოს მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების დაარსება და რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება, ოჯახური ძალადობის დაძლევის სხვა ღონისძიებების პარალელურად.

პატიმარი ქალები

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2010 წლის ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად სასჯელს იხდის 2 310 ქალი⁵¹⁰. საქართველოში ციხის პირობებში ქალი სხვადასხვა პრობლემის წინაშე დგება. აღნიშნულის შესახებ ყურადღება გამახვილებულია სახალხო დამცველის წინა წლების მოხსენებებშიც.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახალხო დამცველის ქალისა და ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრში განხილული განცხადებები ცხადყოფს, რომ აქტუალურია პატიმარი ქალის ოჯახთან ურთიერთობის საკითხი.

სამართლებრივი რეგულირება

გაერთიანებული ერების პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები⁵¹¹ მიუთითებს პატიმართა გარესამყაროსთან რეგულარული ურთიერთობის მნიშვნელობაზე, რაც მათი მომავალი რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის მნიშვნელოვანი პირობაა.

2010 წლის 22 ივლისს გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საბჭოს პლენარულ სხდომაზე მიღებული 2010/16 რეზოლუციით⁵¹² შემუშავდა დებულებები პატიმარ ქალებთან დაკავშირებით. კერძოდ, „პატიმარი ქალების კონტაქტი შვილებთან, შვილების მეურვეებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან მხარდაჭერილი უნდა იყოს ყველა შესაძლო საშუალებით“⁵¹³.

გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებების კონვენციის მიხედვით⁵¹⁴ მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როდესაც კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია ბავშვის ინტერესებისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი დაშორება გამომდინარეობს მონაწილე სახელმწიფოთა რომელიმე გადაწყვეტილებიდან, ანუ როცა საქმე ეხება, მაგალითად, ერთი ან ორივე მშობლის ან ბავშვის დაპატიმრებას, გასახლებას,

⁵¹⁰ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2010 წლის ანგარიში.

⁵¹¹ მიღებულია 1955 წელს გენერალური ასამბლეის მიერ

⁵¹² გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია „გაერთიანებული ერების წესები ქალ-პატიმართა მოპყრობისა და ბრალდებულ-ქალთა მიმართ არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ“ <http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf>

⁵¹³ წესი 26, გარე სამყაროსთან კონტაქტი, დამატებულია „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებთან“, 37-39 წ.)

⁵¹⁴ ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-9 მუხლი.

დეპორტაციას ან სიკვდილს, მონაწილე სახელმწიფო ასეთ მშობლებს, ბავშვს ან, თუ ეს აუცილებელია, ოჯახის სხვა წევრს, მათი თხოვნით, აძლევს აუცილებელ ინფორმაციას ოჯახიდან წასული წევრის/წევრების ადგილსამყოფელის შესახებ, თუ ეს ინფორმაცია ზიანს არ აყენებს ბავშვის კეთილდღეობას.

პრაქტიკა

2010 წელს სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრმა განიხილა ხ. ჯ.-ს (#0550-10) და ჟ. მ.-ს (#0513-10/1, #0513-10) საქმეები, რომლებშიც დედისათვის სასჯელის მოხდა ბავშვთან ურთიერთობის ხელშეშმელი ფაქტორი გახდა.

ქ.რუსთავის #1 საერთო და მკაცრი რეჟიმის ციხეში მყოფი მსჯავრდებული ჟ.მ. ითხოვდა შვილის შესახებ ინფორმაციის მიღებასა და მასთან შეხვედრის ორგანიზებაში დახმარებას. მიუხედავად სოციალური მუშაკის ჩართვისა, ბავშვის მამა ბავშვისა და დედის შეხვედრაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა და არც ბავშვის მდგომარეობის შესახებ აწვდიდა ინფორმაციას დედას. სახალხო დამცველის მოთხოვნის საფუძველზე სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ სოციალურმა მუშაკმა მოიძია ინფორმაცია და მიაწოდა პატიმრობაში მყოფ დედას.

სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული რეფორმის შედეგად 2010 წლის 6 ნოემბერს ექსპლუატაციაში შევიდა ახალი - #5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება, სადაც ფუნქციონირებს დედათა და ბავშვთა საცხოვრებელი. დაწესებულებაში 6 საცხოვრებელი ოთახია გამოყოფილია. როგორც საქმის შესწავლიდან ირკვევა, გამოყოფილი ოთახების რაოდენობა რეალურად არ შეესაბამება საჭიროებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველს განმცხადებით მომართა პატიმარმა ხ.ჯ.-მ, რომელიც აცხადებდა, რომ მას უარი ეთქვა #5 დაწესებულებაში ბავშვის გადაყვანაზე. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #5 დაწესებულების დირექტორის განმარტებით⁵¹⁵: „ამ ეტაპზე მსჯავრდებულის მოთხოვნის დაკმაყოფილება დაწესებულებას არ შეუძლია დედისა და ბავშვის ერთად ცხოვრებისათვის განკუთვნილი ფართის არარსებობის გამო, ვინაიდან აღნიშნული 6 ოთახი უკვე დაკავებული ჰქონდათ სხვა მსჯავრდებულ დედებს მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად.“

2006 წლიდან დღემდე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს თხოვნით მიმართა ოთხმა მსჯავრდებულმა დედამ სამ წლამდე ასაკის ბავშვთან ერთად ცხოვრების თაობაზე. მათი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა ცალკე საცხოვრებელი ფართის არარსებობის გამო⁵¹⁶.

⁵¹⁵ წერილი # 10/24/2-279, 26 იანვარი, 2011 წელი

⁵¹⁶ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წერილი #10/8/4-1457. 28 იანვარი, 2011.

პატიმარი დედისა და მცირეწლოვანი ბავშვის ურთიერთობის მოგვარების საკითხი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. პრობლემის გადაჭრის უპირველეს მეთოდად განიხილება სასჯელაღსრულების დაწესებულებების პირობების შეცვლა. თუმცა, ნათლად ჩანს, რომ პრობლემა არ წარმოადგენს მხოლოდ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს კომპეტენციას. იგი ასევე მოითხოვს სხვა უწყებათა მობილიზაციას და ურთიერთთანამშრომლობას. კერძოდ, მსჯავრდებული დედისა და 3 წლამდე ბავშვისათვის ერთად ცხოვრებაზე გადაწყვეტილების მიღება ეხება, ასევე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელმაც უნდა განსაზღვროს ბავშვის საუკეთესო ინტერესი ზემოხსენებულ შემთხვევებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს სოციალური მუშაკების ჩართულობა მსგავსი შემთხვევების მართვაში. საჭიროა, არსებობდეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და სოციალური მომსახურების სააგენტოებს შორის თანამშრომლობის კონკრეტული რეგულაცია, რომელიც დაეხმარება სოციალურ მუშაკს გააძლიეროს პატიმარი ქალების რესოციალიზაციის შესაძლებლობა გარესამყაროსთან შვილებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობის ხელშეწყობით.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- უზრუნველყონ ქალი მსჯავრდებულების მცირეწლოვან ბავშვებთან ურთიერთობის ხელშეწყობა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკის ერთობლივი მუშაობის გაძლიერებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

სახალხო დამცველი აგრძელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაზე მონიტორინგს, რომლის შედეგებიც რეგულარულად აისახება ყოველწლიურ საპარლამენტო საანგარიშო მოხსენებასა და სპეციალურ ანგარიშებში. 2010 წლის ოქტომბერში სახალხო დამცველის ინიციატივით განხორციელდა პირველი მასშტაბური მონიტორინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში⁵¹⁷. ასევე, 2010 წელს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრის ორგანიზებითა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობით შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც წარდგენილია გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფორმატში (დაინტერესებულ მხარეთა ანგარიში)⁵¹⁸.

წინამდებარე თავში აღწერილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობა 2010 წლის განმავლობაში.

ანგარიში მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- სახალხო დამცველის რეკომენდაციების განხორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით;
- გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირების პრობლემა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება;
- ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის აღებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა;
- ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის მომსახურებაზე;
- დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ხარვეზები;
- გარემოს ხელმისაწვდომობის პრობლემატიკა;

2010 წლის განმავლობაში კვლავ აქტუალური იყო შეზღუდული შესაძლებლობების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზები და შეუსაბამობა საერთაშორისო

⁵¹⁷ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში – 2010“

⁵¹⁸ გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის წარდგენილი ანგარიში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში.

http://lib.ohchr.org/HRBodies/UPR/Documents/Session10/GE/JS4_JointSubmission4-eng.pdf

სტანდარტთან და აქედან გამომდინარე, პირთა *de jure* და *de facto* დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს დღემდე არ მოუხდენია გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კონვენციის რატიფიცირება, რომელსაც ხელი 2009 წლის 10 ივლისს მოეწერა. აღნიშნული კონვენციის რატიფიცირების შესახებ საქართველოს დელეგაციამ მრავალი რეკომენდაცია მიიღო გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ანგარიშის (UPR) განხილვის პროცესში, გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს მე-10 სესიაზე⁵¹⁹.

ასევე, დღემდე არ შეკრებილა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანებია: ინვალიდობის სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია; ინვალიდობის სფეროში სახელმწიფო სამოქმედო სტრატეგიული გეგმის მომზადების ან მასში ცვლილებების შეტანის კოორდინაცია; ინვალიდობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავების კოორდინაცია და განხორციელების ზედამხედველობა (მათ შორის, მონიტორინგისა და შეფასებების ანგარიშების მოსმენა); ინვალიდობის სფეროში საკანონმდებლო წინადადებებისა და ინიციატივების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება და სხვა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას განსაკუთრებით აფერხებს ის, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ზუსტი სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია საქართველოში. არსებული მონაცემები ეყრდნობა პენსიის მიმღებ პირთა რაოდენობას და არ არის სრული, რადგან სახელმწიფო პენსიით სარგებლობენ მხოლოდ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მქონე პირები და ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მქონე პირთა ვიწრო წრე, რაც 2010 წლის მონაცემებით, შეადგენს 138 614 შშმ პირს.⁵²⁰ აღნიშნული მონაცემები შეუსაბამოა რეალობასთან, რადგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სხვა ქვეყნების მოსახლეობის დაახლოებით 10% წარმოადგენენ⁵²¹.

⁵¹⁹ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სამუშაო ჯგუფის წინასწარი ანგარიში, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების საბჭოს მე-10 სესია, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, 2011 წლის 24 იანვარი, ქენევა.

http://lib.ohchr.org/HRBodies/UPR/Documents/Session10/GE/Georgia-A_HRC_WG.6_10_L.9-eng.pdf

⁵²⁰ სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემები:

<http://ssa.gov.ge/uploads/Pension%20122010%20ge/Book1.xls>

⁵²¹ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2006–2011 წლების სამოქმედო გეგმა, „შეზღუდული შესაძლებლობები და რეაბილიტაცია“.

http://www.who.int/disabilities/publications/dar_action_plan_2006to2011.pdf

სახალხო დამცველის რეკომენდაციების განხორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით

2009 წლის II ნახევრის ანგარიში მოიცავდა მრავალ რეკომენდაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით საქართველოში, თუმცა მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი შესრულდა პასუხისმგებელი უწყებების მიერ:

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და 2010 წელს კანონში შევიდა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას. აღნიშნული ცვლილებები შემუშავდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრისა და სხვა საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით.

2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მიმართა რეკომენდაციით, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საშემოსავლო გადასახადებზე შეღავათების ოდენობა განსაზღვრულიყო ობიექტური და გონივრული კრიტერიუმებით და არა შესაძლებლობის შეზღუდვის გამომწვევი მიზეზისა და წარმოშობის დროის მიხედვით. ასევე, არსებულიდან ადეკვატურ ოდენობამდე გაზრდილიყო საგადასახადო შეღავათების ოდენობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

2004 წლის საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 168-ე მუხლის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრებოდა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა და მხედველობის გამო I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ასევე, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრებოდა 1500 ლარამდე I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გარდა).

მართალია ნაწილობრივ, მაგრამ 2010 წლის „საგადასახადო კოდექსით“ სახალხო დამცველის რეკომენდაცია მაინც გაითვალისწინეს. კერძოდ, ახალი კოდექსის მიხედვით საშემოსავლო გადასახადით 3000 ლარამდე არ იბეგრება ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი.

აღნიშნული ცვლილებით მოხდა პენსიის მიმღები ყველა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის შეღავათის საერთო ოდენობის დაწესება, თუმცა არ

გაზრდილა შეღავათის ოდენობა.

გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირების პრობლემა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების უმთავრესი საფუძველი არის სახელმწიფოს მხრიდან გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების სავალდებულოდ აღიარება. კონვენცია ყველაზე მრავალრიცხოვანი უმცირესობებისათვის, სხვებთან თანასწორი, უფლებებითა და შესაძლებლობებით სარგებლობას უზრუნველყოფს და მოიცავს მრავალ სფეროს, მათ შორის, ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, განათლების უფლებას, დისკრიმინაციის, არაჰუმანური მოპყრობის, ექსპლუატაციის და ძალადობის აკრძალვას და სხვა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „გლორი შვეიცარიის წინააღმდეგ“ დაადასტურა, რომ გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია წარმოადგენს უნივერსალური კონსენსუსის შედეგს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში. სასამართლომ მიუთითა, რომ იმისდა მიუხედავად, არის თუ არა სახელმწიფო კონვენციის ხელშემკვრელი მხარე, კონვენციით დადგენილი უნივერსალური სტანდარტის შესაბამისად დაუშვებელია ადამიანების დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.⁵²² ვინაიდან, კონვენცია ახდენს იმ ძირითადი უფლებების კონკრეტიზებას, რაც ისედაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებით ყველა ადამიანისათვის, დისკრიმინაციის გარეშე.

ხაზი უნდა გაესვას, რომ კონვენციას და მის დამატებით ოქმს საქართველომ ხელი მოაწერა 2009 წლის 10 ივლისს, თუმცა დღემდე არ მომხდარა მისი რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ. პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და მთავრობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მიმდინარეობს კონსულტაციები, რომლებიც ითვალისწინებს კონვენციის ყველა მოთხოვნის დეტალურ შესწავლას, რაც შესაძლოა მომავალში დაუკავშირდეს საკანონმდებლო და საბიუჯეტო ღონისძიებების განხორციელების საჭიროებას⁵²³. არ არის ნათელი, როდის დასრულდება მიმდინარე პროცესი და როდის წარედგინება კონვენცია საკანონმდებლო ორგანოს რატიფიცირებისათვის;

⁵²² *Glor v. Switzerland*, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო 2009 წლის 30 აპრილი.

⁵²³ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2010 წლის 18 იანვრის #52-ოფ წერილი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის 11 მარტის #261-ოფ წერილი;

საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი უწყებების განმარტებით, მნიშვნელოვანია კონვენციის რატიფიცირებამდე ამავე კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების დეტალური ანალიზი, თუმცა აღსანიშნავია რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბერს #978 განკარგულებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010–2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“ ითვალისწინებს ფაქტობრივად ყველა იმ ვალდებულებას, რომლებიც გაწერილია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციაში.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტს:

- სახელმწიფოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად უახლოეს მომავალში მოახდინოს გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება. .

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი, როგორც ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის სისტემური პროცესი, ეფექტური საშუალებაა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებების ხარისხის, პროგრესის, მიღწეული მიზნების შესაფასებლად და განსახორციელებელი ცვლილებების განსასაზღვრად.

2010 წლის 20 დეკემბერს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრმა მათ მიერ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ კითხვით მიმართა შეზღუდული შესაძლებლობისა და ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწე წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ შორის:

- „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“;
- „კონსტიტუციის 42–ე მუხლი“;
- „კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“;
- „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“;
- „საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოება“;
- „ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია – დეა“.

როგორც ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, არასამთავრობო ორგანიზაციების მხოლოდ მცირე ნაწილი – „ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია – დეა“ და „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ წევრი

არასამთავრობო ორგანიზაცია „დამოუკიდებელი ცხოვრების ახალგაზრდული ცენტრი“ ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მონიტორინგს.

სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრმა კითხვით მიმართა ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, იმის თაობაზე, თუ რამდენად აწვდიან მათ საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის შედეგებს და რამდენად ითვალისწინებენ სახელმწიფო უწყებები მათ კონკრეტულ პროგრამებსა თუ სამოქმედო გეგმებში.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პასუხის⁵²⁴ თანახმად: უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ მოუწოდებიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მონიტორინგის ამსახველი ანგარიში, ვინაიდან ასეთი მონაცემი „სამინისტროს საარქივო ბაზაში არ ფიქსირდება“. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ მოუწოდებია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის⁵²⁵ 28-ე მუხლი ითვალისწინებს პროგრამის მონიტორინგის ქვეპროგრამას, რომლის ამოცანაა პროგრამის შესრულების მონიტორინგის განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება. აღნიშნული ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანოები არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი და ადმინისტრაციული დეპარტამენტი. ზემოაღნიშნული პროგრამის 28-ე მუხლის თანახმად, აღნიშნულ მონიტორინგში ასევე ჩართულნი უნდა იყვნენ დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც არ უნდა იყვნენ ამ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების მიმწოდებლები. თუმცა 2008–2010 წლებში დამოუკიდებელი ორგანიზაციის მონაწილეობა მონიტორინგის პროცესში არ განხორციელებულა.

როგორც სიტუაციის მოკვლევიდან იკვეთება, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაზე მონიტორინგი აქტიურად არ ხორციელდება, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს სახელმწიფოს მიერ ადეკვატური პროგრამების შემუშავებასა და 2010–2012 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის კუთხით.

⁵²⁴ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის 6 იანვრის წერილი #01–10/04/107. 6

⁵²⁵ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის ბრძანება #442/ნ. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრებს:

- ხელი შეუწყონ დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობასა და გააქტიურებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის, დასაქმების, ჯანდაცვისა და განათლების სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მონიტორინგში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მონიტორინგის პროცესის გამჭვირვალობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების საკითხი კვლავ ერთ–ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში. სახალხო დამცველის აპარატს დაუკავშირდა არაერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომლებიც აცხადებდნენ, რომ დასაქმებაზე უარის არაოფიციალურ მიზეზად მათი შეზღუდული შესაძლებლობა დასახელდა, ვინაიდან მათ შეზღუდული აქვთ დასაქმების ადგილებში შეღწევისა და სამუშაო პირობების ადაპტაციის შესაძლებლობა.

გაეროს რეზოლუციის („შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის სტანდარტული წესები“) თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა დასაქმების სფეროში არსებული კანონმდებლობა არ იყოს დისკრიმინაციული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ და არ უნდა ქმნიდეს დაბრკოლებას მათ დასაქმებლად. გაერთიანებული ერების სტანდარტული წესების თანახმად,⁵²⁶ სახელმწიფოებმა აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვას თავისუფალ შრომით ბაზარზე. ასეთი მხარდაჭერა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით, როგორცაა: პროფესიული მომზადება, წვრილი საწარმოებისთვის სესხისა და სუბსიდიების გამოყოფა, საგადასახადო ან სხვა სახის ტექნიკური ან ფინანსური დახმარება იმ საწარმოებისთვის, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დაიქირავებენ და სხვ. სახელმწიფოებმა უნდა წახალისონ მეწარმეები და გაატარონ გონივრული ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შესაფერისი პირობების შესაქმნელად. ასევე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, რომელიც ყველა ჩამოთვლილი შესაძლებლობის გამოყენების საშუალებას მისცემს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საქართველოში.

⁵²⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 48/96 რეზოლუცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის სტანდარტული წესები“, 1993 წლის 20 დეკემბერი, წესი 7.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით⁵²⁷ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელება დაკავშირებულია მისთვის სახელმწიფო პენსიით სარგებლობის უფლების ჩამორთმევასთან. მართალია, აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსისა და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მქონე პირებზე, თუმცა საჯარო სამსახურში დასაქმების სანაცვლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარკვეულ წრეს მაინც უწევს სახელმწიფო პენსიაზე უარის თქმა. შესაბამისად, აღნიშნული რეგულაციით არათანაბარ პირობებში ექცევიან სხვადასხვა ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. 2010 წლის 1 ნოემბრის მონაცემებით, საჯარო საქმიანობის განხორციელების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის საფუძველით დანიშნული სახელმწიფო პენსია შეწყვეტილი აქვს 430 პირს.⁵²⁸

შედეგად, საჯარო სამსახურში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არიან კერძო სექტორში დასაქმებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შედარებით. დასაქმებაში ხელშეწყობის სანაცვლოდ, სახელმწიფო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უზღუდავს უფლებას, მიიღონ პენსია, რომელიც მათ დანიშნული აქვთ შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (საკომპენსაციოდ).

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2010 წლის პროგრამის“ 21-ე მუხლით გათვალისწინებულია „შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების პრობლემის გადასაჭრელად ქვეპროგრამა მიზნად ისახავს სავარძელ-ეტლების ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას. აღნიშნული ინიციატივა წარმოადგენს **დადებით პრაქტიკას** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით, თუმცა ცხადია, რომ მხოლოდ ერთი საწარმოს ხელშეწყობა ვერ გადაჭრის ამ მიზნობრივი ჯგუფის დასაქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფომ შეიმუშაოს ერთიანი პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების კუთხით და საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტს:

⁵²⁷ «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონი, მუხლი 6.

⁵²⁸ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 14 დეკემბრის წერილი #04/07-22922

- განახორციელოს ცვლილებები „პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად დასაქმების სფეროში.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავრობას:

- გაფართოვდეს და გამრავალფეროვნდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ქვეპროგრამა.

ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის აღებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა

სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრს მიმართა რამდენიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა, რომლებიც აპროტესტებდნენ მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარკვეული კატეგორიისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის აღების შეუძლებლობას. მათი გადმოცემით, გარემოს ხელმისაწვდომობის (ინფრასტრუქტურის არარსებობა) შეზღუდვის გამო ავტომანქანა ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს მათი გადაადგილებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთადერთ საშუალებას. აღნიშნული პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ქვეყანაში დამკვიდრებულ სამედიცინო (დიაგნოზიკურ დაფუძნებულ) მიდგომას, რომელიც არ ითვალისწინებს ამ პირების საჭიროებებსა და ფუნქციონალურ შესაძლებლობებს საერთაშორისო საზოგადოების მიერ პრიორიტეტულად აღიარებული სოციალური მიდგომის შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 10 აგვისტოს #1098 ბრძანების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „მძღოლის მოწმობის მისაღებად მომზადებულმა მძღოლ-კანდიდატებმა საგამოცდო სამსახურში სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა წარადგინონ **ჯანმრთელობის ცნობა**, რომელშიც აღინიშნება, ვარგისია თუ არა მძღოლ-კანდიდატი ავტომობილის სამართავად.“

ჯანმრთელობის ცნობა გაიცემა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 11 ივლისის ბრძანების #215/ნ „დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევათა ჩამონათვალისა და წესის დამტკიცების შესახებ“ მიხედვით. ამ ბრძანებით განსაზღვრული მთელი რიგი დაავადებები და ფიზიკური ანომალიები უკუნაჩვენებია ტრანსპორტის მართვისთვის.

სახალხო დამცველს განცხადებით⁵²⁹ მიმართა მოქალაქე ს.ხ.-მ, რომელიც ვერ ახერხებდა მართვის მოწმობის აღებას მისი დიაგნოზიდან გამომდინარე – ცერებრული დამბლა, სპასტიკური დიპლეგია. ზემოაღნიშნული ბრძანების მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისთვის უკუნაჩვენებია „ნებისმიერ ეტიოლოგიის დაავადება, რომელიც იწვევს ვესტიბულარული აპარატის ფუნქციის დარღვევას, თავბრუსხვევას“. აღნიშნულ საქმეზე სახალხო დამცველის აპარატმა საექსპერტო დასკვნის მისაღებად მიმართა „ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრს“. ცენტრის მიერ 2009 წლის 25 დეკემბერს მოწოდებულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ცერებრული დამბლა (რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნებისმიერი ეტიოლოგიის დაავადება, რომელიც იწვევს ვესტიბულარული ფუნქციის დარღვევას, თავბრუსხვევას) თავისთავად არ გამორიცხავს პიროვნების მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვის შესაძლებლობას. ცერებრულ დამბლას შესაძლოა ახლდეს ან არ ახლდეს ვესტიბულარული აპარატის ფუნქციის დარღვევა. აღნიშნული დიაგნოზით პიროვნებას, თუ ვესტიბულარული აპარატის ფუნქცია დარღვეული არ აქვს, შეუძლია, მართოს ავტომობილი.⁵³⁰ სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრის მიმართვის შემდეგ ქუთაისის #2 პოლიკლინიკამ ინდივიდუალურად შეაფასა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა და გასცა ცნობა, რომლის მიხედვითაც „მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, როგორც ინდივიდუალური შემთხვევა – ვარგისია მძღოლობისთვის მხოლოდ B კატეგორია“.⁵³¹

2010 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სახალხო დამცველს განსახილველად და წინადადებების წარსადგენად მიაწოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების პროექტი: ”მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი მოთხოვნებისა და მისი შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული ბრძანების პროექტის თანახმად, ცალკეულ შემთხვევაში, კერძოდ, დანართი #1–ის მე-9, მე-11, მე-13 და მე-16 პუნქტებით გათვალისწინებული დაავადებებისა და ანომალიების არსებობისას, გათვალისწინებულია საკითხის ინდივიდუალური გადაწყვეტის შესაძლებლობა. ამგვარი მიდგომა რეკომენდირებულია და სრულად შეესაბამება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ „ფუნქციონირების, შესაძლებლობის შეზღუდვისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო კლასიფიკაციას“. თუმცა, აღსანიშნავია რომ ბრძანების პროექტის დანართი N1–ის უმეტესი პუნქტებით (1,2,3,4,5,6,7,8,10,12,14,15,17,18,19,20,21) გათვალისწინებული დაავადებების შემთხვევაში პირის შეფასება ეყრდნობა მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზს – ამ პირის ინდივიდუალური ფუნქციონალური შესაძლებლობის შეფასების გარეშე.

⁵²⁹ 2009 წელი 18 თებერვლის განცხადება

⁵³⁰ ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრის წერილი #55. 2009 წლის 25 დეკემბერი.

⁵³¹ ქ.ქუთაისის #2 პოლიკლინიკის წერილი #785, 2010 წლის 14 ივლისი

სახალხო დამცველის აპარატმა ზემოაღნიშნული ბრძანების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი წინადადებები⁵³² მიაწოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტს. კერძოდ, მიუთითა, რომ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უკუჩვენებებისას განმსაზღვრელი უნდა იყოს არა ცალკეულ დაავადებათა და ფიზიკურ ანომალიათა ჩამონათვალი, არამედ ფუნქციონალური შეზღუდვა, რომელიც შესაძლებელია თან ახლდეს ამა თუ იმ დაავადებასა თუ ანომალიას, რადგან სამედიცინო დიაგნოზი შესაძლოა, ზუსტად არ ასახავდეს ადამიანის შესაძლებლობას, მართოს სატრანსპორტო საშუალება. ადამიანი, რომელსაც აღენიშნება ბრძანების პროექტში არსებული სამედიცინო დიაგნოზი, შესაძლოა, იყოს ფუნქციურად მეტად ან ნაკლებად შეზღუდული. სამედიცინო დიაგნოზის მიხედვით მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების გაუმცემლობამ, შესაძლოა შელახოს იმ ადამიანთა, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, რომელთაც, მიუხედავად მათი სამედიცინო დიაგნოზისა, აქვთ ფუნქციური შესაძლებლობა მართონ მექანიკური სატრანსპორტო საშუალება. სახალხო დამცველის წინადადების გათვალისწინება შექმნის ზემოაღნიშნული უფლებების განხორციელების უფრო მტკიცე საფუძველს.

რეკომენდაციები:

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრსა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ასაღებად საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისას გათვალისწინებული იყოს არა მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზი, არამედ პირის ფუნქციონალური შეზღუდვის ინდივიდუალური შეფასება.
- დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სოციალური მიდგომა სამედიცინო დიაგნოზზე დაფუძნებული მიდგომის ნაცვლად, რომელიც გაითვალისწინებს ამ პირების საჭიროებებსა და ფუნქციონალურ შესაძლებლობებს.

⁵³² წერილი # 1282/04, 2010 წლის 20 ოქტომბერი.

ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის მომსახურებაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხშირად ექმნებათ დაბრკოლებები ჯანმრთელობის უფლების დაცვისას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი აღიარებს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას პირის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მიხედვით: „სამედიცინო მომსახურების თანაბრად ხელმისაწვდომობა ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით“.

სახალხო დამცველს განცხადებით⁵³³ მიმართა მოქალაქე ვ.ჩ.-მ, რომელიც გადაადგილების შეზღუდვის გამო ვერ ახერხებდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევას. ფინანსური რესურსის ნაკლებობის გამო მას არ ჰქონდა ექიმის შინ გამოძახების შესაძლებლობა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განმარტებით⁵³⁴, „პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის“ „ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის“ „60 წელს ზემოთ მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურების ქვეკომპონენტი“ ბინაზე გამოკვლევის ჩატარებას არ ითვალისწინებს⁵³⁵.

ვინაიდან, „პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მიზანია პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, იგი ორიენტირებული უნდა იყოს, რათა პირისთვის ფიზიკური ან სხვა სახის შეზღუდვა არ გახდეს პროგრამით სარგებლობისთვის დამაბრკოლებელი გარემოება. როდესაც სახელმწიფო თავისი მოქალაქეებისთვის გასცემს გარკვეულ მომსახურებას, უნდა უზრუნველყოს ამ მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობაც.

იმ პირობებში, როდესაც ფიზიკური გარემო არ არის ხელმისაწვდომი და პირს არ შეუძლია მივიდეს სამედიცინო დაწესებულებაში და ისარგებლოს მინიჭებული უფლებით, კონკრეტული პირი ვერ ახერხებს პროგრამით სარგებლობას. შესაბამისად, იქმნება სიტუაცია, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეზღუდებათ სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა, თუმცა, კანონმდებლობით აქვთ ამისი გარანტირებული უფლება. გასათვალისწინებელია, რომ როდესაც სახელმწიფო პირს გარკვეული გარანტიით უზრუნველყოფს, მის მიერ განხორციელებული ღონისძიებები უნდა იყოს ქმედითი, ხოლო თუ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული

⁵³³ 2010 წლის 27 აპრილის განცხადება.

⁵³⁴ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს წერილი #03/10-4050. 24 მაისი 2010 წელი.

⁵³⁵ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 22 დეკემბრის ბრძანება # 424/ნ „2010 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დამტკიცების შესახებ“, დანართი #1, „პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა“ მუხლი #5, პუნქტი „ბ“.

ქმედებების შემდეგ პირისთვის პრაქტიკულად არაფერი იცვლება, უფლება არარეალიზებული რჩება.

პრობლემის მოგვარებისათვის სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს.⁵³⁶ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პასუხის⁵³⁷ თანახმად, აღნიშნული საკითხის გათვალისწინება განიხილება 2011 წლის ჯანმრთელობის პროგრამების პროექტებზე მუშაობის დროს.

სახალხო დამცველს დახმარებისთვის მიმართა მოქალაქე მ.ბ.–მ⁵³⁸. ქალბატონს აღნიშნებოდა დიაგნოზი–გაფანტული სკლეროზი, ფუნქციონირების შეზღუდვის მძიმე ფორმით (მნიშვნელოვნად დაქვეითებული მხედველობა, გადაადგილების მძიმე შეზღუდვა, ქრონიკული ტკივილი, ნაწოლი), თუმცა, მას არ ჰქონდა დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, რადგან არ შეეძლო სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვა სამედიცინო–სოციალური ექსპერტიზის ჩასატარებლად.

„სამედიცინო–სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის 51–ე მუხლის, 1–ლი პუნქტის თანახმად: „თუ ავადმყოფს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია გამოცხადდეს დაწესებულებაში, შემოწმება ხდება სტაციონარში ან მის საცხოვრებელ სადგომში“. მიუხედავად ამ ჩანაწერისა, მ.ბ., ისევე, როგორც სხვა მოქალაქეები, ვერ სარგებლობდა აღნიშნული შესაძლებლობით, რადგან დღესდღეობით პრაქტიკულად არ ხორციელდება აღნიშნული მომსახურება.

სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შედეგად მ.ბ.–მ მიიღო ზემოხსენებული სამედიცინო მომსახურება სახლის პირობებში და შესაძლებლობა მიეცა, გამოეყენებინა კანონმდებლობით გარანტირებული უფლებები.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოფილი იქნეს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პროგრამის სრულყოფით; ასევე – სამედიცინო დაწესებულებების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევით.

⁵³⁶ 2010 წლის 26 ივლისის წერილი #2642/09–3/0796–10

⁵³⁷ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის 17 აგვისტოს წერილი # 01–10/03/9453.

⁵³⁸ 2010 წლის 3 ნოემბრის განცხადება.

დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ხარვეზები

სახალხო დამცველს საკუთარი უფლებების დაცვის მოთხოვნით არაერთმა მხედველობის პრობლემის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა მიმართა. ისინი ასაჩივრებდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის ნაკლოვანებას, რომელიც არ უზრუნველყოფდა მათთვის საჭირო დამხმარე საშუალებების გადაცემას.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამა“ სხვადასხვა ტიპის შეზღუდვის მქონე პირებისთვის (სმენადაქვეითებულთათვის, გადაადგილების პრობლემის მქონე პირებისათვის) უზრუნველყოფს დამხმარე საშუალებების გადაცემას, თუმცა პროგრამა არ ითვალისწინებს მხედველობის პრობლემის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მნიშვნელოვანია, ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს თანაბრად მიეცეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა სახის შეზღუდვის შედეგად შეექმნა მას დამხმარე საშუალებით სარგებლობის აუცილებლობა.

აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წინადადებით: 2011 წლის სახელმწიფო პროგრამით აგრეთვე გათვალისწინებული იყოს მხედველობის პრობლემის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებები.⁵³⁹ სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად,⁵⁴⁰ აღნიშნულ საკითხს, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად გაითვალისწინებენ მომავალი პროგრამის დაგეგმვისას.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- გათვალისწინებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის ინდივიდუალური საჭიროებები 2011 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფისას – მიუხედავად შეზღუდვის ტიპისა.

გარემოს ხელმისაწვდომობის პრობლემატიკა

⁵³⁹ 2010 წლის 5 ოქტომბერი, წერილი #3447/09-3/0788-10

⁵⁴⁰ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #01-10/04/11271, 2010 წლის 8 ნოემბერი,

სახალხო დამცველის აპარატი მუდმივად ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების მონიტორინგს და შესაბამის რეკომენდაციებს აწვდის სახელმწიფო უწყებებს.

ხელმისაწვდომობის პრინციპი მიზნად ისახავს იმ ბარიერთა აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს თავიანთი უფლებების განხორციელებაში. ზემოაღნიშნული ფიზიკური ხელმისაწვდომობის გარდა, ასევე გულისხმობს ინფორმაციის, ტექნოლოგიების, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ხელმისაწვდომობას.⁵⁴¹ აღნიშნული პრინციპის გატარება უზრუნველყოფილი ვერ იქნება ერთეული პროექტების განხორციელების გზით, მაგალითად, როგორცაა პანდუსების დამონტაჟება, არამედ საჭიროებს სისტემური ხედვისა და მიდგომის ჩამოყალიბებას, ყველა ტიპის ბარიერის აღმოფხვრას გარემოში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 48/96 რეზოლუციით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის სტანდარტული წესების“ მიხედვით: სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარ შესაძლებლობათა მინიჭებისათვის. პირებისათვის, რომელთაც აქვთ ნებისმიერი სახის შეზღუდვა, სახელმწიფოებმა უნდა: 1) განახორციელონ შესაბამისი სამოქმედო პროგრამები ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობისათვის და 2) მიიღონ შესაბამისი ზომები მათთვის ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. უნდა გამოიყენონ შესაბამისი ტექნოლოგია სმენადაქვეითებულ ან გაძნელებული აღქმის მქონე პირთათვის ხმოვანი ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოებმა უნდა წახალისონ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, განსაკუთრებით, ტელევიზია, რადიო და გაზეთები, რათა უზრუნველყონ მათი მომსახურების მისაწვდომობა⁵⁴².

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2006)5⁵⁴³ ავალეს წევრ სახელმწიფოებს: ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობების დამხმარე მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებას, რათა გაუმჯობესდეს გარემოს ხელმისაწვდომობა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს მიეცეთ თანაბარი შესაძლებლობები, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ

⁵⁴¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესახებ, ქენევა 2007, გვ.17.
<http://www.un.org/disabilities/documents/toolaction/ipuhb.pdf>

⁵⁴² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 48/96 რეზოლუცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის სტანდარტული წესები“, 1993 წლის 20 დეკემბერი, წესი 5.

⁵⁴³ ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2006)5 “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ევროპაში 2006–2015”, 2006 წელი, 5 აპრილი, მუხლი 3.6.3.

ცხოვრებაში. ამგვარი პრაქტიკა უნდა დაინერგოს ახალ მშენებლობაზე და თანდათან გავრცელდეს არსებულ შენობებზე.

შიდა კანონმდებლობა ასევე ავალდებულებს სახელმწიფოს, ფიზიკური გარემოს დაპროექტებისას და შექმნისას ამ პროცესის დასაწყისიდანვე გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მატერიალური გარემოს მისაწვდომობის მოთხოვნები. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის⁵⁴⁴ თანახმად: „დაუშვებელია დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, საცხოვრებელი რაიონების ფორმირება, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავება, შენობათა და ნაგებობათა [...] მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ეს ობიექტები და საშუალებები არ მიესადაგება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს“.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში მოცემულია კონკრეტული ღონისძიებები რომლებიც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს 2010–2012 წლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი და მოწყობილი გარემოს შესაქმნელად.

გარემოს ხელმისაწვდომობაზე დამოკიდებული ადამიანის სხვა ძირითადი უფლებების რეალიზება. როდესაც პირი ვერ ახერხებს დამოუკიდებლად გადაადგილებას, საზოგადოებრივ შენობებში შეღწევას და საჭირო ინფორმაციის მოპოვებას, რთულია, დაცული იყოს მისი ჯანმრთელობის, განათლების, დასაქმების, გადაადგილების, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის უფლებები.

პრაქტიკა

გარემოს ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში. სიტუაციის ანალიზის მიზნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრმა გამოითხოვა ინფორმაცია რამდენიმე რეგიონული ცენტრიდან (ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, ფოთი, გორი, თელავი, ახალქალაქი, რუსთავი). მიღებული პასუხების მიხედვით ირკვევა, რომ არც ერთ ქალაქში ფიზიკური გარემო არ აკმაყოფილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მინიმალურ საჭიროებებს. შენობა-ნაგებობები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ფეხით მოსიარულეთა ბილიკები და ქუჩებზე გადასასვლელები არ არის ადაპტირებული.

ქ.ბათუმი: შუქნიშნებზე ხმამაღლა მოლაპარაკე ხელსაწყო უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირებისათვის დამონტაჟებული არ არის. საზოგადოებრივი ტრანსპორტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის

⁵⁴⁴ საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ 1995 წელი, მუხლი 8.

ადაპტირებული არ არის. ამ ეტაპზე აღნიშნული პირებისათვის გარემოსთან ადაპტირების მიზნით ღონისძიებათა გატარება არ მიმდინარეობს.⁵⁴⁵

ქ.რუსთავი: არც ერთი შუქნიშანი არ არის აღჭურვილი ხმამაღლა მოლაპარაკე ხელსაწყოებით უსინათლო და მხედველობადაქვეითებულთათვის. ფეხით მოსიარულეთა ბილიკები ეტლით მოსიარულე პირთათვის არის ნაწილობრივ ადაპტირებული. საზოგადოებრივი ტრანსპორტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არ არის გათვალისწინებული.⁵⁴⁶

ქ.ქუთაისი: არ არის დამონტაჟებული ხმოვანი შუქნიშნები და სავალი გზიდან ფეხით მოსიარულეთა ბილიკებზე ეტლით მოსიარულე ადამიანებისთვის ასასვლელები. აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად ქ.ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარეობს მსჯელობა.⁵⁴⁷

ქ.გორი: არც ერთი შუქნიშანი არ არის აღჭურვილი ხმამაღლა მოლაპარაკე ხელსაწყოებით უსინათლო და მხედველობა დაქვეითებულთათვის. ტროტუარები ადაპტირებული არ არის, მაგრამ ამჟამად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები და იგეგმება პანდუსების მოწყობა.⁵⁴⁸

ქ.თელავი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხმოვანი შუქნიშნები არ არის დამონტაჟებული, ხოლო ეტლით მოსიარულე ადამიანებისთვის ქ.თელავის ტროტუარები მრავალ ადგილას არ არის ადაპტირებული.⁵⁴⁹

ქ.ახალქალაქი: არ არის დამონტაჟებული ხმოვანი შუქნიშნები და ეტლით მოსიარულე ადამიანებისთვის შესაბამისი ბილიკები.⁵⁵⁰

ქ.ზუგდიდი: 2007–2009 წლებში ზუგდიდის ქალაქის ტერიტორიაზე შეკეთდა რამდენიმე ათეული ქუჩა, სადაც გათვალისწინებულია ეტლით მოსიარულე ადამიანებისათვის სპეციალური გადასასვლელების მოწყობა. რაც შეეხება შუქნიშნებს, განიხილება საკითხი მომავალში ქალაქის გზაჯვარედინებზე მძღოლებისა და ქვეითად მოსიარულეებისთვის მრავალსიგნალიანი ციფრობრივი დაფისა და ისრების მქონე შუქნიშნების გამოყენებაზე.⁵⁵¹

ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ გარემოს ადაპტირების მიზნით კონკრეტული და ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვისათვის მუშაობა საქართველოს უმეტეს ქალაქებში არ მიმდინარეობს.

⁵⁴⁵ ქ.ბათუმის მერიის წერილი #04-04/116981. 3 დეკემბერი, 2010.

⁵⁴⁶ ქ.რუსთავის მერიის წერილი #1088. 7 დეკემბერი, 2010.

⁵⁴⁷ ქ.ქუთაისის მერიის წერილი #01-1199. 19 მარტი, 2010.

⁵⁴⁸ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილი #4527. 27 დეკემბერი, 2010.

⁵⁴⁹ თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილი #275. 6 აპრილი, 2010.

⁵⁵⁰ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილი #120. 10 მარტი, 2010.

⁵⁵¹ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილი #05-2/182. 15 მარტი, 2010.

რაც შეეხება საზოგადოებრივ ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას, ქ.თბილისის მერიისგან ადაპტირებული ავტობუსების მარშრუტებისა და სახელმწიფო საწარმო ნიშნების შესახებ გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ კუთვნილი ავტობუსებიდან მხოლოდ 40 ავტობუსია ადაპტირებული სავარძელ-ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.⁵⁵² თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლების გადმოცემით, რეალურად არც ერთი მათგანი არ არის გამოყენებადი ეტლით მოსიარულე პირებისათვის, ვინაიდან უმეტეს მათგანში მოხსნილია/არ ფუნქციონირებს სპეციალური პანდუსი. რეგიონებიდან მიღებული წერილებით კი ირკვევა, რომ მათ უმრავლესობას მუნიციპალური ტრანსპორტი საერთოდ არ გააჩნია და კერძო კომპანიებს მხოლოდ ტრანსპორტის ადაპტირების შესახებ რეკომენდაციით მიმართავენ, რასაც არ ითვალისწინებენ. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი სრულიად ხელმიუწვდომელია.

დღემდე არ განისაზღვრაა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 45-ე ნაწილით გათვალისწინებული „დამჯარიმებელი ორგანო“. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 178¹-ე მუხლის მიხედვით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, აგრეთვე მისი თავისუფალი გადაადგილებისათვის აუცილებელი პირობების შექმნისაგან თავის არიდება გამოიწვევს დაჯარიმებას 300-იდან 500 ლარამდე.“ ხოლო 178²-ე მუხლის მიხედვით ობიექტის დაპროექტების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროების გათვალისწინებლობა ჯარიმდება 500-იდან 800 ლარამდე.

თუმცა, კოდექსის 239-ე მუხლის 45-ე ნაწილით აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმს ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანო. შესაბამისი ორგანოს განსაზღვრა დღემდე არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული სამართლებრივი გარანტია არ მოქმედებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მდგომარეობა იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ვერ ან არასრულად ასრულებს საერთაშორისო სამართლითა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებას – განახორციელოს შესაბამისი ქმედებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი და მოწყობილი გარემოს შესაქმნელად, შეუქმნას პირობები საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, სატრანსპორტო საშუალებით თავისუფალი გადაადგილებისათვის, უზრუნველყოს მათთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

⁵⁵² ქ.თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წერილი #06/55924-12. 13 მაისი, 2010 წელი.

რეკომენდაცია:

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- განახორციელონ ფიზიკური გარემოს ადაპტირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის სრულად უზრუნველსაყოფად.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 239-ე მუხლის 45-ე მუხლის შესაბამისად განისაზღვროს შესაბამისი ორგანო, ან უკვე არსებულ რომელიმე ორგანოს მიენიჭოს ამავე კოდექსის 178¹–178²-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილება.

სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა სახალხო დამცველთან არსებული პრობლემები

2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში ცალკე თავი დაეთმო სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობის საკითხს სახალხო დამცველთან და არსებულ პრობლემებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით დადებითი ტენდენციები შეიმჩნეოდა, 2010 წლისათვისაც დამახასიათებელი იყო გარკვეული პრობლემები.

საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის ძირითად ფუნქციას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე ზედამხედველობა წარმოადგენს. აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად საქართველოს სახალხო დამცველს შესაბამისი ორგანული კანონით მინიჭებული აქვს მთელი რიგი უფლებამოსილებები.

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ეფექტურობის გარანტია საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლია, რომლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისთვის დაბრკოლებათა შექმნა კანონით დასჯადი ქმედებაა. ამას გარდა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში მოცემულია მთელი რიგი მუხლები, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებებს განსაზღვრავს⁵⁵³.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, საპარლამენტო ანგარიშებში საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის იმ ორგანოებზე და თანამდებობის პირებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არღვევდნენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და არ ითვალისწინებდნენ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, საქართველოს სახალხო დამცველის წერილებისა და რეკომენდაციების უგულვებელყოფა, მისთვის საქმის შესწავლისათვის აუცილებელი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მიუწოდებლობა ან დაგვიანებით მიწოდება აფერხებს საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობას და დარღვეული უფლების აღდგენას.

შესაბამისად აღნიშნულ თავში ყურადღებას გავამახვილებთ იმ უწყებებზე, რომელთან ურთიერთობაშიც საქართველოს სახალხო დამცველი გარკვეულ პრობლემებს აწყდებოდა.

⁵⁵³ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18; მე-19; მე-19¹, მე-20 და 21-ე მუხლები.

მონიტორინგის პროცესი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის პრობლემები და მონიტორინგის შეჩერების მცდელობები, რომელთა გადალახვაც სახალხო დამცველის პრევენციის ჯგუფის წევრებს მონიტორინგის განსახორციელებლად მოუხდათ. სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ხელმძღვანელობის მითითების საფუძველზე, ბავშვთა სააღმზრდელო რამდენიმე დაწესებულების დირექტორმა პრევენციული ჯგუფის წევრებს ბავშვებთან კონფიდენციალურ გასაუბრებაზე უარი განუცხადა. ჯგუფის წევრებმა მათ აუხსნეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენელთა უფლებამოსილებები, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი დახურულ დაწესებულებებში განთავსებულ პირებთან, მათ შორის, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელებთან კონფიდენციალური გასაუბრების უფლებაა. **საბოლოოდ, მხოლოდ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და სახალხო დამცველის საუბრის შემდეგ გახდა შესაძლებელი მონიტორინგის ნორმალურ ვითარებაში გაგრძელება.**

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ბავშვებთან კონფიდენციალურად გასაუბრების შემთხვევისა, ყველა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი და პერსონალი სრულ მზადყოფნას გამოხატავდნენ მონიტორინგისას დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მისაწოდებლად, რაც თავისთავად პოზიტიურ ტენდენციებზე მიუთითებს.

საქართველოს სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ მომავალში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს და საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებით აღჭურვილ პირებს აღარ შეექმნებათ მსგავსი დაბრკოლებები. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დირექტორი და სხვა ხელმძღვანელი პირები თავს შეიკავებენ ისეთი მითითებების გაცემისგან, რომლებმაც შესაძლოა, მონიტორინგის ჯეროვანი განხორციელების შეფერხება და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვიოს.

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 2010 წელს პენიტენციურ სისტემაში არსებული პატიმართა სიკვდილობის სპექტრი და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი შეისწავლა. ინფორმაციის წყარო იყო როგორც გეგმიური თუ არაგეგმიური ვიზიტები, ასევე, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან მიღებული კორესპონდენციები. საბოლოო დასკვნა გაკეთდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ მოწოდებული გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების შესწავლით.

ისევე, როგორც გასულ წლებში, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს საკითხის შესწავლისას გარკვეული შეფერხებები შეექმნა. გარდა დაგვიანებული პასუხებისა, რიგ შემთხვევებში საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო სრულყოფილად არ უპასუხებდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ

გაგზავნილ მოთხოვნას. საქართველოს სახალხო დამცველს რამდენჯერმე მიმართა „სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიუროს“ და მოითხოვა გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების დამოწმებული ასლები. წერილს თანდართული ჰქონდა გარდაცვლილთა სია, რომელიც აღნიშნულ ეტაპზე ჩვენ შევადგინეთ. ბიუროს ეთხოვა, გადაემოწმებინათ და შეეცნოთ აღნიშნული სია მათ ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, ბიურო პერმანენტულად აგზავნიდა მხოლოდ იმ დასკვნების ასლებს, რომლებიც ჩვენ მიერ შედგენილ სამუშაო სიაში იყო შეტანილი. სამუშაო პროცესის დინამიკურობიდან გამომდინარე, ყოველი ახალი გარდაცვლილი პაციენტის აღმოჩენისას განმეორებით გვიწევდა ექსპერტიზის ბიუროში მოთხოვნის გაგზავნა, რაც მთლიანობაში აფერხებდა შესწავლის პროცესს.

განცხადებებისა და საჩივრების შესწავლის პროცესი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წერილების, რეკომენდაციებისა და წინადადებების უგულებელყოფა, არაადეკვატური პასუხის ან არასრული ინფორმაციის მიწოდება, ისევე, როგორც შესაბამისი ქმედების განუხორციელებლობა ან დაგვიანება, უარყოფითად აისახება აპარატის ფუნქციონირებასა და პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი რიგ შემთხვევებში იძულებულია, განმეორებით მიმართოს შესაბამის ორგანოებს საჭირო ინფორმაციის მისაღებად, რაც ახანგრძლივებს მუშაობის პროცესს და ნაკლებ ეფექტურს ხდის მას.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კორესპონდენციების ანალიზი იძლევა იმ ორგანოთა იდენტიფიცირების საშუალებას, რომელთა მიმართ ზემოაღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია. სამწუხაროდ, ორგანოთა ნაწილი თავს არიდებს საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს ორგანული კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

ისევე, როგორც 2009 წლის მე-2 ნახევრის განმავლობაში, 2010 წელსაც ნაკლებად ეფექტური იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველთან. აღნიშნული არ ატარებდა სისტემატურ ხასიათს. თუმცა უპასუხო წერილები და დაგვიანებული პასუხები გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა აპარატის ეფექტურ ფუნქციონირებას.

მსგავს პრობლემას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ასევე აწყდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ურთიერთობისას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიგზავნა ოფიციალური წერილი.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, კვლავ აქტუალური რჩება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ურთიერთობის პრობლემა. დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ხშირად მიმართავს

აღნიშნულ სამინისტროს როგორც ზოგადი ინფორმაციის მიღების მიზნით, ასევე კონკრეტული პირების განცხადებების საფუძველზე. ხშირ შემთხვევაში აღნიშნულ უწყებაში გაგზავნილი წერილები უპასუხოდ რჩება. ასევე ხშირად ვხვდებით შეუსაბამობას გამოთხოვილ და მიღებულ ინფორმაციას შორის.

2010 წლის განმავლობაში უპასუხოდ დარჩა სახალხო დამცველის აპარატის 60 წერილი, რომლებითაც ვითხოვდით განცხადების შესწავლისათვის აუცილებელ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ თითოეულ შემთხვევაში გაიგზავნა განმეორებითი წერილებიც, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნული მიუთითებს პრობლემის სისტემურ ხასიათზე.